ბათუმის ნ.ბერძენიშვილის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები

აჭარა

ტომი I

(უძველესი დროიდან ახ.წ. V საუკუნემდე)

ბათუმი - 2007

Батумский научно-исследовательский институт имени
Н.А.Бердзенишвили
Батумский Археологический музей

ОЧЕРКИ ИСТОРИИ
Юго-Западной Грузии
АДЖАРИЯ

ТОМ I
(С ДРЕВНЕЙЩИХ ВРЕМЁН ДО V В. Н.Э.)

Батуми - 2007

N.BERDZENISHVILI BATUMI RESEARCH INSTITUTE
BATUMI ARCHAELOGICAL MUSEUM

STUDIES OF HISTORY OF SOUTH-WESTERN GEORGIA ADJARA

VOLUME 1
(FROM THE EAYLIEST TIMES UNTIL THE FIFTH CENTURY A.D.)

Batumi - 2007

ტომის ამტორები: ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი †გიორგი მელიქიშვილი. აკადემიკოსი თოთარ ჯაფარიძე, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, წევრ-კორესპონდენტი †დავით სახუტაიშვილი, წევრ-კორესპონდენტი ვანო ბაბუნიძე, პროფესორი ნოდარ ლომოური, პროფესორი ამირან კახიძე, პროფესორი გურამ გრიგოლია, პროფესორი ნოდარ კახიძე, პროფესორი ნუგზარ მგელაძე, პროფესორი შოთა მაშულაძე, პროფესორი რამაზ სურმანიძე, პროფესორი მიხეილ ქამადაძე, პროფესორი თინათინ შოთაშვილი, ისტ.მეცნ.კანდ. ნინელი ვაშაკიძე, ისტ.მეცნ.კანდ. სერგო გოგიტიძე, ისტ.მეცნ.კანდ. ნინო ინაიშვილი, ისტ.მეცნ.კანდ. ნანა სახუტაიშვილი.

რედაქტორები: წევრ-კორესპონდენტი პროფესორი †დავით სახუტაიშვილი,
პროფესორი ამირან კახიძე

სარედაქციო კოლეგია: †დავით სახუტაიშვილი (მთავარი რედაქტორი), ამირან კახიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ კახიძე (მთავარი რედაქციის მდივანი), დავით მუსხელიშვილი, მალხაზ სიორიძე, თოთარ თურმანიძე, ფრიდონ სიხარულიძე, †აბელ სურგულაძე, †მურად ჩაგლეიშვილი.

Редакционная коллегия: †Хахутайшвили Давид (главный редактор), Кахидзе Амиран (заместитель главного редактора), Кахидзе Нодар (секретарь главной редакции), Мусхелишвили Давид, Сиоридзе Малхаз, Сихарулидзе Фридон, Турманидзе Отар, †Сургуладзе Авель, †Чавлейшвили Мурад.

BOARD OF EDITORS: †David Khakhutaishvili (editor in chief), Amiran Khakhidze (vice-editor in chief), Nodar Khakhidze (secretary of the Board of editors), David Muskhelishvili, Malkhaz Sioridze, Otar Turmanidze, Phridon Sikharulidze, †Abel Surguladze, †Murad Chavleishvili.

რეცენზენტები: აკადემიკოსი †თოთარ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი.

საგამომცემლო უფრუნველყოფა: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია
რედაქტორი: ელგუჯა ლებანიძე
ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი
კორექტორები: ქეთევან წახნაკია
გვანცა შანავა

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22 ტელ.:
(899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.
Email: inovacia@caucasus.net

პოლიგრაფიული უფრუნველყოფა: შპს „ლიოსპურია-2004“

სარჩევი

წინათქმა (დ. ხახუტაიშვილი).....8

შესავალი

§1. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო (ვ.ბაბუნიძე) 10

§2. პალეოგეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარება ჰოლოცენში აჭარის „ქვეყანასა“ და მიმდებარე მხარეებში (დ.ხახუტაიშვილი).....20

§3. აჭარის ეტნომოლოგიისათვის (მ.ქამადაძე).....26

§4. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები (დ.ხახუტაიშვილი) 30

§5. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები

ა. წერილობითი წყაროები (დ.ხახუტაიშვილი).....35

ბ. ნივთიერი კულტურის ძეგლები (ა.კახიძე).....38

გ. ეთნოგრაფიული მონაცემები (ნ.კახიძე).....41

დ. ხალხური სიტყვიერება (თ.შიოშვილი).....48

ე. ტოპონიმია (მ.ქამადაძე).....58

თავი I. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის (დ.მუსხელიშვილი).....65

თავი II. ძვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. ქვედა პალეოლითური ძეგლი აჭარის მაღალ მთიანეთში (გ.გრიგოლია).....105

§2. მეზოლითური და ადრენეოლითური კულტურა (ს.გოგიტიძე).....113

§3. განვითარებული ნეოლითური კულტურა (ს.გოგიტიძე).....121

§4. მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების წარმოქმნა (ს.გოგიტიძე).....128

თავი III. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა (ა.კახიძე) 135

§2. ხელოსნობა (დ.ხახუტაიშვილი) 140

თავი IV. შუა და გვიანბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. აჭარა შუაბრინჯაოს ხანაში (ა.კახიძე).....144

§2. კოლხური კულტურის ადრეული ეტაპი აჭარის ტერიტორიაზე (ო.ჯაფარიძე).....149

§3. ქართველური ტომები. მათი დიფერენციაციისა და კონსოლიდაციის პროცესები. აჭარის მოსახლეობის ადგილი ქართველურ ტომთა ერთიანობაში (გ.მელიქიშვილი) 164

თავი V. აჭარა ადრერკინის ხანაში

§1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი) მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები (გ.მელიქიშვილი) 174

§2. აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფა

ა. სოფლის მეურნეობა (ნ.ხახუტაიშვილი).....184

ბ. ხელოსნური წარმოება (ნ.ხახუტაიშვილი).....190

§3. შავი მეტალურგიის უძველესი კერები აჭარის ტერიტორიაზე (დ. ხახუტაიშვილი, ნ. ხახუტაიშვილი)....198
§4. დასახლებების ფორმები და პროტოქალაქების წარმოქმნა (დ. ხახუტაიშვილი)....204
§5. ახალი მოვლენები სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (დ. ხახუტაიშვილი)....211
§6. სულიერი სამყარო (ნ.მგელაძე)....215
§7. აჭარის მთიანეთის წინაქრისტიანული ძეგლები (ა.კახიძე, შ.მამულაძე)....227
თავი VI. აჭარა ადრეანტიკურ ხანაში
§1. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი (ა.კახიძე)....241
§2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში (ა.კახიძე)...247
§3. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი (ა.კახიძე)....255
§4. ანტიკური სამყარო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ა.კახიძე)....268
§5. ადრეკლასობრივი ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს) (დ.ხახუტაიშვილი)....288
თავი VII. აჭარა ელინისტურ ხანაში
§1. მეურნეობა, საერთაშორისო სავაჭრო კავშირები (ნ.ვაშაკიძე)....296
§2. ყოფა და კულტურა (ნ.ვაშაკიძე)....314
§3. რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. რომაელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ნ.ლომოური)....321
თავი VIII. აჭარა ახ.წ. I-IV საუკუნეებში
§1. ლაზიკის სამეფოს წარმოქმნა და აჭარა (ნ.ლომოური)....326
§2. სამეურნეო ყოფა და საგარეო კავშირები (ნ.ინაიშვილი)....340
§3. ნიყთიერი კულტურა (ნ.ინაიშვილი)....347
§4. ბიზანტიის იმპერიის ფორმირება და აჭარა (ნ.ლომოური)....356
§5. მედიცინა უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე (რ.სურმანიძე)....361
ძირითადი შემოძლებანი....368
ილუსტრაციები....370

წინათქმა

საქართველოს წარსულის ახლებური მიდგომით შესწავლის პრინციპები XX საუკუნის 50-იანი წლებში აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ იყო ფორმულირებული: „ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა“ შესწავლით უნდა წარიმართოს“. ღვაწლმოსილი მეცნიერი დასძენდა, რომ „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“ შესახებ მრავალი საფუძვლიანი შენიშვნა მივიღეთ, მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის იყო, რომ ჩვენს კრიტიკოსებს ადგილობრივი ისტორია ნაკლებად გაშუქებული ეჩვენათ. ბათუმში აჭარის შესახებ თხრობის ნაკლულობას აღნიშნავდნენ, ფოთში ამ ქალაქზე დუმილს გვისაყვედურებდნენ, ზუგდიდში კოლხეთის შესახებ თხრობა ენაკლულებოდათ... ასევე სხვაგანაც. ეს იყო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლური საპროგრამო დებულება, რომელიც გულისხმობს, რომ უნდა განხორციელდეს საქართველოს ყველა მხარის წარსულის დეტალური მონოგრაფიული გამოკვლევა, რის შედეგადაც დღის წესრიგში დადგება უკვე მიღწეულის შეჯამება-განზოგადების ამოცანა. წარსულში, ისტორიოგრაფიის განვითარების გარდამტეხ საფეხურებზე, მეცნიერებას მოევლინებოდნენ ხოლმე მოაზროვნეები, რომლებიც უკვე დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ეპოქალურ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებს ქმნიდნენ.

ამ მხრივ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში განსაკუთრებით გამორჩეულია ლეონტი მროველის, ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის სახელები. „ახალი ივანე ჯავახიშვილი“ მხოლოდ მას შემდეგ მოევლინება ქართულ საისტორიო მეცნიერებას, როცა ერთიანი საქართველოს ყველა მხარე პრინციპულად ახალი მიდგომით იქნება შესწავლილი.

წინამდებარე ოთხტომეულით იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესწავლა იმ პრინციპული მიდგომით, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ იყო შემოთავაზებული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილმა გამორჩეული როლი შეასრულა ძველი ქართული კულტურის ფორმირებაში. მისი ცალკეული მხარეების - სამცხის, ჯავახეთის, ტაოს, შავშეთის, კლარჯეთის, გურიის, აჭარის წარსულის გამოწვლილვით შესწავლა, დარწმუნებული ვართ, ბევრ სიახლეს შესძენს

ქართულ ისტორიოგრაფიას, გარკვეული ხარისხით მოამზადებს ნიადაგს ახალი მეცნიერული დონის განმაზოგადებელი ნაშრომების შესაქმნელად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების წარსულის შესწავლის დაწყება აჭარის „ქვეყნის“ შესწავლით განპირობებული იყო იმით, რომ 1958 წელს ბათუმში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალპროფილიანი ინსტიტუტი, რომლის კოლექტივმაც 45 წლის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია აჭარისა და მიმდებარე მხარეების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის შესასწავლად, გამოაქვეყნა ათასობით სამეცნიერო ნაშრომი, შექმნა პირველწყაროების ფასდაუდებელი ფონდები და მოამზადა მაღალკვალიფიცირებული კადრები.

1994 წლის 15 აპრილს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აჭარის ისტორიის ნარკვევების“ გამოცემის შესახებ. შექმნა ისტორიკოსთა და სპეციალისტთა საბჭო.

წინამდებარე ოთხტომეული ერთიანი ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასაც მოემსახურება, რადგან მასში ნათლად ჩანს, რომ აჭარა, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, ლოკალური თავისებურებების მიუხედავად ქართველური სამყაროს მკვიდრი, ორგანული ნაწილია.

სარედაქციო კოლეგიის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც გაგებითა და თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენს მუშაობას, დაგვეხმარა სიძნელეების დაძლევაში. ჩვენ სიამოვნებით და მადლიერებით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას, გავითვალისწინებთ მათ და გამოვიყენებთ შემდგომ მუშაობაში.

დავით ხახუტაიშვილი

15 აგვისტო, 1997 წელი.

შესავალი

§1. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო განედის 41° 53` და სამხრეთ განედის 41°21` დასავლეთ გრძედის 41° 33` და აღმოსავლეთ გრძედის 42°35`. აჭარის საზღვარი სამხრეთით ემთხვევა საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს. იგი გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქედებს, აღმოსავლეთით - არსიანის ქედს, ჩრდილოეთით მესხეთის ქედსა და მის განშტოებას (მდინარეების ნატანებისა და კინტრიშის წყალგამყოფი), დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონები, აღმოსავლეთით - ადიგენის რაიონი, სამხრეთით, როგორც აღვნიშნეთ, თურქეთი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას უკავია 3000 კმ, რაც საქართველოს ტერიტორიის 4,3%-ს შეადგენს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 5 ადმინისტრაციული რაიონია: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს, 1 რესპუბლიკური (ბათუმი), 1 რაიონული (ქობულეთი) დაქვემდებარების ქალაქი და 7 დაბა (ოჩხამური, ჩაქვი, მახინჯაური, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო).

აჭარა კავკასიის ტიპიურ მთიან მხარეს წარმოადგენს თავისებური მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით. სამი მხრიდან (ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით) შემოსაზღვრულია მცირე კავკასიონის აჭარა-თრიალეთის სისტემის მაღალი მთებით[1]. აჭარა-თრიალეთის მთის სისტემა დაყოფილია ორ მსხვილ ოროგრაფიულ[2] ერთეულად: აჭარა-იმერეთის და თრიალეთის მთები. აჭარა-იმერეთის მთა გაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან მდინარე მტკვრის ხეობამდე და თავის მხრივ იყოფა აჭარა-გურიის და ახალციხე-იმერეთის მთებად. მათგან პირველი წყალგამყოფია, ერთი მხრივ, აჭარისწყლის და მეორე მხრივ, სუფსა-ნატანების მდინარეთა ჰიდროქსელისა. აჭარის ფარგლებში ამ ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალია საყორნიას მთა (2752 მ ზღვის დონიდან).[3]

აჭარა-გურიის ქედს ხინოს მთასთან გამოეყოფა ქობულეთ-ჩაქვის ქედი, რომელიც გეოგრაფიულად აჭარას ყოფს ორ ნაწილად - ზღვისპირა ზოლად და მთიან აჭარად. აჭარის სამხრეთით, თურქეთის საზღვართან, მდინარე აჭარისწყლის ზედა ნაწილსა და მდინარე იმერხევს შორის, წყალგამყოფია შავშეთის ქედი. ამ ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალია ხევას მთა (2810 მ).

---

[1] ბ.გამყრელიძე. აჭარა-თრიალეთის დანაოჭებული სისტემის გეოლოგიური აგებულება. //მონოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინეროლოგიის ინსტიტუტი. თბილისი., 1949, გვ. 50-58. ნ.ჯიბუტი, აჭარის ლანდშაფტური დახასიათების შესახებ. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. VII-VIII, ბათუმი, 1960, გვ. 7-19.

[2] ოროგრაფია - ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც დედამიწის ზედაპირის რელიეფს სწავლობს.

[3] Нижарадзе Н. И. , Джибути Н. М. Аджария. Батуми, 1978, с.177.

არსიანის ქედიც ასევე წყალგამყოფია შავი და კასპიის ზღვების აუზებისთვის. არსიანის ქედის დიდი ნაწილი დღეს თურქეთის საზღვრებშია, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია მისი მხოლოდ ჩრდილოეთი მონაკვეთი, სადაც განლაგებულია მწვერვალები: ყანლი (2987 მ), კაიაბაში (2432 მ), ზამბორი (2420 მ), გრმანი (2541 მ), საყუელიაფერდი (2450 მ) და სხვ. არსიანის ქედზე რამდენიმე უღელტეხილია, რომელთა შორის ყველაზე მოხერხებულია - გოდერძის (2025 მ ზღვის დონიდან).

აჭარის ვაკის ზონა ძირითადად ორი დაბლობითაა წარმოდგენილი: ა) ქობულეთის, რომელიც მდინარეების კინტრიშსა და ჩოლოქის ქვემო წელს შორისაა მოქცეული. ამ დაბლობის წარმოქმნაში დიდი მნიშვნელობა პქონდა დასახლებული მდინარეების მიერ ჩამოტანილ ნაშალ მასალას. ბ) კახაბრის დაბლობი მდ.ჭოროხის დელტის ზონაშია და იყოფა ორ ნაწილად. აღნიშნული დაბლობი წარმოიქმნა მდინარე ჭოროხისა და შავი ზღვის მოქმედების შედეგად. მას ხურავს ნოყიერი ალუვიური ნიადაგები, რომელსაც ქმნის ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნაშალი ინერტული მასალები. კახაბრის ვაკე ქობულეთის აკუმულაციურ დაბლობთან შედარებით ნაკლებ დაჭაობებულია.

აჭარის გორაკ-ბორცვიანი ზონა წარმოდგენილია ჭანეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი და ქობულეთ-ჩაქვის ქედის განშტოებათა დასავლეთი დაბოლოებებით. აღნიშნული ზონა ხასიათდება მცირე სიმაღლის ბორცვებით და მთებით, რომელთა ნიშნული ზღვის დონიდან 150-500 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

ფიქრობენ, რომ ტერიტორია, რომელიც აჭარას უჭირავს, ზღვიდან ამოიწია და ხმელეთად იქცა მესამეული პერიოდის დასასრულს და მეოთხეულის დასაწყისში; ამიტომაც აქ წარმოდგენილია აღნიშნული ეპოქისათვის დამახასიათებელი ეოცენური, ოლიგოცენური, პლიოცენური და პოსტპლიოცენური დანაშრევები. ამასთან, არსად არ არის წარმოდგენილი ქვედა მიოცენური ზღვის ნალექები. ზღვის ფსკერზე ხდებოდა ჯულკანური ამოფრქვევები, რის შედეგადაც წარმოქმნილა აჭარის ტერიტორიაზე ამჟამად ფართოდ გავრცელებული ფლიშური წყებები.[4]

უძველეს ქანებად თვლიან ზედა ცარცული ეპოქის (სენონის) დანალექებს, რომლებიც გადახურულია პალეოცენისა და ქვედა ეოცენის დანალექი ჯულკანოგენური (ფლიშური) წყებებით. შემდეგ კი მას მოყვება შუა და ზედა ეოცენის ფლიშური წყებები.

აჭარა-გურიის ფლიშურ წყებებზე გადაფარებულია მურა და მონაცრისფრო თიხები, ზღვის ცხოველების ნამარხებით, რომელიც ასაკობრივად ოლიგოცენს მიეკუთვნება.

არსიანის ქედი აგებულია ზემო ეოცენის მწვანე და მოყვითალო თიხებით, მწვანე ქვიშნარი ქვაკირებით და კიროვანი ქვაქვიშებით, რომლებშიც მონაცვლეობენ აგრეთვე მოწითალო ტუფები. ასეთივე აღნაგობისაა შავშეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი. ამ ქედის შუა ნაწილში, აღნიშნული ჯიშების ნაცვლად, გრცელდება ნუმილიტოვანი ქვაკირები და მერგელები[5], ხოლო მისი დასავლეთი ნაწილის აგებულებას ქვემო ეოცენის მწვანე ქვაქვიშები, მერგელები, თიხები და ანდეზიტოვანი ტუფები ახასიათებს.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების რელიეფმა განვითარების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პერიოდი განვლო. ამასთან ივი ძლიერი დანაწევრებისა და ეროზიული გადარეცხვის კვალს ატარებს.

---

[4] ალ. ჯაგანიშვილი, საქართველოს გეოგრაფია. I. გეომორფოლოგია. ტფილისი, 1926, გვ. 305.

[5] მერგელი - ნალექი ქანი, რომელიც შედგება თიხისა და კირქვისგან.

შესავალი

ეროზიის ბაზისიდან (მდ. აჭარისწყლის ხეობის ფსკერიდან) მდინარეთა წყალგამყოფების საკმაოდ მაღალი მდებარეობა განაპირობებს აქაური მდინარეების ინტენსიურ ეროზიულ მოქმედებას, რასაც აძლიერებს, აგრეთვე, ფერდობთა დიდი დახრილობა და ატმოსფერული ნალექების სიუხვე.

აჭარის ტერიტორიაზე რელიეფის ფორმირების თანამედროვე მორფოგენეზური მოვლენებიდან განვითარებულია დენუდაციური (დაშლითი) პროცესები, მეწყერები და ზვავები. დენუდაციურ პროცესებში კარგად არის გამოსახული გამოფიტვა (ფიზიკური, ქიმიური, ორგანული), რის გამოც აჭარაში ადგილი აქვს ელუვიონის (წარმოქმნის ადგილზე დარჩენილი გამოფიტვის პროდუქტი) განვითარებას. იგი დიდი სისქით გადაფარებულია ძირა ქანებზე და წარმოდგენილია იისფერი, ყომრალი და წითელი მიწებით.

საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, აჭარაში ჰავა გამოირჩევა სპეციფიკური თავისებურებებით და დიდი სივრცობრივი განსხვავებულობით. ეს აიხსნება ჰავის ჩამოყალიბებაში მონაწილე შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: გეოგრაფიული განედით, ატმოსფეროს საერთო ცირკულაციით, შავი ზღვის გავლენით, თვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე, მის გარშემო განლაგებული მთის სისტემების რთული ოროგრაფიული აღნაგობით და ა.შ.

აჭარა ადრევე იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერდა რა საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილს - სამცხეს მთის თხემიდან ზღვამდე, აღნიშნავდა, რომ ეს ადგილები "ჰავით არის კეთილი და მშვენიერი, ზაფხული ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო, ზამთარი თბილი, დიდ თოვლიანი..."[6]

აჭარა ისევე, როგორც მთელი დასავლეთი საქართველო ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული ჰავით, ამასთან, საქართველოს სხვა სუბტროპიკული რაიონებისაგან გამოირჩევა ტიპიური ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით.

აჭარის ჰავაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შავი ზღვა. წარმოადგენს რა სითბოს თერმორეგულატორს და თერმოგენერატორს, იგი წლის ცივ პერიოდში ზრდის ჰაერის ტემპერატურას ხმელეთის მიმდებარე მონაკვეთებზე, ხოლო ზაფხულის ცხელ თვეებში რამდენადმე დაბლა სწევს მას. ამ ასპექტში არანაკლებ მნიშვნელოვანია აჭარის ოროგრაფიული თავისებურება. წლის განმავლობაში ზღვის ზედაპირიდან აორთქლებული ტენი თბილი ჰაერის დინებით გადაიტანება მთის ფერდობების მიმართულებით. სამი მხრიდან გარემომცველი მთის სისტემები (აჭარა-გურიის, არსიანის, შავშეთის) წარმოადგენს მნიშვნელოვან მასტიმულირებელს დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოჭრილი თბილი, ტენიანი ჰაერის კონდენსაციისა და უხვი, ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების წარმოქმნისათვის. ამასთან, ისინი აბრკოლებენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ცივი კონტინენტალური ჰაერის მასების შემოჭრას.

აჭარის ზღვის სანაპიროს კლიმატი ძლიერ წააგავს სამხრეთ ჩინეთისა და სამხრეთ იაპონიის ჰავას. მისი ანალოგი არ არსებობს ევროპაში და სხვა მასთან მოსაზღვრე რეგიონებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქაური კლიმატი მესამეულ ეპოქაში მთელი ევროპის კონტინენტზე გაბატონებული თბილი, ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატის გენეტიკური მემკვიდრე არის. ეს გარემოება ძველთაგანვე ქმნიდა სუბტროპიკული მეურნეობის, კერძოდ, ჩაის, ციტრუსების, ჩინური და იაპონური ხურმის, ტუნგის და სხვა ძვირფასი კულტურების წარმოების ხელსაყ-

[6] **ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 315.

რელ ბუნებრივ პირობებს.[7]

ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში შემორჩენილია მესამეული პერიოდის რელიქტური მცენარეულობა. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულ კონტინენტებზეც კი მთელი რიგი ანალოგიური კლიმატები არსებობს. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის ჰავა არა მარტო საკუთრივ ამ რეგიონში, არამედ ჩრდილო ამერიკის დასავლეთ სანაპიროებზე, ჩრდილო განედის 45-30° შორის (კალიფორნია) და სხვაგანაცაა ფიქსირებული. ასევე ითქმის სხვა ტიპის კლიმატებზეც.[8]

აჭარაში ჰაერის ტემპერატურის მინიმალური ამპლიტუდა[9] აღინიშნება სანაპირო რაიონებში, შავი ზღვისაკენ მოქცეულ მთიანი ტყეების ზონაში, მთის ფერდობებზე და უშუალოდ ზღვასთან ახლო განლაგებულ ტერიტორიებზე. ზღვიდან მოშორებით, შიდამთიან რაიონებში, სიმაღლის მატების მიხედვით, წლიური ტემპერატურა იცვლება და ალპურ ზონაში მაქსიმალურ სიდიდეს აღწევს.

შავ ზღვასთან სიახლოვე და აჭარა-გურიის, შავშეთის და არსიანის ქედების მთიანი სისტემა აჭარის ტერიტორიას აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ცივი მასების შემოჭრისაგან იცავს. ამასთან, დასავლეთის თბილი და ტენიანი ჰაერის მასები, რომლებიც ატლანტის ოკეანიდან მოედინება და შავ ზღვაზე გამოსვლისას ტენით კიდევ უფრო მდიდრდება, აღმავალ დენებს ავითარებს და მთების მისადგომებთან ნალექების დიდ რაოდენობას ტოვებს.

აჭარის რთული ოროგრაფიული პირობები და ჰავის ტიპების მრავალფეროვნება მრავალდარგოვანი მეურნეობების ჩამოყალიბებისათვის ქმნის პირობებს. აჭარისათვის, ისე როგორც მთელი საქართველოსათვის, დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო საქმე გვაქვს მცირე ტერიტორიაზე ბუნებრივი, ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობების მკვეთრ ცვალებადობასთან. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს ძირითადად ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებებს, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ხასიათს, ეკონომიკური განვითარების დონესა და მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებით, კერძოდ, სოფლის მეურნეობით, აჭარის მთისა (ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები) და ბარის (ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონები) რეგიონები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურით, სპეციალიზაციის ხასიათით, ჩამოყალიბებულ მეურნეობათა საწარმოო ტიპებით. ბარში საქმე გვაქვს მეურნეობათა სუბტროპიკულ (მეჩაიეობა-მეციტრუსეობის), ხოლო მთაში მეთამბაქეობა-მესაქონლეობის საწარმოო ტიპთან.[10]

---

[7] Маркович В.В. Проблемы акклиматизации субтропических растений на Черноморском побережье Кавказа. - Итоги деятельности Сухумской сельскохозяйственной станции за 30 лет ее существования (1894-1924), с. 81-97; Краснов А.Н. Южная Колхида как единственная субтропическая область России.-Русская мысль. -1913, №10, с. 31-44; Фигуровский И.В. Климаты Кавказа.-Записки Кавказск. отдел. русск. императ. географ. общества. 1919. кн. 29. вып. 5, с.235; Селянинов П.Т. Климат Черноморского побережья Кавказа. - Тр. Сочинской садовой и с/х опытной станции, вып. 3, 1941, с. 1-72; **გ.ხარებავა.** სუბტროპიკული რაიონები და სუბტროპიკული კულტურები სსრ კავშირში, თბილისი, 1951, გვ. 191.

[8] **ვ.სამანიშვილი,** საქართველოს სსრ სუბტროპიკული ზონის ტენიანი ნიადაგები. თბილისი, 1936, გვ. 187; **გ.კორძაია,** საქართველოს კლიმატი, თბილისი, 1981, გვ. 249.

[9] **ამპლიტუდა - სხვაობა ბარომეტრის ან თერმომეტრის ორ სიმაღლეს შორის.**

[10] Папунидзе В.Р. Основные направления развития народного хозяйства Аджарской АССР и задачи партийных организации. - Вопросы повышения эффективности производства и качества работы в народном хозяйстве Аджарской АССР. - По материалам научн. практ. конференц. проведенной в. г. Батуми в Феврале 1977 г., Батуми, 1978, с. 3-16.

აჭარის ჰიდროგრაფიულ სისტემაში ყურადღებას იმსახურებს მდინარეთა ხშირი ქსელი, მრავალრიცხოვანი წყაროებით და მცირე ტბებით. მათ შორის მხოლოდ მდ.ქვაბლიანია (სათავეს ღებულობს არსიანის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე) კასპიის ზღვის აუზის მდინარე, ხოლო დანარჩენები შავ ზღვაში ჩაედინება. ყველაზე წყალუხვია მდ.ჭოროხი. მისი სათავე თურქეთშია (სიგრძე 438 კმ, აუზის ფართობი 22,1 ათ.კმ²), ხოლო აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ 26 კმ-ზე მიედინება. ჭოროხის ძველი დელტის ერთ ნაწილზე გაშენებულია ქ.ბათუმი, ხოლო დანარჩენი წარმოდგენილია კახაბრის დაბლობით. აჭარის ადგილობრივ მდინარეთა შორის ყველაზე დიდია აჭარისწყალი, რომელიც სათავეს არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე იღებს. ეს მდინარე უმეტესად შიდამთიან აჭარაში ხშირი ტყით შემოსილ, ვიწრო, ღრმა ხეობაში მოედინება და უამრავი დიდი და პატარა შენაკადი აქვს. შედარებით დიდი მდინარეა კინტრაში, რომელიც სათავეს აჭარა-გურიის ქედზე, ხინოს მთის მახლობლად იღებს. იგი ქობულეთთან ერთვის შავ ზღვას. ძირითადი მდინარეების რიცხვში შედის ჩაქვისწყალიც.

აღნიშნული მდინარეების გარდა შავ ზღვას ერთვის კიდევ მრავალი შედარებით პატარა მდინარე, რომელთაგან აღსანიშნავია ჩოლოქი, ოჩხამური, აჭყვა, ყოროლისწყალი, მეჯინისწყალი, ბარცხანისწყალი და სხვ.

ჰიდროგრაფიულ ქსელში ყურადღებას იპყრობს დროებითი ნაკადები, რომლებიც თოვლის დნობის ან წვიმის პერიოდში ჩამოედინებიან. აჭარის წყალუხვ მდინარეებს ჰიდროენერგიის დიდი რესურსი გააჩნია (პოტენციური სიმძლავრე დაახლოებით 1 მლნ. კვტ.). მდ.აჭარისწყალზე, სოფ.ზედა მახუნცეთთან, აგებულია „აწჰესი", მდ. მაჭახელზე - „მაჭახელჰესი".

ტბები აჭარაში წარმოდგენილია როგორც ზღვის სანაპირო დაბლობზე, ისე შიდამთიან ნაწილში. ამ უკანასკნელში ისინი (მწვანე, შავი, ბოძაური, წიფლნარის და სხვ.) საზრდოობენ გამდნარი თოვლის ან წვიმის წყლით, დაბლობის ტბები (ნურის, გონიოს და სხვ) არც ისე დიდი ხნის წინ ზღვას უკავშირდებოდნენ, ზღვიდან მოწყვეტის შემდეგ კი გამტკნარება განიცადეს, მაგრამ მაინც აქვთ ზღვისათვის დამახასიათებელი სიმლაშე.[11]

აჭარაში უხვადაა **მინერალური წყლები**, რომლებიც გამოიყენება როგორც სასმელად, ისე სამკურნალოდ. მათგან აღსანიშნავია მახინჯაურის, კაპნისთავის, კოკოტაურის, ნამონასტრევის და სხვა წყლები. ზოგიერთი მინერალური წყაროს მიდამოები, მართალია ჯერჯერობით მოუწყობელია, მაგრამ მოსახლეობა მათ მაინც იყენებს.

ჭაობებს აჭარაში ვხვდებით ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებზე, მათი ნაწილი ამჟამად ამოშრობილია და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს.

აჭარის ოროგრაფიულმა პირობებმა (რელიეფის დანაწევრება, ზღვის დონიდან ჰიფსომეტრიული განვითარება, ფერდობთა განსხვავებული დაქანებები, მთის ჯიშთა ქანების, მცენარეული საფარისა და კლიმატის ელემენტების სხვადასხვაობა) განაპირობა ნიადაგსაფარის მრავალფეროვნება.

სანაპირო ზონის ნიადაგები გავრცელებულია ზღვის დონიდან 50 მ-მდე, ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით და იყოფა ორ ძირითად ქვეზონად: 1. ზღვისპირის და მდინარეთა, ე.წ. მერიის ქვეზონა, 2. გორაკ-ბორცვიანი და მთისწინა ქვეზონა, სადაც ძირითადად წარმოდგენილია წითელმიწები.

ზღვისპირა დაბლობი უმეტესად დაფარულია დაჭაობებული ალუვიური ნიადაგებით, რომელიც ძირითადად გავრცელებულია ქობულეთისა და კახაბრის დაბლობებზე და გამოიყენება სიმინდის და ბოსტნეული კულტურების მოსაშენებლად.

[11] **Нижарадзе Н.И.** Советская Аджария (экономико-географическая характеристика), Батуми, 1961, с.260.

აჭარის სანაპიროს ტენიანი სუბტროპიკული გორაკ-ბორცვიანი და დაბალი მთების ზონა აგებულია სხვადასხვა ფერისა და შემადგენლობის ანდეზიტოვანი ტუფოგენური ქანებით კალიბაზალტებით და ა.შ., რომლებიც აქტიური ტენიანი სუბტროპიკული კლიმატური პირობების და მცენარეული საფარის გავლენით ღრმა და ინტენსიურ გამოფიტვას განიცდიან. გამოფიტვის პროდუქტები შეიცავს ალუმინისა და რკინის ჟანგეულთა ჰიდრიტებს, რაც ნიადაგს წითელ ან ნირინჯისფერს აძლევს. ასეთი ნიადაგები ძირითადად მუავე რეაქციის ნიადაგებია.

ტენიანი სუბტროპიკული ნიადაგები საუკეთესო პირობებს ქმნის ჩაის, ციტრუსებისა თუ სხვა ტექნიკური, ძვირფასი ნაყოფის მომცემი კულტურების გაშენებისათვის.

წითელმიწა მუავე რეაქციის ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს მოკირიანება (ჩაის პლანტაციების გამოკლებით). ამით მცირდება ნიადაგის ჭარბმჟავიანობა და ალუმინის ტოქსიკურობა, იზრდება ფოსფორისა და სხვა საკვები ელემენტების მობილურობა, უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკური თვისებები, იზრდება მოსავლიანობა.[12]

აჭარაში უმეტესად მთა-ტყის ნიადაგებია გავრცელებული. აღნიშნული ნიადაგები ზღვის დონიდან 50-1800 მ ფარგლებშია წარმოდგენილი შემდეგი ზონებით: 1. მთა-ტყის ქვედა ზონის (50-600 მ-ს შორის), 2. მთა-ტყის შუა ზონის (600-1400 მ შორის), 3. მთა-ტყის მაღალი ზონის (1400-1800 მ შორის) ნიადაგები. მთა-ტყის ქვედა ზონა ძირითადად შერეული ფოთლოვანი ტყითაა დაფარული. მისთვის დამახასიათებელია ფოთოლთა უხვი ჩამონაცვენები, რაც ნიადაგის სქელ, მკვდარ საფარს ქმნის. მაღალი ტენიანი კლიმატური პირობები მის ინტენსიურ ლპობას უწყობს ხელს. ნიადაგწარმოქმნის პროცესი ხასიათდება მთის ქანების ინტენსიური გამოფიტვით, რაც დაკავშირებულია მთის ქანების ცალკეული მინერალების გახსნასა და გამორეცხვასთან. ამ ზონის სასოფლო-სამეურნეო საკარგულები გამოყენებულია დაფნის, ტუნგის, ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, სიმინდის მოყვანისათვის.

მთა-ტყის შუა ზონა, ისევე როგორც მთა-ტყის ქვედა ზონა, ფოთლოვანი ტყითაა დაფარული, სადაც წამყვანია წიფელი. ამ ზონის ტყის ნიადაგები გამოირჩევა ყომრალი ანუ ყვითელი შეფერილობით. მსგავსი ნიადაგები უმეტესად ზომიერი სატრყლისათვისაა დამახასიათებელი და გამოირჩევა საშუალო ინტენსივობის გამოფიტვით და გამორეცხვით. სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებულ ნიადაგებზე კარგად ხარობს თამბაქო, სიმინდი, ვაზი, ხეხილ-კენკროვანი და საკვები ბალახები.

მაღალი მთა-ტყის ზონაში, სადაც ჰავა უფრო ცივია და ტყე ნაძვნარ-სოჭნარითაა წარმოდგენილი მარადმწვანე ქვეტყის თანხლებით, ყომრალი ნიადაგები უფრო ღია შეფერილობით გამოირჩევა. ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია უხვში მკვდარი საფარი, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ დიდი სისქისაა, შემდეგ მოყვება ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, რომელიც ჰუმუსისა და ფუძეების მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს. შემდეგ მოდის ელუვიალური (გამორეცხვის) ჰორიზონტი გამორეცხილი ფუძეებით. მას აქვს ღია შეფერილობა. ამ ზონის ნიადაგების გარკვეული ნაწილი, რომელიც განლაგებულია უმეტესად დაქანებულ ფერდობებზე, ჩვეულებრივ თხელი ნიადაგებითაა წარმოდგენილი. გამეჩხერილი ტყეების ქვეშ ამ ნიადაგებზე განვითარებულია ეროზიული პროცესები, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე, საქონლის მოუწესრიგებელი ძოვება. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ აჭა-

[12] ა.ალავერთელაძე. აჭარის ასსრ ძირითადი ნიადაგები, ბათუმი, 1983, გვ. 111.

რის მთაგორიან პირობებში ტყის დიდ მნიშვნელობას წყლის რეჟიმის რეგულირებასა და ნიადაგის წყლისმიერი ეროზიისაგან დაცვაში.

ამ ზონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ძირითადად გამოიყენება ხილეულის, სიმინდის და საკვები ბალახეულის მოყვანა-მოპოვებისათვის.

აჭარაში სუბალპური და ალპური ზონის ნიადაგები გავრცელებულია ზღვის დონიდან 1800 მ ზემოთ და წარმოდგენილია უმთავრესად ტყე-მდელოს (სუბალპური) და მთა-მდელოს კორდიანი (ალპური) ნიადაგებით. აქ ზღვის დონიდან სიმაღლის, ექსპოზიციის, დაქანებისა და მცენარეული საფარის მიხედვით გვხვდება როგორც საშუალოდ განვითარებული, ხირხატიანი, ისე პრიმიტიული და ჭარბტენიანი ტორფიანი ნიადაგები.

ამ ზონის ნიადაგები ზაფხულის საძოვრებადაა გამოყენებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ აჭარაში მწვავედ იგრძნობა მათი ნაკლებობა, რაც ცალკეულ უბნებში საძოვრად ვარგისი ფართობების ძოვებით გადატვირთვას იწვევს. ამას კი თან სდევს კორდის დაშლა, საკვები ბალახოვნების ფლორისტული შემადგენლობის გაღარიბება და სარეველების მომრავლება, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის პროცესების თვალსაჩინოდ გაძლიერება, მთის ტყეების განახლების პროცესის შეწყვეტა, მათი დაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციების მოშლა.[13] მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორის საკვები ბაზის - გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენების პროგრესული მეთოდების დანერგვა.

აჭარის მაღალმთიანი კლდეების, ქვაყრილებისა და მათზე განვითარებული პირველადი კორდიანი და თხელი ფენა-მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგების კომპლექსით არის წარმოდგენილი.

აჭარის ბუნებრივ რესურსებში მრავალფუნქციონალური სარგებლობის და სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ტყის მცენარეულობას ენიჭება. აჭარის მცენარეული საფარი წარმოადგენს არა მარტო მერქნის დამზადების, არამედ სხვა შეუცვლელი უნივერსალური მცენარეული რესურსების მიღების წყაროს, სადაც წარმოდგენილია სამკურნალო, ვიტამინებისმომცემი, ეთერზეთოვანი, მთრიმლავი, საკვები, კულინარიული, ინსექტიციდური და სხვა სასარგებლო მცენარეები.

აჭარაში მცენარეული რესურსების გამოყენების მრავალმხრივობიდან გამომდინარე, დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს მთის მცენარეულობის ეკოლოგიური ფუნქციები. აქ, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ტყის ეკოსისტემების ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალდაცვითი, ზვავსაწინააღმდეგო, აგროსატყეო-სამელიორაციო, ბალნეოლოგიური, რეკრეაციული[14], სანიტარიულ-ჰიგიენური ფუნქციები.

აჭარა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოტანიკური ოლქის ნაწილია, რომელიც ხასიათდება მდიდარი მცენარეული საფარით, რაც მხარის გეოგრაფიული მდებარეობით და გეოლოგიური წარსულითაა განპირობებული. მესამეული პერიოდიდან მოკიდებული კლიმატური პირობები აქ ყველაზე ნაკლებად შეიცვალა და შესაბამისად მცენარეული საფარიც.

აჭარის ფლორა თავისი ძირითადი სახეობრივი შემადგენლობით მიეკუთვნება ბორეალურ, ხმელთაშუაზღვის უძველესი ტიბის მცენარეულობას. კავკასიის ცალკეული ფლორისტული

---

[13] შ.ხიდაშელი, გ.ბაბუნიძე. აჭარის ტყეები (კომპლექსური ათვისებისა და აღდგენის პრობლემები). ბათუმი, 1976, გვ. 122.

[14] რეკრეაციული - მეცნიერული ტერმინი. აღნიშნავს დასვენებას, ადამიანის ძალების აღდგენას.

ოლქებისაგან განსხვავებით, აჭარაში უკეთესადაა შემონახული მცენარეულობის უძველესი პერიოდის ნიშნები, მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა ადრეული პერიოდის რელიქტური სახეობები. იგი მდიდარია აგრეთვე ადვენტიური (უცხო) მცენარეულობით. გამოიყოფა მცენარეთა გავრცელების ხუთი ვერტიკალური სარტყელი, რომელთაგან თითოეულს ნიადაგებისა და მცენარეთა განსაზღვრული ტიპები შეესაბამება.[15] პირველი (ქვედა) ტენიანი სუბტროპიკული სარტყელი წარმოდგენილია ზღვის დონიდან 0-450-500 მ საზღვრებში. აქ გაბატონებულია ფართოფოთლოვანი შერეული მცენარეულის შემდეგი ჯიშები: პარტვისის მუხა, ხურმა, წაბლი, რცხილა, წიფელი, იფანი, თხმელა, ლაფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ლეღვი, ბზა, კეთილშობილური დაფნა, ბონტოსა და უნგერნის შქერი, ბაძგი, წყავი, დიდგული, ხეჭრელი, თხილი, მოცვი, სურო, ღვედკეცი, ეკალღიჭი, ტყის ვაზი და სხვა.

აჭარაში სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობა გამოჩნდა მესამეული პერიოდის დასასრულს, მაგრამ მათგან ბევრი სახეობა გამყინვარებათა პერიოდში დაიღუპა. შემორჩა ყინვაგამძლე სახეობანი. შემდგომში მოხდა თანამედროვე სუბტროპიკული ნიადაგურ-კლიმატური პირობების ფორმირება, რამაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი სასარგებლო მცენარეული სახეობის აკლიმატიზაცია განაპირობა. ამან ხელი შეუწყო უცხო ჯიშების ფართომასშტაბიან დანერგვას საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობებში. მრავალი მათგანი ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით გამოირჩევა უკეთესი ბიოლოგიური და ტექნიკური მაჩვენებლებით. ასეთებია: ევკალიპტი, კრიპტომერია, კვიპაროსი, ფიჭვი, ლირიოდენდრონი, კედარი, თეთრი აკაცია და სხვ.

აჭარის სუბტროპიკული რაიონების დაბალი ზონის ბუნებრივი პირობები სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის და საკურორტო მშენებლობის ფართო განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის. ამის გამო უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში 17 ათას ჰექტარზე ამოიძირკვა ბუნებრივი ტყე და გაშენდა ძვირფასი სამხრეთული და სუბტროპიკული მცენარეები: ჩაი, ციტრუსები, ტუნგი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზონის ბუნებრივი მცენარეული საფარი შედარებით მაღლა, მთისწინა კალთების მხოლოდ მცირე ფართობებზეა შენარჩუნებული, ფასდაუდებელია მისი როლი გარემოს შექმნაში, სუბტროპიკული მცენარეულობისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებაში, ქალაქების: ბათუმის, ქობულეთისა და მათი მიმდებარე დასახლებული პუნქტების სასმელი წყლით მომარაგების, ატმოსფეროს სანიტარიულ-ჰიგიენური დონის ამაღლებისა და ბუნების უარყოფითი მოვლენებისაგან დაცვაში; ამასთან, რაც მთავარია, ამ ზონის ბუნებრივი მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს სახეობრივი შემადგენლობა უნიკალურია, განუმეორებელია ევრო-აზიაში, ხოლო მსოფლიოში იგი მეორდება მხოლოდ ლაზისტანისა და თურქეთის სხვა მცირე რეგიონებში. აქ გავრცელებული მცენარეულობის მრავალი სახეობა იშვიათია, თანაც გადაშენების გზაზეა დამდგარი და "წითელ წიგნშია" შეტანილი. მხოლოდ აქ შეიძლება შევხვდეთ მსოფლიო ფლორის ისეთ იშვიათ წარმომადგენლებს, როგორიცაა ორფანიდეზია, სმირნოვისა და უნგერნის შქერი, მედვედევის არყი, ჩაგრისებრი ფირუსულა და სხვ.

ზღვის დონიდან 450-500 მ-დან მოყოლებული 1000 მ-დე ტენიანი სუბტროპიკული სარტყელი იცვლება წაბლის ტყის სარტყლით, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად მდინარე აჭარისწყლის და მისი შენაკადების, აგრეთვე, მაჭახლის, კინტრიშისა და ჩაქვისწყლის ხეო-

[15] Гроссгейм А.А. Растительные ресурсы Кавказа, Баку, 1946, с, 671; Манджавидзе Д.В. Реликтовые леса Аджарии и их народно-хозяйственное значение. Тбилиси., 1982, с. 262; Гулисашвили В.З. Природные зоны и естественно-исторические области Кавказа. Москва, 1964, с. 327.

ბებში. ამ ზონისათვის დამახასიათებელია წაბლის ტყეები. წარსულში მის მერქანზე დიდი მოთხოვნილების გამო, ძლიერ ექსპლოატაციას განიცდიდა. დღეს მისი კორომები ძნელად მისაწვდომ ფერდობებზე და ნაკრძალებში, ძირითადად რცხილასთან, წიფელთან, ცაცხვთან და სხვა ჯიშებთან ერთად შემორჩა. ქვეტყეში გვხვდება შქერი, წყავი, თუთუბო, იელი, ასკილი და სხვ.

ზღვის დონიდან 1000-1600 მ სიმაღლეზე გამოიყოფა წიფლის ტყის სარტყელი. მათი საერთო ფართობი აჭარის მთელი ტყეების ფართობის 41,9%, ხოლო მერქნის მარაგის 48,7% შეადგენს. ამ სარტყლის ქვედა ზონაში წიფელი შერეულია სხვა ფოთლოვან მცენარეებთან, კერძოდ, წაბლთან, ცაცხვთან, რცხილასთან, მუხასთან, ფიჭვთან და სხვ. ქვეტყე წარმოდგენილია ბაძგით, ჩვეულებრივი ზღმარტლით, უნგერნის შქერით, კატაბარდით და სხვა ჯიშებით. სარტყლის ზემო ნაწილში წიფელი შერეულია ნაძვთან, სოჭთან, თელასთან, ფიჭვთან და სხვა.

ზღვის დონიდან 1600-2000 მ სიმაღლეზე განლაგებულია ნაძვნარ-სოჭნარი ტყის სარტყელი, სადაც ძირითადად წარმოდგენილია აღმოსავლეთის ნაძვი და კავკასიური სოჭი. ამ ტყეებს აჭარაში მთელი ტყის ფართობის 24,7% უჭირავს, ხოლო მერქნის მარაგი 34,4% შეადგენს. ნაძვი და სოჭი ხშირად წმინდა კორომებსაც ქმნის. შერეულ კორომებში დასახელებულ ჯიშებთან ერთად გვხვდება მაღალმთის ნეკერჩხალი, წიფელი, მთის თელა, მთის ბოკვი და სხვ. ქვეტყეში - ჭნავი, იმერეთის ხეშავი, მელიქაური, იელი, თხილი, ბალახოვნებიდან - დიყი, უჟმურა, მთის პიტნა, ფუჩფუჩა, გობისცხვირა, ჩიტისთვალა, ხარისშუბლა და სხვ.

ზღვის დონიდან 1800-2200 მ სიმაღლეზე (ალპური სარტყლის საზღვრამდე) განლაგებულია მაღალმთის სუბალპური მეჩხერი ტყეები.

სუბალპური სარტყელი თავისი მცენარეული ფორმაციებით წარმოადგენს თავისებურ გარდამავალ სარტყელს ტყისა და ალპურ ზონას შორის. იგი აჭარაში ძირითადად წიფლის სუბალპური მეჩხერებით და ტანბრეცილებით, მედვედევის არყის, ტირიფის, მაღალმთის ნეკერჩხლის შერევითაა წარმოდგენილი.

ზღვის დონიდან 2200 მ ზევით მთის მთელი ფერდობები დაფარულია ალპური მცენარეულობით - გაკორდებული მრავალბალახოვნებით.

ცხოველთა სამყაროს სახეობრივი შემადგენლობა აჭარაში ასევე დიდ ინტერესს იწვევს. გვხვდება ბარის, შუა და მაღალმთის ცხოველთა სახეობები. ტყეში მრავლადაა მტაცებლები: მგელი, მურა დათვი, მელა, ტურა, მაჩვი, წავი (იშვიათია), თეთრყელა კვერნა (იშვიათია), ყვითელყელა კვერნა (ძვირფასი სარეწაო ობიექტია), მემინდვრია, თაგვი და სხვ., წვრილჩლიქოსნები - გარეული ღორი, შველი და არჩვი იშვიათია; კურდღლისნაირებიდან - კურდღელი; მწერისჭამიებიდან - ევროპული ზღარბი, ევროპული თხუნელა, გრძელკუდა კბილთეთრა და სხვ. აჭარაში **ფრინველებს** 118 სახეობაა წარმოდგენილი. მაღალ მთებში ბინადრობს კასპიური შურთხი, მთის არწივი, ორბი, შევარდენი და სხვ. ტყისა და ბარის ზონაში ფართოდაა გავრცელებული კაკაბი, კავკასიური როჭო, მაქცია, ხეკაკუნა, ბელურასნაირთა 64 სახეობა (ტოროლა, მერცხალი, ბულბული, შაშვი, ჩხართვი, ბელურა, მოლოლური, ჩხიკვი, ყვავი, ყორანი და სხვ.). ბევრია ტყის ქათამი, მწყერი, ყურყუმელა, იხვი, თოლია, ყანჩა, ოფოფი და სხვ.

აჭარის მიმდებარე ზღვის ზოლში, მედუზების და მოლუსკების გარდა, გვხვდება 80-მდე ჯიშის სარეწაო **თევზი**. აღსანიშნავია კოლხური და ატლანტური ზუთხი, ფორეჯი, შავი ზღვის ორაგული, მრავლადაა სკუმბრია, ხმელთაშუა ზღვიდან შემოსული სტავრიდა, კეფალი, ზვიგენი, ბარაბული, კამბალა და სხვ.

თევზეულით განთქმულია აჭარის თითქმის ყველა მდინარე და ტბა, სადაც გვხვდება კალმახი, კოლხური ხრამულა, კოლხური ტობი, კოლხური შამაია, მურწა, წვერა, ჭანარი, ღორჯო, ლოქო და სხვ.

აჭარაში არსებული ტყის მობინადრეებიდან საქართველოს "წითელ წიგნშია" შეტანილი ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების ისეთი იშვიათი სახეობები, როგორიცაა ამიერკავკასიის (სირიული) დათვი, შევარდენი, გრძელი მცურავი, კავკასიური გველგესლა, აჭარის ხვლიკი (ენდემია), კავკასიური ჯვრიანა, კავკასიური სალამანდრა და სხვ. აქ ფართოდაა გავრცელებული ამფიბიები - გომბეშო, ტბის ბაყაყი, ვასაკა, ტრიტონი და სხვ.

აჭარის ტერიტორია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. გვხვდება ფერადი ლითონების, ქიმიური ნედლეულის, სამშენებლო მასალების, ფერადი და სანახელაო ქვების საბადოები და გამოვლინებები, მინერალური და სასმელი, აგრეთვე თერმული წყლები, სახეზეა ნავთობისა და გაზის საბადოების გამოვლენის პერსპექტივები.

ლითონური მადნები წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი სპილენძ-პოლიმეტალური საბადოებით (ვარაზა, ობოლო-კანლი-კაია, წყალბოკელა, ვერხნალა, ველიბური, ვაიო, მერისი) და მადანგამოვლინებებით (გოდერძის წყალი, საყენია, წყალწითელა, საპონა, საჯოგია, კირნათი, ჭარნალი, ჩაქვისთავი, ხალასთავი და სხვ.), აღნიშნულია კეთილშობილი და იშვიათი ელემენტების სამრეწველო შემცველობები.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ჩაქვისწყალ-ჩოლოქის მონაკვეთზე, წარმოდგენილია მაგნეტიტური ქვიშები.

ქიმიური ნედლეულიდან პირველ რიგში აღსანიშნავია გოგირდის კოლჩედანისა და ალუნიტის მრავალრიცხოვანი გამოვლინებები, რომლებიც ფიქსირებულია სოფ.წაბლანას. მთა ღომასა და მდ.დიდღელეს მიდამოებში. ალუნიტი წარმოადგენს ძვირფას ნედლეულს ალუმინის მისაღებადაც.

აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა თვისებების მთის ქანები, რომელთა გამოყენება შეიძლება მშენებლობაში. ესენია ვულკანოგენური, მაგმური და დანალექი ქანები: ანდეზიტები, ბაზალტები, გაბრო, დიორიტი, სიენიტი, დაციტი და სხვ.

აჭარაში გამოვლენილია ფერადი, საიუველირო და სანაკეთებო ქვების საბადოები. არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე აღმოჩენილია იასპის, ობალის, ქალცედონის, გაქვავებული ხისა და სანაკეთებო დოლერიტის გამოვლინებები.

კურორტ ქობულეთის მიდამოებში ცნობილია ტორფის საბადო. ტორფის შედარებით მცირე მარაგია სოფ. გონიოს მიდამოებში. მხარე მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებით. მინერალური წყლების გამოსავლები გვხვდება როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთიან აჭარაში. ისინი უძველესი დროიდან იყო ცნობილი და გამოიყენებოდა როგორც სასმელად, ისე სამკურნალოდ. მინერალური წყლების მრავალრიცხოვანი გამოსავლები ცნობილია მთიან აჭარაში (დანისძარაულის, დიოკნისის, ხიხაძირის, კოკოტაურის, უჩამბას, ნამონასტრევის, ბუგაურის მიდამოები). წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატ-სულფიდურია, ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. სოფლების ცხმორისის, შუბანისა და თომაშენის მიდამოებში ცნობილია გოგირდწყალბადიანი თერმული წყლები, რომელთა ტემპერატურა 30°ს აღწევს. მაღალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება მახინჯაურის თერმული წყლებიც.

ქობულეთის რაიონში დიდი რაოდენობით მოიპოვება მაღალხარისხოვანი ცეცხლგამძლე, კარგი პლასტიკური თვისებების მქონე თიხები (ცეცხლაური, ოჩხამური და ა.შ.).

§ 2. ბალეოგეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარება ჰოლოცენში აჭარის „ქვეყანასა“ და მიმდებარე მხარეებში

გამყინვარების შემდგომ პერიოდში (ჰოლოცენში[1]) კვლავ აღინიშნებოდა გლობალური მასშტაბების დროებითი კლიმატური რყევები (აცივება ან დათბობა), რაც, არცთუ იშვიათად, დემოგრაფიული ცვლილებების, მოსახლეობის მოძრაობა-გადაადგილების მიზეზი ხდებოდა. ძვ.წ. XII ათასწლეულის შემდეგ ფიქსირებულია კლიმატური რყევის რამდენიმე მონაცვლეობა (აცივება ან დათბობა). ბუნებრივია, ეს მოვლენები ამიერკავკასიის ზონაშიც ვითარდებოდა და გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის განსახლების არეალზე, აუმჯობესებდა ან აუარესებდა ადამიანის საბინადრო პირობებს, ნაწილობრივ ცვლიდა, ზოგჯერ საგრძნობლადაც, ბუნებრივ გარემოს.

ჰოლოცენს წინ უსწრებდა მრავალჯერადი გამყინვარებისა და გამყინვარებათაშორისო პერიოდები. იმის გამო, რომ აჭარის არქეოლოგიური შესწავლა გვიან დაიწყო, თანაც კოლხეთის აკუმულაციურ ველზე ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი დელუვიური ფენითაა გადახურული, ჩვენ არქეოლოგიური ძეგლები მხოლოდ მთისწინა და მთის ზოლში გვაქვს ფიქსირებული.

კლიმატურმა რყევებმა ჰოლოცენში აჭარის ტერიტორიაზეც გარკვეული გეომორფოლოგიური და დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვია.[2] ვითარების უფრო ფართო არეალზე შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამგვარი პროცესები მთელი კოლხეთის აკუმულაციური ველის ტერიტორიაზეც განვითარდა და უფრო ფართო არეალსაც მოედო.

ეს მხარე გეოგრაფიულად „ჩაკეტილი“ ტერიტორიაა, რომელსაც სამხრეთიდან ჭანეთის მთების ჩრდილო მონაკვეთი, აღმოსავლეთიდან აჭარა-იმერეთის მთები, ჩრდილოეთიდან მდ.ჩოლოქისა და მდ.ნატანების წყალგამყოფი ბორცვების მწკრივი, ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვა შემოსაზღვრავს.[3] ეს მხარე ადრენეოლითიდან თუ გვიანმეზოლითიდან ჩანს ათვისებული[4] (იხ. აქვე, თავი II). ისე კი უნდა ითქვას, რომ ამგვარი ბუნებრივი პირობების მქონე მხარე გაცილებით ადრე, ძველი ქვის ხანიდანვე უნდა ყოფილიყო დასახლებული (ათვისებული), განსაკუთრებით გამყინვარებათაშორისო პერიოდებში, როცა თბილი ჰავის პირობებში აუცილებელი არ იყო ადამიანი გამოქვაბულებს და ეხებს შეფარებოდა.[5]

აჭარის ბარის ზღვისპირა ზოლი უშუალოდ ებჯინება შუაბრინჯაოს ხანაში

---

[1] ჰოლოცენად იწოდება პერიოდი, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების შემდგომ დადგა და დღემდე გრძელდება. ეს არის თანამედროვე გეოლოგიური ეპოქა, რომელიც ძვ.წ. XII ათასწლეულიდან იწყება და დღემდე გრძელდება.

[2] Хахутайшвили Д.А. Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху Голоцена. - Кавказско-ближневосточный сборник, VII, Тбилиси, 1984, с.146-151.

[3] შდრ. [illegible] „ქობულეთის ქვეყნის“ ისტორიული გეოგრაფიიდან. - ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1903, №3, გვ. 213.

[4] [illegible] სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1977.

[5] აჭარის მთიანეთში ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდგომ, მართლაც, აღმოჩნდა ქვედა ბალეოლითური მასალა (ა.კ.).

წარმოქმნილ ახალშავზღვურ ტერასას.[6] ასეთივე სურათს ვადასტურებთ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და საერთოდ შავიზღვისპირეთის მთელ პერიმეტრზე, სადაც კი მსგავსი გეომორფოლოგიური პირობები არსებობდა.

არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ აჭარის ზღვისპირა აკუმულაციური ზოლი ჰოლოცენში დემოგრაფიული არასტაბილურობით ხასიათდებოდა.[7] უნდა ითქვას, რომ იგივე სურათი შეინიშნება კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ზონის სხვა უბნებზედაც. კერძოდ, აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლი, რომელიც უშუალოდ ებჯინება ახალ-შავზღვურ ტერასას, დასახლებული ჩანს ადრებრინჯაოს ხანაში, თითქმის უკაცრიელია შუაბრინჯაოში და კვლავ ათვისებულია გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდანვე.[8]

ასეთივე ვითარებას ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში. მდ. მტკვრის მიდევნებით გაშლილ ველებზე, სადაც ფაქტიურად არ გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები,[9] მაგრამ იგი ინტენსიურადაა ათვისებული ადრე[10] - და გვიან ბრინჯაოს ხანაში.[11] შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების უქონლობის რამდენადმე დამაჯერებელი და სრული ახსნა ჯერჯე-რობით არ გაგვაჩნია, თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ „III ათასწლეულის მეორე ნახევარში მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდის. თანდათანობით იცვლება მეურნეობის ხასიათი. იზრდება მესაქონლეობის როლი, განსაკუთრებით მეცხვარეობისა. მთისწინა და მთის ზოლს უფრო ინტენსიურად ითვისებენ, ბარში მოსახლეობა თანდათანობით თხელდება. ძველი, მტკვარ-არაქსის დროინდელი ნასახლარი ადგილები მიტოვებულია".[12] აქაც, ისევე როგორც კოლხეთის ზღვისპირეთში, ცხოვრება კვლავ აღორძინებულია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდანვე. ეს არის რეალური ვითარების კონსტატაცია და მას დამაჯერებელი ახსნა არ გააჩნია.

დემოგრაფიული ვითარება, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, განსაკუთრებით მკაფიოდაა ასახული აჭარის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიურ სიტუაციაში, იმ პოკლენებში, რომელთაც ამ რეგიონის და საერთოდ კოლხეთის ზღვისპირა აკუმულაციური ველის პალეოგრაფიულმა[13] შესწავლამ ახადა ფარდა.[14]

უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. XII ათასწლეულში დამთავრდა, კერძოდ, ჰოლოცენის დასაწყისში, მსოფლიო ოკეანის, მათ შორის შავი ზღვის დონემ თანამედროვე ნიშნულამდე აიწია. დადგა უკანასკნელ გამყინვარებათაშორისი პერიოდი, რომელიც დღემდე გრძელდება. მანამდე კი, ე.ი. გამყინვარების პერიოდში,

---

[6] Хахутаишвили Д.А. Природа и человек ...с.146-151.

[7] ნ. სახუტაშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1986, გვ. 10-12; Хахутайшвили Д.А. Природа и человек... с.146 и сл.

[8] Хахутаишвили Д.А. Природа и человек... с.148 и сл.

[9] ო. ჯაფარიძე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 201; მისივე, საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბილისი, 1991, გვ. 104.

[10] ტ. ჩუბინაშვილი, ადრეული ბრინჯაოს კულტურა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 151 და შემ.

[11] ბ. გობეჯიშვილი, გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, იქვე. გვ. 295 და შემ.

[12] დ. მუსხელიშვილი, ბ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. - საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1960, გვ. 189-192; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 201; მისივე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 135, 191-192 და ა.შ.

[13] პალეოგრაფია - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირზე არსებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს წარსულ გეოლოგიურ ეპოქებში.

[14] Джанелидзе Ч.П. Палеогеографія в Грузии голоцене, Тбилиси, 1980.

მსოფლიო ოკეანის დონე 130 მეტრამდე უფრო დაბლა იყო, ვიდრე დღეს არის, ხოლო შავი ზღვა დახურულ აუზს წარმოადგენდა, რადგან ბოსფორის სრუტეში ფარვატერის სიღრმე 27-35 მეტრს არ აღემატებოდა. ამ დროს ზღვისპირა შელფიც[15] საკმაოდ იყო გაშიშვლებული. გარდა ხანგრძლივი კლიმატური ძვრებისა, რასაც გამყინვარებისა და გამყინვარებათაშორისი პერიოდების მონაცვლეობა მოყვებოდა, ხდებოდა პერიოდშიდა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, დროებითი კლიმატური რყევები - ტემპერატურის გლობალური მასშტაბით აწევა ან დაწევა. მიუხედავად ამისა, მათ საგრძნობი გავლენის მოხდენა შეეძლოთ, და ახდენდნენ კიდეც, ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე - აუმჯობესებდნენ ან აუარესებდნენ მას.

გეომორფოლოგებმა დაადგინეს, რომ ენეოლითზე ადრეული ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლების მიკვლევა კოლხეთის აკუმულაციურ დაბლობზე, მათ შორის აჭარის ზღვისპირა ზოლში მეტად ძნელია, რადგან ეს ძეგლები, როგორც ვთქვით, გადახურულია დანალექი შრით, რომელიც წარმოიქმნა პერიოდშიდა ზღვური ტრანსგრესიების პერიოდებში, ძვ.წ. IX ათასწლეულის მომდევნო ხანაში.[16]

ადრეჰოლოცენური საერთო დათბობის შემდეგ კვლავ აღინიშნა მცირე სიმძლავრის კლიმატური რყევები - აცივება ან დათბობა, რაც თავის მხრივ ზღვური ტრანსგრესიისა თუ რეგრესიის, ანუ ზღვის დონის მცირედი აწევისა და დაწევის მიზეზი ხდებოდა. ჰოლოცენში რამდენიმე ასეთი კლიმატური რყევა და შესაბამისად ზღვის დონის აწევა-დაწევა დაფიქსირდა.[17]

ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისისათვის აღინიშნება ერთი ასეთი დროებითი კლიმატური რყევა - ტემპერატურის დაბლა დაწევა (აცივება), რაც დასაბამს აძლევს ზღვურ რეგრესიას: ოკეანეში წყლის ზედაპირის დონე 3-5 მეტრით დაბლა ეშვება და შიშვლდება ზღვისპირა შელფის გარკვეული ნაწილი.[18] ეს იმისი შედეგი იყო, რომ აორთქლებული წყალი აცივების გამო ზღვებსა და ოკეანეებს უკან კი აღარ უბრუნდებოდა, არამედ იგი თოვლისა და ყინულის სახით ხმელეთზე გროვდებოდა და ტემპერატურის შემდგომ დაწევას, მის სტაბილურობას განაპირობებდა.

ჰოლოცენის ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად ადრებრინჯაოს ხანას შეესაბამება.[19] ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მას ტემპერატურის ახალი აწევა ენაცვლება. იწყება ახალი ტრანსგრესია (წყლის დონის აწევა), ზღვის დონე 3-5 მეტრით მაღლდება და კვლავ ფარავს შელფს, აჭაობებს აკუმულაციურ ველებს, გამოუსადეგარს ხდის მას საცხოვრებლად და მეურნეობის საწარმოებლად. ბუნებრივია, ადამიანი ტოვებს მას და ზეგნებისაკენ ინაცვლებს. ასეთი პროცესების ილუსტრაციაა ადრებრინჯაოს ხანის დასახლება ადგილ ისპანში, დღევანდელი ქობულეთის აღმოსავლეთით. აქ ძველი დასახლების ნანგრევები ტორფის ორმეტრიანი ფენის ქვეშ არის ჩამარხული. როგორც გამოირკვა, მოსახლეობას იგი მიუტოვებია ახალშავზღვური ტრანსგრესიის შედეგად, რაც, როგორც დასტურდება, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე

---

[15] ზღვისპირა შელფი - კონტინენტის წყალქვეშა გაგრძელება 200 მეტრამდე.

[16] ჭ. ჯანელიძე, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი. - სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი. მოხსენებები. თბილისი, 1973, გვ. 11-12. წინამდებარე ნარკვევში ჩვენ არ ვიძლევით კოლხეთის დაბლობის ჰოლოცენის პერიოდის გეომორფოლოგიური ძვრებისა და არქეოლოგიურ სიტუაციაზე მისი მისადაგების ისტორიას. პირველი ასეთი ცდა, რამდენადაც მე ვიცი, ბ.ა.კუფტინმა განახორციელა. იხ.: Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, сс. 278-287.

[17] Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии в голоцене, с. 36 и сл.

[18] იქვე. გვ. 42 და შმდ.

[19] Хахутайшвили Д.А. Природа и человек..., с. 148.

ნახევრიდან განვითარებულა.[20]

ამ მოვლენის საუკეთესო ასახვაა ის არქეოლოგიური სიტუაცია, როგორიც აჭარის ზღვისპირა ზოლის აკუმულაციურ უბანზეა დადასტურებული. ქობულეთ-ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის ქვედა არქეოლოგიური ჰორიზონტი, რომელიც სილნარ ნიადაგზე მდგარი ჯარგვლების ნანგრევებითაა წარმოდგენილი, ძვ.წ. 3200 წლით თარიღდება, ზედა ჰორიზონტი კი, სადაც ხიმინჯებზე მდგარ პლატფორმებზე ნაგები ჯარგვალების ნაშთებია დაცული, ძვ.წ. 2600 წელს მიეკუთვნება. ძვ.წ. 1680 წლით თარიღდება ამ ნამოსახლარის გადამხური ტორფის ქვედა დონეზე აღებული მერქანი. მართალია, მითითებული თარიღები მიღებულია მერქნის რადიოკარბონული ანალიზით და კორექტირებულია რ.შ.კლარკის კალიბრაციული მრუდის მიხედვით,[21] მაგრამ იგი სრულ თანხმობაშია იმ არქეოლოგიურ მასალასთან, რაც ნამოსახლარის გათხრების დროს იყო მოპოვებული. ეს განსაკუთრებით შეეხება ზედა ჰორიზონტის არქეოლოგიურ მონაპოვარს (ყუამილიანი ცულების ყალიბები, ამგვარივე ცულის ხის მოდელი, კაჟის ისრის წვერები, საბერველების საქშენი მილები, მინიატურული ტიგელები და ა.შ.). ამგვარად, კოლხეთის დაბლობის თანამედროვე ტორფების წარმოქმნის დასაწყისი ქრონოლოგიურად ემთხვევა ახალშავზღვური ტრანსგრესიის დამამთავრებელ ფაზას (ძვ.წ. XX-XVII სს). მისი პიკური სტადია კი დაახლოებით 500 წელს მოიცავდა - ძვ.წ. XXIII ს XVII-XVI ს-მდე. სწორედ ამ დროს ფორმდება ახალშავზღვური ტერასაც (დიუნა), რომლის შესატყვისებიც ყველა კონტინენტზეა დადასტურებული.[22]

ახალშავზღვური ტერასა (დიუნა) იმ კლიმატური რყევის შედეგად წარმოიქმნა, რომელმაც ახალშავზღვური ტრანსგრესია მოგვცა: ტემპერატურის აწევამ გლობალური მასშტაბით, გამოიწვია ყინულარების ინტენსიური დნობა, მსოფლიო ოკეანეს დაუბრუნდა წყლის დიდი მასები, რასაც შედეგად მოყვა წყლის დონის საერთო აწევა, ველის მდინარეთა ბა'ხისის (კალაბოტის ძირის) ამაღლება და ზღვისპირა აკუმულაციური დაბლობების დაჭაობება.[23]

ამავე დროს მეზობელი მტკვრისპირეთის დაბლობები, რომელიც ადრებრინჯაოს ხანის რეგრესიის (აცივების) პერიოდში მჭიდროდ იყო დასახლებული, ახალშავზღვური ტრანსგრესიის ხანაში „უდაბნოდ“ გამოიყურება. ამისი ერთი მთავარი მიზეზი გლობალური დათბობა უნდა ყოფილიყო, რომლის შედეგადაც ზღვისპირა აკუმულაციური დაბლობები ჭაობებად იქცა და გაუკაცრიელდა, ხოლო კონტინენტური ჰავის მქონე ზონების დაბლობები ხრიოკ უდაბნოებად თუ ნახევარუდაბნოებად გარდაისახა და გაუკაცრიელდა. კლიმატის ამგვარმა ცვლამ, ბუნებრივია, გამოიწვია იბერიის ბარში მიწათმოქმედების მოშლა, მისი კრიზისი და მომთაბარე მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის მთავარ სამეურნეო დარგად გადაქცევა.[24]

ძვ.წ. XVI საუკუნიდან აჭარის ტერიტორია კვლავ სრულადაა დასახლებული, ე.ი. ამ დროს ზღვისპირა ზოლს მოსახლეობა კვლავ დაუბრუნდა. ამისი დასტურია ის არქეოლოგიური ვითარება, როგორსაც აქ დღეს ვადასტურებთ. კერძოდ, ძვ.წ. XVI საუკუნით

---

[20] იქვე. გვ. 148.

[21] **დ. ხახუტაიშვილი**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, თბილისი, 1979, გვ. 7.

[22] **ჭ. ჯანელიძე**, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, გვ. 11-12; Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии в голоцене, с. 44 и сл.

[23] Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии..., с. 44-46.

[24] შდრ. **ო. ჯაფარიძე**, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში. გვ. 201; მისივე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 135.

თარიღდება ნამჭედურის ნამოსახლარის ქვედა, VI ფენა.[25] ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან იწყება ახალშავზღვური ტერასის სამეურნეო ათვისება, სადაც, როგორც ჩანს, მეტალურგიული წარმოებისათვის მაგნეტიტური სილების მობოვება ხდებოდა.[26] ამგვარ დიუნურ დასახლებებს, მათ ნაკვალევს ჩვენ ვბოულობთ შავი ზღვის სანაპირო ხაზის მთელ ბერიმეტრზე, აჭარაშიც - გონიოსთან, ჩაქვთან, ბობოყვათთან და ქობულეთთან.

ბუნებრივია, ამ დროს კვლავ დასახლებულია მთა და მთისწინა ზოლი. თუ ამდროინდელ დემოგრაფიულ ვითარებას ბალეოკლიმატურ მოვლენათა შუქზე განვიხილავთ, ვნახავთ უდავო კავშირს კლიმატურ ძვრებსა და კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლის დემოგრაფიულ „გაცოცხლებას" შორის. სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულს მთავრდება ახალშავზღვური ტრანსგრესიის პიკური პერიოდი, იწყება საყოველთაო აცივება და ვითარდება თანმხლები მოვლენა - ზღვის დონის თანდათანობითი დაწევა. შედეგი: მდინარეთა ეროზიული ბაზისის 1-3 მეტრით დადაბლება, მდინარეთა კალაპოტების სადრენაჟო არხებად ქცევა[27], ჭაობების დაშრობა და მათი გადაქცევა სამეურნეო სავარგულებად. ეს არის ე.წ. ფანაგორიული ზღვური რეგრესიის საწყისი საფეხური. საერთოდ კი, ფანაგორიული რეგრესია ძვ.წ. III-II საუკუნეებამდე გრძელდებოდა.[28] ეს დრო კოლხეთის ველის აკუმულაციური ზოლის სამეურნეო და კულტურული აყვავების, ქვეყნის საერთო დაწინაურების, ლითონების წარმოების არნახული გაფართოების, პროტოქალაქური და ქალაქური კულტურის, კლასებისა და სახელმწიფოს ფორმირების ხანა იყო. ეს ტერიტორია წარმოადგენდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის მატარებელი მოსახლეობის საბინადროს, რომელიც ძველმა ბერძნებმა ასახეს თქმულებაში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ. ამ სურათის წარმოსადგენად მდიდარ და მრავალისმეტყველ მონაცემებს იძლევა აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, ის არქეოლოგიური ვითარება, რაც აქ არის დადასტურებული როგორც ბარში, ისე მთისწინეთსა და მთაში. საყოველთაო აცივებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მთაში ვითარება რამდენადმე უნდა შეცვლილიყო გაუარესებისაკენ, რასაც მოსახლეობის ბარისაკენ ლტოლვა უნდა გამოეწვია. მთა ყოველთვის „იცილებდა" მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის გამოკვებაც მას არ შეეძლო და ბარისაკენ „გზავნიდა". როგორც ჩანს, ამ დროს დაიწყო ქართის დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობის ინფილტრაცია მცირე კავკასიონის წყალგამყოფი ქედის დასავლეთ კალთების ხეობათა ჩადენებით. ასე გაჩნდა აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ის მოსახლეობა, რომელიც, როგორც ჩანს, ქართის დიალექტზე მეტყველებდა.

ფანაგორიული რეგრესიის (აცივების) დასრულება, რაც, ბუნებრივია, ახალ კლიმატურ რყევასთან იყო პირდაპირ კავშირში, ტრაგიკული აღმოჩნდა კოლხეთის აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლის მოსახლეობისათვის, რომელიც ბუნებისაგან ასე განებივრებული იყო. დათბობის გამო დაიწყო ახალი ტრანსგრესია, ზღვის დონემ მაღლა აიწია და თანდათანობით თანამედროვე ნიშნულს მიაღწია.[29] ძვ.წ. II საუკუნისათვის უკვე წყლით დაიფარა ზღვის შელფის გარკვეული ნაწილი, კვლავ დაჭაობდა სამეურნეო სავარგულები, რითაც ,,ოიშალა ადრეკლასობრივი ქალაქების არსებობის ერთი ძირითადი საფუძველთაგანი - სოფლის

[25] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985, с. 19-20.

[26] დ. ხახუტაიშვილი. კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I, თბილისი, 1964, გვ. 52-53.

[27] Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии..., с. 52 и сл.

[28] იქვე, გვ. 58 და შმდ.

[29] Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии в голоцене, с. 56 и сл.

მეურნეობა. ზღვის შელფის წყლით დაფარულ ზოგიერთ მონაკვეთზე ფანაგორიული რეგრესიის ხანაში გაშენებული ქალაქების შესაბამისი უბნები წყლის ქვეშ აღმოჩნდა (მაგ. დიოსკურია, ფასისი?). ეს ახალი ტრანსგრესია, რომელიც ჩვენი რეგიონისათვის ლაზური ტრანსგრესიის სახელით მოიხსენიება, დღემდე გრძელდება და ჩვენ ქვეყანას მრავალ ბრობლემას უქმნის კოლხეთის აკუმულაციური ველის სამეურნეო ათვისების გზაზე.

აჭარის ზღვისპირა ზოლში ლაზური ტრანსგრესიის დადგომისთანავე არსებობას წყვეტს ის ანონიმური ადრეკლასობრივი ქალაქი თუ ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში არსებობდა.[30] სწორედ ამ დროს დაჭაობდა ქალაქის გარშემო გაშლილი სამეურნეო სავარგულები, ამაღლდა მდინარეთა ეროზიული ბაზისი, გაჩნდა ჭაობების თანმხლები ავადმყოფობანი და ა.შ. ამ ფაქტორებმა, ბოლოსა და ბოლოს მოსახლეობის ზეგნებისა და მთისკენ მიგრაცია გამოიწვია, რაც აისახა კიდეც იმ არქეოლოგიურ ვითარებაზე, როგორიც ამ დროის ძეგლების მიხედვით გვაქვს წარმოდგენილი როგორც მთელი კოლხეთის, ისე აჭარის აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლში. როგორც ირკვევა, სწორედ ამ დროს იწყებს სწრაფ დაწინაურებას ბეტრა-ციხისძირი, აგრეთვე გონიო-აფსაროსი. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, რამდენადმე შეიცვალა ვითარება მთისწინეთშიც და მთაში, საითკენაც დაიწყო მოსახლეობის უკუმიგრაცია. ზღვისპირა ზოლიდან დაძრული მოსახლეობის ძირითადი მასა, როგორც ჩანს, მაინც იქვე, მთისწინა ზოლს (ზეგანს) შეეფარა, მოახდინა მისი დემოგრაფიული „გადატვირთვა“, რაც, ბუნებრივია, ტექნიკური პროგრესის, განსაკუთრებით მელიორაციის შემდგომ დაწინაურებასაც უწყობდა ხელს.

მცირე კავკასიონის აღმოსავლეთით, მტკვრის ველის მოსახლეობამ შიდა და ქვემო ქართლის, აგრეთვე კახეთის ზონაში ლაზური ტრანსგრესიის შესატყვის დათბობას, რაც ძვ.წ. II საუკუნიდან დაიწყო, როგორც ჩანს, მსხვილი საირიგაციო სისტემების აგებით „შეებრძოლა“ და რამდენადმე საგრძნობი მიგრაციული პროცესებიც აიცილა, რაზედაც ზოგიერთი მინიშნება მოგვიანო წერილობით წყაროებშიც მოიძებნება,[31] რომ არაფერი ვთქვათ მდიდარ არქეოლოგიურ მონაცემებზე.

---

[30] ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბილისი, 1971.

[31] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.-ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1960, გვ. 81.

§3. აჭარის ეტიმოლოგიისათვის

სახელწოდება „აჭარის“ ეტიმოლოგიას არაერთი მკვლევარი შეეხო, მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ გარკვეული არაა. აჭარა პირველად VII ს. სომეხი მწერლის ანანია შირაკაცის თხზულებაშია მოხსენიებული.[1] შემდეგ იგი გვხვდება სტეფანე მტბევართან (IX-X ს.ს.),[2] კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს.),[3] ლეონტი მროველთან (XI ს.)[4], დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან,[5] „მატიანე ქართლისა“-ში (XI ს.),[6] ტბელ აბუსერისძის თხზულებაში (XIII ს.)[7] და სხვ.

სახელწოდება „**აჭარა**“-ს სხვადასხვა ვარიაციული სახესხვაობით (დიდაჭარა, აჭარისწყალი, აჭარისაღმართი, აჭი, აჭყვისთავი და სხვ.) ამ რეგიონის არაერთი ადგილი ატარებს. მის კავშირს **ჭარ** და **ჭან** ფუძესთან ბევრი მკვლევარი აღიარებს. ამდენად, სახელწოდება აჭარა (მისი ფუძე) გავრცელებით საქართველოს ფარგლებსაც კი სცილდება (შდრ. ჭანეთი, ჭარული, ჭარი და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც ამ სახელის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით იჩენდნენ.[8]

დ. ბაქრაძე კარგად იცნობდა წყაროების გარკვეულ ნუსხას, სადაც მოხსენიებული იყო სახელწოდება „აჭარა“. კერძოდ, იგი წერდა: ეს მხარე ქართულ მატიანეებსა და მოსე ხორენაცთანაც ცნობილია აჭარის სახელწოდებით. ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ენიშვნელობის გამოცნობას ავტორი არ კისრულობს. ძველი ნაწყვეტი ცნობების მიხედვით დ.ბაქრაძე გულისხმობდა, რომ აჭარა ძველთაგანვე ზემო ქართლთან ერთად ერთ ბედქვეშ იყო. საქართველოს პირველი მეფის ფარნაოზის დროს (302-237 წ. ქ.წ.) აჭარა სამცხესთან ერთად საქართველოს მეექვსე საერისთავოს ნაწილს შეადგენდა. იგი, ალბათ, ქრისტიანობაზე მოაქცია ანდრია მოციქულმა სამცხესთან ერთად. IX საუკუნის მიწურულს ქართული ქრონიკა აჭარას, ისე როგორც მის მოსაზღვრე შავშეთს, ადგილ-ადგილ მჭიდროდ დასახლებულად წარმოგვიდგენს. ბიზანტიელი მწერლები მას იცნობენ „ატზარი“-ს (“Атзари”) სახელით და მეათე საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით, შეადგენდა მისთვის ცნობილი იბერიის პრეფექტურიდან ანუ ოლქიდან ერთს.[9]

აჭარის ეტიმოლოგიის შესახებ ხალხური ვერსიებიც არსებობს, მაგრამ ყოველი მათგანი გულუბრყვილოა და სიტყვის მარტივ გააზრებას ემყარება.

ტობონიმ **აჭარის** მეცნიერული ახსნა სცადეს შ.ჯანაშვილმა, ნ.ადონცმა, ნ.მარმა, ს.ჯანაშიამ, ბ.ინგოროყვამ, ი.სახარულიძემ და სხვ.

---

[1] **Анания Ширакаци**, Армянская география VII в. СПб., 1878, с. 39.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1903, გვ. 177.

[3] გეორგიკა, IV, თბილისი, 1985, გვ. 276-289.

[4] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 24. საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველი იქვე (გვ. 39) მრავალჯერ მოიხსენიებს სახელწოდებას „დიდ-აჭარა“. ამ სახელით ამეაშად ზემო აჭარაში (ხულოს რ.) ცნობილია ერთ-ერთი სოფელი.

[5] იქვე, გვ. 319.

[6] იქვე, გვ. 251.

[7] **ტბელ აბუსერისძე**, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981, გვ. 10.

[8] **დ. ბაქრაძე**, „აჭარის“ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, გვ. 510.

[9] **Бакрадзе Дм.**, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1978, с. 74-75.

მ.ჯანაშვილი თვლიდა, რომ **აჭარა ჭა** ფორმასთანაა კავშირში და წყაროს, წყლის თუ საკუთრივ ჭის სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს: ჭა-ა-ჭარი-აჭარა.[10] 1913 წელს კი იგი სახელწოდება **აჭარას ჭარ** ფუძიან სახელებში განიხილავს და ჭაობიან ადგილს უკავშირებს.[11]

ნ.ადონცმა სახელწოდება აჭარა ეგრისის სახელს დაუკავშირა. იგი თვლიდა, რომ **აჭარა ეგერ//ეგერია**-ს ვერსიფიკაციულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.[12]

ნ.მარის აზრით, **აჭი** და **აჭარა** აფხაზური წარმომავლობის ტერმინებია. სახელწოდებაში **აჭარა ა** აფხაზური ბრეფიქსია, ხოლო **რა** ასევე აფხაზური ბრავლობითი რიცხვის გამომხატველი.[13] რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მცდარია, რადგან აღნიშნული სახელწოდებები არ არის კავშირში აფხაზურთან.

აჭარის ეტიმოლოგიას შეეხო ს.ჯანაშიაც. იგი წერდა: „მდ. აჭყვას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს (სოფელია, ზემო და ქვემო): აქედან არის ნაწარმოები აჭ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას-აჭარის ქედი-და თვით ოლქსაც“... [14] ამ თვალსაზრისის მიხედვით **აჭარა** მიღებულია **აჭ-ზე არა** სუფიქსის დართვით. თუმცა მეცნიერი სახელწოდება **აჭარა**-ს მნიშვნელობასა და გავრცელების არეალს ცალკე კვლევის საგნად მიიჩნევდა.[15]

ი.სიხარულიძის აზრით, **აჭი** და **აჭარა** წარმოშობით, მართლაც, უკავშირდებიან ერთმანეთს და საერთო ფუძიდან ამოდიან, მაგრამ უკანასკნელი რომ პირველისაგან იყოს ნაწარმოები, მართებული არ ჩანს.[16]

სახელწოდება აჭარის ახსნის ახალი ვერსია წამოაყენა ბ.ინგოროყვამ. მისი აზრით, „სატომო სახელიდან „ჭანი“ ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი: ა) ჭან-ეთი და ბ) ა-ჭან-რა, რომლის სახენაცვალი ფორმაა ა-ჭარა... ეს თავკიდური გრამატიკული ნაწილაკი „ა“... თავისი მნიშვნელობით უდრის გრამატიკულ ნაწილაკს „სა“... ა-ჭან-რა იგივეა, რაც სა-ჭან-რა, სა-ჭან-ო“.[17] სახელწოდებაში **აჭარა** ბ.ინგოროყვას მიერ **ა** ხმოვნის ბრეფიქსად გამოყოფა ი.სიხარულიძეს მართებულად მიაჩნია, მაგრამ მისი აზრით, „ფუძეში სატომო სახელ **ჭ-ან-ის** აღდგენა და **რა** სუფიქსის გამოყოფა სწორი არ არის.“[18] თავის მხრივ იგი აღნიშნული საგეოგრაფიო სახელის ახსნის ასეთ ვერსიას წარმოგვიდგენს: „აჭარა ა-ა სუფიქსურ-ბრეფიქსური წარმოების სახელია. მისი ძირეული მასალაა ჭ- ამავე ძირის სახელებია ჭ-ან-ეთი (წარმოსდგება სატომო სახელისაგან ჭ-ან-ი), ჭ-ალ-ა, ჭ-ალანგარი და სხვ. ყველა მათგანში ჭ წყალს უკავშირდება. აჭარაც ბირველადი ჩანს მდინარისათვის, ხოლო მირქმეული და მეორადია ოლქისათვის.“[19]

შემდეგში, ეხება რა ჭოროხის ეტიმოლოგიას, ი.სიხარულიძე მიუთითებს, რომ **ჭორ** ფუძე

---

[10] Джанашвили М., Абхазия и абхазцы. - ЗКОИРГО, кн. XVI, Тифлис, 1894, с. 2-3.

[11] **ს. ჯანაშვილი**, საინგილო. - ძველი საქართველო, II, ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1913, გვ. 87.

[12] Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Москва , 1908, с. 26.

[13] Марр Н.Я., О языке и истории Абхазов, М.-Л. , 1938, с. 80-81.

[14] **ს. ჯანაშია**, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. -შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 120.

[15] იქვე. გვ. 123.

[16] **ი. სიხარულიძე**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი, 1958, გვ. 143.

[17] **ბ. ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე, მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი, 1954, გვ. 138-139.

[18] **ი. სიხარულიძე**. დასახ. ნაშრ., გვ. 143.

[19] იქვე. გვ. 144.

ჭარ-ის ვარიანტული ფორმითაც გვხვდება (ა-ჭარ-ა, ჭარ-ნალ-ი), ჭარ-ის ნაირსახეობაა ჭალ ფუძეც (შდრ. ჭალა). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში ამ ფუძის პირველი ნაწილი ცალკეცაა დადასტურებული - ა-ჭ-ი.[20]

მოგვიანებით ი.სიხარულიძე აღნიშნავს, რომ „სახელწოდება „ჭარალ"-ის ძირია „ჭარ", რომელიც ხშირად გამოიყოფა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საგეოგრაფიო სახელებში: ა-ჭარ-ა, ჭარ-ნა-ლი და სხვა".[21]

მისი სიტყვით, „აჭარა" „ჭ" ძირად და „არ" სუფიქსად იშლება, ეს ძირი სხვა ფორმითაც არის შემონახული (ა-ჭ-ი)".[22]

ტოპონიმ აჭარის ახსნის განსხვავებული ვერსიები ეკუთვნის შ.ვარშანიძეს, რომელიც თავის ადრინდელ ნაშრომში ამ გეოგრაფიული სახელის წარმოქმნას ჭალას უკავშირებდა.[23] შემდეგში მან უარყო რა ეს ვერსია, სახელწოდება აჭარის წარმოქმნა-ფორმირებაში მთავარი როლი „ჭარ" ფუძეს მიანიჭა და იგი, უმრავლეს შემთხვევაში, მცენარეულ და ფრინველურ სამყაროსთან დააკავშირა. ავტორის აზრით, აჭარა საჭარო ფორმას შეესატყვისება.[24] შ.ვარშანიძის მრავალმხრივი წიაღსვლა „ჭარ" ფუძის ფართო პარალელების ძიებისა და ამ ფუძის მცენარეულ, ცხოველურ და ა.შ. სამყაროსთან დაკავშირების შესახებ მოკლებულია მეცნიერულ საბუთიანობას.[25]

ხ.ახვლედიანის აზრით, ძველად აჭარის სახელი ყოფილა მაჭარა. ამის დასტურად მას მიაჩნია ის, რომ ამ ხეობაში, კერძოდ, ქედაში მევენახეობა ძლიერ განვითარებული ყოფილა და მის შაჭარს თავის დროზე საყოველთაო აღიარება მოუპოვებია.[20] როგორც ვხედავთ, ეს ახსნაც მოკლებულია საფუძველს და სიტყვების უბრალო ფონეტიკურ მსგავსებაზეა აგებული.

სიმონ გოგიტიძე ფიქრობს, რომ აჭარა მიღებული ჭარ-ფუძ-ან, რომელიც საჭარო სახელ-[illegible] ავტორს ასევე მიაჩნია, რომ ურარტულ და ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებული უიტერუხ-ბიძერების სატომო სახელის ფუძე ტერძერ-ზარ წაკითხულ უნდა იქნეს როგორც ჭერ, ჭარ, რომელსაც შემდეგ დაერთო ა-ა პრეფიქს-სუფიქსი და მივიღეთ გეოგრაფიული სახელწოდება აჭარა. ასევე ბიძერები (ბიზარები), ამპრევტები და ზიდრიტები (ძიდრიტები) უნდა იყოს ერთი და იმავე ტომის სხვადასხვა სახელი და სამივე უნდა უკავშირდებოდეს სატომო სახელწოდება ჭარ-ებს და გეოგრაფიულ სახელს აჭარა.[27]

ა.ლორთქიფანიძის აზრით, აჭარა და ჭარ ფუძიანი სახელები უნდა მომდინარეობდეს საწყისისაგან - ჭრა. შინაარსობრივად აჭარა ნიშნავს მთებს შორის გაჭრილ ხევს, ხეობას, კალაპოტს. მეორე მხრივ კი ავტორი თვლის, რომ ჭან ფუძე, რომლისგანაც იწარმოება სახელი ჭანეთი, შეიძლება მიგვითითებდეს ხეობაზე, ტაფობზე, ღრმულზე, როგორც აჭარა. ორივე კი ძირეულად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვებს ჭა, ჭაობი. ამდენად, აჭარა და ჭანეთი ერთი და იმავე ფუძის სახელებადაა მიჩნეული.[28]

---

[20] ა. სიხარულიძე. ჭოროხი. - ჟურნ. „ჭოროხი", 1980, N1, გვ. 76.

[21] ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება... გვ. 47.

[22] იქვე.

[23] შ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი , 1974, გვ. 17.

[24] შ. ვარშანიძე. აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1990, გვ. 14-19.

[25] ვ. შამილიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 514.

[26] ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978, გვ. 80.

[27] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი. - „ჭოროხი", N1, 1996, გვ. 120-130.

[28] ა. ლორთქიფანიძე. ტოპონიმ „აჭარის" ეტიმოლოგიისათვის. - გაზ. „აჭარა", 24. VI. 1995.

მკვლევართა უმეტესობა, როგორც ვნახეთ, სახელწოდებაში „აჭარა“ ა-ა ბრეფიქს-სუფიქსსა და ჭარ ძირეულ მორფემას გამოყოფს და მათ სხვადასხვაგვარ ახსნას გვთავაზობენ. მათგან განსხვავებით ს.ჯანაშიამ (იხ. ზემოთ) წარმომავლობის თვალსაზრისით ერთმანეთს დაუკავშირა სახელწოდებები აჭი და აჭარა. მან გეოგრაფიულ სახელში აჭარა გამოყო ძირეული მორფემა აჭ და სუფიქსი არა (აჭ—არა — აჭარა). არსებითად ს.ჯანაშიასეულ ამ მორფოლოგიურ ანალიზს ემყარება ბოლო დროს აჭარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, აჭ ძირის შემცველია გეოგრაფიული სახელი აჭარა. აჭიდან მომდინარე აჭყვა\აჭყა და აჭარაც ძველი კოლხურის ანუ მეგრულ-ჭანურის კუთვნილება ჩანს: აჭარაში არ(ა) ქართველური სუფიქსია, რომელიც კრებითობა-სიმრავლის ბოლოსართია ძველსავე ქართულში და რთული აღნაგობის ბოლოსართში გვაქვს: ნაძუნარი (—ნაძვებიანი ადგილი, ნაძოვანი...). არ მეგრულ-ჭანურში სადაურობა-წარმომავლობას გამოხატავს: ოდიშარი=ოდიშელი (კაცი) ან ოდიშური (ნივთი), ზუგდიდარი=ზუგდიდელი (ადამიანი) ანუ ზუგდიდური (ნივთი)... ასეა ჭანურშიც და ქართული ენის ზოგ დასავლურ დიალექტში (გურული, იმერული). არ(||ურ) სვანურშიც კრებითობა-მრავლობითობისა და წარმომავლობის აღმნიშვნელია. აქედან გამომდინარე, აჭარა აღნიშნავდა აჭის ხეობის მკვიდრთ, აჭიელებს.

სახელწოდებაში აჭარა არ(ა) უკვე ძველ ქართულშივე სუფიქსად აღარ გაიაზრებოდა, რადგან წარმომავლობას აწარმოებდა მ-ელ ცირკუმფიქსი (მაჭარელი „აჭარელი“). მსგავსი წარმოება ძველ ქართულში ცნობილი იყო: მაგ., ახ. ქართ. ეგვიპტელი-ძვ. ქართ. მეგვიპტელი, ახ. ქართ. არგვეთელი - ძვ.ქართ. მარგველი, ახ. ქართ. ეგრისელი-ძვ. ქართ. მეგრელი (//მარგალი).[29]

ცხადია, რომ „აჭარა“ ერთ-ერთი უძველესი სახელწოდებაა. ამ ონიმში ეჭვს არ უნდა იწვევდეს აჭ(ჭ) ძირეული ნაწილისა და არ(ა) სუფიქსის გამოყოფა, მაგრამ მოცემული ტოპონიმის ზუსტი ეტიმოლოგია დღემდე მაინც არა გვაქვს და იგი სამომავლო კვლევის საგნად რჩება.

[29] ბ. ცანდაძე. კოლხურის ანუ მეგრულ-ჭანურის ერთი ბლასტი დასავლეთ საქართველოს (გურია-აჭარის) ტოპონიმიაში. - გურია, II, თბილისი, 1997, გვ. 159-160.

§4. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები

„აჭარის ისტორიის ნარკვევების“ წინამდებარე I ტომი მოგვითხრობს ამ რეგიონის ისტორიაზე ქვის ხანიდან IV საუკუნემდე.

ახ.წ. IV ს. გარდატეხის ხანაა ქართველთა ისტორიაში. ამ დროიდან ძალუმად იკიდებს ფეხს და თანდათანობით მძლავრობს ახალი სოციალური წყობა - ფეოდალური ურთიერთობანი, რომელიც აჭარაში წამყვანი იყო XIX ს. 80-იანი წლების დადგომამდე, ე.ი. ოსმალთა ბატონობისგან აჭარის განთავისუფლებამდე. მანამდე, რამდენიმე საუკუნით ადრე, ქართული ფეოდალური ურთიერთობანი აჭარასა და საერთოდ სამუსლიმანო საქართველოში ოსმალური ყაიდის ფეოდალური ურთიერთობებით შეიცვალა.

IV საუკუნე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს ქართლის სამეფოში, რომლის ნაწილსაც აჭარა შეადგენდა, ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. ამ რელიგიის პირველი ქადაგება საქართველოში, წერილობითი ტრადიციის მიხედვით, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, სწორედ აჭარიდან დაიწყო. წყაროს ცნობით, იგი „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების... და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმინდისა ღვთისმშობლისასა... წარმოეპართა და გარდაშვილო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი... შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისასა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა ...“[1]

რელიგია ხალხების ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ამდენად, ტრადიციული წარმართული რელიგიური რწმენების ახლით, ქრისტიანულით შეცვლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ძვრების ერთი მთავარი ნიშანთაგანია.

გარდა ამისა, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ლაზთა ერთიან სამეფოდ ფორმდება. როგორც ჩანს, აჭარის ზღვისპირეთი ამ სამეფოს შემადგენლობაში შეეიდა, ხოლო აჭარისწყლის ხეობა ქართლის სამეფოს გამგებლობაში დარჩა.[2]

აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ისტორიის საწყისი პერიოდი, დღევანდელი მონაცემებით, ძველი ქვის ხანაა; ახალი ქვის ხანაში საფუძველი ჩაეყარა მწარმოებლურ მეურნეობას და დაიწყო საზოგადოების ფორმირება, აგრეთვე ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

კავკასია და საქართველო აღიარებულია მსოფლიოს ერთ იმ რეგიონთაგან, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის ფორმირების (ანთროპოგენეზის) პროცესი. გვიანმეზოლითური და აღრენეოლითური ხანის ძეგლები, რომლებიც აჭარის ზღვისპირეთშია გამოვლენილი, მოგვიანო ხანას მიეკუთვნებიან. ეს უკვე მწარმოებლური მეურნეობის საწყისი საფეხური

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, I, თბილისი, 1955, გვ. 30.

[2] შდრ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, თბილისი, 1970, გვ. 548-549, 552-562.

იყო.[3] ნეოლითის განვითარებულ საფეხურზე ისწავლა ადამიანმა ქვის გახვრეტა და საერთოდ სრულყო ქვის იარაღების დამზადების ტექნიკა, მოიშინაურა გარეული ცხოველები და მარცვლეული მცენარეები, მიაგნო თიხის ჭურჭლის დამზადების მარტივ ხერხებს, დაიწყო ქსოვილის დამზადება. ახალი ქვის ხანის (ნეოლითის) განვითარებულ საფეხურზე აჭარის ტერიტორიაზე დადასტურებულია მოსახლეობის და, როგორც ჩანს, შინაური საქონლის სეზონური გადაადგილება ბარიდან მთაში. ამ რეგიონის მთავარი მდინარეების სათავეების ზონაში განლაგებული ალპური საძოვრები და ტყის ზონის სანადირო სავარგულები ქმნიდა იმ ოპტიმალურ გარემოს, რაც მოსახლეობის სეზონური გადაადგილების შესაძლებლობას განაპირობებდა.

ამ პერიოდის ძირითადი მახასიათებლებია საცხოვრებელი სახლი დამხმარე სამეურნეო სათავსოებით, ხელოსნობის ჩანასახი, ცეცხლის გამოყენება კერძის დასამზადებლად, თიხის ჭურჭელი, სათევზაო და სანადირო აღჭურვილობის გამოჩენა, ცხოველთა და ხორბლეულთა მოშინაურება, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, წყალმომარაგების მარტივი სისტემების გამართვა, ნიადაგის დამუშავებისა და მკის მარტივი იარაღების შექმნა, მარცვლეულის გადამუშავების ხერხის მიგნება და ა.შ.[4]

საქართველოს მოსახლეობა, მართალია, ადრე გადავიდა ლითონის, კერძოდ, სპილენძის გამოყენებაზე, მაგრამ ამ პერიოდის ნამოსახლარები და სამაროვნები აჭარის ტერიტორიაზე ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ შემთხვევით მონაპოვარს.[5] თუ მომდევნო, ადრებრინჯაოს ხანაში არსებული ვითარების მიხედვით ვიმსჯელებთ, სპილენძის ფაზაში, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის V—IV ათასწლეულებში, ამ რეგიონის მოსახლეობას ლითონის გამოყენება-დამუშავების შემდგომი დაწინაურების კარგი საფუძველი მოუმზადებია (იხ.ქვემოთ). სპილენძის ხანაში (ენეოლითში) ადამიანმა ჯერ თვითნაბადი ლითონის გამოყენება დაიწყო, შემდეგ კი მადნისაგან ლითონის მიღების მარტივ ტექნოლოგიას მიაგნო. შემდგომ განვითარდა მეთუნეობა, რთვა და ქსოვა, მშენებლობა, გაჩნდა კომპაქტური დასახლებები, ნიადაგის დამუშავების, მოსავლის აღების, დაუნჯებისა და გადამუშავების უფრო სრულქმნილი ხერხები, ვიდრე ეს ნეოლითში იყო. მიუხედავად ამისა, ენეოლითში, განსაკუთრებით მის ადრეულ საფეხურზე ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა ქვის (კაჟი, ობსიდიანი, ბაზალტი) და ძვლის იარაღები.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, **ბრინჯაოს ხანაში** გადადის. ეს პერიოდი აქ დაახლოებით 2 ათასი წელი გრძელდებოდა და როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში მოპოვებული მასალები ადასტურებს, მთელი რიგი სიახლეებით ხასიათდებოდა.

ადრებრინჯაოს ხანა, ბალეოკლიმატური მონაცემების მიხედვით, გლობალური აცივების პერიოდი იყო, რომელსაც თან ზღვური რეგრესია ახლდა. ამ პერიოდის კოლხეთის დაბლობი კი კარგ მშრალ სამეურნეო სავარგულს წარმოადგენდა და კარგადაც იყო დასახლებული, ხოლო ქართველური სამყარო ენობრივად ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული და ერთ

---

[3] ს. გოგიტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბილისი, 1978; ლ.ნუცუბიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი, 1986. **დ. სახუტაშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა“ I, ბათუმი, 1995, გვ. 20-32.

[4] **დ. სახუტაშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 31.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 26, 129-151. **დ. სახუტაშვილი**. ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 32.

საერთო ფუძე-ენაზე მეტყველებდა.[6]

ადრებრინჯაოს ხანის აჭარის ტერიტორიაზე დადასტურებულია ლითონდამუშავებისა და სამეთუნეო წარმოების ცენტრები, დაწინაურებულია სამშენებლო ხელოვნება, კულინარია, მოსავლის მოყვანის, შენახვის და გადამუშავების კულტურა, საოჯახო რთვა-ქსოვა, მეფუტკრეობა, სახეზეა კომპაქტური დასახლებები, ნადირობა-მეთევზეობის განვითარებული დონე, უკვე ფორმდება წარმართული რელიგიური პანთეონი.[7]

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო საყოველთაო დათბობის ხანა, რაც ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებამდე გაგრძელდა. ეს პერიოდი მოიცავს ე.წ. შუაბრინჯაოს ხანას, როცა მსოფლიო ოკეანის დონის 3-5 მეტრით ამაღლების გამო დაიწყო ზღვისპირა აკუმულაციური დაბლობების დაჭაობება. ამ დროს, ბუნებრივია, აჭარის ზღვისპირა ზოლის აკუმულაციური მონაკვეთებიც დაჭაობდა და სამეურნეო საქმიანობისათვის უვარგისი გახდა,[8] რასაც დაბლობიდან მოსახლეობის მიგრაცია მოყვა. ამავე პერიოდში გაფორმდა ახალშავზღვური ტერასა (დიუნა, ზღვისპირა ქედი), რომელმაც კოლხეთის ველის მცირე მდინარეებს ზღვისკენ გასასვლელი „ჩაუკეტა" (იხ.ზემოთ).

იმის გამო, რომ შუაბრინჯაოს ხანის აჭარის ტერიტორია, განსაკუთრებით ზეგანი და მთა, არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი, ჩვენ არ გაგვაჩნია მონაცემები აქ შექმნილ დემოგრაფიულ და სოციალურ ვითარებაზე, აგრეთვე, მეურნეობასა, კულტურასა და რელიგიაზე. შუაბრინჯაოს ხანის კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობა, როგორც ჩანს, სეზონურად გამოჩნდებოდა ხოლმე, რაც სავსებით შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას მიწათმოქმედ-მესაქონლე ბინადარ თემთა სამეურნეო საქმიანობის ბუნებაზე.

სწორედ შუაბრინჯაოს ხანაში, კერძოდ, ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგს, როგორც ფიქრობენ, დაიწყო ქართველური ეთნიკური მასივის ენობრივი დანაწევრება: ფუძე-ენას გამოეყო სვანური, რომლის მატარებელი ეთნიკური კოლექტივი ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიაში, რიონის ჩრდილოეთით, ვიდრე დიდ კავკასიონამდე ბინადრობდა. ამ ენის მატარებელი კოლექტივის სამკვიდრებელს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა ზანურ-ქართული ანუ კოლხური ენობრივი ერთობის მატარებელი ტომების საცხოვრისი, რომელიც მოიცავდა დღევანდელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილს მცირე აზიის ჩრდილო ზოლამდე და ცენტრალურ ამიერკავკასიას მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფ მთებამდე, მტკვრის სათავეებისა და მასზე სამხრეთიდან მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით. როგორც ვხედავთ, შუაბრინჯაოს ხანის გარკვეული პერიოდიდან, კერძოდ II ათასწლეულის დამდეგიდან, აჭარის ტერიტორიაზე მობინადრე მოსახლეობა ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის მატარებელი ეთნიკური მასივის ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან იწყება და X საუკუნემდე გრძელდება გვიანი ბრინჯაოს ხანა. ამ ხანის დასაწყისი ბუნებრივ-კლიმატურად ემთხვევა ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის ადრეულ საფეხურს (ძვ.წ. XVI—X სს), როცა საყოველთაო აცივების შედეგად, მკვეთრად

---

[6] ო. ჯაფარიძე ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976, გვ. 7 Монгайт А.Л. Археология Западной Европы, Москва, 1973, с. 80; ოგამურელიძე გ.,ბაბაგარიანი, სონანიტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 1 და შმდ.; Климов Г.А. Типология Кавказских языков, Москва, 1980, с.164; დ. სახუტაიშვილი ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 33-42.

[7] დ. სახუტაიშვილი ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 33-42.

[8] Джанелидзе Ч.П. Палеогеография Грузии в голоцене. 1980, с. 27-46 и сл.; Хахутайшвили Д.А. Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. сс. 146-151.

§4. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები

შეიცვალა ადამიანის ბინადრობის ბუნებრივი გარემო. ეს, როგორც ითქვა, განსაკუთრებით იგრძნობოდა ზღვისპირა ტერიტორიაზე, სადაც ზღვის დონის დაბლა დაწევის გამო ჭაობები დაშრა და სამეურნეო სავარგულებად იქცა. ამის შედეგად მოხდა დემოგრაფიული ძვრებიც - კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ნაწილი, მათ შორის აჭარის ზღვისპირეთიც, რომელიც შუაბრინჯაოს ხანაში მოსახლეობისაგან დაიცალა, კვლავ აღორძინდა, მოსახლეობით შეივსო.

გვიანბრინჯაოს ხანაში აჭარა საერთო ქართველური ფონის, უფრო კი ზანურ-ქართული (კოლხური) სამყაროს ორგანული და მაღალგანვითარებული ნაწილია. ამ დროს აქ უკვე მზადდება ნიადაგი ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის იმ დონემდე დაწინაურებისათვის, როცა იკვეთება ადრეკლასობრივ ურთიერთობათა კონტურები. ეს პროცესი ჩქარა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირებით მთავრდება.

გვიანბრინჯაოს ხანაში ქართულ-ზანურ სამყაროში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს ფერადი მეტალურგია, რაც კარგადაა ასახული აჭარაში მოპოვებულ მასალებშიც. აქ წარმოდგენილია ცალკეული ლითონდამამუშავებელი კერები, მაღალმხატვრულობის ნიშნით აღბეჭდილი სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, საოჯახო ნივთები, სამკაული, სამეთუნეო ნაწარმი. მიწათმოქმედება ბარში მოხვნაზეა დაფუძნებული, ჩნდება პირველი მსხვილი დასახლებები, მზადდება პირობები ბრინჯაოს, ამ ძირითადი სამეურნეო ლითონის, რკინა-ფოლადით შესაცვლელად. ამ პერიოდის მიწურულს აჭარაში, ისევე [illegible] ზანურ სამყაროში მთლიანად, გამოიკვეთა რკინისმომპოვებელი სამთომეტალურგიული კერები. [illegible] დროს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთი ის რეგიონი იყო, სადაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი მახასიათებლები შემუშავდა (კოლხური [illegible] ცული, თოხი, ნამგალი, სეგმენტური იარაღი, წალდი) და შეზობელ მხარეებში გავრცელდა. ამ დროსვე დასტურდება ტომთა შორის გაცვლა-გამოცვლის ინტენსიფიკაცია, კულტურულ და ტექნიკურ მიღწევათა ურთიერთგაზიარება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი, ისევე როგორც ქართულ-ზანური სამყარო მთლიანად, ახლოაღმოსავლურ-ანატოლიურ სამყაროს უსწორებს მხარს და მასთან კავშირში ვითარდება. მოკლედ, ეს არის ის რეგიონი, რომელიც აისახა ძველბერძნულ თქმულებაში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ.

ძვ.წ. X-VII საუკუნეები რკინა-ფოლადის სამეურნეო ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრებისა და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის მასობრივი გამოყენება, შენარჩუნებულია სამეურნეო საქმიანობის ყველა ის დადებითი მახასიათებლები, რაც გვიანბრინჯაოს ხანაში შეიქმნა. საერთოდ კი, ამ დროს საგრძნობლად დაწინაურდა ლითონების (რკინა, სპილენძი) მოპოვება და დამუშავება (რკინისმომპოვებელი კერები ჭარნალსა, ჩაქვსა და ქობულეთში, ლითონდამამუშავებელი სახელოსნოები ქობულეთ-ფიჭვნარში და ა.შ.), მიწათმოქმედება, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, მეცხოველეობა და მისი პროდუქტების დამზადება, შენახვა და ტრანსპორტირება. საბოლოოდ გაფორმდა ქართული წარმართული პანთეონი, რომელშიც ამ დროს ფორმირებადი ადრეკლასობრივი სოციალური სინამდვილე და პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები აისახა. ამავე დროს, ბარის ზონაში გაჩნდა პროტოქალაქური ტიპის მსხვილი დასახლებები სახელოსნო უბნებითა და საკუთარი სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით.

ადრერკინის ხანაში, კერძოდ, ძვ.წ. VIII საუკუნის ახლო ხანისათვის ვარაუდობენ ქართულ-ზანური (კოლხური) ენობრივი ერთობის დანაწილებას საკუთრივ ქართულ და ზანურ

ენობრივ მასივებად (თუმცა არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ეს ერთობა ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს დაიშალა, ან კიდევ, სულაც ძვ.წ. II ათასწლეულში შედგა).

ძვ.წ. VI საუკუნიდან დაიწყო ე.წ. **ანტიკური ხანა**, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე გაგრძელდა. ამ პერიოდის საწყისი საფეხური კიმერიელებისა და სკვითების შემოსევების შედეგების ლიკვიდაციის და ახლო აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციების, ადრეკლასობრივი იმპერიების (ასირია, ურარტუ, ბაბილონია) დაღუპვის ფონზე ვითარდებოდა. შეირყა ძველაღმოსავლური ხანის კოლხას სამეფო და განადგურდა მისი სამხრეთული ცენტრები. როგორც ჩანს, კოლხას ჩრდილოეთი რეგიონები ძვ.წ. VI საუკუნეში ახალ კოლხურ სამეფოდ გაფორმდა, თავისი სამონეტო სისტემით („კოლხური თეთრი"). ოდნავ მოგვიანებით ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის დამდეგს იქმნება ქართლის (იბერიის) სამეფო ფარნავაზიანთა დინასტიით. აჭარა ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და სამცხესთან ერთად ოძრხეს საერისთაო შექმნა.

მომდევნო ეტაპების ძირითადი მახასიათებლებია ადრეკლასობრივი ურთიერთობის საბოლოოდ ფორმირება, კოლხეთის სამეფოს დაცემა (ძვ.წ. II საუკუნე) და მის ნანგრევებზე ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს შექმნა (ახალი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნეები), ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნა, იბერიის სამეფოს შექმნა და მისი „ექსპანსია" დასავლეთ საქართველო-საკენ (აჭარა, გურია, იმერეთი), იბერიული (ქართლური) ფულის ნიშნების გამოჩენა, ქრისტიანობის გავრცელება (ახ.წ. I საუკუნიდან) და მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარება(ახ.წ. IV ს.). ქართული ანბანის შექმნა (ახ.წ. IV—V სს.), ეროვნული ცნობიერების ფორმირება და ა.შ.

ახ.წ. IV საუკუნისათვის ძირითადად მომზადებულია ის სამეურნეო, სოციალური, იდეოლოგიური და კულტურული წანამძღვრები, რომელზედაც ქართული ფეოდალური საზოგადოების სამეურნეო, სოციალური, იდეოლოგიური და კულტურული განვითარება დაეყრდნო. აჭარა ამ მოვლენებისა თუ მიღწევების აქტიური თანამონაწილე იყო ქართველური სამყაროს ფორმირების ყველა ეტაპზე.

§5. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები

ა. წერილობითი წყაროები

წერილობითი წყაროები აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის შესახებ მცირეა და ფრაგმენტული. ყველაზე ძველი მოვლენა აჭარის ისტორიიდან, რომელიც წერილობით წყაროშია ფიქსირებული, მიეკუთვნება ძვ.წ. III საუკუნის დამდეგს. ეს ცნობა ეკუთვნის XI საუკუნის ავტორს ლეონტი მროველს, რომელიც, მოგვითხრობს რა ქართლის საქეფოს წარმოქმნაზე, ფარნავაზ მეფის მიერ ამ სამეფოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე და ერისთავთა ინსტიტუტის შექმნაზე, აღნიშნავს, რომ მეფემ „შეექუსე გაგზავნა ოძრჴის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა."[1] ამაზე უწინარეს, ლეონტისავე გენეალოგიური სქემით, ქალაქ მცხეთის ეთნარქმა მცხეთოსმა, რომელიც ქართლოსის ძე იყო, თავის მეორე ვაჟს „ოძრჴოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჴოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჴე და თუხარისი".[2] აქ, მართალია, აჭარა არ მოიხსენიება, მაგრამ მონიშნულია ის ტერიტორია, სადაც მეფე ფარნავაზმა ოძრხის საერისთავო შექმნა სამცხისა და აჭარის შემადგენლობით.

შემდგომი მოხსენიება უკავშირდება ახ.წ. I საუკუნეს, კერძოდ, ქრისტიანული მოძღვრების ქადაგების პერიოდს საქართველოში. წერილობითი ტრადიციის მიხედვით, ქრისტეს მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ მხარეში ექადაგნა ქრისტიანული მოძღვრება. საქართველო თითქოს მარიამ ღვთისმშობელს ერგო (აქედან, „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა"), მაგრამ „ზეშთაგონებით", მარიამ ღვთისმშობელმა აქ სამოციქულოდ გამოგზავნა ანდრია პირველწოდებული და გამოატანა ხატი საკუთარი გამოსახულებით. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფის „ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმინდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სუმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. მუნ აღესრულა სუმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა..., ხოლო ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა".[3] აქ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ „ქართლის ცხოვრების" ტექსტში ჩართული დამატება აგრძელებს: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაბიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების... წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი... შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა".[4]

უცხოურ წყაროებში VII საუკუნემდე არ გვხვდება ტოპონიმ „აჭარის" ხსენება. ამ მხარის ცალკეული ადგილები არაერთგზისაა დასახელებული. ასე მაგალითად, ძვ.წ. IV საუკუნეში

---

[1] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. „ქართლის ცხოვრება". I, თბილისი., 1955, გვ. 24.
[2] იქვე. გვ. 8-9.
[3] იქვე. გვ. 38.
[4] იქვე. გვ. 39.

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ევქსინის პონტოს (შავ ზღვას) სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არის გეოგრაფიული პუნქტი *σα βαθυσ*,[5] რომელიც აკად. თ.ყაუხჩიშვილმა რამდენადმე მოგვიანო წყაროების ბათუსს (*βαθυσ*, Bathys) გაუიგივა. პლინიუსი „ბუნების ისტორიაში“ (VI, 12) აღნიშნავდა, რომ „ტრაპეზუნტიდან 140.000 ნაბიჯზე მდ.აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე მდინარის შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მდინარეებია: აკამფსისი (=ჭოროხის ერთ-ერთი ტოტი), მოგროსი (?) ბათისი (=ყოროლისწყალი). კოლხთა ტომებია აქ, ქალაქი მატიუმი (თ.ყაუხჩიშვილის აზრით, შესაძლებელია, „ბატიუმი“) და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთა შორის - ფაზისი“.[6]

ძვ.წ. IV საუკუნეშივე ფსევდო-სკილაქს კარიანდელი ასახელებს მდინარე აფსაროსს და მისგან ჩრდილოეთით - „ყაჩაღთა მდინარეს“ (Λγότων Ποταμὸς),[7] რომელიც თ.ყაუხჩიშვილის ლოკალიზაციით, მდ.კინტრიშია.[8]

ჩვენი მხარის ზღვისპირეთზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რომაელი მოხელე ფლავიუს არიანე, რომელმაც რომის იმპერატორ ადრიანეს დავალებით ახ.წ. 131 წელს საინსპექციო საზღვაო მოგზაურობა განახორციელა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გასწვრივ.[9]

ფლავიუს არიანე[10] აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე იხსენიებს მდინარეებს აფსაროსს, აკამფსისს, ბათისს და აკინასს,[11] აგრეთვე ციხე-ქალაქ აფსაროსს, სადაც მის დროს 5 კოჰორტა მდგარა. აქ არიანემ ხელფასი დაურიგა ჯარისკაცებს, დაათვალიერა იარაღი, კედელი, თხრილი, საავადმყოფო და შეამოწმა ბურით უზრუნველყოფის ღონისძიებანი. იგი მიუთითებდა, რომ აფსაროსი ძველი პუნქტია, სადაც დაიღუპა აფსირტე და აქვე აჩვენებენო კიდეც აფსირტეს საფლავს.[12] არიანესვე ცნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობა (ძიდრიტების სახელით) ფარსმან II ქართლის მეფეს ემორჩილებოდა, ხოლო ზღვისპირა აჭარა ლაზთა სამთავროს ნაწილს შეადგენდა, რომლის გამგებელს, მალასას, სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან მიუღია.[13] ყველა ნიშნით, ეს ის ლაზთა სამთავროა, რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი თავისი ჰეგემონობით გააერთიანა და ახ.წ. IV საუკუნეში ლაზეთის სამეფო შექმნა.

ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (ე.წ. „პერიპლუსი“) ფასდაუდებელი წერილობითი წყაროა დასავლეთ საქართველოში II საუკუნის პირველ ნახევარში არსებული ვითარების შესასწავლად, საისტორიო გეოგრაფიის რიგი საკითხების გასარკვევად, რომის იმპერიასა და იბერიის (ქართლის) სამეფოს ურთიერთობის ცალკეული მხარეების წარმოსადგენად.

ფლავიუს არიანეს „პერიპლუსისაგან“ განსხვავებით, სადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 4 სამეფო (ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების) არის ფიქსირებული, V საუკუნის

---

[5] **თ. ყაუხჩიშვილი**, ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის. - სდსძ, XVI, თბილისი, 1987, გვ. 109-117.

[6] იქვე, გვ. 112.

[7] **თ. ყაუხჩიშვილი**, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბილისი, 1967, გვ. 40.

[8] **თ. ყაუხჩიშვილი**, ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 113.

[9] **ფლავიუს არიანე**, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961, გვ. 30-61.

[10] ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბილისი, 1983, გვ. 153-160.

[11] **ფლავიუს არიანე**, მოგზაურობა..., გვ.36-37.

[12] იქვე, გვ. 35.

[13] იქვე, გვ. 42 და შენიშვნა 49-51.

ანონიმის (ე.წ. ფსევდოარიანეს) „პერიპლუსში“ ამ ცნობის გვერდით წარმოდგენილია მტკიცება, რომ „დიოსკურიადიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახეშეცვლილი“.[14] ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს სამი გარემოება: ჯერ ერთი, მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი წარმოდგენილია ერთი ხალხის, კერძოდ, ლაზების საცხოვრისად. მეორე, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ლაზთა ტომის ჰეგემონობით უკვე მომხდარი ფაქტია, და, მესამე, მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი კოლხური (ლაზური) მოდგმის საცხოვრისია და აქ არაქართველური ეთნიკური ელემენტი ჯერჯერობით არ ჩანს.

ამგვარად, შესასწავლი პერიოდის ბოლო საუკუნეებში აჭარა, კერძოდ მისი ზღვისპირეთი, ჯერ ლაზთა სამთავროს, ხოლო შემდეგ ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. რაც შეეხება აჭარის მთიანეთს, იგი ქართლის (იბერიის) სამეფოს გამგებლობაში ყოფილა (არიანე, ანონიმი).

საყურადღებოა ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრის გეოგრაფოსისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ.[15] პტოლემაიოსის მიხედვით, „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრიტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“. პტოლემაიოსის წარმოდგენით კოლხეთს „სამხრეთიდან... ესაზღვრება კაპადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი“.[16] კაპადოკიის პონტოს აღწერილობაში კი ეს ქვეყანა „ჩრდილოეთიდან (ისაზღვრება) ევქსინის პონტოს ნაწილით გალატიის ამისოდან, ვიდრე ზღვამდე, რომელიც მდებარეობს 72°20' 44°45', ქვეშ“.[17]

პტოლემაიოსის წარმოდგენით აფსაროსი (აფსოროსი) და მდ.აფსაროსის (აფსოროსის) შესართავი კაპადოკიის პონტოს შემადგენლობაშია.[18]

ამგვარად, ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარში აფსაროსი და მდ.აფსარის შესართავის რაიონი კაპადოკიის პონტოს პროვინციაზე ყოფილა მიწერილი, ხოლო ლაზებს თითქოსდა მოუხერხებიათ ზღვისპირა სამთავროების გაერთიანება.

აფსაროსი აღნიშნულია, აგრეთვე, კასტორიუსის რუკაზე (ახ.წ. IV საუკუნე), სადაც იგი წარმოდგენილია ციხის სქემატური გამოსახულებით, იმ დროს როცა ყველა სხვა ზღვისპირა პუნქტი ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე მხოლოდ სახელით მოიხსენიება. ეს გარემოება, როგორც ფიქრობენ, აფსაროსის განსაკუთრებულ, გამორჩეულ როლზე მიუთითებს.[19]

ახ.წ. III-IV საუკუნეების მიჯნაზე იმპერატორების დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს მეფობაში, აფსარში გარდაცვლილან ქრისტიანობისათვის წამებული ორენტიოსის ექვსთაგან ორი ძმა (ბერძნული სვინაქსარის ცნობა).[20] უკვე V საუკუნეში, ე.წ. „Notitia dignitatum“ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ციხეების ჩამოთვლისას აფსაროსს აღარ იხსენიებს.

---

[14] ანონიმი, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. წიგნში: „ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, თბილისი, 1961.

[15] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები. -“მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 32, თბილისი, 1955, გვ. 39-65.

[16] იქვე, გვ. 45.

[17] იქვე, გვ. 42.

[18] იქვე, გვ. 42.

[19] Леквинадзе В.А. Апсарская крепость. - Византийский временник, XX, сс. 226-227.

[20] Пятый археогический съезд в Тифлисе.- Протоколы подготовительного комитета. Москва, 1882, с. 65.

ამგვარად, წერილობითი წყაროები წინაქრისტიანული ხანის აჭარის შესახებ მეტად მცირეა. ისინი უპირატესად ეხება ცალკეულ პუნქტებს, ხოლო აჭარის რეგიონის ადრეული პერიოდის შესახებ წყაროები შედარებით მოგვიანოა (ანანია შირაკაცი, ლეონტი მროველი, ახალი ქართლის ცხოვრება და ა.შ.).

ბ. ნივთიერი კულტურის ძეგლები

ნივთიერი კულტურის ძეგლები არა მხოლოდ ქართველი ხალხის წარსულის უტყვი მოწმეებია, არამედ იმ ინფორმაციის ძირითადი წყაროცაა, რასაც წარსული ყოფისა და სულიერი სამყაროს მოდელირებისათვის, ჩვენი ისტორიის შესწავლისათვის ვიყენებთ. ნათქვამი ეხება ყველა ისტორიულ ეპოქას, მაგრამ წყაროს ეს სახე თითქმის ერთადერთია დამწერლობამდელი ისტორიის შესწავლისათვის. ამგვარად, არქეოლოგიური მასალები ამ პერიოდის შესახებ წყაროების მთავარ ჯგუფს ქმნის.

ჯერ კიდევ 1885 წ. დ.ბაქრაძე აღნიშნავდა: „უეჭველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი ზღვისპირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთეულობა, რომელიც ნათელს მოპფენს ჩვენს წარსულს საუკუნეებსა".[21]

აჭარის სიძველეებით ეპიზოდური დაინტერესება მხარის ოსმალთაგან განთავისუფლებისთანავე დაწყებულა. სოფ.ხუცუბანში 1879 წელს შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოს ორი ცული, რომლებიც ს.მესხისათვის გადაუციათ. 1881 წლის შემოდგომაზე სოფ. ხუცუბანსა და ქობულეთს შორის მდ.კინტრიშზე მდებარე ხიდთან წყალს გაუშაშვლებია სამარხების ერთი ნაწილი, სადაც უპოვნიათ ბრინჯაოს ორი ცული, დაზიანებული ორი მშვილდსაკინძი, ბრინჯაოსაგან დამზადებული ლომის (?) უხეში გამოსახულება, მძივები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. იმავე წელს აქ მცირე მასშტაბის გათხრები უწარმოებიათ და მოუპოვებიათ საკმაოდ საყურადღებო სამარხეული ინვენტარი.[22]

ხუცუბანში სხვა ნივთებიც აღმოჩენილა, მაგრამ მოსახლეობაში გაფანტულა;[23] შემდეგში ე.მურიეს აქ მცირე გათხრებიც უწარმოებია, მაგრამ მხოლოდ ბრინჯაოს ცულის ნატეხი უპოვნია.

1896 წლის ზაფხულში რუსეთის არქეოლოგიური კომისიისაგან გამოგზავნილი ექ.თაყაიშვილი კვლავ ხუცუბანში აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს. მოპოვებული ინვენტარი ჯერ პეტერბურგში გაუგზავნიათ, შემდეგ კი (1899 წ.) კავკასიის მუზეუმისათვის გადაუციათ.

ამის შემდეგ აჭარის სიძველეებს დიდი ხნის განმავლობაში არქეოლოგი აღარ შეხებია; მართალია, ტროას, მიკენის, ორქომენის აღმომჩენი და შემსწავლელი ჰენრიხ შლიმანი 1882 წ. რუსეთის არქეოლოგიურ კომისიას სთხოვდა საქართველოს ზღვისპირეთში, მათ შორის

[21] **დ. ბაქრაძე**, ისტორია საქართველოსი, ტიფლისი, 1885, გვ. 38-39; მისივე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1887.

[22] Комаров А.В. Краткий обзор последних археологических находок в Кавказском крае.- ИКОИА, I, Тифлис, 1882. сс. 1-3.

[23] ბ. კუფტინს მიაჩნდა, რომ ეს ნივთები შედიოდა ა.კომაროვის ბირად კოლექციაში, რომელიც შემდეგში ნაწილობრივ შეურთდა შჩუკინის კოლექციას და აღმოჩენის ადგილის ზუსტი მითითების გარეშე ამჟამად ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

აფსაროსში გათხრების წარმოების ნებართვა მიეცათ, მაგრამ უარი მიუღია.[24]

1904 წ. ბათუმის ოლქში არქეოლოგიური გათხრების წარმოებაზე „ღია ფურცელი" მიეცა ნიკო მარს, მაგრამ მან იგი პრაქტიკულად ვერ განახორციელა, რადგან დაკავებული აღმოჩნდა ყარსის, ანის და ერევნის გუბერნიის ძეგლების კვლევა-ძიებით.[25] 1917 წ. გაიცა კიდევ ერთი „ღია ფურცელი", რომელიც აკად. თ.უსპენსკის ნებას რთავდა ეწარმოებინა არქეოლოგიური სამუშაოები ბათუმის მიდამოებში, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, მაგრამ იგი აქ გათხრებს ვერ ანხორციელებს და კმაყოფილდება ამ უნიკალური ძეგლის შესახებ საინტერესო ნაშრომის გამოქვეყნებით.[26]

ჩვენი საუკუნის მიჯნიდან ხშირი იყო შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები. კერძოდ, ამ რიგისაა სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთების კოლექცია (აღმოჩენილი ციხისძირში 1903 თუ 1904 წწ). ციხისძირის ნივთები ახ.წ. II-III სს თარიღდება[27] და მდიდრული სამარხის ინვენტარადაა მოჩნეული.[28]

XIX საუკუნის ბოლოდან აჭარის ტერიტორიაზე განსაკუთრებით ხშირად ჩნდება „ბრინჯაოს განძები", რომელთა ერთი ნაწილი დაიკარგა და მათ შესახებ შემოგვრჩა მხოლოდ სპეციალურ ლიტერატურაში გაბნეული ცნობები. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები აღმოჩენილია დიდაჭარაში, ხიხაძირში, ჭვანაში, ვაიოში, სიხალიძეებში, საღორეთში (პირველი მაისი), მახუნცეთში, ზუნდაგაში (აჭარისწყლის ხეობა), გვარაში და ჩალეწილში (მაჭახლის ხეობა), კირნათში, შარადიდში, ხერთვისში, ერგეში, ეკალაურში (ერგეს უბანი), ზემო ჯოჭოში, მახოში, თხილნარში, ხელვაჩაურში (ჭოროხის ქვემო წელი), ბათუმის მიდამოებში, ბარცხანიში, სალიბაურში, გახთიადში, მახინჯაურში, სახალვაშოში, ჩაქვის ჩაისუბანში, ჩაქვში, ციხისძირში, ბობოყვათში, ფიჭვნარში (ზღვისპირა ზოლი), სამებაში, ხუცუბანში (კინტრიშის ხეობა), ზენითში (3-ჯერ), ალამბარში, წყავროკაში, აჭყვისთავში და ა.შ.[29] ასევე ერავალრიცხოვანია ანტიკური და შუასაუკუნეების პერიოდის შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური თუ ნუმიზმატიკური მასალებიც (სურ. 1).

1944 წ ქობულეთის რაიონის სოფ.ხუცუბანში ძველი სამაროვანი გაითხარა; მოუპოვებიათ ბრინჯაოს 3 ცული, სეგმენტური იარაღის ნატეხები, ისრისპირი, ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტი, ბრინჯაოს სამაჯურები და ყელსაბამები, ბრინჯაოსავე უმბონი, მძივები და თიხის

---

[24] Архив ЛОИА, ф1: 1883: №2, **Быч О.** Новые материалы о Г. Шлимане. -ВДИ, 2, 1947.

[25] Архив ЛОИА, Ф 1, 1904, №79.

[26] Архив ЛИОА, ф 1, 1904, №79; **Успенский Ф.И.** Старинная крепость в устье Чорохи. - ИРАК, №2, VI серия, 1917.

[27] **Фармаковский Б.В.** Случайные находки и приобретения.-ОАК за 1907, СПб., 1910, გვ. 117; მისივე, Archaologische Funde in Jahre 1907. - AA. 1908, გვ.159-163; **ნ. ხოშტარია**, ციხისძირი, თბილისი, 1962; **ნინაშვილი**, ციხისძირის განძი. - სდსძ, XVI, 1987; მისივე, ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1993, გვ. 17-41.

[28] **ნ. ხოშტარია**, დასახ. ნაშრ., გვ. 27-28; **ნინაშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[29] **Иессен А.А.** О древнейшей металлургии меди на Кавказе. - ИГАИМК, вып. 120, 1935; **თ. ჯაფარიძე**, კოლხური ცული. - სსმმ, XXIV-B-1950; მისივე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. - თსუ შრომები, 49, თბილისი, 1953; **დ. ჭორნაძე**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1966; **ა. რამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974; **ა. ინანიშვილი**, დიდაჭარის განძი და კოლხური კულტურის ისტორიის საკითხები. - სდსძ, V, თბილისი, 1975; **ჯ. ფფაჭაძე**, სახალვაშოს განძი. - სდსძ, XVI, 1987; **ა. კახიძე, შ. მამულაძე**, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993; მათივე, ჭოროხის აუზი-კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000; **ა. ფფაჭაძე**, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში. - საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 7 და სხვ.

ჭურჭლის ნატეხები, ფურცლოვანი ბრინჯაოს ბოლოებგახსნილი რგოლი, გიშერისა და სარდიონის 12 მძივი.[30]

აჭარის არქეოლოგიური შესწავლა განახლდა 50-იანი წლებიდან ფიჭვნარის შემთხვევითი მონაბოვრების შემდეგ. 1948 წ აქ აღმოჩენილა დიდი განძი, რომელიც დამსწრეთა მოწმობით 6-8 კგ-მდე იწონიდა. განძის დიდი ნაწილი დაიკარგა, გადარჩენილი ნივთები სხვადასხვა დროს შემოვიდა მუზეუმებში).[31] აქვე, 1952 წ წააწყდნენ ბრინჯაოს ჭურჭელს, რომელშიც ძვ.წ. V საუკუნის 291 კოლხური თეთრი, ერთი ელექტრუმის ქიზიკინი და სამი ცალი მკრთალი ოქროსაგან დამზადებული სხივანა საყურე ინახებოდა.[32] ბუნებრივია, ამ აღმოჩენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

1953 და 1956 წწ ფიჭვნარში ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა. აღმოჩნდა ნაქალაქარი და სამაროვნები (ნამჭედური, ნაბურვალა).[33]

ანტიკური ხანის საინტერესო არქეოლოგიური მასალა (კოლხური ამფორა, ატიკური ბრინჯაოს მუზარადი, რკინის სატევარი და თიხის ჭურჭელთა ნატეხები აღმოჩნდა სოფელ კოხში (კინტრიშის ხეობა).[34]

აჭარის არქეოლოგიურ შესწავლაში ახალი ეტაპი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შემდეგ იწყება (1958 წ).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლთა სისტემური არქეოლოგიური შესწავლის თეორიული და ორგანიზაციული საფუძველი აკად. ნ.ბერძენიშვილმა მოამზადა, დაწყებული საქმის საერთო ხელმძღვანელობა საწყის ეტაპზე მანვე იკისრა და სამუშაოების გაშლის ფართო სამოქმედო პროგრამაც შეიმუშავა. ამ პროგრამის ზოგიერთი მონახაზის განხორციელების შედეგად ეს რეგიონი საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ საყურადღებო და პერსპექტიულ უბნად გადაიქცა.[35] მნიშვნელოვანი მოვლენაა პეტრა-ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალების შექმნა, ბათუმის არქოლოგიური მუზეუმის დაარსება.

აჭარაში 1959-2006 წლებში მოეწყო არაერთი არქეოლოგიური ექსპედიცია და განხორციელდა ფართო სადაზვერვო სამუშაოები. პირველ ხანებში შეისწავლებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი, 1977 წლიდან გეგმაზომიერი კვლევა-ძიების ობიექტი გახდა აჭარის მთიანეთიც (აჭარისწყლის ხეობა, მდ.კინტრიშის სათავეები). რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზეც. ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა ქობულეთ-ფიჭვნარში, ხინოწმინდაში, ჯიხანჯურ-ცეცხლაურში, ისპანში, ს.ქობულეთში, ს.ხუცუბანში, ს.კვირიკეში, ციხისძირ-ბობოყვათში, ჩაქვში, ბათუ-

[30] ▲ თსელეანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973.

[31] Голенко К.В., Кобулетский клад серебрянных монет середины IV в. до н. э. - СА, XXVII, 1957; მისივე, Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948). - ВДИ, I, 1961.

[32] Голенко К.В., Капанадзе Д.Г. Четыре клада колхидок. - НЭ, VI, 1966, сс. 31-61.

[33] ▲ ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 221.

[34] ▲ ქ.ფალავანდიშვილი, კოხის „ნაჯიხურალი"- ძველი კოლხური ნამოსახლარი. - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, VI, ბათუმი, 1983.

[35] ▲ ▲ ▲

მისციხეზე, მახვილაურში, ჭარნალი, ახალისოფელი, გონიო-აფსაროსში, კოლოტაურში, კვაშტაში, წონიარისში, ჭვანაში, დარჩიძეებში, სხალთაში, ვერნებში, ხიხაძირში, კალოთაში, თხილვანაში, ციხისფერდში, ვანაძეებში, ბეშუმში, ჯანჯღნარში, ვაშნარში, გოგორეთში, ქვენობანში, ზემოფარცხმაში, ასკანაში, წიფნარში, ჭოღაში (ოჩხომურის ხეობა) და ა.შ.

1998 წლიდან შეიქმნა საქართველო-დიდი ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველი საერთაშორისო ერთობლივი ექსპედიცია, რომელიც ყოველწლიურად მეტად ნაყოფიერ გეგმაზომიერ საველე სამუშაოებს აწარმოებს ფიჭვნარის სამაროვნებისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე. არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობენ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ბერძნულ-რომაულ სიძველეთა დეპარტამენტის წარმომადგენლები; ბათუმის, თბილისისა და სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტის სტუდენტები.[36]

1959-2006 წლებში მიკვლეულ და ნაწილობრივ შესწავლილ იქნა ასობით არქეოლოგიური ძეგლი, დაგროვდა მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, შეიქმნა ძვირფასი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მხარის უძველესი და ძველი ისტორიისა თუ კულტურის შესწავლისათვის (სურ. 1).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბოლო 50 წლის მანძილზე განხორციელებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიების შედეგებზე გამოქვეყნებულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სისტემატურად ბეჭდავდა დარგობრივ კრებულს „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები". უკვე გამოქვეყნებულია 21 კრებული. გამოდის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები. გამოცემულია 4 ტომი.

ასევე ითქმის გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის შესახებაც. დღეისათვის დასტამბულია კრებულის „გონიო-აფსაროსის" II-IV ტომები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად 1959-2006 წლებში განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები დაედო საფუძვლად „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა)" I ტომს. ახალი მონაპოვრები რიგი სიახლეებით მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენი ეროვნული ისტორიის წყაროთმცოდნეობის ფონდს.

აჭარის მაგალითზე წინასწარმეტყველურად ჟღერს აკაკის სიტყვები: „ვისაც უნდა, რომ საქართველო გაიცნოს, უნდა ყოველი მისი კუთხე შეისწავლოს, თორემ მარტო ქართლის, ან კახეთის, ან იმერეთის, ან სამეგრელოს, ან გურიის და ან სხვა რომელიმე კუთხის შესწავლით ვერას გახდება".[37]

8. ეთნოგრაფიული მონაცემები

აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის საკითხების კვლევაში არქეოლოგიურ მონაცემებთან და წერილობით წყაროებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალებს და მისი კვლევის შედეგებს. საკითხისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა გვეხმარება უფრო სრულად გავაშუქოთ მოსახლეობის ძველი მეურნეობრივი ყოფის,

[36] ა. კახიძე, მ. ფოკერსი, ფიჭვნარი I (კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში), ბათუმი-ოქსფორდი, 2004 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

[37] იხ. ი. ერემეშვილი, აკაკი და საქართველოს არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხი. -„ძეგლის მეგობარი", 66, გვ.28.

საზოგადოებრივი ურთიერთობის, მატერიალური და სულიერი კულტურის პრობლემები.

როგორც გამოირკვა, დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე ადამიანმა უკვე ნეოლითურ ხანაში ჩაუყარა საფუძველი მწარმოებლურ მეურნეობას.[38] ბრინჯაოს ხანიდან კი სამეურნეო ცხოვრებაში უკვე წამყვანი იყო მიწათმოქმედება, კერძოდ, მარცვლეულის მოყვანა, რაც, ცხადია, არ გამორიცხავდა მეურნეობის სხვა დამხმარე დარგების (მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა), აგრეთვე მონადირეობა-მეთევზეობის, შემგროვებლური საქმიანობის მეტ-ნაკლებად საარსებო მნიშვნელობას. ამის დასტურია ქობულეთ-ფიჭვნარის ნამოსახლარებზე მოპოვებული სახვნელები, ხელსაფქვავები, კაჟის ნამგლები, სპელტას და ღომის მარცვლის ნაშთები, სხვა სამეურნეო იარაღები.[39] ამ რიგის მასალები მოპოვებულია აჭარისწყლის ხეობის ძველი ნამოსახლარების ტერიტორიაზეც,[40] გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განძებში.

ეთნოგრაფიულ ინფორმაციაში, თავის მხრივ, ხშირად დაშრევებულია ძველი სამეურნეო ყოფის, საზოგადოების სოციალური აღნაგობის, რელიგიური აღმსარებლობის გარკვეული მხარეები. აჭარის ტერიტორიაზე, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები მიანიშნებს, გარდა სპელტასი და ღომისა, წინაქრისტიანულ ხანაში უცნობი არ უნდა ყოფილიყო ფეტვი და უკვე გადაშენებული ენდემური ბურეული (მახა, ზანდური).[41] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი ის ეთნოგრაფიული მასალა, რომლითაც აღნიშნული ბურეულის თავთავის სამკალი იარაღის არსებობა დადასტურდა არტაშანის სახელწოდებით. იგი რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული მახასა და ზანდურის თავთავის საკრეფი შნაკვის იდენტურია.[42] შნაკვის მარტივი კონსტრუქციული აღნაგობა იგ[illegible] [illegible] [illegible] [

ტერასული და სარწყავი მიწათმოქმედების თავისებურებებს.[45] მიწათმოქმედების ამ ფორმების ჩასახვა-განვითარება აჭარაშიც შეიძლება დაახლოებით იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვაქციოთ, რაც ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშია დადგენილი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, ერთ შემთხვევაში, ახოს გატეხვის შედეგად (რაც თავისთავად ძველი წესია მიწათმოქმედებაში) დარჩენილი ხის გრძელი მორებისა და კუნძების გამოყენება ტერასებად (სანკალას სახელწოდებით რომ არის ცნობილი) და ოროკო,[46] რომელიც სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია როგორც „მიწა ბაქან ბაქნად მოვაკეული".[47] მეორე შემთხვევაში არხებითა და ხის ღარებით გამოყვანილი მდინარის და წყაროს წყლებით მიწის მორწყვის სისტემა (ზემო აჭარა) და ნიადაგის ნაკელ-წყლით გაპატიების წესი,[48] რაც მორწყვის საწყის ფორმებად შეიძლება მივიჩნიოთ.

აჭარის მეურნეობრივი წარსულის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ყოფაში დღემდე შემონახული და ტრადიციული ფუნქციის მატარებელი სამეურნეო თუ სამიწათმოქმედო იარაღები: რკინის თოხები, ცულები, წალდები, ნამგლები და სხვ. ისინი გენეტიკურად ახლოს დგას აჭარის მთისა და ბარის ტერიტორიაზე მოპოვებულ ბრინჯაოსა და რკინის შესაბამის იარაღებთან.[49]

ძველი სახვნელების შესწავლის ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული სახვნელი იარაღები, რომლებიც ცნობილია კავის, არვანას (არუნას) და ჯიილღის სახელწოდებით[50] და ქართული სახვნელების უძველეს სახეობებს განეკუთვნება.

როდესაც არქეოლოგიური მონაპოვრები ეთნოგრაფიული ფაქტებით დასტურდება და, პირიქით, ეთნოგრაფიული მასალა არქეოლოგიურს ეშთხვევა, მაშინ ამ მონაცემებს, როგორც წყაროს, უფრო მეტი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ.

წინაქრისტიანულ ხანაში ეძებნება პარალელები აჭარის სამიწათმოქმედო ყოფასთან დაკავშირებულ ისეთ წეს-ჩვეულებებს, როგორიცაა: ლაზარობა და ქაშატობა, ყანუღი-ყანუღის გაღება (ანუ პირველი თესლის, პირველი კვალის გატანა),[51] რაც გადმონაშთური სახით XX საუკუნის 40-იან წლებამდე შემორჩა.

ეთნოგრაფიულ მონაცემებში შეიძლება შორეული წარსულის ელემენტები ვიპოვოთ აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის, მესაქონლეობის, მონადირეობის, მეფუტკრეობის დარგების რეალიებში, რომლებიც ამდიდრებს ზხარის

---

[45] ნ. ჩოჯაგაძე. მემინდვრეობა აჭარაში. - აჭარის სოფელი, თბილისი, 1979.

[46] ნ. ჩოჯაგაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბილისი, 1971; მისივე. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1976; ნ. კახიძე. მაჰახლის ხეობა, გვ. 43.

[47] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, თბილისი, 1948, გვ. 510.

[48] ნ.ჩოჯაგაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. იხ. თავი IV.

[49] ა. კახიძე ნ. კახიძე. კოლხეთის სამეურნეო იარაღების ისტორიიდან. - ჟურნ. „ჭოროხი", №1, 1989; Кахидзе А.Ю., Кахидзе Н.А. Древнеколхидское хозяйственное орудие цалди.-Российская археология, Москва, 1993, №3.

[50] ნ. ჩოჯაგაძე. დასავლურ-ქართული სახვნელი იარაღები. - სდსყ, თბილისი, 1976, გვ. 61-62. დასახელებული ტიპის სახვნელების, როგორც ნივთიერი ეთნოგრაფიული ძეგლების, სიძველე და ეზიშვნელობა მაშინდელი ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში კიდევ უფრო ნათლად მოჩანს იმ არქეოლოგიური სახვნელის შუქზე, რომელიც ქობულეთ-ფიჭვნარის ჩოლოქისპირა სამოსახლოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი და თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულით (დ. სახუტაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 51).

[51] ჯ. ნოლაიდელი. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბილისი, 1967, გვ. 60-62; ნ.ჩოჯაგაძე. მემინდვრეობა აჭარაში, გვ. 46-53; ზ. თანდილავა. ლაზარობა და „ქვაკაცები" აჭარაში. - სდსზ, I, თბილისი, 1974; ა. კახიძე, შ. მაშულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993 (იხ. თავი: „წარმართული ხანის რელიგიის ნაშთები აჭარისწყლის ხეობაში") და სხვ.

საზოგადოებრივი და მეურნეობრივი ცხოვრების ისტორიის შესწავლას დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც ნარკვევების აღნიშნული ტომი ეძღვნება.

აჭარის ბარისა და მთის ტერიტორიაზე დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილი ვაზის ათეულობით ადგილობრივი თუ შემოტანილი ჯიში, რომელთა დიდი ნაწილი ქართული მაღლარის უძველეს სახეობებს განეკუთვნება,[52] აგრეთვე დიდი რაოდენობით ქვის მარანსაწნახელები,[53] სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ქვევრების სიმრავლე აჭარაში მევენახეობის ძირძველობის მიმანიშნებელ ფაქტორად მიაჩნიათ.[54]

ქართულ-კავკასიური მომთაბარული და ალპური მესაქონლეობის წარმოშობა-განვითარების საქმეში აჭარის მოსახლეობის მონაწილეობის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა აქ დაცული ეთნოგრაფიული მასალები, რომელთა საფუძველზე შემუშავდა მესაქონლეობის კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები, განისაზღვრა ალპური მესაქონლეობის ფორმები უძველესი დროიდან დღემდე.[55] ეთნოგრაფიულ მონაცემებს ადასტურებს არქეოლოგიური მასალები: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ფიჭვნარ-ჩოლოქის ნამოსახლარზე მოშინაურებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა და მასთან დაკავშირებული სადგომების არსებობა, იქვე აღმოჩენილი რძის გადამუშავებისა და მიღებული პროდუქტის შესანახი ხის იარაღ-ჭურჭელი[56] და სხვ. ეს მასალები ეჭვს არ იწვევს, რომ მესაქონლეობას აჭარაში გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი.

აჭარაში მესაქონლეობის ძველი ტრადიციების ამსახველია გადმონაშთის სახით შემორჩენილი წეს-ჩვეულებები, რომლებიც წინაქრისტიანული ხანის აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების - ბოსლობისა და კორიდას-ელემენტებს შეიცავენ. ბოსლობა წარმართული ხანის დღესასწაულია, რომელიც თავისი არსით დაკავშირებულია საქონლის გამრავლებასაყოფიერებასთან.[57]

ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების შეჯერებით საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საკვლევი პერიოდის აჭარაში მეფუტკრეობის ის სამივე ფორმა (ტყიური, ნახევრადშინაური, შინაური)[58] არსებობდა, რაც იმავე ცნობების მიხედვით დადასტურებულია საქართველოს სხვა რეგიონებშიც, კერძოდ, ძველი კოლხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მეფუტკრეობის შინაურ ფორმას, რაც გულისხმობს სპეციალური საფუტკრე

---

[52] ნ. კახიძე, მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში (იბეჭდება „ნარკვევების" II ტომში); ჯ. ბერიძე, მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში, ბათუმი, 1975, გვ. 17-25; ც. ჯოხია, მასალები მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ხულოს რაიონში. - სდსყკ, XII, თბილისი, 1986.

[53] ყველაზე უდრეესი მონოლითური ქვის საწნახელი, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება, მიკვლეულია ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში (დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58). მსგავსი საწნახელი ფიქსირებულია ქვედა მახუნცეთში (ქედის რაიონი), მაგრამ დღემდე სათანადოდ შეუსწავლელია. ქვით ნაშენი მარან-საწნახელები მრავლადაა გაფანტული მაჭახლის ხეობაში (ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, გვ. 45-46).

[54] ჭ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის გაზის ჯიშები, თბილისი, 1948; ჭ. ქანთარია, ჭ. რამიშვილი, მევენახეობა, თბილისი, 1951, გვ. 34.

[55] გ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი, 1969; მისივე, მესაქონლეობა საქართველოში. - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. თბილისი, 1986, მისივე, К вопросу о характере альпийского скотоводства в Грузии. - სდსყკს, I, თბილისი, 1971.

[56] დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ.; ი. ჩაგელეიშვილი, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. - სდსხ, XVII. თბილისი, 1988.

[57] გ. შამილაძე, აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების ისტორიიდან აჭარაში. - ამსყს, თბილისი, 1971; მისივე, კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში. - სდსყს, I, თბილისი, 1973.

[58] ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 200-201.

ნაგებობის არსებობას, იცნობდნენ ძველ ხეთებსა და კოლხეთში. ამაზე მოგვითხრობენ ძვ.წ. XVIII და IV საუკუნეების წყაროები (ხეთური კანონმდებლობა, ქსენოფონტე),[59] რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მის წინარე ფორმების არსებობასაც.[60]

აჭარის უძველესი მეურნეობრივი ყოფის ამსახველია ეთნოგრაფიული მონაცემები შემგროვებლური მეურნეობის, კერძოდ, ტყიური ხილის (ბალი, მსხალი, ვაშლი, წაბლი, მარწყვი, მაყვალი), ტყიური მხალეულის დვარულა-(დვალურა), დონდოლი, ჭინჭარი, ქათამნაცარა, ჭიჭლაყა, ფერაფერა, კუკუმეავა, სვინტრი, ჭარბადელო და სხვ.),[61] აგრეთვე მოცვისა და ვენახის ნორჩი ფოთლის საკვებად გამოყენების შესახებ. დამახასიათებელი ფაქტია, რომ დვალურას და სხვა ტყიური მხალეულის მოსაკრეფად, რომელიც სუბალპურ და ალპურ ზონაში ხარობდა, ძირითადად ქალები დადიოდნენ მამაკაცების თანხლებით, რაც უძველეს შემგროვებლურ საქმიანობაში ქალის უპირატესი როლის მაჩვენებელია და ამდენად არქაული იერსახის მანიშნებელიც.

ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩვენ თვალწინ ცოცხლდება აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ადამიანის საშზარეულოს დამახასიათებელი თავისებურებანი.[62]

ეთნოგრაფიული მასალები, არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერებით, დიდ დახმარებას გვიწევს საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ საკულტო ხანაში დასახლების ფორმების, საცხოვრებელ ნაგებობათა გენეზისისა და მისი ევოლუციის დასადგენად.

ზემო აჭარის დასახლების, განსახლების და უბნებად დანაწილების წესი, დასახლებული პუნქტების განლაგება, მათი მორფოლოგიური და შეურნეობრივი თავისებურებანი იმაზე მიგვითითებენ, რომ ძველადაც დასახლების ძირითადი ერთეული, მთიან აჭარაში მაინც, ჯერ ხევი (ხეობა) უნდა ყოფილიყო, შემდეგ სოფელი, როგორც თავდაპირველად მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტების ეაერთიანება.[63] მეორე მასშტაბის კომპაქტურ დასახლებებზე, როგორც გვაროვნული თუ ტერიტორიული თემის საცხოვრისზე, მიუთითებენ არქეოლოგები აჭარის გვიანბრინჯაოს ხანის ზღვისპირა ზოლში.[64]

ძველი დასახლების სტრუქტურის თავისებური გამოვლენაა აჭარული სახლი და კარმიდამო, მთელი საცხოვრებელი კომპლექსი. მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებანი, რომლებიც მაინცდამაინც არ

---

[59] იქვე. გვ. 202.

[60] ყრცლად იხ.: **ნ. კახიძე**, მეფუტკრეობა აჭარაში (იბეჭდება წინამდებარე ნარკვევების მეორე ტომში).

[61] ტყიური მხალეულისაგან დღესაც მზადდება წვნიანი კერძები, მწნილები. ხალხი განსაკუთრებულ სამკურნალო თვისებებს მიაწერს დვალურას კერძებს. აჭარისა და მეზობელი შავშეთ-იმერხეთის მოსახლეობაში ცოცხლობს გადმოცემა „ლუკმანი აქიმის" (ლეგენდარული ექიმის) შესახებ. როდესაც მას აქაურ მთებში გამოუელია და დვალურა შეუნიშნავს, ხალხისათვის ასე უთქვამს: თქვენ ექიმი არ გჭირდებათ, ეს ბალახი ჭამეთ და ყოველგვარი დაავადებისაგან განიკურნებითო. დვალურას საკურნალო თვისებები, ცხადია, იმდროინდელი ადამიანისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. გიორგი მერჩულეს ცნობითაც კლარჯეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საკვები ყოფილა „მხალი ველისა", რომელიც იქ მრავლად მოიბოვებოდა (**ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, ტფილისი, 1930, გვ. 273). ჩვენი აზრით, გიორგი მერჩულეს აღნიშნული ცნობა სხვა ტყიურ მცენარეულთან ერთად დვალურსაც უნდა გულისხმობდეს. (შდრ.: **შ. ფუტკარაძე**, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 495).

[62] არქეოლოგიური მონაცემების გამოყენებით დ.ხახუტაიშვილმა ქობულეთის „ქვეყნის" მაგალითზე ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ადრერინჯაოს ხანის მოსახლეობის საშზაერულოს დახასიათება (**დ. ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ. გვ. 42).

[63] **ალ. რობაქიძე**, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. - ბსკიშ, I, ბათუმი, 1960, გვ. 13-16.

[64] **დ. ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

შეცვლილა ათასწლეულების მანძილზე, განაპირობებდა საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპების ნაირგვარობას ფაცხა სახლიდან და ჯარგვალიდან თანამედროვე ფიცრულ სახლებამდე. აჭარის ალპური საძოვრების ზონაში ფიქსირებული ძირთული ანუ ერთსართულიანი ჯარგვალი სახლი, როგორც ჩანს, ადრინდელი საფეხურია აჭარული სახლის ფორმათა განვითარებაში. ამასთან, ჭდობით ნაშენი ძირთული ჯარგვალი იყო ის ამოსავალი ფორმა, რომელზედაც განვითარდა ზედშედგმული ანუ ორსართულიანი ჯარგვალი.[65] ისპანის ნამოსახლარზე ნაპოვნი ამგვარი ჯარგვალური ნაგებობები ძვ.წ. III ათასწლეულს განეკუთვნება.[66] აჭარული სახლის ტიპები დღესაც შეიცავს იმ ძირძველ ტრადიციულ ელემენტებს, რითაც იგი ყურადღებას იმსახურებს საერთოდ დასავლურ-ქართული ძველი საცხოვრებელი ნაგებობების განვითარების საფეხურების დასადგენად. აჭარული სახლი საინტერესო სურათს წარმოაჩენს ძველი სახლთმშენებლობის ტრადიციების, აგრეთვე, ძველ საოჯახო ყოფისა და მეურნეობრივი თავისებურებების შესასწავლად.[67]

შორეული წარსულის რემინინსცენცია შეიძლება იყოს საოჯახო ყოფის ძველ ნორმებთან, ოჯახის წევრთა ურთიერთობებთან, მამისა და დედის ხაზით სისხლით ნათესაობასა და ხელოვნურ დანათესავებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (ბიძაშვილობა, ღვიძლი და გარებიძაშვილობა, დედოსახლი, საძმო სახლი, სამამო სახლი, მოგვარე, ნოგრო, ბუდობა, თესლი, ჯილაგი, ერთი მოდგმა, ერთი მოჯრა, მოძმე, გამრიგო, გვარის მოპარვა, ქალის გვარ'ზე დაწერა, ზედსიძე და სხვ.), რომელიც სალაპარაკო ლექსიკაში დღესაც ცოცხლობს.[68] ასევე უნდა ითქვას აჭარის სოფლის ცალკეული უბნებისა თუ გვარსახელების ეპონიმურ წარმომავლობაზე (ახველიენთი, აითიენთი, ვარდოსანიენთი, შიგირიენთი, ბაძიენთი, დარიენთი, ფლატიენთი, ლეგიენთი, ფიჭვათი, ქიტიენთი, ყორვანათი, გორგაველიენთი და ა. შ.).[69] რაც შესასწავლი პერიოდისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის გვარსახელთა არსებობაზე შეიძლება აგრეთვე მსჯელობა XII-XVIII საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროს - „ტბეთის სულთა მატიანეს“ მიხედვით.[70] აქ მოხსენიებულ გვართა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ნაწარმოებია ურ, ულ, ელ, აყი, ეთ, შვილ, ძე და სხვ. სუფიქსებით აჭარაზე, კერძოდ, მაჭახლის ხეობასა და ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილის სოფლებზე მოდის.[71]

ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების შეპირისპირებით შეიძლება აღვადგინოთ ხელოსნობის წარმოშობისა და განვითარების სურათი, რასაც საწყისები, აგრეთვე, ნეოლითურ ხანაში ეძებნება. არქეოლოგიურად ამ პერიოდიდან სახეზე გვაქვს ძერწვითი მეთუნეობა, ქვის სხვადასხვა სახის იარაღების დამზადება, ხით ხეროობა, რთვა-ქსოვა და ა.შ.[72] ბრინჯაოსა და

---

[65] **ალ. რობაქიძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 23; **ჯ. ბიქელაძე.** საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982 (იხ. შესავალი და თავი მესამე).

[66] **დ. სახუტაიშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[67] **ალ. რობაქიძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.

[68] **ალ. რობაქიძე.** მასალები ბატონიზმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში. -სდსკკ, II, თბილისი, 1974; **გ.ლ.მგელაძე.** ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973; მისივე. შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჭარულ ოჯახში. - ამკკ, თბილისი, 1967; **ნ. მგელაძე.** ნოგროს ნათესაური სტრუქტურა აჭარაში. - სდსკკ, XI, თბილისი, 1983; მისივე. ნოგროს სამეურნეო ერთიანობის ნიშნები აჭარაში. - სდსკკ, XII, თბილისი, 1986.

[69] **ალ. რობაქიძე.** დასახ. ნაშრ.; **გ.ლ. მგელაძე.** დასახ. ნაშრ.; **ნ. მგელაძე.** დასახ. ნაშრომები.

[70] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბილისი, 1977.

[71] **ი. სიხარულიძე.** მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკონის და ტოპონიმიკისათვის. - ასმშ, V, ბათუმი, 1961; **ნ.კაპანაძე.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულიდან, - ეურნ. „ჭოროხი“, 1978, №4.

[72] **დ. სახუტაიშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 35, 65.

ადრერკინის ხანაში ხელოსნობის ამ დარგებს ემატება ლითონების მიღება და დამუშავება.[73] ახალ საფეხურზე ადის ხელოსნობის ადრინდელი დარგები და საფუძველი ეყრება ახალს. ეთნოგრაფიული მონაცემები კი ხელოსნობის ჩამოთვლილი ძირძველი დარგების რიგ თავისებურებებს წარმოაჩენენ. აჭარაში მეთუნეობის უძველესი ტრადიციების მანიშნებელია ქალის წამყვანი როლი ამ დარგის წარმოშობა-განვითარებაში, აგრეთვე, ის ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებში შუახევის რაიონის ცენტრის სოფლებში (გორხანაული, კოლოშნარი და სხვ.) თხუთმეტი დასახელების თიხის ნაკეთობათა დამზადებას შეეხება.[74] ანალოგიურად, ხელოსნობის უძველესი ტრადიციების გამოძახილი უნდა იყოს ხის მრავალფეროვანი წნული ნაკეთობანი, რომლებიც დღესაც მზადდება და რომლითაც აჭარა და მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ისტორიულად გამოირჩეოდა. თიხისა და ხის ჭურჭლის გარეშე ვერც ის მოსახლეობა იარსებებდა, რომელიც საკვლევ ბერიოდში დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე სახლობდა.

საფეიქრო ხელოსნობის ცალკეულ სახეობათა (სელის, კანაფის და მატყლის ნაწარმი) ტრადიციებიც საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. აჭარაში სელის მოვლა-მოყვანის, მისგან ნართის, ქსოვილისა და ჩასაცმელის დამზადების წესები[75] ბუნებრივად ეხმიანება ცნობებს ანტიკური კოლხური სელის მაღალი ღირსებისა და დანიშნულების შესახებ.[76]

საყურადღებოა საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ცალკეულ დეტალებზე (ბოძები, ჭერი, აივანი) თუ საოჯახო მოხმარების საგნებზე (სკივრი, კიდობანი) შესრულებული ორნამენტის ნაირგვარობა, რომელთაც ბარალელები უძველესი ხანის ძეგლებში ეძებნება. ეთნოგრაფიული სახლის ინტერიერის ორნამენტაცია უფრო 150-200 წლის წინ აშენებულ სახლებს ახასიათებდა.[77] ორნამენტაციაში წარმოდგენილია გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული, ასტრალური მოტივები.[78] მცენარეულ ორნამენტში გვხვდება „სიცოცხლის ხის“ მოტივი, რომელიც ქართული (ლაზური) ორნამენტის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.[79] ჩამოთვლილ მოტივებში ჩაქსოვილი რწმენა-წარმოდგენები ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ წარსულს უკავშირდება.

აჭარაში შეკრებილია აგრეთვე ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებშიც ასახულია წარმართული დროის ხის, ცხოველის (ხარი, ძროხა), გველის, თევზის, წყლისა და მნათობთა კულტების გადმონაშთები, რაც გვეხმარება გავაშუქოთ უძველესი ბერიოდის ყოფისა და კულტურის მსოფლმხედველობის საკითხები.

აჭარის ბევრ სოფელში ჩაწერილია თქმულება-გადმოცემები მჭედლობის გაჩენაზე, პირველ მჭედელზე და პირველი სამჭედლო იარაღების გამოგონებაზე, მჭედლისა და რკინის კულტზე, რკინასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც ზოგადქართულ-

---

[73] ფ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65-74; ნ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1985, გვ. 71-77.

[74] ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, გვ. 60-62.

[75] ლ. ბოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 19-21; ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში (თავი VI. ფეიქრობა).

[76] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი , 1960, გვ. 27-30.

[77] ჯ. გარშალიშვილი, ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979, გვ. 36.

[78] იქვე (იხ. თავი „ხის ორნამენტის ძირითადი მოტივები“).

[79] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. - ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941.

კავკასიურ წარმოდგენათა ჩარჩოებში თავსდება.[80] საქართველოს სხვადასხვა კუთხის გადმოცემების ანალიზი (რაჭა, გურია, სამეგრელო, ქართლ-კახეთი) გვაფიქრებინებს, რომ ეს წარმოდგენები თავისი ხასიათით რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანას უნდა ემთხვეოდეს, რაც ძვ.წ. VIII საუკუნეზე მოდის.[81]

ამრიგად, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები ის წყაროებია, რომლებიც შეიცავენ როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ მონაცემებს აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უძველესი ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ.

დ. ხალხური სიტყვიერება

აჭარაში ადრიდანვე ილექებოდა მეგრულ-ჭანური, ტაო-კლარჯული, მესხურ-ჯავახური წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები, რასაც, ბუნებრივია, ერწყმოდა უახლოესი მეზობლების, განსაკუთრებით კი ბერძნების, რომაელების და სხვა ხალხთა ტრადიციების ელემენტებიც. ამ გარემოებამ რეგიონში სრულიად ბუნებრივად შექმნა მრავალფეროვანი და მდიდარი მასალა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა და მსოფლმხედველობის ყველა პერიოდის შესასწავლად. ამ მხრივ ხალხური სიტყვიერება ღირსშესანიშნავი უბანია.

ადრეული ხანის ფოლკლორული ჩანაწერების უქონლობა, ქრისტიანული რელიგიის ბრძოლა წარმართულ იდეოლოგიასთან და თურქთა სამასწლიანი ბატონობა გარკვეულწილად აძნელებს აჭარულ ფოლკლორში უძველესი შრეების გამოვლენას. მიუხედავად ამისა, ჩვენი ეროვნული ფოლკლორის არქაული ეანრების მიხედვით მეტ-ნაკლებად საცნაური და ახლობელი ხდება ის სამყარო, რომელიც ასაზრდოებდა ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობას. ეს არის სამყარო ქართული მითოლოგიური თუ საწესო-რიტუალური თქმულება-გადმოცემებისა და ლექს-სიმღერებისა, ხალხური ეპოსის რელიგიურ-მითოლოგიური პერსონაჟებისა თუ ცალკეული მოტივებისა, ბიბლიური თქმულება-გადმოცემებისა და სხვათა, რომელთა სწორი ანალიზი საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ადამიანთა აზროვნების ევოლუციას სამყაროს ამოცნობის რთულსა და ხანიერ გზაზე. როგორც მიუთითებენ, „...ამა თუ იმ ეპოქის კვალი გამქრალი და დაკარგული კი არ არის ზეპირსიტყვიერებაში, არამედ მხოლოდ აღმოსაჩენია“.[82] ამდენად, ქვეყნებისა თუ ცალკეულ კუთხეთა ისტორიული წარსულის შესასწავლად აუცილებელია ხალხური სიტყვიერების გათვალისწინება.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხში, საზოგადოების ყველაზე ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები და სიტყვიერი შემოქმედება შემონახულია მითოლოგიაში, რომელიც ორ უმთავრეს პერიოდს მიითვლის: ადრინდელი თემური საზოგადოების დარგობრივი, ანუ ბოლითეისტური ხანა და ფეოდალური საზოგადოების მონოთეისტური ეპოქა. წარმართობისდროინდელი ქართული ფოლკლორული ნიმუშები, ბუნებრივია, პირველ პერიოდს

---

[80] **ნ. კახიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 111-115; მისივე. მჭედლობასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები. ბსუ შრომები, IV, ბათუმი, 2002.

[81] **ო. ჯაფარიძე**, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. - თსუ შრომები, 49, 1953, გვ. 53-54.

[82] **ვ. ჩიქოვანი**, მითოლოგიური ლექსები და მათი კლასიფიკაცია. - ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბილისი, 1971, გვ. 113-114.

მიეკუთვნება და ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, ეროვნული ზეპირსიტყვიერების ერთ ნაწილში აშკარად შეიმჩნევა ის უძველესი ბლასტები, რომლებიც მოხმარებითი მეურნეობის საწყისი საფეხურის რწმენა-წარმოდგენებისაგან ადამიანის განთავისუფლებისა და ბუნების ჭეშმარიტი შემეცნების გზაზე დადგომის მაუწყებელია. ეს არის უანრობრივად მდიდარი მითოლოგიური ზეპირსიტყვიერება, მითოლოგიური საწყისის მქონე შრომის ლექს-სიმღერები, მაგიური დანიშნულების საწესჩვეულებო ბოეზია, ჯვარ-ხატობებში შესასრულებელი სადიდებელი და დასამწყალობელი ტექსტები და სხვა. ქართული წარმართობის შესწავლისას ზეპირსიტყვიერების სწორედ ეს უძველესი ნიმუშებია პირველწყარო. მათი ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას ქმნის უძველეს ეპოქათა ისტორიულ ვითარებაზე, საზოგადოებაზე, ურთიერთობებზე, მსოფლმხედველობაზე და სხვა.

აჭარის ზეპირსიტყვიერების ფესვების ძიებას მივყავართ ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის ადრეულ საფეხურამდე, როცა ყალიბდებოდა კლდეზე მიჯაჭვული გმირის სახე, ხოლო ადამიანის ძირითად საქმიანობას ნადირობა წარმოადგენდა. ეს არის უძველესი მითოსური აზროვნების ხანა, რომლის წიაღშიც შეიქმნა ჩვენი ეროვნული ეპოსის სიამაყე - ხალხური თქმულება ამირანის შესახებ, ანუ ე.წ. „ამირანიანი“.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ამირანის თქმულების 300-მდე ვარიანტია ფიქსირებული.[83] ამ თქმულებას მეტ-ნაკლებად იცნობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. იგი ცნობილია ორი ვერსიით (კოლხური და იბერიულ-კავკასიური), რომელთა გაფორმებაც წინ უსწრებდა ანტიკურ ხანას.

ამირანის ეპოსმა მრავალი ქარტეხილი გამოიარა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციის მსოფლმხედველობის მიხედვით გადამუშავდა. ამიტომაც მის მრავალრიცხოვან ვარიანტებში აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა ეპოქათა კვალი. ამირანი ხან ნადირთმპყრობელი ქალის პირმშოა, ხან - უმანკოდ ჩასახული გმირი, ხან - უსახელო მონადირის სიყვარულის ნაყოფი, ხან კი - უბრალო ადამიანთა შორის აღზრდილი ყრმა. ამასთან, ერთი რამ არის აშკარა: ამ ძეგლში „თვითონ ხალხი ირენს თავს თავისი ყოფით, ფიზიკური და სულიერი აღნაგობით, ისტორიული ბედით... ხალხი, რომელმაც განვითარების გარკვეულ საფეხურზე დღევანდელი ქართველური ტომები მოგვცა...“[84]

ამირანის თქმულებას გამორჩეული ადგილი უკავია არა მარტო ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, არამედ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიის, სარწმუნოების, სხვადასხვა ეპოქათა მსოფლმხედველობის შესასწავლადაც; მასში არეკლილია ქართველური მოდგმის ისტორია, სახელმწიფოებრიობა, ზნე-ჩვეულებანი, საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება.

ამირანოლოგიაში თავისი ადგილი მიეჩინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორში შემონახულ ვარიანტებს. როგორია ამ მხრივ აჭარის ზეპირსიტყვიერების წილი? განიხილავდა რა ამირანის თქმულების გავრცელების არეალს, მ.ჩიქოვანი წერდა: „ამირანის თქმულება ამ მხარეში (აჭარაში - თ.შ.) ჯერჯერობით არ არის ჩაწერილი... ადგილობრივი სიტყვიერების მცოდნეები იმასაც ამბობენ, რომ აჭარაში ამირანის წრის მოთხრობები არ არისო, მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებ დასაჯერებელია. ჩვენს ეჭვს ის გარემოება აძლიერებს, რომ აჭარაში, კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათში, ჩაწერილი არის ერთი ძველთაძველი

---

[83] თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, СПб., 1848, გვ. 7-8.

[84] მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 238.

თქმულება „რომპაპის“ სახელწოდებით, რომელიც იმერული „როკაპის“ ვარიანტია და ამირანის თქმულების ანალოგიურ მოტივებს შეიცავს. მათ შორის საერთოა გმირის მიჯაჭვის მოტივი“.[85]

აქ საუბარია თქმულებაზე, რომელიც ფორმით უფრო ჯადოსნურ ზღაპარს განეკუთვნება. იგი შეიცავს მოლაპარაკე თავის ქალისა და მისი საარაკო თავგადასავლის მოტივს: თავის ქალის დანაფქვავისაგან ფეხმძიმდება ქალი და შობს მითიურ არსებას, რომელიც გოლიათი გაიზარდა. მას „ჯერჯალს (რომპაპს) ეტყოდნენ“. გოლიათი რომპაპი ვერაფრით რომ ვერ დააკავეს, ზღვის ფსკერზე დააბეს პალოზე და შეუჩინეს „მაბზაკუნაი ჩიტი“. რომპაპი ცდილობს თავის განთავისუფლებას, აქანებს პალოს, მაგრამ მოთხრაზე რომ მიიყვანს, მიფრინდება ჩიტი, დაჯდება პალოზე და დაიწყებს კუდის ქანქარს. რომპაპს ჰგონია, პალოს ასობსო, აიღებს ურუს და შემოჰკრავს. ჩიტი გაფრინდება, ურო კი პალოს მოხვდება და კვლავ მიწაში ჩაასობს. ასე თავადვე იბამს თავს გოლიათი რომპაპ-დედჯალი. დასასრულს ნათქვამია: „ი რომ ეიხსნას, ქვეყანას დასწყევტს, მარა ღმერთის ბრძანებით, ქრისტე მოკლავს იმას“.[86]

ის ფაქტი, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში XX საუკუნის 40-იან წლებში დადასტურდა ამირანის ორეული, იმედს იძლეოდა, რომ საქართველოს ამ კუთხეში ამირანის თქმულების ახალ ვარიანტებს მიაგნებდნენ. მართლაც, ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულია 1959 წლის ზაფხულში მოპოვებული მრავალი თქმულება, რომელთა უმრავლესობაც ამირანის ორეულს „რომპაპს“ ან „დედჯალს“ უწოდებს. უმეტესობა ვარიანტებისა ძალ'ზე წააგავს ზემოგანხილულ თქმულებას და თითქმის ყველა ადასტურებს, რომ ლომპაპი\\რომპაპი\\დედჯალი უმანკოდ არის ჩასახული, აუცილებლად ვაჟია და საარაკო ფიზიკური ძალა გააჩნია, რის გამოც მას ჯაჭვით დაბამენ; ზოგიერთი გადმოცემა პირდაპირ იწყებს თხრობას დაბმული რომპაპის ახსნის მცდელობაზე და არაფერს ამბობს მის წარმოშობასა თუ დაბმის მიზეზზე. ხალხის რწმენით, რომპაპმა უნდა აიშვას, რასაც, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ყველაფრის განადგურება მოჰყვება; სხვა თქმულებებით, რომპაპი სამართალს გააჩენს.

სოფ. ახოში (ქედის რაიონი) ჩაწერილი ვარიანტის[87] თანახმად, დედჯალ-ოხრუჯი ზღვაში ერთ კუნძულზეა დაბმული რკინის ბალოთი და ჯაჭვით. მასთან მერცხლები მიფრინავენ ხოლმე და დედჯალი გამუდმებით ერთსა და იმავეს ეკითხება: - „ქალები ცხენზე შეჯდნენ თუ არაო?“ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ დედჯალი ამბობს: - „ნელ-ნელა მოდის ჩემი გაშვების დროვო“. თქმულების ამ ვარიანტშიც დასტურდება ხალხის რწმენა, რომ იგი აუცილებლად აიშვებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ქალები ცხენზე შესხდებიან. ქობულეთის რაიონის სოფლებში ცელქ გოგონებს უფროსები უსაყვედურებდნენ, „რა ლომპაპის ცხენებივით დარბიხართო!“ როგორც ჩანს, დედჯალ-რომპაპის, როგორც ავი, ბოროტი არსების, განთავისუფლება საზოგადოებრივი ანომალიის ტოლფასად აღიქმება. არც განთავისუფლების შემდეგ არის მოსალოდნელი მისგან სიკეთე, გარდა ძალმომრეობისა.

ამგვარად, აჭარის ფოლკლორის დედჯალ-რომპაპი ზოგიერთი მოტივის თანხვედრილობით სიახლოვეს ავლენს ამირანთან და ამიტომაც უწოდეს მას ამირანის ორეული, თუმცა იქვე გააიგივეს საქართველოს სხვა კუთხეების თქმულებათა დემონოლოგიურ პერსონაჟ როკაპთან.

[85] ვ. ჩიქოგანი. ქართული ეპოსი, წიგნი I, თბილისი, 1959, გვ. 41.

[86] ჯ. ნოლაიდელი. აჭარის ხალხური სიტყვიერება, II, ბათუმი, 1940, გვ. 160.

[87] ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, საქმე №26, გვ. 18 (შემდგომში მივუთითებთ შემოკლებით: ბსკიფა...).

ამირანისა და იმერული თქმულების როკაპის ფუნქციათა აღრევის შესახებ აზრი გამოითქვა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში.[88] ამ პრობლემის შესახებ აღინიშნა, რომ „...რომპაპი მიჯაჭვულ ამირანს მოგვაგონებს. შეცდომაა, რომ მას ზოგიერთები როკაპთან აიგივებენ. რომპაპი და როკაპი განსხვავებული სულებია. როკაპი აჭარელის წარმოდგენითაც ისეთივეა, როგორიც - გურულის. იგი, ძველი რწმენით, ქალია, რომპაპი კი უეჭველად კაცია“.[89]

1959 წელს ჯემალ ნოღაიდელს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში ჩაუწერია ამირანის თქმულების სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც თითქმის იმეორებს ამირანის კლასიკური ვარიანტების ეპიზოდებს; სოსო ბერიძეს კი შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში ჩაუწერია თქმულება სათაურით „დედჯალ-ოხრუჯი“, რომელიც, აგრეთვე, „ამირანიანის“ ერთ-ერთ სრულყოფილ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.[90]

აჭარული თქმულების ამირანიც მონადირისა და კლდის მობინადრე ოქროსთმიანი ასულის ბირმშოა; იგი დროზე ადრე დაიბადა, რადგან მონადირის ცოლმა მის ქმართან მძინარე ქალს თმა შეაჭრა. დედამ მონადირეს ჩააბარა ახალშობილი და დაუბარა, ირმის რძით გაზარდეო. მონადირე ასეც მოიქცა და ბავშს დედჯალი დაარქვა. მონადირეს კიდევ ორი შვილი ყავდა - ბადრი და იესოფი. დედჯალი სწრაფად იზრდებოდა და, თუმცა „ყველაზე უმცროსია, მარა ბირველი გადის დივეებთან ბრძოლაში“.

თქმულება მოგვითხრობს ძმების მიერ კოშკში მკვდარი გოლიათის ნახვაზე, მის დამარხვაზე, სამთავიანი დევის მოკვლასა და ყამარ ქალის ამბის შეტყობაზე, დევის თავიდან ამოსული ჭიების დანდობასა და მის სავალალო შედეგზე, ამირანის მიერ ყამარის მოტაცებასა და ყამარის მამასთან შებმასა და გამარჯვებაზე და ა.შ. აჭარული ვარიანტების მიხედვითაც, ამირანი ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირია, იგი ხალხს ემსახურება, მისდევს მჭედლობას. აშკარაა, აჭარულმა „ამირანიანმა“ ფრაგმენტულად შემოინახა ამ მითში წარსულში, ალბათ, ვრცლად ასახული მჭედლობის კულტი. თქმულების ეს ნაწილი საინტერესოა ძველ საქართველოში მჭედლობისა და საერთოდ ხელოსნობის ისტორიის, აგრეთვე, მიწათმოქმედების ადრეული საფეხურის შესწავლისათვის.

თქმულების დასასრულს, ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, ამირანი მიდის ნათლიასთან (მუსა ფეიღამბერთან) და სთხოვს, ვიჭიდაოთო. ნათლიამ გაკადნიერებული გმირი მიწაში დასობილ ჯოხზე დააბა და უთხრა: - „სანამ ქვეყნის დაქცევა არ მოახლოვდება, მანამ შენ აქ'ნა იყოვო...“ ამას მოსდევს თხრობა ამირანის მიერ თავის დახსნის ამაო მცდელობაზე.

ამირანის თქმულების ცხმორისული ვარიანტი მრავალმხრივაა საინტერესო. დასაწყისში ამირანი სამართლიანი, სიკეთისათვის მებრძოლი გმირია, ხოლო შემდეგ კადნიერდება, ნათლიასთან ჭიდილს გადაწყვეტს და ისჯება კიდეც. ამ ეტაპზე იგი ბოროტად, ავსულად ხასიათდება; ამასთან, თქმულების დასაწყისში მთქმელი მას ამირანს არ უწოდებს, დედჯალად მოიხსენიებს. მხოლოდ ამირანისა და დევების შებმის ეპიზოდის თხრობისას აგონდება გმირის სახელი: „ამირანი ჰქვია დედჯალსა“.

ამდენად, აჭარის ფოლკლორში ამირანის თქმულების ფიქსირება და დედჯალ-რომპაპზე არსებულ გადმოცემათა სიმრავლე მიუთითებს, რომ ისტორიულად აჭარაშიც, ისევე როგორც

[88] ალ. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, I, თბილისი, 1904, გვ. 31.

[89] ი. მეგრელიძე. ჯემალ ნოღაიდელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). - ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971, გვ. 21.

[90] ბსკიფა, საქმე №26, გვ. 43-49; საქმე №21, გვ. 94-99.

მთელს საქართველოში, უნდა არსებულიყო ამირანის თქმულების სრულყოფილი ვარიანტები; ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ იქვე, გურიაში, ამირანის თქმულების ათეულობით ვარიანტია დამოწმებული, ხოლო მესხეთ-ჯავახეთში, რომელთანაც აჭარის მოსახლეობა ყველაზე ახლოს იყო, ასევე, ამირანის თქმულების მრავალი ვარიანტია ფიქსირებული. სამწუხაროდ, ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის ხანაში, როცა მიზანმიმართულად იდევნებოდა ყოველი ეროვნული, იკრძალებოდა ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ამირანის მითის ცალკეული ეპიზოდები დავიწყებას მიეცა. ეს უსათუოდ იმანაც განაპირობა, რომ ამ ეროვნულ-პატრიოტულ, დაუმორჩილებლობის სულით აღბეჭდილ არქაულ თქმულებაში ქრისტიანული შრეებიც შეიმჩნეოდა. ალბათ, ამან გამოიწვია აჭარაში „ამირანიანის" მითოლოგიური სარჩულის რღვევა, საუკუნეთა განმავლობაში მისი სახის თანდათანობითი დავიწყება-დაკნინება და თანამედროვეთა მეხსიერებაში უკვე დემონურ პერსონაჟად (ლომპაპი\\დედჯალი) ქცევა.[91]

ამირანის თქმულება უძველესი ქართული მითია, ხოლო მითოსური სამყაროს დაშლა-დანაწევრება, ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენით მითიურ-წარმართული პერსონაჟების დეგრადირება და დემონურ არსებებად ქცევა მსოფლიოს ფოლკლორულ სინამდვილეში საყოველთაოდ აღიარებული მოვლენაა. როგორც მიუთითებენ, „იქ, სადაც მითოსს საფუძველი გამოეცალა, იგი ან საგმირო ეპოსს, ან ზღაპარს მიეკედლა, ანდა გადაშენების, დაკნინების გზით მიდის".[92] ქრისტიანიზაციის შედეგად უძველესი წარმართული ღვთაებების სახეთა დაკნინებისა და ბოროტ ძალებად შერაცხვის მაგალითებია ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები და თქმულება-გადმოცემები კუდიანების შესახებ.

აჭარაში ავსულებს ჯაზებს უწოდებენ, ხოლო მათ უფროსს რომპაპს, რომელიც კლდეზე ფოლადის სოლზეა მიჯაჭვული და აქის გამო ამირანის ორეულად გამოიყურება. ამ პერსონაჟების გააზრება'ში სხვადასხვა შეხედულება არსებობს: ზოგი როკაპსაც და რომპაპსაც ამირანის ორეულად მიიჩნევს, ზოგი კი კატეგორიულად მიჯნავს როკაპსა და ამირანს და მის ორეულად მხოლოდ აჭარული თქმულებების რომპაპს (დედჯალს) მიიჩნევს, რადგან როკაპი აუცილებლად ქალია, რომპაპი\\დედჯალი კი - მამაკაცი. რაც შეეხება სახელწოდებას („რომპაპი", „ჯერჯალი", „დედჯალი", „დედჯალ-ოხრუჯი"), მას ასე ხსნიან: „ჯერჯალი" და „დედჯალი" არაბულ თუ თურქულ ენებზე გადატანილი ქართული „ამირანდარეჯანიანია..." როგორც ჩანს, მაჰმადიანურ სამყაროს გაუცვნია თქმულება „ამირანდარეჯანიანის" შესახებ და „დარეჯანი" „ჯერჯალად" თუ „დედჯალად" მოუნათლავს და მისთვის შინაარსიც შეუცვლია. აჭარლებს, როგორც ირკვევა, როგორც ბოეზიაში დაავიწყდათ „ამირანის" სახელი, ასევე ხალხურ ბრობაშიც დავიწყნიათ „დარეჯანის" სახელი. შემდგომში ქართული მითოლოგიიდან არაბულსა თუ თურქულში შესული დარეჯანის სახელი „ჯერჯალისა" და „დედჯალის" სახით მიუღიათ."[93]

ამირანის თქმულების ვარიანტების შესწავლამ დაადასტურა, რომ ეს ძეგლი ქართველურ ტომებში ძვ.წ. I ათასწლეულზე ადრე შექმნილა. არქეოლოგიური აღმოჩენები ადახტურებს, რომ ბრინჯაოს ხანის ხელოვნებაში (მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს სარტყელი, ყაზბეგის განძი, თრიალეთური ვერცხლის თასი) ამირანის სახემაც ჰპოვა ასახვა. ყველაფერი ეს,

[91] ჯ. ნოლაიდელი, თქმულება „ამირანდარეჯანიანის" შესახებ. - ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971, გვ. 208-209.

[92] ელ. ფირსალაძე, მითი, - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბილისი, 1960, გვ. 348.

[93] ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

„ამირანიანის“ მრავალრიცხოვან ვარიანტებთან ერთად, დასტურია იმისა, რომ კლდეზე მიჯაჭვული გმირის სახის გენეზისს ქრისტიანობამდე ბევრად ადრეულ ეპოქამდე - ძვ.წ. II ათასწლეულამდე მივყავართ. ბუნებრივია, თქმულების ვარიანტების ჩამოყალიბება საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, რის გამოც მასში მეტ-ნაკლებად დაილექა თითქმის ყველა ეპოქის მსოფლმხედველობა.

საქართველოში გავრცელებული „ამირანიანის“ ვარიანტების მიხედვით, ამირანი და მისი ძმები მონადირეები არიან. მონადირეა მამაც (თუ მამობილი). ამირანის დედა ნადირობის ქალღმერთია, თვითონ ამირანი კი დედისეული ნიშნებით აღბეჭდილი გმირია, რაც იმისი დასტურია, რომ ქართველურმა ტომებმა ნამდვილად გაიარეს მატრიარქატის ეპოქა. თქმულების ცალკეული დეტალები ცხადყოფენ, რომ ამ ხანისათვის მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა იყო ნადირობა, მეთევზეობა და შემგროვებლობა; დადასტურდა, რომ ამირანის სახის შექმნაში მონაწილეობა მიუღია საქართველოს ყველა ეთნოგრაფიულ რეგიონს, მათ შორის - აჭარას.

მითური ელემენტები თუ წარმართული რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ არის შემორჩენილი აჭარის ფოლკლორში, თუმცა ბევრ მათგანს დაკარგული აქვს მითოსური ელფერი; ზოგი საბავშვო ფოლკლორის სხვადასხვა უბანს შეეხიზნა, ზოგი კი მითოლოგიზირებული საზღაპრო ეპოსისა თუ სხვა ჟანრების კუთვნილება გახდა. მართალია, ამ მასალამ მრავალი ეპოქა გამოიარა, მაგრამ მათში დღესაც აშკარად იკითხება უძველესი მსოფლმხედველობრივი სამყარო.

აჭარის ზეპირსიტყვიერება იცნობს წარმართულ ღვთაებათა უფროსი ჯგუფის თვალსაჩინო წარმომადგენელს - მონადირეობის ღვთაება ოჩოპინტრეს. 1959 წელს ჯ.ნოლაიდელს ქედის რაიონის სოფელ მერისში ჩაუწერია თქმულება, რომელიც მოგვითხრობს მონადირისა და ოჩოპინტრეს შეხვედრაზე.[94] როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თქმულებაშიც ოჩოპინტრეს დაკარგული აქვს ნადირთმპატრონის ფუნქციები და ავ. ბოროტ ძალად წარმოგვიდგება. მას სურს, დაღუპოს მონადირე, თუმცა შურისძიების მოტივი მკვეთრად გამოხატული არ არის. შესაძლებელია, იგი თხის მოკვლის გამო ისჯება, რაც თქმულების უძველეს ბირთვში აშკარად იქნებოდა გამოკვეთილი.[95] თქმულების ფინალიც იმაზე მიუთითებს, რომ მასში ოდესღაც სრულად უნდა ყოფილიყო ასახული ნადირთმპატრონისა და მონადირის ურთიერთობის დეტალები.

თქმულებები ოჩოპინტრესა და მონადირის შეხვედრაზე აჭარაში მეტად გავრცელებულია, ოღონდ არა „ოჩოპინტრეს“, არამედ „ტყის კაცის“ სახელწოდებით.

მონადირისა და ნადირთმპატრონი ქალის (მეწველ ირემთან მყოფი ტყის ქალის) შეხვედრისა და მონადირის მიერ ირმის მოკვლის, ხოლო შემდეგ მონადირისა და ნადირთმპატრონი კაცის (ტყის კაცის) შეხვედრის ფრაგმენტულ ეპიზოდებს შეიცავს აჭარაში გავრცელებული თქმულება „ავჯი ყარაჯა“;[96] ხოლო მონადირე ავჯი მემედისა და ნადირთმპატრონი ქალღმერთის დეგრადირებული სახის („ქაჯის ქალის“) შეხვედრაა მოთხრობილი თქმულებაში „ავჯი მემედი“:[97]

---

[94] ბსკოფა, საქმე №26, გვ. 96-97.

[95] ამ საკითხზე იხ.: ა. ჯაფარიძე, ქართული წარმართობა, თხზულებანი 12 ტომად, I, თბილისი, 1979, გვ. 124-128; ელ. ფირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 29-32; ს. ოაფდგარიძე, აჭარული სამონადირეო მითოსი, ბათუმი, 2004. გვ. 9-25.

[96] ბსკოფა, საქმე № 154, გვ. 2-4.

[97] ბსკოფა, საქმე №45, გვ. 41-43.

ტყის კაცმა არ აპატია ავჯი მემედს თხების დახოცვა და მისი მოკვლა მოისურვა. მემედს ტყის კაცის ახორის ერთ-ერთი თხა გადაარჩენს და პირობას ჩამოართმევს, რომ თავს დაანებებს ნადირობას. მემედმა სიტყვა გატეხა, ერთ თოვლიან დღეს სანადიროდ გაეშურა და დაიღუპა კიდეც.[98]

ამრიგად, ქართული ზეპირსიტყვიერების ნადირთპატრონი ქალი მატრიარქატის ეპოქის კეთილი ღვთაებიდან თანდათანობით იქცა პატრიარქატის დროის ბოროტ არსებად, ხოლო ამ ეპოქაში შექმნილმა კაცღვთაებამ შეითვისა წინა ეპოქათა მხატვრულ-მითოლოგიური სახე.

ნადირთპატრონის სახე შემორჩა, აგრეთვე, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ მითოლოგიურ თქმულებას „წერაქოთა“ („წერაქვეთა“).[99] თქმულების ერთ-ერთი ატრიბუტი - საკრალური ოქროს თასი, რომელიც წერაქვეთამ ტყის სულებს („ფერებს“) მოპარა, დაკავშირებულია სიცოცხლის საწყისთან, ქალური ბუნების ღვთაებასთან, რომელსაც ნადირთპატრონის ფუნქციაც ჰქონდა მიკუთვნებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წერაქვეთა კულტუროლოგიური გმირია, ხოლო მის მიერ მოპოვებული ღვთაებრივი თასი და წერაქვი კი ცივილიზაციის, კულტურის, კოსმოგონიური წესრიგის სიმბოლოებია.[100]

მითოლოგიის ერთი მძლავრი ნაკადია ე.წ. ეტიოლოგიური (ბერძნ. *αιτια* მიზეზი, *Λογος* - მოძღვრება) თქმულება-გადმოცემები, სადაც ნათლად აისახა ადამიანის უძველესი მსოფლმხედველობა, მცდელობა იმისა, რომ ახსნას ბუნების ამა თუ იმ მოვლენის, საგნისა თუ არსების წარმომავლობა. ზეპირსიტყვიერების ეს სახე დღესაც პოპულარობით სარგებლობს ჩამორჩენილ ტომებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თავისი არსებობის გარიჟრაჟზე ადამიანი ცდილობდა ჩასწვდომოდა ბუნების საიდუმლოებას.

აჭარის ფოლკლორულ სინამდვილეში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ამ ციკლის თქმულება-გადმოცემათა მითოსური საბურველი გაფერმკრთალებულია; ისინი ხშირად საბავშვო ფოლკლორის, კერძოდ კი ცხოველთა ეპოსის, შერეულ ნაწილს წარმოადგენენ და მათში უმთავრესად მოთხრობილია ცხოველთა და ფრინველთა წარმოშობაზე, მათ თავისებურებებსა და თვისებებზე; არაიშვიათად ეტიოლოგიური ეპიზოდები რელიგიურ თქმულება-გადმოცემათა ორგანულ ნაწილად გვევლინება და უშუალოდ უკავშირდება ამა თუ იმ ბიბლიურ სიუჟეტს. აჭარაში გავრცელებულ ლეგენდაში „ნოვეს გემი“[101] ზნეობრივ-რელიგიურ ეპიზოდებთან ორგანულად არის შერწყმული უძველესი ეტიოლოგიური რწმენა-წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რატომ ბზუის ფუტკარი, რატომ აქვს მერცხალს კუდი მოკვეცილი და რატომ იშენებს იგი ბუდეს ადამიანის სიახლოვეს.

ქართული მითოლოგიური ძეგლის „ხოგაის მინდის“ მოტივებს შეიცავს აჭარაში გავრცელებული თქმულება „როგორ გაჩნდა ექიმობა“[102], რომლის გმირს ლუყმან ექიმი ჰქვია.

---

[98] ამ საკითხზე იხ.: ელ. ჯორსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223; ს. თაგდგირიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 63-65.

[99] ბსკიფა, საქმე №68, გვ. 85-87. საქმე №278, გვ. 250-253. საქმე №182, გვ. 11-13. საქმე №20, გვ. 25-26.

[100] ს. თაგდგირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[101] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბილისი, 1990, გვ. 95-98. ამ საკითხზე იხ.: გ. ძანაშვილი, ნოეს კიდობნის ბინადრები. - ბსუ შრომები, VII, ბათუმი, 2005, გვ. 232-234; თ. შალიშვილი, კეთილისა და ბოროტის პრობლემისათვის (აჭარული წარღვნის ლეგენდის - „ნოვეს გემის“ - მიხედვით) - „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 223-226.

[102] ბსკიფა, საქმე №141, გვ. 1-5. დაბეჭდილია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბილისი, 1990, გვ. 98-100. ამ საკითხზე იხ.: ს. თაგდგირიძე, მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში, ბათუმი, 2001, გვ. 67-88; თ. შალიშვილი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა აჭარის მითოლოგიურ თქმულება-გადმოცემებში. - თ. შალიშვილი, ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წიგნი პირველი, ბათუმი, 2002, გვ. 147-154.

იგი გველის ნახარშის ძიღების შემდეგ ეზიარა სამკურნალო ხელოვნებას. ამავე დროს, ისევე როგორც ხოგაის მინდის, ლუყმან ექიმსაც „ბალახების, მცენარეების, ფრინველის, ცხოველების და ყველაფრის ლაპარაკი ესმოდა". ამ თქმულების სხვა ვარიანტით ("ეჯილლი ხემწიფის გოგო")[103], ლუყმანი მკურნალის სიბრძნეს ეზიარა განსაკუთრებული ფქვილისაგან გამომცხვარი ბურის ჭამის შემდეგ. ეს ფქვილი ზღვათა სამეფოდან მოიტანა ეჯილლი ხელმწიფის გოგომ და ადამიანებს მისცა როგორც დიდი სიკეთე. აჭარული თქმულების ლუყმან ექიმი, შუამდინარული ეპოსის გმირის - გილგამეშის მსგავსად, უკვდავების მაძიებელია. ეს თქმულებაც დასტურია იმისა, რომ სამყაროს შემეცნების გზაზე ჩვენი წინაპრების აზროვნებამ პოლითეისტურ-მითოლოგიური საფეხური გამოიარა.

უძველესი კოსმოგონიური წარმოდგენები აშკარად შეიმჩნევა აჭარაში გავრცელებულ სბავშვო გართობა-თამაშობად ქცეულ რიტუალებში. ამ მხრივ საინტერესოა ორი გუნდის პრინციპზე აგებული სბავშვო თამაშობა „გაწყვედია"\\„წყვედობილა". როგორც ამტკიცებენ, „გაწყვედია" ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულ თამაშთან „ნიშხა-ნიშხა-ბალბალუკა".[104] გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს თამაშობა ასახავს მზისა და გველეშაპის კოსმიურ-მითოლოგიურ ბრძოლას და შექმნილია „უძველეს წარმოდგენებთან დაკავშირებით, დღე-ღამისა და ბუნებრივი სეზონების ცვლის გამომხატველი ნათელი და შავბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ".[105]

ცეცხლის კულტისა და მასთან დაკავშირებული წარმართული რიტუალების გადმონაშთად გამოიყურება აჭარაში გავრცელებული სბავშვო თამაშობა „ცეცხლობია", რომელიც ქობულეთის რაიონში „ართოშანის" სახელითაა ცნობილი (შეადარეთ ირანულ „ატროშანს"). ამ თამაშშიც, რომლის მიზანია ცეცხლის მოტაცება, ორი გუნდი მონაწილეობს.

აჭარაში ბოლო დრომდე შემორჩა ცეცხლის შელოცვა, რომელიც „ცეცხლის შენახვას" ემსახურება. მასში დაცულია ციურ მნათობთა თაყვანისცემის არქაული წესი.[106] როგორც თავის დროზე აღინიშნა, ამ შელოცვაში „უბრალოდ მზის ამოსვლის ლოდინი არ უნდა იყოს მოცემული. აქ ცეცხლში მზე უნდა იყოს განსახიერებული და ცეცხლი, როგორც მზის ნაწილი და სითბოს მომცემი, მეორე დღეს მზის ამოსვლას გაუმჭრალი უნდა დახვედროდა". ამგვარად, „ცეცხლობიას" ცეცხლის შენახვა-დაცვისა და გატაცებული ცეცხლისათვის „ბრძოლის" ინსცენირების ანალიზს ისევ ამირანის მითთან მივყავართ.[107]

ამინდის მართვის ფუნქცია ასახულია ზოგადქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ სამეურნეო-აგრარულ ლექსებში, რომელთა დიდი ნაწილი მნათობთა კულტს უკავშირდებოდა და მათ სადიდებელ საგალობელს წარმოადგენდა. ანიმისტური მსოფლმხედველობის ამგვარი მაგიური რიტუალები და მათთან დაკავშირებული ლექსი-სიმღერები აჭარაშიც არის შემონახული. ამ მხრივ საინტერესოა ბავშვების გასართობად ქცეული „ლაზარობის" რიტუალი და მასთან დაკავშირებული ამინდის მაგიური მართვის შელოცვათა ვარიანტები. წარმართული დროიდან მომდინარე ამ უძველეს რიტუალს აჭარაში

---

[103] ბსკიფა, საქმე №207, გვ. 22-26. დაბეჭდილია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბილისი, 1990, გვ. 101-102.

[104] ნ. ნოლაიდელი, ხალხური სბავშვო თამაშობანი აჭარაში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VIII, თბილისი, 1966, გვ.64-65.

[105] გ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1941, გვ. 111.

[106] ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

[107] იქვე, გვ. 143-145.

ნათლად ატყვია სამი რელიგიის (წარმართული, ქრისტიანული, მუსულმანური) დანაშრევი. ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, აჭარაში ლაზარობის ორი სახეობა გამოიყოფა: წვიმისა და დარის (მზის) გამოსათხოვარი საგალობლები. ეს არქაული რიტუალები შემოინახეს, აგრეთვე, თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებმა ქართველებმაც.[108]

აჭარის ზეპირსიტყვიერებას შემორჩა ახალი მთვარის თაყვანისცემის რიტუალი და მასთან დაკავშირებული შელოცვის მრავალი ვარიანტი.[109]

ამინდის მართვის წარმართულ ჩვეულებას უკავშირდება, აგრეთვე, აჭარაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ე.წ. „ქაშატობა“ და „ორმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვა“.[110] ეს უკანასკნელი ძალზე წააგავს აჭარაში ჯერ კიდევ 1897 წელს ფიქსირებულ „ყურბანობას“,[111] რაც, შესაძლებელია, წარმართულ და მაჰმადიანურ რიტუალთა შერწყმას წარმოადგენდეს.[112] აღსანიშნავია, აგრეთვე, ე.წ. „ქვაკაცების“ კულტი და ზემო აჭარაში ფართოდ გავრცელებული ტრადიციული დღესასწაული „შუამთობა“. ამინდის მართვასთან დაკავშირებული ეს მაგიური რიტუალები ისეთი მოვლენებია, რომლებიც მიწათმოქმედების ადრეულ საფეხურთან კავშირში უნდა განვიხილოთ.[113]

მითოლოგიური ელემენტები შეიმჩნევა აჭარულ ნადურში დამოწმებულ წარმოშობით სხვადასხვა ჟანრის ლექს-სიმღერებში: „მშვიდობა“, „მთას ირემი დაწოლილა“, „ვაი, თუ მუხა წოწინაო“, „ვაი, თუ იელი იელობდაო“, „ელია თუ მელიაო“, „გველი ხრილსა მიძვრებოდა“, „ავთანდილ გადინადირა“, „ხელსვავი“, „შარშანდელსა ნაყანევსა“[114], „მოვიდოდა მშვიდობაო“ (ჯიქურა) და სხვა.[115] როგორც ფიქრობენ, „თვით უწყინარი შრომის პოეზიის ნიმუშებიც ძლიერ შორეულ წარსულში, მონისტურ რელიგიამდელ პერიოდში არსებობდა, მაგრამ სხვა ფუნქციურ ოვისებებს ატარებდა, ვიდრე დღეს.“[116]

აჭარული (ქობულეთური) ნადური სიმღერები, იმავე ციკლის გურულ ნადურებთან ერთად, ქართული ხალხური მუსიკის იმ უძველეს ნიმუშებს ვანეკუთვნება, რომელთა სათავეც ხელოვნების სინკრეტიზმშია საძიებელი. ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერების ამ უაღრესად საინტერესო მოვლენის არქაულობაზე მიუთითებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი.[117] ამგვარად, აჭარის ფოლკლორში დღეს არსებულ ზეპირსიტყვიერების გარკვეულ ნიმუშებსა და მათი შესრულების ტრადიციებს საზოგადოების შორეულ ისტორიულ ეპოქაში ეყრებოდა საფუძველი.

რაც შეეხება საწესჩვეულებო-მაგიური პოეზიის დარგებს, ისინი აჭარაში ბოლო დრომდე

---

[108] შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 81.

[109] ბსკიფა, საქმე №66, გვ. 203. დაბეჭდილია: ქართული ხალხური შელოცვები. კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო ა.შათოშვილმა, ბათუმი, 1994, გვ. 217.

[110] ჯ. ნოლიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 130-131; ზ. თანდილავა, ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბილისი, 1974, გვ. 11-19.

[111] ი. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 202-203.

[112] ჯ. ნოლიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 133-134.

[113] ზ. თანდილავა, ლაზარობა და „ქვაკაცები“ აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბილისი, 1974, გვ. 3-26; მისივე. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი, 1999, გვ. 78.

[114] ნ. თაგდგირიძე. ქალის გველთან ქორწინების მოტივი აჭარულ მითოლოგიურ ლექსში „შარშანდელსა ნაყანევსა“. - ბსუ შრომები, VI, ბათუმი, 2004, გვ. 119-130.

[115] ჯ. ნოლიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 91-111.

[116] ბ. ნიკოლაძე, ჯ. ბარამიძე. ფოლკლორისტული საქმიანობა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, -ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა, თბილისი, 1988, გვ. 47.

[117] ა. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.

მრავლად არის შემონახული. როგორც საერთოდ ზოგადქართულ ნიმუშებში, აქაც აშკარად შეიმჩნევა წარმართული ხანის დანაშრევები (ქრისტიანულთან და მაჰმადიანურთან ერთად).

ადამიანთა შემოქმედებითი აზროვნების ადრეული ეტაპის აშკარა კვალი აჩნევია, აგრეთვე, აჭარაში შემორჩენილ ისეთ რიტუალებს, როგორიცაა „ქათმის ფერხვა“ და „რწყილის გადალოცვა“.[118]

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დამოწმებულია ზოგადქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილი სამონადირეო ბალადების „ია მთაზედა“,[119] და „აეთანდილ გადინადირა“[120] ვარიანტები, რომლებშიც აშკარად შეიმჩნევა უძველესი მითური და საკულტო ელემენტები. მონადირეთა ციკლის ამსახველი ლექსები კი, როგორც მიუთითებენ, „სიძველის თვალსაზრისით... ყველაზე ადრინდელია. იგი ჩამოყალიბდა დარგობრივი მითოლოგიის ბაზაზე, რომელიც ჩვენში ქრისტიანობამდე არსებობდა“.[121]

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ფართოდაა გავრცელებული წყლის კულტის ამსახველი უძველესი მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები, რომლებშიც წარმოჩენილია მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი ბრობლემები, როგორიცაა: წყლის მაგიური ძალისადმი რწმენის ამსახველი მოტივები, წყლის ნაყოფიერების ფუნქცია, წყლის სტიქიის განმასახიერებელ მითოლოგიურ პერსონაჟთა ზოგიერთი ღვთაებრივი სახე და სხვა.[122] ამ წრის თქმულებებში კარგად აისახა ის როლი, რასაც წყალი (მდინარე, ტბა, ზღვა, წყარო) ასრულებდა ჩვენი წინაპრების ყოფაში.

წარმართული რწმენა-წარმოდგენების კვალი და მითოლოგიური ელემენტები უხვადაა წარმოდგენილი აჭარის უმდიდრეს საზღაპრო ეპოსში, გამოცანებსა და ანდაზებში, საბავშვო ფოლკლორის სხვადასხვა ნიმუშებში. ყველაფერი ეს დასტურია იმისა, რომ კაცობრიული აზროვნების გარიჟრაჟიდან დღემდე საზოგადოებამ შეტად რთული, ხანგრძლივი, ათასგვარი ქარტეხილებით აღსავსე გზა განვლო როგორც ყოფაში, ისე ცნობიერებაში. ამ ევოლუციის შუქ-ჩრდილებზე წარმოდგენას გვიქმნის საუკუნეთა მანძილზე თავმოყრილი, ერის სულიერ ქურაში გადამუშავებული ხალხური სიტყვიერი შემოქმედება. როგორც მიუთითებენ, წარმართული წარმოდგენები დიდხანს ცოცხლობდნენ ქართველ ხალხში... ბევრი მათგანი დღესაც გადმონაშთის სახით გვხვდება საქართველოს ცალკეულ კუთხეებში. ძველი წარმოდგენების გაძევების, მათი დავიწყების და ადამიანთა იდეოლოგიური ცხოვრებიდან ამოშლის პროცესი შეტად ხანგრძლივი და რთული იყო. ამ გზაზე ქართული წარმართობის მიერ გამომუშავებული ბევრი წარმოდგენა უკვალოდ დაიკარგა, ბევრი კი სახეშეცვლილი და ძირფესვიანად გადაეზრდენია. მათი ნაწილი მხოლოდ ქართულ მთას შერჩა, სადაც ნაკლები იყო ცენტრალური საეკლესიო ძალაუფლების გავლენა, ან შემოინახა ქართული ხალხური სიტყვიერების, მუსიკისა თუ ქორეოგრაფიის ძეგლებში, სადაც ისინი სახეთა მხატვრულმა სრულყოფამ და შთამბეჭდავმა ძალამ გადაარჩინა.[123]

---

[118] ჯ. ნოდიაძეული, დასახ. ნაშრ., გვ. 123-124, 126-127; აჭარის ხალხური პოეზია, I, თბილისი, 1909, გვ. 78.
[119] ბსკოფა, საქმე №17, გვ. 127.
[120] აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 41-42.
[121] ვ. ჩიქოვანი, ბალადა. - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, თბილისი, 1968, გვ. 138-139.
[122] ზ. თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი, 1996.
[123] ელ. ჯორსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

ამგვარად, ქართული ფოლკლორის ის არქაული ნიმუშები, რომელიც დღევანდელი აჭარის მოსახლეობაშია შემორჩენილი, შეიცავს უძვირფასეს მონაცემებს წინაქრისტიანული ხანის თემთა სულიერ სამყაროზე, რელიგიურ წარმოდგენებზე, სამეურნეო ყოფაზე და სოციალური ვითარების ცალკეულ მხარეებზე. რეგიონული ფოლკლორის ამ უბანზე დადასტურებული მრავალშრიანობა და მრავალგზის იერნაცვალი მოდელები საერთო ეროვნული საგანძურის ორგანული ნაწილი და ჩვენი წარსულის შესწავლის უძვირფასესი წყაროა.

Ე. ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲐ

ტოპონიმია მნიშვნელოვანი პირველწყაროა ამა თუ იმ ტერიტორიაზე მობინადრე მოსახლეობის წარსულის შესასწავლად, „...მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გარდმოცემის შუქი ვერ სწვდება.“[124]

აჭარა ამ თვალსაზრისითაც საინტერესო რეგიონია. უძველესი დროიდან მოკიდებული მის ტერიტორიაზე ქართველური მოდგმის არაერთ ტომსა და თემს უცხოვრია. ეს ხანა უძველეს წერილობით წყაროებში, მართალია, ბუნდოვნადაა ასახული, მაგრამ სამაგიეროდ მხარის გეოგრაფიული ნომენკლატურის არქაულ ფენას მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემები შემოუნახავს. იგი დიდ დახმარებას გვიწევს ამ ძირძველი ქართული კუთხის უძველესი მოსახლეობის შემადგენლობის, სამეურნეო ყოფის, კულტურისა და ცხოვრების სხვა მხარეების შესასწავლად.

აჭარის, განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირადაა წარმოდგენილი ზანური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეულ პერიოდში ეს ტერიტორია (ზღვისპირეთი) ზანურენოვანი ტომებით ყოფილა დასახლებული. ნ.მარი იმასაც კი ფიქრობდა, რომ მეგრელ-ჭანებით იყო დასახლებული შავი ზღვის სანაპირო სინოპიდან პანტიკაპეიონამდე.[125] ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, ძველი კოლხეთის მოსახლეობა სამ ქართველურ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს. დღევანდელი გურიისა და აჭარის ტერიტორიაზე დადასტურებული გეოგრაფიული სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ზანურის საშუალებით ხერხდება. მისი სიტყვით, ჯიხანჯური, ჭყონგვარი, ოჩხამური, კინტრიში და სხვა ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრელ-ლაზებს შეეძლოთ.[126] ასე მაგალითად, ოიკონიმ **ჯიხანჯურის** (ქობ.რ.) ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **ჯიხანჯარი**. იგი შედგება ორი სიტყვისაგან: ჯიხა („ციხე“) და ჯირი („ძირი“).[127] მაშასადამე, ზანური **ჯიხანჯარი** ქართულ „ციხისძირს“ შეესატყვისება.

ოჩხამურის (ოიკონიმი, ჰიდრონიმი-ქობ.რ.) ძირეული ნაწილია ზანური ჩხომ („თევზი“),[128] რომელსაც დართული აქვს ზანური პრეფიქსი ო (ქართული **სა** თავსართის შესატყვისი) და -ურ სუფიქსი, ე.ი. **ოჩხომურის** (ოჩხამურის) ქართული შესატყვისია „სათევზური“, „სათევზაო

---

[124] **ს. ჯანაშია**, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. - შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 117.

[125] **Марр Н.Я.**, Избранные работы, У, М-Л., 1935, с.25.

[126] **იგ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 420-421.

[127] **ზ. ჭუმბურიძე**, დედაენა ქართული, თბილისი, 1987, გვ. 539.

[128] **არნ. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 118.

ადგილი". ცხადია, პირველადია მდინარის სახელი, შემდეგ კი - მდინარისპირად გაჩენილ დასახლებასაც ასე ეწოდა.[129]

ტოპონიმი **ოჩორჩხი** (სოფ.დაგვა, ქობ. რ.) ადრე ტყის სახელი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი აღნიშნავს „საცოცხეს" (სა-ჩორჩხ-ეს).[130] ამ ტყეში, როგორც ჩანს, საცოცხე მასალას ამზადებდნენ.

ჰიდრონიმის **ონტოროთოს ღელე** (სოფ.ბობოყვათი, ქობ. რ.) პირველი ნაწილი **ონტოროთო** ზანური წარმომავლობისაა და მიღებულია „ტოროჯ" სიტყვისაგან. „ონტოროთს" ქართული „სამტრედე" შეესატყვისება.[131]

ტოპონიმი **წიფორი** ადგილთა სახელია სოფლებში: მოფრინეთი (შუახ.რ.), ქედლები და ოქრუაშვილები (ხულოს რ.). წიფორი (<წიფური), ჭანურ-მეგრული წიფური შეესატყვისება ქართულ წიფელს, წიფლნარს.[132]

ტოპონიმების **ოხორა** (სოფ.კვატიის უბანი, ხულოს რ.), **ოხორთი** (სოფ.სამოლეთი, შუახ. რ.), **ოხორათი** (სოფ.კურცხლები, ხულოს რ.) ძირეული ნაწილია ზანური **ოხორ** („სახლი").[133]

ოიკონიმ **ზენდიდის** (ქედის რ.), ასევე **ზენითოს** (ქობ. რ.) ამოსავალია ზანური **ზენი**. ამ სახელს ატარებს სამი სოფელი სამეგრელოში (ერთი სოფელი-ოჩამჩირის და ორი სოფელიც ხობის რ-ში).[134] ჭანური **ზენი**, მეგრული **რზენი** ქართულ „ვაკეს" შეესატყვისება,[135] ე.ი. **ზენდიდი**, „ვაკედიდი", **ზენითი** - ვაკე (ადგილი). თუმცა სოფ.ზენითი მთაგორიანია, მაგრამ შეიძლება თავდაპირველად აქ ამ სახელს რომელიმე პატარა ვაკე ადგილი ატარებდა, ხოლო შემდეგ აქ გაჩენილ დასახლებასაც ეს სახელი ეწოდა.

ოიკონიმ **კვარიათოს** (ხელვაჩ. რ.) ამოსავალი უნდა იყოს ზანური კვარია „ყვავი" (ხოფურში გვხვდება ყვარი, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში კვარი).[136] მაშასადამე, კვარიათი აღნიშნავს ყვავების ადგილს (შდრ. საყორნია, სამტრედია, საქორია, ჩხიკვთა, ყორანთა...).

აჭარაში დასტურდება რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, რომლის ძირეული ნაწილი, ან კომპოზიტის ერთი წევრი არის ზანური სკურ-ი („მდინარე", „წყალი", „ღელე").[137] მაგ., ქობულეთის რაიონში გვხვდება **სკურა** (ჰიდრონიმი, ოიკონიმი), **სკურდა** (ორონიმი, ჰიდრონიმი), **სკურია** (ტოპონიმი, კინტრიშის ხეობა), **ხინასკურა** (ჰიდრონიმი, სოფ. ბობოყვათი); ხელვაჩაურის რაიონში: **სკური** (ჰიდრონიმი, სოფ. ორთაბათუმი), **სკურდიდი** (სოფ. აჭარისაღმართის უბანი); ქედის რაიონში: ქალასკური (ტოპონიმი, სოფ. აგარა)...

ასევე დასტურდება ტოპონიმები, რომელთა ძირეული ნაწილი უკავშირდება ზანურ ოჩეს („ყანა").[138] მაგ.: **ოჩია** (ტოპონიმი, სოფ.ორცვა, ქედის რ.), **ოჩია** (ტოპონიმი, სოფ.ჩაო, ხულოს

---

[129] **ზ. ჭუმბურიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 486.

[130] ანალოგიური მნიშვნელობის სახელები უნდა იყოს: **საჩორჩხი** (ტყე, ს.ნაშონასტრევი, ქედის რ.), **ოჩორჩხინი** (ტყე, ს.ალაამბარი, ქობ. რ.), **საჩორჩხე** (ს.ზედა ჩხუტუნეთი, ხელვაჩ. რ.).

[131] **ო. კუკულაძე**, დეხვას ხეობის ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, III, თბილისი, 1981, გვ. 51.

[132] **არნ. ჩიქობავა**, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

[133] იქვე, გვ. 150.

[134] იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1977, გვ. 232.

[135] **არნ. ჩიქობავა**, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[136] იქვე, გვ. 108; მისივე, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 16.

[137] **ზ. ჭუმბურიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 502.

[138] **გ. როგავა**, დასავლეთ საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩამჩირე, ტყაური//ტყავრუ) შედგენილობისათვის. - თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1959.

რ.), **ოჩე** (ტოპონიმი, სოფ.ხაბელაშვილები, შუახ. რ.)...

ზანიზმებია აგრეთვე: **ონტაფური** (ჰიდრონიმი, ტოპონიმი, სოფ.წყავროკა, ქობ. რ.), **ონტოფო** (ტოპონიმი, სოფ.სიმონეთის უბანი, ხელვაჩ. რ.)... ტობი (მეგრ. ტოფი) მცირე ზომის თევზის ერთ-ერთი ჯიშია. ამასთან **ტობობა** ანუ **ტოფობა** (მეგრ. ტოფუა) ქვირითის დაყრას აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, **ონტოფო** (ო(ნ)-ტოფ-უ) უნდა ნიშნავდეს „სატოფეს“, ქვირითის დასაყრელ ადგილს. ბუნებრივია, ეს სახელი თავდაპირველად მდინარის ზეწელს უნდა რქმეოდა, შემდეგ კი - იქ გაჩენილ სოფელსაც ასე ეწოდა. ონტოფო ჰიდრონიმია ლეჩხუმშიც.[139]

ზანური წარმომავლობის ტოპონიმები მთელ აჭარაში გვხვდება, მეტწილად ქობულეთისა და ხელვაჩაურის, შედარებით იშვიათად - ხულოსა და შუახევის რაიონებში, ხოლო ქედის რაიონს ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, შუალედი ადგილი უჭირავს. ეს ტოპონიმები სადღეისო მონაცემებით შემდეგია: ქობულეთის რაიონში - **ოსთოჯირი, ონტაკეთი, კინტრიში, კინკიშა, ოხა-ხი, ობოდირი, ოხტომი, ოსინდალო, ონჩომია, ნაოჩვარი, ოჭყადური;**[140] ხელვაჩაურის რაიონში: **ქვაბიში, მოთქარიში, კიბეში, ბაკიში, ოჭიკარტი, ალიში, გვერდაში;** ქედის რაიონში: **ოჯინკალა, ოკიდალა, ოჭინარი, ოშიკაგი, ობური, ოჯინჯო, ოტოფენარა, სუჯუნეთი, ნაოჩეგი, ჭყანაში, ოტოფნარა, ჯეგიში** და ა.შ.

დასახელებულ ტოპონიმთაგან შეიძლება ყველა არ არის უძველესი წარმომავლობის, მაგრამ უმეტესობა გაჩენილი უნდა იყოს ამ მხარის, კერძოდ, მისი ზღვისპირა ზოლის ქართიზაციამდე.[141] ჩამოთვლილ ზოგიერთ სახელში ჩანს ზანური **ო** პრეფიქსი (ქართული **სა** თავსართის ექვივალენტი); ტოპონიმთა ნაწილი კი გაფორმებულია **-იშ** (ქართული **-ის** ფორმანტის ფარდი) სუფიქსით, რომელიც გვხვდება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.[142]

ზანური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები დადასტურებულია როგორც ზღვისპირა, ისე მთიან აჭარაში. ისტორიკოსების ვარაუდით, დღევანდელი აჭარის ზღვისპირა ზოლი თავდაპირველად ზანურენოვანი ტომებით იყო დასახლებული და აქ ზანური ტოპონიმე-ბის არსებობა სავსებით ბუნებრივია. მთის აჭარაში დადასტურებული ზანური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები კი აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის ზანებთან ხანგრძლივი კონტაქტებისა და შერწყმა-კონსოლიდაციის შედეგად უნდა იყოს გაჩენილი.

უძველესი წარმომავლობის ტოპონიმთაგან ზოგიერთი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ასეთია, მაგალითად, **გვარა**, რომელიც აჭარაში ორ სოფელს ჰქვია (ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ებში). საგულისხმოა, რომ მდ.ბზიფიდან მდ.ენგურამდე, მთებში, გვხვდება ყორულად ნაგები, გეგმაში ოთხკუთხედი ან ასიმეტრიული წრის ფორმის „ბაკები“, რომელთაც აფხაზები „წან-იგუარა“-ს ეძახიან, რაც „წანის (ჭანის) სადგომს“ აღნიშნავს.[143]

გუარა\\გვარა არის სადგომი „და რადგან ეს სადგომი, როგორც წესი, ბორცვზე იყო, ამიტომაც ბორცვს შეერქვა **გორა**“.[144] ერთი სიტყვით, **გვარა** იმ პერიოდის სახელი ჩანს, როცა ადამიანი გორებზე გვარებად, „სახლებად“ ცხოვრობდა და მათ, თითოეულ სახლს, საერთო ტოტემური სახელი გააჩნდა (ფრინველის, მხეცის და ა.შ.). სწორედ ამ პერიოდის სახელები

---

139 **ზ. ჭუმბურიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 483-484.

140 სახელწოდების ძირეული ნაწილია ზანური **ჭყადიდ//ჭკადიდ**, რომელიც ნიშნავს **გაწყვეტა**'-ს, **გაწყდომა**'-ს. იხ. **არნ. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 413-414.

141 **დ. ხახუტაიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა“, I, ბათუმი, 1995, გვ. 46.

142 **ალ. ონიანი**, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1979, გვ. 299-309.

143 წანიც „ზანისა და ჭანის ბუდეს ეკუთვნის“. იხ. **ს. ჯანაშია**, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. - შრომები, III, თბილისი, 1959, გვ. 14-15.

144 **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1990, გვ.56.

უნდა იყოს ყორანთა, აკაურთა, ჩხიკვთა, ლომთა და მისთანანი.[145] ასეთ სახელებს ისტორიულად უნდა ჰქონოდათ საზღვრული წევრი (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი...), რომელიც დროთა განმავლობაში უნდა დაჰკარგოდათ.[146] თუ აღნიშნული ლექსიკური მოდელები უძველესი წარმომავლობისაა, მაშინ აჭარაში დადასტურებული ანალოგიური წარმოების ტოპონიმებიც ამავე წყებაში უნდა განვიხილოთ. მაგ.: **ქორთა** (ს.ზესოფელი, ქედის რ., ს.ქიძინიძეები, შუახ. რ.), **ხართა** (ს.გორგაძეები, ხულოს რ.), **სხალთა, რაქვთა**[147] (სოფლები, ხულოს რ.), **კობალთა, წყართთა** (სოფლები, შუახ. რ.)... მაშასადამე, ამ ტიპის ტოპონიმებს არქაული ფორმა და შინაარსი შემოუნახავთ, ხოლო სახელწოდება **გგარა** უძველეს პერიოდში აჭარაში ე.წ. „გორული დასახლების" არსებობაზე მიუთითებს.

უძველესი უნდა იყოს ტოპონიმი **ხერთვისი** (სოფელი მდ.ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავთან, ადგილი ს.გარეტყეში,[148] ქედის რ.). საქართველოში რამდენიმე ხერთვისია. ამ სახელის მატარებელი ადგილები იმ ძირძველ ქართულ რეგიონშიცაა აღნუსხული, რომელიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია.

ძველ ქართულში **ხერთვის**-ით აღინიშნებოდა კუნძული.[149] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი **ხერთვისი** კუნძულია ან ნახევარკუნძული.[150] საბას განმარტებით, „ხერთვისი... ესე არს წყალთა და ზღვათა საშუალ ჭეული ადგილი, ჭალაკი, ჭეეთ **შესაყარი**".[151]

ა.შანიძის მიხედვით, ტოპონიმ **ხერთვისს** ჩვეულებრივ უნდა მოველოდეთ მხოლოდ იქ, სადაც მდინარე მდინარესაკ ან ზღვას მიერთვის.[152] სიტყვა „**ერთვის**" ზმნური ფორმაა, რომელთანაც ეტიმოლოგიური კავშირი აქვს ტოპონიმ ხერთვისს. მაშასადამე, **ხერთვისი** არ არის ისეთი წარმოების სახელი, როგორც **ის** სუფიქსიანი ტოპონიმები (არან-ის-ი, ბირთვ-ის-ი, ბოლნ-ის-ი..., სადაც ბოლოსართი **ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია). ტოპონიმ ხერთვისს დღეს შეესატყვისება ზმნა **ერთვის**, რომელიც ისტორიულად **ჰერთვის** ფორმისაგანაა ნაწარმოები. **ჰერთვის**-თან შედარებით **ხერთვის**-ი დიალექტური ფორმაა. ორივეს თავკიდური თანხმოვნები **ჰ** და **ხ** ობიექტის მესამე პირის ნიშნებია (ერთიმეორის ბგერისნაცვალნი).[153]

ტოპონიმიის ძველი ფენა უნდა იყოს **-ის**- სუფიქსით გაფორმებული ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: ქუთაისი, თბილისი, ბოლნისი, მანგლისი, შინდისი... აჭარაში ამგვარი მოდელის ტოპონიმები შედარებით იშვიათია, ასეთებია: ცხმორისი, ცხემლისი, ვარჯანისი, მერისი და ა.შ.

---

[145] იქვე, გვ. 58.

[146] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 114; **ვ. თოფურია**, გეოგრაფიულ სახელთა **-თა** სუფიქსისათვის ქართველში. - სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I (ვ.თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1956, გვ. 288.

[147] რაქვთა (<რაგვთა). სახელის ძირეული ნაწილი უნდა იყოს **რაგვ**. რაგვი (იმერ.) დაწნული ღობე, შემოღობილი, შემორაგული (ქვგლ). მართლაც, ეს სოფელი სამი მხრიდან მთებითაა „შემორაგული". როგორც ჩანს, სახელიც ამის მიხედვით ეწოდა.

148 ჩდებარეობს ურთხელის ღელისა და დიდღელის შესაყარში (იხ. **ი. ბასარულაძე**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი, 1958, გვ. 146).

[149] **ი. ბეგლაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

[150] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბილისი, 1964.

[151] **სულხან-საბა ორბელიანი**, თხზ., IV$_2$, თბილისი, 1966.

[152] **ა. შანიძე**, თხზ. II, თბილისი, 1981, გვ. 273.

[153] იქვე, გვ. 272-275.

ცხმორისი[154] (სოფელი, ქედის რ-ნი) პირველად მოხსენიებულია აბუსერისძე ტბელის თხზულებაში (XIII ს.).[155] ამ ოიკონიმის ამოსავალი უნდა იყოს მცენარის სახელი რცხილა, კერძოდ, მისი ზანური შესატყვისი ცხიმური, ცხემური.[156] რცხილას აჭარულში ცხემლას უწოდებენ. მისგანაა ნაწარმოები საგეოგრაფიო სახელი ცხემლისი (სოფელი, შუახ. რ.), ცხემლარა (ხელ. რ-ნი). ე.ი. ცხმორისი და ცხემლისი ერთი და იმავე წარმომავლობის ტოპონიმებია (შდრ. ცხემვანი<ცხემლვანი<ცხემლოვანი, სოფელი, ქობ. რ-ნი).

ვარჯანისი (სოფელი, ქედის რ.) და **ვარჯანული** (ქობ. რ.) ანთროპონიმული წარმომავლობისაა. პირის სახელი ვარჯანა დასტურდება დოკუმენტურად.[157] ანალოგიური სემანტიკის ტოპონიმები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება. მაგ., **თამარისი** (სოფელი, მარნეულის რ.), **ბებნისი** (სოფელი, ქარელის რ.) და სხვ. პირველ ოიკონიმს საფუძვლად უდევს პირის სახელი თამარი, მეორეს - ბებნა (შდრ. გვარი ბებნაძე. გვხვდება ქართლსა და მესხეთში).[158]

მერისი (სოფელი, ქედის რ.) ნაწარმოებია სახელისაგან **მერე**. საბას განმარტებით, „მერე არს მდინარის კიდე, ჭალა“,[159] ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მერე არის „წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი“.[160] მდინარის ნაპირის მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც გვხვდება აჭარულ დიალექტში.

-ის- სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები გენიტიურია მხოლოდ წარმოშობით, რადგან დღეს მათ გენიტივის გაგება აღარ აქვთ. ასეთ სახელებს ერთ დროს კონკრეტული საზღვრული უნდა ჰქონოდათ (დაბა, სოფელი, ციხე და სხვ.), მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაეკარგვია პირვანდელი ფუნქცია და დამოუკიდებელი გამხდარა.[161] ე.ი. ამ ტიპის სახელებში ბოლოკიდური -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო **-ის** - სუფიქსი.[162]

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ძველთაგანია როგორც **-ის** სუფიქსი, ისე მისი მეშვეობით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები (ტოპონიმები).

ტოპონიმიის უძველესი ფენის კუთვნილი უნდა იყოს მარტივფუძიანი ისეთი სახელი, როგორიცაა **კოხი** (სოფელი, ქობ. რ.). საბას მიხედვით, „**კოხი** ქვა, რომელი ცეცხლში არ დასქდების“.[163] აჭარულ დიალექტში **კოხი** აღნიშნავს სინოყივრეს მოკლებულ, გამოფიტულ ადგილს, მიწას.[164] გურულსა და რაჭულში კოხი არის „წვრილი სეტყვა“.[165] **კოხი** ქობულეთურ მეტყველებაშიც სეტყვის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ მოცემული ტოპონიმი (კოხი) (რომელიც დასტურდება აჭარის სხვა რაიონებშიც) ძირითადად გამოფიტულ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

---

[154] **ცხმორი** სოფელია ონის რ-ში (იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბილისი, 1977, გვ. 65).

[155] იხ. **ტბელ აბუსერისძე**, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ), ბათუმი, 1981, გვ. 10.

[156] იხ. **ალ. ჩაგაშვილი**, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991, გვ. 36.

[157] იხ. საქართველოს სიძველენი, II, ტფილისი, 1909, გვ. 249.

[158] **ა. ხალვაგაძე, ა.თოთოხაძე**, გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი, 1997, გვ. 40.

[159] **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1966.

[160] ქეგლ, V, თბილისი, 1958.

[161] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, §3. 114.

[162] მისივე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. საიუბილეო კრებული „თბილისი 1500“, თბილისი, 1958, გვ. 20.

[163] **სულხან-საბა ორბელიანი**, თხზ., I, თბილისი, 1965, გვ. 391.

[164] **შ. ნიჟარაძე**, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.

[165] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

აჭარაში დასტურდება წარმართული ხანის თუ ქრისტიანობის ადრეული პერიოდის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმები: ელიაწმინდა, მარიაწმინდა, მთავარანგელო...

ელიაწმინდა დადასტურებულია სოფ.ერგეში (ხელვაჩ. რ.) და სოფ.ყინჩაურში (ხულოს რ.), ხოლო **ელიას ცისა** - სოფ.აჭყვისთავში (ქობულეთის რ). ქართული თქმულებების მიმოხილვის შემდეგ ივ.ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ქართველი ხალხის აზროვნებაში წარმართობის-დროინდელ ღვთაებათა შორის წმინდა გიორგის პირველი ადგილი ეკავა და ყველაზე უფროს ღვთაებად ითვლებოდა, მეორე ადგილი შემოქმედ ღმერთს, ხოლო მესამე ელიას ეკუთვნოდა.[166]

ელია წვიმის მომყვანი ღვთაებაა ქართულ მითოლოგიაში. იგი ლაზარეს ორეულია და ხალხურ პოეზიაში მათ ლექსებიც საერთო აქვთ. დიდმა ღმერთმა ელია ცისა და ღრუბლების წინამძღვრად, სეტყვისა და წვიმის გამგებლად დაადგინა. მისი მრავალი საკულტო ადგილია საქართველოში.[167] ბუნებრივია, ასეთი ადგილები აჭარაშიც იყო, რაზედაც ნათლად მეტყველებს ზემოთ დასახელებული ტოპონიმები.

წმინდა ელიას ვინაობა აჭარაში დავიწყებულია, თუმცა ქობულეთის სოფლებში დღემდე შემორჩენილია მისი სახელი და ამინდის რიტუალთან მისი კავშირის ხსოვნა. აქ იტყვიან: „ელიობას ნისლი ან სოფელში დარჩება, ან მთაში წავაო".[168]

მარიაწმინდა ადგილის სახელია სოფ.ხერითვისში (ხელვაჩ. რ.). იგი დაკავშირებული უნდა იყოს მარიამ ღვთისმშობლის სახელთან, რომელიც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, იესო ქრისტეს დედაა.[169]

რამდენიმე გეოგრაფიული სახელის ამოსავალია მთავარანგელოზი, რომელიც, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, ზეციური არსებათაგანია. შემონახულია ტოპონიმები: **თავარანგელოზი** (სოფ.ხერითვისი), **თავრანგელი** (სოფ.მაღლაკონი), **მთავარანგელი** (სოფ.კირნათი) (ყველა ხელვაჩაურის რ.), **თარანგელი** (სოფ.წაბლანა, ხულოს რ.) და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმი **თეთროსანი**, რომელიც გვარა-ხუცუბნის (ქობულეთის რ.) საზღვარზე, მდ.აჭყვის მარცხენა ნაპირასაა. აქ დაცულია წმ.გიორგის საყდრის ნანგრევები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **თეთროსანი** წარმართული ხანის ტოპონიმია, რომელიც თეთრი გიორგის (იგივე წმინდა გიორგის) კულტთანაა დაკავშირებული.[170] ასეთი ტოპონიმები სხვაგანაც გვხვდება. მაგ. სვანეთში, კერძოდ, სოფ.შკედში ნასაყდრალს **თეთროსანი** ეწოდება.[171]

ამ სახელის ძირეული ნაწილია **თეთრ**, ხოლო **-ოსან-** სუფიქსია, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართავს და აღნიშნავს რაიმეს მქონებლობას: მანდილ-ოსან-ი, გვირგვინ-ოსან-ი, ორდენ-ოსან-ი...[172] ასეთივე წარმოებისაა **თეთროსანიც**.

---

[166] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზ. თორმეტ ტომად, I, თბილისი, 1979, გვ. 88-90.

[167] **ა. გელოვანი**, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1983.

[168] **ვ. გიორგაძე**, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, თბილისი, 1993, გვ. 52.

[169] **ა. გელოვანი**, დასახ. ნაშრომი.

[170] **ა. ოსელიანი**, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 47-54, 169, 242.

[171] იქვე. გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, კერძოდ: ხუცუბნის „ნასაყდრალის რაიმე განსაკუთრებულ წარმართულ ელფერზე მისათითებლად ვერც მისი სახელწოდება გამოდგება" (იხ. **ვ. გიორგაძე**, თეთროსანი. - გაზ. „საბჭოთა აჭარა", 18. VII, 1989).

[172] **ბ. ჯორბენაძე, ვ. კობალია, ვ. ბერიძე**, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1986, გვ. 353.

ვარაუდობენ, რომ ხის კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ტოპონიმები **კონდიდი** და **მუხაესტატე** (სოფლები, ქობ. რ.).[173] ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ხეთა მსახურების“ ნაშთი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში ახლაც არის შემორჩენილი. მეტადრე მუხის თაყვანისცემა იყო გავრცელებული. სამეგრელოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო მაჩვენებელია ზანური ოიკონიმი ჭყონდიდი, რომელსაც „დიდი მუხა“ შეესატყვისება. თავდაპირველად, უეჭველია, აქ მუხის კულტის სალოცავი უნდა ყოფილიყო, თუმცა ახლა მუხის მაგივრად დიდი ცაცხვი დგას. საყურადღებოა, რომ რკონის სამონასტრო კომპლექსშიც (კასპის რ.) ნასოფლარ რკონის მახლობლად თუმცა ცაცხვის ხეზე ლოცულობენ, მაგრამ სახელი რკონი მიუთითებს, რომ აქ ადრე მუხაზე უნდა ელოცათ.[174]

ჭყონდიდი და კონდიდი (←რკონდიდი) წარმომავლობით მუხას უკავშირდება. ასევე მუხას უკავშირდება ტოპონიმი მუხაესტატეც.

ამრიგად, აჭარაში შემონახული ტოპონიმები: კონდიდი, მუხაესტატე, ელიას ციხე, ელიაწმინდა... უეჭველად იმისი დასტურია, რომ აჭარა წინაქრისტიანულ ხანაში, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, წარმართული სარწმუნოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა უნდა ყოფილიყო.

ზღვისპირა აჭარაში დასტურდება ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმებიც, რომელთაგან ზოგიერთი ადრეულ ხანას მიეკუთვნება. ეს სახელწოდებები ადრეულ პერიოდში ბერძნულ-ქართული ხანგრძლივი ურთიერთობის პერიოდში უნდა გაჩენილიყო. ერთ-ერთი ასეთია ოიკონიმი ავგია[175] (1958 წლამდე ასე იწოდებოდა ხელვაჩაურის რ-ის სოფელი ახალსოფელი).[176] ფიქრობენ, რომ ავგიაში აისახა ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონაჟი - ავგიოსი (მახლობლად ფიქსირებულია ჰარპაზონის ქედი. შდრ. არგონავტების თქმულების ჰარპიები). მეორე მხრივ, ბერძნული ᾰγγεῖον შუქს, ციმციმს, ბრწყინვალებას აღნიშნავდა.[177] ავგია ამჟამად სოფ.ახალსოფლის ერთ-ერთი უბნის სახელია.[178] ეს ტოპონიმი აშკარად ბერძნული წარმომავლობისაა და ქრონოლოგიურად ძველია.

ამგვარად, დღევანდელი აჭარის გეოგრაფიული ნომენკლატურის უძველესი ფენა ქართველურია (ზანური და საკუთრივ ქართული). საყსებით ბუნებრივია, რომ ამ რეგიონის ტოპონიმები ისევე იწარმოება, როგორც სხვა ქართველური გეოგრაფიული სახელები. აქაური ტოპონიმიური მასალა ძვირფასი წყაროა აჭარის ტერიტორიაზე უძველეს პერიოდში ქართველურ ტომთა განსახლების დასადასტურებლად, მეურნეობის, მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების, ასევე სხვა ხალხებთან (მაგ., ბერძნებთან) ურთიერთობის შესასწავლად. იგი ღირსსაცნობია აგრეთვე ენის ისტორიის, კერძოდ, ქართული ენის აჭარული დიალექტის თავისებურებათა ზოგიერთი მხარის შესასწავლადაც.

---

[173] ა. ითსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[174] იგ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 93-95.

[175] შდრ. ბერძ. ἀγγεῖα - შუქი (მზისა), „ბრწყინვალე„, „მოციმციმე". ითქმის თვალებზე (იხ. ა. ფელო�n, დასახ. ნაშრ., გვ. 30).

[176] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობაში (თბილისი, 1977, გვ. 327) არის ᾰγγεῖον.

[177] ო. ლორთქიფანიძე, ო. მიქელაძე, მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიურ შესწავლისათვის. - საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, 6, 1960, გვ. 761-767; რ. სურმანიძე, არგონავტთა კვალი.- გაზ. „აჭარა“, 1995. წ. 3 ივნისი.

[178] თუ აღნიშნული სოფლის სახელწოდება თარგმნილია ბერძნულად, მაშინ მისი თავდაპირველი ქართული სახელი შეიძლება ყოფილიყო **შუაბრე** (ადგილი მზის მედეგი. - საბა).

თავი I
აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის[1]

აჭარის ისტორიულ გეოგრაფიაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება სრულყოფილი მეცნიერული საუბარი, რაც საქართველოს ეს უძველესი კუთხე შესწავლილი იქნება სათანადო საველე ექსპედიციების მიერ. საჭიროა, პირველ რიგში, აჭარის ცალკეული ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების გეგმაზომიერი, შეძლებისდაგვარად სრული გამოვლენა, აღრიცხვა და დათარიღება, მათი ფუნქციის გარკვევა და თანადროულ ძეგლთა შორის ურთიერთკავშირის დადგენა; შესწავლა აჭარის მეზობელი ისტორიული ბროვინციების ასეთსავე ძეგლებთან კავშირში და სხვ. ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, პეტრა-ციხისძირის და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალთა თანამშრომლების მიერ ამ მხრივ ფრიად სასარგებლო სამუშაოა შესრულებული. ჩატარებულია ზოგიერთი ასეთი ძეგლის არქეოლოგიური გათხრები თუ საველე დაზვერვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შეძლებისდაგვარად სრულადაა აღწერილი აჭარის ტოპონიმია, მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის ჩვენთვის საინტერესო კომპლექსური დიდი პრობლემის გადასაჭრელად. მხოლოდ ინტენსიური საველე კვლევა-ძიების შემდეგ გახდება შესაძლებელი აჭარის ისტორიული გეოგრაფიის დინამიური პროცესის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გაშუქება. ეს მომავლის საქმეა.

ამჯერად ჩვენი მიზანი გაცილებით მოკრძალებულია: არსებული მასალისა და გამოკვლევების საფუძველზე წარმოვაჩინოთ აჭარის ისტორიული გეოგრაფიის განვითარების ძირითადი ტენდენცია და ამ თვალსაზრისით დავსვათ ზოგიერთი არსებითი პრობლემა.

აჭარა, ფიზიკურ-გეოგრაფიული ასპექტით, ცალკე ოლქია, რომელიც გარკვეული გეოგრაფიული მიჯნებითაა გამოყოფილი მეზობელი მხარეებისაგან.[2]

აჭარის რელიეფისა თუ სხვა გეოგრაფიული კომპონენტების სპეციფიკა მნიშვნელოვანწილად აპირობებდა (და აპირობებს) ამ მხარის მოსახლეობის მეურნეობის თავისებურებებსაც.[3] ასე მაგალითად, ბარის ზონაში, ზღვისპირა მხარის წითელმიწა ნიადაგებზე ისევე, როგორც შიდამთიანი აჭარის ქვედა ზონის ყომრალ მიწებზე, ინტენსიური მიწათმოქმედებაა განვითარებული, ხარობს მრავალგვარი ხეხილი, ციტრუსები, ვაზი, ბოსტნეული კულტურა, ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, რასაც აღნიშნავენ XIX ს ავტორებიც.[4] ამასვე წერდა ვახუშტი ბაგრატიონი: „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი... და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა

---

[1] ეს თავი საერთოა ოთხივე ტომისათვის, რაც ისტორიულ-გეოგრაფიული კითარების თავისებურებებით აიხსნება. დ.ხ.

[2] აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის იხ. აქვე. შესავალი. §1 და §2.

[3] გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ. 36 და შმდ.

[4] Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тифлис, 1879, сс. 23, 42, 83; Воронов Ю.Н. Батумская область. - ИКОИРГО, XXI №1, 1911-1912, сс. 33, 34,

ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავალად".[5]

ადგილობრივი ვაზის ჯიშების გავრცელება შიდამთიან აჭარაში ზღვის დონიდან 1300 მ-დე აღწევს.[6] ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, „არს აჭარის ჭეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა".[7]

ინტენსიური მიწათმოქმედება ანალოგიურად ზემო აჭარაშიც იყო განვითარებული. აი რას წერდა, მაგალითად, გ.ყაზბეგი: „ზემო აჭარის მიწის ნაყოფიერება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: სიმინდი საშუალოდ ერთი ოცად, ერთი ოცდაათ, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის; ხორბალი კი - ერთი ათად. ამ მიზეზებისა და იმის გამოც, რომ სახნავ-სათესი მიწები ცოტა აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მარტო სიმინდს თესავს, ხორბალი მცირე რაოდენობით ითესება... ხილი უხვად არის, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი; ნაკლებად ყურძენი და ქლიავი. კაკლის ხე და განსაკუთრებით წაბლი მრავლად იზრდება მდინარეთა შუაწელის გაყოლებით".[8] უფრო ზედა ზონაში კი, მაგალითად, ღორჯომის ქვაბულში, „შედარებით უმნიშვნელოა მიწათმოქმედება, ამიტომაც მარცვლეულით არ ვაჭრობენ. ბურეულიდან უმთავრესად თესენ სიმინდს, ცოტა ქერსა და ხორბალსაც. ამჯობინებენ სიმინდს, რადგან იგი უფრო მოსავლიანია".[9] მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, მაინც ზემო აჭარაში ჰავის გამკაცრების შესაბამისად სიმინდის თესვა მთლად საიმედო არ იყო, რადგან ხშირად ყანებს ან გვალვა აზიანებდა, ანდა-ნაადრევი აცივება.[10]

სამაგიეროდ, „მესაქონლეობა ზემო აჭარაში ძლიერაა განვითარებული: სოფლებში-ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანაში, განსაკუთრებით კი ღორჯომსა და ნაღორევში (ნაღვარევში) ბირუტყვი, ძირითადად, მერძეულია".[11] განთქმულია არსიანის ქედის საზაფხულო საძოვრები: „არსიანის ქედი მთელ თავის სიგრძეზე ერთგვაროვანია. მისი ფართო თხემი ბრტყელ ზოლად არის გადაჭიმული და დაფარულია მდიდარი ალპური მდელოებით... ამ ალპური მდელოს ზოლის საშუალო სიმაღლე 8,000 ფუტია შავი ზღვის დონიდან; იგი ერთი მეტად ვრცელი საძოვარი ადგილია, რომელიც გაზაფხულიდან შემოდგომის დამდეგამდე მრავალრიცხოვანი ჯოგებითაა მოფენილი. საქონელი მოყავთ არა მარტო აჭარიდან, შავშეთიდან, ფოცხოვიდან და არტაანიდან, არამედ კახბრისა და ბათუმის მიდამოებიდანაც (ქურთები)".[12] ა.ფრენკელიც აღნიშნავდა, რომ „ბათუმის მოსახლეობა ზაფხულობით ტოვებს თავის სამოსახლოებს და გადადის მთებში. ეს გადაბარგება, ერთი მხრივ, იმიტომ ხდება, რომ გაერიდონ ძლიერ სიცხეს, რომელიც აუტანელია ქალაქში ზაფხულობით, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ მოსახლეობის კუთვნილი ჯოგები მთების თხემებზე ბალახობს და მხოლოდ იქ შეუძლია მოიპოვოს დიდძალი საკვები თავისთვის".[13]

ამგვარად, დღევანდელი აჭარის ტერიტორია, ფაქტობრივად, „მთისა" და „ბარის"

---

[5] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1997, გვ. 177.

[6] Нижарадзе Н.И., Джибути Н.М. Аджария, Батуми, 1978, с. 180.

[7] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[8] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

[9] იქვე, გვ. 35.

[10] Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 94. აღსანიშნავია, რომ სიმინდის კულტურა აჭარაში ვრცელდება XVII ს-დან (იხ.: ნ. ნიკარაძე, ნ. ჯიბუტი, დასახ. ნაშრ., გვ. 189); მან გამოდევნა მანამდე ფართოდ გავრცელებული ღომი (Бакрадзе Д. АПГА, с. 47).

[11] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 58; შეად. Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[12] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 54, 55, შეად. Лисовский В.Я. Чорохский край, вып. I, Тифлис, 1887, გვ. 73.

[13] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 61; Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 83, 97, 98.

ზონებად ყოფილა დანაწილებული არა მხოლოდ ფიზიკური გეოგრაფიის, არამედ ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისითაც, ანუ იმ მეურნეობრივი მნიშვნელობით, როგორადაც ეს ტერმინები - „მთა“ და „ბარი“ - იხმარებოდა ძველქართულ წყაროებში.

ცნობილია, რომ „უძველესი დროიდან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას, ამ მხრივ, უვენახობა, უხილობა და მარცვლეულის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი - სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“. საფიქრებელია, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი“.[14]

საქართველოს ისტორიულ-ეკონომიკური გეოგრაფიის კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსათვის და, კერძოდ, აჭარისთვისაც, არის, ვახუშტის ენით რომ ვთქვათ, „მთა-ბარის ახლორება“ (სიახლოვე).[15]

„მთისა“ და „ბარის“ ფიზიკურ-გეოგრაფიული სიახლოვე საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი სპეციფიკური ასპექტია და მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ისტორიული ევოლუციის პროცესის წარმოსადგენად. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ თავისებურებას ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის განვითარების გასაგებად. საქმე ის არის, რომ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულმა კვლევამ წარმოაჩინა საეროდ ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, რომელთაგან ერთ-ერთი გამოიხატება იმით, რომ „არათვითკმარი, სხვადასხვა ეკონიმიკის პირობებში სხვადასხვა გეომორფოლოგიური ერთეულები („მთა“ და „ბარი) ერთ „ქვეყად („ხევად“) ყალიბდებიან“.[16]

შიდამთიანი აჭარისათვის, რომლის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი უკვე ვიცით, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული კანონზომიერება განსაკუთრებით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო (ისევე როგორც მესხეთისათვის საერთოდ).[17] ამ მხრივ, ნიშანდობლივი უნდა იყოს ღორჯომისწყლის ხეობის თუ დიდაჭარის ხევის ვითარება.

მოვიტანთ გ.ყაზბეგის ჩანაწერს: „სოფელი ღორჯომი მდებარეობს მოედანზე, რომელიც საყველაფერდისა და რგვალმინდვრის ქედების განშტოებათა შორის არის მოქცეული ქვაბულის მსგავსად. ორივე ეს ქედი არსიანის მთების სისტემას ეკუთვნის.

სოფლის ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 5 ვერსია; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კი - 3 ვერსი. ეს ვრცელი ტერიტორია უკავია ჯგუფ-ჯგუფად გაშენებულ სახლებს, მათ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი ვერსი იქნება. სახლების ყოველ ჯგუფს თავისი სახელი აქვს მცხოვრებთა გვარის მიხედვით. ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, აქ არაა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. არამედ არის მხოლოდ თემი, რომელსაც ღორჯომს უწოდებენ...

ეკონომიკური თვალსაზრისით ღორჯომის მდებარეობა ყოველგვარ პირობებს ქმნის

---

[14] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფილისი, 1930, გვ. 294.
[15] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
[16] დ. ბესელიაშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 204.
[17] იქვე. გვ. 200-205.

უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. ყოველ ოჯახს აქვს სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი და ტყე. აქედან ჩანს, რას საქმიანობენ ღორჯომის მცხოვრებნი: მათი მეურნეობის ძირითადი დარგია მეცხოველეობა... მდელოებისა და საძოვრის სიუხვის გამო მთავარი სიმდიდრეა მსხვილი რქოსანი ბირუტყვი... შედარებით უმნიშვნელოა მიწათმოქმედება... ბურეულიდან უმთავრესად თესენ სიმინდს, ცოტა ქერსაც და ხორბალსაც...

ღორჯომის ქვაბულის ცალკეული წყაროები სოფლის ცენტრიდან დაახლოებით სამ ვერსზე ერთდებიან ერთ ახმაურებულ მდინარედ და გზას იკაფავენ ღორჯომის ქვაბულის ციცაბო კლდეებს შორის. აქედან ეს მდინარე მახლობლად მდებარე 120-კომლიანი სოფლის-დიდაჭარის სახელს ატარებს. მდინარეს დიდი ვარდნა აქვს, ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ გვხვდება ღორჯომიდან ერთი საათის სავალზე ვენახი. მცენარეულობა ყოველ ნაბიჯზე იცვლება. სოფელ დიდაჭარაში მსხალსა და ალუბალს უკვე გამოეღო ნაყოფი, მაშინ, როცა ღორჯომში მსხალი ჯერ კიდევ ყვაოდა...

სოფელი დიდაჭარა ბაღებშია ჩაფლული, ძლივს თუ დაინახავთ აქა-იქ ამოშვერილ სახლებს..."[18]

გ.ყაზბეგის ეს შესანიშნავი აღწერილობა ბრწყინვალე ილუსტრაციაა აჭარაში ვახუშტისეული „მთა-ბარის ახლორების" თვალსაჩინოებისათვის.

კერძოდ, ეჭვი არ არის, დიდაჭარის ხეობა ღორჯომის ქვაბულიანად ძველად „მთისა" და „ბარის" ერთიანობის შედეგად შექმნილი ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, „ხევი" უნდა ყოფილიყო ცენტრით, ალბათ, დიდაჭარაში (იხ. ქვემოთ).

ამ თვალსაზრისით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ის ფაქტიც, რომ გ.ყაზბეგის მოგზაურობის დროს (1874 წ) ღორჯომის (და, ალბათ, დიდაჭარის) თემის ცენტრი (სამუდირო) დიდაჭარისწყლის ხეობაში მდებარე დაბა ხულოში იყო.[19]

ასეთი მცირე „ხევები" ისტორიულ აჭარაში, ცხადია, არაერთი უნდა ყოფილიყო, რომელთა გაერთიანებაც უფრო დიდ „ხევებს" („ხეობებს") და „ქვეყნებს" ქმნიდა. შიდამთიან აჭარაში, რომელიც აჭარისწყლის აუზს მოიცავდა და ზემო და ქვემო აჭარად ნაწილდებოდა, სწორედ ასეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს ქმნიდნენ, როგორც ჩანს, ჩვენთვის უკვე ცნობილი ხევები, რომლებიც XIX ს წყაროებშია ჩამოთვლილი (იხ. ზემოთ). ზემო და ქვემო აჭარის საზღვრად კი ითვლებოდა სოფ.დანდალო აჭარისწყალზე: შუასაუკუნეებში „აჭარა დანდალოთ ზეითი" მტბევარის სამწყსოს მიეკუთვნებოდა, ხოლო „დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა".[20] ვახუშტი ბაგრატიონი აჭარაში ასახელებს „მცირე ქალაქის მზგავს დაბას, ქედას,"[21] რომელიც, ალბათ, სწორედ ქვემო აჭარის ცენტრად იგულისხმება. ხოლო, რაც შეეხება ზემო აჭარას, ძველად მისი ცენტრი როგორც აღვნიშნეთ, დიდაჭარა უნდა ყოფილიყო, გვიან საუკუნეებში კი - ხულო.

ვახუშტი ბაგრატიონი დღევანდელი აჭარის ზღვისპირა დაბლობ ტერიტორიაზე რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ასახელებს და აღნიშნავს: „ჩაქვის სამხრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოეთ კიდეზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი... ამას ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა არს ერგე, და ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე, არს გონია, მცირე ქალაქი და

[18] **გ.ყაზბეგი** დასახ. ნაშრ., გგ. 33-36.

[19] იქვე, გგ. 34.

[20] სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი და მწყემსნი, იხ. Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გგ. 81.

[21] **ვახუშტი** დასახ. ნაშრ., გგ. 135.

ციხე... ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. კვალად აბრეშუმი, ბანბა არა ეგდენ. ცხოვარნი მცირე და სხვა პირუტყვნი, თვინიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი".[22] ბოლო წინადადებით ცხადი ხდება, რომ „ბათომს, გონიას და ერგეს" ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ მნიშვნელოვან პუნქტებად (ქალაქებად, დაბებად) კი არ თვლიდა, არამედ პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებსაც გულისხმობდა, ანუ, ძველქართული წყაროების ენით რომ ვთქვათ, იგი გულისხმობდა „ბათომს", „გონიას" და „ერგეს" მათი „მიმდგომი ქვეყნებითურთ", კერძოდ, კი ყოროლისწყლის ხეობას (ბათომი), კახაბრის დაბლობს (ერგე)[23] და ჭოროხის სამხრეთ ვაკეს (გონია).[24]

ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სხვა შემთხვევაშიც ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, როდესაც ვახუშტი საუბრობს ჩაქვის ხეობაზე, რომლის ბოლოშიც „ზღვის კიდეს არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, კლდესა ზედა შენი, აქუს გვირაბი-კლდე, გამოკვეთილი გზად, ამას ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი",[25] უნდა ვიფიქროთ, აქ იგი ჩაქვის „ხევს", როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს გულისხმობდა, მიუხედავად იმისა, რომ „ქაჯეთის ციხეს" ანუ დღევანდელ ციხისძირს შეცდომით ამ „ხევში" ათავსებდა. როგორც ჩანს, ასევე უნდა გავიგოთ კონტექსტი ქობულეთის შესახებ: „აჭვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი".[26] ვფიქრობთ, აქაც ვახუშტი „მდინარე ქობულეთის" ანუ კინტრიშის „ხევს" გულისხმობდა ქობულეთის დაბლობიანად, ანუ ქალაქ ქობულეთის „მიმდგომ ქვეყანას". საინტერესოა, რომ გვიან საუკუნეებში, თურქული ადმინისტრაციის პირობებშიც, ჩურუქსუს ანუ იგივე ქობულეთის ნაპიერ მოიცავდა სწორედ მდ.კინტრიშის აუზს ქობულეთის დაბლობიანად, მდ.ჩოლოქიდან ციხისძირამდე.[27] ნიშანდობლივია, რომ ამ ტერიტორიას XIX ს ლიტერატურაში „Кобулетия" ეწოდება.[28] მართლაც, თვით ქართული საგეოგრაფიო სახელიც (ტერმინი) უნდა მოწმობდეს, რომ იგი მთელ მხარეს, „ქვეყანას" გულისხმობდა.

ნ. ხოშტარია წერდა: „ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ციხე პეტრა, ქალაქი პეტრა და კათედრა პეტრა ერთი და იგივე რაიონის - ქობულეთის ნაწილებია. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი, ხომ არ არის სახელი პეტრა-პეტრაი ბერძნული სახელი, რომელიც უდრის ადგილობრივ ქობულეთს. როგორც ირკვევა, ლაზურად სიტყვა ქობული და ქუაბული ნიშნავს ქვას („მრგვალ ქვას"). დაბოლოება - ეთი კი საქართველოში გავრცელებული ადგილის სუფიქსია (შეად. კლდეეთი, მახუნცეთი და სხვ.). ამგვარად, ადგილის სახელი ქობულეთი მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსების და არა მისი ეტიმოლოგიის მიხედვით შეიძლება გადათარგმნილიყო ბერძნულად, როგორც პეტრა და, განსაკუთრებით, პეტრაი (მრავლობითში). ამასთან დაკავში-

---

[22] იქვე, გვ. 176.

[23] „ერგე" რომ „ქვეყანაა", ეს ჩანს „ქართლის ცხოვრებიდანაც" (ქცა, II, გვ. 349).

[24] შდრ. **ალიბარულიძე**, ტოპონიმიკა, II, გვ. 5. „გონიაც" რომ ცალკე ქვეყანაა", ეს კარგად ჩანს, „სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავართა და მწყემსთა" ნუსხებიდან (იხ.: Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 81) და ეს უკვე შენიშნული აქვს **ალიბარულიძეს** (იხ. მისი ტოპონიმიკა, I, გვ. 30, 31). ცალკე კახას შეადგენდა გონიო თურქეთის მფლობელობის დროსაც (იხ.: Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 20).

[25] **ვახუშტი** დასახ. ნაშრ., გვ. 177.

[26] იქვე, გვ. 176.

[27] Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 14; Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[28] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 41; შდ. **ალიბარულიძე**, ტოპონიმიკა, II, გვ. 10.

რებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახ.წ. VI საუკუნიდან უკვე ცნობილი იყო მხარის სახელი ქობულეთი, მისი ცენტრი - ციხე იმავე სახელით, და აგრეთვე რომელიღაც დასახლებული პუნქტი, რასაკვირველია, მხარის ზღვისპირა ზოლში, სადაც იმავე სახელწოდების საეპისკოპოსო კათედრა იყო".[29]

ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე, მართლაც, არ არის გამორიცხული ბეტრა-ქობულეთის ურთიერთდაკავშირება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისტორიულად არ არსებობს საამისო საფუძველი. გარდა იმისა, რომ გამოთქმულია ბეტრა-ციხისძირის იდენტურობის საწინააღმდეგო მოსაზრება (იხ. ქვემოთ), რაც მისი გაპართლების შემთხვევაში, სრულიად აქარწყლებს ქობულეთის ბეტრასთან დაკავშირების შესაძლებლობას, არ გვაქვს არავითარი მინიშნებაც კი იმაზე, რომ ციხისძირს როდისმე ქობულეთი რქმეოდეს. მართალია, ციხისძირი „ქობულეთის ქვეყნის" (ჩურუქ-სუს) უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზეა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ შედიოდა ამ „ქვეყნის[4] შემადგენლობაში და ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის ცენტრს წარმოადგენდა. მაინცდამაინც, ციხისძირი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, როგორც ეს ნ.ხოშტარიას ეგონა, „ქობულეთის ქვეყნის" ცენტრი. ეს უკანასკნელი უძველეს ხანაში არც ვახუშტისეული „ქობულეთი - მცირე ქალაქი და ნავსადგური ფრიად კეთილი" უნდა ყოფილიყო, არამედ - დღევანდელი კურორტის აღმოსავლეთით ათიოდე კმ-ზე, მდ.კინტრიშის ნაპირას მდებარე სოფ. ქობულეთი, რომელიც „ქვეყნის" შუაგულშია.

თვით ქორონიმი, „ქობულეთი", მართლაც, ძველი უნდა იყოს. ქართული წყარო მოგვითხრობს: 1046 წ. „ბაგრატ (IV) აფხაზეთს იყო, მოადგა ანაკოფიას და მისწერა წასაღებად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი... უქადეს ქალაქი და უკმეს სასწრაფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა".[30]

კონტექსტიდან ჩანს, რომ აფხაზეთის ლაშქრის მეთაურია ვინმე ოთაღო, ჭაჭა ქუაბულელის ძე. ზედწოდება „ქუაბულელი" სწორედ „ქობულეთელს" უნდა ნიშნავდეს. თუ ეს ასეა, მაშინ აქ „ქობულეთის" უძველეს ხსენებასთან გვაქვს საქმე, რომლის მფლობელადაც ჭაჭა ქუაბულელი უნდა ვიგულისხმოთ. თავისთავად კი ივარაუდება, რომ „ქობულეთი" კიდევ უფრო ძველი ცნებაა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელი აჭარა, ფაქტობრივად, ორი მსხვილი ისტორიული „ქვეყნისაგან" შედგება: შიდამთიანი რეგიონისაგან, რომელსაც შეიძლება საკუთრივ „აჭარა" ვუწოდოთ და ზღვისპირა დაბლობისაგან, რომლის უდიდეს ნაწილს „ქობულეთი" ეწოდებოდა. ჩვენთვის უკვე ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერების საფუძველზე ამ ორ „ქვეყანას" („მთასა" და „ბარს") შორის უძველესი დროიდანვე უნდა არსებულიყო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა.

ეს უკანასკნელი კიდევ ერთი, აჭარისათვის დამახასიათებელი ისტორიულ-გეოგრაფიული

---

[29] ნ.ხოშტარია, ციხისძირი, თბილისი, 1962, გვ. 35. 1953 წ ნ.ხოშტარიამ ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგის განყოფილების სხდომაზე წამოაყენა მოსაზრება ბეტრა-ქობულეთის (ტერმინების) იდენტურობის შესახებ, რამდენადაც ერთიც და მეორეც ქვას, კლდეს გაუიგივა; ნ.ბერძენიშვილმა ეჭვი გამოთქვა „ქობულეთის" ამგვარ ეტიმოლოგიაზე და ეს ხორონიმი ქვაბულიძეთა გვარს დაუკავშირა ისევე, როგორც „კლდეეთი" კლდიაშვილების გვარს (შდ. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 439). როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას ნ.ხოშტარიას ცოტა უცნაური გამოთქმა, რომ „ქობულეთი მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების და არა მისი ეტიმოლოგიის მიხედვით შეიძლება გადათარგმნილიყო ბერძნულად, როგორც ბეტრა" (ანუ იგივე ქვა, კლდე).

[30] ქცა. I, გვ. 299.

ფაქტორით იყო გაპირობებული: საქმე ის არის, რომ, როგორც ისტორიული წყაროები, ისე XIX ს მოხელე-მოგზაურთა აღწერილობებიც და თანამედროვე ეკონომიკურ-გეოგრაფიული ვითარებაც, თანხმობრივ ადასტურებს აჭარაში სახნავ-სათესი საკარგულების დიდ სიმცირეს.

აი, რას გვაუწყებს, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრანტოიანი; მთიანი-ტყიან-ნადირიანი“.[31]

XIX ს სტატისტიკური მონაცემებიც, უკლებლივ ყველა, მიუთითებს აჭარაში მიწის სიმცირეზე. კინტრიშის ზემო წელის ხეობისათვის, მაგალითად, ამას აღნიშნავდა დ.ბაქრაძე.[32] ასეთივე მდგომარეობაა საკუთრივ აჭარისწყლის აუზში,[33] და საერთოდ, ჭოროხის მხარეში,[34] რაც დასტურდება ძველქართული წყაროების მონაცემებითაც.[35] ასეევა დღესაც.[36]

ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა პქონდა არა მხოლოდ აჭარის ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ მისი ისტორიული გეოგრაფიისათვისაც.

მართლაც, ვითარებას, როდესაც შიდამთიანი აჭარის მოსახლეობას არ შეეძლო საკუთარი სამიწათმოქმედო ბროდუქციით თავისი თავის სრულად დაკმაყოფილება,[37] ცხადია, უძველესი დროიდანვე უნდა გამოეწვია მისი მიდრეკილება ხელოსნობისა და ვაჭრობისაკენ.[38] კერძოდ, ინტენსიური ვაჭრობა წარმოებდა, ერთი მხრივ, ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის, მაინც-დამაინც, მთისა და ბარის ზონებს შორის, მეორე მხრივ-მეზობელ მხარეებთან. XIX საუკუნის ვითარება საამისოდ კარგი ილუსტრაციაა: თუ ბათუმისა და მისი მახლობელი სოფლების შინამრეწველობის პროდუქცია (მაუდი, შალი, სპილენძისა და ვერცხლის ნაკეთობა) პროვინციაში საღდებოდა,[39] სამაგიეროდ შიდამთიანი აჭარის ხეხილი და მეცხოველეობის პროდუქცია (ძირითადად კარაქი, ყველი) ბათუმის ბაზარზე სიმინდზე და პურზე იცვლებოდა.[40] აჭარული ყველის სიკეთეს ვახუშტიც აღნიშნავდა.[41]

საკმაოდ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა პქონდა აჭარას საქართველოს სხვა კუთხეებთანაც. ასე მაგალითად, ძველად, როგორც ირკვევა, აჭარლები ქვამარილის დიდ დეფიციტს განიცდიდნენ და იგი ახალციხიდან და ზღვისპირა გურიიდან (შეკვეთილი) შემოპქონდათ.[42] ზემოაჭარლებს გურიაში სომლიის გზით გასაყიდად გაქონდათ ყველი, კარაქი, ცხვარი, მსხვილფეხა საქონელი, ყურძენი, ხოლო ხილით ვაჭრობდნენ ახალციხესთან, ახალქალაქთან, არტაანთან და ალექსანდროპოლთანაც კი. ახალციხე-ახალქალაქიდან შემოპქონდათ მარილი და პური.[43]

---

[31] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[32] Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[33] Бакрадзе Д. Заметка о батумской области. - ИКОИРГО, VI, №2, 1880, с. 156. გაფაზეული. დასახ. ნაშრ., გვ. 65, 57; Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 83, 84.

[34] Лисовский В.Д. იქვე; Левашов Н. Заметка о пограничной линии и зоне на расстоянии от берега Черного моря до города Артвина, -ИКОИРГО, VI, №2, с. 238; ადგილობრივ, საერთოდ, ბათუმის ოლქს ახასიათებს როგორც მთიან ქვეყანას, სადაც სრულიად არ არსებობს ფართო (привольные) ადგილები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის (იხ. Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 130).

[35] დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 201-203.

[36] ნ.ნიორაძე, ნ.ჯიბუტი. დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[37] Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 83; Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[38] Вейденбаум Е.Г. От Батума до Артвина, -ИКОИРГО, VI, №2, с. 184.

[39] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 24; Бакрадзе Д. АПГА, с. 61.

[40] Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 87, 109; Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 95, 99.

[41] ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[42] Бакрадзе Д. АПГА, с. 50.

[43] იქვე, გვ. 97; გაფაზეული. დასახ. ნაშრ., გვ. 58; Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 106, 109.

ეს უკანასკნელი ბათუმში შემოჰქონდათ არტაანიდანაც.[44] ბორჩხა ამარაგებდა ბათუმს და ჭოროხის ზღვისპირეთს კერამიკული ნაწარმით (ჭურჭელი, კრამიტი, აგური).[45] საერთოდ, ჭოროხის ხეობა ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმთან.[46] მარადიდში, ჭოროხისპირა სოფელში იცოდა ბაზრობა, სადაც ბარასკეობით დიდძალი ხალხი იკრიბებოდა ქვემო აჭარიდან და განსაკუთრებით მაჭახლის ხეობიდან.[47] ამავე დროს, მარადიდელების მთავარი საქმიანობა ნავთმშენებლობა იყო.[48] სწორედ ნავებით ხორციელდებოდა ეკონომიკური კავშირები ჭოროხის ხეობაში ართვინიდან კაპანდიბამდე (ერგეს ქვემოთ), სადაც აგრეთვე ბაზარი იყო.[49]

ცხადია, მთელი ეს საკმაოდ ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა სათანადო გზების არსებობასაც გულისხმობდა. მართლაც, აჭარა დასერილია სავაჭრო-სამიმოსვლო კომუნიკაციებით, რომელთაგან მთავარია ბათუმ-ახალციხის მაგისტრალი, რომელიც მთელ აჭარას ჰკვეთს შუაზე და გოდერძის გადასასვლელით სამცხესთან აკავშირებს.

აჭარის გეომორფოლოგიური სპეციფიკა აბირობებდა გზების პროფილსაც. გ.ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ „არსიანის ქედის და ზემო აჭარის ხეობების ხასიათმა განაპირობა სამიმოსვლო საშუალებების, ასევე გზების თავისებურებაც: მაშინ, როდესაც ალპური მდელოების ზოლში უგზოდაც დაუბრკოლებლად შეიძლება მიმოსვლა ყოველი მიმართულებით, ხეობებში მხოლოდ მდინარეთა დინების მიმართულებით თუ იმოძრავებ. გზები განსაკუთრებით მოსახერხებელია მხოლოდ ქვეითად მოსიარულისა და საპალნე ბირუტყვისათვის, ზოგან კი არც ერთისა და არც მეორისათვის არ გამოდგება. მაშასადამე, ბორბლიანი ტრანსპორტის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია“.[50]

უგზოობას, არსებული გზების უვარგისობას და სახიფათოობას XIX ს ყველა მოგზაური აღნიშნავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი (გზების) ასეთი მდგომარეობა გვიანი საუკუნეების ბერმანენტული ძნელბედობის შედეგია. ძველად კი, კერძოდ, საქართველოს ფეოდალური მონარქიის აყვაყების პერიოდში და უფრო ადრეც, მდგომარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

ამის მოწმობა უნდა იყოს მკვიდრად ნაგები თაღიანი ხიდების დიდი რაოდენობა, რომელიც დადასტურებულია მთელს ჭოროხის აუზში და კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზეც. მარტო აჭარისწყალზე ვ.ლისოვსკი თერთმეტ ასეთ ხიდს მიუთითებდა.[51] გარდა ამისა, დ.ბაქრაძე აღნიშნავდა აჭარაში გზის ძნელადსავალი მონაკვეთების კეთილმოწყობის ძველ ტრადიციას.[52] ყველაფერი ეს გვარწმუნებს ძველად გზების მდგომარეობის გამო საგანგებო მზრუნველობაზე, რაც, ცხადია, ცხოველ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობას გულისხმობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის.

ამგვარი გზებით ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მარტო შიდამთიანი

---

[44] Вейденбаум Е.Г. დასახ. ნაშრ., გვ. 187.

[45] იქვე. გვ. 185; Левашов Н. დასახ. ნაშრ., გვ. 242.

[46] Левашов Н. დასახ. ნაშრ., გგ. 205, 208, 220, 221.

[47] იქვე. გვ. 242.

[48] იქვე; Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[49] Вейденбаум Е.Г. დასახ. ნაშრ., გგ. 184.

[50] **გ.ყაზბეგი**. დასახ. ნაშრ.. გვ. 58.

[51] Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 14; იხ. აგრეთვე **შ.ბურსიძე**. დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი და ციხე-კოშკი. - ამშ., IV, 1960, გვ. 17-21.

[52] Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გგ. 42.

აჭარა ზღვისპირა დაბლობთან (მაგალითად, გზა ხულოდან ზემო ხინოზე კინტრიშის ხეობაში.[53] ან ქედადან-ჩაქვისწყალში, ხოლო მახუნცეთიდან - ყოროლისწყალში), არამედ აჭარა არტაანთან, ფოცხოვთან, ახალციხესთან, გურიასთან,[54] ნიგალისხევთან (ართვინთან) და შავშეთთან. ერთ-ერთი ასეთი ძველი გზა ჩვენ დავამოწმეთ ტბეთში (შავშეთი) 1996 წ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს (სათლელი-ველიტბეთი-დანაკეთილი-წიწვეთი-გარყლონი-შავი მთა-ძიქელეთი-ჯნალი-ყვირალა-აჭარა)[55].

საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან აჭარის დამაკავშირებელი გზების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც ჩერდება საგანგებოდ: აჭარას „მზღვრის აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამხრით აჭარასა და ლიგანისხევს შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩრდილით მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას".[56]

გზა-გადასასვლელების სიმრავლე, რა თქმა უნდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ გაცხოველებული ურთიერთობის მოწმობაა. ამ გზებით მოძრაობდნენ არა მხოლოდ ვაჭრები სავაჭროდ ან მხედრები საომრად, არამედ ბერებიც კულტურული მისიით და ხელოსნებიც საარსებო საშუალებათა ძიებაში.

შიდამთიანი აჭარისათვის დამახასიათებელი სახნავ-სათესი ფართობების სიმცირე, რაზედაც ზემოთ უკვე მივუთითებდით, მხოლოდ გარკვეული ოდენობის მოსახლეობის გამოკვების საშუალებას იძლეოდა. XIX ს ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მაინცდამაინც აჭარაში მუშახელის რაოდენობა არაპროპორციულად დიდია სახნავ-სათესი მიწის ფართობთან შედარებით და ეს დისპროპორცია იმით იყო ანაზღაურებული, რომ ზედმეტი მუშახელი დასაქმებას ბოულობდა მესაქონლეობაში.[57]

ნაწილი მოსახლეობისა ხელოსნობით ირჩენდა თავს. ჩვენ უკვე ვიცით (იხ. ზემოთ), რომ სოფ.მარადიდის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა, ვაჭრობასთან ერთად, ნავთმშენებლობა იყო. ნავები გამოიყენებოდა ჭოროხზე, ართვინიდან კახაბრის ველამდე რეგულარული ვაჭრობისათვის. ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ აჭარაში არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა",[58] რაც ადასტურებს, რომ აჭარაში ხითხუროობა ყოფილა განვითარებული. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ვიცით, რომ კიდევ უფრო ძველად აჭარა ქვითხუროობითაც ყოფილა ცნობილი.[59] მაგრამ ხელოსნების დიდი ნაწილი იძულებული იყო საარსებო სახსრების მოსაპოვებლად აჭარიდან შორს წასულიყო „ნაპირსა წარმართთასა . მოსარეწელად რაისამე, ღონედ სიგლახაკისა თვისისა".[60] ასეთი ვითარება იყო XIX ს-შიც.[61] მოსახლეობის ასეთი მოძრაობა, რაც დამახასიათებელი იყო აჭარისათვის უძველესი ხანიდან, პირველ ყოვლისა შიდამიგრაციული პროცესით უნდა გამოხატულიყ ო. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი, მიგრაციული პროცესები, რომელთა დამოწმება შესაძლებელი ხდება საუკუნეთა სიღრმეში, გვავარაუდებინებს, რომ ისინი დამახასიათებელი

[53] იქვე, გვ. 72, 93.
[54] გ-ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 51, 56, 57.
[55] ჩაწერილია ს. ტბეთში.
[56] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.
[57] Лисовский В. დასახ. ნაშრ., გვ. 83.
[58] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.
[59] აბესერისძე ტბელი. გამოსცა ლ.მუსხელიშვილმა, თბილისი, 1941, გვ. 12, 13, 56.
[60] იქვე, გვ. 64.
[61] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 21.

იყო ამ რეგიონისათვის უძველესი ხანებიდანვე, რაც, ცხადია, იმთავითვე იწვევდა აჭარის „მთისა“ და ბარის“ შერწყმის ტენდენციას.

სწორი უნდა იყოს დ.ბაქრაძე, როდესაც საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მისი მოგზაურობის დროს (1873 წ), ბერანგას ქედზე გამავალი საზღვარი, რომელიც ჩურუქ-სუს (ქობულეთის) და ბათუმის „კაზებს“ (თურქული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით) გამოყოფდა საკუთრივ აჭარისაგან, „ადრე არ უნდა არსებულიყო და კინტრიშის მთელი ხეობა აჭარის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც უშუალოდ ზღვამდე ვრცელდებოდა და მოიცავდა თვით ბათუმსაც“.[62]

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ჩანს დღევანდელი აჭარის ბარის ნაწილის ტოპონიმიკა. ასე მაგალითად, ერგეში დამოწმებულია ტოპონიმი „აჭარელაი ყანა“, ჩაქვისთავში -“აჭარა“ (მთა) და „აჭარისწყალი“ (ღელე), ალამბარში -“აჭყვანკალა“ (ღელე).[63] ს.ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია ისეთ ტოპონიმებს და ჰიდრონიმებს ჩვენთვის საინტერესო ზონაში, როგორებიცაა: მდ.„აჭყვა“ ქობულეთთან და მის სათავეებთან მდებარე სოფ. აჭყვისთავი, სოფ.„აჭი“ მდ.„აჭისწყალზე“. ამავე დროს იგი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა: „მდ.აჭის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს (სოფელია ზემო და ქვემო); აქედან არის ნაწარმოები აჭ-არაც“.[64]

ს.ჯანაშიას ამ მოსაზრების სისწორეს არა მხოლოდ სახელწოდებათა ფუძეების მსგავსება, არამედ მათი ლოკალური გავრცელებაც უნდა მოწმობდეს,[65] რაც, ეფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დაბლობის ეს ტერიტორიაც იგულისხმებოდა ცნებაში -“აჭარა“. თანაც, თუკი „ყვა“ ფორმანტი, მართლაც, აღნიშნავს „ღელეს“, „ხევს“, „ხეობას“, მაშინ „აჭყვა“ და „აჭისწყალი“, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე („აჭისჩეკის“) ნიშნავს.[66] მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დაბლობი ტერიტორიის „აჭარად“ სახელწოდება ძველისძველი მოუკლენაა.

საკითხი შეიძლება ასეც დაისვას: გვაქვს ტოპონიმი „დიდაჭარა“, აჭარისწყლის ზემო დინებაზე. კიდევ მეტი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ოდესღაც არსებობდა „ქვეყანა დიდაჭარა“, რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა. ცხადია, ეს გულისხმობს „მცირე აჭარის“ არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი („მცირე აჭარა“) სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს. რაც შეეხება სახელწოდება „ქობულეთს“, იგი შედარებით გვიანდელია.[67]

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიულად არსებობდა ყველა წინაპირობა (ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული), რომ აჭარა დღევანდელ ფარგლებში გარკვეული პერიოდიდან ერთიან რეგიონად ჩამოყალიბებულიყო.

მოსახლეობის უძველესი კვალი აჭარაში ძველი ქვის ხანის (ქვედა პალეოლითი), გვიანი მეზოლითისა და ნეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ძეგლთა უმეტესობა აჭარის ბარის

---

[62] Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

[63] ანსიარულიძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 45, 52, 63.

[64] ს.ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 120.

[65] „აჭარა“, ასეთი სოფელია ლენინგორში, რაც შესაძლებელია ოდინდელ მიგრაციაზე მიუთითებდეს.

[66] ს.ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 120, 121.

[67] თუმცა, ის გარემოება, რომ დღევანდელ მდ.აჭარისწყალს „დიდაჭარისწყალი“ ეწოდებოდა ზემო წელზე მდ.სხალთისწყალთან შეერთებამდე, სოლო ამის შემდეგ კი -“აჭარისწყალი“ (იხ.: გაბაზეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 36, 41), შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ „მცირე აჭარა“ ან უბრალოდ „აჭარა“ აჭარისწყლის ხეობის ქვემო წელზეა საძებარი.

ზონაშია აღმოჩენილი, ძირითადად, მთისწინეთში. თანადროული ნამოსახლარები უშუალოდ ზღვისპირა დაბლობზეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, ზღვის ტრანსგრესიის შედეგად, ალუვიური დანალექებისა და ტორფის სქელი შრით არის დაფარული 20-30 მ-ის სიღრმეზე.[68] ეს ნამოსახლარები, როგორც წესი, მდინარისპირა ტერასებზე და ბორცვებზეა განლაგებული და, ამდენად, ე.წ. „გორა-ნამოსახლარების" ტიპს მიეკუთვნებიან. ესენია: ჯიხანჯურის, ჩოლოქის, ხუცუბნის, ჩაისუბნის, სახალვაშოს, კოხის, კვირიკეს, სოფ.ქობულეთის, მახვილაურისა და მახოს ნამოსახლარები.

როგორც ვარაუდობენ, ქობულეთ-ხუცუბნის ჯგუფის ნამოსახლარები, რომლებზეც, ცხოვრება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიეკუთვნებოდა შედარებით დამჯდარ, ბინადარ მოსახლეობას, რომელიც მისდევდა შემგროვებლობას, ნადირობასა და მეთევზეობას, საფუძველი ეყრებოდა მიწათმოქმედებას. ეს განსაკუთრებით მახვილაურის მასალებით ჩანს, რომლებიც თარიღდება განვითარებული ნეოლითის ეპოქით. ამ დროს უკვე ცნობილია კერამიკული წარმოება და სავარაუდოა არსებობდა მესაქონლეობაც.[69]

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ პერიოდში ზღვისპირა დაბლობი და მთისწინეთი საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული. ამავე დროს ათვისებული ჩანს სუბალპური და ალპური ზონაც, რაც გვავარაუდებინებს, აჭარის მთელი ტერიტორია ამ დროს მეტ-ნაკლებად მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული.

მართლაც, ნეოლითური მასალა მოპოვებულია არსიანის მთის ფერდობებზე, ბეშუმის საძოვრების მიდამოებში (ზღვის დონიდან 1830 მ), სხალთის ხეობის სათავეებში, ნაჩადრევის იალაღებზე (ზღვის დონიდან 2000 მ), ხიხაძირში, წაბლანაში და დანისპარაულის მიდამოებში.[70]

ზოგიერთის აზრით, ეს აღმოჩენები უნდა მოწმობდეს, რომ უკვე ამ აღრეულ ხანაში ზღვისპირას მოსახლე ტომები ალპურ საძოვრებს სეზონურად იყენებდნენ საზაფხულო იალაღებად.[71] ყოველ შემთხვევაში, აჭარის მთისა და ბარის მოსახლეობის მიერ იარაღის დამზადებისათვის გამოყენებული თრიალეთური ობსიდიანი მიუთითებს, რომ ეს მასალა გოდერძის უღელტეხილის გზით ვრცელდებოდა ზღვისპირეთში,[72] რაც, ცხადია, აჭარის მთისა და ბარის თემების ურთიერთკავშირსაც მოწმობს.

როგორც ითქვა, ზღვისპირა აჭარის აკუმულაციურ ველზე გვიანმეზოლითისა და ნეოლითის ნამოსახლარები, თანამედროვე ზედაპირთან შედარებით რამოდენიმე ათეულ მეტრზე უფრო ღრმად უნდა მდებარეობდეს. ვარაუდობენ, რომ ასევე უნდა იყოს აქ განმარხებული

---

[68] **დ.ხახუტაიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათუმი, 1995, გვ. 10, 20, 31.

[69] **ს.გოგიტიძე**, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1977; მისივე, მახვილაურის ნამოსახლარზე 1982-1983 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. - სდსძ. XVII, 1988.

[70] **ს.გოგიტიძე**, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 12-14; **ა.ალხაზიძე, შ.ბაბუალიძე**, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993, გვ. 10-13.

[71] **ა.ანანიაშვილი**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები, - სდსძ, IV, 1974, გვ. 154; **ა.ალხაზიძე, შ.ბაბუალიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 11, 12 81; **ირ.ჩაგელეიშვილი**, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. - სდსძ, XVII, 1988, გვ. 32; **დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[72] **ა.ალხაზიძე, შ.ბაბუალიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 12; **ა.ანანიაშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 154; **ს.გოგიტიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 112; **დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 23, 27. თუ თრიალეთური ობსიდიანის გამოყენება რეალურია, მაშინ, ცხადია, ეს დაგვიდასტურებდა აჭარისა და თრიალეთის ტერიტორიაზე მეზოლით-ნეოლითში მოსახლე ტომების ურთიერთკავშირსაც.

ენეოლითური ნამოსახლარებიც.[73] ენეოლითის პერიოდში აჭარის დაბლობში და მთიანეთში ცხოვრება კვლავ რომ გრძელდებოდა, ამაზე უნდა მიუთითებდეს, ერთი მხრივ, ენეოლითური კერამიკის აღმოჩენა მახვილაურის ნეოლითური ბორცვის კულტურულ ფენაში,[74] აგრეთვე, ამ პერიოდის ჭვანის ხეობის საზაფხულო საძოვრებზე შემთხვევით აღმოჩნდა კაჟის ყუნწიანი ისრისპირი.[75]

ასეთივე ვითარებაა ადრებრინჯაოს ხანაშიც. ამ დროის ერთ-ერთი ძეგლია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი (ქობულეთთან).[76] იგი ძ.წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დამდეგს წარმოქმნილა, როდესაც შავი ზღვის დონე, რეგრესიული პროცესების (აცივება) განვითარების შედეგად, 3-5 მ-ით დაბლა ყოფილა განლაგებული თანამედროვე ნიშნულთან შედარებით.

აჭარის ზღვისპირეთის მოსახლეობა ამ დროს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოებაა, რომელიც ხელოსნობის სხვადასხვა დარგებთან ერთად (მეთუნეობა, ხითხუროობა, რთვა და ქსოვა) დახელოვნებულია ბრინჯაოს მეტალურგიაში. ისპანში ამ დროს ლითონსამსხმელო ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს აქ გამოვლენილი ბრინჯაოს ყუამილიანი ცულების ჩამოსასხმელი ყალიბები, ასეთივე ცულის ხის მოდელი, აბაზანის ფორმის ტიგელების მინიატურული მოდელები და საბერველების კერამიკული მილები. თავისთავად საკვირაუდოა, რომ ზღვისპირეთში არსებული მეტალურგიული სახელოსნო ცენტრი (და ასეთი ცენტრები ამ დროს აქ არა ერთი უნდა ყოფილიყო), რომელიც შესაძლებელია ამ პერიოდიდანვე ადგილობრივი ლითონით მარაგდებოდა, გარკვეულ საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო შიდამთიანი აჭარის რეგიონთან. ფიქრობენ, რომ ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოპოვებული ცულის ხის მოდელი უნდა ეკუთვნოდეს ღორჯომის მახლობლად, ადგილ ნაომარში შემოხვეული აღმოჩენილი ე.წ. ყუაღაქანებული ცულის ტიპს.[77] ეს გარემოება შესაძლებელია ადრებრინჯაოს ხანაშიც აჭარის მთისა და ბარის საგაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე მიუთითებდეს, რაც კიდევ უფრო კარგად ჩანს მოგვიანებით, კერძოდ, გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ეტაპზე, „კოლხური კულტურის“ აყვავების პერიოდში, როდესაც აჭარის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის ამ არქეოლოგიური კულტურის ლოკალური საწარმოო კერები ყალიბდება.

მანამდე კი ამ რეგიონმა კვლავ გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები განიცადა: ძ.წ. III ათასწლეულის შუახანებში დაიწყო დათბობის პერიოდი, რასაც მოყვა ახალი შუალედური ტრანსგრესია, რომელიც ძ.წ. XVII-XVI საუკუნეებამდე გრძელდებოდა, ზღვის სანაპიროს სამოსახლოები (ისპანი) წყლით დაიფარა, ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა ისინი და, როგორც ფიქრობენ, მთისწინეთისკენ გადაენაცვლა.[78]

ამავე პერიოდში წარმოიქმნა ახალშავზღვური ტერასა და თანამედროვე ზღვისპირა აკუმულაციური ველი, რომელზეც, კვლავ, საყოველთაო აცივებით გამოწვეული ახალი ზღვური რეგრესიის პირობებში, ძ.წ. XVI-XV საუკუნეებში ადამიანი ისევ იწყებს დასახლება.

---

[73] დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.
[74] ს.გოგიტიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87.
[75] იქვე, გვ. 15.
[76] დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., თავი III.
[77] ა.კახიძე, შ.მამულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.
[78] დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ამ დროს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით, ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში ჩნდება გორა-ნამოსახლართა ჯგუფი, რომლის მთავარი სამოსახლო განლაგებულია „ნამჭედურის“ ბორცვზე.

ნამჭედურის უძველესი სამოსახლოს დამაარსებელნი (გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპი) ქრონოლოგიურად და სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისითაც ისპანის მოსახლეობის მემკვიდრენი არიან. ყოველ შემთხვევაში ისპანის ზედა და ნამჭედურის ქვედა კულტურული ფენის მასალებს შორის მკვლევარები უეჭველ გენეტიკურ კავშირს ხედავენ.[79]

ბრინჯაოს ხანაში აჭარის ტერიტორია ე.წ. კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის და მისი მოსახლეობა, როგორც ჩანს, აქტიურად მონაწილეობს თვით ამ კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებაში (ე.წ. კოლხური ცულების პროტოტიპები მახუნცეთიდან, „ჭოროხიდან“, ერგედან, ქობულეთიდან, მახოდან;[80] ნიშანდობლივია კოლხური ცულების პირველი ტიპის პირველი სახეობის დიდი რაოდენობით აღმოჩენა ჭოროხის ქვემო წელსა და აჭარისწყლის ხეობაში)[81]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ხანის, განსაკუთრებით კი გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ე.წ. „მდნობელთა განძების“ აღმოჩენების რაოდენობით აჭარის ტერიტორია განსაკუთრებით მდიდარია. ასე მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის 28 პუნქტიდან სადღეისოდ ცნობილია 36 განძი.[82] ამათგან 20 პუნქტი, საიდანაც 28 „მდნობელთა განძია“ ცნობილი, აჭარის „ბარის“ ტერიტორიაზე მოდის. აქ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ორ ძირითად კერას გამოყოფენ: ქობულეთისა და კახაბერ-ჭოროხის დაბლობებს, რომელთათვის საერთო მახასიათებლად ითვლება კოლხური ცულების პროტოტიპებისა და პირველი სახეობის არსებობა, აგრეთვე ცულთა III და IV სახეობების, სეგმენტების, თოხების III სახეობის და წალდისნაირი იარაღის ფორმები. მაგრამ ამ ორ საწარმოო კერის ნაწარმს განმასხვაებელი ნიშნებიც გააჩნია. ასე მაგალითად, ჭოროხის ქვემო წელის მეტალურგიული რაიონისთვის ტიპიური ჩანს ვერტიკალურსხვრელიანი ცულები, რომლებიც არ გვხვდება ქობულეთის დაბლობზე. ამ უკანასკნელისათვის კი დამახასიათებელია თოხებისა და სეგმენტების I და II სახეობა, ბრტყელი ცულები, ბართოხები. ამგვარად, აჭარის დაბლობზე არსებობდა ბრინჯაოს წარმოების ორი ლოკალური რაიონი: ერთი-კახაბერ-ჭოროხის და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეორე - ქობულეთის დაბლობზე (კინტრიშის ხეობა) და ჩაქვისწყლის აუზში.

დ.ქორიძის აზრით, აქედან ვრცელდება ბრინჯაოს ნაწარმი აჭარის შიდამთიან რაიონებში (მახუნცეთი, ჭვანა, ვერნები).[83]

---

[79] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, I, 1985, с.6.

[80] იხ. **დ.ქორიძე** კოლხური კულტურის ისტორიისათვის, 1965, გვ. 12. 13, ტაბ. V, 9-11 და 14, 15; ტაბ. VI, 1,3; **ალრამაშვილი** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 6-10, 23.

[81] **ანნაშვილი** დიდაჭარის განძი და კოლხური ნიფთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - სდსძ, V, 1975, გვ. 43.

[82] ეს პუნქტებია: ქობულეთის დაბლობზე: ფიჭვნარი, წყაგროკა, ხუცუბანი, სამება, ზენითი, ბობოყვათი, ციხისძირი. ჩაქვის ხეობაში: ჩაქვი, ულიანოკა, ჩაისუბანი, სახალვაშო. ყოროლისწყალზე: ბათუმი, ბარცხანა, მახინჯაური, ცარადერე, სალიბური. ჭოროხის ქვემო წელზე: ერგე, მახო, „ჭოროხი“, ხელვაჩაური. აჭარისწყლის ხეობაში: მახუნცეთი, საღორეთი, ქედა, სიხალიეები, თაგო, დიდაჭარა, ვერნები, ხიხანირი (იხ. **დ.ქორიძე** დასახ. ნაშრ., გვ. 12-48, 123; **ალრამაშვილი** დასახ. ნაშრ., გვ. 6-25; **ა.კაკაბაძე, შ.მაჭავარიანი** დასახ. ნაშრ., გვ. 17-20; **ა. ფეიქრიშვილი** სახალვაშოს განძი, სდსძ, XVI, 1987.). ბოლო წლებში აღმოჩენილი განძების მიხედვით ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა: ზუგდაგას, კირნათის და თხილნარის განძები. იხ. **ა.კაკაბაძე, შ.მაჭავარიანი** ჭოროხი აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000.

[83] **დ.ქორიძე** დასახ. ნაშრ., გვ. 122-124.

უკანასკნელი ხანების აღმოჩენებმა რამდენადმე შეცვალა და დააზუსტა სურათი. კერძოდ, თუ ადრე, 60-იან წლებში, შიდამთიანი აჭარის ტერიტორიიდან სულ სამი-ოთხი განძი იყო ცნობილი (მახუნცეთის, საღორეთის, ქედის და ვერნების), ამჟამად მათ კიდევ ხუთი ასეთი მონაპოვარი მიემატა, მათ შორის ისეთ პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა სოფ.დიდაჭარასა და სოფ.ხიხაძირში შემთხვევით აღმოჩენილი განძები (სურ. 16), აგრეთვე - სოფ.სიხალიძეების (ქედასთან) განძი (სურ. 14.1). მეოთხე განძი, რომელიც ბრინჯაოს ზოდებისაგან შედგებოდა (მოაღწია მხოლოდ ორმა), სოფ.თაგოდანაა (ხულოს მახლობლად), მეხუთე- სოფ. ზუნდაგადან.[84]

ამ ახალმა აღმოჩენებმა ნათლად დაგვანახა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აჭარისწყლის ხეობა და, კერძოდ, მისი მთიანი ზონა ბარის პასიური დანამატი კი არ იყო, რომელშიც დაბლობის მეტალურგიული კერების ნაწარმი ვრცელდებოდა, არამედ თვით წარმოადგენდა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების კერას (და, როგორც ჩანს, არა ერთს), რომელსაც თავისი სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნდა და აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ბართან.[85]

კერძოდ, როგორც ფიქრობენ, ბრინჯაოს კოლხური ე.წ. ყუაკვერიანი ცულის გენეზისი სწორედ აჭარაში და, მაინცდამაინც, აჭარისწყლის ხეობის ლოკალურ მეტალურგიულ ცენტრშია საძიებელი. შვიდი ასეთი ცული აღმოჩნდა სიხალიძეების განძში (ძვ.წ. XII-XI სს). ამ ტიპის თითო-თითო ცული ცნობილია აჭარისწყლის ხეობაში, საღორეთისა და ხიხაძირის განძებიდან და ჭვანის ხეობიდან. ასევე ითქმის მარადიდის (ჭოროხის ხეობა) და ჩალეწილის (მაჭახლის ხეობა) ყუაკვერიანი ცელების შესახებაც (სურ. 18. 1, 2). ვარაუდობენ, რომ სწორედ აჭარისწყლის ხეობიდან უნდა იყოს იგი გავრცელებული როგორც აჭარის ბარში (ჩაისუბანი, ხუცუბანი), ასევე - სამცხეში (უდეს განძი) და გურიაში (ხევის განძი).[86]

საინტერესოა, რომ განძი აღმოჩნდა სოფ. სიხალიძეებში, მდ. აკავრეთას (მერისის) მარცხენა სანაპიროზე, დაბა ქედადან ექვსიოდე კმ-ის დაშორებით.[87] აკავრეთას (მერისის) ხეობაში, დაბა ქედას მახლობლად ცნობილია სპილენძის საბადო, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე არსებული სპილენძის მარაგის 90% მოიცავს.[88] ბუნებრივია ვარაუდი, რომ სიხალიძეებში, ზუნდაგაში და ქედაში აღმოჩენილი განძები ისევე, როგორც აჭარისწყლის ქვემო დინებაზე ცნობილი სხვა განძები (საღორეთის, მახუნცეთის), სწორედ ამ მადნეულთან იყოს დაკავშირებული, რომ „აქვე ხდებოდა საჭირო ნედლეულის მოპოვება-დამუშავება და სასურველი იარაღების ჩამოსხმა".[89]

ამგვარად, შესაძლებელია ვივარაუდოთ ქვემო აჭარის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ბრინჯაოს მეტალურგიის ლოკალური საწარმოო კერის არსებობა, რომელიც წარმოდგენილია საღორეთისა და სიხალიძეების განძებით. მას ამ დროისათვის უკვე ხანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონოდა. ამისი მოწმობაა მახუნცეთის შუაბრინჯაოს ხანის განძი, და, აგრეთვე, კოლხური ცულის ცნობილი პროტოტიპი ამავე სოფლიდან.

მეორე ასეთი კერა ზემო აჭარაში უნდა ყოფილიყო. ამაზე, საფიქრებელია, მიუთითებდეს

---

[84] ა.კახიძე, შ.მაჭულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 16-36. მათივე. ჭოროხის აუზი, გვ. 60-83.

[85] ა.კახიძე, შ.მაჭულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 42.

[86] იქვე. გვ. 20-23. ა.კახიძე, შ.მაჭულაძე. ჭოროხის აუზი, გვ. 70-72. ორი ასეთივე ცული ქ. ყარსის მუზეუმის ექსპოზიციაშია (იქვე, გვ. 72).

[87] ა.კახიძე, შ.მაჭულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 18.

[88] დ.ჭორნიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 23.

[89] ა.კახიძე, შ.მაჭულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 23.

სოფ.ღორჯომში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის ყუადაქანებული ცული (სურ. 9.1), დიდაჭარის ცნობილი განძი (ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებისა), თაგოსთან აღმოჩენილი ზოდები და, აგრეთვე, სხალთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (ფუშრუკაულის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი - ე.წ. „ვერნების განძი“ და „ხიხაძირის განძი“).[90] შესაძლებელია, ეს მეტალურგიული კერა დამოკიდებული ყოფილიყო სხალთის სპილენძის საბადოებზე.[91] საფუძველს არ არის მოკლებული ვარაუდი, რომ ბრინჯაოს ხანაში „დიდაჭარა და მისი შემოგარენი მეურნეობრივად და სოციალურად მოწინავე რაიონად წარმოვიდგინოთ“,[92] რაც ბრინჯაოს განვითარებულ მეტალურგიასთან ერთად, გაპირობებული იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებითაც.[93]

ეჭვი არ არის, გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში (ძვ.წ. XV-VII სს) საეროო სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის პირობებში, კიდევ უფრო უნდა გაცხოველებულიყო ურთიერთობა მთისა და ბარის ზონებს შორის. სწორედ ამის ილუსტრაციაა ის ნიშანდობლივი ვითარება, რომ რამდენადმე განსხვავებული ლოკალური მეტალურგიული საწარმოო კერების არსებობის მიუხედავად, აჭარის ტერიტორია, ამ მხრივ მაინც, მთლიან კულტურულ-ეკონომიკურ ერთობას წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ლოკალურ რეგიონს ქმნიდა დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის გავრცელების ფარგლებში (იხ. მაგალითად, ყუაკვერიანი ცულების ლოკალიზაცია).

ვფიქრობთ, სწორედ შიდამთიანი და ბარის აჭარის ინტენსიური ურთიერთობის დასტურია უკვე მითითებული გარემოება, რომ ამ ორი „ქვეყნის“ ურთიერთმომიჯნავე ზონაში, ჭოროხის ქვემო დინების ველზე და კახაბრის მთების მიმდებარე ფერდობებზე, ოთხმხრივი მაგისტრალური გზების გადაკვეთის კვანძზე, 11 განძია აღმოჩენილი (4 ერგედან, 3 მახოდან, 1 „ჭოროხიდან“, 1 ხელვაჩაურიდან 1 კირნათიდან, 1 თჩილნარიდან),[94] რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. XVI-XI საუკუნეებს მოიცავს.

გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანა, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, „ხევების“ წარმოქმნის ხანაა.[95] სწორედ ამის დასტურია ბრინჯაოს მეტალურგიის ლოკალური კერები აჭარის ტერიტორიაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული „ხევების“ გაერთიანების შედეგად არიან წარმოქმნილნი. ასეთი დიდი „ხევი“ თუ „ხეობა“ უნდა ყოფილიყო ზემო აჭარის მეტალურგიული წარმოების კერა ცენტრით დიდაჭარაში.[96] უსაფუძვლოდ როდი იყო ეს უკანასკნელი ბუნქტი ამ რეგიონის ცენტრი უფრო გვიანაც (იხ. ქვემოთ). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ გვიანშუასაუკუნეებში (და დღესაც) ამ მხარის ცენტრი ხულო იყო (დიდაჭარის მახლობელი დაბა). აქ დიდი მნიშვნელობა იმ მაგისტრალურ გზებს ჰქონდა, რომლებიც ზემო აჭარას სამცხესთან აკავშირებდა: ერთი - ღორჯომის ავლით არსიანის ქედზე და შემდეგ ქვაბლიანის ხეობაში (ამ გზით გადმოვიდა სამცხიდან აჭარაში გ.ყაზბეგი). მეორე-ბელღლეთისწყლის ხეობით გოდერძის უღელტეხილზე გადამავალი დღევანდელი გზა. ამ გზების შესაყარზეა სოფ.დიდაჭარა.

---

[90] ალბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24; ბაკახია, შ.ბაბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27 და შმდ.

[91] ფეიქრიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[92] ალბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48, 49.

[93] იქვე. გვ. 24.

[94] ალბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38; ბაკახია, შ.ბაბულაძე, ჭოროხის აუზი, გვ. 53-68.

[95] ფ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977, გვ. 42.

[96] ალბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48, 49.

ასეთივე „ხევი“ თუ „ხეობა“ უნდა ყოფილიყო ქვემო აჭარის მეტალურგიული კერაც ცენტრით ქედაში (სიხალიძეების განძი). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ვახუშტი ბაგრატიონის დროსაც, ქედა „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა. მოსახლენი არიან ვაჭარნი“.[97]

ამგვარად, უკვე გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო აჭარის ზემო და ქვემო „ხევები“. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა აჭარაში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი - „შუახევი“ (ამჟამად სოფლის, უფრო სწორად, თემის, სახელი),[98] რომელიც თავისი მდებარეობით სწორედ დიდაჭარის და ქედას „ხევებს“ შორისაა მოქცეული. იგი თავის დროზე აჭარისწყლის შუა წელის გარკვეულ მონაკვეთს გარდა (დანდალოსა და ზამლეთს შორის?), შესაძლებელია ჭვანის ხევსაც მოიცავდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ტოპონიმი „შუახევი“ გულისხმობს „ზემო“ და „ქვემო“ ხევის“ არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ, გამორიცხული არ უნდა იყოს ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების რეალურობა უკვე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში.

რაც შეეხება აჭარის დაბლობ ზონას, აქ, მეტალურგიის ორ კერას გამოყოფენ: „ერთი, ჭოროხ-აჭარისწყლის ქვემო წელზე და ბათუმის ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში, მეორე, ქობულეთის დაბლობზე, მდ.კინტრიშისა და ჩაქვისწყლის აუზსა და მის მახლობელ ადგილებში“.[99] ვფიქრობთ, მეტალურგიული წარმოების ეს კერები ასევე ცალკეულ „ხევებად“ ნაწილდებოდა; მაშასადამე, გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ამ ტერიტორიაზე რამოდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, „ხევი“ არსებობდა. ასეთები უნდა ყოფილიყო: ჩოლოქ-ოჩხამურის აუზი ცენტრით ფიჭვნარში (ნამჭედური), კინტრიშის აუზი ცენტრით ხუცუბანში, დაგვას აუზი ცენტრით ციხისძირში, ჩაქვისწყლის აუზი ცენტრით ჩაქვში, ყოროლისწყლის აუზი ცენტრით „თამარის ციხეში“, კახაბრის ველი ცენტრით ერგეში, ჭოროხის მარცხენა სანაპირო ცენტრით მახოში და, ბოლოს - გონიო. ცხადია, ჩვენი ასეთი დანაწილება წინასწარულია, პირობითია და, შესაძლებელია, არც სრული,[100] მაგრამ არსებითად, რეალური უნდა იყოს, რამდენადაც იგი ემყარება, ერთი მხრივ, რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას და, მეორე მხრივ, არქეოლოგიურ მონაცემებს, კერძოდ, გორანამოსახლარებისა და „მდნობელთა განძების“ ტოპოგრაფიას.

ზემოთ, აჭარის დაბლობი ნაწილის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვისას, აღნიშნული იყო, რომ კახაბრისა და ქობულეთის დაბლობებს გარდა, აქ გეომორფოლოგიურ ერთეულებს ქმნიან ჩაქვისწყლის და ყოროლისწყლის ხეობები. ასეთი ფიზიკურ-გეოგრაფიული ვითარება, ხელშემწყობი მეურნეობრივი და სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში, ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერების საფუძველზე,[101] ქმნიდა რეალურ ბუნებრივ შესაძლებლობას, რომ ეს გეომორფოლოგიური ერთეულები ისტორიულ-გეოგრაფიულ „ხევებად“ ჩამოყალიბებულიყვნენ. მართლაც, ამ ხეობებში აღმოჩენილი „მდნობელთა განძები“, ხოლო მათ შესართავებთან დადასტურებული გორანამოსახლარები სწორედ ამას მოწმობენ. არ არის გამორიცხული ასეთივე ცალკე „ხევად“ ვიგულისხმოთ მდ.დაღვის სეოსაც ქალაქ ცენტრით

---

[97] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[98] ი.ბ. შარუხიძე, დარჩიძეებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები.- აშშ, II, 1957, გვ. 64.

[99] ფ.ფირცხალავა, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[100] ასე მაგალითად, არ არის გამორიცხული, რომ ცალკე „ხევს“ ქმნიდა აჭყვისწყალის აუზი ცენტრით ზენითში. მეორე მხრივ, შესაძლებელია რომელიმე მცირე ხეობა მსხვილი „ხევის“ შემადგენლობაში ყოფილიყო.

[101] ფ.ფეფუსალაშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 200.

ციხისძირის გორანამოსახლარში (ბობოყვათის და ციხისძირის „მდნობელთა განძებით").[102]

რაც შეეხება ხუცუბანს, როგორც კინტრიშის ხეობის ცენტრს ამ უძველეს ხანაში, საფუძველს საამისოდ იძლევა უამრავი აღმოჩენები ამ პუნქტიდან,[103] რომლებიც „მიგვითითებს ხუცუბნის მიდამოებში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნისა და შესაძლებელია, სინქრონული ნამოსახლარების არსებობაზეც."[104]

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ფაქტობრივად ყოველ ზემოდასახელებულ „ხევში" გამოვლენილია წინაანტიკური, კერძოდ, გვიანბრინჯაოს და ადრეული [illegible] ხანის [illegible]როინდელი გორანამოსახლარები, ალბათ, ამ „ხევების" ცენტრები: მახოში, მახვილაურში (ერგესთან), ყოროლისწყლის ხეობაში („თამარის ციხე"), ჩაქვისწყლის ხეობაში (ჩაქვთან), დაგვის ხევში (ციხისძირი), კინტრიშის ხეობაში (ხუცუბანი), ჩოლოქ-[illegible]ურის ხერთვისში (ფიჭვნარი).[105] მათგან ზოგიერთი კარგად არის შესწავლილი არქეოლოგიურად და, ამგვარად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ნამოსახლართა მნიშვნელობასა და ფუნქციაზე. ასე მაგალითად, ფიჭვნარში - ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში ჩატარებულმა გათხრებმა ფრიად საინტერესო სურათი გადაშალა ამ მიკრორეგიონის ისტორიის თვალსაზრისით გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის პერიოდისათვის. აქ შესწავლილი იქნა გორანამოსახლარი „ნამჭედური", რომელიც მდ.ოჩხამურის მარჯვენა ნაპირზეა, ამ მდინარის მდ.ჩოლოქთან შერთვის ადგილიდან ერთ კმ-ზე. ბორცვის გარშემო ოჩხამურის მარჯვენა და ჩოლოქის ორივე სანაპიროზე ერთი კმ-ის რადიუსში მიმოფანტულია ასეთივე ნამოსახლართა ჯგუფი. „ნამჭედური" ცენტრალური სამოსახლო იყო, რომელზედაც პეგემონი თემი სახლობდა და ამაეე დროს, მახლობელი თემებისათვის გამაგრებულ სახიზარს წარმოადგენდა.

„ნამჭედურის" სამოსახლო ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში წარმოიქმნა (ნამჭედური VI). ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში (ნამჭედური V) იგი უკვე საკმაოდ დაწინაურებულია და ახლომდებარე სინქრონულ დასახლებათა შორის უპირატეს როლს იჩემებს. მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევს. ამ დროს ფიჭვნარი ბრინჯაოს ჩამოსხმის ცენტრიცაა, სადაც დამოწმებულია ლითონსამსხმელო სახელოსნოები. შემდგომში, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში (ნამჭედური IV) და განსაკუთრებით მის პირველ მეოთხედში (ნამჭედური III) სამოსახლო კიდევ უფრო წინაურდება, ფართოვდება ბრინჯაოს ნაწარმის ჩამოსხმა: ამ დროის სამოსახლოზე დიდი რაოდენობით გვხვდება ჩამოსასხმელი ყალიბები კოლხური ცულებისათვის, თოხებისათვის და სხვა იარაღებისათვის (სურ. 17. 1-6).[106]

ლითონსამსხმელო სახელოსნო ამ პერიოდში მხოლოდ „ნამჭედურზე" არ მოქმედებდა. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გათხრებმა უჩვენა, აგრეთვე, რომ აქ ძვ.წ. XIII-X საუკუნეებში არსებობდა ბრინჯაოს პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი კერა.[107]

ნამოსახლარი საინტერესო აღმოჩნდა იმითაც, რომ ძვ.წ. XII-X საუკუნეების ფენაში

---

[102] იხ. [illegible], დასახ. ნაშრ., გვ. 14-17 და 20.

[103] იქვე, გვ. 17-19.

[104] იქვე, გვ. 19.

[105] Инаишвили А.К. Поселения Юго-Восточного Причерноморья античной эпохи в свете новых археологических открытий. - Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья, Тбилиси, 1979, с. 292, 293.

[106] Микеладзе Т.К., Захутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 5, 14-19.

[107] [illegible], კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში (ქობულეთ-ფიჭვნარი). - სდსძ, XIX, 1991, გვ. 6-8; [illegible], სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1986, გვ. 72-74.

მოპოვებული იქნა მთლიანი მუხის ხისაგან გამოთლილი სახვნელები, რაც ცხადია, აჭარის ზღვისპირა დაბლობზე ინტენსიური მოხვნითი მიწათმოქმედების არსებობის მოწმობაა.[108]

ყველაფერი ეს ნათელყოფს, რომ ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის აუზში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქაში ფრიად ინტენსიურია კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების მაჯისცემა, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი „ხევის" საზღვრებით არ იფარგლებოდა. ეს ცენტრი ცხოველ ურთიერთობაში იყო კოლხეთისა და აჭარის სხვა თემებთანაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ 1967 წ. ფიჭვნარის სამარაოვანზე შემთხვევით ნაპოვნ კოლხური ცულის ყალიბს მოერგო 1954 წ. მახოში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძის ერთ-ერთი ცული.[109] რამდენადაც მახოში აღმოჩენილი ცული კოლხური ცულების პროტოტიპს განეკუთვნება, ამდენად ეს შეიძლება მოწმობდეს ჩოლოქ-ოჩხამურის და ჭოროხის ხეობათა ანუ „ნამჭედურისა" და მახოს „ხევების" სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზევე ისევე, როგორც სპილენძის საბადოების არსებობა აჭარის მთიან ზონაში, შესაძლებელია, საერთოდ ბარის ზონის ბრინჯაოს მეტალურგიულ საწარმოო კერათა მთასთან ურთიერთკავშირის რეალობაზე მიუთითებდეს.[110]

ზღვისპირა ზოლში, „ნამჭედურის ხევის" გარდა, ლითონსამსხმელო სახელოსნო მახინჯაურშიც უნდა ყოფილიყო,[111] ანუ ყოროლისწყლის „ხევში".

რკინის ათვისებამ და განსაკუთრებით მისმა ფართო გამოყენებამ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან გამოიწვია არა მხოლოდ აჭარის ბარის მოსახლეობის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა, არამედ თვით მოსახლეობის ზრდაც.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში აჭარის დაბლობ რეგიონში მეტალურგიის ორი საწარმოო კერა არსებობდა ქობულეთისა და კახაბერ-ჭოროხის დაბლობებზე. საინტერესოა, რომ რკინის ფართო ათვისების ხანაში ზემოხსენებულ რეგიონში ყალიბდება რკინის წარმოების კერებიც. ეს გარემოება არა გვგონია შემთხვევითი იყოს, პირიქით, იგი სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აჭარის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში რკინის მეტალურგიული წარმოება დაფუძნებული იყო წინარე ხანაში აქვე არსებული ბრინჯაოს მეტალურგიის უმდიდრეს გამოცდილებაზე.[112] ამ ფაქტს, შესაძლებელია, მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდეს.

რკინის უძველესი წარმოების ჭოროხის კერა 50-ზე მეტ არქეოლოგიურ ობიექტს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე ადრეული ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით თარიღდება, ხოლო ყველაზე გვიანდელი - ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით.[113] რაც შეეხება ჩოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერას, რომელიც ამავე ქრონოლოგიურ ფარგლებში ფუნქციონირებდა, იგი 100-ზე მეტ ობიექტს მოითვლიდა, და როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო ფიჭვნარის ჩვენთვის უკვე ცნობილ ფიჭვნარის სამოსახლოებთან („ნამჭედური", ჩოლოქი...).[114]

ჭოროხისა და ჩოლოქ-ოჩხამურის ზემოხსენებული საწარმოო კერები რკინის მისაღებად იყენებდნენ მაგნეტიტს, რომლის მოპოვებაც ზღვის სანაპიროზე ხდებოდა, სადაც შავი ზღვის

---

[108] **აბაგლეიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 11.
[109] იქვე, გვ. 17.
[110] **ლასხუტაშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 68.
[111] **აბაგლეიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 13; **ლასხუტაშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 69.
[112] შდრ. **ლ.ჯორბენაძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 124, შენ. 8.
[113] Хахутайшвили Д. А. Производство железа в древней Колхиде, Тбилиси, 1987, с. 56.
[114] იქვე, გვ. 99.

სანაბიროს ქვიშა გონიოდან გაგრამდე საკმაო რაოდენობით შეიცავს ამ ძვირფას მადანს.[115]

აღსანიშნავია, რომ რკინისსადნობი სახელოსნოები ნედლეულის წყაროსთან, ზღვის ბირას კი არ გაუმართავთ, არამედ ქვეყნის შიგნით, იქ სადაც ქურების მოსაწყობად საჭირო ცეცხლგამძლე თიხები და სათანადო საწვავი იყო. ეს გარემოება რკინის წარმოების კერებსა და ზღვისპირა დასახლებებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს. ეს რაიონები ამ დროისათვის ერთ საწარმოო კომპლექსად გვევლინება,[116] რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს აჭარის ბარის ერთ ეკონომიკურ მთლიანობად ჩამოყალიბებას (სურ. 24, 25).

მეორე მხრივ, რკინის წარმოების ინტენსიური განვითარება იწვევს მთლიანად რეგიონის მძლავრ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ აღმავლობას. მობოვებული არქეოლოგიური მასალა ნათელს ხდის ზღვისპირა სამოსახლოთა აყვავების კავშირს რკინის წარმოების მასშტაბების ზრდასთან.[117] მართლაც, ერთი მხრივ, სწორედ ამ პერიოდში ჩნდება შავიზღვისპირა დიუნებზე სპეციფიკური დასახლებები, რომელთა ძირითადი საქმიანობა, როგორც ჩანს, რკინის მადნის მობოვებასთან იყო დაკავშირებული.[118] ამ დიუნურ დასახლებებს ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით და I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ.[119] ფიჭვნარის დიუნებზე მდებარე ასეთი სადგომების თარიღს კი ალ.რამიშვილი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით განსაზღვრავს.[120] ასეა თუ ისე, ერთი რამ თითქოს ცხადია, რომ ამგვარ დასახლებათა წარმოქმნა, არსებითად, გაპირობებული იყო რკინის წარმოების განვითარებით, ხოლო ზღვისპირა დიუნებზე მათი განსაკუთრებული სიხშირე ერთგვარი დემოგრაფიული ბუმის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამის ილუსტრაციაა ახალი გორანამოსახლარების წარმოქმნა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში. ასე მაგალითად, ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგს წარმოქმნილად თვლიან „ბათუმის გორას" („თამარის ციხე").[121] თითქოს ამავე..დროისა უნდა იყოს განთიადის (ყარა-დერე), მახვილაურის, ჯოჭოს გორანამოსახლარებიც.[122]

მეორე მხრივ, დემოგრაფიული აღმავლობა და ეკონომიკური პროგრესი, ცხადია, იწვევს საზოგადოების სოციალურ განვითარებასაც.

ამ მრავალმხრივ საზოგადოებრივ პროცესებს არ შეიძლებოდა არ ჩაეთრია შიდამთიანი აჭარაც, რომელსაც, როგორც ვიცით, წინარე პერიოდშიც საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ბართან. თუკი, მაგალითად, ბრინჯაოს ხანაში ამ რეგიონში, საიდანაც ბარი, როგორც ჩანს, ნედლეულით მარაგდებოდა, საკუთარი მეტალურგიული წარმოების კერებიც არსებობდა, ასეთი რამ რკინის ფართო ათვისების ხანაში არ ჩანს. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს, რომ რკინის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღებით მთა ბარიდან უნდა მომარაგებულიყო. ამიტომ, ვფიქრობთ, ფუშრუკაულის სამაროვანის („ვერნების განძის") რკინის ინვენტარი (ცული, შუბისპირები) სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო სხალთის ხეობაში. ზოგადი მოსაზრების

---

[115] იქვე, გვ. 56.

[116] **დ.ხახუტაიშვილი**, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I, 1964, გვ. 55; **Хахутайшвили Д.А.** დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[117] **Хахутайшвили Д.А.** დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[118] **ალ. რამიშვილი**, ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნებზე. - სდსძ, I, გვ. 27; **გ.თაგაიშვილი**, ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ. -სდსძ, XIX.

[119] **Хоштария Н.В.** Археологические исследование Уреки. - მსკა, I, 1955, გვ. 27; **Хахутайвили Д. А.** დასახ. ნაშრ., გვ. 58, 98.

[120] **ალ.რამიშვილი**, ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. - „მაცნე", 1974, №2, გვ. 110.

[121] **ა.კაკაბაძე, დ.ხახუტაიშვილი**, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. - სდსძ, XVIII, 1989, გვ. 36. 56.

[122] იქვე, გვ. 43, 44.

გარდა ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ აქ ნაპოვნი რკინის ცული, რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება, ყუაკვერიანია.[123] ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცულები სწორედ აჭარის მთიანეთის საწარმოო კერისთვის დამახასიათებელი იარაღია. მაშასადამე, ფუშრუკაულის რკინის ცული ადგილობრივი ტრადიციის საფუძველზე შექმნილი ნაწარმი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას უკვე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში დღევანდელი აჭარის ტერიტორია ერთ მთლიან ეკონომიკურ რეგიონად წარმოვიდგინოთ, რომელიც ჩამოყალიბდა „მთისა“ და „ბარის“, წინარე ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად, ურთიერთშერწყმის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ეპოქის ბოლოსთვის ცალკეულ „ხევთა“ შერწყმის შედეგად წარმოიქმნა ერთიანი „ხევი აჭარისა“.[124] ეს არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ, რომ უკვე ძვ.წ. IX და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ურარტულ წარწერებში მოიხსენიება „ქვეყანა შეშეთი“ (შავშეთი) და „ქვეყანა ზაბახა“ (ჯავახეთი), რომლებიც „ქვეყანა დიაუხის“ (ტაო) მოკავშირენი არიან.[125] საფიქრებელია, აჭარაც ამ ქართული ქვეყნების გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება იმ პერიოდის აჭარის, მაინცდამაინც მისი შიდამთიანი რეგიონის მოსახლეობას, იგი აღმოსავლურ-ქართული მოდგმისა უნდა ყოფილიყო, დასავლურ-ქართული ტომების მცირე შენარევით. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ამ ტერიტორიის ტოპონიმია, რომლის უდიდესი ნაწილი აღმოსავლურ-ქართულია.[126] არ არის გამორიცხული, ტოპონიმი „შუახევი“ სწორედ „ხევთა“ წარმოქმნის ეპოქის რელიქტი იყოს.

თუ ეს ასეა, ცხადია, სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ უკვე მაშინ შიდამთიან აჭარაში აღმოსავლურ-ქართული ტომები სახლობდნენ. ამდენად, აჭარლები იმთავითვე ამ ტომებს მიეკუთვნებოდნენ მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში, მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, აჭარის ტერიტორია ე.წ. „კოლხური კულტურის“ არეალს განეკუთვნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკურ აღმავლობას შესაბამისი სოციალური ცვლილებებიც უნდა მოყოლოდა. ამის დასტური უნდა იყოს, რომ ძვ.წ. VI საუკუნისთვის ნამჭედურის გორანამოსახლარი ფიჭვნარის ურბანისტული დასახლების ცენტრად გვევლინება. ძვ.წ. VI საუკუნიდან ძვ.წ. II საუკუნემდე, ნამჭედურის ბორცვზე იდგა აკროპოლისი, რომელიც გამაგრებული იყო თხრილით და ხის საფორტიფიკაციო სისტემით, გალავნისა და შიგ ჩართული კოშკების სახით. ეს აკროპოლისი ქალაქური ტიპის სამოსახლოს შიდაციხეს წარმოადგენდა.[127] ძვ.წ. V ს პირველი მეოთხედის ბოლოდან ქალაქში, როგორც ჩანს, ჩნდება ბერძნული თემიც, რომელსაც ეკუთვნოდა ფიჭვნარის ცნობილი ბერძნული სამაროვანი,[128] ხოლო მის გვერდით ადგილობრივი თემების ნეკროპოლი იყო განლაგებული (სურ. 30).[129]

ნამჭედურის ირგვლივ წარმოქმნილი ქალაქური სამოსახლოს ეკონომიკა ტრადიციულად ემყარებოდა ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიას, აგრეთვე, სავარაუდოდ, კერამიკულ

[123] **აკინაძე შ.,ბაბულაძე** აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 38, ტაბ. XI, 1.

[124] „ხევი აჭარისა“ დამოწმებული გვაქვს ყამთააღმწერელთან (იხ. ქცა, II, გვ. 261).

[125] Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, сс. 158, 212,

[126] **ინასარიძე** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 37.

[127] **Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А.** დასახ. ნაშრ., გვ. 9, 11.

[128] **აკინაძე** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975, გვ. 90, 91; მისივე ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007..

[129] **Кахидзе А.Ю.** Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981.

წარმოებას.[130] ეს ქალაქი ანტიკურ ხანაში აჭარის ბარის მთავარი კულტურულ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო,[131] რომელიც, როგორც ფიქრობენ, არა მხოლოდ მაორგანიზებელ როლს კისრულობდა რკინის წარმოების კერების ნედლეულით მომარაგების საქმეში, არამედ ლითონის ბროდუქციის გასაღებისა და ექსპორტის ძირითად ცენტრსაც წარმოადგენდა.[132] სწორედ დასახლების ასეთ მნიშვნელობას ლითონით ვაჭრობის საქმეში უნდა განეპირობებინა აქ V-IV საუკუნეებში ბერძნული თემების გამოჩენა, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ათენთან, მოგვიანებით კი - ჰერაკლეასთან და სინოპეთან.[133]

როგორც ჩანს, ეს ქალაქი ბერძნული იმპორტული ნაწარმით ამარაგებდა არა მხოლოდ ბერძენ მოახალშენეებს და ქალაქის ადგილობრივ თემს,[134] არამედ შიდამთიანი აჭარის მოსახლეობასაც. ასე, მაგალითად, ქვემო აჭარის „ხევში“, ქედას მახლობლად, სოფ.კვაშტასთან მდებარე ანტიკური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩნდა იმ ტიპის იმპორტული კერამიკული ნაწარმი, როგორიც არაერთგზის აღმოჩენილა ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებზე.[135] ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კვაშტის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბატარა ზომის დოქები, რომლებზეც დატანილია ისეთივე ორნამენტი (წრეში ჩასმული წერტილების სარტყელი, წიწვოვანი ორნამენტი, ადამიანის თვალის გამოსახულება), როგორიც ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური და ბერძნული სამაროვნების ადგილობრივ ჭურჭელზეა წარმოდგენილი (სურ. 32). ამასთან, ამ ტიპის ჭურჭელი ფიჭვნარისა და კვაშტის გარდა კოლხური კულტურის სხვა რაიონებისათვის უცნობია. ფიქრობენ, რომ არ უნდა იყოს გამორიცხული, ეს ნაკეთობანი კვაშტაში ფიჭვნარიდან იყოს შეტანილი ან კიდევ ამ ცენტრის ნაწარმის მიბაძვით იყოს დამზადებული. კვაშტიდანვეა ფრაგმენტები რკინის ხელშუბისა, რომლის მსგავსი კვლავ ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზეა აღმოჩენილი.[136]

ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია შიდამთიანი აჭარის სოფ. ჭვანაში მოპოვებული მასალები. აქ არსებული ფეოდალური ხანის ნაციხარისა და თვით სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმი, რომელიც ემსგავსება ზღვისპირა ზოლში (სოფ. კოხში, ციხისძირში და ფიჭვნარში) მოპოვებულ თანადროულ მასალას. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს უძველეს კონტაქტზე ჭვანისწყლისა და კინტრიშის ხეობებს შორის.[137]

ჩვენ ვისაუბრეთ ზღვისპირა და შიდამთიანი აჭარის ინტენსიურ სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ტრადიციებზე წინარე ანტიკურ ხანაში. ზემოხსენებული არქეოლოგიური ფაქტებიც მოწმობს ამ ტრადიციის რეალურობას. ამდენად არა მხოლოდ ბერძნული იმპორტი, არამედ ადგილობრივი „ფიჭვნარული“ კერამიკაც და რკინის ნაკეთობანიც, როგორც ჩანს, ფიჭვნარის ანონიმური ქალაქიდან უნდა იყოს შეტანილი აჭარისწყლის ხეობაში.

ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ნამჭედურის ბორცვზე და მის გარშემო წარმოქმნილი ქალაქური ტიპის სამოსახლო (ფიჭვნარის ნაქალაქარი) ანტიკურ ხანაში არა

---

130 Кахидзе А.Ю. დასახ. ნაშრ., გვ. 38; ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 83.

131 აკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90; ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

132 Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д. А. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

133 აკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91; Кахидзе А.Ю. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы греческой колонизации Восточного Причерноморья.- Проблемы греческой колонизации.., с.316.

134 Кахидзе А.Ю. დასახ. ნაშრ., გვ. 315.

135 აკაბაძე, შ.ბაბულაძე, კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი, - სდსძ, XVII, გვ. 56.

136 აკაბაძე, შ.ბაბულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 67-70, 74, 75.

137 შ.ბაბულაძე, აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე), - სდსძ, XIX, 1991, გვ. 113, 114.

მხოლოდ ბარის ზონის, არამედ მთელი აჭარის (რომელიც ამ დროისათვის დიდი ხანია ერთიან „ქვეყნად“ ქცეულიყო) ერთ-ერთ კულტურულ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ეს კი უნდა მოწმობდეს, რომ აჭარის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრი იმ დროს ზღვისპირა დაბლობშია.

ფიჭვნარი არ არის ერთადერთი საქალაქო ცენტრი ამ რეგიონში. ასეთად თვლიან ბათუმის გორანამოსახლარსაც, რომელიც წინარეანტიკურ ხანაში ყოროლისწყლის ხეობის ეკონომიკური და კულტურული ცენტრია, ხოლო ძვ.წ. VI ს-დან, აგრეთვე ურბანიზებულ სამოსახლოდ გადაიქცა. თუმცა, ფიჭვნარის ნაქალაქარის ჰეგემონობა ამ მხრივ თითქოს არ არის სადავო.[138]

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, უფრო სწორედ, ძვ.წ. VIII ს მეორე ნახევრიდან აჭარა კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილია. ასეთი ვითარებაა ძვ.წ. IV ს დასასრულამდე.

ძვ.წ. IV ს ბოლოს და III ს დასაწყისში წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო და აჭარაც მის შემადგენლობაში შევიდა. „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ საუბრისას გადმოგვცემს, რომ მან დიდმოხელე-ერისთავთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განწესების დროს, „მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“.[139]

“ნოსტისთავი“ - უეჭველად ძველქართული ტოპონიმი, დღეს სამწუხაროდ შემორჩენილი აღარ არის, მაგრამ კონტექსტიდან ცხადია, რომ იგი სადღაც არსიანის ქედთან თუ ზედ ქედზე უნდა ყოფილიყო, რადგან განსაზღვრება - „ნოსტისთავითგან ზღუამდის“, საკუთრივ აჭარას შეეხება. მეორე მხრივ, ასეთი ლოკალიზაცია იმაზე მიუთითებს, რომ მემატიანის „აჭარა“ მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას კი არ გულისხმობდა, რომელიც ზღვაზე არ გადის, არამედ ზღვისპირსაც.[140]

ქართული წყაროს ცნობა ქართლის სამეფოს ფარგლების ზღვამდე გავრცელებისა და, კერძოდ, ისტორიული აჭარის ამ სამეფოს საზღვრებში შესვლის შესახებ საკმაოდ რეალური რომ უნდა იყოს, ამას მოწმობს ფარნავაზის თანამედროვე, ძვ.წ. III ს დასაწყისის ბერძენი ისტორიკოსი მეგასთენე, რომელიც გადმოგვცემს, რომ „ნაბუქოდონოსორმა, ჰერკულესზე უძლიერესმა, ლიბიასა და იბერიაში გაილაშქრა. ხოლო დაიმორჩილა და ხელთ იგდო რა ისინი, ნაწილი მათგანი პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე (ე.ი. პონტოს აღმოსავლეთით) დაასახლა“.[141] ივ.ჯავახიშვილი ამ ცნობას ასეთ კომენტარს უკეთებს: „ამგვარად, ეს ცნობა ცხადყოფს, რომ იბერიელნი უკვე ამაზე დიდი ხნით უწინარეს უნდა ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ და, კერძოდ, შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს მახლობლად. მეგასთენეს ცნობა ამტკიცებს,

---

[138] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 56, 92, 93.

[139] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. - „ქართლის ცხოვრება“, I, თბილისი, 1955, გვ. 24.

[140] ქართლის დასავლეთით გაჭრის (დაწვ. იხ. Меликишвили Г.А., Кистории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 47-49, 171) ისტორიულობას, განსაკუთრებით გასტანგ გორგასალის დროს, ეჭვის ქვეშ აყენებენ (იხ. Ломоури Н.Ю., К вопросу о методике использования некоторых античных грузинских источников по истории Грузии. - Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1982; ნ.ლომოური, საქართველოს პოლიტიკური ვითარების გარკვევისათვის (V ს-ის მეორე ნახევარი). - საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX, 2004; შდრ. Мусхелишвили Д.Л., Некоторые проблемы исторической критики грузинских средневековых источников. - მაცნე, ისტ., არქ., ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, 3, 1988; დ.მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003, გვ. 211-212) (ა.კ.).

[141] შომაქეს ივ.ჯავახიშვილის თარგმანით: იხ.: ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, 1950, გვ. 57.

რომ იბერთა პოლიტიკური ჰეგემონია III ს უწინარეს უნდა დაწყებულიყო".[142]

მეგასთენეს მიხედვით, ამგვარად, სრულიად უცილობელია, რომ „გვიანდელი" „ზემო ქართლი" - მტკვრის ზემო დინებისა და ჭოროხის აუზი - „იბერებს" უჭირავთ და ე.ი. უკვე მეგასთენეზე უწინარეს „ქართლში" შემოდის.

კიდევ მეტი, მეგასთენეს ჩვენების პირდაპირი გაგება, ვფიქრობთ, იმაზე მიგვითითებს, რომ პოლიტიკური ქართლის საზღვარი ამ დროს უშუალოდ ზღვაზე გადის. ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ ძველქართულ წყაროებში შავ ზღვას „სპერის ზღვა" ეწოდება. სპერის ძველქართული პროვინცია მდებარეობდა „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა პქვიან ჭოროხი",[143] ხეობის ზემო წელზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ შავ ზღვას ქართველები ძველად „სპერის ზღვას" უწოდებდნენ, ნ.ბერძენიშვილის სამართლიანი აზრით, მოწმობს, რომ „სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვის პირას".[144] სასპერ-სპერ-იბერთა იდენტურობაზე არაერთ მკვლევარს მიუთითებია და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვაქვს სრული უფლება მეგასთენეს დროს და მაშასადამე, ფარნავაზის ეპოქაში აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს გავრცელება შავი ზღვის ნაპირებამდე სავსებით რეალურ ფაქტად ვაღიაროთ.[145] ამგვარად, „ქართლის ცხოვრების" ცნობაც აჭარის შესახებ სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

ეს, ცხადია, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ბარისა" და „მთის" მომცველი „ქუეყანა აჭარისა"[146] დიდი ხანია, რაც უკვე წარმოქმნილიყო.

მეორე მხრივ, აჭარის გაერთიანება სამცხესთან ერთ დიდ საერისთავოდ უნდა მოწმობდეს, პირველ რიგში, მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს მათ შორის, რაც აგრეთვე უძველესი ხანიდანვე დასტურდება (მოვიგონოთ, მაგალითად, ბრინჯაოს „აჭარული" ყუაკვერიანი ცულის აღმოჩენა უდეს განძში, ან ე. წ. „ქართული ცულის" დადასტურება სოფ 'ხუნდაგას განძში).[147]

ერთიან ქართულ სამეფოში, რომელიც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა, აჭარა როგორც ჩანს, ძვ.წ. II ს დასაწყისამდე რჩებოდა, როდესაც გაძლიერებული სომხეთის სამეფოს შემოტევის შედეგად იბერიამ დაკარგა თავისი ტერიტორიის ნაწილი.

სტრაბონი (ძვ.წ. I-ახ.წ. I ს) გადმოგვცემს, რომ სომხებს იბერიისაგან მიუტაცნიათ „ბარიადრეს კალთები და ხორზენე..."[148] ბარიადრეს კალთები უნდა იყოს სპერის პროვინცია, ხოლო ხორზენე - ტაო. ორივე ეს ძველქართული „ქვეყანა" შედიოდა სტრაბონისეულ „მოსხიკეს" ცნებაში ანუ მესხეთში. გეოგრაფოსის მეორე ცნობის მიხედვით, „მოსხების ქვეყანა... სამ ნაწილს შეიცავდა: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე-იბერებს და მესამე-არმენიელებს".[149]

უეჭველია, რომ სამცხე, საკუთრივ მესხების პირველსაცხოვრისი, უნდა შესულიყო სტრაბონისეული „მოსხიკეს" ცნებაში და თანაც „მოსხების ქვეყნის" ის ნაწილი. უნდა

---

[142] იქვე. მეგასთენეს ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. Мусхелишвили Д.Л. К вопросу о связях центрального Закавказья с Передним Востоком в раннеантичную эпоху.- ВАГ, I, Тбилиси, 1978.

[143] ქცა. I, გვ. 17.

[144] ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 238.

[145] იხ.: დ.მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. - სქაუქტ. გვ. 352-355.

[146] ეს ტერმინიც ეამთაალმწერელთანაა დაცული (იხ. ქცა, II, გვ. 187).

[147] იხ. აგრეთვე, ბ.ინაიშვილი, დიდაჭარის განძი, გვ. 33, 46, 48. ქართლურს ეუწოდებ ე.წ. „ცენტრალურ-ამიერკავკასიურ ცულს, იხ. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის, კრებულში: „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი", თბილისი 2002. გვ. 8-9.

[148] ოკუჯავა, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 183.

[149] ოკუჯავა, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

ყოფილიყო, რომელიც ქართლის წილს შეადგენდა. მეორე მხრივ, რადგან სტრაბონთანვე „მოსხების მთები“ ზოგჯერ დღევანდელ მესხეთის ქედს ნიშნავდა, ცხადია, იგივე სამცხე და აჭარაც „მოსხიკეს“ შემადგენელი თემებია. რამდენადაც სამცხე ქართლშია საგულისხმო, ამდენადვე აჭარა კოლხეთის ნაწილი უნდა ყოფილიყო.[150]

ამგვარად, ძვ.წ. II-I საუკუნეებში აჭარა მთლიანად კოლხეთის შემადგენლობაშია და, როგორც ჩანს, მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას“ (ადმინისტრაციულ ერთეულს) შეადგენდა (სტრაბონის მიხედვით კოლხეთი სწორედ სკეპტუხიებადაა დანაწილებული.).[151]

სიტუაცია იცვლება ახ.წ. I საუკუნეში. პლინიუსი, რომლის ცნობები ამ საუკუნის 70-იანი წლების ვითარებას ასახავს, წერდა: „ტრაპეზუნტამდე სანაპიროზეა მდ. პიქსიტი, მის გაღმა სან-ჰენიოხთა ტომი. ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯზეა მდ. აბსარუსი (ჭოროხი - **ავტ.**) ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრით შესართავთან (გონიო - **ავტ.**). ამ ადგილებში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მოედინება მდინარეები აკამპსეონი (ჭოროხის მეორე ტოტი - **ავტ.**), ისისი (ნატანები - **ავტ.**), მოგრისი (სუფსა - **ავტ.**), ბათისი (ყოროლისწყალი - **ავტ.**), შემდეგ კოლხთა ტომები, ქალაქი მატიუმი (ბათუმი),[152] ჰერაკლეის მდინარე იმავე სახელწოდების კონცხით და ყველაზე განთქმული პონტოს მდინარეთაგან - ფაზისი“.[153]

პლინიუსის ცნობის კონტექსტი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აქ ჩამოთვლილი მდინარეები (ჭოროხი, ყოროლისწყალი...) თუ მხოლოდ ლაზების არა, მაინცდამაინც, ჰენიოხების, ამპრევტების და ლაზების ტერიტორიაზე მოედინება. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტომები, ან ერთ-ერთი მათგანი მაინც, დღევანდელი აჭარის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობდა. ამავე დროს, რამდენადაც ჰენიოხები და ამპრევტები, პლინიუსის მიხედვით, სან-ჰენიოხებს და ლაზებს შორის ლოკალიზდებიან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სანებისა (ჭანებისა) და ლაზების მსგავსად, ესენიც დასავლურ-ქართული ტომები არიან.

აჭარის ზღვისპირა დაბლობზე ლაზთა განსახლებას ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ არიანეც ადასტურებს: „ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი... არიან კოლხები... მათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები (ალბათ იგივე სან-ჰენიოხები პლინიუსისა - **ავტ.**). მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან. ესენი - ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“.[154] ძიდრიტების განსახლების ფარგლები V ს ანონიმს (ე.წ. ფსევდო-არიანეს) მითითებული აქვს მდ.არქაბისსა (დღევანდელი არხავე) და მდ.აფსაროსს შორის. ასე რომ ძიდრიტების ჩრდილო საზღვარი მდ.ჭოროხია.

ამდენად, ეს ტომი აჭარის ტერიტორიაზეც სახლობდა, დაახლოებით იქ, სადაც პლინიუსის ჰენიოხები და ამპრევტები ცხოვრობდნენ, რომელთა გვერდით, პლინიუსის დროსვე, ლაზების ტომი იყო. გამოდის: თუმცა კი II ს, ფარსმან მეფის დროს გაძლიერებული ქართლის სამეფო კვლავ ზღვაზე გადის, რამდენადაც მდ.არხავესა და ჭოროხს შორის მოსახლე ძიდრიტები მისი ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ ზღვისპირა აჭარის უდიდესი ნაწილი ლაზთა სამეფოს

---

[150] **დ.ბესელიაშვილი**, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 54-59.

[151] **თ.ცაგარეიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 123-124.

[152] იხ.: Каухчишвили Т.С. Письменные источники по вопросу «колонизации» Восточного Причерноморья.- Проблемы греческой колонизации. . . с. 301.

[153] ВДИ, №2, 1949, с. 288, 289.

[154] **ფლავიუს არიანე**, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭეღმაძისა, თბილისი, 1981, გგ. 42, 43.

ტერიტორიაა.

ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთი საქართველო რომის გავლენის ქვეშაა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სტრატეგიულ პუნქტებში რომაელთა გარნიზონები დგას.

მიუხედავად ამისა, აჭარის ზღვისპირა დაბლობში დიდია გავლენა აღმოსავლურ-ქართული კულტურისა, რომელიც აჭარისწყლის ხეობით ერცელდება ამ რეგიონში. ასე მაგალითად, ახ.წ. პირველი საუკუნეების განძები თუ სამარხეული ინვენტარი აღმოჩენილია აჭარის ტერიტორიაზე მახოში, გონიოში, ციხისძირში. ასეთივე ძეგლი ცნობილია იქვე მახლობლად მდებარე სოფ.ურეკიდან (გურია).[155] მიუთითებენ აქ აღმოჩენილ ოქრომჭედლობის მაღალმხატვრულ ნიმუშთა ერთგვაროვნებას როგორც დამზადების ტექნიკის, ისე მხატვრულ-სტილისტური სპეციფიკის მიხედვით ბორის, კლდეეთის და არმაზისხევის ანალოგიურ ძეგლებთან,[156] რაც უთუოდ ამ პერიოდის ქართლის სამეფოს მორჭმულობისა და პოლიტიკურ-კულტურული ძლიერი გავლენის მოწმობა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ არა მხოლოდ აჭარისწყლის ხეობა, არამედ ზღვისპირეთის გარკვეული ნაწილი მაინც (კერძოდ, გონიო-აფსაროსის „ქვეყანა", სადაც ფარსმანის ქვეშევრდომი ძიდრიტები სახლობდნენ და სადაცაა აღმოჩენილი სწორედ გონიოს და მახოს „განძები") ამ დროს უშუალოდ ქართლის სამეფოში შედიოდა.

ფრიად საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ეს ძეგლი აღმოჩენილია იმ პუნქტებში, საიდანაც ცნობილია წინარეანტიკური და ანტიკური ხანის ნამოსახლარები (მახო,[157] გონიო,[158] ციხისძირი[159] და ფიჭვნარი). ამავე დროს, თითქმის ყოველი ზემოხსენებული უძველესი სამოსახლო, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იმთავითვე ივარაუდება გარკვეული ტერიტორიული ერთეულის „ხევის" -ცენტრად. ყველაფერი ეს, როგორც ვიცით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია, რომელიც იმავე „ხეეებში", ჩანს, შემდგომშიც აღმავალი ხაზით მიდიოდა. ამით იყო გაპირობებული ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ახ.წ. პირველ საუკუნეებში, კლასობრივი საზოგადოების პირობებში, აჭარის „ბარში" გაჩნდნენ მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც ცალკეულ „ხევში" შესაძლებელია უკვე მომავალი ფეოდალური არისტოკრატიის წინაპრებს წარმოადგენდნენ.

მეორე მხრივ, ძვ.წ. II საუკუნეში დაწყებულმა ე.წ. ლაზურმა ტრანსგრესიამ, რომლის შედეგად ზღვის წყალმა გადაფარა კოლხეთის სანაპიროზე არსებული ანტიკური ხანის ქალაქების სამეურნეო სავარგულები, როგორც ვარაუდობენ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ნამჭედურ-ფიჭვნარის ქალაქური ტიპის დასახლების საბოლოო დაცემა.[160] თუმცა, ფიჭვნარში ახ.წ. პირველი საუკუნეების ფენების არსებობაც ივარაუდება, ხოლო აქვე აღმოჩენილი ოქროს მასიური თვალიანი ბეჭედი[161] აქ არისტოკრატიის ერთ-ერთი კერის არსებობაზე მიგვანიშნებს. სამაგიეროდ ახალი ქალაქები და ქალაქური ტიპის დასახლებები ჩნდება აფსაროსში, ციხისძირში. ბათუმიც ინარჩუნებს თითქოს ურბანიზებული ცენტრის როლს, მით უმეტეს, რომ, როგორც აღნიშნავენ, ამ დროს იწყება ბათუმის ყურის ფორმირება.[162]

---

155 ნ.ხოშტარია, ციხისძირი; ოლორთქიფანიძე, თ.მიქელაძე, დ.სახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბილისი, 1980; ა.ფაჭაძე, გვიანანტიკური არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. - სსმმ, XII, 1947.

156 ნ.ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 27; ოლორთქიფანიძე და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

157 Инаишвили А. Поселения юго-восточного Причерноморья, с. 292.

158 ოლორთქიფანიძე და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

159 ნ.ანანიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993, გვ. 43, 44.

160 Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

161 ნ.ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 31, 32.

162 ა.კაკაბაძე, დ.სახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56-58.

თუ პლინიუსის დროს, I ს 70-იან წლებში აფსაროსი ციხე-სიმაგრედ იხსენიება, არიანეს დროს (II ს 30-იან წლებში) იგი უკვე ქალაქია, რომლის აკროპოლისში 5 რომაული კოჰორტა იდგა. არქეოლოგიური მასალაც მოწმობს მის ქალაქად ქცევას (სურ. 86-95). ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობებიც ამაზე მიუთითებენ. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ანდრია პირველწოდებულის ქადაგებასთან დაკავშირებით მოხსენიებული „მეგალეპოლისი“ (დიდი ქალაქი) სწორედ გონიო-აფსაროსს უნდა გულისხმობდეს.

ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი,[163] თუმცა, ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ არიანეს დროს ეს ქალაქი კოლხეთის კი არა, არამედ იბერიის სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო აჭარის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ციხისძირს, აქედან მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ აქ III-IV საუკუნეების მიჯნაზე აგრეთვე რომაელთა გარნიზონი უნდა მდგარიყო, ხოლო IV ს მეორე ნახევარში ქალაქური ტიპის სამოსახლო წარმოიქმნა, რომელიც V-VI საუკუნეებშიც არსებობდა.[164]

რითი იყო გამოწვეული ამ რეგიონში საქალაქო ცხოვრების აღმავლობა ამ პერიოდში ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ რომთან პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებასთან ერთად ქართლის სამეფოს შესაბამისი ინტერესებიც (ფარსმან II, ვახტანგ გორგასალი).

თუ რა ვითარებაა ამ დროს აჭარის შიდამთიან რეგიონში, რომელიც იბერიის შემადგენლობაში შედიოდა, სათანადო წყაროების უქონლობის გამო ცოტა რამის თქმა თუ შეიძლება. თუმცა, რამდენადაც უკვე საკმაოდ ვიცით, აჭარის „ბარისა“ და „მთის“ საუკუნოვან ტრადიციულ ურთიერთკავშირზე, საფიქრებელია, რომ ზღვისპირა დაბლობზე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობას მთიანეთიც უნდა ჩაეთრია. მართლაც, თუკი ზემოთ ვვარაუდობდით, რომ იბერიის გვიანანტიკური ხანის კულტურული გავლენა აჭარის ზღვისპირა ზოლში სწორედ სამცხიდან აჭარისწყლის ხეობაში გადმომავალი მაგისტრალური გზით უნდა განხორციელებულიყო, არის საფუძველი ბარიდან მთაში ცხოველი კულტურული ნაკადის შეღწევაზეც ვისაუბროთ.

მხედველობაში გვაქვს ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლისა და ქადაგების“ ის ვერსია, რომელიც დაცულია „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ხელნაწერებში. აქ მოთხრობილია თუ როგორ „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა - იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვიდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი პირუტყუთა უუგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა... ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად... და ნათელსცა ყოველთა... და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი... და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისასა“.[165]

უნდა აღინიშნოს, რომ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ ზემოხსენებული გადმოცემა უკვე არსებობდა XI ს და იგი მომდინარეობდა ადრებიზანტიური

---

[163] თ.ლორთქიფანიძე და სხვ., დასახ. ნაშრ., გვ. 6-10; ა.კაკაბაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 22.
[164] ნ.ინანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 100, 114.
[165] ქცა, I, გვ. 38.

(VIII ს) წყაროებიდან ამ მოციქულის იბერიაში მოღვაწეობის შესახებ.[166] ამდენად, თუ I ს-ას არა, იგი, საკმაოდ ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს.

პირველ ყოვლისა, წყაროს ცნობიდან ყურადღებას იპყრობს „ქუეყანა ქართლისა დიდაჭარა", რომელიც, ცხადია, მთლიანად აჭარისწყლის ხეობას უნდა გულისხმობდეს. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს გამოთქმული ვარაუდი, რომ „მცირე აჭარა" ზღვისპირა დაბლობს ეწოდებოდა. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ქვეყნის სახელი - „დიდაჭარა"- დღემდე შემორჩა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ სოფელს, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს უკანასკნელი, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ისევე როგორც უფრო ძველადაც, ამ ქვეყნის ცენტრი იყო. დასასრულ, ამ ცნობიდან ისიც არის საეჭვაუდო, რომ ისევე, როგორც უფრო ძველად, ქვეყნის კულტურული ცენტრი ზღვისპირეთშია („მცირე აჭარა"?), საიდანაც მისი ცხოველმყოფელი ნაკადი მთიანეთშიც („დიდი აჭარა") აღწევდა.

თუკი ამიერიდან „ქუეყანა ქართლისა დიდაჭარა", როგორც წესი, მართლაც, იბერიის განუყოფელი ნაწილია, ზღვისპირა რეგიონი - ეგრისის სამეფოს ტერიტორიას შეადგენდა, მართლაც, V ს მეორე ნახევარში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აჭარის ზღვისპირა რეგიონი ბივრიტიან ოძრხის ერისთავის საგამგეოში შედიოდა,[167] მაგრამ VI ს, როდესაც ეგრისის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი პეტრას ციხესთან, მის სამხრეთით გადიოდა,[168] აჭარის ზღვისპირა დაბლობი, ცხადია, მის ტერიტორიას შეადგენდა. განექმული პეტრას ციხესიმაგრის ლოკალიზაცია საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართაგან თითქმის ყველა მას დღევანდელ ციხისძირთან აიგივებს, უკანასკნელი ხანის წყაროთმცოდნეობითი და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოითქვა ანგარიშგასაწევი მოსაზრება ამგვარი საყოველთაოდ მიღებული იდენტიფიკაციის საწინააღმდეგოდ.[169] ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან პეტრა ციხისძირია თუ ხოფა, ორივე შემთხვევაში აჭარის ზღვისპირეთის იბერიისადმი მიკუთვნება გამორიცხულია.

ასეთივე ვითარებაა VII ს-შიც, რომელსაც მიეკუთვნება სომხური „აშხარაცუიცის" საბოლოო რედაქცია. ამ წყაროს პატკანოვისეულ და სენ-მარტენისეულ გამოცემებში „აჭარა" იბერიის ერთ-ერთი პროვინციაა.[170] მაგრამ ამ ცნობით აქ იგულისხმება ზემოხსენებული ქართული წყაროს „დიდაჭარა" ანუ აჭარისწყლის ხეობა. ზღვისპირა დაბლობი კი ამ დროს ეგრისის ტერიტორიაა. ეს კარგად ჩანს „აშხარაცუიცის" ერცელი რედაქციიდან, რომელშიც იბერიის ოლქების ჩამოთვლისას აჭარა თუმცა გამოტოვებულია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ჩვენება ჭოროხის ხეობის აღწერისას გვხვდება. ამ წყაროს მიხედვით, „ჭოროხი მოედინება სპერიდან, თუხარისის ციხესთან შედის კლარჯეთში, ხოლო აქედან ეგრისში, ნიგალის, მურღულის და

---

[166] ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, „გეორგიკა", IV', გვ. 57-59.

[167] ქცა, I, გვ. 185. სხვათაშორის, IV ს-შიაც იხსენებიან ბონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრები იბერები (იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 186. გელასი კესარიელის ცნობა), რაც, ცხადია, პირველ რიგში დღევანდელი აჭარის ტერიტორიის გულისხმობდა (კლარჯეთთან ერთად), რომელიც ამდენადვე იბერიაში ივარაუდება. იხ. დ.ბუსხელიშვილი, აჭარის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიიდან. „ანალები", №2, 1999.

[168] პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II, გვ. 126.

[169] გ.ფეროლიანი, ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები. - ხიგ., VII, 1989; მისივე, ეგრის-ლაზიკის საქეყნოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994; ნ.ანანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115-116.

170 Армянская география VII века по р.х. (приписывавшаяся Майсею Хоренскому). Текст и перевод: Издал К. П. Патканов: С.-Пб., 1877, с. 17; J.Saint-Martin, Mêmoires historiques et géographiques sur l Arménie, t. II, Paris, 1819, p. 35.

მრიტის (მირვეთის აგტ.) ხევების გავლით-პონტოს ზღვაში".[171] აქედან ცხადია: ჭოროხის ქვემო დინება ეგრისია, რაც გულისხმობს, რომ ეგრისშია მთელი ზღვისპირა აჭარაც.

X ს აჭარა „ქართველთა სამეფოს" ერთ-ერთი საერისთაოა. ეს კარგად ჩანს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარის „უცხოელებისადმი მიმართვის წესთა სახეების" ჩამოთვლისას: „იბერიის კუროპალატს ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან უდიდებულეს კუროპალატს". კუროპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ყავს ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასახის ერისთავს, იბერიაში, კარნატაის ერისთავს, იბერიაში, ყუელის ერისთავს, იბერიაში, აჭარის ერისთავს იბერიაში: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავანს"...[172]

იმის გასარკვევად თუ რა ტერიტორიას მოიცავდა ეს საერისთაო, კვლავ კონსტანტინე პორფიროგენეტი უნდა მოვიშველიოთ. იგი მოგვითხრობს, რომ გურგენ მაგისტროსმა „ძალით წაართვა თავის სიმამრს აშოტს არტანუჯი და ამის საბადლოდ მისცა მას ტიროკასტრონი (ყველის ციხე - აგტ.) და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან... და როდესაც ერთმანეთში აიშალნენ გურგენ მაგისტროსი და გიორგი მაგისტროსი და აფხაზთა მთავარი... გურგენმა შესძლო და წაართვა აშოტს ის საბადლო ქვეყანაც, რომელიც მან მისცა მას არტანუჯის მაგიერ...."[173]

აშოტ კისკასისათვის სიძისაგან სამართავად გადაცემული ქვეყანა „ტიროკასტრონი და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა", ფაქტობრივად, სამცხე და აჭარაა ანუ ძველი ოძრხის საერისთაო. კოლორისი, რომელიც საზღვარი იყო აშოტ კისკასის საგამგეოსა (ფაქტობრივად, კი აჭარას) და ბიზანტიას (რომანიას) შორის, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მდ.ყოროლისწყალი.[174] თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ყოროლისწყლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაც „აჭარისწყლის გასწვრივ ქვეყანას" უნდა ეკუთვნოდეს ანუ, უნდა ითქოთ, ქობულეთის დაბლობიც ბერძენთა სამფლობელოა და „აფხაზთა სამეფო" მისგან ჩრდილოეთით იდო. მაშასადამე, X ს პირველ ნახევარში, დიდი გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამგებლობის დროს, აჭარა მთლიანად (ყოროლისწყლის სამხრეთის გამოკლებით) მის მფლობელობაშია.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ ტერიტორიაზე (ალბათ, მაინცდამაინც, ზღვისპირა აჭარაზე, რომელიც ადრეც ეგრისის სამეფოში შედიოდა) გიორგი აფხაზთა მეფეს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა და ამიტომაც „აიშალნენ გურგენ მაგისტროსი და გიორგი მაგისტროსი და აფხაზთა მთავარი".

საფიქრებელია, რომ გურგენი სიკვდილამდე (941 წ.) ინარჩუნებდა ამ ტერიტორიას, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, „როდესაც გურგენ მაგისტროსის მიწა-წყალს ინაწილებდნენ იარაღის საშუალებით, აშოტ კურაპალატი, აფხაზთა მთავარი გიორგი მაგისტროსი და ბაგრატ მაგისტროსი, ზემოხსენებული კუროპალატის ძმა, ისინი ქორიგდნენ და თითოეულმა წაიღო თავისი სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა".[175]

ჩვენ ვვარაუდობდით, რომ სწორედ ამ დროს უნდა გადასულიყო სამცხე-ჯავახეთი

---

[171] Géographie de Moise de Corene d' aprés Ptolêmêe, Texte armenien tladuit en fraoçais par le p. Arsêne Soukry Mekhitariste. Venise, 1881, p. 35.

[172] კონსტანტინე პორფიროგენეტი „გეორგიკა", IV², გვ. 281.

[173] იქვე, გვ. 276, 277.

[174] დ.ბუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 144.

[175] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 277.

„აფხაზთა მეფეების“ ხელში.[178] საფიქრებელია, ამ დროსვე გადასულიყო მათ ხელში აჭარის ზღვისპირა დაბლობი. კიდევ მეტი, შიდამთიანი აჭარის „ქვემო ხევიც“, შესაძლებელია მათ მფლობელობაში მოქცეულიყო.

ამას გვავარაუდებინებს „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოს ნუსხა“, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ და რომლის მიხედვით შაგშეთში მჯდარ ტბეთის ეპისკოპოსს „აჭარა დანდალოს ზევითი მას პქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“. ამ ცნობას ყურადღება მიაქცია ნ.ბერძენიშვილმა, რომელმაც სცადა აეხსნა ეს ცოტა უცნაური გარემოება, თუ „როგორ მოექცა აჭარა ორ საკათალიკოსო სამწყსოში; შეიძლება ეს მოვლენა ერთობ შორეულ წარსულზე მიგვითითებდეს, როცა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები ჯერ კიდევ გაერთიანებული არ იყვნენ და დანდალოს ხაზი ამავე დროს სახელმწიფოებრივი საზღვარი [არ][177] იყო „აფხაზთა“ მეფეებსა და ტაოკლარჯეთის ქართველ ხელმწიფეთა შორის“.[178] როგორც ჩანს, მაინცდამაინც X-ს ორმოციან წლებში აჭარის დასავლეთი ნაწილი აფხაზთა მეფეს დაუსაკუთრებია, რასაც გურიელების პრეტენზია გვაფიქრებინებს:[179] შემდგომში, გარკვეული დროით, როგორც მიუთითებს ვახუშტი: „გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, **არამედ არს სამცხისა**“.[180]

ვახუშტი ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ფრიად ნიშანდობლივ ჩვენებებს იძლევა: „ხოლო გურია არა წილი ეგრისისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა (VIII ს. ბოლო - **აკტ**), მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა... განდგნენ და მიერთნენ ლეონს.“[181] ხოლო ლეონ აფხაზთა მეფემ, „ვინაითგან აპასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი (**აკტ**) და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, ეწოდა გურია და დასაა მუნ ერისთავი თვისი“.[182]

ბოლო ამონაწერში, მგონია, ვახუშტი უნდა სცდებოდეს, როდესაც „ჭოროხის სამხრეთის ოძრახოს წილზე“ მიუთითებს. „ჭოროხის სამხრეთი“, მისივე სწორი განმარტებით, ჭანეთია,[183] რომელიც არ შედიოდა „აფხაზთა სამეფოში“.[184] ამიტომ, ჩვენი აზრით, აქ საუბარი უნდა იყოს მაინცდამაინც „ჭოროხის ჩრდილოეთის“ ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარის ზღვისპირა დაბლობზე და საკუთრივ გურიაზე, ე.ი. ტერიტორიაზე, რომელიც ვახუშტის მიხედვით ძველად „ოძრახოს წილი“ იყო, ხოლო ლეონ აფხაზთა მეფის დროს მას (ოძრახოს), ე.ი. ფაქტობრივად „ქართლს“ ჩამოსცილდა და „აფხაზეთის სამეფოს“ ანუ დასავლეთ საქართველოს შეუერთდა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია; ვახუშტის მიხედვით, VIII ს ბოლოდან აჭარის ზღვისპირა დაბლობი დასავლეთ საქართველოს სამეფოშია.

ამგვარად, თუკი ვახუშტი ბაგრატიონთან დაცული ტრადიცია სინამდვილეს შეეფერება, ჩვენ კი ამის საწინააღმდეგო რაიმე საბუთი არ გაგვაჩნია, მაშინ ისიც უნდა გირწმუნოთ, რომ X ს პირველ ნახევარში ჩამოვარდნილი უთანხმოება გიორგი აფხაზთა მეფესა და გურგენ დიდს

---

[176] **დ.ბუხსელიშვილი**, დასახ. ნაშრ. გვ. 224.

[177] ნ.ბერძენიშვილის ციტირებულ ტექსტში „არ“ ზედმეტი ჩანს, რაც როგორც მგონია, კალმისმიერი შეცდომაა და ამიტომ კუთხოვან ფრჩხილებში ჩავსვი.

[178] **ნ.ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 115, შენ. 17.

[179] იქვე, გვ. 114, 115.

[180] ქცა, IV, გვ. 793.

[181] იქვე, გვ. 789.

[182] იქვე, გვ. 796.

[183] იქვე, გვ. 689.

[184] იქვე, გვ. 796.

შორის ტერიტორიულ პრეტენზიებს გულისხმობდა, კერძოდ კი, გიორგი მეფის „სამკვიდროს მეზობელ ქვეყანას“, მაინცდამაინც, აჭარის ზღვისპირა დაბლობს, რომელიც მანამდე გურგენ ერისთავთ-ერისთავს კვლავ დაუჭერია (იხ. ზემოთ).

შემდგომში ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ ბათომის მხარე ჭოროხამდის გეოგრაფიულად აჭარის ნაწილი (აჭარის ნაწილადვე იგულისხმება ის ლეონტი მროველის ცნობითაც), როგორც ჩანს, პოლიტიკურად უმთავრესად გურიის სამთავროში შედიოდა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბატონიშვილი ვახუშტი ბათომის მხარეს გურიის ნაწილადაც სთვლიდა.[185] სწორედ ამ პერიოდში, თუ უფრო ადრე არა, აჭარის ზღვისპირა მხარეში უნდა დამკვიდრებულიყო ქვაბულიძეთა ფეოდალური გვარი, ფიქვნარის გვიანანტიკური ხანის წარჩინებულთა სოციალური მემკვიდრე, და წარმოქმნილიყო მხარის სახელწოდებაც - „ქობულეთი“; იგი XI ს, როგორც ზემოთ ვვარაუდობდით, უკვე უნდა არსებულიყო.[186] აჭარისწყლის ხეობა კი, ანუ „ქუეყანა/ ქართლისა დიდ-აჭარა“, კვლავ ბაგრატიონთა სამფლობელო იყო, რომელსაც „ქართველთა მეფეების“ მიერ ხელდასმული ერისთავი მართავდა.

ამ დროისათვის საქართველოში დიდი ხანია, რაც ფეოდალურ ურთიერთობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოეცვა. ცხადია, ასევე უნდა ყოფილიყო აჭარაშიც, ბაგრატოვან „ქართველთა მეფეთა“ სამფლობელოს ერთ-ერთ პროვინციაში. მართლაც, ძველ „ხევთა“ შიგნით სოციალური ურთიერთობის განვითარების შედეგად წარმოიქმნა ფეოდალ-აზნაურთა საბატონო „ქვეყნები“, რომელთა ცენტრებად იმავე ფეოდალ-აზნაურთა ციხე-სიმაგრეები გვევლინება. დამთავრდა „ხევების“ ეპოქა და დაიწყო „ქუეყანათა“ ხანა.[187]

აჭარა ამ პერიოდში წინარე სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული აღმავლობის შედეგად მჭიდროდ დასახლებული ჩანს. XIX ს მოგზაურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ძველი ნაეკლესიარები, ნასოფლარები და ნაციხვარები აჭარის ყველა კუთხეში გვხვდება.[188] ცალკეულ „ხევთა“ შორის და საერთოდ მთელი აჭარის გარე სამყაროსთან ინტენსიური საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაჩვენებელია, როგორც ვიცით, ქვის თაღოვან ხიდთა დიდი რაოდენობა კინტრიშზე, აჭარისწყალზე და მის შემდინარე ხევებზე.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ ხალხური გადმოცემა აჭარაში დაცულ მატერიალური კულტურის ყველა ძეგლს თამარ მეფეს მიაწერს.[189] უკანასკნელი ხანის გამოკვლევებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული ძეგლები, მართლაც, ფეოდალური საქართველოს აღმავლობის პერიოდშია შექმნილი.

ბოლო წლებში აჭარაში არაერთი ძეგლი იქნა გამოვლენილი და შესწავლილი. მომავალი მიზანდასახული კვლევა-ძიება კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება შუა საუკუნეების აჭარის ისტორიული გეოგრაფიის სრული მეცნიერული წარმოჩენა; ამჟამად კი მხოლოდ ფრაგმენტულ მონაცემებს უნდა დავჯერდეთ.

ასე მაგალითად, არქეოლოგიურად შესწავლილია ჭვანის (ტაკიძეების) ციხესიმაგრე,[190] რომელიც ჭვანისწყლის ხეობაში, მის ქვემო წელზე დგას, ოთოლთისწყლის შესართავთან

---

[185] ნ.ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 113, შენ. 18.

[186] ნ.ბერძენიშვილის აზრით, ხორონმი „ქობულეთი უნდა მოწმობდეს, რომ აქ ვარდანისძე-გურიელებზე უფრო ადრე ქვაბულიძეები ბატონობდნენ (იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები“, 1990, გვ. 439).

[187] დ.მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., თავი III.

[188] Уварова П. Кавказ-Абхазиа, Аджария, Шавшетия. Путешествие. Заметки. Часть II, Москва, 1891, с. 211.

[189] შრომა, დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი და ციხე-კოშკი, - ამშ, IV, 1960, გვ 17.

[190] შ.ბაბულაძე, აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე). -სდსძ, XIX, გვ. 88-115.

კონცხზე ამართულ მაღალ კლდეზე. მას ხეობაში გაბატონებული მდებარეობა ჰქონდა, საიდანაც ხეობა ოთხივე მხრივ კარგად მოჩანს, ციხესიმაგრიდან იშლება ხედი აჭარისწყლის ხეობაზეც, კერძოდ, კვიანისა და დანდალოს ციხესიმაგრეებზე. ნაგებობაში გამოიყოფა შიდა ციხე და გალავანი. შიდაციხის ტერიტორიაზე, რომელიც „ციხის ეზოსაგან" კედლითაა გამოყოფილი, გაითხარა მარანი (ქვევრები), ბურის საცხობი (თონეები), წყლის რეზერვუარი (ამოჭრილია კლდეში); მარანი და წყლის რეზერვუარი დაფიქსირდა „ციხის ეზოშიც". ციხე-კოშკი დგას ჭვანისწყლის ხეობაზე გამავალ გზებზე, რომლებიც საკუთრივ აჭარისწყლის ხეობას აჭარა-გურიის ქედზე არსებული ზეკარებით გურიასთან აკავშირებდა. ჭვანისწყლის ხეობის ქვემო წელზე მიწათმოქმედებისა და მევენახეობისათვის ფრიად ხელსაყრელი გეოკლიმატური პირობებია (ამას ციხის მარნებიც ადასტურებს). განსაკუთრებით ოპტიმალური პირობებია მე-საქონლეობის განვითარებისათვის.

სავსებით რეალურია ვარაუდი, რომ ჭვანის ციხესიმაგრე ადგილობრივი ფეოდალის, აზნაურის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.[191] უძველესი კულტურული ფენის და ე.ი. ციხე-სიმაგრის აგების თარიღია XI-XIII სს.[192]

ამგვარად, არქეოლოგიურად გამოვლენილია აზნაურის რეზიდენცია, რომლის „შესავალი" უნდა ყოფილიყო ჭვანისწყლის ხეობის სოფლები და რომლის ეკონომიკურ ბაზისს ქმნიდა ამ საფეოდალო „ქვეყნის" სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და საბაჟო შემოსავალი.

ასეთი ფეოდალური ერთეულებისაგან „ქვეყნებისაგან" - შედგებოდა აჭარა. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ ეს სააზნაურო „ქვეყნები" ძველ „ხევთა" ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე, ხელსაყრელი სამეურნეო თუ სტრატეგიული პირობების არსებობის ნიადაგზე, ძველი, წინა-კლასობრივი ეპოქის გორანამოსაზლარების ჰეგემონი თემები წარჩინებულ ფეოდალურ „სახლად" ყალიბდებოდნენ, ხოლო მათ გარშემო განლაგებული რიგითი სამოსახლოები-ფეოდალის ყმადქცეულ „სოფლებად" და „დაბებად". ამ თვალსაზრისით შესაძლებელია არც იყოს შემთხვევითი, რომ ჭვანის ციხე-სიმაგრის მახლობლად გვიანბრინჯაოს ხანის ცულებია აღმოჩენილი.[193]

აზნაურთა ფეოდალური „ქვეყნების" ასეთ რეზიდენციებად აჭარაში წარმოგვიდგება არა მხოლოდ ჭვანის ციხესიმაგრე, არამედ ციხისყელის, დარჩიძეების, ბეგოშვილების, დანდალოს და სხვა ციხე-კოშკებიც.[194]

ჭვანის ციხე-კოშკს განათხარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, როგორც ვიცით, XI-XIII საუკუნეებში აგებულად თვლიან. ასევე ათარიღებენ ზოგადი მოსაზრებების საფუძველზე დარჩიძეების, შუახევის (შ.რუსიძე) და ბეგოშვილების (ი.სიხარულიძე) ციხესიმაგრეებს, მაგრამ შემდგომმა ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ შესაძლებელია თარიღები დააზუსტოს.[195] ყოველ შემთ-ხვევაში არ არის გამორიცხული, რომ აჭარის ზოგიერთი ასეთი ნაგებობა გაცილებით უფრო ძველიც აღმოჩნდეს. კერძოდ, VIII-IX საუკუნეებისა, როდესაც საქართველოში ფეოდალური

---

[191] იქვე, გვ. 90.

[192] იქვე, გვ. 109.

[193] იქვე, გვ. 69; ა.კაკაბაძე, შ.მაჰმულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[194] შ.მაჰმულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100; შ.რუსიძე, დარჩიძეების და შუახევის ციხე-სიმაგრეები, - ამშ, II, 1957; ი.სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962.

[195] ასე მაგალითად, სანამ ჭვანის (ტაკიძეების) ციხე-კოშკი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ზუსტად დათარიღდებოდა, მას გვიანი შუასაუკუნეების ძეგლად თვლიდნენ (იხ.: ი.სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49, 50).

საზოგადოება სიმწიფის ასაკში შევიდა.[196] ამას გვავარაუდებინებს, აგრეთვე, აჭარის მეზობელი შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს საზოგადოებრივი განვითარების დონე ამ საუკუნეებში, როდესაც იქ, ციხესიმაგრეებთან ერთად, ქართული საეკლესიო არქიტექტურის შედევრები შენდება (ოპიზა, ტბეთი, იშხანი, ოშკი და სხვ.).

ამასვე გვავარაუდებინებს აჭარის ზღვისპირა ზონის ვითარება, კერძოდ, ძველ გორანამოსახლარზე აგებული „ბათუმის ციხის" გათხრების შედეგები.

გორანამოსახლარი ყოროლისწყლის „ხევის" პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას ინარჩუნებდა არა მარტო ელინისტურ და გგიანანტიკურ ხანაში, არამედ უფრო გვიანაც, კერძოდ, ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაშიც.[197] ამ ციხესიმაგრის ძირითად სამშენებლო ფენას ადრეულ შუასაუკუნეებს მიაკუთვნებენ.[198]

თუ შიდამთიანი აჭარის ცენტრი ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, დიდაჭარა უნდა ყოფილიყო, რომელიც აჭარა-სამცხის დამაკავშირებელი მაგისტრალის გზაჯვარედინზე იდგა, უფრო გვიან, ყოველ შემთხვევაში XI ს, იგი სხალთის ხეობაში ინაცვლებს და ასეთად ხიხანი ანუ ხიხათა ციხესიმაგრე გვევლინება: 1046-47 წლებში „მატიანე ქართლისაში" მოიხსენიება „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერის ციხის ბატრონი".[199]

ამ ამონაწერიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აბუსერი არა მხოლოდ არტანუჯის, არამედ ხიხათა (და აგრეთვე ციხისჯუარის) ერისთავიცაა. ამას გვაფიქრებინებს მისი ჩამომავლობის მოხსენიება ერისთავთ-ერისთავებად.[200] თუ ეს ასეა, მაშინ აბუსერი, ფაქტობრივად, აჭარის ერისთავიც უნდა ყოფილიყო, იმ აჭარის ერისთავის „ჩამომავალი", რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტთან იხსენიება. აქედან [illegible] ხიხანია ამ დროს აჭარის ცენტრი.

რას უნდა გამოეწვია საერისთავო ცენტრის გადანაცვლება აჭარისწყლის ხეობიდან სხალთის ხეობაში?

აქ საჭიროა მოვიტანოთ გ.ყაზბეგის მიერ ნათლად აღწერილი სურათი ხიხათა ციხის ადგილმდებარეობისა: „სოფელ ხიხაძირში 20-მდე კომლია. აქ სხალთისწყალს დიდი დაქანება აქვს - მდინარე თითქოს არღვევს ქვაბულის კიდეებს და ისე გადმოდის მისგან. სოფლიდან ნახევარი ვერსით მაღლა უკვე კარგად ჩანს ბრტყელი ფსკერი იმ ქვაბულისა, რომელიც საფეხურებად ეშვება არსიანის მთავარი ქედიდან. ამ ტერასებზე განლაგებულია სახნავ-სათესი მიწები, აქვე შეკედლებულან სოფლები - სკვანა, ქვემოთხილვანა, ზემოთხილვანა, მანსუი და ბაკო. ამ სოფლებით დაკავებული ფართობი ყოველი მხრიდან მაღალი მთებით არის შემოზღუდული. სხვებზე მაღლა მდებარეობს სოფელი ბაკო... მივედით სოფელ ბაკოში, რომელიც მდინარე სხალთისწყლის ზემოწელზეა გაშენებული და შერიფ-ბეგის (ხიმშიაშვილის - ავტ.) სააგარაკო სახლში დავდექით... აქ ბეგი რამოდენიმე დღით ჩერდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, საძოვრებზე საქონლის გადაყვანა-გადმოყვანისას. სოფელ ბაკოს მიდამოები სოფელ ღორჯომს წააგავს: ისეთივე ტერასისებური ადგილები, დახრამული ღარტაფები, საი-

---

[196] იხ.: **დ.მუსხელიშვილი**, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეები). - „მაცნე", №2, 1980.

[197] **ა.კაკაბაძე, დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 57, 58.

[198] Леквинадзе В.А. О построиках Юстиниана в Западной Грузии.- ВВ, т.34, Москва , 1973, с. 171-173.

[199] ქცა, I, გვ. 300.

[200] **აბუსერისძე ტბელი**, დასახ. ნაშრ., გვ. 20, 66, 67, 69.

დანაც ყოველი მხრიდან მოედინებიან წყლები, რომლებიც მდ.სხალთისწყალს წარმოშობენ. აღმოსავლეთით აღმართულია ფრიალო მთა ხირხათი. სოფელ ბაკოზე გადის ახალციხიდან და არტაანიდან ბათუმში მიმავალი საქარავნო გზები. ორივე ეს გზა გარს უვლის ხირხათის მთას, პირველი-ჩრდილოეთიდან, მეორე სამხრეთიდან. ხირხათის მთა ზღვის ღონიდან 8534 ფუტის (2602 მ - აგტ) სიმაღლეზე მდებარეობს... მთის შუა ნაწილიდან სამხრეთისკენ მოდის მყარი კონტრფორსი; ეს განშტოება მთავარ ქედს ვიწრო ყელით უერთდება და ქმნის დიდ ბუნებრივ სიმაგრეს, რომელზეც ადამიანს გალავნის და კოშკების აშენება მოუხერხებია. ეს ნაგებობა ხირხათის ციხის სახელით არის ცნობილი..."[201] „ციხე-სიმაგრის კედლებიდან ვტკბებოდით ამ მიდამოს დიდებული პანორამით. არსიანის ქედი მერიდიანის მიმართულებითაა გადაჭიმული; ამ ქედზე, ჩვენგან სამხრეთით, აღმართულია არსიანის მთის ბლაგვი მწვერვალი; აქვე თითქმის გვერდით, აწვეტილია ჩირუხის მთის კონუსი, საიდანაც რადიუსებად მიემართებიან შავშეთისა და კარჩხალის მთები. პირდაპირ დასავლეთისკენ მიიკლაკნება სხალთის ხეობა და გადაშლილია ის ადგილები, სადაც განლაგებულნი არიან სოფლები ბაკოდან ხიხაძირამდე. ჩრდილო-დასავლეთისაკენ ამართულია ზემო აჭარის მთები... თავალი დაახლოებით 150 ვერსს სწვდება გარშემო, და მთელი ეს სივრცე ნაპრალებითა და გიგანტური კონუსებით არის დაფარული..."[202] „ზემო აჭარის მთავარი გზები ბათუმიდან ქედისაკენ მიემართებიან; შემდეგ კი ჭვანის, დიდაჭარის და სხალთის ხეობებისკენ იტოტებიან... საუკეთესო გზა მიემართება სხალთის და ბაკოს გავლით ფოცხოვის კარანტინისკენ (და ე.ი. სამცხისკენ - აგტ). ჩვენ საარქივო მასალებში ეს გზა სამხრეთ აჭარის სახელწოდებით არის მოხსენიებული... სხალთის გზის შემდეგ საუკეთესო გზები (სამცხისაკენ - აგტ) დიდაჭარის და ბელლეთის ხეობებზე გადის".[203] დასასრულ, „ბეინაუს არ არის უშნაშენელი ის გადმოცემა, რომელიც ავრეთვე გ.ყაზბეგმა ჩაიწერა: „თქმულების მიხედვით ხირხათის ციხე თამარ მეფეს აუშენებია თეკურლენგის შემოსევის წინ. აჭარელმა, რომელმაც ეს თქმულება გადმოგვცა, ისიც გვითხრა, რომ თამარ მეფისათვის ამ ციხე-კოშკში ალყა შეშოურტყამთ, მაგრამ იგი დიდხანს გაუძგრებულა; მთის ქვეშ ზარზმამდე გზა გაუთხრეინებია და იქ დადიოდა სალოცავადო"...[204]

გ.ყაზბეგის მიერ შესანიშნავად გადმოცემული აღწერილობა ხიხათა ციხესიმაგრის მდებარეობისა, რომლის ვრცელი ამონაწერი სპეციალურად მოვიტანეთ, და მის მიერვე დფიქსირებული თქმულება, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა აბუსერისძეთა რეზიდენციის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზეც. ავტორის მახვილ თვალს არ გამოპარვია ბაკოს და ღორჯომის ქვაბულების გეომორფოლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული დიდი მსგავსება (იხ. ზემოთ). ეს ციხესიმაგრე გაბატონებულია სხალთისწყლის ხეობაზე, მის „მთაზე" (ბაკოს ქვაბული) და „ბარზე" (საკუთრივ სოფ.სხალთა და მის ქვემოთ გაშლილი ხეობა).[205] ეს ხეობა მაინცდამაინც ბაკოს ქვაბული სოფ.ხიხაძირიანად (თვით სახელწოდება სოფლისა ამას მოწმობს). მისი უშუალო „შესავალია", საგამგეოა. იგი გაბატონებულია არსიანის ქედის საძოვრებზეც და ამდენადვე, გარკვეულად, ხელს ადებს იმ „ხევებს", რომელთა საქონელიც არსიანის მახლობელი საძოვრებით სარგებლობს. დასასრულ, იგი აკონტროლებს აჭარიდან სამცხეში (ახალციხე, ზარზმა) გადამავალ გზას. ამგვარად, ხიხათა ციხესიმაგრის დიდი სტრატეგიული

[201] **გ.ყაზბეგი**, დასახ. ნაშრ., გვ. 50, 51.
[202] იქვე, გვ. 53.
[203] იქვე, გვ. 56, 57.
[204] იქვე, გვ. 52.
[205] Бакрадзе Д. АПГА, сс. 54, 55.

მნიშვნელობა როგორც სამეურნეო, ისე საგაჭრო და სამხედრო თვალსაზრისით საგსებით გასაგებია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სრულიად ანალოგიური ფუნქციის მქონეა დიდაჭარა-ღორჯომის ქვაბულიც: ისიც აჭარის „მთისა“ და „ბარის“ საყარზეა და ამაეე დროს აჭარიდან სამცხეში გადამავალი გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს. მაშ, მაინც რატომ ინაცვლებს აჭარისწყლის ხეობის ცენტრი დიდაჭარიდან ხიხანში?

მთავარი აქ უნდა ყოფილიყო ის, რომ ხიხანის ციხესიმაგრე იდგა არა მხოლოდ აჭარის სამცხესთან დამაკავშირებელ „საუკეთესო საქარავნო გზაზე“, არამედ ასეთსავე მაგისტრალზე, რომელიც ბათუმს არტაანთან აკავშირებდა.

კიდევ მეტი: როგორც აბუსერისძე ტბელის ერთ-ერთი თხზულებიდან ირკვევა, სხალთის ხეობიდან ხიხანზე გავლით „უმოკლესი გზით შეიძლებოდა შავშეთის ქედის გადალახვა და იმერხევის ხეობაში მოხვედრა (მდ.ყვირალას ხევით), რომლის ქვემოწელზეც ობიზის მონასტერი მდებარეობდა“ (კლარჯეთში)[206]. ამგვარად, ხიხათა ციხე კიდევ ერთ მაგისტრალს აკონტროლებდა, რომელიც აჭარას სხალთის ხეობით შავშეთ-კლარჯეთ-ტაოსთან აკავშირებდა (იხ. ზემოთ ჩვენ მიერ შავშეთის ტბეთში ჩაწერილი ძველი გზის მიმართულება). დ.ბაქრაძე სხალთის ხეობიდან ჩირუხის უღელტეხილით, არსიანის ქედის გასწვრივ, გადავიდა შავშეთში, იქიდან არტაანში და შემდეგ ართვინში.[207]

ლ.მუსხელიშვილი აბუსერისძე ტბელის სამოდვაწეო ადგილის ლოკალიზაციისას ასკვნის, რომ „იგი ზემო აჭარაში ზის, არსიანის მთაში, სამცხის საზღვარზე, და ხიხათა ციხე სწორედ ამ საზღვრისა, შემდეგ, არტაანიდან გადმომავალი გზისა და აგრეთვე, ალბათ, შავშეთიდან გადმომავალი გზის სადარაჯოს წარმოადგენს“ ანუ „ხიხათა ციხე თავის დროზე, როგორც ჩანს, მეტად მნიშვნელოვან საკვანძო ადგილას ყოფილა აშენებული, რომელზედაც რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი გზა იყრებოდა“.[208]

აჭარა უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამცხესთან (და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოსთან) სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც (ფარნავაზისეული ოძრხის საერისთავო, ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მიმოსვლა აჭარიდან სამცხეში...). ამდენად, საგსებით გამართლებული ჩანს შიდამთიანი აჭარის ცენტრის დიდაჭარაში არსებობა, საიდანაც გადადის მარჯვე, უმოკლესი გზები ქვაბლიანის ხეობაში. უფრო გვიანაც ანალოგიური ვითარება ჩანს. კერძოდ, აბუსერისძე ტბელის თხზულების ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების ანალიზის შედეგად ლ.მუსხელიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „აჭარა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ დროსაც პოლიტიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული სამცხესთან, ამ უკანასკნელთან ერთად შედის ცნებაში „ლიხთა ამერისა საქართველოისა“.[209] მაგრამ ჩანს, ამ დროს დიდ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ბროვინციებთან ურთიერთობაც, კერძოდ, შავშეთ-კლარჯეთ-ტაოსთან. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ მხარის სწრაფი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით, რაც, როგორც ცნობილია, VIII ს მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი IX-X საუკუნეებშია (და შემდგომაც) თვალსაჩინო.

სწორედ ამას უნდა გამოეწვია შიდამთიანი აჭარის ცენტრის გადანაცვლება დიდაჭარისწყ

[206] აბუსერისძე ტბელი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.
[207] Бакрадзе Д. Заметка о Батумской области, с. 154.
[208] აბუსერისძე ტბელი, გვ. 8 და შენ. 2; შდრ.იქვე, გვ. 16.
[209] იქვე, გვ. 15.

ლის ხეობიდან სხალთისწყლის ხეობაში, ხიხანში, რომელიც თუმცა უფრო შორი, მაგრამ მაინც „საუკეთესო საქარავნო გზით“, კვლავ მჭიდროდაა დაკავშირებული სამცხესთან (ფოცხოვის ხეობით), აგრეთვე არტაან-შავშეთ-კლარჯეთთან. ამდენად, ცენტრის ასეთი გადანაცვლება, სადღაც IX-X საუკუნეებში უნდა მომხდარიყო და აბუსერისძეთა ზემო აჭრის მკვიდრი ფეოდალური გვარის[210] დაწინაურებაც ამ დროსაა სავარაუდებელი. ნიშანდობლივია, რომ ამ გვარის პირველი წარმომადგენელი XI ს პირველ ნახევარში, 1028\30 წლებისთვის გვხვდება. ამ დროს „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოანეს ერისთავსა აბუსერ(ის ძე)სა“.[211] კიდევ უფრო მრავლისმთქმელია ის, რომ ოცდაოდე წლის შემდეგ, 1046\47 წლებში, აბუსერი, როგორც ჩანს, ზემოხსენებული იოანეს ძე, არის „ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერისა ციხისა პატრონი“.[212]

ამ ერისთავის ეგზომ გაზრდილი სამფლობელო (აჭარა, სამცხე, კლარჯეთი), მით უმეტეს, რომ მას ისევე როგორც მის მამას იოანეს, შავშეთიც უნდა სჭეროდა,[213] ხიხათა ციხესიმაგრის ზემოხსენებულის მნიშვნელობის კარგი ილუსტრაციაა: ბუნებრივია, მის მფლობელს იმ ქვეყნების დაბატრონების პრეტენზიაც გასჩენოდა, რომელთა შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობასაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს ციხესიმაგრე აკონტროლებდა.

აბუსერის ზედწოდება, როგორც აღვნიშნეთ, მისი ერისთავთ-ერისთავობის მოწმობაა და, ამდენად, აჭარა XI ს პირველ ნახევარშიც საერისთავოა. ასევეა უფრო გვიანაც. დაყით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 1080 წ. „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“.[214] ეფიქრობთ, კონტექსტით, „ჭყონდიდს“ გარდა, რომელიც საეპისკოპოსო ეპარქიის ტერიტორიას აღნიშნავდა, აქ სწორედ საერისთაოო ქვეყნებია ჩამოთვლილი (კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე. ქართლი, სამოქალაქო...) და, ამდენად, აჭარაც საერისთავოდ უნდა ვიგულისხმოთ.

XIII ს, როდესაც თავის თხზულებას წერდა აბუსერისძე ტბელი, და შემდგომშიც, შიდამთიანი აჭარა „ლიხთამერი საქართველოს“ შემადგენლობაშია, XIII ს მეორე ნახევრიდან-სამცხის სპასალარების (შემდეგ ათაბაგების) სამფლობელოში: „ამათ ყამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა... მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“.[215] უფრო გვიან, XIII ს დასასრულისათვის, „ესე ბექა განდიდებულ იყო, და აქუნდა ტასისკარითგან, ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა; ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, ამათ შორისი ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი“.[216]

---

[210] იქვე, გვ. 16.
[211] ქცა, I, გვ. 293, კონიექტურისათვის, იხ. **აბუსერისძე ტბელი**, გვ. 17.
[212] ქცა, I, გვ. 300.
[213] იხ. **აბუსერისძე ტბელი**, გვ. 18.
[214] ქცა, I, გვ. 319.
[215] ქცა, II, გვ. 273.
[216] იქვე, გვ.. 304.

ბექას საშფლობელო ტერიტორია თუ „ვიდრე ზღუამდე“ აღწევდა, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ აჭარის ზღვისპირა დაბლობიც მის შემადგენლობაშია, მით უმეტეს, რომ ჭანეთიც ახლა მის საბრძანებელშია და, ალბათ, „კლარჯეთიც ზღვითგან არსიანთამდე“. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. ამაზე გვარწმუნებს იგივე ეამთააღმწერლის ცნობა: როდესაც XIII ს 60-იან წლებში მონღოლთა უფლისწული თეგუდარი აუჯანყდა აბაღა ყაენს და არსიანის მთაზე დამარცხდა მის ლაშქართან ბრძოლაში „თავსა ყველისასა“, იგი ლაშქრითურთ „ივლტოდა უცნაურად რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისხევით (ე.ი. შავშეთზე გავლით - აგტ.)... ჩაიარეს აჭარა და ნიგალისხევი, და მერმე შეიარეს გურია, და მივიდეს ქუთაისს მეფესა დავითს წინაშე“.[217]

ერთი საუკუნის შემდეგ, როცა ტრაპეზუნტელი ქრონისტი მიქელ პანარეტოსი საუბრობს ტრაპიზონის კეისრისა და საქართველოს მეფის ბაგრატ V შეხვედრაზე, წერს: „6 აგვისტოს წავედით ლაზიკაში და თვის ბოლოს 6881 (1372) წლის დასაწყისში შევხვედით ბაგრატ მეფეს. მას შემდეგ მოვედით ბათუმს, კარვები გარეთ ცის ქვეშ დავდგით... იქ ვებაასეთ გურიელს, რომელიც მეფესთან პატივისცემისათვის მოვიდა“.[218]

ოირვე ცნობის კონტექსტი ისეთია, რომ ეჭვი არ არის, ზღვისპირა დაბლობი ბათუმიანად გურიელის მფლობელობაშია.

რამოდენიმე სიტყვა ქ.ბათუმის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბათუმი დატანილია XIVს იტალიურ საკომპასო რუკებზე, კერძოდ, ვისკონტეს 1318 წ. (vati), ლუკსოროს XIV ს დასაწყისის (lovati) და პიციგანების 1367 წ. (vaty) რუკებზე.[219] ეს გარემოება, ცხადია, მოწმობს ამ დროს ბათუმის, როგორც სავაჭრო ნავსადგურის მნიშვნელობას. ქალაქის საგარეო ვაჭრობაზე XIX ს მასალების მიხედვით ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ დამატებით იმას აღვნიშნავთ, რომ დ.ბაქრაძის მიხედვით, ბათუმიდან, სხვათაშორის, გაქონდათ ადგილობრივი პროდუქციიდან: ცვილი, თაფლი, თევზის ქონი, ტილო, ბადეები და ხე-ტყე.[220] თვით ბათუმელი ვაჭრების სიტყვით, მთავარი პროდუქტები, რომლებიც გაქონდათ ევროპაში, იყო: ხე-ტყე, კაკლის ხე, აბრეშუმი, ცვილი და თაფლი.[221] ნ.ლევაშოვიც მიუთითებდა, რომ მურღულის ხეობის მეფუტკრეობის პროდუქცია (თაფლი და ცვილი) ბათუმში საღდებოდა.[222] მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს სტრაბონის ცნობა, რომ კოლხეთის საგარეო ვაჭრობის საგნები იყო: ხე-ტყე, სელის ქსოვილი, კანაფი, ცვილი და ფისი.[223] თვალში საცემია დასავლურ-ქართული ექსპორტის ასორტიმენტის მსგავსება ძვ.წ. I და ახ.წ. XIX საუკუნეებში! ეს ნიშანდობლივი მოვლენა, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დაახლოებით ასე-თივე სურათი ვივარაუდოთ შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოსთვის და, კერძოდ, ბათუმის ექსპორტისათვისაც. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული XV ს 70- იანი წლების იტალიელი მისიონერის ამბროზიო კონტარინის ცნობა,

---

[217] იქვე, გვ. 260, 261.

[218] მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი-წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. -მსკი, ნაკვ. 33, თბილისი, 1960, გვ. 40, 81, 82.

[219] Брун Ф. Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасовым картам. - «Черноморье»" II, Одесса, 1880, с. 251 и Топографическая таблица.

[220] Бакрадзе Д. АПГА, с. 22.

[221] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[222] Левашов Н. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[223] ოცუხრიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123-124.

რომ გურიის სამთავროში ბათომს გარდა არის „მეორე პატარა ქალაქი შაგი ზღვისპირად, სახელდობრ კალთიხეა (ციხისძირი - ავტ.), სადაც ყიდიან აბრეშუმის მომსხო ტილოს და მცირეოდენ შალსაც“.[224] არქანჯელო ლამბერტი კი (XVII ს) პირდაპირ მიუთითებდა, რომ სამეგრელოდან თურქეთში, მართლაც, ის საქონელი გადიოდა, რომლითაც ანტიკური ხანის კოლხეთი ევროპისათვის იყო ცნობილი, სახელდობრ: კანაფი, ცვილი, სელი, ხე-ტყე და სხვ.[225] მართალია, ეს ცნობა არ ეხება უშუალოდ დღევანდელი აჭარის სანაპიროს, მაგრამ სხვა ზემოთმოტანილ ცნობათა კონტექსტში ნიშანდობლივია. მით უმეტეს, რომ მისიონერი ლუი გრანჟიე სწორედ 1615 წლისთვის ბათუმს საგანგებოდ ასახელებს როგორც საქართველოს საზღვაო ბორტს.[226]

ამგვარად, თურქების მიერ აჭარის უშუალოდ დაპყრობამდე დღევანდელი აჭარის ზღვისპირეთი ათაბაგების გამგებლობიდან, გარკვეული დროით, გურიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. XVI ს ერთი თურქული წყაროს მიხედვით, გურია უშუალოდ ტრაბიზონს ესაზღვრება.[227] უფრო ადრეც, XV ს 60-იან წლებში, როდესაც ერთიანი საქართველოს სამეფო, ფაქტობრივად, უკვე დაშლილი იყო და ცალკეული დინასტიები ერთმანეთს ეცილებოდნენ ტერიტორიებს. იმერეთში ახლად გამეფებულმა „ბაგრატ უშუელა ყუარყუარე ათაბაგსა (რომელიც, გიორგი VIII-საგან ლტოლვილი მასთან იმყოფებოდა ავტ.); მოვიდნენ და დაიპყრა ყუარყუარემ კუალადცა სამცხე. ამისთვის მისცა ყუარყუარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა გურიელსა კახაბერს, რათა მწე ექნას ერისთავთა ზედა სამცხისა და კლარჯეთისა (ვარ. ერისთავთა ზედა ამის ქუეყანისათა), (რომლებიც გიორგი VIII-ის და ე.ი. საქართველოს ერთიანობის მიმხრეები იყვნენ - ავტ.), ხოლო გურიელმან კახაბერ სიხარულით მიიღო ქუეყანანი და მოპყცა ყუარყ უარეს სპითა, მოსპობდნენ და განასხენძღენ ერისთავთა გიორგი მეფისაგან და რომელთამე დაიმორჩილებდა“.[228] ბერი ეენატაშვილის მიხედვით „განდგომილების ჟამს გურიელს ეპყრა რიონს გაღმართი, საჯავახო, იმას-აქათი გამოსწურივ ღომისციხეს გარდმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი რკინის ბალოს აქათი“.[229]

ამის შემდეგ უკვე შიდამთიანი აჭარა ხდება სადავო გურიელსა და ათაბაგს შორის.

XVI-ს დასაწყისში მზეჭაბუკ ათაბაგმა კვლავ დაიბრუნა აჭარა,[230] მაგრამ მურჯახეთის ომის (1535 წ.) წინ იმერთა მეფე ბაგრატი „ეზრახა დადიან-გურიელსა და აღუთქვა გურიელსა, რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი. ესე განიხარა გურიელმან და მოერთო ბაგრატს“. მართლაც, როდესაც მურჯახეთის ომში ყუარყუარე ათაბაგი დამარცხდა, იგი შეიპყრეს და ბატიმრობაში გარდაიცვალა. „ბაგრატ მეფემან დაიპყრა სამცხე თვისად და იყოფებოდა სამცხეს. მაშინ მისცა გურიელს აღთქმულნი აჭარა და ჭანეთი. წარვიდა გურიელი და დაიპყ რნა მან იგინი“.[231]

---

[224] იხ.: ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 113, შენ. 16. მაუდისა და შალის წარმოებას ბათუმში ა.ფერნკელიც აღნიშნავს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 24).

[225] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 37, 158.

[226] შოთა მარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995, გვ. 545.

[227] ცაბულაძე, თურქული წყაროები XVI ს. პირველი მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბილისი, 1983, გვ. 57.

[228] ქცა, IV, გვ. 280. შდრ.იქვე, გვ. 704. აქედან ცხადია, რომ სამცხე-საათაბაგოს „ქვეყნებს“ ერისთავნი მართავდნენ. ამდენად, საეჭვოა, აჭარაც ცალკე საერისთავო ყოფილიყო.

[229] ქცა, II, გვ. 349.

[230] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 93.

[231] ქცა, IV, გვ. 712 და 811.

მალე ათაბაგი კვლავ იბრუნებს აჭარას, რომელსაც თავს აფარებენ 1574 წ. შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრებისას დევნილი ათაბაგის დედა და შვილები.[232]

ახლა უკვე ქართველ მეფე-მთავართა ამ განუწყვეტელ და უაზრო ურთიერთბრძოლაში სამხედრო აღმავლობის გზაზე მდგარი თურქეთის იმპერია ერევა, რომელიც, როგორც ცნობილია, თანდათან და განუხრელად იბყრობს სამცხე-საათაბაგოს. XVI ს 40-იანი წლების ბოლოს თურქები ჭანეთს იბყრობენ და გონიის ციხე-სიმაგრეს იჭერენ,[233] ამ საუკუნის ბოლოს კი უკვე აჭარაში იჭრებიან. 1609 წ. „შემოიკრიბნა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიბყრა კუალად თვითვე აჭარა“,[234] მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება.

1611 წ. ოსმალეთის სახელმწიფოს დევთერდარმა აინი ალიმ, სულთან აჰმედ I ბრძანებით ოსმალეთის იმპერიის აღწერა ჩაატარა. აინი ალის დავთრის მიხედვით, ამ დროს ოსმალეთის იმპერია დაყოფილია 32 ეიალეთად (ვილაიეთად), რომელნიც თავის მხრივ სანჯაყებად იყოფოდნენ. აჭარის სანჯაყი (შიდამთიანი აჭარა) ჩილდირის ანუ ახალციხის ეიალეთში შედიოდა, ხოლო ბათუმის სანჯაყი-ტრაპიზონის ეიალეთში.[235] ასე შევიდა აჭარა თურქეთის შემადგენლობაში, თუმცა, ქობულეთის მხარის და ხინოს დაბყრობა თურქებმა მხოლოდ XVIII ს-ის 70-იან წლებში შესძლეს, საბოლოოდ კი XIX ს-ის პირველ ნახევარში დაიმორჩილეს და ბათუმთან ერთად ტრაპიზონის ეიალეთს შეუერთეს.[236]

ახალციხის ვილაიეთში აჭარა რჩება ახალციხის საფაშოს გაუქმებამდე (1829 წ.). ასე რომ, აჭარა კვლავ სამცხეს დაუკავშირდა მჭიდროდ. უმოკლეს გზას ვილაიეთის ცენტრთან, ახალციხესთან, ასეთ ვითარებაში მეტი მნიშვნელობა უნდა შეეძინა და აჭარის ცენტრმაც სხალთის ხეობიდან ისევე დიდაჭარის ხეობაში, ამჯერად ხულოში გადმოინაცვლა. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ვიცით, მხოლოდ „მცირე ქალაქის მზგავს დაბა ქედას“ აღნიშნავდა აჭარაში,[237] მაგრამ „ჯაბა-დავთარის“ (1694-1732 წწ.) მიხედვით ჩილდირის ვილაიეთში შემავალი აჭარა ორ სანჯაყად, ქვემო და ზემო აჭარად იყოფოდა.[238] ეჭვი არ არის, ზემო აჭარის ცენტრი ხულოა, რომელიც იხსენიება კიდევ ამ დავთარში.[239]

XIX ს ვითარებაც ჩვენი ვარაუდის სისწორეს უნდა მოწმობდეს: ამ საუკუნის 20-იან წლებში, თურქული მმართველობის დროს, ზემო აჭარის ცენტრი კვლავ ხულოშია, ქვემო აჭარისა-ქედაში.[240] ახალციხის საფაშოს გაუქმების შემდეგ, 50-იან წლებში, აჭარა თურქებმა ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში შეიყვანეს. დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოთხ კაზაში (მაზრაში) განაწილდა: ბათუმის კაზაში შედიოდა ორი ნაჰიე (ოლქი) - ბათუმისა და ქობულეთისა (ჩურუქ-სუ), ლივანას კაზაში - მაჭახელი, ხოფას კაზაში - გონიო და აჭარის

---

[232] იქვე, გვ. 719.

[233] იქვე, გვ. 360, 501, 502.

[234] იქვე, გვ. 824 შდრ.იქვე, გვ. 724.

[235] **ჭსგანძე**, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის დამდეგს. - ამშ, IV, 1960, გვ. 46, 47.

[236] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 659-660.

[237] ქცა, IV, გვ. 670.

[238] **ცაბულაძე, ჭსგანძე**, საქმრეთ საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო, -“მაცნე“, №4, 1977, გვ. 128.

[239] ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარი 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა **ცისანა ბაბულაძემ**, გამოკვლევა დაურთო **მიხეილ სგანძემ**, თბილისი, 1979, გვ. 80 და 140.

[240] **ზაცინაძე**, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში, - სდსძ, IX, 1960, გვ. 68.

კაზაში - ქვემო და ზემო აჭარა.[241] ზემო აჭარის ცენტრი ან „ზემო აჭარის დედაქალაქი“, როგორც გ.ყაზბეგი აღნიშნავდა, იყო დაბა ხულო,[242] სადაც ამ რეგიონის ბეგების, ხიმშიაშვილების სასახლე იდგა.[243]

ფრიად ნიშანდობლივია შუასაუკუნეების აჭარის ისტორიული გეოგრაფიის, სახელდობრ, ტერიტორიული სტრუქტურის გასაგებად სწორედ თურქული ადმინისტრაციული დანაწილება, რომელიც, ეჭვი არ არის, ფეოდალური საქართველოს სათანადო ვითარებას ითვალისწინებდა.[244] ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ძველ ქართველ (აჭარელ) ფეოდალთა, თავადების, (თურქების მფლობელობისას-სანჯაყ-ბეგების) და აზნაურების (თურქების მფლობელობისას-ბეგების)[245] საქმფლობელოთა გათვალისწინება. ცნობილია, რომ სანჯაყ-ბეგებად იყვნენ: ქობულეთში - თავდგირიძენი, ბათუმში - აბაშიძენი, ქვემო აჭარაში - თავდგირიძენი, ზემო აჭარაში - ხიმშიაშვილები,[246] ხოლო ჩაქვში - ბეჟანიძენი.[247]

აქ მთავარი ის კი არ არის, თუ რამდენად ძირძველია ყველა ზემოჩამოთვლილი გვარი,[248] არამედ ის, თუ რას მოიცავდა მათი საქმფლობელო ტერიტორიები. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელნი - ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის“ ის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებია, „ხევებია“, რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ვივარაუდეთ. ეს კარგი მაგალითია ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ სიმყარისა და მდგრადობის საილუსტრაციოდ წინაფეოდალური და ფეოდალური ისტორიული პერიოდების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ამ „ქვეყანათა“ სოციალური შინაარსი იცვლებოდა საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლილებისდა მიხედვით.

1878 წელს რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც, ახალი რუსული ადმინისტრაცია უკვე ტრადიციულ ტერიტორიულ დანაწილებას ეყრდნობა.[249] გეოგრაფიული აჭარის ტერიტორია ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“ დაიყო. პირველი შედგებოდა კინტრიშის, ბათუმის და გონიის უბნებისაგან, შეორე-ბაჭახელის, ქვემო და ზემო აჭარის უბნებისაგან.[250]

1883 წ. ბათუმის ოლქი გააუქმეს და იგი ორ „ოკრუგად“ (ართვინის და ბათუმის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს.[251] 1903 წ. ეს „ოკრუგები“ კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ შეაერთეს „ბათუმის ოლქად“.[252] ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის ცენტრი იყო ალამბარი, გონიის უბნისა - ზემო მარადიდი, ზემო აჭარის უბნისა (დიდაჭარის, ჭვანის და

---

[241] ბერაძე, გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის წარსულზე. - „გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ“, ბათუმი, 1960, გვ. 46, 51, 52; Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 40.

[242] ბ.ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[243] Бакрадзе Д. АПГА, с. 60, 61.

[244] ზაცინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

[245] Бакрадзе Д. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[246] Бакрадзе Д. Заметка о Батумской области, с. 167.

[247] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 58.

[248] ხიმშიაშვილთა გვარი, მაგალითად, XVIII ს ბოლოს აღზევდა (იხ.: Бакрадзе Д. АПГА, сс. 68-70), ხოლო ბეჟანიძეები ჩაქვში XIX ს პირველ ნახევარში გადმოდიან ქედას მახლობლად მდებარე სოფ. ზენდიდიდან (იხ.: ოკუმაშვილი, აჭარის მოამაგენი, ბათუმი, 1995, გვ. 56, 57).

[249] ზაცინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[250] Френкель А. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[251] ზაცინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

[252] იქვე, გვ. 92.

სხალთის სასოფლო საზოგადოებები) - ხულო, ქვემო აჭარისა (ქედის, ხერთვისის და ცხმორისის სასოფლო საზოგადოებები) - ქედა.[253] ბათუმის ოლქში შემავალი ცალკეული უბანი გეოგრაფიულ და მეურნეობრივ მთლიანობას ქმნიდა, რამდენადაც მათი საზღვრები ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიულ დაყოფას ეთხვეოდა.[254]

როგორც ვხედავთ, ჯერ თურქული, ხოლო შემდგომ რუსული ადმინისტრაციაც, ფაქტობრივად, ეყრდნობოდა ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად ადრევე ჩამოყალიბებული ძველქართული ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ არსებობის ტრადიციას.[255]

მეორე მხრივ, ბუნებრივია, თუ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქუეყანა აჭარის“ კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრმა კვლავ ზღვისპირა დაბლობის, „ბარის“ ზონაში გადაინაცვლა, ხოლო ქალაქი ბათუმი, რომლის ძლიერი აღმავლობა XIX ს ბოლო მეოთხედიდან იწყება - აჭარის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა.

---

[253] იქვე, გვ. 94-100.
[254] იქვე, გვ. 94.
[255] იქვე, გვ. 101.

თავი II
ქვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. ქვედა პალეოლითური ძეგლი აჭარის მალალმთიანეთში

ქართული არქეოლოგია კავკასიის პუშანიტარული სამეცნიერო დისციპლინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდა დარგია, რომელსაც ამ საუკუნენახევრის წინ, 1852 წ უფლისცხოვში ჩაუყარა საფუძველი გამოჩენილმა ქართველმა მკვლევარმა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა.

კიდევ უფრო ხანმოკლეა არქეოლოგიის უძველესი პერიოდის პალეოლითის კვლევის ისტორია საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში სრულიადაც ვერ ასახავდა რეალურად არსებულ ვითარებას ჩვენში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ ჩვენი ერის დიდი მოჭირნახულე აკად. ივ.ჯავახიშვილი, რომელიც 1913 წ. გამოსულ თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში წერდა, რომ „კავკასიაში აღმოჩენილია სამხრეთის სპილოს, მამონტის, ჰიპოპოტამისა და ყინულოვანი პერიოდის („ყინულის ხანის“) სხვა ცხოველთა ნაშთები, რაც ამ ხანაში სულდგმულთა არსებობას ადასტურებს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ქვეყანაში ქვის ხანის (პალეოლითის ან ნეოლითის) არც ერთი ეჭვმიუტანელი იარაღი ნაპოვნი არ არის. თუმცა რამდენიმე ქვის იარაღი კია ცნობილი, მაგრამ ცალკეულ, ზედაპირულად მოკვლეულ თითო-ოროლა იარაღს მეცნიერებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო“.[1]

ამ სტრიქონების დაწერიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს ეწვივნენ გერმანელი და პოლონელი მეცნიერები (ქ. ტიუბინგენიდან) რ.შმიდტი და ლ.კოზლოვსკი, რომლებმაც რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ნებართვით 1914 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარეს საქართველოში, კერძოდ, მდ. წყალწითელას ხეობაში (იმერეთი). მათ სოფ. გოდოგანთან ერთ-ერთ მღვიმეში („საკაია“) უდავოდ დაადასტურეს ძველი ქვის ხანის ადამიანის ნამოსახლარის არსებობა. სამწუხაროდ, ამ საქმიანობის წარმატებით გაგრძელებას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. უცხოელი არქეოლოგები დააბატიმრეს როგორც გერმანიის აგენტები, ხოლო მოპოვებული მასალები ჩაყრილი იქნა რუსეთის სასაზღვრო დეპარტამენტის სარდაფებში (ამჟამად მასალა დაცულია პეტერბურგის მიკლუხო-მაკლაის სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში). ამიტომ ეს აღმოჩენა მეცნიერული საზოგადოებისათვის ვერ გახდა ცნობილი.

სულ მალე - 1916 წელს საქართველოს ესტუმრა პოლონელი არქეოლოგი სტ.კრუკოვსკი, რომელმაც სოფ. რგანთან (ჭიათურის რ-ნი) გვარჯილას კლდეში აღმოაჩინა პალეოლითური ნაშთები.[2]

---

[1] ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1913.

[2] დ.უშბარამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბილისი, 1960.

თავი II. ქვის ხანა კავკასიის ტერიტორიაზე

მოძღვართ-მოძღვარი დიდი ივ.ჯავახიშვილი, რომელსაც მიმდინარე წელს დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა, სტ.კრუკოვსკისთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ბოლონელი მეცნიერის აღმოჩენამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რაოდენ სიფრთხილე ჰმართებს მკვლევარს კავკასიის არქეოლოგიაზე მსჯელობის დროს. ამგვარად, უძველესი ქვის ხანის არსებობა კავკასიაში დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო იმდროინდელი კულტურის გავრცელების ასპარეზისა და ხანგრძლივობის დადგენა მომდევნო კვლევის საქმეა".[3]

ვინც კარგად იცნობს არქეოლოგიის განვითარების გზებს, მის წინაშე მდგარ პრობლემებს და გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველო-კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის ვითარებას, შეუძლებელია პატივისცემითა და მოწიწებით არ განიმსჭვალოს ბატონი ივანეს მიმართ, როგორც უდიდესი მეცნიერისადმი, ვისი სანაქებო ერუდიცია და ფართო დიაპაზონი ჭეშმარიტი ისტორიკოსისა, თავისი შორსმჭვრეტელობით, საკითხთა ღრმა, ფართო პერსპექტიულობის გრძნობით, ქვის ხანის ქართულ არქეოლოგიურ დღევანდელობასაც ასე ეხმიანება.

შემდგომი დროის კვლევებმა კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში რადიკალურად შეცვალა ვითარება. ქართული არქეოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა პროფ. გ.ნიორაძემ და მისმა აღზრდილებმა (ალ.კალანდაძე, ნ.ბერძენიშვილი, დ.თუშაბრამიშვილი, გ.გრიგოლია) აღმოაჩინეს და შეისწავლეს მრავალი ათეული და ასეული ახალ-ახალი ქვის ხანის უნიკალური ძეგლი, რამაც ჩვენი რეგიონი მსოფლიო მეცნიერული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია.[4]

ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ დმანისის სენსაციური აღმოჩენები, რომლის ასაკი 1,700-1,800 ათასი წლითაა განსაზღვრული. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, უძველესმა ადამიანმა აღმოსავლეთ საქართველოში აფრიკიდან შემოაღწია ე.წ. ლევანტური დერეფნით და დმანისის რეგიონი ადამიანის ევრაზიაში გავრცელების ერთ-ერთ უძველეს კერად აქცია.[5]

დღეისათვის დმანისში მდიდარ ფაუნისტურ მასალასთან და პრიმიტიულ ქვის იარაღ-ხელსაწყოებთან ერთად აღმოჩენილია Homo-ს ხუთი თავის ქალა, ოთხი ქვედა ყბა, იზოლირებული კბილები და პოსტკრანიალური ჩონჩხის 50-მდე ცალკეული ძვალი.[6] მიკვლეული თავის ქალები მეტნაკლებად ერთმანეთის მსგავსია და გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ Homo erectus-ების თავისქალებთან, განსაკუთრებით კი ამ ჯგუფის ადრეულ აფრიკულ ფორმებთან, რომლებსაც Homo ergaster-ს აკუთვნებენ. თავისქალებს შორის განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნებით გამოირჩევა 2005 წელს აღმოჩენილი მეხუთე თავის ქალა და რიგით მეორე ქვედა ყბა, რომელსაც პროფესორები ლ.გაბუნია, დ.ლორთქიფანიძე და ა.ვეკუა Homo-ს გვარს მიაკუთვნებენ და გამოჰყოფენ ახალ სახეს Homo georgicus-ს.[7]

დმანისის არქეოლოგიური გათხრები გრძელდება და არვინ უწყის, კიდევ რა საბედნიერო მოულოდნელობას შემოგვთავაზებს მომავალი.

ამრიგად, დღეისათვის თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველო ქვის ხანის

---

[3] ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გამოცემა მეხუთე, 1928.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970; საქართველოს არქეოლოგია I (ქვის ხანა), თბ., 1991.

[5] დმანისი I-V, თბილისი, 1998-2006.

[6] იქვე.

[7] ლ.გაბუნია, ა.ვეკუა, ჩანტუანეტა, დე ლუზიერი, დ.ლორთქიფანიძე, Homo-ს ახალი წარმომადგენელი დმანისის (საქართველო) ქვედა ბლეისტოცენიდან, დმანისი IV, თბილისი, 2003.

ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა ევრაზიის კონტინენტზე. აქ გამოვლენილია ადამიანის გაჩენისა და მისი კანონზომიერი განვითარების ყველა საფეხურის შესატყვისი არქეოლოგიური ძეგლები, რომლის მასალების ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური შესწავლის საფუძველზე საკუთრივ შესაძლებელია შემუშავდეს ევრაზიის კონტინენტზე ადამიანთა საზოგადოების ქრონოლოგიური, სოციალური და კულტურული განვითარების მეტყველი სურათი.

მრავალფეროვანი ლანდშაფტურ-კლიმატური ზონები, მდიდარი ცხოველური და მცენარეული სამყარო, ქვის იარაღის დასამზადებელი ნედლეულის სიუხვე და მრავალფეროვნება (კაჟი, ობსიდიანი, ტუფი, კვარცი, არგილიტი და ა.შ.) კარსტული და ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი მღვიმე-გამოქვაბულების სიმრავლე, როგორც ჩანს, იმთავითვე იზიდავდა ადამიანს, რომელმაც დაგვიტოვა 500-ზე მეტი მღვიმური და ღია ნამოსახლარი. სტაციონალური მუდმივი საცხოვრისების, დროებითი სადგომების, სადგომ-სახელოსნოების, სეზონური სადგომებისა თუ მონადირეთა ღამის სათევ-თავშესაფრების სახით.

აშელ-მუსტიური ხანის ქვედა პალეოლითური ძეგლების თავმოყრის თვალსაზრისით დღემდე საქართველოში შვიდი რეგიონი გამოიყოფა. ესენია:

I - რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, ისტორიული შიდა ქართლი და ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთის სამხრეთ ფერდობები, სადაც მიკვლეულია ევროპაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ წერტილში (2150 Მ) მდებარე წონას მრავალფენიანი (აშელი, მუსტიე, მეზოლითი, ადრებრინჯაო) გამოქვაბული[8] და კუდაროს ჯგუფის №1-5 აშელ-მუსტიეური ხანის მღვიმეები.[9]

II - რეგიონი ისტორიული ქვემო ქართლის ფარგლებშია მოქცეული, სადაც ზემოთ ხსენებული დმანისის ბრწყინვალე აღმოჩენების გარდა, აღსანიშნავია წოფის ადრეშუსტიური ხანის მღვიმური ნამოსახლარი, რომელსაც კულტურულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება.[10]

III - რეგიონი მთლიანად მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანუ სამცხე-ჯავახეთს, სადაც მიკვლეულია ახალქალაქის ამირანის გორის ადრეაშელური ნამოსახლარი, ახალქალაქი I-IVაშელური სადგომები, კუმურდოს მუსტიური ნამოსახლარი, მურჯისა და ვალეს აშელ-მუსტიური ასაკის ღია ნამოსახლარები და სხვ.[11]

IV რეგიონი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილით შემოიფარგლება და ისტორიული კახეთის იორ-ალაზნის შუამდინარეთშია მოქცეული. კახეთს აშელ-მუსტიური ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ზიარის აშელური ხანის სადგომ-სახელოსნო, სადაც კავკასიაში პირველად დადასტურდა ღია სადგომზე ოსტოლოგიური მასალის შემცველი, უძრავი კულტურული ფენის არსებობა.[12]

V-VII - რეგიონები თითქმის მთლიანად მოიცავს დასავლეთ საქართველოს ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ ისტორიულ პროვინციებს; იმერეთს ანუ რიონ-ყვირილას აუზს,

[8] **Каландадзе А.** Цонская пещера и её культура. - საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, №3, 1965.

[9] **Любин В.П.** Мустьерские культуры Кавказа, Ленинград, 1977.

[10] **გ.ტორეგოლა**, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბილისი, 1963.

[11] **გ.ტორეგოლა**, ჯავახეთის ქვედა პალეოლითური ძეგლები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, 1966; **ზ.ბუბუნა**, სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ძველი ქვის ხანა. დისერტაცია ისტ.მეცნ.დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1994.

[12] **თ.ბუბუანიშვილი**, დავით გარჯის უდაბნოს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები, „გარეჯი", კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბილისი, 1988.

სამეგრელოსა და აფხაზეთს.[13] სტატისტიკური თვალსაზრისით საქართველოში ძველი ქვის ხანის ძეგლების 90% აღმოჩენილია ამ ტერიტორიებზე არსებულ ზღვიურ და მდინარეულ ტერასებზე. ქვედა პალეოლითური ნამოსახლარი ძეგლების გავრცელების ინტენსივობის გათვალისწინებით დასავლეთ საქართველოში აშელ-მუსტიურ და ზედა პალეოლითურ ხანაში მომხდარი დემოგრაფიული აფეთქების მსგავს მოვლენებზე შეიძლება საუბარი, რაც გლობალური მასშტაბის გეომორფოლოგიურ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს დასავლეთ ამიერკავკასიაში არსებული ასეთი ვითარების ფონზე, პალეოლითური ძეგლების გავრცელების თვალსაზრისით ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისამდე აჭარა-გურიის რეგიონი სავსებით იყო ამოვარდნილი და თეთრი ლაქით იყო წარმოდგენილი. ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ეს შესანიშნავი ნაწილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთიანი აუზის განუყოფელი ნაწილია და ისევე დაყურსულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატური თუ წიაღისეული სიკეთეებით, როგორც ძველი ქვის ხანის ძეგლებით მოფენილი აფხაზეთი, სამეგრელო და იმერეთი.

თუ არ ჩავთვლით კარსტული წარმონაქმნების სიმცირეს (მღვიმეები, ძაბრებით), რაც გაშიშვლებული ცარცული ქანების ნაკლებობით არის განპირობებული, გურია-აჭარის ტერიტორიაზე სავსებით ანალოგიური რელიეფური ფორმები და სხვა გეოგრაფიულ-გეოლოგიური ნიშნებია წარმოდგენილი, როგორსაც ვხედავთ აფხაზეთ-სამეგრელოს ანუ ცენტრალური კოლხეთის ფარგლებში.

აჭარის გეოგრაფიულ-გეოლოგიურ შესწავლას საკმაოდ დიდ ხნის ისტორია გააჩნია. ასეთი ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება ამ მხარის წიაღისეულმა და საერთოდ, ბუნებრივმა სიმდიდრეებმა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ გეოგრაფიულ-გეოლოგიურ სკოლას ალ.ჯავახიშვილისა და ალ.ჯანელიძის ხელმძღვანელობით.[14]

აჭარის ტერიტორია მეტად რთული რელიეფით ხასიათდება. სხვადასხვა მიმართულების მაღალი ქედები, მათი განშტოებები, ღრმა და ვიწრო ხეობები, ზეგნები, პლატოები, გორაკები და ბორცვები, ვაკეები და მათზე განვითარებული მიკრო ფორმები მრავალფეროვანს ხდის მის გეომორფოლოგიურ ლანდშაფტს.

გეოგრაფები აჭარის ფარგლებში გამოყოფენ შვიდ თუ რვა ჰიფსომეტრულ ზონას, რომელთა შორის პირველია 0-200 მ სიმაღლეზე მდებარე ზღვისპირა ზონა, რომელიც ვიწრო ზოლად ვრცელდება მდ. ჩოლოქიდან სარფის შესართავამდე და აჭარისწყლისა და სხვა მდინარეების ქვემო წელსაც აღწევს. მეორე მაღალი გორაკ-ბორცვოვანი ზონა 200-500 მ სიმაღლემდეა. მესამე ზონა 500-1000 მ შორის არის მოქცეული, მეოთხე - 1000-1500 მ სიმაღლისაა. მეხუთე ზონა წარმოდგენილია აჭარა-გურიის და არსიანის ქედებზე 1500-2000 მ სიმაღლეზე, მეექვსე 2000-2500 მ სიმაღლის ზონა ვრცელდება აჭარა-გურიის, არსიანის, ჭანეთის და შავშეთის ქედებზე, მათ თხემებზე და ფერდობებზე. მეშვიდე ზონა 2500-3000 მ-მდე და ზემოთ მდებარეობს და ქედების თხემებზე ცალკეული კუნძულების სახით არის

[13] Тушабрамишвили Д. Палеолит Грузии. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVII-B, თბილისი, 1984; Бердзенишвили Н. Новые данные о палеолите Абхазии. - Труды абхазского научно-исследовательского итститута, XXX, Сухуми, 1959; Замятнин С. Палеолит Абхазии. - Труды итститута абхазской культуры, вып. X, Сухуми, 1937; გგრიგოლია, ენგურის ხეობის ქვედა პალეოლითური ძეგლები. - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VIII, თბილისი, 1979.

[14] Джавахишвили А. Геоморфологические районы Грузинской ССР, Москва, 1947.

წარმოდგენილი.[15]

მორფოლოგიურად აჭარის ზონა ძალზე დანაწევრებულია მთის ტიპის მდინარეებით: ჭოროხი, აჭარისწყალი, მაჭახლისწყალი, კინტრიში, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი, ჭვანა, სხალთა და მათ შენაკადთა ვიწრო და კანიონისებური ხეობებით.

აჭარის რელიეფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს დიდ სიმაღლეებზე განლაგებული მოსწორებული ზედაპირები, რომლებიც მკვლევართა აზრით დენუდაციურ სიბრტყეებს წარმოადგენენ.

გორაკ-ბორცვოვანი რელიეფის გამომუშავებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ხმელეთის ეპოგენეტურ მოძრაობას, რის მშვენიერ დასაბუთებას წარმოადგენს ხეობებში გავრცელებული 8 ტერასული საფეხური. სპეციალისტების (ს.კუზნეცოვი, ს.ტრიფონოვი) აზრით, პირველი 20 მ და მეორე 40-50 მ სიმაღლის საფეხური ახალი წარმოშობისაა, III-VI დაკავშირებულია შავი ზღვის ქვაბულის მესამეულის შემდგომ ისტორიასთან, ხოლო VII-VIII კი უფრო ძველია.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კლიმატი წარმოადგენს, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ნოტიო სუბტროპიკული, ხმელთაშუაზღვის ტიპის მშრალი სუბტროპიკული, ზომიერი და კონტინენტური კლიმატი.

როგორც ამ მოკლე ექსკურსიდან ჩანს, აჭარის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშან-თვისებები თითქმის ისეთივეა, როგორც ეს არის ნიშანდობლივი აფხაზეთ-სამეგრელოს სინამდვილისათვის, სადაც, როგორც უკვე ითქვა, რამდენიმე ათეული თუ ასეული ძველი ქვის ხანის ძეგლია მიკვლეული და შესწავლილი მაშინ, როცა გურია და აჭარა პალეოლითური ძეგლების გავრცელების არქეოლოგიურ რუკაზე თეთრი ლაქის სახით არის წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარაზე, თორემ გურიაში სოფ. ხვარბეთში (ოზურგეთის რ-ნი), ოზურგეთისკენ მიმავალი გზის მარჯვენა ნაპირზე, გურიანთას არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს, 1963 წლის ზაფხულში მოვიძიეთ აშკარად მუსტიეური ასაკის მასალები: სწორპირა სახოკი და 3 ცალი ანატკეცი, რომლებიც სქელი თეთრი ფერის ემალისებური პატინით არის დაფარული.

ჯერ კიდევ ხვარბეთის აღმოჩენამდე და მით უფრო მის შემდგომ ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ რეგიონში პალეოლითელი ადამიანის ნაკვალევის მოჩვენებითი არარსებობა შემთხვევითია, არაორდინალურია და მისი საერთო მეცნიერული ფერხულიდან ამოვარდნა გარკვეული ობიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას. ასეთ მიზეზთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ აჭარისათვის ნიშანდობლივი დიდი (3000 მმ) ატმოსფერული ნალექები, რამაც დროთა განმავლობაში გამოიწვია რელიეფის ძველი ზედაპირის დენუდაცია-დაშლა და მასზე არსებული უძველესი მასალების გადარეცხვა.

ატმოსფერული ნალექების მოქმედებას უნდა მივაწეროთ, აგრეთვე, აჭარის ბოტანიკისათვის დამახასიათებელი სქელი მცენარეული საფარის არსებობა, რომელიც საიმედოდ ნიღბავს ნიადაგის ზედაპირს და აძნელებს არქეოლოგიური მასალის ხილვადობას.

დასასრულ, მესამე და უმთავრესი მიზეზთაგანი მაინც ის უნდა იყოს, რომ, რამდენადაც

---

[15] ატ ტერულაძე. აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (სადისერტაციო ნაშრომი გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნ.ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 1961.

ჩვენთვის ცნობილია, აჭარაში დღემდე არ ჩატარებულა არცერთი მიზანდასახული სპეციალიზირებული ძველი ქვის ხანის ძეგლების საძიებო საველე-არქეოლოგიური სამუშაოები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სამეგრელოში გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული ქართველი, რუსი და ევროპელი მეცნიერების მონაწილეობით.

ბევრად უფრო მოკრძალებულია ქვის ხანის ძეგლების ძიების ისტორია აჭარაში. იგი იწყება 1959 წელს,[16] რაც კიდევ უფრო გაფართოვდა 1968 წლიდან, როდესაც ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ ჩვენი მონაწილეობით მოიხილა ზღვის სანაპირო ზოლი მდ. ჩოლოქიდან მდ. ჭოროხამდე და ერთი ათეული ახალი ქვის ხანის ძეგლი გამოავლინა. აქედან მოკიდებული დღემდე აჭარის ახალი ქვის ხანის შესწავლის სფეროში წარმატებით მოღვაწეობს ისტ.მეცნ. კანდიდატი სერგო გოგიტიძე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით არა ერთი ახალი ძეგლია მიკვლეული, გათხრილი და შესწავლილ-გამოქვეყნებული ცალკეული სამეცნიერო წერილებისა თუ სოლიდური მონოგრაფიების სახით.[17] ამიტომ არის,რომ საქართველოს ისტორიაში ეს „რევოლუციური“ ხასიათის პერიოდი ყველაზე უკეთ აჭარა-გურიის ძეგლების საფუძველზეა გაშუქებული. რაც შეეხება ძველი ქვის ხანის ყველა პერიოდის ძეგლს, როგორც უკვე ითქვა, აჭარა-გურიის რეგიონი დღემდე მწვავედ მოისაკლისებდა. 2002 წლის ზაფხულში, ბოლოს და ბოლოს ყინული თითქოს გალღვა და ერთმა ახალმა, საინტერესო აღმოჩენამ ამ საჩოთირო საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის საშუალება მოგვცა.

როგორც ყველა ახალ მოვლენას, ისე ამ აღმოჩენასაც თავისი პატარა ისტორია გააჩნია, რომელიც შემდეგი სახით განვითარდა. 2002 წლის ივლის-აგვისტოში პროფესორების ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის ხელმძღვანელობით მომუშავე გონიო-აფსაროსისა და ქობულეთ-ფიჭვნარის ექსპედიციებში მონაწილეობის დროს საშუალება მომეცა გარკვეული მეცნიერული ინტერესით, მცირე ხნით (4 დღე) ავსულიყავი მაღალმთიანი აჭარის კურორტ ბეშუმში.[18]

ბეშუმში ჩვენი ამოსელის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ხულოსა და ადიგენის რაიონის მომიჯნავე ხეობებში, ტყისა და ალპური საძოვრების ზონაში გავრცელებული ე.წ. „მეგალითური“ ტიპის ნამოსახლარების მოხილვა, რომლებიც როგორც გავრცელების ზონალობით (1500-1700 მმ სიმაღლეზე), ტოპოგრაფიით (გორისებურია), აღნაგობით (მშრალი წყობაა) და გეგმირებით (ციხე-კოშკისებურია) საინტერესოდ გამოიყურება.

ამ ძეგლებმა ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ 1972 წელს მიიპყრო და მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოებიც ჩავატარეთ, 1972 და 2000 წლებში ასლან ინაიშვილისა და შოთა მამულაძის დახმარებით.[19]

ჩვენი წინასწარული დაკვირვებით ხსენებული ძეგლები დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოყვანილი ყივჩაღების ნამოსახლარები უნდა იყოს, რის შესახებაც დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი.

[16] ლ.ნუბიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972.

[17] ს.გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1988.

[18] ბეშუმში დიდებული, უანგარო მასპინძლობა გაგვიწია აქ ოჯახთან ერთად დასასვენებლად ამოსულმა ბათუმის საბასპორტო სამსახურის უფროსმა მამული ასლანის ძე მახარაძემ, უფრო მეტიც, იგი უშუალოდ ჩაება საძიებო სამუშაოებში და როგორც შეგზურმა (გვიჩვენა ახალი ძეგლები) და თავი არ დაზოგა ჩვენი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

[19] ა.ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. - სდსძ, IV, 1974.

§1. ძველი პალეოლითური კეგლი აჭარის გაღალმთიანეთში

ხსენებული ძეგლებისაკენ მიმავალ გზაზე, არსიანის ქედის გავაკებულ თხემზე, ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრის სიმაღლეზე, იქ, სადაც ალპური მდელოები საუკეთესო საძოვრებს წარმოადგენს როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა საქონლისთვის, ხულოს რაიონში ადგილ ბულულას სერზე მივაკვლიეთ ძველი ქვის ხანის ძეგლს, რომელსაც აქამდე ასე მოისაკლისებდა აჭარის ისტორიული სინამდვილე.

ბულულას სერზე და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაფერდებაზე, საურმე გზის პირასა და ბალახის საფარისაგან თავისუფალ მონაკვეთებზე ავკროფეთ ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ-ანატკეცები.

მოძოვებული მასალის ზედაპირი ლეგა-ძონაცრისფრო პატინით არის დაფარული და წახნაგები სუსტად აქვს გადალესილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ მასალა ადრეა მოხვედრილი ზედაპირზე, მაგრამ თავდაპირველი განამარხების ადგილიდან შორს არ უნდა იყოს გადატანილი. მოძოვებულ კოლექციაში შედის ბრტყელი ერთფუძიანი ნუკლეუსი, რომლის ატკეცის სიბრტყეზე სიგრძივი მიმართულების წინამავალი ანატკეცების ორი ფართო ნეგატივია შემორჩენილი. ნუკლეუსის განივ გვერდზე მოწყობილი დარტყმის სიბრტყე ზურგისკენაა დახრილი და საგანგებოდ არის შესწორებული. ნუკლეუსს ზურგის მხარეს ერთი განივი ანატკეცი აქვს ჩამოცილებული, მეორე ნახევარს კი კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. ნუკლეუსის ერთ-ერთი გვერდი ზურგის მხრიდან ძთელ სიგრძეზე ციცაბო ჩანატეხებიანი რატუშით არის გაფორმებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს უკანასკნელი ·ალეუსად ბოლომდე გამოყენების შემდეგ სახოკის დანიშნულების იარაღად უქცევიათ. (სურ. 2-3; 9-10) ნუკლეუსის ზომებია: სიგრძე 8,5 სმ, სიგანე - 9,5 სმ, სისქე - 2 სმ.

კოლექციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია სამკუთხა მოყვანილობის ანდეზიტის მასიურ ანამტვრევზე გაფორმებული უხეში საჩეხი იარაღი, რომლის ფართო, მორკალული, დაკბილული სამუშაო პირი უხეში, ციცაბო, ჩანახატებიანი რეტუშით არის გაფორმებული. იარაღის ზურგი უსწორმასწოროა და ნაწილობრივ კაჭრის ქერქი ფარავს (სურ. 2. 4). მისი ზომებია: სიგრძე - 10,5 სმ, სიგანე - 9 სმ, სისქე - 3,5 სმ.

ლევალუაზური ანატკეცი კოლექციის ნიშანდობლივი მონაპოვარია. იგი ორფერდაა, გააჩნია სწორი დარტყმის სიბრტყე და სუსტად გამოსახული ატკეცის ბურცობი. მისი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი ადგილ-ადგილ ფხის მიმცემი რატუშითა თუ ხმარების შედეგად მიღებული ჩანახატებითაა დაკბილული. იარაღის მეორე სიგრძივი გვერდი გადამტვრეულია და, ამრიგად, მასზე ხმარების პროცესში თითის საყრდენი სიბრტყეა შექმნილი როგორც ეს ზურგიანი დანებისათვის არის ტიპური (სურ. 2. 7). მისი ზომებია: სიგრძე - 8 სმ, სიგანე - 4 სმ, სისქე 1 სმ.

ზურგიან დანად შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, კოლექციაში შემავალი ერთი ანატკეცი, რომლის მორკალური სიგრძივი გვერდი კაჭრის ქერქითაა დაფარული, ხოლო მოპირდაპირე სწორი გვერდი ხმარების შედეგად დაკბილულია (სურ. 2. 5). მისი ზომებია: სიგრძე - 5,5 სმ, სიგანე - 4 სმ, სისქე - 1,5 სმ.

სახოკად უნდა მივიჩნიოთ კოლექციაში შემავალი ერთი პატარა (გადატეხილია) მასიური ანატკეცი, რომლის ერთ-ერთი გვერდი ციცაბო რატუშითაა გაფორმებული (სურ. 2. 6). ზომებია. სიგრძე - 5 სმ, სიგანე - 4,8 სმ, სისქე - 1,5 სმ.

კოლექციის კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუშია ანდეზიტის დისკოსებური, ორმხრივი, ბოლომდე უტილიზირებული ნუკლეუსი, რომელიც გვერდებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილი რეტუშის

მიხედვით შეიძლება სახოკადაც ყოფილიყო ნახმარი. ეს უკანასკნელი შეიძლება მუსტიეური ხანისაც იყოს, თუმცა, მის უფრო ადრეულ ასაკსაც არაფერი უშლის ხელს (სურ. 2. 8). მისი ზომებია: სიგრძე - 6 სმ, სიგანე - 5 სმ, სისქე - 1,5 სმ.

როგორც მოპოვებული მასალის ცალკეული ნიმუშების შესწავლამ დაგვარწმუნა, მთიან აჭარაში ძალზე საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, რომლის მწვავე ნაკლებობა დიდი ხანია იგრძნობოდა.

ძეგლი წინასწარულად აშელური ხანით, უფრო კი მისი მეორე ნახევრით, უნდა დათარიღდეს. ამის საფუძველს გვაძლევს მასალის ტიპოლოგია, ზედაპირის პატინირება და მათი საერთო მსგავსება ანალოგიური ასაკის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა ახალქალაქი I და ახალქალაქი II,[20] მურჯი, ახალქალაქი III და ახალქალაქი IV ჯავახეთში,[21] ყარსის აშელური სადგომი თურქეთში და სომხეთის ზეგანის ძეგლები. ახალი გამოთვლებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ძეგლის აბსოლუტური თარიღი 300-200 ათასი წლით უნდა განისაზღვროს.

მასალის სიმცირის მიუხედავად აშკარაა, რომ მთიან აჭარაში ძალზე საყურადღებო და საჭირო ძეგლის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, რომლის ნაკლებობა დიდი ხანია მწვავედ იგრძნობოდა.

მასალის აღმოჩენის ადგილების ჰიფსომეტრულ მონაცემებს (2000-2500 მ) თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ბულულას სერზე მიკვლეული ძეგლი სეზონური სადგომია, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ზაფხულის თვეებში ალპურ საძოვრებზე ამოსულ ბალახისმჭამელ ცხოველებზე მონადირე პირველყოფილ ადამიანებს. მათი მუდმივი, ძირითადად, ნამოსახლარები კი უფრო დაბალ ზოლშია საძებარი. ამ მხრივ განსაკუთრებულ პერსპექტიულად გამოიყურება ზღვისპირა ბორცვიანი ზოლი და ზღვიური და მდინარეული ტერასები მდ. ჩოლოქიდან მოკიდებული ჭოროხ-აჭარისწყლის ჩათვლით. დასასრულ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ აჭარის სინამდვილეში ეს არის უძველესი ადამიანის ნაკვალევის აღმოჩენის პირველი ფაქტი და მომავალში ამ მიმართულებით წარმოებული მიზანდასახული, სტაციონალური კვლევა-ძიების საფუძველზე მდიდარი კომპლექსებისა და ახალ-ახალი ძეგლების აღმოჩენის იმედი უნდა ვიქონიოთ.

---

[20] გ. გრიგოლია, ჯავახეთის ქვედა ბალეოლითური ძეგლები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, 1966.

[21] ბ. ბაბუნია, დასახ. ნაშრ.

§2. მეზოლითური და ადრენეოლითური კულტურა

აჭარის ტერიტორიაზე ადამიანის ბინადრობის დამადასტურებელი მომდევნო უძველესი ძეგლები მეზოლითიდან გვაქვს. ეს იყო ძველი ქვის ხანიდან (პალეოლითი) ახალ ქვის ხანაზე (ნეოლითი) გარდამავალი საფეხური, რომელსაც ზოგჯერ შუა ქვის ხანასაც უწოდებენ.

ამიერკავკასიური მეზოლითი (ისევე როგორც ნეოლითი) ადგილობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და გვიანპალეოლითის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა.

აჭარის ქვის ხანის სადგომები თუ ნამოსახლარები ძირითადად გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ კულტურებს ქმნიან. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არაერთგვაროვნად თარიღდება როგორც მეზოლითი, ისე ნეოლითი. მეზოლითი ევრობაში ძვ წ. IX—VI ათასწლეულებს მოიცავს, ხოლო აღმოსავლეთში - ძვ.წ. X-VII ათასწლეულებს.[1] რაც შეეხება საქართველოს მეზოლითურ კულტურას, იგი ძვ.წ. XII-IX ათასწლეულებში თავსდება.[2] უნდა ითქვას, რომ მეზოლითის დადგომა ამავე დროს დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაშიც მნიშვნელოვან გარდატეხის მომენტს ემთხვევა. ამ დროს ბუნებაში მოხდა დიდი ძვრები: დამთავრდა პლეისტოცენი და დაიწყო ჰოლოცენი. ახალ გეოლოგიურ ხანას თან მოყვა საყოველთაო დათბობა, მყინვარების უკან დახევა, ფაუნისა და ფლორის შეცვლა და სხვა. ცხადია, მეზოლითელ ადამიანს, წინა პერიოდების ადამიანთან შედარებით, უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ამისი უტყუარი მანიშნებელია ის ცნობილი ფაქტი, რომ საქართველოში მეზოლითური სადგომები აღმოჩენილია არა მარტო მღვიმეებსა და ეხებში, არამედ ზეგნებსა და, რაც მთავარია, ტერასებზეც. მიიჩნევენ, რომ მეზოლითი ზედაპალეოლითის უშუალო გაგრძელება იყო და მის ბოლო ეტაპს წარმოადგენდა (გ.ბონჩ-ოსმოლოვსკი, ს.ბიბიკოვი, ა.კალანდაძე, ვ.ვორონდცოვი, ა.როგაჩოვი და სხვ.), ხოლო ზოგიერთიც მას ცალკე ეპოქად გამოყოფს (მ.ვოევოდსკი, ა.ფორმოზოვი, ნ.გურინა).[3] მეზოლითის ცალკე გამოყოფის ძირითად კრიტერიუმად ერთნი აღიარებენ იარაღთა ტიპოლოგიურ თავისებურებებსა და მეურნეობის ხასიათს, მეორენი კიდევ ეკოლოგიურ-კლიმატოლოგიურ, პალეონტოლოგიურ და სოციალურ მომენტებს.[4]

როგორც ჩანს, აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი ნიშნის ერთიანად გათვალისწინება, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ მეზოლითი როგორც გარკვეული, შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი საფეხური საზოგადოებისა და მისი მატერიალური კულტურის ისტორიაში.[5]

---

[1] **Монгант А.Л.** Археология Западной Европы, Москва, 1973, с. 172.

[2] საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ. 196.

[3] **Рогачев А.** Некоторые вопросы изучения эпипалеолита Восточной Европы. -МИА, 126, 1996, с. 9-13; **Каландадзе А.Н.** Разыскания по археологии доантичной Грузии. Автореферат докт. диссер. Тбилиси, 1969; **Формозов А.А.** О термине «мезолит» и его эквивалентах. - СА, 1970, №3: с. 6-12; **Воеводский М.В.** Мезолитические культуры Восточной Европы. -КСИИМК, XXXI, 1950.

4 Kozlowski S.K. Introduction to the History of Europe. Warsawa, 1973; Долуханов П.M. Мезолит, экологический подход. -КСИА, 194, М., 1977; Ермолова И.М. Формирование мезолитской культуры в связи с природной средой. -КСИА, 194, Москва, 1977.

[5] **ზაბუნიძე ლ.წერეთელი.** მეზოლითი. - საქართველოს არქეოლოგია. I, გვ. 197.

თავი II. ქვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე

მართალია, დასავლეთი საქართველო მდიდარია მეზოლითური ძეგლებით, მაგრამ აჭარაში დღემდე არ არის დაფიქსირებული ამ ეპოქის უძრავი ფენების შემცველი ნამოსახლარები, თუმცა, აქაური ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარების მასალებში აშკარად შეინიშნება მეზოლითური ნაწარმი. ეს ეხება როგორც იარაღის დამუშავების ტექნოლოგიას, ასევე თვით იარაღთა ტიპოლოგიასაც; შესაძლებელი ხდება ადრეული, განვითარებული და გვიან მეზოლითური კულტურების გამოყოფა.

გვიანდელ მეზოლითში შემუშავებული და ფართოდ დანერგილი მიკროლითური ტექნიკა ასახულია აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ ნამოსახლართა მასალებში. ეს ეხება აჭარის ისეთ ღია სადგომ-ნამოსახლარებს, როგორიცაა ჯიხანჯური, ჩოლოქი, კვირიკე, ბეშუმი, ნაწილობრივ სოფ.ქობულეთისა და ს.ხუცუბნის ნამოსახლარები.

მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქებში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია დასავლეთ ამიერკავკასია. როგორც ჩანს, სწორედ კავკასიის ამ რეგიონში უნდა დაწყებულიყო ადრეული მეზოლითური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი.[6] და, მართლაც, აღნიშნული კულტურის ძეგლები სწორედ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა გამოვლენილი.

აჭარის ზღვისპირეთსა და მთიანეთში აღმოჩენილი ყველა ნამოსახლარი თუ სადგომი ღია ტიპისაა და განლაგებულია ტერასებზე თუ გორაკ-ბორცვებზე. დახურული ტიპის ნამოსახლართა მკვიდრნი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს გამოქვაბულებში, ეხებსა და ფარდულებში ატარებდნენ და თავსაც ამგვარად იზღვევდნენ ნადირთა თუ მომხვდურთა თავდასხმებისაგან. ღია ტიპის სადგომ-ნამოსახლართა მობინადრეებისათვის ასეთი „ფუფუნება" არ არსებობდა. ისინი იძულებული იყვნენ მთელი ცხოვრება ღია ცისქვეშ გაეტარებინათ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი სრულიად დაუცველნი იყვნენ. ჩანს, რომ გვიანმეზოლითური, ადრენეოლითური და განვითარებული ნეოლითური ხანის საცხოვრისების გასამართი ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული. გათვალისწინებული იყო ტყის, მდინარისა თუ ღელის სიახლოვე, ზოგჯერ თვით ტერასისა თუ ბორცვის სიმაღლე და მისი დაცვის შესაძლებლობანი. ასეთი არჩევანი ადამიანს უქმნიდა ცხოვრებისათვის შედარებით უკეთეს პირობებს: მდინარე თუ ღელე თევზჭერის გარანტიას იძლეოდა. ამასთან, თითქმის ყველა ნამოსახლარზე თუ სადგომზე ფიქსირებულია წყაროს წყლისა თუ წყალსადენის არსებობა. რაც შეეხება ტყეებს, იგი ნადირობისა და შემგროვებლობის საშუალებას იძლეოდა. გვიანპალეოლითში ადამიანი უმთავრესად ბუნებრივ თავშესაფარს იყენებდა. ასე იყო ამიერკავკასიაშიც. რაც შეეხება კოლხეთის დაბლობს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, აქ ამ დროის ძეგლები არა გვაქვს და იგი თითქოს დაუსახლებელია, რასაც ვერ ვიტყვით გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ და განვითარებულ ნეოლითურ პერიოდებზე. ამ დროს აჭარის ზღვისპირეთის ტერასები და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი საცხოვრისად უკვე გამოყენებულია.[7] ამისი მოწმობაა აქ გამოვლენილი ქვემოთ ჩამოთვლილი ძეგლები:

კვირიკეს ნამოსახლარი. მდებარეობს კურორტ ქობულეთიდან 6-კმ-ზე, მდ.ჭინკიშას მარჯვენა ნაპირის ტერასაზე (სიმაღლე ზღვის დონიდან 170-210 მ აღწევს).[8] ძეგლი ღია ტიპის ნამოსახლარს წარმოადგენს, სადაც უძრავი კულტურული ფენა გადარჩენილი არ

[6] ოჯაფარიძე. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991, გვ. 37.

[7] ოჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[8] მდ.კინკიშა მდ.კინტრიშის მარცხენა შენაკადია; იგი ტყეებით დაფარულ საკმაოდ ფართო ხეობას ქმნის, ხოლო სათავეს მთა თეთრათიდან იღებს.

არის. აქ მოპოვებული მასალა შედგება კაჟისა და ობსიდიანის მიკროლითურ ანამტვრევ-ანატკეცებისა და ლამელა-იარაღებისაგან. ლამელების (მიკროლამელები, დანისებური, რეტუშირებული მთელი, ზურგდაბლაგვებული, გვერდამოღარული) აბსოლუტური უმრავლესობა გამოყენებული ჩანს. წარმოდგენილია ასევე საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები, სახოკი, ჩასართისებური, ხერხისებური იარაღები და სხვ. წამყვანია საჭრისები და საფხეკები, ბევრია როგორც დამუშავებული, ისე დაუმუშავებელი ლამელები.[9]

ჯიხანჯურისა და ჩოლოქის ნამოსახლარები. მდებარეობენ ქობულეთის რაიონში, მდ.ჩოლოქის ტერასაზე, ბორცვოვან ზოლში (ზ.დ. 30-35 მ). ჯიხანჯურის ნამოსახლარს ცალ მხარეს მდ.ჩოლოქი ჩამოუდის, ხოლო მეორე მხარეს - მისი მარცხენა შენაკადი საკალმახე ღელე. უძრავი კულტურული ფენა გადარჩენილი არ არის. ნამოსახლარის ფართობი 1 ჰა აღწევს. მოპოვებულ მასალაში წამყვანია საჭრისები და საფხეკები. სხვა იარაღებიდან წარმოდგენილია სახვრეტი, ისრისპირის ფრაგმენტი და კომბინირებული იარაღი (საფხეკ-წვეტანა). ჯიხანჯურის იარაღები მიკროლითურია და მათი აბსოლიტური უმრავლესობა ლამელებზეა დამზადებული.

ჩოლოქ-მაკვანეთის ნამოსახლარი მდ.ჩოლოქის მარჯვენა ტერასაზეა წარმოდგენილი და უკავია 2 ჰა. ძეგლის სტრატიგრაფია დადგენილი არ არის. მასალა მსგავსია ჯიხანჯურის მონაპოვრებისა. უბირატესობა აქაც კაჟს ეკუთვნის. კოლექციაში დიდი რაოდენობითაა ანამტვრევ-ანატკეცები. დამუშავებული იარაღები (საჭრისი, საფხეკი, რეტუშირებული ლამელა) მთელი მასალის მხოლოდ 13,82% შეადგენს. სხვა იარაღებიდან აღსანიშნავია ზურგდაბლაგვებული ლამელა, ხერხისებური იარაღები, წამყვანია საფხეკები და საჭრისები. ორივე ძეგლზე მოპოვებული ინვენტარი მიკროლითურია. როგორც ირკვევა, აქაური მოსახლეობა ძირითადად ნადირობას, ეელური ნაყოფის შემგროვებლობასა და მეთევზეობას მისდევდა.[10]

ბეშუმის ნამოსახლარი (სადგომი) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ იგი მდებარეობს აჭარის მაღალმთიან საზაფხულო საკურორტო ზონაში (ზ.დ. 1830 მ), გოდერძის გადასასვლელიდან 8 კმ-ის დაშორებით; აქ სათავეს იღებს მდ.ფოცხოვის მარცხენა შენაკადი, ბეშუმის ღელე. ფაქტიურად, ბეშუმი სუბალპური და ალპური ზონის გასაყარს წარმოადგენს, გამოირჩევა შედარებით მშრალი ჰავით, ზომიერი ტემპერატურით და მდიდარია წიწვოვანი მცენარეებით.

ბეშუმის ნამოსახლარი ღია ტიპის სადგომია, სადაც ხდება ინტენსიური გადარეცხვა. ქვის ხანის უძრავი კულტურული ფენა ასეთ პირობებში შეიძლებოდა გადარჩენილიყო მხოლოდ გამოქვაბულებსა და ეხებში.

ბეშუმის სადგომების გავრცელების არეალი მოიცავს რამდენიმე უბანს (შქერნალი, დიდი იაილები, შუა უბანი, ბეშუმის იაილები, ვერხვნარი, ნაჩადრალი). იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია გაქვავებული მერქანი და ობსიდიანი. აქაური „კაჟი" ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის ხეების გაქვავებულ სახეობებს წარმოადგენს.[11] ამგვარი „კაჟი" მრავლადაა ბეშუმსა და მის მი-

---

[9] **ს.გოგიტიძე.** სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბილისი, 1978, გვ. 44-48; მისივე, ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი კინკიშას ხეობაში. - სდსძ, III, თბილისი, 1973, გვ. 38-73, ტაბ. I-III.

[10] **ს.გოგიტიძე.** ნეოლითური ხანის ძეგლი მდ.ჩოლოქის სანაპიროზე. - სდსძ, IV, თბ., 1974, გვ. 4-33. ტაბ. I—IV; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, გვ. 23-30, ტაბ. III—VI.

[11] **დ.ხიწაძე.** გაქვავებული ტყეები. - გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1975, 15/II. №33.

დამოებში (ასევეა ხიხაძირის რეგიონსა და საერთოდ მთიან აჭარაში), მაგრამ სრულებით არ გვხვდება ზღვისპირეთში, სადაც იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია ბუნებრივი კაჟი.

მართალია, ბეშუმში მოპოვებული იარაღები მსგავსებას ამყღავნებენ ჯიხანჯურისა და კვირიკეს ინვენტართან, მაგრამ უფრო ტლანქია და არასრულყოფილი, თანაც არქაულადაც გამოიყურებიან.

ბეშუმის ნამოსახლარი ლოკალური ხასიათის ძეგლია და ძნელდება მისი ამა თუ იმ კულტურულ არეალზე მიკუთვნება; იგი მეტ სიახლოვეს იჩენს ბალურის ე.წ. „მთის კულტურისა" და აჭარის ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის ადრეულ ძეგლებთან.

გოდერძის უღელტეხილის ზონაში დადასტურებული სადგომები, შესაძლოა, ჭოროხისა და სუფსა-ნატანების აუზების ზღვისპირა ზოლში არსებული ნეოლითური ხანის მოსახლეობის დროებით საზაფხულო სადგომები იყოს. ისინი, ერთი მხრივ, დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ კაჟისა და ობსიდიანის აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან შემოზიდვასთან, ხოლო, მეორე მხრივ, სეზონური მესაქონლეობის საწყის ფორმებთან, ან კიდევ მონადირეობასა და მეთევზეობასთან.[12]

ობსიდიანი ერთგვაროვანია როგორც მთაში, ისე ზღვისპირეთში და შემოტანილი ჩანს თრიალეთის ზეგანიდან. კაჟის მაგივრად კი მთაში, როგორც ვთქვით, ადგილობრივ გაქვავებულ მერქანს იყენებდნენ. აჭარის მთიანეთის კაჟისა და ობსიდიანის მასალები მიუთითებს, რომ უკვე გვიანმეზოლით-ადრენეოლითური პერიოდიდან ათვისებული ჩანს არა მარტო აჭარის ზღვისპირეთი, არამედ მისი მთიანი მხარეც.

ნეოლითურ ნამოსახლართა შემდგომ ჯგუფში უმთავრესია ს.ხუცუბანის და ს.ქობულეთის სადგომები.

ხუცუბნის ნამოსახლარის სტრატიგრაფიული მონაცემებით დასტურდება, რომ ადამიანს პირველი საცხოვრისი დელუვიურ ნიადაგებზე გაუმართავს. აქ მოპოვებული ინვენტარი 2000 ერთეულს აჭარბებს, სადაც წარმოების ნარჩენებს დიდი ადგილი უჭირავს. დასტურდება, რომ იარაღთა როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება ძირითადად ადგილზეკე ხდებოდა: ჭარბობს ლამელებზე ჩამოყალიბებული საჭრისები, საფხეკები, დანები, მრავალი სახის ლამელა, კომბინირებული იარაღები, სახვრეტები, ისრისპირები, სეგმენტისებრი იარაღები და ა.შ. მათგან განსაკუთრებული ადგილი ლამელებს, საჭრისებსა და საფხეკებს უჭირავთ. ლამელებში მრავლადაა დანები და მიკროლითები. როგორც ფიქრობენ მიკროლითური ლამელები სამკალი დანებისა და სხვა კომბინირებული იარაღების დეტალებადაც გამოიყენებოდა.[13] იარაღის დასამზადებელ ნედლეულად აქაც კაჟი და ობსიდიანი გამოიყენებოდა. კაჟი მთელი მასალის 61,42%, ხოლო ობსიდიანი 38,58% შეადგენდა. ობსიდიანის როლის ზრდის მიუხედავად, იარაღების დამზადებისას წამყვანი მაინც კაჟი რჩებოდა.

ხოფ.ქობულეთის ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრების ბროცესში ნათელი გახდა, რომ ეს ნამოსახლარი თვალსაჩინო და ამასთან უნიკალური ძეგლია არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიასა და საერთოდ მთელ კავკასიაში.[14]

---

[12] **ა.ინაიშვილი**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები (მოკლე ანგარიში). - სდსძ, IV, თბილისი, 1974, გგ. 165.

[13] Семенов А.С. Жатвенные кремневые ножи из позднепалеолитического поселения Лука-Врублевецкая на Днестре. - СА, XI, 1942.

[14] **ნ.ბერძენიშვილი, ლ.ნებიერიძე**, დასახ. ნაშრ., გგ. 7-15; **ხ.გოგიტიძე**, ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი. - სდსძ, V, თბილისი, 1975. გგ. 51-77; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გგ. 48-68, მისივე, კაჟისა

სოფ.ქობულეთის ნამოსახლარი აღმოჩნდა მდ.კინტრიშის მარჯვენა სანაპიროს მაღალ, გაშლილ ტერასაზე, რომელიც სამი მხრიდან მიუდგომელია. ნამოსახლარის ფართობი 1 ᲰᲐ ა-დე აღწევს. ეს გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ძეგლი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ აქ გადარჩენილია უძრავი კულტურული ფენები. ნამოსახლარი ღია ტიპისაა, რომლის სწორედ ცენტრალურ ნაწილში გადარჩენილია უძრავი კულტურული ფენა მცირე და დიდი ნახშიროვანი ორმოების სახით. ისინი ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში ორ რიგადაა განლაგებული; მათგან დიდი ზომის ნახშიროვანი ორმოები „სახელოსნოები“ უნდა იყოს, სადაც ხდებოდა იარაღის როგორც ბირველადი, ისე მეორადი დამუშავება. დიდ ორმოებში ფიქსირებულია, აგრეთვე, კერები და სხვადასხვა დონეზე განლაგებული დიდი, ბრტყელი რიყის ერთი ან რამდენიმე ქვა. რამდენიმე ღრმა (1,3-1,65 მ) ორმო ცარიელი იყო, ხოლო ზოგიერთში შეიმჩნეოდა ძვლების ნაშთები. ჩანს, ასეთი ორმოები ბროდუქტის შესანახად გამოიყ ენებოდა. სოფ.ქობულეთის ნამოსახლარის უძველესი ბინადრები სარჩო-საბადებელს მოიპოვებდნენ მონადირეობით, შემგროვებლობით და მეთევზეობით. კავკასიის გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური მასალები ცხადყოფენ, რომ ამ დროის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთევზეობას. საცხოვრისები გამართული იყო მდინარისპირა ტერასებზე, მღვიმეებსა თუ ეხებში.[5] გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ დასახლებებზე ჩნდება თევზჭერის სრულიად ახალი საშუალებანი, რაც იძლევა რაციონში თევზის წილის გაზრდის შესაძლებლობას.[10] მეორე ჯგუფს ქმნიან მცირე ზომის ორმოები (50-ზე მეტი), რომელთა ერთ ნაწილს კიდეებზე რიყის ქვები აქვთ შემოწყობილი, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ ტიპის ორმოებში შენობის ხის სვეტები ჩაეშაგრებოდა. სვეტებისათვის განკუთვნილი ორმოების განლაგების მიხედვით ზოგიერთი ნაგებობის გეგმის განსაზღვრაც ხერხდება: მათ მიმრგვალო ან ოთხკუთხედი ფორმა ჰქონიათ (სურ. 3).

ს.ქობულეთის ნამოსახლარზე დახურული ტიპის უნიკალური წყალსადენი აღმოჩნდა. მას პარალელი არ ეძებნება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. წყლის ერთი არხი ნამოსახლარს აღმოსავლეთით ჩამოუდის, ხოლო მეორე - დასავლეთით. პირველი წყალსადენი დასახლების აღმოსავლეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში მთავრდება, ხოლო მეორე დასახლებას მთელ სიგრძეზე გასდევს და ფერდობზე მთავრდება. წყალსადენების გამართვა გონივრულადაა გადაწყვეტილი: ოდნავ დაქანებულ ფერდობზე წითელ თიხებში ამოჭრილი იყო 12-14 სმ სიღრმისა და 10-12 სმ სიგანის არხი, რომლის ორივე კიდეზე ჩაწყობილი იყო ბრტყელი, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის რიყის ქვები. არხი ზემოდანაც გადახურული იყო ბრტყელი ქვებით, რაც დაბინძურებისაგან იცავდა. „სოფელს“ გამაგრების სისტემაც უნდა ჰქონოდა.[17] წყალსადენი სათავეს ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთით 150-160 მ არსებული წყაროებიდან იღებდა. ორივე წყალსადენი ქვის ხანის ნამოსახლარის თანადროულია: ერთ

და ობსიდიანის დანები ქობულეთისა და მახვილაური ნამოსახლარებიდან. - სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 3-12; მისივე, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1980 წელს ჩატარებული საველე-კვლევა ძიების შედეგები. - სდსძ, XII, თბილისი, 1983, გვ. 3-39; მისივე, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1984 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. - სდსძ, XV, თბილისი, 1987. მისივე, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1986 წელს ჩატარებული საველე-კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (ხელნაწერი).

[15] **ლ.ნუბერაძე**, დარკვეთის მრავალფენოვანი ეხი, თბილისი, 1978, გვ. 47; Бибиков С.Н. Раскопки на навесе Фатма-Коба. - КСИА, 8, 1950. с. 118.

[16] **დ.სახუტაიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა“, I, ბათუმი, 1995, გვ.16-17; **ხ.გოგიტაძე**, ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან. - სდსძ. VI, 1977, გვ. 3-18.

[17] **დ.სახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

შემთხვევაში ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არხმა გადაკვეთა დიდი ზომის ნახშიროვანი ორმო. წყალსადენისა და ორმოს ბრეპარაციისას გაირკვა, რომ დროდადრო მოსახლეობა ტოვებდა სოფელს და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა. ამით უნდა აიხნას ორმოებში სტერილური შრეების არსებობა. გამოიყო სამი სტერილური შრე, ე.ი. მოსახლეობას სოფელი სულ ცოტა სამჯერ მაინც მიუტოვებია. საყურადღებოა ისიც, რომ წყალსადენის გაჭრისას, სადაც კი ორმო შეხვედრიათ, მთელ სიგრძეზე პლასტიკური თიხა დაუყრიათ და დაუტკეპნიათ.

ქობულეთის ნამოსახლარი კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა: აქ მოპოვებულია 30000-მდე ნივთი, რაც რამდენჯერმე აღემატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ ქვის ხანის ყველა ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალას ერთად აღებულს. ამასთან, მასალის აბსოლუტური უმრავლესობა უძრავი კულტურული ფენებიდანაა. ინვენტარში სერიებადაა წარმოდგენილი ანამტვრევები და ანატკეცები, ნუკლეუსები, დაუმუშავებელი და დამუშავებული ლამელები, საჭრისები და საფხეკები, ხერხისებური და დაკბილული იარაღები, ხოწები (სათლელები), ჩასართისებრი და ნამგლისებრი, ანკესისებრი და ისრისპირისებრი, აგრეთვე, კომბინირებული იარაღები, შურდულის ქვები, გაურკვეველი დანიშნულების ნამზადები და ა.შ. ქობულეთის ნამოსახლარი დღეისათვის ერთადერთი ნეოლითური ეტალონური ძეგლია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ცნობილი მიზეზების გამო ხის, ძელისა და რქის ნაკეთობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ნამოსახლარის ურიცხვ ინვენტარში კაჟის ნაწარმია 52%, ხოლო ობსიდიანისა - 48%.

აჭარის ზღვისპირეთისა და მთიანეთის უძველესი ნამოსახლარები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საქართველოს ამ კუთხის ისტორიის ადრეულ საფეხურებზე: ერთი მხრივ, ქობულეთ-ხუცუბნის, კვირიკეს, ჯიხანჯურის, ჩოლოქ-მაკვანეთის, სახალვაშოსა და ჩაისუბნის და, მეორე მხრივ, ბეშუმის, ყიშლას, თიკანაურთავის და შემთხვევით მოპოვებული მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აჭარის არა მარტო ზღვისპირეთი, არამედ მთაც ინტენსიურად ყოფილა ათვისებული. მართალია, ბოლომდე არაა გადაჭრილი საკითხი, თუ კონკრეტულად როდის მოხდა აჭარის ზღვისპირეთის, მთისწინეთის და მთის ათვისება, მაგრამ მდ.კინკიშასა და ჩოლოქის ხეობების ტერასებზე (კვირიკე, ჩოლოქ-მაკვანეთი, ჯიხანჯური) აღმოჩენილი ნამოსახლარების მასალების მიხედვით მიიჩნევენ, რომ, მაგალითად, კვირიკეს ნამოსახლარი დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ჯგუფს მიეკუთვნება, მათთან ერთობლიობას ქმნის.[18] ქობულეთ-ხუცუბნის იერის ყველა ნამოსახლარი სრულიად მსგავსი და ერთგვაროვანი ძეგლებია. მათი ქრონოლოგიური დაშორება არ შეიძლება და ისინი გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი საფეხურით უნდა დათარიღდეს.[19] ქობულეთის უძრავი კულტურული და ხუცუბნის დარღვეული ფენებიდან მომდინარე მასალების სხვა მონაპოვრებთან შეჯერებით დადგინდა, რომ ქობულეთის ნამოსახლარი ერთფენოვანი ძეგლია. თუმცა, აქ წითლად ანგობირებული კერამიკის აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ნამოსახლარზე ნეოლითური ხანის ორი ჰორიზონტის გამოყოფა - კარგად დაცული წინაკერამიკული და კერამიკული ნეოლითის (დარღვეული) ჰორიზონტისა.[20]

---

[18] ლ.ნუბერიძე. დარკვეთის ეხი. გვ. 49.

[19] ს.გოგიტიძე. ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1980 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. გვ. 38.

[20] ჯ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლარების შესწავლა ნათელს ხდის, რომ ისინი აღმოცენდნენ კვირიკეს ნამოსახლარის ტიპის ძეგლების შემდგომ. რაც მიუთითებს მათ გენეტიკურ კავშირსა და ერთიანობაზე. თავიდანვე იყო გაზიარებული მოსაზრება ქობულეთ-ხუცუბნის ძეგლების სიახლოვის შესახებ ერთის მხრივ, კვირიკეს ჯგუფის ძეგლებთან, ხოლო მეორეს მხრივ ანასეულ I.[21]

ჩვენს მიერ შესწავლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლები ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII—VI ათასწლეულებზე ნაწილდება. თუ გადავხედავთ ბეშუმის, ხიხაძირის, წაბლანასა (ყიშლა) და სხვა მცირე კომპლექსებს, უსათუოდ დავინახავთ უფრო საერთო ხასიათის მსგავსებას ზღვისპირეთის ადრენეოლითურ მასალებთან, ხოლო კონკრეტული ძეგლების შედარებისას აშკარად შეიმჩნევა გარკვეული სხვაობაც. ეს ეხება არა მარტო გამოყენებულ ნედლეულს, არამედ თვით იარაღთა ფორმებს და ნაწილობრივ დამუშავების ხერხებსაც. აჭარის მთიანეთში აღმოჩენილი მასალა არ ეკუთვნის რაიმე ახალ, დამოუკიდებელ კულტურას და ქმნის მეზოლითურიდან ნეოლითურზე გარდამავალი კულტურის ლოკალურ ვარიანტს, რაც განპირობებული იყო აჭარის მთიანი რეგიონის ბუნებრივი პირობებითა და მეურნეობის თავისებური ხასიათით.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ეპოქების ძეგლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა მარტო გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური კულტურის თავისებურ ლოკალურ ვარიანტთან, არამედ მათ ქრონოლოგიურ განსხვავებასთანაც დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითურ (ანასეული I) ძეგლებთან შედარებით.

ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლარებს შუალედური ადგილი უჭირავთ გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ ძეგლებს შორის, რასაც უნდა ადასტურებდეს დარკვეთის ეხის V და IV ფენებს შორის ერთი მეტრი სისქის სტერილური შრის აღმოჩენა, რომელსაც, შესაძლოა, ქრონოლოგიურად შეესატყვისებოდეს კინტრიშის ნაშოსახლარები.[22]

მიუხედავად იმისა, რომ კინტრიშის ძეგლები ახლოსაა ანასეულ I, ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლარებისათვის ჯერ კიდევ უცნობია რიყის ქვისა და სხვა მაგარი ქანებისაგან იარაღის დამზადების ტექნოლოგია, მათი გახეხვა-გაპრიალება, გეომეტრიული იარაღები (ტრაპეცია, სეგმენტი, სამკუთხედი, მართკუთხედი) და სხვა. ამასთან, არ ჩანს ანასეული I კულტურის რაიმე ზეგავლენა.

ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ნამოსახლარები არ წარმოადგენდნენ ისეთ სწრაფმონაცვლე საცხოვრისებს, როგორიც წინარე (მეზოლითის) ეპოქისათვისაა დამახასიათებელი. ამასთან, შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკური ძვრებიც. ამ პერიოდისათვის უკვე დაწყებული ჩანს გვაროვნული კოლექტივების დანაწევრება და ტომობრივ სტრუქტურათა შექმნის პროცესი.[23]

კინტრიშისა და ჩოლოქის აუზის მეზოლით-ადრენეოლითური ნამოსახლარების ურთიერთ სიახლოვე, მასალათა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვნება, იარაღთა დამუშავების ტექნიკა, გამოყენებული ნედლეული, დასახლების ფორმები და ხასიათი მიუთითებს მათ ერთგვაროვან კულტურასა და ლოკალურ ხასიათზე.

მართალია, ნახევრადმომთაბარეულ ცხოვრებას ადამიანი ჯერ კიდევ გვიან მეზოლითის ეპოქიდან ეწევა, მაგრამ აშკარაა მონადირეობის როლიც, რაზედაც მიუთითებს ქობულეთ-ხუცუბნის ჯგუფის ძეგლებზე საფხეკთა სიმრავლე.

---

[21] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.
[22] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.
[23] Бадер Н.О. Мезолит. Каменный век на территории СССР. Москва, 1970, с. 91.

შედარებით ხანგრძლივი დასახლებები (ქობულეთი, ხუცუბანი) ძლიერი, შეკავშირებული კოლექტივების საკმაოდ ორგანიზებული და აწყობილი ცხოვრების მოწმობაა.[24] ამაზე მიუთითებს ქობულეთის ნამოსახლარზე ფიქსირებული „სოფლის" დაგეგმარება-განაშენიანება, წყალმომარაგება, სახელოსნოები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები, კერები საჭმლის მოსამზადებლად, გასათბობად და ნადირთა დაფრთხობის მიზნით. ერთ-ერთ ნახშიროვან ორმოში აღმოჩნდა დანახშირებული წაბლის ნაყოფი, ხოლო სხვა სამეურნეო ორმოში (სურსათის შესანახი)- ძვლების ნამტვრევები. როგორც ჩანს, ამ დროიდან ინდივიდუალური მონადირეობის როლი გაზრდილია და გარეული ცხოველების (ღორი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა) მოშინაურებაც დაწყებულა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ მცენარეული სამყაროს სიმდიდრეს, მათ შორის ნაყოფის მომცემ ჯიშების არსებობას (მუხა, წაბლი, წიფელი, წყავი, თხილი, კაკალი, ვაზი, მოცვი, ბანტა ვაშლი, მსხალი და სხვა.) გასაკვირი არ უნდა იყოს ღორის ადრეული მოშინაურება.[25]

ამავე პერიოდში საბინადროდ გამოყენებული ჩანს როგორც ბარი, ისე მთიანეთი, რაც პირობებს ჰქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის. ცხადია, მითვისებითი მეურნეობის წიაღში განვითარებული მონადირეობის ბაზაზე საფუძველი ეყრებოდა ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას, ხოლო მრავალდარგოვანი შემგროვებლობა გზას უკაფავდა მიწათმოქმედების ადრეული ფორმების ჩასახვა-განვითარებას.[26]

---

[24] ო.ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 38.

[25] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 09.

[26] Формозов А.А. Каменный век и энсолит Прикубанья, 1965, с. 57; Адлербер Г.П. К вопросу о происхождении домашних свиней. - Труды лаборатории инс-та Генетики АН ССР, вып. I, А. 1933; ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 107.

§3. განვითარებული ნეოლითური კულტურა

წინააზიური სამყაროს ჩრდილოეთ ზოლში, კერძოდ, ამიერკავკასიაში, წარმოებითი მეურნეობის წარმოქმნა-განვითარების მძლავრი კერა არსებობდა.[1]

უნდა ითქვას, რომ მისი ნაკვალევი ჯერ-ჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია დადასტურებული. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, იქ ნეოლითური ნამოსახლარები ნაკლებადაა გამოვლენილი და შესწავლილი. ნეოლითური კულტურა მეზოლითიდან მომდინარეობდა. ამისი მოწმობაა დასავლეთ საქართველოს გვიანმეზოლითური, გვიანმეზოლითურიდან ადრენეოლითურზე გარდამავალი, ადრენეოლითური და განვითარებული ნეოლითური კულტურის ძეგლების გენეტიკური ერთიანობა. სავსებით კანონზომიერია არაერთგზის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრენეოლითური კულტურის მატარებელი ტომების უშუალო წინაპრები დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითური ხანის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო.[2]

მთელი ძველი ისტორიის მანძილზე საქართველოში მწარმოებლური მეურნეობის (ნეოლითი) ჩასახვა-განვითარების ორი განსხვავებული გზა შეინიშნება, რაც მეტწილად საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს შორის არსებული ბუნებრივი გარემოს

---

[1] **ა.ალანდავა**, ნეოლითი (ახალი ქვის ხანა). - საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბილისი. 1970. გვ.118-128; მისივე. მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში. - ენიმკის მოამბე. V, 3, თბილისი, 1939; მისივე. Разыскания по археологии доантичной Грузии, Автореферат док. диссер., Тбилиси. 1969; **ნ.ბერძენიშვილი**. ახალი ქვის ხანის ძეგლები თეორამიწადან. - მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29. 1951. გვ. 259; Лукин А.Л. Неолитическое селище Кистрик близ Гудаута. - СА, XII, 1950, с. 47-286; Соловьев Л.Н. Об итогах археологических раскопок в гроте Хупшипшахэа. - Труды Абхазского ИЯЛИ, XXXII. 1961; Его же, Неолитические поселения черноморского побережья Кавказа. Нижне-Шиловское и Кистрик, Москва. 1967; Мешков А. Неолит в Абхазии. - Сов. Абхазия, №117, 1940; Формозов А.А. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа (материалы к изучению неолита юга СССР). - МИА, 102, 1962, с.89-149; **ლ.ნებიერიძე**, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972; მისივე, დარკვეთის მრავალფენიანი ეში, თბილისი, 1979; მისივე. ნეოლითი. - საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ.226-260; მისივე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. - „მაცნე", ისტორიის სერია, 1975. №3, გვ.97; მისივე, ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. - ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1983; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბილისი, 1986; **Джапаридзе О.М.** На заре этнокультурной истории Кавказа, Тбилиси, 1989; **ოჯაფარიძე**, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991, გვ.40-100; Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989, с.58-80; Чубинашвили Т.Н., Челидзе Л.М. К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры VI-IV тыс. до н.э. - «Мацне», 1978, №1, с.56-72; «Мацне», 1979, №1, с.49-61, «Мацне», 1984, №3, с.52-67; **ტ.ალანდავა**, ღუმურიშის ნამანარი, თეზისები, თბილისი, 1970; მისივე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971-1973 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბილისი, 1974, გვ.176-198; **ოჯაფარიძე**, **ა.ჯაფარიშვილი**, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971; **ოკუჯავა**, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბილისი, 1976; **ა.ალაკიძე**, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი, 1970; **ტ.ტურნოვი**, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი-პალური, თბილისი, 1978; **ს.ბოგიტიძე**, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978; მისივე, ახალი ტიბის ქვის საწაუები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან. - სდკ, VI, თბილისი, 1977, გვ. 3-18; **ტ.ტურნოვი**, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების მიხედვით, თბილისი, 1981.

[2] **ოჯაფარიძე**, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 41.

საგრძნობი სხვაობით აიხსნება.[3]

დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურაში გვიანი მეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი ეტაპი და სამი ძირითადი საფეხური (ადრეული, შუა და გვიანი) გამოიყოფა.[4] აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ხანის ძეგლების ერთი ჯგუფი (ჯიხანჯური, ჩოლოქი, კვირიკე, ხუცუბანი, ქობულეთი, ბეშუმი) ადრეული ნეოლითური პერიოდის ნამოსახლარებია.[5]

თუ წინათ ადრენეოლითური ძეგლების ჯგუფი დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ანასეული I, ცივი მღვიმის I ფენისა და მათთან ქრონოლოგიურად ახლომდგომი კინტრიშის (ქობულეთი, ხუცუბანი) ნამოსახლარებით განისაზღვრებოდა, შემდეგ გამოჩნდა ისეთი მრავალფენიანი ძეგლები როგორიცაა: დარკვეთის მრავალფენიანი ეხი,[6] აფიანჩის მღვიმე,[7] ხორშის,[8] მელოურის,[9] ზემო ლემსის,[10] ხევის[11] და სხვა ღია ტიპის ნამოსახლარები.

აჭარის ტერიტორიაზე მახვილაურის ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, რომელიც უკავშირდება როგორც ადრე, ისე განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებს.[12]

მახვილაურის დასახლება ქ.ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კახაბრის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში, მახვილაურის ბორცვზე ფუნქციონირებდა. ძეგლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით მიედინებოდა მდ.ჭოროხი თავისი მრავალი შენაკადით. წარსულში მდ.ჭოროხის ნაწილი (ტოტი) მახვილაურის ბორცვს გვერდით ჩამოუვლიდა.[13] ზღვისა და მდინარის სიახლოვემ განსაზღვრა მახვილაურის სამოსახლოს მცხოვრებლების ყოფაში მეთევზეობის განსაკუთრებული ადგილი.[14] უნდა ითქვას, რომ მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარი აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სრულიად ახალი ტიპის ძეგლია. კაჟისა და ობსიდიანის იარაღებთან ერთად აქ გამოელენილია რიყისა და ბაზალტის ქვის იარაღებიც. სამწუხაროდ,

---

[3] იქვე. გვ. 41.

[4] ლ.ნებიერიძე, ნეოლითი..., გვ. 229.

[5] ოჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[6] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 230; მისივე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი.

[7] Церетели Л.Д., Клопотовская Н.Р., Куренкова Е.И. Многослойный памятник Апианча (Абхазиа). - Четвертичная система Грузии. - К XI ИНКВА, Москва, 1982, Тбилиси, с. 198.

[8] Григолия Г.К., Мгеладзе И. Предварительные результаты работ археологической экспедиции, изучающей памятники каменного века Самегрело. - ПАИ в 1977. Тбилиси, с. 13,15.

[9] ალ.კალანდაძე, ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან. - „მაცნე“, თბილისი, 1978, №4, გვ. 64-79; Каландадзе К., Бердзенишвили Н., Небиеридзе Л. и др. Краткие итоги Цхалтубской археологической экспедиции. - ПАИ в 1977 г. Тб., 1980, с. 15-20.

[10] Воронов Ю.Н. Раскопки ранненеолитического поселения в пос. Верхная Лемса (Цебелда). -ПАИ в 1976, Тбилиси, 1979, с. 20-27.

[11] Каландадзе К. С., Габуния М.К. Цхалтубская археологическая экспедиция. - ПАИ в 1980 г. Тбилиси, 1982, с. 12-15. გ.კალანდაძე, თეთრი მღვიმე, თბილისი, 1994, გვ. 132-133.

[12] რედაქტორის შენიშვნა: 2003 წელს ჩაქვის ჩასუბანში, ნასაყდრალის გორასთან ახლოს, სახლის საძირკველის გაჭრისას ანზორ გვარიშვილმა მოიპოვა სხვადასხვა ეპოქის ნივთები. ჩაქვის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ძალების გამოყენებით შეგროვდა დამატებითი მასალა. მათ შორის ყურადღებას იქცევს განვითარებული ნეოლითური ხანის ბაზალტის მოგრძო ანატკეცზე დამზადებული სათლელი. აქვს ამობურცული გვერდები, სამუშაო ბირი ხმარების პროცესში დაბლაგვებულია, ყუა ათლილი, გათხელებული. ემსგავსება ხუცუბანსა და ჩხორთულში ნანახ ნიმუშებს; დამუშავების ტექნიკით მახვილაურის, ანასეული II და თეთრამიწას ქვის იარაღებს. არის თანადროული თიხის ჭურჭლის ნატეხებიც. ამათი ერთი ნაწილი უხეში და სქელკედლიანია, სადა, მინარევებიანი. მეორე ნაწილი კი უფრო თხელკედლიანი, თანაც ბირები ჭდეული ორნამენტიანია. ესენი ანასეული II, ოდიშის და გურიანთის სამეთუნეო ნაკეთობის ანალოგიური ჩანან. იხ.: ა.კახიძე, ს.გოგიტიძე, ნ.სურმანიძე, ახალი აღმოჩენები ჩაქვისწყლის ხეობაში. - გაზ. „აჭარა“, 14 ოქტომბერი, 2003.

[13] მ.ჯაფარიძის გადმოცემით, მდ.ჭოროხის ერთ-ერთი ტოტი აღმართის ძირიდან (კაპანდიბი) გადმოდიოდა და მახვილაურის ბორცვს გვერდით ჩაუდიოდა; მანვე მიუთითა ნავთმისაბმელ ადგილზეც.

[14] ს.გოგიტიძე, ახალი ტიპის ქვის საწაფები..., გვ. 3-18.

ძვ.წ. VIII—VII სს ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი სამაროვნად უქცევიათ (ქვაყრილიანი ორმოსამარხები ჩაჭრილი იყო წითელმიწა ნიადაგში 1,5-2 მ სიღრმეზე) და ადრეული ფენები დაურღვევიათ.

ამგვარად, ნამოსახლარმა მოგვცა სხვადასხვა პერიოდის ნივთიერი მასალა. მათგან უძველესი განვითარებულ ნეოლითს, ხოლო უგვიანესი-გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. მართალია, აქ ნეოლითური ფენა დარღვეულია, მაგრამ შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო ამ დროის მასალები.[15]

მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარი განსხვავდება არა მარტო კვირიკეს, ჯიხანჯურის, ჩოლოქის ტიპის ძეგლებისაგან, არამედ ქობულეთ-ხუცუნნისა და ანასეული I ტიპის დასახლებებისაგანაც. თუ ადრეულ სამოსახლოებში იარაღთა დასამზადებლად მხოლოდ კაჟი და ობსიდიანი გამოიყენებოდა, მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარის მასალები გამოირჩევა ნედლეულის მრავალფეროვნებით. კაჟთან და ობსიდიანთან ერთად განსაკუთრებული ადგილი რიყის ქვასა და ბაზალტს უჭირავს, მკვეთრად შემცირებულია კაჟისა და ობსიდიანის ხვედრითი წილი.

მართალია, დღემდე დადგენილი არ არის, თუ რა გზით შემოდიოდა ობსიდიანი და კაჟი, მაგრამ, როგორც ჩანს, ანატოლიის ობსიდიანით (ვულკანური მინით) მდიდარ საბადოებს გავლენა უნდა მოეხდინა წინა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებზე, სადაც გვიანპალეოლითშიაც პოულობენ ობსიდიანის ნაწარმს. შემდგომში ობსიდიანის ხვედრითი წილი უფრო იზრდება და იგი შორსაც ვრცელდება.[16] როგორც ჩანს, ობსიდიანით მდიდარი ამიერკავკასია გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ ეპოქებში ჩართული იყო ობსიდიანით „ვაჭრობაში". ამდენად, სამხრეთ კავკასიაც მონაწილეობდა ამ ბროცესებში, რასაც ენეოლითში უფრო დიდი მასშტაბი მიუღია.[17]

ნეოლითის პერიოდის მახვილაურში ობსიდიანი არსებით როლს არ ასრულებდა. ასეთივე სურათი ჩანს დასავლეთ საქართველოს განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებზეც (ოდიში, ანასეული II, მამათი, კისტრიკი, შილოვკა), სადაც ამ მინერალის როლი მკვეთრად შეზღუდული ჩანს. წინარე, გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ ეპოქებში მისი გამოყენება აშკარად უფრო ინტენსიური იყო, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი საქართველო საკმაოდ მდიდარი იყო მაღალხარისხოვანი კაჟით. ასეთივე ვითარებაა ჩრდ. მესოპოტამიასა და ზოგიერთ სხვა რეგიონშიც. ირკვევა, რომ ანატოლიასა და ამიერკავკასიას შორის არსებობდა ობსიდიანით რეგულარული, მოწესრიგებული „ვაჭრობა".[18]

სამხრეთ კოლხეთი ობსიდიანით შეიძლებოდა მომარაგებულიყო, აგრეთვე, ვულკანური

---

[15] ალანიშვილი, ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგები. - XVIII სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1969; ხაგოგიტაძე, ალანიშვილი, აკაძე, დასტუტაშვილი. ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის სეზონის მუშაობის შედეგები. - არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბილისი, 1971; ხაგოგიტაძე. მასალები ქობულეთისა და ბათუმის რაიონის ზღვისპირა ზოლის ქვისხანის სადგომთა შესწავლისათვის. - მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1969; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის ძეგლები (მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარი). - სდსძ, III, თბილისი, 1973, გვ. 53-73; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი), თბილისი, 1975; მისივე, ახალი ტიპის ქვის საწყაფები..., გვ. 3-18; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, გვ. 69-89; მისივე, კაჟისა და ობსიდიანის დანები ქობულეთისა და მახვილაურის ნამოსახლარებიდან. -სდსძ, VII, 1978, გვ. 3-16.

[16] Кларк Дж.Д. Доисторическая Африка. Москва, 1977, с. 180; M.Korfman, Tilkitepe, Tubingen, 1982, p. 139; Массон В.М. Экономика и социальный строй древних обшеств, с. 76.

[17] Массон В.М. Поселение Джейтун. - МИА, 180, Л., 1971, с. 149; Джапаридзе О.М. დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[18] Мунчаев Р.М., Мерперт Н.Я. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, Москва, 1981, с, 117.

მინით მდიდარ სამხრეთ საქართველოდან.[19]

ჯერ კიდევ ადრეულ ნეოლითში რეგიონებს შორის ინტენსიურ ურთიერთობებს ხელი შეუწყო მეურნეობის ახალი ფორმების ჩასახვამ. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლამ სტიმული მისცა მოსახლეობის გადაადგილებას მთებიდან დაბლობისაკენ, კოლხეთის უხვმოსავლიანი რაიონებისაკენ.[20]

აჭარის ტერიტორიაზე შეინიშნება საკმაოდ ხანგრძლივი წყვეტილი უადრეს ნეოლითურ ძეგლებსა (ხუცუბანი, ქობულეთი) და მახვილაურის ნამოსახლარს შორის.

ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ძეგლებისათვის სრულიად უცნობია გეომეტრიული მიკროლითები, მაგრამ ისინი გვხვდება არა მარტო ადრენეოლითურ ანასეულ I, არამედ კავკასიის, წინა აზიისა და ყირიმის ადრენეოლითურ ძეგლებზე.[21] დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა უკრაინაში და იმიერკასპიეთში (შუა აზია), სადაც მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოდგენილია გეომეტრიული მიკროლითები (ტრაპეცია, სამკუთხედი, სეგმენტი და სხვ.).[22] მსგავსი მდგომარეობაა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში[23] და შუა აზიაში, სადაც გეომეტრიულ-მიკროლითურ იარაღებთან ერთად ჩნდება კერამიკული ნაწარმიც.[24]

აჭარის ტერიტორიაზე პირველად სწორედ მახვილაურის ნამოსახლარზე ჩნდება გეომეტრიული მიკროლითები, რაც გვიდასტურებს, რომ განვითარებულ ნეოლითში გეომეტრიული მიკროლითები გადმონაშთი კი არ იყო, არამედ განვითარების უფრო მაღალი საფეხურის მანიშნებელი სიახლე.

ამ დროს საფუძველი ეყრება ადამიანის მოღვაწეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, რთვა-ქსოვა, მეთუნეობა და ა.შ.

აჭარის ტერიტორიაზე ამ ნახტომს საზოგადოების ისტორიაში განსაკუთრებით ნათლად მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარი ასახავს. აქ მოპოვებული მასალა "საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ იმ რადიკალურ ცვლილებებს, რაც შეინიშნება ქვის დამუშავების ტექნიკაში. იგი ამ დროს ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ დამზადებული იარაღი ხშირად ხელოვნების ნიმუშია; ეს უმთავრესად ბაზალტის ქვის ცულებს (სურ. 5. 1), სათლელებს, სათლელ-სატეხებს და ე.წ. „პიკისებურ" იარაღებს (სურ. 5. 2) ეხება.[25]

ამ მასალებში ასევე ფართოდაა წარმოდგენილი ხოწები, სათლელ-სატეხები და სხვა იარაღები. ისინი ემსგავსებიან ოდიშის,[26] კისტრიკის[27] და შილოვკის მონაპოვრებს.[28]

მეორე მხრივ, აქ დიდი ზომის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები შედარებით მცირე

---

[19] ლ.ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, გვ. 56.

[20] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[21] ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[22] **Бадер Н.О.** Мезолит. - Каменный век на территории СССР, Москва, 1970, с. 90-104; Его же, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита. - СА, 1965, №4, **Бибиков С.Н.** Грот Мурзак-Коба. - СА, У. 1940; **Воеводский М.В.** Мезолитические культуры Восточной Европы. - КСИИМК, вып 31, 1950; **Формозов А.А.** Периодизация мезолитических стоянок Европейской части СССР. - СА, XXI, 1954; Его же, Обзор исследовании мезолитических стоянок на Кавказе. -СА, 1963, №4.

[23] **Пассек Т.С., Черныш Е.К.** Неолит Северного Причерноморья. - Каменный век на территории СССР, М.,1970, с. 117-133; **Даниленко В.Н.** Неолит Украины, Киев, 1969.

[24] **Массон В.М.** Неолит Средней Азии. - Каменный век на территории Хорезма, М., 1968, Его же, Джейтунская культура. - Труды ЮТАКЭ, X, Ашхабад, 1960; **Ранов В.А.** Каменный век Таджикистана, Душанбе, 1965.

[25] **Бибиков С.Н.** К вопросу о неолите в Крыму. - КСИИМК, IУ, 1940, с. 26-31; **Крайнов Д. А.** დასახ. ნაშრ., გვ. 100; ლ.ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[26] **Лукин А. А.** Неолитическое селище Кистрик. - СА. XII, 1950, с. 267, таб. УIII. рис. 2.

[27] **Формозов А.А., Столяр А.Д.** Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае. - СА, 1960, 2, с. 103-114; **Формозов А.А.** Неолит крыма. с. 143-145, рис. 25, 26.

[28] **Лукин А. Л.** დასახ. ნაშრ., გვ. 258-259, ტაბ. IV, სურ. 3.

რაოდენობითაა აღმოჩენილი.

მახვილაურის ნამოსახლარზე ყურადღებას იქცევს ე.წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, რომლებიც მანამდე დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე დადასტურებული არ ყოფილა და ნიშანდობლივი იყო ამ რეგიონის მხოლოდ ლითონის ხანის ძეგლებისათვის. მახვილაურის კოლექციაში მსგავსი თოხი ხუთი ცალია, რომელთაგან შედარებით დასრულებული სახე ერთს გააჩნია.[29] სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი იარაღები ენეოლითში უნდა გაჩენილიყო,[30] ხოლო მეორე ნაწილი უფრო ადრეულ პერიოდს (ნეოლითს) უკავშირებდა.[31] ზოგიერთი არ გამორიცხავს ასეთი იარაღების სათლელებად გამოყენებას,[32] რაც მახვილაურის მასალების მიმართ მისაღები არ არის, რადგან თოხისებური იარაღები დაბლაგვებული სამუშაო ბირით სათლელად არ გამოდგებოდა (სურ. 6. 1).

ქვის იარაღებში ყველაზე მრავალრიცხოვანია ბადის საწაფები. გამოიყოფა ორი ტიპი: ა. ორივე გვერდზე ამოღარული საწაფები და ბ. ცალ გვერდზე ამოღარული საწაფები (სურ. 6. 3). პირველი ტიპის საწაფები ფართოდაა გავრცელებული არა მარტო ნეოლითში, არამედ შემდგომ პერიოდებშიაც (თურქეთი,[33] კიკლადები,[34] პალესტინა,[35] საბერძნეთი[36] და სხვ.). ამასთან, გავრცელებულია მრგვალი მოყვანილობის შუაზე გახვრეტილი ქვის საწაფებიც.[37] საწაფები ძირითადად მეთევზეობასთანაა დაკავშირებული, რომელიც ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს დარგს მიეკუთვნება. როგორც ფიქრობენ, ადამიანის მიერ ცეცხლზე დამზადებული კერძის პირველი სახეობა, ხორცეულთა შორის, სწორედ თევზეული უნდა ყოფილიყო.[38] მიუთითებენ, აგრეთვე, რომ ნადირობა და თევზჭერა ისტორიის თითქმის ყველა საფეხურზე გვხვდება, დაწყებული ველურობიდან ცივილიზებული ხალხებით დამთავრებული. ამ უკანასკნელთათვის გარეული ფრინველი, ნადირი და თევზი სხვა საკვებთა დანამატს წარმოადგენდა.[39]

ადამიანის საკვებ რაციონში თევზის დამკვიდრებას განაპირობებდა მისი მოპოვების შესაძლებლობა მარტივი იარაღებისა და წესების გამოყენებით. როგორც ჩანს, მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა საფუძველს უყრიდა ნაოსნობასაც.[40]

საქართველო სწორედ ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი მეთევზეობასთან დაკავშირებული უძველესი იარაღ-ხელსაწყოები. აქისივე დასტურია ქართული

---

[29] ს.გოგიჩაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 82, სურ. 5, ტაბ. V. სურ. 2,6; მახვილაურის აღნიშნული თოხი ბევრმა სპეციალისტმა (ა.სტოლიარი, ვ.ლიუბინი, გ.კორობკოვა, ს.სემენოვი, ვ.ეუნინი, ი.ფრატკინი და სხვ.) „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხად მიიჩნია.

[30] ლ.ნუბარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[31] Формозов А.А. დასახ. ნაშრ., გვ. 142. მისივე, О датировке неолитических стоянок..., с. 138-141; Марковин В.И., Мунчаев Р.М. О двух типах каменных орудии Северного Кавказа. - КСИА, 84, 1981; Соловьев Л.Н. Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. - Материалы по истории Абхазии. вып. 15, Сухуми, 1939.

[32] E.Mackay. Report on Excavations at Jemdet Nasr. Irag "Field museum of Natural History, Antropology, Memories", 1, 3, 1931, fig. LXXV, 10.

[33] Turk tarik Kurumi Belleten-XLL, Nisan, 1948, Raporlar; Buyuk gullucek arastirma-lari Userine ilk rapor. Hamit Kesay ve Mahmut Akok.

[34] Antice kunst, 8, Jahrgang 1965, Heft 2, Jurgenthimme Die religiose Bedeutung der Kykladenidole.

[35] Antiguit №121, 1957, p. 36-38. v. u. Childe, Antiguity, XXX, 1957, p. 73-81. Jeriche and ita settingin weat Historu. Robert J. Braidwoord. Chicago.

[36] Титов В.С. Неолит Греции. М., 1969.

[37] Коробкова Г.Ф. Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии, Ленинград, 1969, с. 81, рис. 19,8.

[38] Морган Л. Древнее обшество, Ленинград, 1934, с. 15.

[39] Тейлор З. Первобытная культура, Москва, 1939, с. 107.

[40] ფრ.ენგელსი. შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში. - კ.მარქსი, ფრ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, თბილისი, 1950, გვ. 213.

ხალხური ეპოსი და ეთნოგრაფიული მასალები. თევზთან დაკავშირებული ჩვეულებები და მოტივები, თავის მხრივ, შესაძლოა, გენეტიკურ კავშირში იყოს ისეთ რწმენა-შეხედულებებთან, რომელთა მიხედვით თევზი ადამიანის წინაპრად არის მიჩნეული.[41] ბალესტინელი ტომები თევზს თავიანთ ტოტემად მიიჩნევდნენ. ეს რწმენა მათში იმდენად ძლიერი იყო, რომ გარკვეულ პერიოდში თევზი ღვთაებად ითვლებოდა.[42]

ნეოლითურ ეპოქაში თევზის კულტი იმდენად ფეხმოკიდებული ყოფილა, რომ ბაიკალის ტბის სანაპიროზე საწაფებთან ერთად აღმოჩენილია თეთრი მარმარილოსგან გამოკვეთილი თევზის ფიგურები.[43]

მეთევზეობის განვითარების მაღალი დონე შეინიშნება მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზეც, სადაც, როგორც ითქვა, ყველაზე მრავალრიცხოვანი იარაღი სწორედ მეთევზეობასთანაა დაკავშირებული. გამოვლენილი 600 საწაფიდან 580 მეორე ტიპს განეკუთვნება. ისინი დამზადებულია რიყის ბრტყელი ქვებისაგან, რომელთაც მხოლოდ ცალ გვერდზე აქვთ გაკეთებული ღრმა ღარი (სურ. 6. 4). მსგავსი საწაფები დღემდე უცნობი იყო არა მარტო კავკასიის, არამედ საერთოდ ნეოლითურ თუ მოგვიანო პერიოდის ძეგლებიდან. ამ ტიპის საწაფებში ფორმის, ზომისა და წონის მიხედვით ათამდე ჯგუფი გამოიყოფა, რაც სხვადასხვა სახის ბადის გამოყენების მაჩვენებელი შეიძლება იყოს.[44] რაც შეეხება გახვრეტილ ქვებს, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის ნეოლითურ სამოსახლოებში ქვის გახვრეტის ტექნიკა ათვისებული არ ჩანს, ხოლო ზოგიერთ ძეგლზე გახვრეტილი იარაღები ძირითადი კომპლექსისათვის უცხოდაა მიჩნეული.[45] როგორც ჩანს, ბაზალტისა და რიყის ქვის გახვრეტის ტექნიკას კავკასიაში ადამიანი საბოლოოდ მხოლოდ ენეოლითში დაეუფლა.

მახვილაურის გახვრეტილ ქვებს არაფერი აქვს საერთო არა მარტო საწაფებთან, არამედ საქსოვ დაზგასთანაც. ამ დროს სამეურნეო დანიშნულების იარღის გახვრეტა ჯერ კიდევ აუთვისებელი ჩანს: არცერთი ცული, სათლელი, სათლელ-სატეხი, „ბიკისებური" თუ სხვა სახის იარაღი გახვრეტილი არ არის. მახვილაურის გახვრეტილი ქვები (სურ. 6. 2), როგორც ჩანს, მხოლოდ საკულტო დანიშნულებით გამოიყენებოდა. მათი ერთი ნაწილი ახლო ანალოგებს ბოულობს კრეტა-მიკენის ადრეულ ძეგლებში.[46] მახვილაურის ტერიტორია ძვ.წ. VII-VI ათასწლეულში ჩანს ათვისებული, ხოლო აქ მობოვებული მასალები მიგვანიშნებს, რომ საქმიანობის ძირითად დარგებს მეთევზეობა, ნადირობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა.[47]

თუ გავითვალისწინებთ მახვილაურის ნამოსახლარის მდებარეობას, მის ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, გამოვლენილ მასალებს და ძეგლის ასაკს, გასაგები გახდება, რომ მდინარისეული (მდ.ჭოროხი) სიმდიდრის ათვისებასთან ერთად დაწყებულა ზღვის გამოყენებაც. მახვილაურელი ნეოლითელი ადამიანი თევზჭერაში, როგორც ჩანს, იყენებდა ბრტყელძირიან ნავს.

---

[41] ზანანდლაგა, თევზი ქართულ ჯადოსნურ ეპოსში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, II, თბილისი, 1975.

[42] Данинн А. Люди, идолы и боги. - Очерки истории религии, Москва, 1966, с. 47.

[43] Петри С.А. Неолитические находки на берегу Байкала. - Сб. Музея антрополигии и этнографии им.Петра Великого, III, Петроград, 1916, с. 113.

[44] ხგოგიტიძე, ახალი ტიპის ქვის საწაფები..., გვ.3-18. ტაბ. 2-VI.

[45] ლ.ნუბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[46] Antike kunst, 7, Jahrgang 1965, Heft 2. Jurgen Thimme. Die religiose meduetung der Kukladenidole ,სურ. 3, 4, 7, 8.

[47] შეად. Крайнов Д.А. Стоянка и могильник Сахтыш УШ. - Кавказ и Восточная Европа в древности, Москва, 1973, с. 46-55, рис. 3; Гадзянская О.С. и Крайнов Д.А. Новые исследования неолитических памятников Верхнего Поволжья. - КСИА, 100, 1956, с. 29-30.

საზოგადოების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა თიხის პლასტიკური თვისებების მიგნებამ და მეთუნეობის გაჩენამ - ადამიანს საშუალება მიეცა მოხარშული საკვები მიეღო. აქაური კერამიკული ნაწარმი არ გამოირჩევა სიმრავლითა და ფორმათა ნაირეფერეობით. იგი ახლო მსგავსებას იჩენს დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კერამიკასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამზადების ერთნაირი წესი, კეცის მეტნაკლებად ერთგვაროვანი ფაქტურა და გამოწვა. ძეგლების ერთ ნაწილს (ანასეული II, ოდიში, გურიანთა) ახასიათებს ორნამენტირებული კერამიკაც, ხოლო მეორე ნაწილს (კისტრიკი, ქვემო შილოვკა) შემკულობა არ გააჩნია, მახვილაურის კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს და არც დიდი ზომებით გამოირჩევა. ჭურჭლის დასამზადებლად ჩვეულებრივ გამოყენებულია წითელი თიხა, ასე ფართოდ რომაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლში და მეტნაკლები ოდენობით შეიცავს კვარცის, ქარსის, მინდვრის შპატის, არგილიტის მინარევებს.[48]

მახვილაურისა და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურა, კერძოდ კერამიკა, გარკვეულ მსგავსებას იჩენს წინა და შუა აზიის (ჯარმო, ჯეითუნი) კერამიკასთან იმ მხრივ, რომ ყველგან თიხის ჭურჭლის უძველესი ფორმები ქილისებრი მოყვანილობის ბრტყელძირა ნაკეთობაა. მოსაზრებას, რომ ადრეული კერამიკული ჭურჭლები ბრტყელძირა იყო და უკავშირდებოდა ბინადარ მიწათმოქმედ ტომებს, დასავლეთ ამიერკავკასიის სხვა ნეოლითურ მასალებთან ერთად, საგრძნობლად ამაგრებს მახვილაურის მასალებიც.[49]

დიდი ინტერესი გამოიწვია წითლად ანგობირებული კერამიკის ფრაგმენტებმაც, რომლებიც სრულიად თავისებურია და როგორც აღმოსავლეთ, თუ დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ-ენეოლითურ კერამიკაში ვერ პოულობს რაიმე ხელშესახებ პარალელებს; არც კავკასიის სხვა რეგიონებში აღმოჩნდა მსგავსი კერამიკა.[50] მხედველობაშია წითლად ანგობირებული თიხის ჭურჭლების როგორც მდიდრულად ორნამენტირებული, ისე სადა ფრაგმენტები. შემკულობა შესრულებულია ქდეების, ტალღისებრი, წიწვისებრი და შერეული რთული ორნამენტის სახით. ასეთი ჭურჭლების 'ზოგიერთი სახე ცნობილია ისპანისა და ნამჭედურის ნამოსახლარების ფენებში (ქობულეთის რ-ნი). ბირისა და კედლის ფორმებ'ზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ისინი საშუალო და მოზრდილი დერგის ტიპის ჭურჭლებს უნდა წარმოადგენდნენ.[51]

მახვილაურის ნამოსახლარის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ დროს ნეოლითური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე ასულა. სამწუხაროდ, მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით არ ხერხდება აქაური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის სხვა მხარეების გაშუქება.

ყველა მონაცემით მახვილაურის ნამოსახლარი განვითარებული ნეოლითური ხანით თარიღდება და ძვ.წ. VII ათასწლეულის დასასრულსა და VI ათასწლეულის დასაწყისს მიეკუთვნება.

---

[48] Воеводский М.В. К изучению гончарной техники первобытно-коммунистического обшества на территории лесной зоны европейской части РСФСР. - СА, I,1936, с. 60.

[49] Массон В.М. Древнеземледельческие племена Южной Туркмении и их связы с Ираном и Индией. - ВДИ, 1957, I,с. 32.

[50] მახვილაურის წითლად ანგობირებულ კერამიკას გაეცნო არაერთი სპეციალისტი (დ.თუშბარამიშვილი, გ.გრიგოლია, ტ.ჩუბინაშვილი, ო.ჯაფარიძე, ლ.ნებიერიძე, დ.ხახუტაიშვილი, გ.ქაფთარაძე და სხვ.), მაგრამ მას არ მოეძებნა პარალელი, არც ქრონოლოგია დაზუსტდა. გ.ქაფთარაძის განცხადებით, მსგავსი კერამიკა შეინიშნება ანატოლიის (თურქეთი) მასალებში. კიდეე უფრო ადრე დ.ხახუტაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული კერამიკა შემოტანილი უნდა იყოსო. ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ.

51 ხგოგიტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88-89. ტაბ. VIII; მისივე, მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე..., გვ.38, სურ. 6.

§4. მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების წარმოქმნა

უმნიშვნელოვანესი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი განვითარება, იყო სწორედ მიმთვისებლურიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა.

ახალ სამეურნეო დარგს ადრეული მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რომელმაც განვლო განვითარების ხანგრძლივი გზა დაწყებული პროტონეოლითურიდან (IX-VIII ათასწლეულები) განვითარებულ ნეოლითურ კულტურამდე (VII-VI ათასწლეულები) და მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია (ეგვიპტე, მესოპოტამია, პალესტინა, ერაყი, სირია, ირანი, ანატოლია, საბერძნეთი, კვიპროსი, შუა აზია, კავკასია და ა.შ.). პარალელურად ხდებოდა გარეული ცხოველების მოშინაურება და მეცხოველეობის ფორმირება. ადგილი ჰქონდა მესაქონლე და მიწათმოქმედი ტომების დამოუკიდებელ განვითარებასაც.[1]

არც მონადირეობის კრიზისს, შედარებით ჭარბმოსახლეობასა და ყველაზე სრულყოფილ იარაღებსაც კი არ შეეძლოთ თავისთავად მიეყვანათ საზოგადოება მწარმოებლური ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე. „ნეოლითური რევოლუციის“ უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი და პირობა იყო ბუნებრივი ფაქტორი.[2]

ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოვლენილია დასავლეთ საქართველოს ბარში და ქვემო ქართლის ვაკეზე.[3] ასე რომ გამოიყოფა ორი მთავარი რეგიონი: ა. ქვემო ქართლი, სადაც შედარებით ზომიერი კლიმატის გამო ადრეული მიწათმოქმედება აქცენტირებული უნდა ყოფილიყო არა ხელოვნურ მორწყვაზე, არამედ ნიადაგის სინოტივის შენარჩუნებაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა სწორედ მეზოლითური კულტურის მატარებელმა ტომებმა მოამზადეს ქვემო ქართლის ბარში ადრესამიწათმოქმედო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი.[4] ბ. დასავლეთ საქართველო, სადაც სუბტროპიკული ნოტიო ჰავა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ახლებური მეურნეობის წარმოქმნისათვის. ეს რეგიონი ჯერ კიდევ ქვის ხანის ადრეული საფეხურიდანვე ინტენსიურად იყო ათვისებული. მიწათმოქმედების ჩამოყალიბება-განვითარების ადრეულ ეტაპზე აქ კარგა ხანს თანაარსებობდა მეურნეობის როგორც ძველი (შემგროვებლობითი), ისე ახალი (მწარმოებლური) ფორმები. როგორც ჩანს, ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრა დასავლეთ საქართველოს ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურის გარკვეული კონსერვატიზმი.

დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედებაზე გადასვლა მორწყვის გარეშე იყო შესაძლებელი. ამისთვის ხელი უნდა შეეწყო საკვები მცენარეულობის სიმრავლეს, რომელთა ტყიური ფორმები დღესაც მრავლად მოიპოვება (ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, წყავი, ჭოცვი, ხურმა, ყურძენი, ლეღვი და სხვ.). საყოველთაოდ ცნობილია ხორბლეულის აქაური ენდემური

---

[1] Меллаарт Дж. Древнейшие цивилизации Ближнего Востока, Москва, 1982.

[2] Массон В.М. Поселение Джейтун. - МИА, 180, М.-Л., 1971, с. 136.

[3] ოჯაფარიძე, აჯაგანიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ. 8.

[4] ოჯაფარიძე, აჯაგანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ჯიშები (მახა, ზანდური, დიკა, ქართული დოლის ბური და სხვ.). არ გამორიცხავენ, რომ წინა აზიაში ადრეული მიწათმოქმედება და კულტურული მცენარეები ამიერკავკასიიდან შეიძლებოდა გავრცელებულიყო.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (კოლხეთის ველი, მთათაშორის დაბლობები, ტერასები და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი) მეზოლით-ნეოლითური კულტურის შემცველი ძეგლების აღმოჩენებმა შეცვალა ძველი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს მთათა შორის დაბლობებზე ადრეული სამიწათმოქმედო ცენტრები არ წარმოქმნილა.[5]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის კვალი მეზოლითის დასასრულიდან დასტურდება. ფაქტიურად ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურა შეისწავლება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. მათგან არა ერთი ძეგლია გამოვლენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, აჭარაში. აქ უძრავი კულტურული ფენის შემცველი ნამოსახლარი მხოლოდ სოფ.ქობულეთშია გამოვლენილი.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანმეზოლითური, ადრეული და განვითარებული ნეოლითური კულტურის ძეგლების მასალები საშუალებას იძლევა ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ კარდინალურ ძვრებზე, რასაც ადგილი ჰქონდა აქაურ მკვიდრთა ცხოვრებაში. ახალი ტიპის მეურნეობაზე გადასვლამ ხელი შეუწყო ბინადარი ცხოვრების ჩასახვას. სწორედ ამ დროის ნაკვალევია სოფ.ქობულეთის ნამოსახლარი, რომლის მასალებით შესაძლებელი ხდება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ დასახლების ხასიათზე, მეურნეობაზე, წყალმომარაგების სისტემაზე და ა.შ. საცხოვრებლად შერჩეულია მაღალი, სამი მხრიდან კარგად დაცული მდინარეული ტერასა. ნამოსახლარზე შესანიშნავად შენახულა ხის კონსტრუქციების სასვეტე ორმოები, რომელთა განლაგების მიხედვით ნაგებობებს გეგმაში უმთავრესად მომრგვალო ან ოთხკუთხედი ფორმა ჰქონიათ (ფართობი - 4-6 კვ.მ.). როგორც ჩანს, ეს იყო ხის კარკასზე მოწნული სახლები, რომლებშიც გაკეთებული იყო სამეურნეო დანიშნულების ორმოები. სახლები ორ მწკრივად იყო განლაგებული და ჰქონდათ საერთო ეზო.

ქობულეთის ნეოლითური დასახლება ხანგრძლივად ფუნქციონირებდა, რისი მოწმობაცაა კაჟისა და ობსიდიანის დანისებური, თავბოლოგადამტვრეული ათასობით ლამელა, დახვეწილი ფორმის საჭრისთა და საფხეკთა სერიები და ა.შ.

ყურადღებას იქცევს გეომეტრიული მიკროლითების მკვეთრი შემცირება-გაქრობა. ადრენეოლითის მომდევნო ეტაპზე კვლავ ხდება ამ ფორმების სრული აღდგენა. ეს ნიშანი აჭარის ნეოლითური ძეგლების ლოკალურ თავისებურებად იყო მიჩნეული, მაგრამ იგი საერთო კანონზომიერება აღმოჩნდა შუა აზიის, ანატოლიისა და კავკასიის სხვა ძეგლების მიხედვითაც. ამიერკავკასიაში დიდხანს ცნობილი არ იყო ნამოსახლარი, სადაც დამოწმებული იქნებოდა მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის რაშდენადმე სრულყოფილი სურათი. ახლა კი დარკვეთის (ზემო იმერეთი) მრავალფენიანი ეხის ადრენეოლითურ ფენაში გარეული ცხოველების მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად (კეთილშობილი ირემი, შველი, დათვი, გარეული ტახი და სხვ.) დადასტურდა შინაური ცხოველების (ღორი, ცხვარი, ძროხა, ძაღლი) ძვლების არსებობა.[6]

---

[5] **Вавилов Н.И.** Центры происхождения культурных растений. - Труды по прикладной ботанике и селекции, 16, №2, Москва, 1926.

[6] **ლ.ნუბარეიშვ.** დასახ. ნაშრ., გვ. 69.

თავი II. ძველი ხანა აჭარის ტერიტორიაზე

კინტრიშის ნეოლითური ნამოსახლარების ზონაში ბუნებრივი პირობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც იმერეთისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში. ეჭვს გარეშეა, რომ აქაც ადრე უნდა დაწყებულიყო მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების მოშინაურება.[7]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საერთოდ ჭარბადაა ტყის მასივები და აქ ადრეული საფეხურიდან იქნებოდა შესაძლებელი ღორის მოშინაურება.[8]

დასავლეთ ამიერკავკასიაში, როგორც ფიქრობენ, წარმოებითი მეურნეობის განვითარების ადრეულ ეტაპზევე ჩაისახა როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება. ყოველივე ეს დაადასტურა როგორც ადრენეოლითური (დარკვეთის ეხი), ისე ენეოლითური (დარკვეთის ეხის ენეოლითური ფენა, სამელე-კლდესა და ძუძუანას მღვიმეები) ხანის ძეგლებზე აღმოჩენილმა ოსტეოლოგიურმა მასალებმა.[9]

აჭარის ტერიტორიაზე წარმოებით მეურნეობაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ბაზაზე. ქობულეთის ტიპის ნამოსახლარებზე მონადირეობასთან, მესაქონლეობასთან და მეთევზეობასთან დაკავშირებულია კაჟისა და ობსიდიანის დანები, ჩასართისებრი ლამელები, ანკესისებური და სამკალისებური იარაღები, სახვრეტები, საჭრისები, საფხეკები და სხვ. მიწის პრიმიტიული დამუშავების ადრეულ ეტაპზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო რქის, ძვლის და ხის იარაღებიც. უფრო სრულყოფილი იარაღები აღმოჩენილია ოდნავ მოგვიანო პერიოდის ძეგლებზე (ანასეული I).

სოფ.ქობულეთის ნამოსახლარზე განსაკუთრებით თვალში საცეშია კაჟისა და ობსიდიანის საჭრისებისა და საფხეკების სიმრავლე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო ნანადირევის, არამედ შესაქონლეობის პროდუქტების დამუშავებასთანაც. მაშასადამე, საჭრისები, საფხეკები და რიგი სხვა იარაღები ახალი, მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-განვითარების დროსაც ფუნქციონირებდნენ და მის საწყის ეტაპზე შესაძლოა მთავარ ფუნქციასაც ასრულებდნენ. მწარმოებლური მეურნეობის ადრეულ ეტაპზე სოფ.ქობულეთის ნამოსახლარის ტიპის ძეგლების მასალების მიხედვით წამყვანი ადგილი ისევ ნადირობას და შემგროვებლობას უნდა სჭეროდა.

გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ტომების მეურნეობაში ახალი პროცესების დაწყების მიუხედავად, მნიშვნელობა არ დაუკარგავს შემგროვებლობას და მეთევზეობას. აჭარის ტერიტორიაზე საამისოდ არსებობდა შესანიშნავი გეოკლიმატური პირობები (თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, საკვებად გამოსადეგ მცენარეთა მრავალსახეობა, შერცხელეული კულტურების ენდემური ჯიშები, თევზით მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელი და ა.შ.). აქ მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების კვლევისას დიდ სამსახურს გვიწევს ახლომდებარე ძეგლების მონაცემები. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ანასეული I (ქ.ოზურგეთიდან 1,5 კმ), სადაც მობოვებულია მრავალრიცხოვანი იარაღ-ხელსაწყო და წარმოების ნაშთები.[10]

---

[7] ცნობილია, რომ გვიანმეზოლითში აჭარის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მისი ზღვისპირეთის "გორაკ-ბორცვოვან ზოლში, მდინარისეულ და ზღვურ დაბალ ტერასებზე საუკეთესო პირობები არსებობდა მეცხოველეობის წარმოქნისათვის.

[8] ლ.ნებიერიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 69.

[9] Бендукидзе О. Об остатках млекопитающих из пещеры Дзудзуана Западной Грузии. - საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, №7; ნაბურჩაკ-ბრამბოგინი. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. - სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია, თბილისი, 1972, გვ. 9-13.

[10] ლ.ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის... გვ. 67-71.

§4. მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების წარმოქმნა

ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლართა მასალების შედარება ანასეული I იარაღ-ინვენტართან საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ აჭარის რეგიონში მომხდარი ის ცვლილებანი, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდა ამ ძეგლთა არსებობის შუალედურ პერიოდში. როგორც ითქვა, ამ ტიპის ძეგლებს შორის განსხვავება აშკარაა, მაგრამ მსგავსებაც დიდია.[11] ქობულეთ-ხუცუბნის ნამოსახლარებზე თუ მხოლოდ რამდენიმე ათეული შურდულის ქვაა აღმოჩენილი, ანასეულ I გამოვლენილ ინვენტარში უკვე ჩნდება სხვადასხვა ქანებისგან დამზადებული იარაღები (ცული, სათლელები, ხელჩაქუჩი, თოხისმაგვარი იარაღი, შურდულის ქვები, საპრიალებლები, გრდემლები და სხვ.), რაც სრულიად ახალი მოვლენაა ნეოლითურ კულტურაში და განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მიუთითებს.

რიყის ქვის იარაღების დასამზადებლად გამოიყენება სრულიად ახალი ხერხები, რაც გულისხმობს გამოცდილებისა და ჩვევების ქონებას. ამდენად, ადრენეოლითური კულტურის საწყის ეტაპზე რიყის ქვის იარაღის დამზადება საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, მათი რაოდენობა მეტად მცირეა. ფიქრობენ, რომ რიგ ადრენეოლითურ ძეგლებზე საერთოდაც არ იყოს ქვის გახვრეტილ-გაპრიალებული იარაღები, ხოლო სხვა ნაწარმი ტიპიური ადრენეოლითური იყოს.[12] მიუხედავად ამისა, კინტრიშისა და ანასეული I კოლექციების ძირითადი ელემენტების იგივეობის გამო ისინი ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება და ადრენეოლითს შეესატყვისება. შესაძლოა, კინტრიშის ნამოსახლარები ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებდნენ ანასეულ I დასახლებას.[13]

ქობულეთის ნამოსახლარის მრავალრიცხოვანი ინვენტარის (30000 ერთეული) შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ ტიპის ძეგლები ქრონოლოგიურად იმდენად ადრეულია ანასეული I შედარებით, რომ აქ ჯერ კიდევ დაწყებული არ ჩანს რიყის, ბაზალტის თუ სხვა მაგარი ქვის ქანების ათვისება. სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი მსგავსება შეინიშნება კაჟისა და ობსიდიანის ნაწარმის მიხედვით. აჭარის ტერიტორიაზე ქვის ხანის არცერთ ადრეულ ნამოსახლარზე ფიქსირებული არ არის კანონიკური მიკროლითური გეომეტრიული იარაღები, რომლებიც ასევე მწარმოებლურ მეურნეობაში გამოიყენებოდა. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აჭარაში ანასეულ I სინქრონული ნამოსახლარები ჯერ კიდევ არაა მიკვლეული.

მწარმოებლური მეურნეობის გაცილებით განვითარებული ფორმები უნდა არსებულიყო მახვილაურის ნეოლითურ დასახლებაზე, სადაც გაბატონებულ მდგომარეობას რიყისა და ბაზალტის ქვისგან დამზადებული სრულიად ახალი ტიპის იარაღებს უკავიათ.

ქობულეთ-ხუცუბნის უძველესი ადამიანის მიერ გამოყენებულ იარაღებში განსაკუთრებული ადგილი თუ საფხეკებს და საჭრისებს ეკავა, მახვილაურში სურათი კარდინალურად შეცვლილია: აქ როგორც საჭრისების, ისე საფხეკების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ერთი მხრივ ეს შეიძლება აიხსნას მონადირეობის როლის დაქვეითებით, ხოლო მეორე მხრივ ახალი სამეურნეო ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებით. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ მონადირეობის როლი თანდათანობით კლებულობს, მაშინ რამ გამოიწვია მახვილაურის ნამოსახლარზე შურდულის ქვების სიმრავლე (200 ერთ. სურ. 6. 3). ფიქრობენ, რომ შურდულის ქვას იყენებდნენ არა მარტო ნადირობაში, არამედ საბრძოლო დანიშნულებითაც. შურდულის ქვებთან ერთად საბრ-

[11] დაწვრილებით იხ. იქვე, ჩვენი §2 „მეზოლითი და ადრენეოლითური კულტურა".
[12] ლ.ნებიერიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 71.
[13] ლ.ნებიერიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

ძოლო იარაღებად უკვე გამოიყენებოდა შუბი, მშვილდისარი, საბრძოლო ცული, უფრო შეტად - გეომეტრიული მიკროლითებისაგან შედგენილი რთული იარაღები.

შინამოხმარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სანაყებს, სახეხ-სასრესებს, ხელსაფქვავებს და სხვა იარაღებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მიწათმოქმედებით, ისე ნადირობა-შეგროვებით მოპოვებული პროდუქტების გადასამუშავებლად.

მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარის მასალების მიხედვით მიწათმოქმედებას განვითარების მაღალი საფეხურისათვის მიუღწევია, რასაც ადასტურებს აქ გაპოვლენილი საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა: გეომეტრიული მიკროლითები (ტრაპეცია, სეგმენტი, მართკუთხედი, წერაქვისებური და სოლისებური მაკროლითები), გახეხილ-გაბრიალებული იარაღები, ხელსაფქვავები, სანაყები, სახეხ-სასრესები, პიკისებური იარაღები და სხვ.

რიყისა და ბაზალტის ქვისაგან დამზადებული ნაკეთობანი წამყვანია მახვილაურის ნამოსახლარზე მოპოვებულ კოლექციაში. მათი დიდი ნაწილი შეტნაკლებად დაკავშირებულია მწარმოებლურ მეურნეობასთან, კერძოდ, მიწათმოქმედებასთანაც. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბაზალტის ცულები (ოც ცალამდეა მოპოვებული), რომელთაც ემჩნევათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. მათი უმრავლესობა დაზიანებული და ფორმადაკარგულია (მხოლოდ ორი ცულია სრულად გადარჩენილი). ცულების და სხვა იარაღების დამზადებისას გამოყენებულია ძირითადად გახეხვა-გაბრიალებისა და ე.წ. „წერტილოვანი" დამუშავების ტექნიკა.[14] გაბრიალებული ცულის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ხეს კი არ ჩეხდა, ხლეჩდა ან ფლეთდა, არამედ ჭრიდა, რაც ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ყოველივე ამას დიდ მნიშვნელობა ჰქონდა მარტივ მიწათმოქმედებაში (მიწის ფართობის განთავისუფლება მცენარეთა საფარისაგან). ცულების ინტენსიურ გამოყენებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უმრავლესობა ყუასთან ან შუაწელზეა გადამტვრეული. როგორც ჩანს, ტყის მასივებით დაფარული ფართობის ათვისება იმ დროისათვის ტიტანურ შრომასთან იყო დაკავშირებული. უმრავლეს შემთხვევაში ცულებს თვით სამუშაო ბირიც დაბლაგვებული თუ ნაწილობრივ დაზიანებული აქვთ.

მსგავსი ცულები ფართოდაა გავრცელებული აჭარის არა მარტო მთისწინეთსა და ზღვისპირა ზოლში, არამედ მთიანეთშიც გვხვდება. ამ მხრივ საყურადღებოა კურორტ ბეშუმის მიდამოებში, მთა თეთრობის ახლოს (ადგილი „ნაჩადრევი") აღმოჩენილი ბაზალტის მთლიანი ცული. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აჭარის ალპურ ზონაში, 2000 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა ნეოლითური ქვის ცული. მხედველობაში თუ მივიღებთ იქვე ახლოს აღმოჩენილ ბეშუმის მეორე, უფრო ადრეულ (გვიანმეზოლითურიდან ადრენეოლითურზე გარდამავალი პერიოდის) ნამოსახლარს და ჯანჯღნარის უნიკალურ ენეოლითურ კომპლექსს, ნათელი გახდება, რომ მეზოლითის დასასრულიდან მოყოლებული აჭარის მთიანეთიც გამოყენებულია. ასევე უძველესი ეპოქებიდან შეინიშნება გენეტიკური კავშირი მთისა და ბარის კულტურებს შორის.[15] აჭარის მთიანეთი მომდევნო პერიოდებშიაც ინტენსიურად ჩანს ათვისებული. ამგვარად, აჭარის როგორც ზღვისპირეთში, ისე მთიანეთში გვიანმეზოლითურ-ნეოლითურ ხანაში მწარმოებლური მეურნეობის ელემენტები თანდათანობით ძლიერდებოდა, რაც გაპირობებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ადრინდელი ფორმების თანაარსებობით.

---

[14] გეოლოგმა [illegible] თავის დროზე მოგვაწოდა ცნობა ბაზალტის ქვის ღია გამოსაგლების არსებობის შესახებ მახვილაურის სიახლოვეს. ესენია: ურეხი, კაპანდიი (კაპნისსირი), აჭარისწყლის ჩანჩქერი, ქედქედი და ა.შ.

[15] ა.კახიძე, შ.ბაბულაძე, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები აჭარის მთიანეთში. - გაზ. „აჭარა", 2/VII, 1994.

მახვილაურის გეომეტრიული მიკროლითებიც (ტრაპეცია, სეგმენტი, მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედი), ძირითადად, მიწათმოქმედებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მიწისა და ხის დამუშავების პროცესში გამოიყენებოდა, აგრეთვე, ბაზალტის თოხისებრი იარაღები, სათლელები, სატეხ-სათლელები, სატეხები, პიკისებრი იარაღები, წერაქვისებრი, სოლისებრი, სახნისისებრი მაკროლითები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თოხისებრი და „პიკისებრი" იარაღები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში, დაუსაბუთებლად, უფრო მოგვიანო პერიოდის (ენეოლითი) იარაღებად იყო მიჩნეული. თოხი მხოლოდ სამიწათმოქმედო იარაღია, ხოლო პიკისებრი იარაღის ფუნქციები უფრო ფართო უნდა ყოფილიყო გარდა ნიადაგის დამუშავებისა, იგი, შესაძლებელია, საბრძოლველადაც გამოიყენებოდა.

დიდი მნიშვნელობისაა მახვილაურის ნამოსახლარზე გამოვლენილი ნეოლითური კერამიკული ნაწარმი (ქილისებრი, ქოთნისებრი და დერგისებრი ჭურჭლები). ზოგიერთ ჭურჭელში, როგორც ჩანს, კერძსაც ხარშავდნენ, ზოგშიც თევზაობისას, ნადირობისას, შეგროვებისას თუ შრომით მოწეულ-მოპოვებული პროდუქტის მარაგს ინახავდნენ. ყურადღებას იქცევს ჩაქვის ჩაისუბნის ახალი მონაპოვრები.

წარმოების ჩასახვა-განვითარებამ დიდი როლი შეასრულა ადამიანის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დაჩქარებისა და სრულყოფის საქმეში. მახვილაურის ნამოსახლარზე თიხის ძერწვის ერთი უადრესი ეტაპია წარმოდგენილი. აქაური თიხის ჭურჭელი სადაა, როგორც ფიქრობენ, ამგვარი ბრტყელძირა ფორმები მიეკუთვნებოდა ბინადარ მიწათმოქმედ ტომებს.[16] ამ დროის საზოგადოება სამეურნეო და სოციალური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე ჩანს ასული.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა მემკვიდრეა არა მარტო დასავლეთ, არამედ სამხრეთ საქართველოს მეზოლითისა, რაზედაც მიუთითებს ობსიდიანის ფართოდ გამოყენება. სახეზეა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ადრეული კავშირები. ვარაუდობენ, რომ ხდება დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურის ელემენტების შეღწევა აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში).[17]

კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ნეოლითელი ადამიანის, მათ შორის მახვილაურის მკვიდრთა, სამეურნეო საქმიანობის დეტალები. მარცვლეულის ნაშთი ფიქსირებულია მხოლოდ კისტრიკის ნამოსახლარზე, იატაკში ჩაჭრილ ორმოში, მაგრამ იგი ისე იყო დანაწირებული, რომ სახეობის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა.[18]

მახვილაურის ნესტიან ბუნებრივ გარემოში შეუძლებელი იყო ხორბლისა და ქერის წარმოება ისეთივე გზით, როგორც ეს წინა აზიისა და აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სამიწათმოქმედო ცენტრებშია ფიქსირებული. ისევე როგორც კოლხეთის სხვა რეგიონებში, აქაც ადრეულ პერიოდში ძირითადად ჭვავი, ღომი და ფეტვი მოყავდათ.[19] უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთში ჭვავი არქეოლოგიურად დამოწმებული უძველესი მარცვლეულია. რაც შეეხება

---

[16] Массон В.М. Древнеземледельческие племена Южной Туркмении и их связь с Ираном и Индией. - ВДИ, I, 1957, с. 32.

[17] ა. ფეტრიაშვილი, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტურა ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 10.

[18] Соловьев Л.Н. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы-стоянки Воронцовской пещеры. Тр. Абх. ин-та языка, лит-ры и истории, Сухуми, 1956, с. 27; Его же, Неолитические поселения черноморского побережья Кавказа, Нижне-Шиловское и Кистрик, Сухуми, 1927, с. 27.

[19] ა. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930, გვ. 64.

ღომს, იგი აღმოჩენილია არუხლოს (ქვემო ქართლი) ენეოლითურ ნამოსახლარზე.[20]

საქართველო მდიდარია საკვები მცენარეებით, განსაკუთრებით ხორბლეულით. იგი ხორბლეული მცენარეების მრავალი ჯიშის სამშობლოდაც ითვლება, რომელთაგან ერთი ნაწილი ველურიდან კულტურულ ფორმებზე გარდამავალ სახეს მიეკუთვნება. მათ შორის მახა ბოლო დრომდეც შემორჩა და რაჭა-ლეჩხუმში არქეოლოგიური გათხრების დროსაც აღმოჩნდა. ასევე ითქმის სხვა ენდემური ჯიშების შესახებაც (ქართული დოლის ბური, ზანდური, დიკა და სხვ.[21]

გვიანმეზოლითში და ადრენეოლითში იმის გამო, რომ თევზეულს ადამიანის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, საცხოვრისების უმრავლესობა განთავსებული იყო ზღვისპირა ზოლში, მდინარეთა ტერასებზე, მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში. ცივი მღვიმის გვიანმეზოლითურ ფენაში დიდი რაოდენობით ორაგულისა და სხვა წვრილი თევზების ძვლები, აგრეთვე, სათევზაო ჭარჭუნები აღმოჩნდა, ხოლო დარკვეთის ეხის გვიანმეზოლითურ ფენაში-ბადის საძირავად გამოყენებული ქვის საწაფი.

კავკასიის გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ ძეგლებზე საკმაო რაოდენობით ნაპოვნი მეთევზეობასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა ამ დარგის განვითარების უტყუარი დასტურია. მეთევზეობისათვის შესანიშნავი პირობები არსებობდა აჭარის ტერიტორიაზეც. განსაკუთრებით მდიდარი მასალაა მოპოვებული მახვილაურის ნამოსახლარზე. მას დღეისათვის ბადალი არ ეძებნება არა მარტო კავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, შუა აზიის და ჩრ.კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში.

როგორც ირკვევა, მახვილაურში მეთევზეობა უკვე მეურნეობის დარგადაა ქცეული და გამოყენებულია მანამდე უცნობი სახეობის საწაფები (ოვალური, მომრგვალო, მოგრძო, გულის ფორმის), სხვადასხვა სახის ბადეები და სხვ.

მახვილაურის ნამოსახლარზე გამოვლენილია, აგრეთვე, ხის დასამუშავებელი მრავალფეროვანი იარაღები (გაბრიალებული ცულები, სათლელები, დანები, საფხეკები, სატეხ-სათლელები და სხვ.), რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იყო ნავების გაკეთებაც. იმდროინდელი ნავები ბრტყელძირა უნდა ყოფილიყო, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. მსგავსი ნავები მდ.ჭოროხზე ბოლო დრომდე გამოიყენებოდა. ნეოლითის ეპოქის მახვილაურელი ნეოლითელი ადამიანის მიერ სათევზაოდ ათვისებული ჩანს არა მარტო მდინარე ჭოროხი და მისი დელტა, არამედ შავი ზღვის თევზეულით მდიდარი სანაპირო ზოლიც.

ამგვარად, აჭარის ტერიტორიაზე მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა უკვე ადრენეოლითიდანვე დასტურდება, ხოლო გვიანნეოლითში იგი მიწათმოქმედებით, მეცხოველეობით, მეთუნეობით და პირველყოფილი ხელოსნობის სხვა სახეების საწყისი ფორმირებითაა წარმოდგენილი.

---

[20] ტ.ჩუბინიშვილი, ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. - „ძეგლის მეგობარი", 1973, №33, გვ.19.

[21] ო.ჯაფარიძე, ა.ჯაგანიშვილი, უძველესი..., გვ. 9.

თავი III
ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აჭარაში ჯერ კიდევ არაა შესწავლილი, თუმცა, შემთხვევითი აღმოჩენებისა და სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დაგროვდა საინტერესო მასალა.

პირველ რიგში აღსანიშნავია მონაპოვრები ხულოს რაიონის იაილებ ჯანჯღნარიდან (ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მ. სიმაღლე), სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა დროის თიხის ჭურჭელი, ძვლის სახვრეტები, ბრინჯაოს ნაკეთობა, წყალგაყვანილობის მილი და ა.შ. 1993 წ ჯანჯღნარში განხორციელებული სადაზვერვო სამუშაოებისას აღმოჩნდა სხვადასხვა ეპოქის მასალა: კაჟის და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, შურდულის ქვები, დეკორის დასატანი ქვის შტამპი, კერამიკული ნაწარმი, ბრინჯაოს დანა, თონისა და ხაროს ნაშთები და ა.შ.[1] ჯანჯღნარის ადრეული მასალები ენეოლითის მიეკუთვნება და ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით, თვითმყოფადობით. პირველ რიგში აღსანიშნავია. სამეთუნეო ნაწარმი, რომელთაგან ზოგიერთი მთლიანადაა დაცული (სურ. 8. 1, 2).

ამ მონაცემებით შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება: ამიერკავკასიისა და მის მოსაზღვრე რაიონებში ჯანჯღნარის კერამიკას უშუალო პარალელები არ ეძებნება. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ახალ ლოკალურ ვარიანტთან. ბევრი ნიშნის მიხედვით (დამზადების ტექნიკა, სტილანქე, კეცის სტრუქტურა და გამოწვის ხარისხი, ზედაპირის დამუშავება და სხვა მონაცემები) აჭარის მთიანეთის ეს მასალები ექცევა ადრესამიწათმოქმედო კულტურათა არეალში.

ჯანჯღნარის კერამიკული ნაწარმი ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა იყოს დამზადებული.

აჭარის ენეოლითურ მასალებში ყურადღებას იქცევს ჯანჯღნარის ძვლის სახვრეტები. მსგავსი ნაწარმი საკვლევი ტერიტორიიდან ადრე უცნობი იყო. ორი ცალი დამზადებულია წვრილფეხა ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მათგანი, რომელსაც აქვს ოთხკუთხა განიკვეთიანი ტანი. მესამე სახვრეტიც იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. იგი დამზადებულია ძვლისაგან, რომლის მახვილი წვერი მიღებულია გახეხვით. ტანის ზედაპირიც უზადოდაა გაპრიალებული. როგორც ჩანს, ამ დროს ძვლის დამუშავების ტექნიკას მაღალი დონისათვის მიუღწევია (სურ. 7.3).

ჯანჯღნარის სახვრეტებს პარალელი ეძებნებათ დასავლეთ საქართველოს თანადროულ

[1] ა.გაბლაძე, შ.ბაბულაძე. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები აჭარის მთიანეთში. - გაზ. „აჭარა", 2 ივლისი, 1994; მათივე, ჭოროხის აუზი - კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000, გვ. 24-30, სურ. 12-17, ტაბ. 5,6,7.

მასალებში (სამელეკლდე, საგვარჯილე, სამერცხლეკლდე, ცუცხვათი და ოჩამჩირე).[2] მსგავსი ძვლის სახვრეტები აღმოჩენილია სხვაგანაც (ნახიჩევანის ქიულ-თეფე, ყარაბაღი, მუღანის ველი... შუა აზია, ჩრდილო კავკასია (მაგ. დაღესტანი) და აღმოსავლეთ ევრობა (ტრიპოლიე—კუკუტენის კულტურა).[3]

ჯანჯღნარის ადრეულ მასალებში აღსანიშნავია, აგრეთვე, კაჟისა და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, ქვის საბეგველი, შურდულის ქვები და სხვა.

გვაქვს სხვა შემთხვევითი აღმოჩენებიც. ერთ-ერთი მათგანია კაჟის ისრისპირი, რომელიც მოპოვებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კიბეს ერთ-ერთი უბნის — ქეცი-ქედისა და სოფ. ერგეს თავზე, ტალახნარის მინდორი — წყაროსთან ახლოს. იგი დამზადებულია მაღალი ხარისხის მოთეთრო კაჟის ანატკეცზე. აქვს მოგრძო სამკუთხედის მოყვანილობა, სწორი ფერდები, მახვილი წვერი და გამოკვეთილი ყუნწი. იარაღი დამზადებულია წნევითი რეტუშის ტექნიკით (სურ. 7. 2). პარალელური მასალის მიხედვით ტალახნარის ისრისპირი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებით, ენეოლითის ეპოქით თარიღდება. იგი სიახლოვეს იჩენს სვანეთის, ძუძუანასა და სამელეკლდის (ჭიათურის რაიონი), საგვარჯილეს (თერჯოლის რაიონი), თეთრამიწას (ქუთაისის მიდამოები) და თეთრი მღვიმეს (წყალტუბოს რაიონი) მონაპოვრებთან, გარკვეულ სიახლოვეს ბოვებს უფრო ადრეულ ანასეულ II, ოდიშისა და კისტრიკის ახალი ქვის ხანის ყუნწიან ისრისპირებთანაც. ამ მონაცემების მიხედვითაც კარგად ჩანს უწყვეტი გენეტიკური კავშირი ნეოლითისა და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურებს შორის. ტალახნარის კაჟის ისრისპირის მნიშვნელობა დიდია აქაურ მკვიდრთა საქმიანობის უძველესი ფორმების შესწავლისათვის. აშკარაა, რომ ახლად წარმოშობილი მიწათმოქმედება-მესაქონლეობის პარალელურად ადრინდელ პოზიციებს ჯერ კიდევ ინარჩუნებს მონადირეობა. ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოს ტყეები მდიდარი ყოფილა სანადირო ცხოველებით. გამოქვაბულებში აღმოჩენილი ნანადირევი ცხოველების ძვლოვანი მასალის მიხედვით ჩანს, რომ განსაკუთრებით უყვარდათ დათვზე, გარეულ ღორზე, კეთილშობილ ირემზე, კავკასიურ დომბზე, შველზე, ჯიხვზე, კურდღელზე ნადირობა.[4]

ყურადღებას იქცევს ქობულეთის რაიონის სოფ. ზედა კვირიკეში მიწის სამუშაოების დროს ნანახი კაჟის შუბისპირი. დამზადებულია დიდი ზომის მოყავისფრო კაჟის ანატკეცზე. ამასაც აქვს წაგრძელებული სამკუთხედის მოყვანილობა. საგანგებოდ გამოყვანილ ყუნწზე ხის ტარი იგებოდა (სურ. 7. 1). მსგავსი შუბისპირი მოპოვებულია სენაკის რაიონის სოფ. აბელთაში. ემსგავსება თანადროულ დარკვეთის ეხის შუბისპირის. შორეული პარალელები ზედა ბალეოლითურ ძეგლებშიც (მაგალითად, ცუცხვათის გამოქვაბული) კი ეძებნება. ახალი ექსპონატი ენეოლითის ხანით, კერძოდ, ძვ.წ. V ათასწლეულით თარიღდება. კვირიკეს კაჟის შუბისპირი გამოირჩევა დამუშავების მაღალი დონით. ფხიანობის გაზრდის მიზნით კიდეებს გარს უვლის ოდნავ დამრეცი ხერხისებური წვრილი რეტუში.[5]

ადრებრინჯაოს ხანის მასალებს შორის აჭარაში განსაკუთრებით საყურადღებოა ქედის რ-

---

[2] გაფრინდაშვილი. ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. - საქართველოს არქეოლოგია, II, 1992, გვ. 222, 241, 251, 253, 254, 264, 265, 272.

[3] Мунчаев Р.М. Энеолит Кавказа. К вопросу об энеолитических комплексах Дагестана. Ринчинское поселение - Энеолит СССР. Москва, 1982, გვ. 125, 134 და სხვ.

[4] ალახიძე, ს.ბოგვერიძე. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ახალი ექსპონატები. - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000, გვ. 115-119, სურ. 3.

[5] ალახიძე, ს.ბოგვერიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 115-119, სურ. 4.

ნის სოფ.-კოლოტაურის მონაპოვარი. ჩვენამდე მოაღწია ორმა მთლიანად დაცულმა ჭურჭელმა, რომელთაც არ ეძებნებათ ზუსტი ანალოგი. კოლოტაურის თიხის ჭურჭლები, როგორც ჩანს, ჯანჯღნარის კერამიკული ნაწარმის ქრონოლოგიურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. მათ აქვთ დახვეწილი პრობორციები, წვრილმარცვლოვანი კეცი და თხელი კედლები. ისინი დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრის, ადრეულ საფეხურზე[6] (სურ. 9. 3-4).

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის შესასწავლად განსაკუთრებით მდიდარი მასალები მოგვცა კურორტ ქობულეთთან არსებულმა ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარმა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. საწრეტი არხების გაჭრისას ექსკავატორის ციცხვს ამოყვა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. 1974 წელს აქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებიც განხორციელდა, თუმცა, გრუნტული წყლების სიიაღლოვის გამო დაწყებული სამუშაოები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. მონაპოვარში წარმოდგენილი იყო ყუამილიანი ცულის ყალიბები (სურ. 10. 8-9), საბერველების საქშენი მილები (სურ. 10. 4-5, 8), მინიატურული ტიგელები (სურ. 10.10), ყუადაქანებული ცულის ხის მოდელი (სურ. 10.7), თიხის ბატარა ზომის ანთროპომორფული სკულპტურა (10.3), კაჟის ისრისპირები (სურ. 10. 1-2) და ა.შ. კულტურულ ფენაში გამოყოფენ ორ დონეს ვარაუდობენ ხიმინჯიანი ნაგებობების არსებობასაც. როგორც ამონაყარ, ასევე უძრავ კულტურულ ფენებში შეინიშნებოდა ჯგუფურად განლაგებული ნახშირნარევი ნაცროვანი ბუდეები, რომლებიც კერიის ნაშთები უნდა იყოს. ასევე ფიქსირებულ იქნა კაჟის იარაღთა დამამზადებელი სახელოსნოს ნაშთებიც. მასალებში მრავლადაა ხელსაფქვავები, როდინები, საბეგველები, ფილთაქვები, ბადისა თუ ანკესის საძირავებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები, კაჟის ნამგლის ჩასართები, შურდულის ქვები, მრგვალნახვრეტიანი ქვის ცული და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისპანის მოსახლეობას დიდხანს შეუნარჩუნებია ნეოლითური ტრადიციები. კოლხეთის დაბლობის ამ მონაკვეთის ათვისება სწორედ ენეოლითის საფეხურიდან უნდა დაწყებულიყო, ხოლო მსხვილი სამოსახლო ადრებრინჯაოს ხანაში წარმოქმნილა. იგრძნობა შეგროვებითი მეურნეობის ტრადიციების ნიშნები: აღმოჩენილია წაბლის, თხილის, წიწიბოსა და რკოს ნაშთები, დელფინისა და სხვა თევზეულის, აგრეთვე, ცხოველთა ძვლები.

ისპანის მონაპოვარში წამყვანია კერამიკული ნაწარმი, სადაც წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, რთვა-ქსოვასა თუ მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული თიხის ნაწარმის მთლიანი ნიმუშები, ასევე დიდი რაოდენობის პროფილირებული ნატეხები. სამეთუნეო ნაწარმის ასეთი სიმრავლე დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არც ერთ ძეგლზე არ არის ფიქსირებული. ისპანში განხორციელებულია მხოლოდ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. ჩანს, ამ ძეგლის სახით ჩვენ საქმე გვაქვს კოლხეთის დაბლობის ერთ-ერთ მსხვილსა და უადრეს დასახლებასთან. მისი წარმოქმნა ამ ადგილას დაკავშირებული ჩანს ზღვის რეგრესიის პერიოდთან, რასაც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან თანდათანობით ტრანსგრესიული პროცესები შეენაცვლა (იხ. ზემოთ. შესავალი, §2).[7]

---

[6] ადგილი ეკ აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ადრებრინჯაოს ხანის მასალები აჭარისწყლის ხეობიდან. - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1973, გვ. 153-161.

[7] Хахутайшвили Д.А. Природа и человек.., с. 147-148.

გაბრიალებული. ისპანის მონაპოვარში წარმოდგენილია შავად გაბრიალებული ჭურჭლების ნატეხებიც, რომლებიც მტკვარ-არაქსის გვიანდელ ნაწარმთან ნახულობს სიახლოვეს და კოლხეთის დაბლობისათვის იმპორტულ ნაკეთობადაა მიჩნეული. დიდი ზომის ჭურჭლების ზედაპირი უსწორმასწოროა. წამყვანია ბრტყელძირიანი ცილინდრული მოყვანილობის ქვაბ-ქოთნები თუ ქილები (სურ. 11.1); არის მომრგვალებულტანიანი ნიმუშებიც. უფრო მეტად პატარა ზომის ქოთნები და კოჭობები. სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია სამარილეები თუ სამედიცინო დანიშნულების მინიატურული ჭურჭლები, ჯამები და ა.შ. ზოგიერთ ნიმუშზე შეინიშნება ქუსლის გამოყოფის ტენდენცია. არის შეზნექილ და, ბირიქით, ამობურცულძირიანი ნიმუშებიც.

ისპანის კერამიკის დიდი ნაწილი სადაა, ზოგჯერ ყელისა და მხრის არეში დაძერწილია წყვილი კოპი. წამყვანია ამოკაწვრით შესრულებული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, სპირალები, ტალღისებური, მცენარეული თუ ბადისებრი ორნამენტის ადრეული მოტივები. ზოგიერთ ნიმუშზე გვხვდება მოზრდილი სამკუთხა შევრონების გამოსახულებანი. დამახასიათებელია ჰორიზონტალური რელიეფური სარტყლები, რომლებიც ზოგჯერ ჭდეებითაა დაფარული.

ისპანის კერამიკა საფუძველს უყრის დასავლეთ ამიერკავკასიის, უფრო მეტად კოლხეთის ზოლის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მეთუნეობას. იგი, ბუნებრივია, ეხმაურება კოლხეთის ზღვისპირეთის (დიხაგუძუბა, ოჩამჩირე, ჭოლიბა) ძეგლების მასალებს. ვარაუდობენ, რომ მისი ერთი ნაწილი შემკობის მოტივებით გარკვეულ მსგავსებას ჩრდილო და ცენტრალური ანატოლიის სამეთუნეო ნაკეთობასთანაც ნახულობს.

ყურადღებას იქცევს თიხის სკულპტურული გამოსახულება (სურ. 10.3). უნდა ითქვას, რომ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურებისათვის დამახასიათებელია თიხის ანთროპომორფული ბლასტიკა. მსგავსი ქანდაკებები ფართოდაა გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთში. ხშირად ქალის ქანდაკებებზე ნაყოფიერების გამომსახველ ნიშნებზეა ხაზი გასმული. ისინი, როგორც ჩანს, ძირითადად ნაყოფიერებისა და გამრავლების მფარველ ძალებს განასახიერებდნენ.

ადრებრინჯაოს ხანის ფინალური საფეხურისათვის ისპანის მოსახლეობა ადგილის დაჭაობების გამო სამოსახლოს ტოვებს.[8]

ადრებრინჯაოს ხანის ლიათონის ნაწარმის უძველესი ნიმუში აღმოჩენილია ხულოს რაიონის სოფ.ნაომარში (ღორჯომის მახლობლად). აქ შემთხვევით მობოვებულ ყუადაქანებულ ცულს აქვს მკვეთრად დაქანებული ფერდებშეწეული ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი, ორწახნაგა, სოლისებრი, შედარებით თხელი ტანი, ოდნავ ფართო და მომრგვალებული ორმხრივ წამახვილებული ბირი (სურ. 9.1).

აღიარებულია, რომ ამ ტიპის ცულებმა ამიერკავკასიის გზით შეაღწია ჩრდილო კავკასიაში და უფრო შორს დუნაისპირეთამდე გავრცელდა.[9]

ქობულეთის რაიონის სოფ.აჭყვისთავში ამ ტიპის ცულების კიდევ ერთი ნაირსახეობა

---

[8] ისპანის შესახებ იხ: ~~ალანიშვილი~~, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარების და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, III, 1973; ~~ბგოგიტიძე~~, ისპანის ნამოსახლარზე 1974 წელს მოპოვებული საშეთუნეო ნაწარმი (ხელნაწერი). - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდების ანაწერი №3, საქმე 331; ~~ფახუტაშვილი~~, ქობულეთის „ქვეყანა“, I, იქვე ლიტ-რა.

[9] ყუადაქანებული ცულების შესახებ იხ: Куфтин Б.А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры по данным археологии. - ССВЗ XIV-В, თბილისი., 1947, გვ. 297-298;

გამოჩნდა. იგი პატარა ზომისაა და აქვს შედარებით თხელკედლიანი, სწორი, მრგვალი სატარე ხვრელი, ორფერდა, პირისაკენ თანაბრად შეთხელებული, მთელს სიმაღლეზე თითქმის თანაბარი სიგანის (უკანა კაჩასთან გაფართოებული) ოდნავ მოხრილი ტანი და მცირედ მომრგვალებული პირი (სურ. 11.2).

აჭყვისთავის ცული ქმნის ახალ სახეობას, რომლის ყუა საერთოდ აღარაა დაქანებული, ტანი კი, მეტ-ნაკლებად ისეთივე აქვს, როგორიც პირველი ორი სახეობის ცულებს. მას პარალელი არ ეძებნება და ჯერჯერობით განეკუთვნება უნიკალურ მონაპოვარს. ტანისა და პირის შემოწერილობით მასთან ახლო დგას ზუგდიდის მუზეუმის ყუამილიანი ცული (აღმოჩენის ადგილი უცნობია), რომელიც შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება.[10] აჭყვისთავისა და ზუგდიდის ცულების მიხედვით აშკარაა გენეტიკური კავშირი ყუადაქანებულ და უფრო მოგვიანო ყუამილიან ცულებს შორის. როგორც ჩანს, აჭყვისთავის ცული ადრებრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზეა დამზადებული, როცა ყუადაქანებული ცულების გვერდით წამყვან ადგილს იკავებს ე.წ. ყუამილიანი ცულები.[11]

ამგვარად, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის ათვისებული ჩანს აჭარის ტერიტორიის როგორც მთიანეთი, ასევე ზღვისპირა ზოლი, კერძოდ კოლხეთის დაბლობის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, რომლის მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა მთიან ზოლს საზაფხულო საძოვრებად იყენებდა. როგორც ზემოთ ითქვა (თავი II), მწარმოებლური მეურნეობის ეს უადრესი ფორმები თავიდანვე შერწყმულ ხასიათს ატარებდა, ხოლო მეურნეობრივად მთა დაკავშირებული იყო ბართან. მსგავსი ერთიანობა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება მომდევნო ეპოქებისათვის. ჯანჯღნარისა და კოლოტაურის მონაპოვრების მიხედვით ამ რეგიონში ჩვენ უნდა გვქონდეს ამ ეპოქის საერთო-კავკასიური კულტურების თავისებური, ლოკალური არეალი.

ნაომარის ცულის მსგავსი ნაწარმი ფართო არეალზე - წინააზიიდან დუნაისპირეთამდე - ჩანს გავრცელებული. ისპანის ტორფქვეშა დასახლების მასალების მიხედვით აქაურ მოსახლეობას შეუქმნია დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თავისებური თვითმყოფადი კულტურის საწყისი საფეხური, რომელსაც მრავალი სიახლის მიუხედავად შემორჩა ნეოლითური ტრადიციები. აქ დიდხანს წამყვანი ჩანს ქვის ინდუსტრია, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნადირობასა და შეგროვებით მეურნეობას, მზადდება ნიადაგი პატრიარქატზე გადასვლისათვის: წინაურდება მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით ფართო ხასიათს იღებს მეთუნეობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ძვ.წ. V-III ათასწლეულში უმნიშვნელოვანესი რგოლი ჩანს ძველ აღმოსავლურ, ანატოლიურ და კავკასიურ კულტურათა წრეში.

---

[10] **გ.გელაძე, რ.პაპუაშვილი, ა.ტულუში**, ზუგდიდის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალის შესახებ. - ძეგლის მეგობარი, №53, 1980, გვ. 45, ტაბ. 1-1.

[11] **ო.ჯაფარიძე**, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 90-92; Чартолани Ш. К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохе, Тбилиси, 1989, с 40 და ა.შ. თვით ნაომარის ცულის შესახებ იხ. **დ.ჭორნიძე**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1985, გვ. 50, სურ. 42/2; **ა.რამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974, გვ. 25, ტაბ. XV/1; **ა.ადაგოთაძე**, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ადრებრინჯაოს ხანის მასალები აჭარისწყლის ხეობიდან. - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1973, გვ. 153-161.

§2. ხელოსნობა

ენეოლითის ხანის ხელოსნური წარმოების შესასწავლად ჩვენ ძალიან მცირე მონაცემები გაგვაჩნია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აჭარის ისტორიის ამ პერიოდის ძეგლები, როგორც ითქვა, ერთეულებია გამოვლენილი, ხოლო ბოლომდე არცერთი მათგანი არ არის შესწავლილი. ხულოს რაიონში ალპური საძოვრების ზონაში (ჯანჯღნარის) აღმოჩენილი ნამოსახლარის დაზვერვების დროს, მართალია, მობოვებული იყო ხელოსნური ნაწარმის საინტერესო ჯგუფი (ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლები, ძვლის სახვრეტები, კაჟისა და ობსიდიანის იარაღები და ა.შ. - სურ. 7.3; 8. 1-2; 9.2),[1] მაგრამ იგი არ შეიცავს საკმაო ინფორმაციას ხელოსნობის საერთო განვითარების სურათის დასადგენად. რა თქმა უნდა, საქართველოს სხვა რეგიონებში შესაბამისი მასალები საკმაო ოდენობითაა მობოვებული, მაგრამ ამ მასალათა მონაცემების მექანიკური გადმოტანა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ვითარების წარმოსადგენად გამართლებული არ იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში მოსახლე ტომთა დაწინაურებული ნაწილი ამ დროს მისდევდა ისეთ საქმიანობასაც როგორიცაა სამთო საქმე, მეტალურგია, მჭედლობა, მეთუნეობა, ხით ხურობა, ქვის (ბაზალტი, ობსიდიანი, კაჟი...) დამუშავება და ა.შ., მაგრამ ენეოლითის ხანის აჭარის ტერიტორიაზე რაიმე ნამოსახლარი გათხრილი არ არის და ხელოსნურ წარმოებაზეც ბევრი არაფერი ვიცით.

ადრებრინჯაოს ხანაში ხელოსნობა საკმაოდ დაწინაურებულია, რაც წინამორბედი პერიოდის შესახებაც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. ძირითადი მონაცემები, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ადრებრინჯაოს ხანის ხელოსნობის მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა ვიქონიოთ, მობოვებულია ისპანის (ქობულეთის მიდამოები) ტორფქვეშა ნამოსახლარის გათხრების პროცესში (სურ. 10, 11.1).[2] ამ მასალების, აგრეთვე, შემთხვევითი მონაპოვრების მიხედვით შეიძლება საუბარი ხელოსნობის ისეთ დარგებზე როგორიცაა მეთუნეობა, მშენებლობა, ლითონის დამუშავება, ფეიქრობა. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ჩვენ ცოტა რამ ვიცით წინამორბედი პერიოდის ხელოსნობის შესახებ, გარკვეულწილად აძნელებს გენეტიკური ძაფების აღდგენას, იმ ტრადიციების წარმოჩენას, რასაც ადრებრინჯაოს ხანის ხელოსნური წარმოება ეფუძნებოდა. ესა თუ ის ტექნიკური სიახლე გარკვეულ წანამძღვრებს, წინაპართა მიღწევებს ეფუძნება და თავის მხრივაც ახალი მიღწევის სასტარტო საყრდენი ხდება.

ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოპოვებული ხელოსნური ნაწარმიც, ბუნებრივია, ტექნიკური აზროვნების განვითარების გარკვეული დონის ამსახველია:

მეთუნეები ჯერ კიდევ არ იყენებენ მორგვს და თიხის ჭურჭლები მხოლოდ ძერწვითაა

---

[1] **ა.კაკიბაძე, შ.მაჭუტაძე.** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები აჭარის მთიანეთში, გაზ. „აჭარა“, 2 ივლისი, 1994; მათივე, ჭოროხის აუზი..., გვ. 24-30, სურ. 12-17, ტაბ. 5,6,7.

[2] **ბ.ანანიაშვილი.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). - სდსძ, VI, თბილისი, 1977; **ბ.ხასიტაშვილი.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები. - სდსძ, VIII, თბილისი, 1979; მისივე. ქობულეთის „ქვეყანა“, I, ბათუმი, 1995, გვ. 93 და შმდ.

დამზადებული. ძირითადად წარმოდგენილია ჯამები, ქილები, დერგები, ქოთნები და დოქები. თიხის ჭურჭელთა ასორტიმენტი მათ ფუნქციონალურ მრავალგვარობაზე მიუთითებს. გავრცელებულია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ყურები. დეკორი იშვიათობაა, მაგრამ ნაწარმის ესთეტიკურ მხარეს გარკვეული ყურადღება ექცევა: ჭურჭლის ზედაპირი ყურადღებითაა დამუშავებული, ფორმები დახვეწილია, სახეზეა ქუსლიანი ჭურჭლის შექმნის მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. როგორც ჩანს, უკვე იცნობენ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ტექნიკური დონე, როცა შესაძლებელი იქნება წითელკეციანი ნაწარმის მიღება. ადრებრინჯაოს ხანის ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი შავი და ლეგა ფერისაა. ამგვარი კერამიკის მისაღებად კი ქურაში 600-700°ს ტემპერატურის განვითარებაა საკმარისი. ასე რომ, ენერგეტიკული პოტენციალი, როგორიც აქ ადრებრინ-ჯაოს ხანაშია ფიქსირებული საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ წითელკე-ციანი კერამიკის მიღება ყოფილიყო შესაძლებელი. რამდენადაც თიხისგან დამზადებული კარგად გამომწვარი პროდუქცია გარკვეული დონის ტექნიკურ დახელოვნებას მოითხოვდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ხდებოდა გარკვეული „მეთუნე-ოჯახების" შერჩევა, რომლის წევრები ხელოსნობის ამ დარგისადმი მიდრეკილებას და სათანადო ნიჭიერებას ამჟღავნებდნენ. ეს იყო პროფესიულ მეთუნეთა ფენის ფორმირების გარიჟრაჟი.

შედარებით უკეთაა განვითარებული **ლითონების დამუშავება.** ხელოსნობის ეს დარგი იცნობს როგორც ჭედვას, ისე ჩამოსხმას. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოძოვებული იყო ლითონის ჩამოსხმასთან დაკავშირებული საყურადღებო ინვენტარი,[3] სადაც ყურადღებას იქცევს ყუამილიანი ცულის ხის მოდელი (სურ. 10.7). ხის ამგვარ მოდელზე მზადდებოდა ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი, რომელშიც მიიღებოდა სასურველი ფორმის ნაწარმი. გარდა ამისა, ამავე ნამოსახლარზე ნაპოვნია თიხისგან დამზადებული ყალიბების ფრაგმენტები (სურ. 10. 8-9), აბაზანის ფორმის მინიატურული ტიგელები (სურ. 10.10) და საბერველების საქშენი მილების მოდელები (სურ. 10. 4-6). ლითონჩამოსასხმელი ხელოსნობის მთელი ეს აღჭურვილობა პარალელს პოულობს წინააღმოსავლეთის, განსაკუთრებით ანატოლიისა და ეგეიდის ადრებრინჯაოს ხანის ნივთიერ კულტურაში.[4] ამგვარად, კულტურული კავშირები, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსა და ანატოლიას შორის ჯერ კიდევ გვიანნეოლითში შეინიშნებოდა (წითლად შეღებილი კერამიკა და ა.შ.), გრძელდებოდა ადრებრინჯაოს ხანაშიც. ბუნებრივია, ამიერკავკასია არ შეიძლებოდა გვერდზე მდგარიყო იმ პროცესებისაგან, რაც ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში მიმდინარეობდა.

ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის ზემოთმითითებული მასალა გვიდასტურებს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარშივე ლითონის გამოყენებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, კარგახნის ტრადიცია აქონდა. სპილენძისა და ბრინჯაოსაგან ამ დროს ამზადებდნენ საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს, რიტუალურ თუ ტუალეტის საგნებს. ფერადი ლითონები, როგორც ჩანს, შემოჰქონდათ იმ საწარმოო ცენტრებიდან, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ჭოროხის ხეობაში.[5] უკანასკნელი ამ დროს, უნდა ვიფიქროთ, წარმოადგენდა ქართველურ ტომთა განსახლების არეალის ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეკვროდა ტერიტორიას, სადაც შემდგომში აჭარის „ქვეყანას" ვხედავთ. ასე

---

[3] **ლ.სახუტაშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა" I, გვ. 38-39.

[4] **ლ.სახუტაშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა", გვ. 37-39.

[5] Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. - ИГАИМК, 120. М.-Л., 1935, с. 8 и сл.

რომ, ტექნიკური სიახლენი, რაც ანატოლიაში (მცირე აზიაში) გამოჩნდებოდა, იოლად აღწევდა მდინარე ჭოროხის ხეობასა და მისგან ჩრდილოეთით მდებარე მხარეებს, კონკრეტულად აჭარის ტერიტორიას.[6] როგორც დადასტურდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი წარმოადგენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი მახასიათებლების სამშობლოს.[7] სწორედ აქ ადრებრინჯაოს ხანაშივე წარმოქმნილა ლითონჩამოსხმის ერთ-ერთი კერა, საიდანაც სპილენძისა და ბრინჯაოს მზა ნაწარმი აჭარის სხვა უბნებშიც ვრცელდებოდა. სამწუხაროდ, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთია მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადაც ლითონჩამომსხმელი საწარმოო კერისთვის დამახასიათებელი მასალებია მოპოვებული.

ადრებრინჯაოს ხანაში ფორმირებულ სამსხმელო პრაქტიკაში სასურველი პროდუქციის მიღება „ფორმის დაკარგვითაც“ ხდებოდა. ამისი მოწმობაა ყუამილიანი ცულის ხის მოდელი ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარიდან. ამგვარ მოდელს შემოსავდნენ კარგად მოზელილი თიხის ხსნარით, გააშრობდნენ და ძლიერ ცეცხლზე გამოწვავდნენ. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად თიხის „გარსაკრავი“ გამოიწვოდა, ხოლო მისი „გული“, ხის მოდელის სახით, იფერფლებოდა, შიგნით რჩებოდა სიცარიელე, რომელსაც ცულის ფორმა ჰქონდა. ამ მარტივი ხერხით მიიღებოდა ერთჯერადი გამოყენების ყალიბი, რომელშიაც შემდეგ ტიგელებში საბერველების გამოყენებით გამდნარი ლითონის ჩამოსხმა ხდებოდა. გაცივების შემდეგ თიხის ყალიბს ამტვრევდნენ („ფორმის დაკარგვა“), ხოლო მიღებულ ნაწარმს მექანიკურად ამუშავებდნენ. ამიტომაცაა, რომ ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმის ცალკეული ეგზემპლარები, როგორც წესი, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც წონით, ისე დეტალებში. ამ ეპოქის შედარებით მოგვიანო საფეხურზე ყალიბების დასამზადებლად ცვილის მოდელები გამოიყენებოდა, მაგრამ ამ დროსაც ნაწარმი „ფორმის დაკარგვით“ მიიღებოდა, ე.ი. თითქმის არ ხერხდება მთლიანად ერთი და იგივე პარამეტრების მქონე ნაწარმის დამზადება, სერიული წარმოების ტექნიკური დონე მიღწეულ იქნა განვითარების შემდგომ საფეხურზე, როცა შემუშავებული იქნა მრავალჯერადი გამოყენების კარედი ყალიბები (იხ. ქვემოთ). გამოჩნდა როგორც სახარატო, ისე სამეთუნეო ჩარხი და წარმოებაც უკვე ინტენსიური მეურნეობის შესატყვისი გახდა.

ადრებრინჯაოს ხანაში ხდებოდა **როგა-ქსოვის** ტექნოლოგიის შემდგომი სრულქმნა. ამ დროს ფართოდ გავრცელებული კვირისტავები ამისი უდავო მოწმობაა. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. „ქსოვილიანი კერამიკის“ ადრეულ ჯგუფზე.

ადრებრინჯაოს ხანა საყოველთაო აცივების პერიოდი იყო და, ბუნებრივია, კლიმატური რყევის ამგვარი გამოვლინება იმდროინდელი ადამიანის წინაშე აყენებდა სიცივისგან საიმედოდ დაცვის საკითხსაც. იმ ტერიტორიაზე, სადაც შემდგომში აჭარის „ქვეყანა“ გაფორმდა, არ დასტურდება ბუნებრივი გამოქვაბულებისა და ეხების არსებობა. ეს გარემოება მოსახლეობის წინაშე დამატებით პრობლემას ქმნიდა - იგი იძულებული იყო ეშენებინა ისეთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მას არა მარტო ნადირისაგან დაიცავდა, არამედ სიცივისაგანაც დაიფარავდა. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე და კოლხეთის ველის სხვა უბნებზე გადარჩენილი ადრებრინჯაოს ხანის საცხოვრებელი სახლების ნანგრევები ამისი უდავო დადასტურებაა. ეს არის ნაგებობა („ჯარგვალი“), რომლის კედლები კანგაუცლელი მრგვალი მორებით (ჯა-მორი,

---

[6] **დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[7] **ო.ჯაფარიძე**, დასავლეთ საქართველო გვიან ბრინჯაოს ხანაში. I. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი, 1982. №1.

ძელი, რგვალი-მრგვალი, წრიული-ზანური) არის ნაგები. ძელები ერთმანეთს უკავშირდება სპეციალური ნაჭდევებით. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე გადარჩენილ ნაგებობებზე შემორჩენილი ნიშნებით ჩვენ საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ მშენებლობის ხელოვნების დონე ადრებრინჯაოს ხანის როგორც ადრეულ (ძვ.წ. XXXII-XXVII სს), ისე მოგვიანო საფეხურზე (ძვ.წ. XXVI-XXII სს). პირველ საფეხურზე ზღვური რეგრესიის (წყლის დონის დაწევის) შიდაპიკურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე (იხ. აქვე, შესავალი, §2) და ჯარგვალური ნაგებობებიც სილნარ გრუნტზე დგას.[1] მეორე ეტაპზე დაწყებულა საყოველთაო დათბობა და შესაბამისად ზღვური ტრანსგრესიული მოვლენებიც განვითარებულა: კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლი თანდათანობით დაჭაობებულა და მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი გამხდარა. გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების მიუხედავად, მოსახლეობა მაინც ვერ ტოვებდა საცხოვრისს (სოფელს), სადაც, როგორც ჩანს, წინაპართა საძვალეებიც იყო განლაგებული. გრუნტზე მდგარ ნაგებობებს წყალი შემოსდგომია, რისგანაც თავის დასაცავად ძველ ისპანელებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაბამისი ხერხიც გამოუყენებიათ: მათ ხიმინჯებზე სპეციალური „ბაქანი“ გაუმართავთ, რომლებზედაც ჯარგვალური ნაგებობები დაუდგამთ. კედლის ამოყვანის წესი აქ ისეთივეა, როგორც ადრე-მრგვალი მორები (ჯარგვალი) სპეციალური ჭდეებით ერთმანეთთანაა დაკავშირებული (სხვათაშორის, კედლის მშენებლობის ეს ხერხი დასავლეთ საქართველოში თითქმის დღემდე შემორჩა), ხოლო ფარღალალა ადგილები, როგორც ჩანს, მოზელილი თიხით შეივსებოდა.

ულიმატური თავისებურებების გამო დასავლეთ საქართველოს ბარში ძირითადი სამშენებლო მასალა იმთავითვე მერქანი იყო. ბუნებრივია, ეს გარემოება განსაზღვრავდა აუცილებლობას იმგვარი სადურგლო იარაღების შესაქმნელად, როგორიცაა პირბრტყელი ცული, ბირდაბირი (ხერხი), სატეხი, ერო და ა.შ.

მერქნის დამუშავებისა და მშენებლობაში გამოყენების კულტურა, რომლის წყაროსთვალი, როგორც ვნახეთ, ნეოლითურ პერიოდშია საძებარი, ადრებრინჯაოს ხანაში საკმაოდ მაღალგანვითარებული ჩანს. მშენებლობის ხელოვნების ეს დონე ამოსავალი გახდა განვითარების უწყვეტი პროცესისა, რაც კარგადაა ასახული მომდევნო პერიოდის სინამდვილეში.

ამგვარად ხელოსნობა ალიათონჩამოსხმა, მეთუნეობა (კერამიკული წარმოება), ფეიქრობა, ხითხუროობა და ა.შ. ადრებრინჯაოს ხანის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგია მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც შემდგომში აჭარის „ქვეყანა“ გადაიზრდა.

---

[1] ჯ.სახელაშვილი, მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, I, ბათუმი, 1980.

თავი IV
შუა და გვიანბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე

§1. აჭარა შუაბრინჯაოს ხანაში

შუაბრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, აჭარის ტერიტორია ჯერ კიდევ არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი. მართალია, ქობულეთ-ფიჭვნარის უძველესი ნამოსახლარების ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი საძიებო სამუშაოები (მხედველობაშია ნამჭედურისა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარების არქეოლოგიური გათხრები), მაგრამ მაინც, ჯერჯერობით, უპირატესად შესწავლილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდისა და ანტიკური ხანის ძეგლები.

ქობულეთ-ფიჭვნარის (ნამჭედურის ნამოსახლარის) მონაპოვარში წარმოდგენილია შავად და წაბლისფრად გაბრიალებული კერამიკის მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც გამოწვით, დამუშავების ტექნიკით და ორნამენტაციით აღმოსავლეთ საქართველოს სამეთუნეო ნაწარმის გარკვეულ ნაკადს უკავშირდება. თრიალეთის ადრეული ყორღანებისა თუ ბედენის მონაპოვრის მიხედვით ამ სახის მასალებს შუაბრინჯაოს ადრეული საფეხურით (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო) ათარიღებენ.[1] ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში შედარებით ნაკლებადაა გამოვლენილი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები, რა თქმა უნდა, რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის უკმარისობით უფრო აიხსნება, ვიდრე ამ პერიოდის ძეგლების უქონლობით. ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში ამ პერიოდის მიწურულით შეიძლება დავათარიღოთ ნამოსახლარ ნამჭედურის (ქობულეთის მახლობლად) VI ფენა, სადაც ძელური ნაგებობის ნანგრევები და ხელით ნაძერწი ჭურჭლების ისეთი ნიმუშებია წარმოდგენილი, რომელიც გენეტიკურად ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის ზედა დონეს უკავშირდება. აქ გამოვლენილი ყალიბები (ფორმები), რომლებიც იარაღისა და სამკაულის ჩამოსასხმელად გამოიყენებოდა, იმის მოწმობაა, რომ მოსახლეობა აგრძელებდა ლითონდამუშავების ძველ ტრადიციებს, რაც ასე კარგად იყო წარმოდგენილი ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის მასალებში.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ს.აჭყვისთავში აღმოჩენილი სპილენძის ცული და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაც ზემოთ შეეხეთ, ადრებრინჯაოს ხანის მიწურულსა და შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს. ამ დროს ათვისებული ჩანს მთისწინა ზოლი, სადაც უნდა შეხიზნულიყო კლიმატური ცვლილებების გამო ჩრდილეთის აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლიდან აყრილი მოსახლეობა. იგი ცდილობს შეინარჩუნოს სამკვიდრო, ქმნის ხერხლებს, მიწაზვინულებს, მოკირწყლულ მოედნებს, ებრძვის სამოსახლოს „დაძირვის“ პროცესებს, რაც

---

[1] Барамидзе М.В. Пичорское поселение. -Местные этно-политические обьединения Причерноморья VII-IV вв. до н. э. Тбилиси, 1988, с. 227.

[2] ~~ლ.სხულუ~~ა შვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. - სდსძ, VIII, 1979, გვ. 12. მისივე, ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 37-39.

ასე ნიშანდობლივი ჩანს კოლხეთის დიდი დასახლებებისათვის,[3] მაგრამ მაინც იძულებულია ზეგნისაკენ გადაინაცვლოს.

შუაბრინჯაოს ხანის აჭარის ისტორიისა და ნივთიერი კულტურის კვლევის უმთავრეს წყაროს შემთხვევითი აღმოჩენებით დაგროვილი მასალა წარმოადგენს. მათ შორისაა ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული, რომელიც აღმოჩნდა სოფ.ხელვაჩაურში. იგი ამ ტიპის იარაღთა შორის ყველაზე არქაულადაა მიჩნეული.[4]

ბრინჯაოს მეორე ასეთივე ცული და ბართოხის ნატეხი აღმოჩნდა მახუნცეთში. ცულს აქვს სწორი შუბლი, ხოლო სატარე ხვრელის პირზე შემოუყვება მკვეთრად გამოხატული წიბურები. იგი მიჩნეულია ორფერდა ყუამილიანი ცულების ყველაზე განვითარებულ და დახვეწილ ნიმუშად. რაც შეეხება იქვე ნაპოვნ ბართოხის ნატეხს,[5] ამგვარი თოხები ამ დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო იარაღების უძველეს სახეობადაა მიჩნეული და ასევე შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. მათ პარალელები ეძებნებათ ურეკის (ძვ.წ. XVIII—XVI სს), მელექედურისა და ფიჩორის მონამოვარში. საყურადღებოა, რომ ფიჩორის მასალებში წარმოდგენილი იყო ამგვარი იარაღის ჩამოსასხმელი ყალიბიც.[6] როგორც ვხედავთ, თოხური მიწათმოქმედება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უძველესი, დღემდე შემორჩენილი სამეურნეო დარგია. ხელვაჩაურისა და მახუნცეთის ორფერდა ყუამილიან ცულებსაც ეძებნებათ სათანადო ანალოგები. ისინი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდებიან.[7]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ბრინჯაოს იარაღების კიდევ ერთ სახეობას შვეტილშუბლიანი ყუამილიანი ცულები ქმნიან, რომელთა საინტერესო ნიმუში აღმოჩნდა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ.განთიადში. ისინი მიჩნეულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან ცნობილი ცულების მეტად თავისებურ სახეობად, რომელთაც ანალოგი არ ეძებნება, თუმცა, ზოგიერთი ნიშნით მას ამსგავსებენ სოფ.ორბელში აღმოჩენილ ცულს.

უახლესი მონაპოვრებიდან აღსანიშნავია 2002 წლის ზაფხულში ხულოს რაიონის სოფ.ვერნების ყუამილიანი ცული, რომელიც აღმოჩნდა სოფლის ცენტრიდან 6-7 კმ-ის მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლის იალაღებისაკენ მომავალ გზაზე ადგილი „მერცხნარი". გზის ჭრილში ცული შენიშნა ვერნების მკვიდრმა პაატა აბაშიძემ. იგი პატარა ზომისაა. აქვს მასიური მილისებრი ყუა, ოთხკუთხა მოყვანილობის ორფერდა ტანი, მახვილი პირი. ემჩნევა ხანგრძლივი გამოყენების კვალი. მილიანი ყუის სიგრძე 4,6 სმ-ია, სიფართე 3 სმ. ტანის სიმაღლე ყუასთან ერთად 11,4 სმ-ია, სიფართე 2,9 სმ-ია (სურ. 11. 3). როგორც ვხედავთ, ადრე და შუაბრინჯაოს ხანისათვის ლითონის იარაღები უპირატესად ჩნდება აჭარის მთიანეთში მომდევნო ეპოქებისათვის. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის განძების აღმოჩენის შემთხვევები უფრო ხშირია აჭარის ზღვისპირა გორაკ-ბორცვოვან ზოლში.

შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის საინტერესო განძი (7 ცული) იპოვეს ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კირნათში[8] (სურ. 12.1).

---

[3] **გ.ნინოძე**, არქეოლოგიური გათხრები კოლხეთში. - ენიმკის მოამბე, II, თბილისი, 1941. გვ. 324 და შემ.; **ნ.ხოშტარია**, დიხა-გუბუბა -კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. -საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", V, თბილისი, 1944, გვ. 209 და შმდ.

[4] **ფ.სიხარულიძე**, მახოს გორა-სამოსახლო. - გაზ.„ოქტომბრის გზით", 1967, 25 თებერვალი.

[5] **ბარამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 10. 41, ტაბ. V/1.

[6] Барамидзе М.В. დასახ. ნაშრ., გვ. 228.

[7] **ბარამიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 41-42.

[8] **ა.ალხაზიშვილი**, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის პირველი ექსპონატები. კირნათის განძი.-გაზ.„აჭარა",1995 წლის 25/III; **ა.ალხაზიშვილი, შ.ბაბულაძე**, ჭოროხის... გვ.53-62, სურ.23-29, ტაბ. 12-15.

თავი IV. შუა და გვიანბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე

კირნათის ცულებს აქვთ არქაული ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მასიური პროპორციები. მათი ზედაპირი, განსაკუთრებით ყუისა და სატარე ხვრელის არეში, არაა საგულდაგულოდ დამუშავებულ-მოსწორებული. ზოგიერთის ყუა და სატარე ხვრელი ვიწროა, ჩანს რომ ისინი ხანგრძლივად ყოფილა ხმარებაში (ნიღრი არაა მკვეთრად გამოსახული, თითქოს მუშაობის პროცესშია გალეული).

კირნათის მონაპოვრები ქრონოლოგიურად ერთ-ერთი უძველესია ურეკის განძის შემდეგ. კოლხეთის სინამდვილეში მას უშუალო ანალოგები არ ეძებნება და ქმნის გარკვეულ ეტაპს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ბრინჯაოს იარაღთა ამ სახეობის ევოლუციაში. ზოგიერთი ნიშნით ისინი ეხმაურებიან შუაბრინჯაოს ხანის კოლხური ცულების პროტოტიპებს, გარდამავალ ფორმებსა და თვით გვიანბრინჯაოს ხანის ადერული ეტაპის ცულებს. ამ სახეობის ცულები წარმოადგენენ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ცულების ხანგრძლივი განვითარების ბოლო ეტაპს, რომელსაც მოყვა ჯერ პროტოტიპების, ხოლო შემდგომ გარდამავალი ფორმების, და ბოლოს, საყოველთაოდ ცნობილი კოლხური ცულების შექმნა.

კირნათის ამ სახეობის ცულების მოგვიანო გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს ქობულეთის რაიონის სოფ.სახალვაშოს ბრინჯაოს ცულების განძის ზოგიერთი ნიმუში (განძში შემავალი 18 ცული ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებითაა დათარიღებული).[9]

კირნათში აღმოჩენილი ცულები, წინასწარი მონაცემებით, ურეკის განძის ქრონოლოგიური გაგრძელება უნდა იყოს. მისი სავარაუდო თარიღია ძვ.წ. XVI-XV საუკუნეები. უფრო XVI საუკუნე- ეს არის პერიოდი, როცა კოლხური ცულების სხვადასხვა ვარიაციების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. კირნათის განძს ქრონოლოგიურად უნდა მოსდევდეს ერგესა და მახოს ცულები. აქ უკვე კირნათული ცულების გარდა გვხვდება კოლხური ცულების პროტოტიპები და ადრინდელი სახეობანი. მახოს განძში გარდამავალი ფორმების არსებობაზეც მიუთითებენ. ასევე ითქმის ე.წ. „ჭოროხისა" და ქობულეთის განძის ცულების შესახებაც. უფრო შორეულ გამოძახილს უნდა წარმოადგენდნენ სახალვაშოს, მელექედურის, დიმისა და სურმუშის ცულები, სადაც მხოლოდ კოლხური ცულების ადრეული, უკვე დასრულებული ფორმებია წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, კირნათის განძის მეცნიერული მნიშვნელობა მეტად დიდია. იგი იძლევა საინტერესო მასალას კოლხური კულტურის ისტორიული ფესვების ძიებისათვის, მიგვანიშნებს იმ როლზე, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთმა კოლხური კულტურის ფორმირებაში შეასრულა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამოვლენილი ნამოსახლარების, საკულტო ადგილებისა და სამაროვნების, უახლესი განძების (ჩაქვის ჩაისუბანი, თხილნარი, გვარა, სიხალიძეები, ვაიო, ზუნდაგა) და ადრინდელი მონაპოვრების მიხედვით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს მხარე წარმოადგენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირების უძველეს კერას, რაც იმითაც ჩანს, რომ ჭოროხის ქვემო წელზე და საერთოდ აჭარაში აღმოჩენილია აღნიშნული კულტურის უამრავი ძეგლი.[10] ამასთან, ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს ხანის განთქმული კოლხური კულტურის ლითონით მომარაგების უმთავრესი საწარმოო რაიონი.

---

[9] ჯაფარიძე სახალვაშოს განძი. -სდსძ, XIV, 1987, გვ. 17, ტაბ. XV/8, XVI 1-7.

[10] Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. - ИГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935.

ძველი კოლხური სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემომქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო.[11]

თვლიან, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის სათავეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა ვეძიოთ. ეს კულტურა, როგორც ჩანს, ყალიბდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჭოროხის ხეობის ლითონის საბადოებით მდიდარ ბაზაზე, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი როგორც ჩრდილო ტაკვოროსის აღმოსავლეთ ნაწილში, ისე მტკვარ-ჭოროხის მხარეში.[12] მიუთითებენ, რომ ეს მხარე მოწინავეობდა ტექნიკური აზროვნების სფეროშიაც ცალკეული იარაღებისა და მათი დეტალების შექმნასა და შემდგომ სრულყოფა-დახვეწაში. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან სწორედ საკვლევ მხარეშია აღმოჩენილი კოლხური ცულების, თოხების, სეგმენტების და წალდების უადრესი სახეობანი და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები.[13]

დიდაჭარის განძის მიხედვით ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში (მესხეთ-ჯავახეთი) კოლხური კულტურის შეღწევა აჭარისწყლის ხეობის სათავეებით, გოდერძის უღელტეხილზე გარდამავალი გზით ხორციელდებოდა.[14]

ქობულეთის რ-ნის სოფ.სახალვაშოში ადრეული პერიოდის ახალი განძის აღმოჩენა ადასტურებს იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის თანახმადაც სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლი მიჩნეულია კოლხური კულტურის ჩასახვის ზონად.[15]

კოლხური კულტურის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით ამ ბოლო ხანებში გამოთქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლო მთაგორიანი ოლქები, კერძოდ, ჭოროხის აუზი და მისი მადნეულით მდიდარი მხარე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კოლხეთის ბარი; და რომ ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა იმ მაღალგანვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოების მიერაა შექმნილი, რომელიც მდ.რიონის აუზში ცხოვრობდა. ამ მოსაზრების ავტორები ფიქრობენ, რომ „აიას ქვეყანა“ იყო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებული დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მოწინავე ოლქს რიონის აუზი და კოლხეთის დაბლობი წარმოადგენდა, სადაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირება ხდებოდა. სწორედ აქ, ძვ.წ. II ათასწლეულიდან დამკვიდრდა დასავლურ-ქართული მოდგმის დიდი მასა, რომელმაც ერთ გაერთიანებაში მოაქცია ჯერ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის გაშლილი ტერიტორია, ხოლო შემდეგ, ალბათ, თავისი ძალაუფლება განავრცო მცირე კავკასიონის სამხრეთზე, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზეც.[16]

დღეს არსებული მასალების მიხედვით ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლო, მისი უძველესი, წამყვანი კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი იყო, სადაც მძლავრი კულტურული ფენების შემცველი სამოსახლოები, საკულტო ადგილები და მრავალრიცხოვანი განძები კარგად ასახავენ კოლხური კულტურის სათავეებსა და უადრეს ეტაპებს: აქ ხომ არაერთგზისაა მობოვებული კოლხური ცულების პროტოტიპები, გარდამავალი

[11] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 62.

[12] ოქიელაძე, ძიებანი კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი, 1974, გვ. 40.

[13] არაბიშვილი, კოლხეთის... გვ. 92, 106, 110.

[14] ანანიშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი. - სდსძ, V, 1975.

[15] ჯაფარიძე, სახალვაშოს განძი.

[16] იხ.: ოლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986. მისივე. Наследие древней Грузии, Тбилиси, 1989.

ფორმები და უადრესი ნიმუშები (ურეკი, მელექედური, ქობულეთი, ჩაქვის ჩაისუბანი, სახალვაშო, ე.წ. ჭოროხის განძი, ერგე, ზემო ჯოჭო, მახო, ხერთვისი, კირნათი, მახუნცეთი, ზუნდაგა, საღორეთი, სიხალიძეები, დიდაჭარა და ა.შ.). სიხალიძეების აღმოჩენებით დადგინდა, რომ ყუაკვერიანი ცულებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზეა შექმნილი. დღევანდელი მონაცემები ეჭვს არ იწვევს, რომ დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის სათავეები ჭოროხის აუზში იყო და აქვე დაირწა ბირველი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანიც (დიაოხი და კოლხა). კოლხური კულტურის მეორე ეტაპის საწყისი საფეხურიდან საგრძნობლად ფართოვდება კოლხური კულტურის არეალი (რიონისპირეთი სწორედ მაშინ იქცა წამყვან ცენტრად). მიუთითებენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ქვეყნის შიგნით ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილება. „ამ პროცესში სამხრეთ კოლხეთში მსხდომი ტომების ჰეგემონობით მთელი კოლხი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას და მათ თანდათანობით ერთიანი კოლხური კულტურა ჩამოაყალიბეს. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობ ნაწილში ტომთა საკმაოდ მძლავრი გაერთიანება ყალიბდება, რომელიც თანდაოანობით მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე ავრცელებს თავის ბატონობას. სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კოლხური კულტურის განფენა მთელ დასავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეში“.[17]

განთიადისა და ხელვაჩაურის ბრინჯაოს განძები ადასტურებს, რომ შუაბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოს კულტურულ არეალში ექცევა ყოროლისწყლის, მდ.ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობებიც (კირნათისა და მახუნცეთის მონაპოვრები). ვერნების ცულის მიხედვით ბირველად გამოჩნდა ამ ეპოქის ნივთიერი მასალები აჭარის მთიანეთიდან. წინა ეპოქის გათვალისწინება უდავოს ხდის, რომ ამ დროისათვისაც გვაქვს აჭარის მთიანეთისა და ბარის ერთიანობა, შერწყმული მესაქონლეობითა და მიწათმოქმედებით, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგით, განსაკუთრებით კი უკვე აღმავლობის გზაზე მდგარი ბრინჯაოს მეტალურგიით. სწორედ ამ ეპოქაში უნდა ჩასახულიყო მდ.ჭოროხის აუზის ცნობილი ბრინჯაოს მეტალურგიული კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხური და საერთოდ დასავლურ-კავკასიური კულტურის გენეზისში.

---

[17] ოჯახდარიძე. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1992.

§2. კოლხური კულტურის ადრეული ეტაპი აჭარის ტერიტორიაზე

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგიდან საქართველოში და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში, საზოგადოების განვითარების ახალი საფეხურს - გვიანბრინჯაოს ხანას ეცრება საფუძველი. მეურნეობაში მომხდარ ძვრებს, ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებას შედეგად ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება მოყვა. ცხოვრების საერთო დონის წინსვლამ მოსახლეობის რიცხვის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი და საქართველოს მთაცა და ბარიც საკმაოდ მჭიდროდ დასახლდა.

გვიანბრინჯაოს პერიოდში, ისევე როგორც უფრო ადრეულ ეპოქებში, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებში თავისებური კულტურები ჩამოყალიბდა. მის აღმოსავლეთ ნაწილს მიედგომი მხარეებით ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური აღმოსავლურ-ქართული კულტურა იკავებს, დასავლეთში კი - დასავლურ-ქართული, კოლხური კულტურა ვრცელდება. ჩანს, ბუნებრივი გარემო ჯერ კიდევ საგრძნობლად განსაზღვრავდა კულტურის ხასიათს.

კოლხური კულტურა თითქმის ათას წელს მოიცავდა და ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრამდე გაგრძელდა. ამ ეპოქაში განვითარების გარკვეულ საფეხურზე შემოდის რკინა. ერთხანს ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია თანაარსებობენ, მაგრამ შემდეგში რკინა სულ უფრო და უფრო მყარად იკიდებს ფეხს. ამიტომაც ამ პერიოდს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანასაც უწოდებენ. კოლხურ კულტურაში განვითარების ორ საფეხურს გამოყოფენ - ადრეული ეტაპი, რომელიც მოიცავდა ძვ.წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ პირველ ნახევარს (ძვ.წ. XV-XI სს), მეორე კი - I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება (ძვ.წ. X-VII სს).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი ბრინჯაოს ინდუსტრიის შემდგომი დაწინაურებითა და საერთოდ მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესით გამოირჩევა. ამ პერიოდში კოლხურ კულტურაში ჩამოყალიბდა და ფართოდ ვრცელდება ახალი სახის სამეურნეო იარაღი, რომლებმაც ხელი შეუწყო მის შემდგომ აღმავლობას. ამ დროინდელი მასალები ძირითადად ნამოსახლარებიდან და კოლხეთის მიწა-წყალზე მრავლად აღმოჩენილი მელითონეთა განძებიდანაა წარმოდგენილი; სამაროვნები ჯერჯერობით ცნობილი თითქმის არ არის. უფრო გვიან, კოლხური კულტურის აყვავების ხანიდან, გარდა ნამოსახლარებისა და განძებისა, მრავლდება სამაროვნებიც. სამარხებში მოპოვებული მასალები უფრო ნათლ წარმოგვიდგენენ საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალური ხასიათის მოვლენებს. კოლხური კულტურის მატარებელმა ტომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს უძველეს ისტორიაში. მათ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის შეამზადეს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საფუძველი. კოლხური კულტურის წარმომავლობის, მისი გენეზისის საკითხში, მართალია, ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ ისე ჩანს, რომ კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი მხარე, ჭოროხის აუზი ერთ-ერთი ის ძირითადი რეგიონი უნდა ყოფილიყო, სადაც ამ კულტურის წარმოქმნის პროცესი მიმდინარეობდა.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელმა ბრინჯაოს ნაწარმმა ჯერ კიდევ კავკასიის

არქეოლოგიური შესწავლის გარიჟრაჟზე მიიქცია ყურადღება, თუმცა, მაშინ ეს უშუალოდ კოლხეთთან დაკავშირებული არ იყო. ცენტრალურ კავკასიაში ყობანის სამაროვანზე აღმოჩნდა უაღრესად საყურადღებო ლითონის ნაწარმი, რომელშიც გამოირჩეოდა თავისებური ფორმის ცული. იმ დროისათვის ამიერკავკასიაში ამ ტიპის ცულები ცნობილი იყო მხოლოდ კოლხეთიდან, ჩაქვთან აღმოჩენილი განძიდან[1] და ერთიც ხუცუბნიდან.[2] შემდეგში ამ ტიპის ცული და ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნივთები მრავლად აღმოჩნდა საქართველოს დასავლეთ ნაწილში. ცული კოლხური კულტურის ერთ-ერთი წამყვანი იარაღი იყო, რომელიც გარკვეული ურთიერთობის შედეგად ფართოდ გავრ-ცელდა ყობანის კულტურაში.

შემდეგ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ჭარბად აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის განძები, რომლებიც ძირითადად ხმარებიდან გამოსული იარაღებიდან შედგებოდა. აღინიშნა, რომ კავკასიის არც ერთ მხარეში ისე ხშირად არ გვხვდება ამ დროის განძები, როგორც საქართველოს დასავლეთ ნაწილში. გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ უნდა არსებულიყო საკმაოდ მძლავრი ცენტრი უძველესი მეტალურგიისა, რომლის სავარაუდო კერა ჭოროხის აუზშია საძებარი.[3] შემდგომმა აღმოჩენებმა სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში კიდევ უფრო გაამაგრა ეს დებულება. არა ერთგზის აღინიშნა ჭოროხის მეტალურგიული პროვინციის წამყვანი როლი კოლხურ კულტურაში.[4]

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, მიმდგომი მხარეებით, ცხოვრებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ეს რეგიონი უნდა ყოფილიყო წარმოებითი მეურნეობის ჩასახვისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კერა საქართველოში (იხ. ზემოთ, თავი II). უძველესი ისტორიის მთელ მანძილზე ამ რეგიონში საკმაოდ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება კოლხეთში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან შეიქმნა. ამ დროისათვის კოლხეთის დაბლობზე, მის სამხრეთ ნაწილში, საკმაოდ კარგი პირობები ყალიბდება ცხოვრებისათვის და მისი თანდათანობით ფართო ათვისების პროცესი მიმდინარეობს.[5] კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ ზოლში, რომელიც დღეს აჭარის შემადგენლობაში შედის, ჩნდება საკმაოდ მყარი სტაციონალური ნამოსახლარები.[6] როგორც ჩანს, აქედან იწყება კოლხეთის დაბლობის სამხრეთი ნაწილის ათვისება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან.[7] შემდეგში ეს პროცესი, ბუნებრივი პირობების შეცვლის გამო,

[1] ОАК за 1989, с. - Петербург, 1898, сю 126.

[2] Комаров А. Краткий обзор последних археологических находок в Кавказском крае. - Известия Кавказского обшества Истории и Археологии, I, вып. I, 1882, с. 3.

[3] Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлурги меди на Кавказе, - Известия ГАИМК, вып. 120, М. Л., 1935, с. 128.

[4] **გ.ფალიაშვილი**, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965, გვ. 78; **თ.ფალავანდიშვილი**, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1974, გვ. 40; **ალ.ალფაძე**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 89; **ო.ჯაფარიძე**, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 49, თბილისი, 1953, გვ. 191.

[5] Хахутайшвили Д.А. Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. - კავკასიურ-ახლოაღმოსავლეთის კრებული, VII, თბილისი, 1984, გვ. 150.

[6] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985, გვ. 9; **ა.ბაგლაელიშვილი**, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს. - სდსძ, XVI, თბილისი, 1987, გვ. 21.

[7] **დ.ხახუტაიშვილი**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. - სდსძ,

ერთხანს შეყოვნდა და ისპანის ნამოსახლარზე ცხოვრება გაუსაძლისი გახდა.[8] მაგრამ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში კვლავ აღსდგა სათანადო პირობები ცხოვრებისათვის და მისი სამხრეთი განაპირა მხარე ინტენსიურად სახლდება.

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის გორაკ-ბორცვოვან მთისწინეთში ცხოვრებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობდა. როგორც ჩანს, მიწათმოქმედება აქ მეურნეობის წამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო. ამ დროისათვის ჩამოყალიბდა უპირატესად მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ახალი სახის ლითონის სამეურნეო იარაღები. სწორედ ამან შეუწყო ხელი ძირითადად ამ მხარის ინტენსიურ ათვისებას, რაც კოლხური კულტურის შემდგომი დაწინაურების საფუძველი გახდა. ლითონის სამეურნეო იარაღზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ მეტალურგიული წარმოების გაფართოება გამოიწვია. მართალია, აჭარის გორაკ-ბორცვოვან ზოლში ნამოსახლარი ადგილები ჯერ კიდევ მაინცდამაინც ცნობილი არ არის, მაგრამ ლითონის სამეურნეო იარაღის სიუხვე და მრავალსახეობა უთუოდ იმის მოწმობა იყო, რომ მიწათმოქმედებას აქ უკვე მაღალი დონისათვის მიეღწევია. როგორც ჩანს, ამ დროისათვის სამთო საქმე, მეტალურგიული წარმოება კიდევ უფრო დაწინაურდა, ამოქმედდა მსხვილი და შედარებით წვრილი მეტალურგიული ცენტრები, სადაც ლითონის მიღების ყველა პირობა იყო: მადნეულის სიჭარბე, წყალი, საწვავი, თიხა და სხვ. ერთ-ერთი წამყვანი კერა სპილენძის მადნის მოპოვებისა უნდა არსებულიყო ჭოროხის აუზში.[9] აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ძანსულის საბადო, სადაც ძველი გამონამუშევრების ნაკვალევიც აღმოჩნდა. აქვე ნაპოვნიაა სამთო წარმოებასთან დაკავშირებული ქვის ეროები და სხვა მასალა, აგრეთვე ბრინჯაოს ერთი კოლხური ცული. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, მიმდგომი რეგიონებით სპილენძის სხვა საბადოებიცაა ცნობილი, მაგრამ გამოიყენებოდა თუ არა ისინი ძველად, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია.[10] ჩანს, რომ კოლხეთის ეს ნაწილი უხვად მარაგდებოდა ლითონით. ლითონის ინდუსტრიის შემდგომმა ამაღლებამ, ტექნიკურმა პროგრესმა, ახალი ტიპის სამეურნეო იარაღის წარმოქმნამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ მხარეში კულტურის საერთო დონის დაწინაურება.

ლითონის მიღება და მისი შემდგომი დამუშავება (ჩამოსხმა, ჭედვა), ძირითადად, როგორც ჩანს, მადნის მოპოვების ადგილების მახლობლად მიმდინარეობდა. ლითონსამსხმელო სახელოსნოები არსებობდნენ, აგრეთვე, დასახლებული ადგილების მახლობლად, რასაც უნდა მოწმობდეს ამ რეგიონში მელითონეთა („მდნობელთა") განძების განსაკუთრებული სიმრავლე.[11] განძები, უპირატესად, ხმარებიდან გამოსული ნივთებისა და ზოდებისაგან შედგებოდა. მათი გამოდნობის შედეგად ჩამოისხმებოდა ლითონის ნაწარმი. შედარებით იშვიათად გვხვდება ლითონით მოვაჭრეთა განძები, რომლებიც მზა, უხმარი ან ჯერ კიდევ ხმარებისათვის ვარგისი პროდუქციისაგან შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ „მდნობელთა" განძები გვხვდება როგორც ბარში, ისე მთისწინეთში და მთაში. ეტყობა მელითონეთა სახელოსნოები ძირითადად არსებობდა იქ, სადაც მიწათმოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო. განძები უპირატესად მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებულ, ხმარებიდან გამოსული იარაღებისაგან

VIII, თბილისი, 1979. გვ. 7.

[8] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[9] Иессен А.А. დასახ. ნაშრ., გვ. 44, 128.

[10] იქვე, გვ. 46.

[11] ადრაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

შედგებოდა. სხვა ნივთები, საბრძოლო ხასიათის იარაღი ან სამკაული განძებში იშვიათადაა წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით ცულს, რომელიც, ჩანს, ორმაგი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო - საბრძოლო და სამეურნეო. ამიტომ ამ რეგიონიდან უკეთ ვიცნობთ სამეურნეო ხასიათის ნაწარმს, ვიდრე ლითონის საბრძოლო იარაღს, სამკაულს და სხვ. ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ, როგორც აღინიშნა, ნაკლებადაა ცნობილი კოლხური კულტურის ადრეული ეტაპის სამარხები, სადაც უპირატესად ბირადი სარგებლობის ნივთები გვხვდება - სამკაული, საბრძოლო იარაღი თუ სხვა ხასიათის ნაწარმი.

დასავლეთ საქართველოში ხმარებიდან გამოსული ნივთების შეგროვების ტრადიცია კოლხური კულტურის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე გაგრძელდა. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში უპირატესად ადრეული ეტაპის განძებია აღმოჩენილი.[12] სადღეისოდ უადრესი განძი, რომელიც კოლხური კულტურის უწინარეს ხანას მიეკუთვნება სამხრეთ კოლხეთიდან, ურეკიდანაა ცნობილი. ეს განძი ნახმარი, მაგრამ სამუშაოდ ჯერ კიდევ ვარგისი ნივთებისაგან შედგებოდა. ეტყობა, ხმარებიდან გამოსული იარაღის განძებში თავმოყრის ტრადიცია კოლხური კულტურის გავრცელების დროიდან იწყება, როდესაც იზრდება მოთხოვნილება ლითონის ნაწარმზე და ფართოდ შემოდის ახალი ტიპის სამეურნეო იარაღები. როგორც ჩანს, ამ ტრადიციას შავიზღვისპირეთში, ძირითადად, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ეყრება საფუძველი. მართალია, ადრეული განძები კოლხეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდანაცაა ცნობილი, მაგრამ კოლხური კულტურის დროინდელი განძები უფრო მეტად კოლხეთის სამხრეთ რეგიონში გვხვდება - აჭარის და მის მიმდგომ მხარეში.[13] განძები ნაპოვნია, აგრეთვე, აჭარის სამხრეთით მიმდებარე ოლქებიდან: ართვინიდან, ყარსის მხარიდან, ორდუდან.

აღსანიშნავია ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში ლითონჩამოსასხმელი სახელოსნოს აღმოჩენა.[14] ჩანს, ამგვარი სახელოსნოები ფუნქციონირებდა მსხვილი დასახლებული ადგილების სიახლოვეს. ჯერ კიდევ ადრე აღინიშნა, რომ მახინჯაურის მახლობლად ნაპოვნი იყო ლითონის ჩამოსასხმელი (?) ქურის ნაშთი და ორი თიხის ჭურჭელი ბრინჯაოს ნივთებით.[15] ნამჭედურის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ყალიბები, ტიგელები და სხვ. სამოსახლოს ტერიტორიაზე ლითონდამამუშავებელი სახელოსნოს არსებობის ტრადიციას სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ეყრება საფუძველი. ისპანის ნამოსახლარზე ამ დროის კარგად გამართული ლითონსამსხმელო სახელოსნოს ნაკვალევი აღმოჩნდა.[16] შესაძლებელია, სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი ჭოროხის მეტალურგიულ კერას, რომელიც კიდევ უფრო ინტენსიურად ამოქმედდა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. კოლხური კულტურის დაწინაურებას, რომელიც, ძირითადად წინარე, შუაბრინჯაოს ხანის კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო, ამ მეტალურგიული ცენტრის გააქტიურებამაც შეუწყო ხელი.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ფერადი ლითონის საწარმოო ცენტრებიდან ძირითადად დარიშხანიანი ბრინჯაოს ნაწარმი გამოდიოდა.[17]

---

[12] ა.რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

[13] იქვე.

[14] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში. თბილისი, 1986, გვ. 72; ა.ჩაგელეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[15] Иессен А.А. დასახ. ნაშრ., გვ. 11; ა.ლ.რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

[16] ნ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[17] �sაძე რ.ბახტაძე, თ.დგელი, ო.ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1958, გვ. 59. ა.ლ. რამიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 107.

აქაური თითქმის ყველა სამეურნეო იარაღი დარიშხანიანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული. კალიანი ბრინჯაო აქ, ჩანს, ძირითადად, კოლხური ცულების დასამზადებლად გამოიყ ენებოდა. სოფლის მეურნეობის წამყვანი იარაღები: თოხი, წალდი, სეგმენტისებრი იარაღი და სხვა უპირატესად დარიშხანიანი ბრინჯაოსია; ამასთან, კოლხური კულტურის ადრეული ეტაპის ცულებიც, ძირითადად, დარიშხანიანი ბრინჯაოსია, თუმცა, ამ დროს უკვე გვხვდება კალიანი ლითონის ცულებიც (ზენითის, ჭოროხის, ერგეს, სახალვაშოს და სხვ. განძები).[18] როგორც ჩანს, კოლხური კულტურის სამხრეთ რეგიონში კალა პირველად ამ კულტურის ადრეულ ეტაპზე იყო გამოყენებული. წინარე ეპოქაში აქ, ძირითადად, დარიშხანიანი ბრინ-ჯაო მზადდებოდა: ურეკის განძის ყველა შესწავლილი ნივთი დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან აღმოჩნდა დამზადებული.[19]

განვითარებული მეტალურგიული ინდუსტრიის პირობებში იყო შესაძლებელი მეურნეობისათვის შესაფერისი ლითონის იარაღის შემუშავება. ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა შექმნილიყო და დანერგილიყო კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი სამეურნეო იარაღები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობეს მისი შემდგომი დაწინაურება. აქ ისეთი ხასიათის ლითონის იარაღები ჩამოყალიბდა, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამებოდა მეურნეობის ადგილობრივ პირობებს. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე უკვე ჭარბად მარაგდება ლითონის პროდუქციით, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეურნეობაში. ამან ამ მხარის უფრო ინტენსიურ ათვისებას შეუწყო ხელი და საზოგადოებასაც საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა შეუქმნა. აქ შემუშავე-ბული სამეურნეო იარაღების მთელი სერია იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ იგი ფართოდ გავრცელდა თითქმის მთელ კოლხეთში და მოსაზღვრე მხარეებში. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთშია სადღეისოდ ძირითადად აღმოჩენილი ამ იარაღების უადრესი ფორ-მები.[20] ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ ამ რეგიონიდანაა ცნობილი კოლხური კულტურის ზო-გიერთი წამყვანი იარაღის პროტოტიპები. ძნელი სავარაუდებელია, რომ იარაღის ეს ტიპები ერთდროულად წარმოქმნილიყო კოლხეთის სხვადასხვა მხარეში. უფრო ისაა სავარაუდო, რომ ეს იარაღები ერთ რომელიმე რეგიონში ჩასახულიყო და შემდეგ აქედან ფართოდ გავრცელებულიყო თითქმის მთელ კოლხეთში.[21] როგორც აღინიშნა, სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი, უნდა ყოფილიყო ის მხარე, სადაც წარმოიქმნა კოლხური კულტურის თითქმის ყველა წამყვანი სამეურნეო იარაღი.

კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღი კოლხური ცული იყო (სურ. 12. 1-2). მისი პროტოტიპი შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში გავრცელებული ცული უნდა ყოფილიყო.[22] ცულის ეს ტიპი ზოგი ისეთი ნიშნის მატარებელია, რომლებიც კოლხური ცულისათვისაა დამახასიათებელი: ექვს-წახნაგა ტანი, გორდა პირი, ოვალური ხვრელი და სხვ.[23] კოლხეთის შიდა მხარეებში ეს ცული

---

[18] ცაბესაძე, რ. ბასტიდ. კოლხური კულტურის მეტალურგიის ისტორიისათვის, სამუზეუმო ექსპონანტთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია, თბილისი, 1988, გვ. 7; დ. ქორიძე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 124.

[19] იქვე. გვ. 131.

[20] ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 90; ოჯაფარიძე. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში I-მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის; ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, №1, თბილისი, 1982, გვ. 83.

[21] ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[22] Куфтин Б.А. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941 с. 16.

[23] ოჯაფარიძე. კოლხური ცული, - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 78.

სადღეისოდ თითქმის უცნობია. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებული კოლხური ცულის ბროტოტიპებს შორის ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა შეინიშნება: ფორმით ისინი თითქმის არ განირჩევიან, განსხვავება კი სატარე ხვრელის მოხაზულობაშია. პირველისათვის მრგვალი სატარე ხვრელია დამახასიათებელი, მეორეს კი უკვე ოვალური მოყვანილობის ხვრელი აქვს.[24] ამიტომ, სავარაუდოა, რომ კოლხური ცულის ჩამოყალიბების პროცესი, ძირითადად, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) მიმდინარეობდა. კოლხური ცულისთვისაც სწორედ ოვალური, უფრო კი, წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელია დამახასიათებელი. თანაც, აქ გვხვდება ისეთი ცულები, რომლებიც ბროტოტიპიდან კოლხურ ცულზე გარდამავალი ფორმა უნდა იყოს.[25] აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში აღმოჩენილია განძები, სადაც ორივე ტიპის ცული ერთადაა წარმოდგენილი;[26] ყველაზე მეტად აქედანვეა ცნობილი, აგრეთვე, გვიანბრონ-ზაოს ხანის ადრეული განძები, რომლებშიც კოლხური ცულის და საერთოდ სამეურნეო იარაღის უადრესი ფორმებია წარმოდგენილი.[27] კოლხური ცულის საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის პერიოდში მისი რამდენიმე ტიპი ჩამოყალიბდა. მათი უადრესი ვარიანტი შედარებით მოზრდილია და უფრო ტლანქი. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში უბირატესად კოლხური ცულის ადრეული ფორმებია წარმოდგენილი, მისი სხვა ტიპები აქ შედარებით იშვიათია.[28]

ამ მხარის საერთო ბროგრესი, მცირე აზიურ სამყაროსთან, კერძოდ, აღმოსავლეთ ანატოლიასთან უშუალო მეზობლობამაც განაპირობა. კოლხური კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ, ეტყობა, უფრო აქტიური კავშირები მყარდება კოლხეთის სამხრეთით მდებარე ოლქებთან. აღმოსავლეთ ანატოლიის გარკვეული რეგიონი, ჩანს, ამ კულტურის გავლენის სფეროში მოექცა, აქ ნაპოვნია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი განძები და ცალკეული ნივთები. ამ კულტურის გავრცელების უკიდურესი საზღვარი თანამედროვე ქ.ორდუს აღწევს, სადაც კოლხური კულტურის ტიპიური ნივთებისგან შემდგარი განძი აღმოჩნდა (ცულები, წალდი და ბრტყელი ცული).[29]

კოლხური კულტურის სამხრეთ რეგიონში გავრცელებული იყო ერთი ტიპის ბრტყელი ცული, რომელსაც გაზიდული მხრები და შედარებით მოკლე და ფართო ზედა ნაწილი აქვს. (სურ. 15. 2). მას აჭარის გარდა, ვხვდებით გურიისა და ქვემო იმერეთის ბარის ზონაში,[30] ხოლო ნამჭედურის ნამოსახლარზე კი ამგვარი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბიც აღმოჩნდა.[31] ამ ფორმის ცული ცნობილია, აგრეთვე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.[32] მსგავსი ცული ფართოდ იყო გავრცელებული ანატოლიაში.[33] როგორც ჩანს, ბრტყელი ცულების მხრებგაზიდული ფორმა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, კოლხეთის სამხრეთ ნაწილში მცირე აზიასთან, ხეთურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად გავრცელდა.[34] თუმცა, ის აზრიც არსებობს, რომ ამ

[24] Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, с, 230.
[25] ოკუზგანის კოლხური ცული, გვ. 50.
[26] დ.ქორნის დასახ. ნაშრ., გვ. 12.
[27] ალრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.
[28] იქვე. გვ. 58.
[29] Przeworski St. Der Grottefund von Ordu. Archiv Orientalni, vol. 7, №3, 1935, p. 396.
[30] Джапаридзе О.М. Бронзовые топоры Западной Грузии. - СА, XVIII, Москва, 1953, с. 296.
[31] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д. А. დასახ. ნაშრ., გვ. 14; ალრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.
[32] Джапаридзе О.М. დასახ. ნაშრ., გვ. 297.
[33] Куфтин Б.А. Урартский «колумбарии» у подошвы Арарата и куро-аракский энеолит. - სსმმ, ტ. XIII-B, თბილისი, 1943, გვ. 31.
[34] Джапаридзе О.М. დასახ. ნაშრ., გვ. 297.

ტიპის მხრებიანი ცული სამხრეთით ჩრდილო რეგიონებიდან უნდა გავრცელებულიყო.[35] აღსანიშნავია, რომ კოლხურ კულტურაში ბრტყელი ცულების სხვა ვარიანტებიც გვხვდება, ოღონდ სამხრეთ რეგიონში ჯერჯერობით მხოლოდ მხრებიანი ბრტყელი ცულია ცნობილი.[36]

ბრტყელი ცულების დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ამ იარაღს უპირატესად ხის დამუშავებას უკავშირებენ.[37] ხით მდიდარ კოლხეთის ყოფაში მერქანი ფართოდ გამოიყენებოდა სამშენებლო საქმეში, ხის ჭურჭლის დასამზადებლად და სხვა საჭიროებისათვის. გარაუდობენ, აგრეთვე, რომ ეს იარაღი მიწის დამუშავებასთანაც იყო დაკავშირებული და თოხის ფუნქციას ასრულებდა.[38]

კიდევ ერთი ტიპის ბრინჯაოს ცული გამოიყენებოდა კოლხეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. მას ვერტიკალური სატარე ხვრელი აქვს. სადღეისოდ ამ სახის სამი ცულია ცნობილი, რომელთაგან ორი აჭარის ტერიტორიაზეა ნაპოვნი,[39] ერთიც - მიმდგომ მხარეში, ართვინის განძში აღმოჩნდა.[40] პირის მოყვანილობით ვერტიკალურხვრელიანი ცული კოლხურ ცულს იმეორებს. მას, ჩანს, მუხლიანი ტარი ეგებოდა; იგი, ალბათ, ჩვეულებრივი ცულის ფუნქციას ასრულებდა[41] და ეგებ უფრო ხით ხუროობასთან იყო დაკავშირებული.[42] თუმცა, ამ ტიპის ცულის გამოყენების შესახებ განსხვავებული აზრიც არსებობს. ზოგი მას სახვნელი იარაღის ნაწილად მიიჩნევს,[43] ზოგიც სპეციფიკურ დანიშნულებას მიაწერს მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით.[44] ცული ვერტიკალური ხვრელით ჭოროხის შეტალურგიულ ცენტრში შემუშავებული იარაღი უნდა ყოფილიყო, რომელმაც, ეტყობა, სათანადო გავრცელება ვერ პოვა. ამ ტიპის ცული ამიერკავკასიაში, გარდა აღნიშნული ცალებისა, სხვაგან არ გვხვდება. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში შემუშავებულ სამეურნეო იარაღთაგან ვერტიკალურხვრელიანი ცული იყო ერთადერთი ფორმა, რომელიც კოლხურ კულტურაში ვერ დამკვიდრდა.

მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღებიდან კოლხეთში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა ბრინჯაოს თოხი (სურ. 12. 3,5). ამ ხასიათის იარაღს ჯერ კიდევ წინარე ხანაში ეყრება საფუძველი. ურეკის განძში უკვე ვხვდებით თავისებური ფორმის სამკუთხა მოყვანილობის თოხებს.[45] ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე ამ ტიპის თოხის ჩამოსასხმელი ყალიბებიც აღმოჩნდა.[46] კოლხეთის ბარში ლითონის თოხი, როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ჩამოყალიბებამდე იყო ცნობილი. ენგურისპირა ნამოსახლარებზე (ბიჩორი, ანაკლია) ნაპოვნი იყო თოხის ჩამოსასხმელი ყალიბები.[47] როგორც ჩანს, ამ დროს ლითონის თოხი

---

[35] ოჩიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44; Микеладзе Т.К. К археологии Колхиды, Тбилиси, 1990, с. 43.

[36] Джапаридзе О.М. დასახ. ნაშრ., გვ. 293; დვორეცკი, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია და გენეზისის საკითხისათვის, - სსმმ, XXVIII-B. თბილისი, 1969, გვ. 6.

[37] Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 33; ოჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 68.

[38] ლაბაძეგური, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბილისი, 1994, გვ. 93.

[39] ალრაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12, 13.

[40] კბილაური, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები. - ენიმკის „მოამბე", II, თბილისი, 1938, გვ. 258.

[41] Куфтин Б.А. Материалы К археологии Колхиды, I, с. 224.

[42] ოჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[43] ნახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[44] ლაბაძეგური, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[45] ოჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. -სსმმ, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 113; დვორეცკი, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 10.

[46] ინაგლეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. - სდსძ. XIX, თბილისი, 1991, გვ. 20.

[47] Микеладзе Т.К. К археологии Колхиды, Тбилиси, 1990, с. 30; Джибладзе Л.В. Стратиграфия, хронология

ძირითადად კოლხეთის ზღვისპირა ზოლის სამხრეთ და ჩრდილო მხარეში იყო გავრცელებული. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდიდან კოლხეთში ვრცელდება სხვა ფორმის ფართო ბირიანი თოხი, რომელიც მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში უნდა ჩამოყალიბებულიყო (სურ. 12. 5). სამკუთხა მოყვანილობის თოხები ამ დროისათვის გამოდის ხმარებიდან. კოლხურ კულტურაში გვხვდება თოხების სხვადასხვა ვარიანტები. მათგან ზენითის განძში სამი თავისებური ფორმის თოხი აღმოჩნდა. (სურ. 12. 3).[48] კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ცნობილი იყო, აგრეთვე, ორპირა თოხი (ორთოხი) (სურ. 14. 4). ერთი წარმოდგენილია ზენითის ახალ განძში,[49] მეორე კი - შრომის განძში.[50] თუმცა, მათი ორთოხად გამოყენებაში ეჭვია შეტანილი.[51]

ბრინჯაოს თოხი კოლხური კულტურის არსებობის მთელ მანძილზე მიწის დამუშავების ძირითად იარაღს წარმოადგენდა, იგი ფართოდ იყო გავრცელებული თითქმის მთელ კოლხეთში და მის მიმდგომ მხარეებში. ტყით მდიდარ კოლხეთში თოხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მას იყენებდნენ ახოების აღებისას, ყამირის გატეხვის დროს, დასამუშავებელი ნაკვეთის გასაწმენდად, მისი ბირველადი დამუშავებისათვის, დახნული მიწის გასაფხვიერებლად და სხვ. კოლხეთის თავისებური მთავორიანი რელიეფის და ნიადაგის მრავალგვარობის გამო თოხი და ბარი ზოგჯერ სახვნელის ფუნქციასაც ასრულებდა.[52] თოხი ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, აგრეთვე, საბაღე და საბოსტნე მეურნეობაში. მიწის დასამუშავებლად ამ დროს ხის სახვნელიც ყოფილა გამოყენებული,[53] რომელიც კოლხეთის ბარში ჯერ კიდევ წინარე ხანაში იყო ცნობილი.[54]

კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლხური ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი, ე.წ. **სეგმენტისებრი იარაღი** (სურ. 12.4). იგი უბირატესად განძებშია წარმოდგენილი კოლხურ ცულებთან და თოხებთან ერთად. სეგმენტისებრი იარაღი კოლხური კულტურის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე გვხვდება. კოლხეთის გარეთ იგი ცნობილია შიდა ქართლში და მესხეთში, იგი გვხვდება კოლხეთის სამხრეთით ართვინის განძში და ცენტრალურ ანატოლიამდე აღწევდა.[55] სეგმენტური იარაღის რამდენიმე სახესხვაობა გვხვდება და მათი დანიშნულების შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მას უბირატესად მიწათმოქმედების სხვადასხვა საქმიანობას უკავშირებენ.[56]

კოლხურ კულტურაში გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს **წალდი**, რომელიც ძირითადად კოლხეთის სამხრეთი რეგიონებისათვის იყო დამახასიათებელი (სურ. 13.4). ეს იარაღი გვიანბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კოლხეთის მეტალურგიულ პროვინციაში უნდა წარმოქმნილიყო. აქ წალდი საკმაოდ ადრეულ განძებში

и периодизация поселении колхидской низменности в эпоху бронзы, автореферат, Тбилиси, 1990, с. 15.

[48] Куфтин Б.А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии,- სსმმ, ტ. XII-B. თბილისი, 1944, გვ. 317; **ოჯაფარიძე**, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 175.

[49] **დახარუტაიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა," I, გვ. 50.

[50] **ლეონრიძე**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 20.

[51] იქვე. გვ. 179; **ალრამიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[52] **ალკეთელი**, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი, 1976, გვ. 93; **ოჯაფარიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

[53] **დახარუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[54] Джибладзе Л.В., დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[55] Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 319.

[56] **ლ.ძიძიგური**, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

გვხვდება. კოლხეთის შიდა რეგიონებში იგი ნაკლებადაა წარმოდგენილი.[57] კოლხეთის გარეთ, სამხრეთში, მხოლოდ ერთი წალდია ცნობილი ორდუს განძიდან.[58] მცენარეული საფარით მდიდარ კოლხეთში წალდი ძირითადად ეკალ-ბარდების და ბუჩქების ასაჩეხად იხმარებოდა.[59] ეს იარაღი კოლხეთის სინამდვილისათვის იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ მას დასავლეთ საქართველოში დღემდე არ დაუკარგავს თავისი ფუნქციური მნიშვნელობა.

ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში გავრცელდა ბრინჯაოს ნამგალი (სურ. 13.5). სადღეისოდ მისი რამდენიმე ცალია ცნობილი, უყუნწო, ცალ ბოლოზე ხის ან ძვლის ტარის დასამაგრებელი ორ-ორი ნახვრეტით.[60] ნამგალიც, სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღთან ერთად, ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთიდან გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარგადაა წარმოდგენილი, ძირითადად, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღი. ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალი დონის პირობებში, ალბათ, გავრცელებული უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ლითონის სხვა დანიშნულების ნივთები - იარაღ-საჭურველი, სამკაული და სხვ. მაგრამ აქ ამ სახის ნაწარმი თითქმის არ გვხვდება. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ სადღეისოდ კოლხური კულტურის ადრეული პერიოდის სამარხოვანები ნაკლებადაა ცნობილი. სწორედ სამარხებშია ძირითადად წარმოდგენილი ამ კატეგორიის მასალა. ამიტომ მთლად ნათელი არ არის, თუ როგორი იყო იმ დროს ლითონის საბრძოლო იარაღი, სამკაული, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები და სხვ. ამ კულტურის უფრო მოგვიანო ხანაში ამ ხასიათის ნაწარმი, ძირითადად ადგილობრივ ჩამოყალიბებული ფორმები, კარგადაა წარმოდგენილი.

გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან საკმაოდ ინტენსიურად სახლდება კოლხეთის დაბლობის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი.[61] როგორც კი აქ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კვლავ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ცხოვრებისათვის, მოსახლეობა საკმაოდ ინტენსიურად ითვისებს ამ რეგიონს, ჩნდება მძლავრი დასახლებები, სადაც ცხოვრება საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე თითქმის უწყვეტად მიმდინარეობდა. ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში შესწავლილ ნამოსახლარებზე (ქობულეთის ნამჭედური, ჩოლოქ-ფიჭვნარი და სხვ.) აღმოჩენილი მასალები საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგენენ იმ ხანის სამეურნეო ცხოვრების სურათს. ცალკეულ ნამოსახლარებთან არსებობდა ლითონის ჩამომსხმელი სახელოსნოები.[62] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარში ამგვარი სახელოსნოების არსებობის ტრადიცია ადრეულ პერიოდში შეიქმნა. ჯერ კიდევ ისპანის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ლითონის დამუშავებასთან დაკავშირებული მასალები.[63] ლითონჩამომსხმელი ეს სახელოსნოები ლითონით ადგილობრივი მეტალურგიული კერებიდან მარაგდებოდნენ.[64] ამავე მიზნისათვის გამოიყენებოდა, აგრეთვე,

---

[57] დეჭრილი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[58] Przeworski St. დასახ. ნაშრ., გვ. 408.

[59] ალრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70; ოჯახარი, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 65.

[60] ოჯახარი, მიწათმოქმედები იარაღების დასავლურ-ქართულ კულტურაში. გვ. 206.

[61] Хахутайшвили Д.А. Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. - კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, VII, თბილისი, 1984, გვ. 149.

[62] ჩაგლეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში, გვ. 5.

[63] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 5; ფხაკაძეშვილი, ქობულეთის „ქვეყანა". I, გვ. 37, 68.

[64] ჩაგლეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

მელითონეთა განძები, რომლებიც უბირატესად ამ რეგიონში გვხვდება.[65]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილი ლითონის ჩამომსხმელი სახელოსნოების ნაშთები. აქ ნაპოვნი იყო ლითონის ჩამოსხმასთან დაკავშირებული ნივთები - ტიგელები, თიხის კარედი ყალიბები, საბერველების საქშენი მილები და სხვ. (სურ. 17. 1,2,3,6).[66] როგორც ჩანს, სახელოსნო აქ საკმაოდ ადრეული ხანიდან ფუნქციონირებდა. [67] ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში აღმოჩენილ კარედ ყალიბებში ძირითადად ადრეული ტიპის კოლხური ცულები ჩამოისხმებოდა.[68] ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანდელ ფენებში ნაპოვნი იყო სამკუთხა თოხის ჩამოსასხმელი ყალიბი. მსგავსი თოხის ყალიბი შემთხვევით აღმოჩნდა ნამჭედურის ნამოსახლარზეც.[69] თოხის ეს ტიპი, როგორც აღინიშნა, კოლხეთის დაბლობზე ძირითადად კოლხური კულტურის წინარე ხანაში იყო გავრცელებული. სადღეისოდ მხოლოდ ერთი სამკუთხა თოხია ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის მელექედურის განძში.[70]

აღსანიშნავია, რომ ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე საბრძოლო იარაღი და მათი ჩამომსხმელი ყალიბებიც აღმოჩნდა. IV კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება, ნაპოვნი იყო სატევარი ალისებრი მოყვანილობის პირით.[71] სატევრის პირის ეს ტიპი კოლხეთში უბირატესად რიონ-ყვირილას აუზშია ცნობილი. ვხვდებით მათ შიდა ქართლში და თრიალეთში. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის ამავე ფენაში ნაპოვნი იყო განსხვავებული ტიპის ფაროოქედიანი სატევრის პირის რამდენიმე ყალიბი.[72] აქვე აღმოჩნდა გრძელფრთიანი ბრტყელი ისრისპირი. ეს ტიპი იარაღისა უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი, სადაც იგი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდება.[73] ნამჭედურის ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო, აგრეთვე, ხიშტისებრპირიანი, მასრიანი შუბისპირი. უფრო მომცრო ზომის მსგავსი იარაღი აღმოჩნდა მახვილაურის ქვაყრილიანი სამარხის კომპლექსში.[74] ამ ტიპის შუბისპირის ზუსტი ანალოგი კოლხური კულტურის ადრეულ ეტაპზე ცნობილი არ არის. საერთოდ კი, ვიწრობირიანი, მასრაგახსნილი შუბისპირები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შიდა ქართლში. როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ადრეული საფეხურის რამდენადმე უფრო მოგვიანო ეტაპზე გარკვეული ურთიერთობა მყარდება კოლხეთის სამხრეთ ნაწილსა და მტკვრის ხეობას შორის, განსაკუთრებით მესხეთთან. შესაძლოა ამის შედეგია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გამოჩენას იწყებს აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი საბრძოლო იარაღის ზოგიერთი ფორმა (სურ. 15.1).

კოლხური კულტურის ადრეულ საფეხურზე, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, შედარებითი სიმშვიდის პირობებში ძირითადი ყურადღება სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებაზე იყო გადატანილი, რასაც კოლხური კულტურის შემდგომი

---

[65] **დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[66] **ა.ჩაგლეიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[67] იქვე. გვ. 12.

[68] **ა.ჩაგლეიშვილი**, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს, გვ. 28.

[69] **ა.ჩაგლეიშვილი**, კოლხური ბრინჯაოს საწარმო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. გვ. 20.

[70] **დ.ქორიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[71] **ა.ჩაგლეიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[72] იქვე.

[73] იქვე, გვ. 16.

[74] იქვე.

დაწინაურებისათვის უნდა შეეწყო ხელი. ლითონი, როგორც ჩანს, ძირითადად სამეურნეო ხასიათის იარაღების წარმოებას ხმარდებოდა. ამ დროს საგრძნობლად გაიზარდა ლითონზე მოთხოვნილება. ალბათ, ამიტომაც გამოირჩევა ეს მხარე ადრეული პერიოდის „მდნობელთა“ განძების სიუხვით.

ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე IV და მომდევნო უფრო მოგვიანო კულტურულ ფენებში ლითონის სამკაული და მათი ჩამოსასხმელი ყალიბებიც აღმოჩნდა. სამკაულში ძირითადად საკინძებია წარმოდგენილი, გვხვდება აგრეთვე ლითონის მძივები, სამაჯურები და სხვ.[75]

გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხეთში, რიონის სამხრეთით მოსახლე ტომებს საკმაოდ მყარი და ძლიერი ეკონომიკური ბაზა უნდა ჰქონოდა. მათი მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე იყო გადატანილი, რაც თავის მხრივ შესაბამისი იარაღის წარმოების გაფართოებას იწვევდა. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობი უკვე საკმაოდ კარგადაა ათვისებული, რასაც უფრო სრულქმნილი ლითონის იარაღის ინტენსიურად გამოყენებამ შეუწყო ხელი. ლითონის სამეურნეო იარაღი ტყეზე შეტევის საშუალებას იძლეოდა. კოლხეთის ბარში გამოვლენილ ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანის საკმაოდ მძლავრი ფენებია დადასტურებული. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დაბლობზე პირველი სამოსახლოები ჯერ კიდევ ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე გვხვდება. როგორც აღინიშნა, აქ, ქობულეთის მახლობლად, ისპანთან, ამ დროის საკმაოდ ძლიერი დასახლება არსებობდა.[76] უფრო ინტენსიურად ეს რეგიონი სახლდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან. აქ, ნამჭედურთან და ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის მიდამოებში საკმაოდ მძლავრი ნამოსახლარები გამოვლინდა. ამ დროის დასახლებას, წინარე ხანასთან შედარებით. სახე მაინცდამაინც არ უცვლია; სამშენებლო საქმეში, საცხოვრებლის ხასიათში. და. საერთოდ სოფლის გეგმარებაში ისევ ძველი ტრადიციები გრძელდება.[77] ტენიანმა ჰავამ განაპირობა აქ თავისებური ხასიათის დასახლების წარმოქმნა. ნესტიანობის მაღალი დონის პირობებში, ხით მდიდარ კოლხეთში მერქანს მშენებლობაში წამყვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებლად ხის ძელებისაგან ნაგები სახლია გამოყენებული.[78] ნაგებობა ერთი ან მეტი ოთახისაგან შედგებოდა. ნამჭედურის ნამოსახლარის ძირა ფენაში მრავალოთახიანი შენობა აღმოჩნდა.[79] ძელური კონსტრუქცია გამოყენებულია, აგრეთვე, ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე. ნამჭედურის შენობების იატაკი ბრტყელი ქვებით იყო მოგებული.[80] ხის ძელებით მყარად შეკრული ნაგებობა ფართოდ იყო გავრცელებული ამ დროს კოლხეთის დაბლობზე. მათ ჩვეულებრივი ხის მორებისაგან ან რიყის ქვებისაგან შედგენილი იატაკი ჰქონდათ.[81]

როგორც ჩანს, კოლხეთის ბარის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში გვიანბრინჯაოს ხანაში მცირე სოფლის ხასიათის, ეგებ ხუტორული ტიპის დასახლებები არსებობდა. ნამჭედურის გარშემო ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში საკმაოდ კომპაქტური სამოსახლოები აღმოჩნდა.[82]

გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კულტურულ ფენებში უხვადაა წარმოდგენილი

[75] იქვე, გვ. 21.
[76] დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 33.
[77] Микеладзе Т.К. დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[78] Микеладзе Т.К., Хахутаишвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 22.
[79] იქვე, გვ. 23.
[80] იქვე.
[81] Микеладзе Т.К. დასახ. ნაშრ., გვ. 83.
[82] Хахутаишвили. დასახ. ნაშრ., გვ. 82.

კერამიკული მასალა. თიხის ჭურჭელი, მართალია, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს უფრო ადრეულ კერამიკასთან, მაგრამ უკვე რიგი თავისებური ნიშნებით ხასიათდება. იგი შავად ან მოყავისფროდა გამომწვარი და ხშირად საკმაოდ მდიდრულადაა შემკული, განსაკუთრებით ჭურჭლის ზედა ნაწილი; გვხვდება სხვადასხვა კომბინაციები - ღარების, ჭდეების, კობების, შვერილების; თაღისებრ ამოღარული ხაზები, ტალღოვანი ორნამენტი, კონცენტრული წრეები, სავარცხლისებრ დაკბილული შტამბი და სხვ. უბირატესად წარმოდგენილია ქოთნები, ტოლჩები, ქილები, ბადიები, კოჭობები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნამჭედურის ქვედა ფენაში[83] და ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის რქიანი სადგრები. მსგავსი სადგრები კოლხეთის დაბლობის სხვა რეგიონების თანადროულ ნამოსახლარებზე ცნობილი არ არის.[84] ისინი კოლხეთის ბარის სამხრეთი რეგიონის ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩნდებიან და განსაკუთრებით ფართოდ ადრერკინის ხანაში ვრცელდებიან.[85]

კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანაში შედარებით ნაკლებად გვხვდება ქვისა და ძვლის იარაღები. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ამ დროს უკვე ფართოდ ვრცელდება სამეურნეო დანიშნულების ლითონის იარაღი. კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამზარეულო ნარჩენები, მცენარეული საკვების ნაშთები, ცხოველის ძვლები და სხვ. მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ნიადაგის დამუშავების ძირითადი იარაღი სახვნელი და თოხი იყო. თოხის კულტურას კოლხეთის ბარში ჯერ კიდევ წინარე ხანაში ეყრება საფუძველი, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ იგი გვიანბრინჯაოს ხანაში ვრცელდება. ამ პერიოდში უკვე ძირითადად პირფართო თოხია ცნობილი, მისი რამდენიმე ვარიანტი, რაც მეურნეობაში მათ სხვადასხვა დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს (სურ. 12. 3,5; სურ. 14.4).

ქობულეთთან, ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილია ხის მარტივი სახვნელები.[86] ხის სახვნელი კოლხეთის დაბლობზე, ჩანს, უკვე წინარე პერიოდიდან იყო ცნობილი.[87] ნამჭედურის ნამოსახლარის V ფენაში (ძვ.წ. XIII-XII სს) ნაპოვნი იყო ხორბლის (სპელტის) მთელი კარბონირებული ძნა და ღომის დანახშირებული მარცვლები.[88] ლითონის სამიწათმოქმედო იარაღების და სახვნელის მეურნეობაში ინტენსიურად გამოყენებამ საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

მიწათმოქმედების გვერდით მესაქონლეობის როლი მეურნეობაში საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ნამოსახლარებზე ნაპოვნი ძვლოვანი მასალების მიხედვით მსხვილფეხა საქონელს წამყვანი ადგილი ეკავა. მესაქონლეობა ტყესთან შეგუებით ვითარდებოდა და იგი უფრო ბაგური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. უპირატესად გავრცელებული იყო ტანმორჩილი ჯიშის მსხვილფეხა საქონელი.[89] კარგადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, შინაური ღორის ნაშთები. მეღორეობას ტყით მდიდარ კოლხეთში მეურნეობაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა. წვრილფეხა საქონელის ძვლები ნამოსახლარებზე ნაკლებად გვხვდება. ტყე ცხვრის მოშენებისათვის, როგორც ჩანს, ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა. გვიანბრინჯაოს ხანის

[83] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 18; დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[84] ა.ჩაგელეიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს. გვ. 30.

[85] ა.ჩაგელეიშვილი, დასახ. ნაშრ.; მისივე, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. - სდსმ, XVII, თბილისი, 1988, გვ. 37.

[86] დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51; ლ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[87] ლ.ჯობლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[88] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 19.

[89] ა.ჩაგელეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

ადრეულ საფეხურზე ჩანს მთის ზოლის უფრო ინტენსიურად ათვისების პროცესი მიმდინარეობდა.[90] მდ.ჩოლოქის ხარცხენა სანაპირო ზოლში რძის პროდუქტების დამზადებისათვის და შენახვისათვის განკუთვნილი ჭურჭელი იყო ნაპოვნი.[91] აღსანიშნავია აქვე საკმაოდ ადრეულ ფენაში ნაპოვნი ძვლის სალამური, რომელიც, ალბათ, მწყემსურ ყოფასთან იყო დაკავშირებული.[92]

ბინადრობას და **მეთევზეობას** მეურნეობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქობულეთის ნამჭედურზე და ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე მრავალად აღმოჩნდა მეთევზეობასთან და ნადირობასთან დაკავშირებული მასალა. განსაკუთრებით მაღალ დონეზე, როგორც ჩანს, მეთევზეობა იდგა, რასაც თევზის საჭერი ბადის საწაფების სიმრავლე მოწმობს.[93] თევზის საჭერად ზღვის გარდა მდინარეებიც გამოიყენებოდა.[94] განსაკუთრებით ბეერია ჩოლოქისპირა ნამოსახლარებზე დელფინის ნაშთები.[95]

ტყით მდიდარი კოლხეთის როგორც ბარი, ისე შიდა რეგიონები გამოირჩეოდა მდიდარი ფაუნით. ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებზე კარგადაა წარმოდგენილი სხვადასხვა გარეული ცხოველის ძვლები.[96] ნანადირევს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეში. სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა **მეფუტკრეობასაც**. ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემონახულია მეფუტკრეობის ძველ ფორმებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა.[97] შინაურ მეფუტკრეობის პროდუქტს ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა მეტალურგიაში (ცვილი ფართოდ გამოიყენებოდა ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების დასამზადებლად).[98]

სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა ხასიათმა, საკვები პროდუქტების შედარებითმა სიუხვემ საზოგადოების ერთი ნაწილის სამეურნეო საქმიანობიდან განთავისუფლების პირობები შექმნა, რამაც ხელოსნობის სხვადასხვა დარგების თანდათანობით დაწინაურებას შეუწყო ხელი. მოსახლეობის ერთი ნაწილი უფრო ფართოდ ჩაერთო მეტალურგიულ საქმიანობაში, სადაც შრომა, უკვე დიფერენცირებული იყო - მადნის მოპოვება, ლითონის მიღება, ნივთების დამზადება და, ბოლოს, მათი რეალიზაცია. მეორე დარგი, რომელიც დახელოვნებულ ოსტატობას მოითხოვდა, ხით ხუროობა იყო. მერქანს კოლხეთის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. გარდა სამშენებლო საქმისა, ხეს ფართოდ იყენებდნენ მეჭურჭლეობაში, ნაოსნობაში, მეტალურგიაში და სხვ.[99] შრომის მაღალმა ორგანიზაციამ სოფლის მეურნეობაში, ხელოსნურ საქმიანობაში, აგრეთვე, ჭარბი პროდუქციის სწორმა განაწილებამ, მისმა რეალიზაციამ ქვეყანას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა შეუქმნა.

ცხოვრების საერთო დონის ამაღლება, ქვეყნის შიგნით უფრო სტაბილური ვითარება, შედარებითი სიმშვიდე მოსახლეობის რიცხვის თანდათანობით ზრდას უწყობდა ხელს. იწყება კოლხეთის მიმდგომი მხარეების უფრო ინტენსიური დასახლება. თითქმის მთელ კოლხეთში

---

[90] **ანანიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

[91] **ანაგლეფშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[92] **ანაგლეფშვილი**, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე, გვ. 27.

[93] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[94] იქვე. **დასახტანიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 84.

[95] **ანაგლეფშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[96] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[97] **ბერობაქიძე**, მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960, გვ. 68.

[98] იქვე. გვ. 202.

[99] **ბერაძიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 112

ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემუშავებული ლითონის სამეურნეო იარაღები, თანდათანობით ხდება ერთიანი კოლხური კულტურის ჩამოყალიბება და მიმდინარეობდა მისი ფართოდ გავრცელების პროცესი. ამ კულტურის ადრეული ეტაპზე კოლხეთი, მისი მთაცა და ბარიც, უკვე ფართოდაა დასახლებული.[100] თუმცა კოლხური კულტურის ფორმირების შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობს, კოლხური კულტურის სამშობლო კოლხეთის დაბლობი, რიონის აუზი უნდა ყოფილიყო, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული.[101]

კოლხეთის ბარის სამეურნეო ათვისება შრომის მაღალი ორგანიზაციისა და ლითონის შესაბამისი სამეურნეო იარაღის გამოყენების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. შრომის სათანადო იარაღების გარეშე კოლხეთის დაბლობის ფართოდ დასახლება უთუოდ გაჭირდებოდა. როგორც აღინიშნა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ის რეგიონი იყო, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო სამეურნეო იარაღის ძირითადი ფორმები. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კოლხეთის სამხრეთი ნაწილი უკვე კარგადაა ათვისებული, სადაც შრომითი საქმიანობა საკმაოდ ეფექტური იყო და იგი მყარ საფუძველზეც იდგა. სავარაუდოა, რომ სწორედ აქ უნდა დაწყებულიყო კოლხური კულტურის წარმოქმნის პროცესი და ადგილობრივმა ტომებმა ითამაშეს ალბათ მნიშვნელოვანი როლი ამ კულტურის ფართოდ განფენის საქმეში.

კოლხური კულტურის გავლენა ვრცელდება კოლხეთის მიმდგომ მხარეებშიც. მის სფეროში ექცევა აღმოსავლეთ ანატოლიის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, სადაც კოლხური კულტურის გავრცელების საზღვარი საკმაოდ შორს, თანამედროვე ქ.ორდუმდე აღწევდა.[102] კოლხური კულტურა ჩანს, მთიანი აჭარის გზით მესხეთში ვრცელდებოდა. კოლხური კულტურის ადრეულ ეტაპზე აჭარისწყლის ზედა წელის რეგიონი უკვე საკმაოდ კარგადაა ათვისებული. მესხეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის მთის ზონას. გოდერძის გადასასვლელით ხორციელდებოდა ალბათ ძირითადად ურთიერთობა ამ რეგიონებს შორის.[103] კოლხური კულტურის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მესხეთის გარკვეული ნაწილი მის არეალში ექცევა. ეს, ჩანს, არ იყო მხოლოდ უბრალო ურთიერთობის შედეგი, არამედ მოსახლეობის გარკვეული მასის გადანაცვლებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს ის ხანაა, როცა კოლხური კულტურის ფართოდ განფენის პროცესი მიმდინარეობდა. მესხეთში კარგადაა ცნობილი კოლხური კულტურის წამყვანი სამეურნეო ხასიათის იარაღები (ცული, თოხი, სეგმენტისებრი იარაღი და სხვ.). აქ გვხვდება, აგრეთვე, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან შემდგარი განძები.[104] ამ კულტურის საგრძნობი გავლენა ჩანს შიდა ქართლში.

კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონის დაწინაურება ძველაღმოსავლურ სამყაროსთან უშუალო მეზობლობამ და საკმაოდ მჭიდრო კავშირებმაც განაპირობა.[105] ამ ურთიერთობამ

---

[100] ოჯახაშვილი, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 72.

[101] ოლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1982, გვ. 70.

[102] Przeworski St. დასახ. ნაშრ., გვ. 396.

[103] ალხაზიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[104] ოჯახაშვილი, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, II, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 1982, გვ. 47.

[105] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 186; მისივე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 70.

შეუწყო ხელი მეურნეობის წინსვლას და მეტალურგიის დაწინაურებას. იმ დროისათვის, როდესაც მეზობლად დიაუხის საკმაოდ ძლიერი ბოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში მოსახლე ტომების, ალბათ, ძირითადად, ზანების, სამეურნეო ცხოვრება უკვე საკმაოდ მაღალგანვითარებული იყო. ამ დროიდან შიმდინარეობდა კოლხური კულტურის განფენის ბროცესი და საკმაოდ მყარი ტომობრივი კავშირები ყალიბდებოდა. კოლხი ტომები ზოგჯერ დიაუხის შოკავშირედ გამოდიან საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, ეს ტომები აფერხებენ დიაუხის გაძლიერებას[106] და საიმედოდ აკონტროლებდნენ შავიზღვისპირა ზონას. დიაუხის ქვეყანას არასდროს გაუვრცელებია თავისი ბატონობა ჩრდილო-დასავლეთით, კოლხეთის სიღრმეში. ძვ.წ. XII ს. კოლხი ტომების გაერთიანების არსებობა დასტურდება ასურულ წყაროებში დაცული ცნობებით.[107] ამ ტომების პეგემონობით ვრცელდება ალბათ ფართოდ კოლხური კულტურა დასავლეთ ამიერკავკასიაში.[108] შესაძლოა, ისინი ზანი ტომები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ წინარე ხანაში კოლხეთის გარკვეულ რეგიონებში ვრცელდებიან.[109] კოლხური კულტურის ადრეულ საფეხურზე მათ ეკავათ მცირე კავკასიონის დასავლეთი მხარე და ჭოროხის აუზი მიმდგომი ოლქებით.[110] შესაძლოა, კოლხური კულტურის ფორმირებაში ძირითადად ზანურენოვანი ტომები მონაწილეობდნენ. კოლხური კულტურის განფენასთან ერთად კოლხეთის მიწა-წყალზე ამ ტომების უფრო ფართოდ განსახლება მიმდინარეობდა. ისინი საგრძნობლად ავიწროებენ აქ მოსახლე სვან ტომებს, რომლებიც, იძულებით, მთის რეგიონებისკენ ინაცვლებდნენ.[111]

---

[106] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 372.

[107] გ.მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200; Меликишвили Г.А. დასახ. ნაშრ., გვ. 184; Дьяконов И.М. Предыстория армянского народа, Ереван, 1968, с.127.

[108] გ.მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200; ო.ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, I. - „მაცნე", ისტორიის... სერია, 1982, №1, გვ. 72.

[109] ო.ჯაფარი ე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბილისი, 2006, გვ. 365.

[110] გ.მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 78; ოლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[111] Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, с. 881.

§3. ქართველური ტომები. მათი დიფერენციაციისა და კონსოლიდაციის პროცესები. აჭარის მოსახლეობის ადგილი ქართველურ ტომთა ერთიანობაში

ქართველები წარმოადგენდნენ საქართველოს ძირითად ადგილობრივ მოსახლეობას (1989 წ. აღწერის მიხედვით ქვეყნის 5400841 მცხოვრებიდან ქართველი იყო 3787393). ადგილობრივ მოსახლეობას ქმნიან ასევე აფხაზები (ამავე აღწერის მიხედვით - 95853). სხვა დანარჩენნი, გარდა ებრაელებისა (ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები) გვიან შუა საუკუნეებში არიან აქ დამკვიდრებული. ზოგი ერის წარმომადგენლები (რუსები და სხვა სლავი ხალხები) კი კიდევ უფრო გვიან (XIX-XX სს-ში) მოევლინენ საქართველოს.

ქართველები ცხოვრობენ, აგრეთვე, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთსა და ირანის ზოგიერთ პროვინციაში (გილანი, მაზანდარანი, ფერეიდანი).

ქართველთა შორის შეიძლება გამოყოთ მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფი. მათგან აღმოსავლეთ საქართველოში ქართლელები, კახელები, ინგილოები (თანამ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე), ქიზიყელები, თუშები, ფშაველები, ხევსურები, მთიულები, მოხევეები, დასავლეთ საქართველოში - მეგრელები, სვანები, აჭარლები, იმერლები, რაჭველები, გურულები, სამხრეთ საქართველოში-მესხები, ჯავახები, კლარჯები, შავშები, ტაოელები და ა.შ.

ყველა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, წარმომავლობა ინტერესს იწვევდა და იწვევს როგორც თვით თანამემამულეთა, ისე უცხოელთა შორის. ხშირად ეს შორეული წარსული ლეგენდებით იმოსებოდა. ზოგჯერ ამ ლეგენდებში ისტორიული სინამდვილეა ასახული, ზოგჯერაც ისინი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა.

ასეთი ლეგენდები, ზღაპრული ცნობები და სხვადასხვა დაუსაბუთებელი მოსაზრებები საქართველოს მოსახლეობის შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ავტორებთან.

ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.), მაგალითად, იმ დასკვნამდე მისულა, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა-კოლხები თითქოს ეგვიპტური წარმოშობის არიან. მისი აზრით, ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები ეგვიპტის მეფის სესოსტრისის მოლაშქრეებისა, რომლებიც მდინარე ფაზისთან (დღევანდელი მდ. რიონი) დარჩენილან, როდესაც სესოსტრისმა, თითქოს, დალაშქრა ეს ადგილები. ამის საბუთად ჰეროდოტეს მიაჩნდა ის, რომ კოლხები, ეგვიპტელების მსგავსად, შავგრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან, რომ ორივენი წინადაცვეთის ჩვეულებას მისდევდნენ და ერთნაირად ამუშავებენ სელს (ჰეროდოტე, II, 103-105).[1]

ძველმა ბერძნებმა კოლხების მეზობელ იბერებსაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას - „მოუძებნეს“ პირველადი სამშობლო. ასეთი იყო, მათი აზრით, ესპანეთი, რომელსაც ისინი ძველიდანვე „იბერიას“ ეძახდნენ. ძველბერძნულ სამყაროში პოპულარული იყო აზრი, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ. ეს აზრი, ეტყობა, უბრალოდ ამ ორი ქვეყნის სახელების მსგავსების საფუძველზეა შექმნილი. მისდამი სკეპტიკურად იყო განწყობილი უკვე ანტიკური ხანის

[1] თამაზ ბაქრაძე, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960, გვ. 71-73.

ზოგიერთი მწერალი, მაგალითად აპიანე.[2]

ამგვარი აზრების არსებობაზე იცოდნენ შუა საუკუნეების და, შესაძლებელია, აგრეთვე, ანტიკური ხანის საქართველოშიც, მაგრამ მათ პარალელურად ქვეყანაში (ან მის მეზობლად) ქართველთა წარმომავლობის შესახებ იქმნებოდა საკუთარი ლეგენდებიც.

ძველი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხონელი (ახ. წ. V ს.) მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელს იბერთა მმართველად დაუყენებია აქემენიდური ირანის უკანასკნელი მეფის დარიოს III სატრაპი მითრიდატე, რომელსაც იგი მიაწერს, სხვათა შორის, იბერთა გადმოსახლებას კავკასიაში დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთი) (წ. II, თ. 8, 11, 14, 15, 16, 18).

ქართველთა (იბერთა) გადმოსახლებას კავკასიაში ასევე ალექსანდრე მაკედონელს უკავშირებდა ძველი ქართული საისტორიო ტრადიციაც, რომელიც დაცულია VII ს. (?) ქართულ ძეგლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ". აქ ნათქვამია, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის მმართველად დანიშნა თავისი ერთ-ერთი სარდალი აზო, რომელსაც თავის სამშობლო არიან-ქართლიდან ჩამოუყვანია საგვარეულო და მასთან ხელოვნური ნათესაობით ("შამამძუეობით") დაკავშირებული საგვარეულები და ისინი ქართლში დაუსახლებია. გადმოსახლებულებს არიან-ქართლიდან თან წამოუღიათ, აგრეთვე, თავისი კერპები გაცი და გაი.[3] თუ სად უნდა იყოს არიან-ქართლი, ამის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ბოლო დროს კი ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომ იგი „სპარსული (სპარსეთის) ქართლია", რომელშიც აქემენიდების სპარსეთის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთი ქართული რაიონები უნდა იგულისხმებოდეს.[4]

ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში" ქართველთა წარმომავლობის შესახებ ბიბლიური სქემებიდან გამომდინარე კონცეფციას გვთავაზობს. მისი სიტყვით, ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი იყო თარგამოსი - ბიბლიური ნოეს ძის იაფეტის ერთ-ერთი უახლოესი შთამომავალი. მას შემდეგ, რაც ბიბლიური ბაბილონის გოდოლის აშენება ვერ მოხერხდა და ხალხი აქედან დაიფანტა სხვადასხვა ქვეყანაში, თარგამოსი თავის ხალხითურთ ჩრდილოეთით წამოვიდა და კავკასიაში დამკვიდრდა. მისი შთამომავლები იყვნენ ქართლოსი - აღმოსავლელი ქართველების (ქართების) მამამთავარი, ეგროსი - დასავლელი ქართველების (ეგრების, მეგრელების) მამამთავარი, და სხვა ქართული და კავკასიური თემების მამამთავრები (ეთნონიმები).[5]

როდესაც შუა საუკუნეები წარსულს ჩაბარდა, აღარავის ჰქონდა სურვილი ქართველთა წარმოშობის ძიებისას ზემოხსენებული ბიბლიური სქემებისათვის მიეცია ყურადღება. სამაგიეროდ, მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ამავე ბიბლიურ ტექსტთან დაკავშირებით I ს ებრაელი მწერლის იოსებ ფლავიუსის ნათქვამი, რომ ბიბლიაში მოხსენიებული თუბალები მერმინდელი იბერები (ქართები) არიან. ამასთან ერთად გავრცელდა ბიბლიური „მეშეხის" ("მოსოხის") დაკავშირება მეორე ქართველი ტომის-მესხების სახელთან.[6] XIX ს, მას შემდეგ რაც ამოიკითხეს ძველი ასურული ლურსმული წარწერები, სადაც ბევრი ლაპარაკი იყო მცირე აზიაში არსებული დიდი გაერთიანებების - თაბალების (ბიბლიური „თუბალი") და მუშქების (ბიბლიური „მეშეხი") სამეფოების შესახებ, ზემოაღნიშნულმა თვალსაზრისმა ახალი გაქანება პოვა. რადგანაც ძ.წ.VII ს თაბალები და მუშქები (როგორც ფიქრობენ-ქართველური ტომები ქართი-იბერები და მესხები)

[2] აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, §101, თბილისი, 1959, გვ. 195.

[3] იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 314-315.

[5] ქართლის ცხოვრება. ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბილისი, 1955, გვ. 3. შდ.

[6] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, თბილისი, 1961, გვ. 271-შდ. იქვე. გვ. 34-35, აგრეთვე „გეორგიკა", V, თბილისი, 1963, გვ. 3-4.

ჯერ კიდევ მცირე აზიაში ჩანან. დამკვიდრდა აზრი, რომ კავკასიაში, დღევანდელ საქართველოში ეს ტომები ამის შემდეგ უნდა გადმოსახლებულიყვნენ. ასეთი აზრისანი იყვნენ გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნენი ლენორმანი და მასპერო. ეს მოსაზრება განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი გაიზიარა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.[7] შემდეგში ეს უკანასკნელი იმ დროსაც მოესწრო, როდესაც დასავლურმა მეცნიერებამ ამ საკითხზე შეხედულება საგრძნობლად შეიცვალა და მცირეაზიელი თაბალები და მუშქები ინდოევროპულ, ე.ი. არაქართველურ ტომებად მიიჩნია (თაბალები - ხეთებ-ლუვიელებად, ხოლო მუშქები - ფრიგიელებად). ეს გარემოება ივ.ჯავახიშვილმა მიიჩნია იმის ნიშნად, რომ „გაქრა ყველაფერი, რასაც ემყარებოდა უძველესი ეპოქის საქართველოს ისტორიის გაგება".[8]

ივ.ჯავახიშვილის შემდეგაც მოსაზრება თაბალ-მუშქების ქართველურ სამყაროსთან სიახლოვეზე განაგრძობს არსებობას. მას გამოუჩნდა ბევრი დამცველი როგორც დასავლეთევროპულ (ვ.კავენიაკი), ისე რუს (ი.დიაკონოვი) და ქართველ (გ.მელიქიშვილი, ნ.ხაზარაძე) მკვლევართა შორის. აღნიშნავენ, რომ ეთნონიმები „თაბალები" და „მუშქები" შესაძლებელია კრებითი სახელებია, რომელშიც სხვა წარმოშობის ტომებთან ერთად, ერთ-ერთი კომპონენტის სახით ქართველური ტომებიც უნდა იგულისხმებოდნენ, რომელთა ნაწილი ძვ.წ.VII ს-ში, მცირე აზიაში კიმერიელი ტომების თარეშის შემდეგ, აქედან უნდა აყრილიყო და ისტორიული საქართველოს ტერიტორიას შეხიზვნოდა.

ამასთან ერთად, ახალი დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ის აზრიც, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროისათვის ქართველი ტომები უკვე დიდი ხანია ცხოვრობდნენ, რომ ისინი ამ რეგიონის უძველესი მცხოვრებლები არიან. ამ აზრს ადგა აკად. ს.ჯანაშია.[9] მას მხარს უმაგრებდა აკად. ბ.კუფტინი, რომელიც ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებულია კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც გამორიცხავს ამ ხნის მანძილზე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ძირფესვიან შეცვლას.[10]

მაგრამ ამ მოსაზრებას ყველაზე მტკიცე საფუძველი შემატა უახლოესი ხანის ენათმეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, გადამწყვეტი როლი მასში შეასრულა ისტორიულ-შედარებითი კვლევის გაღრმავებამ, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის სულ უძველეს დონეზე ენობრივი მოდელის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას ქმნის. ქართული სამყაროს მიმართ იგი განსაკუთრებით ხელსაყრელ სიტუაციას ემყარება, როცა ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ახლომონათესავე ქართველურმა ენამ. ეს ენებია საკუთრივ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური; გადარჩა სამივე ამ ენაში ან ყოველ შემთხვევაში, ორ მათგანში დამოწმებული დიდძალი ლექსიკური მასალა კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობების სახით. როგორც ცნობილია, მონათესავე ენებში ასეთი ლექსიკური მასალის არსებობა უმირველესი მოწმობაა მათი ნათესაობისა და იძლევა ამ ლექსიკური მასალის არქეტიპების აღდგენის საშუალებას მათი საერთო წინაპარი ენის (ფუძე-ენის) დონეზე. გაჩნდა, აგრეთვე, მეთოდები (ე.წ. გლოტოქრონოლოგია[11] და სხვ.), რომლითაც მონათესავე ენებში ფუძე-ენიდან შემორჩენილი

---

[7] იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია", I და სხვ.

[8] ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 227.

[9] ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943, გვ. 14.

10 Куфтин Б.А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. - სსმმ, XII-B, 1944.

[11] სტატისტიკური მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ენათა ოჯახების დაშლის ისტორიამდელი პროცესების დათარიღებას.

ლექსიკური ფონდის ოდენობით ხერხდება დროის იმ მონაკვეთის განსაზღვრა, რომელიც ერთმანეთს აშორებს ახლანდელ (ფიქსირებულ) ვითარებასა და წინაპარი საერთო ენის (ფუძე-ენის) არსებობას. ეს კი იძლევა საშუალებას საუკუნეთა სიღრმეში ჩავიხედოთ და იმ დროს არსებული ლექსიკის, მათ შორის ფლორისა და ფაუნის, ლითონების და სხვა კულტურულ მონაპოვართა სახელების გამოყენებით იმდროინდელი საზოგადოების შესახებ წარმოდგენა ვიქონიოთ.

ამგვარი კვლევის შედეგად (გ.მაჭავარიანი, თ.გამყრელიძე, გ.კლიმოვი და სხვ.)[12] შესაძლებელი გახდა იმის მტკიცება, რომ დღევანდელი ქართველური ენების საერთო წინაპარი ფუძე-ენა და, მაშასადამე, მისი მატარებელი ეთნიკური მასა უნდა რეალურად არსებულიყო დიდი ხნის, დაახლოებით ამ 4000-5000 წლის წინათ (ძვ.წ.III ათასწლეულში); აღსდგა, აგრეთვე, ის ლექსიკა, რომელიც ამ დროს არსებობდა ამ საერთო ქართველურ ეთნიკურ კოლექტივში.

უძველესი ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფუძე-ენაში არსებული მცენარეულის, ცხოველთა და სხვა ამგვარი სახელების გათვალისწინებას. ამით ჩვენ გავეცნობით იმ ბუნებრივ გარემოს, რომელშიც ცხოვრობდა ქართველური ფუძე-ენის მატარებელი კოლექტივი. ეს საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი გარემო, ე.ი. სად უნდა ვივარაუდოთ ქართველი ტომების წინაპარი, ამ უძველესი ეთნიკური ჯგუფის ადგილსამყოფელი. ქართველურ ენებში დაცული კანონზომიერი დერივატების (წარმოებული სახელების) მიხედვით, საერთო-ქართველურ დონეზე ივარაუდება მცენარეულის სახელები: ანწლ-, ბრყენ- (ბანტა), გვიმრა, ვაშლ-, ვერხვ-, მარწყვ-, მსხალ-, სხმარტლ- (ზღმარტლი), სოკო, ქრცხმალ- (რცხილა), ძაცხვ- (ცაცხვი), ძეწვნ- (ტირიფი), წიფლ- (წიფელი), წყავ- და სხვ. საერთო ქართველურში ყოფილა სახელწოდებები: არჩვის, დათვის, კვერნის, თხის, ვაცის, ორბის (არწივი), მელიის და სხვ. ასეთი ფლორა და ფაუნა კარგად ეგუება კავკასიის მიწა-წყალს, უფრო მეტად მის მთიან ზოლს. ამიტომაც, ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელი, ამ დროისათვის მაინც, თამამად შეიძლება კავკასიისავე მიწა-წყალზე ვივარაუდოთ (გ.ა.კლიმოვი).

ზემოთ უკვე ხსენებული „გლოტოქრონოლოგიური მეთოდის" გამოყენებითა და კულტურულ-ისტორიული რეალიების მოშველიებით ფიქრობენ, რომ საერთო-ქართველური ენობრივი ერთობის (ქართველურ ენათა ფუძე-ენის) დაშლა ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგს უნდა დაწყებულიყო. საერთო-ქართველურ სამყაროს პირველად სვანური ენობრივი კოლექტივი გამოეყო, ხოლო შემდეგ დაიშალა ერთხანს კიდევ არსებული ქართულ-ზანური ენობრივი ერთობა. ეს კარგად ჩანს უძველესი ლექსიკის ანალიზიდან. ქართველურ ენებში საერთო-ქართველურის ეპოქიდან მოდის მესაქონლეობასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი: დ ა (თხა), ვაც-, მატყლ-, ფურ, ამლ- (ტყავი), ან- (ხარი), ძაღლ-, ყვერ- (ს)ძე (რძე), ყველ- და სხვ., ისევე როგორც მეფრინველეობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი. ქართულ-ზანური ერთობის არსებობის ხანაში ჩანს მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება, მევენახეობის განვითარება, მესაქონლეობაში წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წონის მკვეთრი ზრდა, მეცხენეობის განვითარება და სხვ. სვანურისათვის უცხოა, მაგრამ ქართულ-ზანურის საერთო კუთვნილებას შეადგენს ისეთი ტერმინები, როგორიცაა ბაგა, ბეღელ-, თიბ-, თეს-, სკა, ყანა, ცელ-, ვენა -, ღვინო, სელ-, საწნეხელ-, ფოცხ-, ღერღ-, (ღერღილი), ცეხვ-, და სხვ. ამავე ეპოქის კუთვნილება ჩანს ცხენის სახელი, მთელი

[12] **Мачавариани Г.И.** К типологической характеристике общекартвелского языка-основы. - Вопросы Языкознания, 1966, №1; **Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс.** Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тбилиси, 1984; **Климов Г.А.** Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1965.

რიგი ლითონების - სპილენძის, რკინის, ვერცხლის სახელწოდებები, რომელთაც, ამასთანავე, სამხრეთის ძველ ენებში ეძებნებათ ბარალელები. ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროის ტერმინებია (სვანურში არ გვაქვს) აგრეთვე ცხვარ-, ცხოველ- და სხვ. ამავე ეპოქის ტერმინოლოგიაში ადგილს იკავებს გამაგრებული პუნქტების აღმნიშვნელი სახელები (შდრ. ქართულ-ზანური ტერმინები ციხე-ჯიხა, ქართა-ქორთუ) და ა.შ.

ზემოთქმული ადასტურებს გ.დეეტერსის მოსაზრებას ქართველურ ენათა ფუძე-ენისაგან თავდაპირველად სვანურის გამოცალკავების და, ამის შემდეგ, კიდევ ერთხანს, ქართული და მეგრულ-ჭანური ენობრივი ერთობის არსებობის შესახებ. ამასთანავე, რადგანაც სვანურთან შედარებით ქართულ-მეგრულ-ჭანურის ინოვაციები (სიახლენი) კულტურულ-ისტორიული რეალიებით სწორედ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში წარმოქმნილად შეიძლება დათარიღდეს, უნდა დავასკვნათ, რომ ამ დროისათვის სვანური და მისი მატარებელი ეთნიკური ჯგუფი არსებითად განცალკავებულია ქართულ-ზანური ჯგუფისაგან. ამ უკანასკნელის კონტაქტები სამხრეთის ხეთურ-ხურიტულ მოსახლეობასთან, რის ნაკვალევს სვანურში ვერ ვხვდებით, მოწმობს, რომ სვანური ტომები ამ დროს ქართველურ ტომთა გავრცელების ჩრდილოეთ ზოლში ცხოვრობდნენ, ქართულ-ზანური ტომები კი - სამხრეთით. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს არა მარტო მთიან, არამედ ბარის რაიონებში უძველესი სვანური ტოპონიმების მრავლად დამოწმება ცხადყოფს, რომ სვანური ტომები ძველ დროს აქ ფართოდ იყვნენ განსახლებული.

რაც შეეხება ქართველ ტომთა სხვა ადგილებში, დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებას, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როდესაც სარწმუნოდ მივიჩნიეთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში არსებულ თაბალებისა და მუშქების გაერთიანებებში ქართველ ტომთა გარკვეული ჯგუფების არსებობა. აქ შეიძლება ჩრდილოეთიდან გაჭრილ ცალკეულ ქართველ ტომებთან გვაქვს საქმე, თუმცა, დღევანდელი საქართველოს მომიჯნავე მიწებზე, პონტოს (ჩრდილოეთ ანატოლიის) ქედის მიდამოებში, ქართველი ტომები (კერძოდ, შემდეგდროინდელი ლაზებ-ჭანების წინაპრები) უძველესი აბორიგენები უნდა ყოფილიყვნენ. მათ აღმოსავლეთით კი, ასევე დღევ. თურქეთის ჩრდ.-აღმ. რაიონებში, უნდა ეცხოვრათ მესხურ ტომებს, რომლებიც, ალბათ, აღმოსავლურ-ქართული (ქართის) ტომების ერთ-ერთ დაჯგუფებას ქმნიდნენ.

რა თქმა უნდა, როდესაც ქართველთა ეთნიკური ჯგუფის უძველეს ვითარებაზე ვსაუბრობთ, ვერ შემოვიფარგლებით მარტოოდენ უძველეს დროში მათი განსახლების ან შინაგანი დიფერენციაცია - ინტეგრაციის პროცესებისათვის თვალის მიდევნებით. უნდა ითქვას იმაზეც, თუ როგორ წყდება დღეს მეცნიერებაში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მათი მიმართებისა და ურთიერთობის პრობლემა.

XIX ს და XX ს პირველ ნახევარში მეტად პოპულარული გახდა ძველი აღმოსავლეთის რიგ გამქრალ ეთნიკურ ჯგუფებთან და თანამედროვე ბასკებთან ქართველთა ენობრივი მონათესაობის თეზისი. მანამდე იყო გაუთავებელი ძიება და კავკასიურ, კერძოდ, ქართველურ ენებს ხან ერთ და ხან მეორე ჯგუფს უკავშირებდნენ. ფრ.ბოპი 1847 წელს გამოვიდა მტკიცებით, რომ ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნისო. ასეთივე აზრი გამოთქვა. ადრე, 1834 წელს მარი ბროსემ - განთქმულმა ფრანგმა ქართველოლოგმა. სამაგიეროდ, მ.მიულერი 1855 წელს ამტკიცებდა, რომ კავკასიური ენები თურანული (ე.ი. თურქულ-თათრული) ენების შორეული მონათესავენი არიან, ხოლო 1888 წლიდან ნ.მარი ცდილობდა ქართველური ენების სემიტურ ენებთან ახლო მონათესაობა დაესაბუთებინა. უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა

ჯერ კიდევ 1864 წელს ფრ.მიულერის მიერ წამოყენებული დებულება, რომ კავკასიური ენები არ ენათესავება ინდოევროპულ, სემიტურ და ურალურ-ალთაურ (თურქულ-თათრულ) ენათა ოჯახებს და ისინი დღევანდელ ბასკურთან ერთად, ნარჩენებია ოდესღაც მრავალრიცხოვან ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ ინდოევროპული, სემიტური ან ურალურ-ალთაური ენები გავრცელდებოდნენ. დღევანდელ ქართველურ და ბასკურ ენებთან ერთად ენების ამ ოჯახში შეყავდათ ძველი აღმოსავლეთის ისეთი მკვდარი ენები, როგორიცაა შუმერული, ერთ-ერთი ხეთური ენა (პროტოხეთური), ხურიტული, ურარტული, ელამური. გავრცელდა მოსაზრება, რომ საბერძნეთში, იტალიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგ სხვა ქვეყანაში (მაგალითად, ესპანეთში) ინდოევროპელები საკმაოდ გვიან მოვიდნენ, ხოლო მათზე ადრე აქ მცხოვრები პელაზგები, ეტრუსკები, იბერები და სხვები ასევე ენებისა და ხალხების ამავე დიდ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ფრ. ჰომელმა მას „ხალხთა ალაროდიული ოჯახი“ უწოდა. შემდეგში, უკვე ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ენათა (ხალხთა) ამ ოჯახს „აზიანიკური“ უწოდეს, ხოლო ს.ჯანაშიამ მის აღსანიშნავად შემოიღო ტერმინი „ხეთურ-იბერიულ ენათა (ხალხთა) ოჯახი“.

ამ „ოჯახში“ შემავალ ენებს შორის, მართლაც, შეინიშნება ზოგიერთი, ძირითადად სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სიახლოვე, მაგრამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მეშვეობით მათ შორის ნათესაობის ჩვენება არ ხერხდება. ამას ზოგიერთი ენათმეცნიერი, მაგალითად ა.მეიე, იმით ხსნიდა, რომ ყველა ამ ენის საერთო წინაპარი ფუძე-ენა არსებობდა ძალიან დიდ ხნის წინათ, სადღაც ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში (ე.ი. ამ 6-7 ათასი წლის წინათ). მის მწირ ენობრივ მასალას ამ ხნის მანძილზე დიფერენციაცია-ცვლილების და გაქრობის გამო ისეთი მცირე კვალი უნდა დაეტოვებინა, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით მისი სრულფასოვანი რეკონსტრუქცია დღეს შეუძლებელია.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ენათა ოჯახების წრეში ქართველურ ენათა ადგილის ძიებისას მკვლევართა ყურადღება უკვე სხვა მიმართულებით წავიდა. ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ენათა ასეთი დიდი ოჯახის ოდესმე არა მარტო არსებობა, არამედ თვით კავკასიურ (როგორც ჩვენში უწოდებენ - „იბერიულ-კავკასიურ“) ენათა ჯგუფებს შორის (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური) ნათესაობაც. საკუთრივ ქართველური ენების კვლევაში, ამასთანავე, ყურადღება მიექცია მათ სიახლოვეს (გრამატიკული წყობით, ლექსიკით) ინდოევროპულ ენებთან. გ.დეეტერსმა ქართველური ენები ნარევ ენებად განსაზღვრა ისეთი ენებისა, როგორიცაა ჩრდილო-დასავლურ კავკასიური (აფხაზურ-ადიღეური) და უძველესი ინდოევროპული.[13] ქართველური ენების უძველესი სტრუქტურის სიახლოვეს ინდოევროპულთან ყურადღება მიაქციეს თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა. მრავალი ლექსიკური სიახლოვეც მათ საუძველს აძლევს ეს გარემოება მიიჩნიონ ქართველურ ტომებსა და უძველეს ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომთა შორის არსებული ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტების შედეგად. შესაძლებლად მიიჩნევა, აგრეთვე, ქართველური და ინდოევროპული ფუძე-ენების უძველესი ნათესაობაც.[14]

ამგვარად, ჩაისახა კონცეფცია ენათა ამ სიახლოვის ახლებურ ახსნაზე. გ.წერეთელი,

[13] Deeters G. Die Stellung der Kharthvelsprachen unter den Kaukasischen Sprachen,"ბედი ქართლისა", პარიზი, №23, 1957; შდრ. **გ.მელიქიშვილი**, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 205, 206; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 345.

[14] **თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართული სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი, 1985, გვ. 365-379 და სხვ. შდრ. იმავე წიგნში: **გ.წერეთელი**, სონანტები და აბლაუტის თეორის გამო ქართველურ ენებში, გვ. 23-24.

კერძოდ, შესაძლებლად თვლიდა აღნიშნულის საფუძველზე ინდოევროპულის შორეულ ნათესაობას საერთო-ქართველურთან. ამავე ახსნას აძლევს ჩვენთვის საინტერესო ფაქტს უკანასკნელ ხანს დიდად გავრცელებულ „ნოსტრატული თეორია“,რომელიც ამოდის ქართველურის, ინდოევროპულის, სემიტურის და ზოგი სხვა ენობრივი ჯგუფის უძველესი მონათესაობის თეზისიდან.

ბოლო დროს განვითარებული თეორია ინდოევროპელთა წარმომავლობისა და პირვანდელი სამშობლოს შესახებ, რომელიც თ.გამყრელიძესა და ვიაჩ.ივანოვს ეკუთვნის, კიდევ უფრო რეალურს ხდის უძველეს ხანაში ინდოევროპულისა და ქართველურის უძველესი მონათესაობისა და შემდეგაც მჭიდრო კონტაქტების არსებობის ვარაუდს - ისინი ხომ ინდოევროპელთა პირვანდელი სამშობლოს ერთ-ერთ რეგიონად თვით სამხრეთ ამიერკავკასიას მიიჩნევენ!

სხვათა შორის, არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულ არა ერთი არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში (ე.წ. „მტკვარ-არაქსის კულტურა“, „თრიალეთის კულტურა“) ქართველურ ტომებთან ერთად ინდოევროპელი ტომების მონაწილეობის შესახებ (ძვ.წ.IV-II ათასწლეულები). ასე რომ ის რეგიონი, სადაც ქართველური ტომები მკვიდრობდნენ, მოქცეული იყო, ნაწილობრივ მაინც, უძველეს ინდოევროპელთა სამშობლოს ფარგლებში. მეორე მხრივ, იგი წარმოადგენდა მხარეს, სადაც მომდევნო ხანაში მიმდინარეობდა ხანგრძლივი თანაცხოვრება და კონტაქტები ინდოევროპელთა ამა თუ იმ ჯგუფთან.

ეჭვს არ იწვევს, აგრეთვე, უძველეს ხანებში მჭიდრო კონტაქტების არსებობა ქართველურ ტომებსა და მათ მეზობელ ისეთ „ძველაღმოსავლელ“ ხალხებს შორის, როგორც იყვნენ ხეთები, ხურიტები და ურარტელები. ეს კარგად ჩანს როგორც საქართველოში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის, ისე ქართველურ ენებში მიკვლეული ენობრივი რეალიების ფონზე.

მეორე მხრივ, ასევე უძველესი ხანიდან საჭიროა დავუშვათ თანამეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი კავკასიის მიწა-წყალზე ქართველურ ტომებსა და ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) და ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ტომებთან. ჯერ საერთო ქართველურში და შემდეგ დასავლურ-ქართულში აფხაზურ-ადიღეური, ხოლო აღმოსავლურ-ქართულში ნახურ-დაღესტნური ფენა იმდენად მძლავრია, რომ ენათმეცნიერები მათ საერთოქართველურისა და აღმოსავლურ-ქართულის სუბსტრატ ენებადაც კი მიიჩნევენ. ამავე დასკვნამდე მივყავართ ჩვენ ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებასაც. ცნობილია, რომ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა (ქართველები, აფხაზები) ძირითადად ერთსა და იმავე ორ ანთროპოლოგიურ ტიპს განასახიერებენ. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე მცხოვრები ქართული თუ არაქართული მთიელი მოსახლეობა ძირითადად „კავკასიონურ“ ანთროპოლიგიურ ტიპს განეკუთვნება, აფხაზთა დიდი ნაწილიც ანთროპოლოგიურად დასავლურ-ქართულ ტიპს ასახიერებს, ნაწილი კი - „მთურს“, „კავკასიონურს“; აღმოსავლეთ საქარველოს ბარის მოსახლეობაშიც დიდია „კავკასიონური“ ტიპის წარმომადგენელთა ხვედრითი წონა, რაც საბოლოო ჯამში, დროთა განმავლობაში, ქართველთა, აფხაზთა და ნახურ-დაღესტნური ელემენტის ინტენსიური შერევა-შერწყმის ილუსტრაციას წარმოადგენს, რაც უმთავრესად სამხრეთ კავკასიის (საქართველოს) ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

ანთროპოლოგიურად (იხ. მ.აბდუშელიშვილისა და მისი სკოლის კვლევა-ძიება) ქართველები დიდი ანუ პირველადი ევრაზიული რასის, მისი წინააზიური განშტოების წარმომადგენლები არიან. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველებს

შორის, ამასთანავე, შეინიშნება ადგილობრივი ნაირსახეობები. აჭარლების, გურულების და მეგრელების ჯგუფებში დადგენილია შავიზღვისპირული ტიპი, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავის ნაკლები ბრაქიკეფალურობა, სხეულის საშუალოზე მეტი სიმაღლე, სახის ნაკლები სიგანე, შედარებით სქელი ტუჩები, ძლიერ განვითარებული თმოვანი საფარი, შედარებით ღია ფერის თმა, მკვეთრად პროფილირებული სახე და პორიზონტალური ან ოდნავ ზეაწეული ცხვირის ფუძე. დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ჯგუფებში - იმერლების, ლეჩხუმლების, არამაღალ მთიანი რაჭველებისა და ასევე მეგრელების, გურულების, აჭარლების არაშავიზღვისპირულ ჯგუფებში დადგენილია დასავლურ-ქართული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც შავიზღვისპირულისაგან განსხვავდება ოდნავ ფართო სახით, უფრო მუქი თმით, ცხვირის გამოდრეკილი ფორმებით, ცხვირის პორიზონტალური ფუძით და შედარებით თხელი ტუჩებით. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, ძირითადად ქართველებისა და კახელების ჯგუფებში, დადგენილია აღმოსავლეთ ქართული ანთროპოლოგიური ტიპი, რომლისთვისაც ნიშანდობლივია უფრო ფართო შუბლი, ფართო ქვედა ყბა, შედარებით დაბალი სახე, საშუალოზე მუქი თვალები და თმა, მკვეთრად გამოხატული წარბები და წვერი, ცხვირის შედარებით ნაკლებად გამოდრეკილი ფორმები. მესხურ, ჯავახურ და ზოგიერთ ქართველურ ჯგუფებს შორის დადგენილია სამხრეთ ქართული ტიპი - მკვეთრი ბრაქიკეფალია, დაბალი ტანი, დაბალი და ვიწრო ცხვირი, საშუალოზე მუქი თმა, მკვეთრად გამოდრეკილი ცხვირი, დაქანებული ფუძე, ხშირი წარბები და წვერი. საქართველოს მთიანეთში სვანების, რაჭველების, ხევსურების, მოხეველების, მთიელების, გუდამაყრელების, ფშაველების, თუშების და სხვა ჯგუფებში დადგენილია კავკასიონის ტიპი, რომელსაც ახასიათებს მკვეთრი ბრაქიკეფალია, თავისა და სახის დიდი ზომა, მაღალი და ფართო ცხვირი, თხელი ტუჩები, საშუალოზე მუქი თმა და საშუალოზე ღია ფერის თვალები.

ქართველების ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის მაჩვენებელია ძირითადი ტაქსონომიური ნიშნების დიდი მსგავსება, ასევე ის, რომ ხუთივე ჯგუფი წინააზიურ რასას განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ქართველების ანთროპოლოგიური ჯგუფები არ წარმოადგენს კლასიკურ მცირეაზიურ ფორმას, რომლის ტიპიური ნიშნები გავრცელებულია სომხების, ასურელების და ა.შ. ჯგუფებში. მათთან ყველაზე ახლოს დგანან სამხრეთ-ქართული ჯგუფები. აღმოსავლურ-ქართული ჯგუფები სამხრეთ-ქართულისაგან განსხვავდებიან კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, ხოლო დასავლურ-ქართული და განსაკუთრებით შავიზღვისპირული ვარიანტები კლასიკური წინაზიურისაგან იმ ნიშნებით გამოირჩევიან, რომლებიც მათ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ ბონტურ ტიპთან აახლოებენ.

კავკასია ერთადერთი ადგილია, სადაც თავმოყრილია სამხრეთ-ევროპული რასის სამივე განშტოება, რომელიც რასოგენეტურად უფრო ძველია, ვიდრე ჩრდილო-ევროპული. კავკასიის ტერიტორია შედიოდა დიდი ევრაზიული რასის ფორმირების არეალში, ხოლო მისი მოსახლეობა ერთ-ერთი უძველესია ევრაზიული (ევროპეიდული) ტიპის ხალხებს შორის.[15]

პირველყოფილ-თემური წყობილების ადრეულ ეტაპზე ეთნიკურ პროცესში წამყვანი იყო ენობრივ-კულტურული დიფერენციაცია. ასე დაიშალა ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფი რამდენიმე განტოტებად (ქართები, მეგრელ-ჭანები, სვანები), მაგრამ უფრო გვიან ინტენსიურად დაიწყეს მოქმედება უკვე შეკავშირების (ინტეგრაციის) პროცესებმა. არქეოლოგიური მასალა გვიდასტურებს, რომ შუაბრინჯაოს ხანაში, თრიალეთის კულტურის არეში, უნდა არსებულიყ

[15] იხ.: ბასილ ბერეულიშვილის ნარკვევი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" X ტომში მოთავსებულ სტატიაში - „ქართველები", გვ. 459.

ო ტომთა დიდი კავშირები. შემდეგში, გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) კიდევ უფრო ფართოვდება ტომთა ასეთი კავშირები და ხდება მათი გადაზრდა ადრეკლასობრივ სახელმწიფოებში. ამ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე ფართო არეალის მომცველი დიდი არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება ამის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს. ასეთი დიდი და მცირე სტაბილური ტომთა კავშირებისა და ადრეკლასობრივ სახელმწიფოთა არსებობაზე ისტორიული საქართველოს, მათ შორის აჭარის ტერიტორიაზე მიგვანიშნებენ, აგრეთვე, ასურული და ურარტული ლურსმული წარწერების ცნობები დიაოხისა (ტაოს) და კოლხას (კოლხეთის) გაერთიანებათა შესახებ.

ეს პროცესი დაგვირგვინებას აღწევს ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში, როდესაც იქმნება ორი დიდი პოლიტიკური ერთეული - კოლხეთის სამეფო დასავლეთ საქართველოში და ქართლის (იბერიის) სამეფო აღმოსავლეთ საქართველოში. მათ ფარგლებში ადგილი აქვს შემდგომ კონსოლიდაციას, თუმცა, მისი ხარისხი, ჩანს, დიდად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მაშინ როდესაც იბერიულმა გაერთიანებამ მოიცვა არა მარტო ყველა ქართის ტომი, არამედ ბევრი სხვა წარმოშობის ტომიც, კოლხურ გაერთიანებაზე („კოლხეთის სამეფოზე") არ ითქმის, რომ იგი ყველა მეგრულ-ჭანურ ტომს აერთიანებდა. პონტოს მთებში მცხოვრები ჭანური ტომები ამ გაერთიანების გარეთ დარჩნენ. თვით კლასობრივი ურთიერთობის დონეზე აქ მოსახლეობის მხოლოდ მცირერიცხოვანი, ზღვისპირა ზოლში მცხოვრები ნაწილი ავიდა. ეს იყო განვითარებული ცხოვრების ერთგვარი კუნძული, რომელიც გარშემორტყმული იყო ჯერ კიდევ ტომობრიობის პირობებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი მთიელების ოკეანეთი (ამათგან ნაწილი ასევე მეგრულ-ჭანური, ნაწილი კი - სვანური, ადიღეური და სხვა წარმომავლობისა იყო), რომელზედაც ეფექტური კონტროლის დაწესება, თავისი ცხოვრების ფერხულში მჭიდროდ ჩართვა, ამ კოლხურმა სახელმწიფოებრიობამ, როგორც ჩანს, ვერ შესძლო. კოლხური სახელმწიფოს ეთნიკური ბირთვის მცირერიცხოვნება და სისუსტე, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე, ძვ.წ.VI საუკუნიდან აქ მრავლად გაჩენილი ბერძნული ახალშენები, რომლებიც უკვე ამ დროს თავისი მაღალგანვითარებული კულტურის ექსპორტს იწყებენ, განაპირობებდა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის სისუსტეს. ძვ.წ. II საუკუნიდან კოლხეთი საერთოდ უცხო სახელმწიფოების (პონტო, რომი, ბიზანტია) ხვედრი ხდება, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე ყველაფერ ამას ემატება მეზობელ მთიელთა ინტენსიური შემოღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აფერხებდა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესს.

საქართველოს მოსახლეობის შემდგომი კონსოლიდაცია უკვე მიმდინარეობდა მეზობელი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჰეგემონობით. კოლხეთისაგან განსხვავებით იბერია ბევრად უფრო ცენტრალიზებულ, მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მან მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაზე და მის მოშიჯნავე ჩრდილო კავკასიის ველების მომთაბარე ტომებზე. იბერიის მმართველთა საგარეო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ მთიელთა და მომთაბარეთა ძალების გამოყენებას ემყარებოდა. ასევე ჩაითრია აღმოსავლურ-ქართულმა სახელმწიფოებრიობამ თავის გავლენაში დასავლეთ ალბანეთის მოსახლეობა. ამასთან მან ანტიკურ ხანაშივე შეძლო ფეხის მოკიდება დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. მეფე ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს) იბერიაში შედის არგვეთი, სამცხე და აჭარა, ექვემდებარება მას ეგრისიც. ასეთი ვითარება გრძელდება შემდეგშიც, ყოველ შემთხვევაში იბერიის ძლიერების პერიოდში მაინც (მაგალითად. ახ.წ. I-II სს-ში და სხვ.). დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი რაიონები ამ დროს უკვე ქართის ტომებით იყო დასახლებული. ეს ძლიერი აღმოსავლურ-ქართული (ქართლის, იბერიის)

სახელმწიფოებრიობა, როგორც ჩანს, კარგად უმკლავდებოდა უცხო ძალების პოლიტიკურსა და კულტურულ მოძალებას - არ კარგავდა თავის დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას, უცხო (სპარსული, ბერძნულ-რომაული) კულტურის ელემენტები აქ გადამუშავებას განიცდიდნენ და ეროვნული ეთნო-კულტურული სამყაროს ორგანული ნაწილი ხდებოდნენ.

ამრიგად, უკვე ანტიკურ ხანაში მიმდინარეობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაცია ქართის (იბერიული) ელემენტის გარშემო. შემდგომი ბიძგი ამ პროცესს ახ.წ. IV-V ს მიეცა, როცა ქართლის ხელში აღმოჩნდა ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც იყო ქართული ქრისტიანობა (ქართული ქრისტიანული ეკლესია) და ქართული მწიგნობრობა. დასავლეთ საქართველოში კი უკვე ანტიკურ ხანაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულენოვანი იყო და ქართული ენა, ალბათ, საერთოდ წარმატებით უწევდა მეტოქეობას ბერძნულს და ამ რეგიონში ურთიერთობის ძირითად ენად მკვიდრდებოდა.

აჭარის მოსახლეობა ამ დროიდან (ანტიკური ხანიდან მაინც) უკვე ქართის ენაზე მოსაუბრე მასივს მიეკუთვნება. იგი თანამონაწილეა იმ მოვლენებისა, რაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული კლასობრივი ურთიერთობის ფორმირების საწყისი საფეხურიდან განვითარდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს კუთხეები არასოდეს ყოფილან ერთმანეთისაგან სრულად იზოლირებული; მთელი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა რთული მიგრაციული პროცესები, რომლის დროსაც ხშირად ხალხის დიდი მასები იცვლიდა ადგილსამყოფელს და ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა. განსაკუთრებით დიდი მისწრაფება ჰქონდა ბარისაკენ მთის მოსახლეობას, რომელიც მუდამ ავსებდა ბარს. ყოველივე ეს, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ხელს უწყობდა ცალკეულ კუთხეთა კარჩაკეტილობისა და განკერძოებულობის მოშლას, ზოგადქართული კულტურისა და ზოგადქართული ეროვნული ტიპის ჩამოყალიბებას.[16]

ქართულმა ეთნიკურმა ჯგუფმა სანამ ამ დონეს მიაღწევდა, ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ.წ. III ათასწლეულში საქართველოში სახლობდა ქართველური ენების ფუძე-ენის მატარებელი მოსახლეობა. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყ ისიდან დაიწყო მისი დიფერენციაციის პროცესი. თავდაპირველად გამოყოფა იწყო სვანურმა ჯგუფმა, ხოლო შემდგომ დიფერენციაცია განიცადა, აგრეთვე, დარჩენილმა ქართისა და მეგრულ-ჭანური ტომების ენობრივმა ერთობამ. ამ უძველეს ხანაში, როგორც ითქვა, რაონის ჩრდილოეთით დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ისე ბარის რაიონებში ძირითადად სვანური მოსახლეობა იყო გავრცელებული. რიონის სამხრეთით, დღევანდელ დასავლეთ საქართველოში და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში (თურქეთში) - მეგრულ-ჭანური, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში-უბირატესად ქართის ტომები სახლობდნენ. ამავე მიწა-წყალზე, კერძოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში იმ დროს სავარაუდებელია ცალკეული ვეინახურ-დაღესტნური ტომების, ხოლო დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მთიანეთში - აფხაზურ-ადიღეური ტომების არსებობა. მათი ნაწილი ორივეგან ქართველ ტომებს შეერწყა. ქართველ ტომებს შეერწყა აგრეთვე სამხრეთ-ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში მცხოვრები პროტოხეთური, ხურიტული და ურარტული ტომების ერთი ნაწილი.

[16] **ბაბუშელიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 460-461.

თავი V
აჭარა ადრერკინის ხანაში

§1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი) მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე ჩნდება წერილობითი ცნობები ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ, მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში (აჭარა, მესხეთი) მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. ჩვენ აქ ვხვდებით ამ მოსახლეობის საკმაოდ დიდ გაერთიანებებს, რომლებიც შესაძლებელია, უკვე ადრეკლასობრივ (განუვითარებელ კლასობრივ) სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ასეთი გაერთიანებები უნდა ყოფილიყო დიაოხი (ტაოხი, ტაო) და კოლხა (კოლხეთი), რომელთა შესახებ ცნობები გვხვდება ძვ.წ. XII-IX სს ასურულ და VIII ს ურარტულ ლურსმულ წარწერებში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა. უკვე თრიალეთის კულტურის მატარებელ მოსახლეობაში საქმე უნდა გვქონდეს დიდ ტომთა კავშირებთან, სადაც პირველყოფილი-თემური წყობილება რღვევას იწყებს. ცოტა უფრო გვიან, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, განვითარება კიდევ უფრო შორს მიდის და ჩამოყალიბებას იწყებს საკმაოდ დიდი და მყარი გაერთიანებები.

მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში ძვ.წ. XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე (და უფრო ადრეც) წარმოადგენდნენ „ნაირის ქვეყნები“ - მდ.ყარა-სუზე (დას. ევფრატი) და ყარა-სუსა და მურად-სუს ორმდინარეთში მდებარე პოლიტიკური ერთეულების კავშირი. ყველაზე გამოჩენილი მათ შორის სწორედ დიაოხი, ანდა, როგორც მას ასურელები ეძახდნენ, დაიაენი იყო („დიაუხის“ ამ ქვეყანას ურარტელები უწოდებდნენ). ეს სახელი ახლო მდგომი ფორმით გვხვდება V საუკუნის ბერძენ ავტორ ქსენოფონტესთან, რომელიც „ტაოხებს“ ასახელებს სამხრეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე გავლის დროს. ეს სახელი შემორჩა ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ ოლქს - ტაოს. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი დიაოხიც სადღაც მერმინდელ ტაოს რაიონში იმყოფებოდა. ჩვენამდე მოაღწია არზრუმის მიდამოებში ამოკვეთილმა ლურსმულმა წარწერამ, სადაც ურარტუს მეფე მენუა მოგვითხრობს დიაოხისა და მისი „სამეფო ქალაქის“ შაშილუს დაპყრობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერიტორია იმ დროს დიაოხის შემადგენლობაში იყო. ასურეთის მეფე სალმანასარ III დიაოხის იხსენიებს ამ ადგილებთან კავშირში: - მისი თქმით, მან მიაღწია დას. ევფრატის (ყარასუს) სათავეებს და აქ მიიღო ხარკი ამ ქვეყნის მეფე ასიასაგან.

დღევანდელი არზრუმისა და ყარა-სუს სათავეების რაიონი, ალბათ, დიაოხის სამხრეთ პერიფერიას წარმოადგენდა. მისი ტერიტორია აქედან ჩრდილოეთით ვრცელდებოდა. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დიაოხის მეზობლად ურარტული წყაროები იხსენიებენ

„ზაბახა“-ს (ე.ი. ჯავახეთს) ქვეყანას. დიაოხის ერთ-ერთი ოლქი-ხუშანი (ხუშალხი) შემდეგში კოლხას (ე.ი. კოლხეთის) ფარგლებში ექცევა და ა.შ.

ძვ.წ. XII ს ბოლოს დიაოხი (დაიაენი) ყველაზე ძლიერი ჩანს „ნაირის ქვეყნებს“ შორის, რაც აშკარაა იმ განსაკუთრებული როლის მიხედვით, რომელსაც ასრულებდა დაიაენი და მისი მეფე სიენი ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ ასურელთა ლაშქრობის დროს. ტიგლათფილესერ I მეფობის მესამე წელს (ძვ.წ. 1112 წ.) იგი სათავეში ედგა ნაირის ქვეყნების დიდ დაჯგუფებას - 23 „მეფის“ კოალიციას. დაიაენის (დიაოხის) გავლენა ვრცელდებოდა, აგრეთვე, მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებზედაც. ტიგლათფილესერ I წარწერაში ყურადღებას იქცევს ის, რომ ნაირის ქვეყნების იმ კოალიციის საშველად, რომელსაც სათავეში დაიაენი ედგა, მოდის სხვა „60 მეფის“ ლაშქარი, რომელთაც ტიგლათფილესერი ამარცხებს და მიერეკება „ზემო ზღვამდე“, ე.ი. ალბათ მათ გამოსავალ პუნქტამდე. ამრიგად, აქ საქმე უნდა ეხებოდეს „ზემო ზღვის“ ნაპირას მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომებს, რომლებიც სწორედ დაიაენის მეფის თხოვნით წამოსულან მისი და ნაირის სხვა ქვეყნების ლაშქრის მისაშველებლად.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ტიგლათფილესერ I წარწერის „ზემო ზღვა“ შავი ზღვაა.

ძვ.წ. XIII-XII სს ასურული წარწერების „ზემო ზღვაში“ შავი ზღვის მიჩნევას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ე.ი. ძველი კოლხეთის, მათ შორის აჭარის ისტორიის შესწავლისათვის. ამ წარწერების სახით ჩვენს განკარგულებაშია კარგად დათარიღებული კონკრეტული მასალა ძვ.წ. XIII-XII სს შავიზღვისპირეთის ტომთა შესახებ, ვეცნობით ამ მხარის ტომთა დიდ გაერთიანებებს, მათ ბრძოლებს სამხრეთის დიდი სახელმწიფოების ძალმომრეობასთან და სხვ. ჩვენ თვალწინ იშლება, აგრეთვე, სურათი მჭიდრო კავშირისა, რომელიც ამ გაერთიანებას ჰქონდა უფრო სამხრეთით არსებულ „ნაირის ქვეყნების“ გაერთიანებასთან და ა.შ. ძვ.წ. XIII-XII სს ასურულ წყაროებში ფიქსირებული შავიზღვისპირეთის ტომთა კავშირები ლეგენდარული კოლხეთის მოსახლეობის გაერთიანებებად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ტიგლათფილესერის ერთ-ერთი წარწერა, ნაპოვნი სოფ.იუნჯალუსთან (მალაზგირთის მახლობლად), რომელშიც ასურეთის მეფე თავის თავს ეძახის „ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან, ვიდრე დაიანიმდე, აგრეთვე, კილხის ქვეყნის დამპყრობელს, ვიდრე დიდ ზღვამდე“. აქაც საუბარი ჩრდილოეთში არსებულ ორ ტრადიციულ გაერთიანებაზე, ორ ქვეყანაზე უნდა იყოს - ნაირისა და ზღვისპირა ქვეყნების გაერთიანებაზე. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელიც აქ „კილხი“-ს, ე.ი. როგორც ვფიქრობთ, კოლხის\\კოლხეთის სახელით იხსენიება.[1] ამრიგად, ჩვენ საშუალება გვეძლევა ვილაპარაკოთ კოლხური გაერთიანების ბრძოლებზე ძვ.წ. XII-XI სს ასურეთის ხელისუფლებასთან. ამ ბრძოლებში კოლხური გაერთიანება გამოდიოდა მის სამხრეთით მდებარე ნაირის ქვეყნების გაერთიანებასთან მჭიდრო კავშირში, რომელშიც წამყვანი მდგომარეობა დიაოხის (დაიაენის) ეკავა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კი კილხის (კოლხის, კოლხეთის) ქვეყნის მოსახლეობა ამ დროს, ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს, ჯერ კიდევ ბირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა. ამაზე მიგვითითებს, თუნდაც, დიდი მრავალრიცხოვნება „ზემოზღვისპირა მხარის“ (კილხი\\კოლხეთის) მეფეებისა (თუქულთი-ნინურტა I ლაპარაკობს ნაირისა და ზემოზღვისპირა ქვეყნის 40 მეფეზე, ტიგლათფილესერ I კი იხსენიებს ამ მხარიდან მოსულ 60 მეფეს კიდევ სხვა მეფეებთან ერთად). ამ დროს აქ თითქოს მყარი ტომთა კავშირიც კი არ უნდა ყოფილიყო (გაერთიანებას ერთი მეთაური არ უჩანს), მაგრამ განვითარება აქ უცი-

[1] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ.: Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, ст. 181-185.

ლობლად ამ მიმართულებით მიდიოდა: ხან თავდაცვითი და ხან შეტევითი მიზნით იქმნებოდა კოლხური ტომების დიდი გაერთიანებები, რომლებიც თანდათან უფრო მყარ გაერთიანებებში უნდა გადაზრდილიყო. ამ ადგილებში კარგი ბირობები არსებობდა, აგრეთვე, მეურნეობის მთელი რიგი დარგების, განსაკუთრებით მესაქონლეობისა და მეტალურგიის დაწინაურებისათვის. რკინის სამრეწველო გამოყენებაზე სწრაფმა გადასვლამ, აგრეთვე წინააზიური კულტურის ცენტრებთან სიახლოვემ და მათთან უშუალო კონტაქტმა სწრაფი ტემპით წაიყვანა აქაური მოსახლეობის კონსოლიდაცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. აღნიშნული არამყარი გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა ძლიერი კოლხური გაერთიანება - კოლხეთის სამეფო. ძვ.წ. VIII ს შუა ხანებში, როდესაც მასთან ბრძოლები უხდებოდა ურარტუს ძლიერ სახელმწიფოს, კოლხეთის (კოლხა) უკვე ერთიანი პოლიტიკური ერთეული იყო თავისი „მეფით", „სამეფო ქალაქებით", პროვინციების გამგებელი „მეფისნაცვლებით" და ა.შ. ეს ტრანსფორმაცია ტიგლათ-ფილესერ I შემდგომ ხანაში, ძვ.წ. XI-IX სს მანძილზეა სავარაუდებელი. სწორედ ამ დროს კოლხი (კოლხეთი) გადაიქცა მყარ და ძლიერ გაერთიანებად, რომელმაც თავისი გავლენა განაგრცო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე, მათ შორის აჭარაზე. ამან, უეჭველია, ხელი შეუწყო ამ მხარეში მცხოვრები მოსახლეობის იმ კულტურული ერთობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, რომელიც „კოლხური კულტურის" სახელითაა ცნობილი.

არგონავტებზე ძველბერძნულ თქმულებაში, რომელშიც ბერძენი გმირების კოლხეთში მგზავრობაზეა ლაპარაკი, აისახა დიდება და ძლიერება სწორედ ამ ძველი კოლხური სამეფოსი. ისტორიულ კოლხეთს პირველი ბერძენი ზღვაოსნები (მეკობრეები და კოლონისტები), როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს, ძველი კოლხური გაერთიანების ძლიერების პერიოდში, გაეცნენ (ძვ.წ. XI-VIII სს) და კოლხეთის თემა არგონავტებზე მითში ამ დროით უნდა დათარიღდეს. მართალია, არგონავტების ლაშქრობას ბერძნული ტრადიცია ტროას ომის (XII ს) წინარე ხანაში ათავსებდა და ასევე ძალიან ადრე უნდა შექმნილიყო მასზე თქმულების ზოგიერთი კვანძიც, მაგრამ არ არის საკალდებულო, რომ კოლხეთის თემაც მასში ძვ.წ. XII ს უწინარეს ხანაში გაჩენილიყ ო. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კოლხეთისა და ოქროს საწმისის თემა მითში უფრო გვიან უნდა იყოს ჩართული, როდესაც განხორციელდა მდ.ფაზისისაკენ ბერძენთა დაზვერვები და მოთა-რეშე ლაშქრობანი. რიჰარდ ჰენინგის აზრით, კერძოდ, ძვ.წ. VIII ს შემდეგაა მითში ჩართული მოთხრობა კოლხეთში ლაშქრობაზე, ოქროს საწმისის მოტაცებაზე და მთელი ბოეტური შენათხზი, რომლითაც მოცულია მედეას სახე.[2] ამის საბუთად მიაჩნიათ ის, რომ ჰომეროსთან არ იხსენიება მედეა, კოლხეთი ან ოქროს საწმისი. ძნელია დავეთანხმოთ არგონავტების მითში კოლხეთის თემის შეტანის ასე გვიანი დროით (ძვ.წ. VIII ს და შემდეგ) დათარიღებას, რადგან ძვ.წ. VIII ს ბოლოდან, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც განადგურდა (კიმერიელების შემოსევის შედეგად) ეს ძლიერი ძველი კოლხური სამეფო, ძველბერძნულ წარმოდგენებში ამგვარი კოლხეთის გაჩენისათვის თითქოს საფუძველი აღარც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისაა საკალდებულო, რომ კოლხეთის თემის გაჩენა ამ თქმულებაში მაინცდამაინც მეტისმეტად შორეულ ხანას, ტროას ომის წინა ბერიოდს დავუკავშიროთ და აქ კოლხეთთან მიკენური (აქეური) ხანის საბერძნეთის ურთიერთობის ანარეკლი მივიჩნიოთ. შავიზღვისპირეთის კოლხეთის (კილხის) შესახებ ასურულ ლურსმულ წარწერებში დაცული ცნობების ზემოთ მო-ტანილი ინტერპრეტაციით თითქოს არც ამისი საფუძველი არსებობს. ასეთი კოლხეთი ესოდენ

[2] Хенинг Р. Неведомые земли, I, Москва, 1961, с. 37. აგრეთვე, Ельницкий Л.А. Знания древних о северных странах, Москва, 1961, с. 12.

შორეულ ხანაში არც იყარაუდება.

ძვ.წ. XI საუკუნიდან IX-VIII საუკუნეებამდე ლურსმული წარწერები სდუმან დიაოხისა და კოლხას შესახებ. წარწერების ეს დუმილი არ შეიძლება ამ გაერთიანებათა დასუსტება-განადგურებით ავხსნათ. პირიქით, ეს პერიოდი მათი განმტკიცება-გაძლიერების ხანა უნდა ყოფილიყო: მალე, ტიგლათფილესერ I (1115-1077) შემდეგ ასურეთი დასუსტდა და რამდენიმე საუკუნის მანძილზე აწარმოებდა მძიმე თავდაცვით ბრძოლებს არამეელი ტომების წინააღმდეგ. ასურეთს ამ დროს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეტევა განეხორციელებინა ისეთი შორეული ქვეყნების წინააღმდეგ, როგორიც დიაოხი იყო. როდესაც ძვ.წ. IX ს ასურეთი ხელახლა გაძლიერდა და ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობები განაახლა, ცნობები დიაოხის შესახებ კვლავ გაჩნდა ასურულ ლურსმულ წარწერებში, ხოლო მალე დიაოხის, ისევე როგორც კოლხას შესახებ ხშირია საუბარი, აგრეთვე, ურარტულ ლურსმულ წარწერებშიც.

სამხრეთ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ურარტუს ყველაზე უფრო სერიოზულ მოწინააღმდეგეს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში არსებული დიაოხი (ტაოხი, ტაო) წარმოადგენდა. ურარტუს სახელმწიფოს გაძლიერებით დიაოხის მდგომარეობა ძალზე გართულდა. ურარტუ მისთვის უმთავრესი საფრთხე ხდებოდა. შეიძლება ამიტომ იყო, რომ როდესაც ძვ.წ. 845 წ. ურარტუს ტერიტორიის დარბევის შემდეგ, მის საზღვრებთან ასურეთის მეფის სალმანასარ III ლაშქარი გამოჩნდა, დიაოხის მეფე ასია იჩქარის გამოცხადდეს ასურელთა წინაშე ძღვენით და ამით ერთგულება დაუდასტუროს მათ: ეს იმ სიენის შთამომავალია, რომელიც ადრე, ტიგლათფილესერ I დროს, სათავეში ედგა ჩრდილოეთის ხალხების - ნაირის ქვეყნების - ბრძოლას ასურელთა წინააღმდეგ. ახლა იგი, ჩანს, უბრძოლველად ემორჩილება ასურელებს.

მაგრამ ასურეთზე ორიენტაცია დიაოხისათვის უპერსპექტივო აღმოჩნდა. ძვ.წ. IX საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერებულმა ურარტუმ ასურეთს არა მარტო გზა გადაუღობა ჩრდილოეთით მდებარე რაიონებისაკენ, არამედ ბევრად უფრო სამხრეთით დაუწყო მას შევიწროება. მართალია, დიაოხი ძლიერი ურარტუს პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა, მაგრამ მას ბევრი მოკავშირე აღმოაჩნდა სამხრეთ ამიერკავკასიის ტომთა შორის, რომლებიც ასევე შეწუხებული იყვნენ ურარტელთა ყაჩაღური ექსპედიციებით. დიაოხი, როგორც ყველაზე ძლიერი სამხრეთ ამიერკავკასიის ტომთა გაერთიანებებს შორის, ჩანს, ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა. ამიტომაც, ბუნებრივია, ურარტუს მეფეები, პირველ ყოვლისა, მის განადგურებას ცდილობენ.

დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკია ურარტუს მეფის მენუას (ძვ.წ. IX ს დასასრული და VIII ს დასაწყისი) საკმაოდ ვრცელ, 40 - სტრიქონიან წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია კლდეზე, დიაოხის ტერიტორიაზე, დღევანდელ ქალაქ არზრუმის მიდამოებში.[3]

საინტერესოა, რომ მეფე მენუა დიაოხის „ძლევამოსილ (ძლიერ) ქვეყანას" ეძახის. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მტრული ქვეყანა ურარტულ წარწერებში ასეთი ეპითეტით არის მოხსენიებული. ჩანს, რომ დიაოხი ამ დროს საკმაოდ დიდ, ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა.

როგორც ირკვევა, მენუას დროს ურარტელებს დიაოხის „ქვეყანა გადაუბუგავთ და ციხე-სიმაგრეები (გამაგრებული სამოსახლოები) დაუნგრევიათ". ამ ქვეყნის მმართველი დამორჩილებია ურარტელებს, ძღვენი მიურთმევია (ოქრო, ვერცხლი, ცხენები) და ხარკის გადახდა უკისრია. ურარტელები შეეცადნენ ამ მხარეში საყრდენი პუნქტების მოწყობას, რათა მუდმივი მუქარის ქვეშ ყოლოდათ ეს ქვეყანა. ამაზე მიგვითითებს დიაოხის ტერიტორიაზე ან მის მეზობლად, მის

[3] Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, надпись №36.

სამხრეთ პერიფერიაზე ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. არზრუმისავე რაიონში დატოვებულ ზოგიერთ წარწერაში ლაპარაკია „დიდებული ციხე-სიმაგრის მშენებლობაზე“ ამ ადგილებში.

მენუას ლაშქრობა დიაოხის ქვეყანაში, როგორც ჩანს, ამ მეფის მმართველობის ბოლოს მოხდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ დიაოხის მეფე უტუფურსის, რომელსაც ებრძვის მენუა, იხსენიებს აგრეთვე მენუას მემკვიდრე არგიშთი I.

არგიშთი I (ძვ.წ. 786-764 წწ) დიდი ბრძოლები ჰქონია დიაოხისთან. მის ერთ-ერთ წარწერაში მოტანილი ოდენობა დიაოხიში ხელთგდებული ტყვეებისა და ნადავლისა, ასევე დიაოხისაგან მიღებული ან მომავლისათვის დაკისრებული ხარკისა გვიჩვენებს, რომ დიაოხი არგიშთი I დროსაც დიდი და ძლიერი ქვეყანა ყოფილა. ამავე მასალის მიხედვით დიაოხში დიდად განვითარებული ჩანს მესაქონლეობა (განსაკუთრებით წვრილფეხა რქოსანი საქონლის, აგრეთვე ცხენების მოშენება) და მეტალურგია (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი).[4]

ჩვენ არ მოგვებოვება სათანადო მონაცემები იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ რა სახის გაერთიანება უნდა ყოფილიყო დიაოხი. იგი შესაძლებელია, უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, ანდა სახელმწიფოდ გადაქცევის ზღურბლზე იმყოფებოდა.[5] ეჭვს არ იწვევს საწარმოო ძალთა განვითარების საკმაოდ მაღალი დონის არსებობა ამ გაერთიანების წამყვან მოსახლეობაში. ამაზე მეტყველებს მონაცემები მეტალურგიისა და მესაქონლეობის განვითარების, აგრეთვე, ძვირფასი ლითონების სიუხვის შესახებ. ბევრს ნიშნავს ისიც, რომ აქ საქმე გვაქვს საკმაოდ მყარ, საუკუნეების მანძილზე არსებულ ერთეულთან, ისიც ძველი აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების ახლო-მეზობლად მდებარე. მათთან ინტენსიური ურთიერთობა უჩანს. ამ გაერთიანების სათავეში მუდამ ერთ ბირს ვხედავთ - „მეფეს“. ასურული და ურარტული წყაროები ძალიან ხშირად მათ სახელებით იხსენიებენ (სიენი, ასია, უტუფურსი) და არასდროს არ ლაპარაკობენ „დიაოხის მეფეების“ შესახებ. მეზობელი სახელმწიფოების მესვეურთ სწორედ დიაოხის ამ ხელისუფლებთან აქვთ საქმე, როგორც თავის ქვეყანაში სუვერენიტეტის განმასახიერებლებთან აქვთ საქმე. ასეთი სუვერენიტეტის განმახორციელებლად აქ როდი გვევლინება „ხალხი“ და „უხუცესები“, როგორც ეს ხშირადაა ხეთურ წყაროებში ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიელთა შესახებ საუბრისას.

განვითარების მაღალი დონე, როგორც ჩანს, უმთავრესად ჰქონდა დიაოხის წამყვან მოსახლეობას. ამასთან, დიაოხის მმართველებს, უეჭველია, დაქვემდებარებული ყავდათ მათ მეზობლად ჯერ ისევ ბირველყოფილ-თემური წყობილების ბირობებში მცხოვრები მრავალი ტომი.

არგიშთი I მომდევნო მეფე სარდური II თავის წარწერებში უკვე სრულიად არაფერს ამბობს დიაოხის შესახებ, რომელიც ძლიერი და მტრულად განწყობილი ქვეყანა იყო არგიშთი I მეფობის უკანასკნელ წლებში. არა გვგონია, რომ სარდური II დროს დიაოხი უცბად ლოიალური გამხდარა ურარტუს მიმართ. თუ ეს ასე მოხდა, ამასაც თავისი საფუძველი უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს უნდა ჰქონოდა ადგილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ურარტულ წარწერებში სარდური II დროს დიაოხის ენაცვლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა მეორე დიდი გაერთიანება - კოლხა, როგორც მას ურარტელები უწოდებენ, ე.ი. კოლხეთი. სარდური II მეფობამდე კოლხას შესახებ არაფერი ისმის. უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო საზღვარი კოლხასა და ურარტუს მანამდე არ გააჩნდათ. მათ შორის იყო მოქცეული სწორედ დიაოხისა და სხვა უფრო წვრილი გაერთიანებების მიწა-

[4] Меликишвили Г.А. დასახ. ნაშრ., №128. В-I.

[5] შდრ. ი.მ.დიაკონოვთან, წიგნში «Всемирная история», I, с. 515.

წყალი. ნიშანდობლივია ისიც, რომ კოლხა არ ჩანს სამხრეთ ამიერკავკასიის იმ მრავალრიცხოვან გაერთიანებათა შორის, რომლებიც არგიშთი I დროს ეხმარებოდნენ დიაოხის ურარტუსთან ბრძოლაში. ეს გვავარაუდებინებს, რომ კოლხას ამ შემთხვევაში თავისებური პოზიცია უნდა სჭეროდა. ამ ორ მეზობელ დიდ გაერთიანებას შორის დიაოხისა და კოლხას შორის საუკუნეობრივი მეტოქეობა და ჭიდილი არის სავარაუდებელი. კოლხას მმართველები ახლა, ალბათ, საკუთარი ინტერესებით უდგებოდნენ დიაოხი-ურარტუს ბრძოლებს, არაფერს აკეთებდნენ დიაოხის დასახმარებლად და უცდიდნენ, რომ დასუსტებული დიაოხის მემკვიდრეობა ხელში ჩაეგდოთ. სამხრეთ ამიერკავკასიის ბევრ მცირე ტომობრივ ერთეულს დიაოხისთან აერთიანებდა, ალბათ, როგორც ურარტუს, ისე ძლიერ კოლხას წინააღმდეგ საბრძოლველად.

ურარტელთა ლაშქრობებმა ძლიერ დაასუსტეს დიაოხი. ურარტელებმა მას წაართვეს სამხრეთი რაიონები და იქ დასაყრდენი პუნქტები შექმნეს. დიაოხის მათ მძიმე ხარკი დაადეს (მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ცხენები, ლითონები, მათ შორის ოქრო და ვერცხლი), მაგრამ ურარტუს არ შეეძლო მთლიანად დაეპყრო დიაოხი. უკანასკნელი ლახვარი დასუსტებულ დიაოხის, როგორც ჩანს, მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა - კოლხამ ჩასცა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგიერთი „ქვეყანა“, რომელიც არგიშთი I დროს დიაოხისთან კავშირში იხსენიება და, როგორც ჩანს, მისი გავლენის სფეროში შედიოდა, სარდური II დროს უკვე კოლხასთან კავშირში იჩენს თავს. ასეთია ვითარება, მაგალითად, ხუსას ქვეყნის მიმართ.

ამიერიდან კოლხეთი და ურარტუ უშუალო მეზობლები გახდნენ და მათ შორის შეტაკებაც გარდაუვალი გახდა: სარდური II წარწერებში კოლხეთთან ბრძოლას საკმაოდ დიდი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.[6] ურარტუს ამ მეფის მატიანედან ვიგებთ ორი ლაშქრობის შესახებ, რომელიც ურარტელებს კოლხას წინააღმდეგ მოუწყვიათ.

პირველი ლაშქრობა ძვ.წ. 750-748 წლებში მოწყო. სარდური მეფე ამბობს: „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის სიდიადით ხახა, ხუსა(ლხი)ს ქვეყნის მეფე, მისი ხალხითურთ იქიდან წამოვიყვანე, ტყვედ გამოვრეკე და დავასახლე ჩემს ქვეყანაში“. ხუსას ქვეყანა, როგორც ვთქვით, ადრე დიაოხის შემადგენლობაში შედიოდა, ახლა კი იგი, ჩანს, კოლხას ფარგლებში განიხილება, რაც იმითი დასტურდება, რომ მისი დაპყრობა კოლხას წინააღმდეგ ლაშქრობად არის მიჩნეული; საქმე ეხება კოლხას სამხრეთ პერიფერიას და ამჯერად კოლხეთის ძირითად ძალებთან, მის „მეფესთან“ შეტაკება არც იგულისხმება.

მეორეჯერ, ძვ.წ. 747-742\41 წლებში, ურარტელები, ჩანს, კოლხას წინააღმდეგ ლაშქრობისას კიდევ უფრო ჩრდილოეთ რაიონებში მოქმედებენ.

ამ შემთხვევაში ურარტელები, ჩანს, საკუთრივ კოლხას მიწა-წყალზე მოქმედებენ: ისინი იპყრობენ კოლხეთის მეფის „სამეფო ქალაქ“ ილდამუსას. „სამეფო ქალაქი“ ლურსმულ დამწერლობაში აუცილებლად დედაქალაქს არ აღნიშნავდა; უეჭველია, იგი სამეფოს რეზიდენცია არ უნდა იყოს, რაც იქიდან ჩანს, რომ თვით კოლხეთის მეფე საომარ მოქმედებაში არ მონაწილეობს - ეტყობა, მან ვერ მოასწრო ილდამუსის საშველად მოსვლა. წარწერაში კოლხეთის მეფის სახელიც ყოფილა ნახსენები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახელის პირველი მარცვალი წაშლილია, დარჩენილია მხოლოდ მისი დაბოლოება - „სა“. ილდამუსაში მსხდარან კოლხას მეფისნაცვლები. კოლხეთი (კოლხა), რომელსაც ურარტუ ებრძვის, უკვე ადრეკლასობრივი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. ზოგი ნიშნის მიხედვით ამ ძველ კოლხებს საკუთარი დამწერლობაც კი უნდა ჰქონოდათ. რა თქმა უნდა, კლასობრივი საზოგადოების დონეზე, დიაოხის მსგავსად, აქ გაერთიანების წამყვანი მოსახლეობაა სავარაუდებელი. ამ სამეფოს გავლენის სფეროში, ალბათ,

[6] Меликишвили Г.А. Урартские клинобр. надписи, №155, С.Д.

შედიოდა ბევრი ისეთი რაიონიც, რომლის მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების ბირობებში ცხოვრობდა; ამის ნიშანი უნდა იყოს რომ ურარტელები კოლხაში ცალკე „ქვეყნების“ „მეფეებსაც“ ხვდებიან - ე.ი. ტომთა ბელადებს (იხ. ზემოთ სარდური II ცნობა კოლხაზე გალაშქრებასა და აქ ხუსას ქვეყნის მეფის დატყვევებაზე).

კოლხაში, ურარტული წყაროების მონაცემების მიხედვით განვითარებული ყოფილა შესაქონლეობა: კოლხასა და ვიტერუხის ქვეყნებზე გალაშქრებისას სარდური II ხელთ უგდია დიდძალი პირუტყვი (1500 ცხენი, 17300 მსხვილფეხა და 31600 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი). განვითარებული იქნებოდა აქ მეტალურგიაც. იმ ფაქტში, რომ სარდური II კოლხას ქალაქ ილდამუსაში „რკინის ბეჭედს“ აკეთებინებს, ჩვენ შეიძლება აქ რკინის დამუშავების მნიშვნელოვანი კერა დავინახოთ. ეს, სხვათა შორის, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ურარტულ წყაროებში იხსენიება „რკინა“. „რკინის ბეჭედი“, მისი გამარჯვების აღსანიშნავად, ილდამუსაში ურარტუს მეფეს, ალბათ, ადგილობრივმა ოსტატებმა გაუკეთეს, რომლებიც ამ საქმეში განთქმული უნდა ყოფილიყვნენ.

ურარტელები სარდური II დროს, უეჭველია, კოლხას მხოლოდ სამხრეთ რაიონებში მოქმედებდნენ (ხუსას ქვეყანა, ქალაქი ილდამუსა). კოლხეთის მეფის რეზიდენცია, დედაქალაქი, სადღაც უფრო ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. დამახასიათებელია, რომ კოლხასთან დაკავშირებით ურარტელები არაფერს ამბობენ „ზემო ზღვის“, ე.ი. შავი ზღვის შესახებ. ჩანს, კოლხეთის ზღვისპირა რაიონებისათვის მათ არ მიუღწევიათ. ჩვენი აზრით, ძველი კოლხური სამეფოს ცენტრი სადღაც უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო და არა ფაზისზე (რიონზე), სადაც მას უფრო მოგვიანო ტრადიცია ათავსებს. იგი უფრო მეორე დიდი მდინარის - ჭოროხის ქვემოწელზეა სავარაუდებელი, ე.ი. დღევანდელი აჭარის მიწა-წყალზე. ურარტუსთან ახლო კონტაქტი ასე უფრო ადვილად გასაგებია. არ უნდა დავიიწყოთ, რომ აქ, ჭოროხის აუზში, არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი. ძველი კოლხური სამეფო, უეჭველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო.

როგორც გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მატარებელი, ისე ძველი კოლხური სამეფოს მოსახლეობა უმთავრესად ქართველური ტომებისაგან შედგებოდა. ამ დროს ქართებსა და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება შეიძლება ჯერ თითქმის არ იყო. მხოლოდ სვანური რამდენადმე უკვე დაშორებული იყო საერთო-ქართველურს, თუმცა, „კოლხური კულტურა“ და ძველი კოლხეთის სამეფო, უეჭველია, მათაც მოიცავდა. ამრიგად, ძველი კოლხეთის სამეფო, რომელიც XI-VIII სს არსებობდა, ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა და აჭარის ტერიტორიასაც მოიცავდა.

სწორედ კოლხას (კოლხეთის) ამ ძლიერი და უძველესი სამეფოს არსებობის ხანაში გაეცნენ ბერძნები პირველად შავიზღვისპირეთის ამ კუთხეს. ამ სამეფოს ძლიერებამ და ბრწყინვალებამ ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინა მათზე, რომ თავის მითებსა და თქმულებებში კოლხეთს საპატიო ადგილი მიუჩინეს. ასე მაგალითად, თქმულება არგონავტების ლაშქრობის შესახებ კოლხეთში,[7] სადაც ზღაპრულ ამბებთან ერთად, როგორც დასტურდება, ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კოლხეთის სამეფოს აღწერისას იქ აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება. თუმცა, მცირე, მაგრამ კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს ამ დიდი კოლხური გაერთიანების შესახებ, როგორც დავინახეთ, გვაწვდიან ჩვენ ურარტული ლურსმული წარწერები, როდესაც მოგვითხრობენ კოლხას ქვეყნის შესახებ.

[7] ა.�ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.

კოლხას (ძველი კოლხური) სამეფო, უნდა ვიფიქროთ, განადგურდა ძვ.წ. VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩრდილოეთიდან კიმერიელთა შემოსევის შედეგად. ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთისაკენ დაიწყო სკვითებისა და კიმერიელების დიდი შემოსევები. განსაკუთრებულ ძალას ამ შემოსევებს, როგორც ჩანს, ის ამძლევდა, რომ სკვითებსა და კიმერიელებს უერთდებოდნენ ძველაღმოსავლური დიდი სახელმწიფოებისაგან შევიწროებულ კავკასიასა და უფრო სამხრეთით მცხოვრები მცირე ტომები.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევა რამდენიმე ნაკადად მოხდა: ძვ.წ. VIII საუკუნის 30-იან თუ 20-იან წლებში წინა აზიას შემოესია კიმერიელთა დიდი მასა. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობით, ისინი მოდიოდნენ ე.წ. მეოტიდა-კოლხეთის გზით, აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებით. ცოტა უფრო გვიან, სხვა გზით (დერბენდის გადასასვლელით, კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო) წინა აზიაში მოვიდნენ სკვითები, მაგრამ არქეოლოგიური მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ჩრდილოელ მომთაბარეთა სამხრეთში შემოღწევა უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე კავკასიონის სხვა გადასასვლელებით (მაგალითად, დარიალის ხეობით და სხვ.).

კიმერიელების შემოსევის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ასურეთის მეფის სარგონ II (722-705) დროს დოკუმენტებში. აქ ბევრია ლაპარაკი იმ სასტიკი დამარცხების შესახებ, რომელიც ურარტელებს კიმერიელებთან ბრძოლაში განუცდიათ. ურარტელთა ეს დამარცხება ძვ.წ. 715 წელზე უადრეს ხანაში უნდა მომხდარიყო. გამარჯვებული კიმერიელები დასახლდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და სამხრეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ ადგილას. ამის შესახებ ისიც მეტყველებს, რომ ძველ სომხურ წყაროებში კაპადოკია კიმერიელთა სახელს („გამირქ") ატარებს. საქართველოს ერთ-ერთი ოლქის თრიალეთის (სომხ. თრელ-ქ) სახელიც ერთ-ერთი კიმერიული ტომის — ტრერების (თრერების) სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი.

იმისათვის, რომ ურარტუში, კაპადოკიასა ან თრიალეთში მოსულიყვნენ კიმერიელებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროთი მოდიოდნენ, უნდა გაევლოთ კოლხას (კოლხეთის სამეფოს) მიწა-წყალზე და მისი წინააღმდეგობა დაეძლიათ. ურარტუზე ადრე კიმერიელთა დარტყმა, ალბათ, სწორედ კოლხამ იგემა. რა თქმა უნდა, კიმერიელთა ურდოებს იგი სასტიკად უნდა გაენადგურებინათ. კოლხეთის სამეფოს წამყვანი მოსახლეობა ნაწილობრივ ალბათ, გაიუკლიტა. ნაწილობრივ კი მეზობელ ოლქებში გაიხიზნა. კოლხას განადგურებით შეიძლება ისარგებლეს მეზობელმა მთიელმა ტომებმა და ამ სამეფოს კონტროლის ქვეშ მყოფ დაბლობზე გავრცელდნენ. შეიძლება ამ დროს მოხდა კლარჯების (ურარტ.ქათარზა) ზღვისპირა ზოლში გამოჩენა, ან კიდევ ვიტერუხის (ზღვისპირა ბიძერები, სამცხის ოძრახე) და სხვათა ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლება. ურარტულ ხანაში ხომ ჩვენ მათ უფრო სამხრეთით ვხედავთ.[8]

სკვითებისა და კიმერიელების ნაკვალევი ჩანს იმ დროის საქართველოს, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების მატერიალურ კულტურაშიც. ბევრგანაა ნაპოვნი სკვითური ტიპის იარაღი (აკინაკები, ისრისპირები), სამარხები სკვითური ინვენტარითა და ცხენის ჩონჩხით (დვანის სამაროვანი, სამარხები სოფ. წიწამურთან, სამთავროში (მცხეთა), სოფ.ბეშთაშენთან თრიალეთში, კულანურხვას სამაროვანი გუდაუთას მახლობლად, სკვითური იარაღი სოფ.კოლხიდასთან გაგრის რაიონში, ახალი ათონის მიდამოებში და სხ.). სკვითური მასალები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სომხეთში არმავირ-ბლურზე და აზერბაიჯანში, მინგეჩაურში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ ანტიკურ ხანაში სამხრეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი დიდი ოლქი საკების (სკვითების) სახელწოდების მიხედვით „საკაშენად" იწოდებოდა.

[8] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 382 და შმდ.

ამრიგად, ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოდან მრავალმა ქარიშხალმა გადაუარა ქართველი ტომებით დასახლებულ მიწა-წყალს. ბევრგან მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა მოხდა, დაეცა ძველი კოლხური სამეფო, ქართველი ტომების იზოლაცია ერთმანეთისაგან სწრაფი ტემპით განვითარდა, ქართებსა და მეგრულ-ჭანურ ტომებს შორის ენობრივი განსხვავება ისახებოდა და ღრმავდებოდა.

მუდმივი ომიანობა, არამყარი პოლიტიკური ვითარება, საწარმოო ძალების საკმაოდ მაღალგანვითარებისა (ამ დროისათვის ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში დამთავრებულია რკინის სამეურნეო გამოყენებაზე საყოველთაო გადასვლა) და მნიშვნელოვნად უკვე დარღვეულ ბირველყოფილ-თემურ ურთიერთობათა პირობებში, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ახალი, დიდი და მყარი გაერთიანებების - ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნისათვის. ქართველი ტომების ამ ახალი გაერთიანებების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა სამხრეთში ახლად წარმოქმნილ/დიდ სახელმწიფოებთან - მიდიასთან და შემდეგ სპარსეთთან ინტენსიური ურთიერთობის პირობებში.

მიდიის სახელმწიფო ჩამოყალიბდა ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უმთავრესად დღევანდელი (ირანის) აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მიდიელები ერთ-ერთ ირანულ ტომს წარმოადგენდნენ; ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულს ბაბილონეთთან კავშირში მიდიის სახელმწიფომ გაანადგურა ასურეთი; მოკავშირეებმა გაიყვეს ასურეთის იმპერიის მიწა-წყალი. ჩრდილოეთი რაიონები მიდიას ხვდა წილად. დაახლოებით ძვ.წ. 590 წლისათვის მიდიელებმა ბოლო მოუღეს ურარტუს სამეფოს. ურარტუს ცენტრალური ნაწილი მაინც მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შეეიდა. ურარტუს განადგურებით ისარგებლეს მეზობლებმა და დაიწყეს მისი ტერიტორიის დაკავება. ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწია სომეხი ტომების გაერთიანებამ, რომელიც აქამდე ურარტუს დასავლეთ პერიფერიაზე არსებობდა. სომეხმა ტომებმა იწყეს აღმოსავლეთისაკენ მოძრაობა და ძველი ურარტუს მთელი რიგი რაიონები დაიკავეს. აქ მცხოვრები ურარტელების დიდი ნაწილი სომხებში გაითქვიფა. ურარტელთა ერთმა ნაწილმა, ეტყობა, ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა, ქართველი ტომების ჰეგემონების ქვეშ მოექცა და მათ შეერწყა, მათში გაითქვიფა. ამაზე მიგვითითებს მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტები: ქართულში შემოინახა მთელი რიგი გამოთქმები, რომლებიც ქართული ენის მონაცემებით ვერ აიხსნება, სამაგიეროდ, მშვენიერ ახსნას ჰპოვებს ურარტული ენის საფუძველზე. მაგალითად, ქართულ გამოთქმებში - ყირამალა, თავდაყირა, ყირაზე გადასვლა და სხვ. აშკარაა, რომ „ყირა“ მიწას უნდა ნიშნავდეს: ყირა(მიწა) მა\ღ\ლა, თავდაყირა, თავით მიწისაკენ, ყირაზე (მიწაზე) გადასვლა; მაგრამ „ყირა“ ქართველურ ენებში არაფერ მსგავსს არ ნიშნავს, მაშინ, როდესაც მიწას ურარტულად სწორედ „ყირა“ (qira) ერქვა. ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ძველი ქართული სიმღერის მისამღერი, სადაც ძველაღმოსავლური ღვთაებების სახელები ისმის. ერთ-ერთი მათგანია - „არალე“, მოსავლის გავრცელებული ღვთაება ძველ აღმოსავლეთში. ამ ღვთაების სახელი ქართული სიმღერების მისამღერებში გვხვდება ასეთი გამოთქმებით: ივრი არალე, თარი არალე, არი არალე. არალეზე დართული ყველა ეს სიტყვა კარგად აიხსნება ურარტული ენით: ივრი-ბატონი, მეუფე, თარი-ძლიერი, ძლევამოსილი, არი-მომეც (მოგვეც). ასე რომ, ურარტულად ეს გამოთქმები ნიშნავს „მეუფეო არალე“, „ძლევამოსილი არალე“, მომეც (მოგვეც)(ღმერთო) არალე“! ამგვარი ფაქტები, უნდა ვიფიქროთ, ქართულ ენაში ურარტულ ენაზე თუ მის დიალექტებზე მეტყველი ხალხის შემონატანია,[9] რომელიც ქართულ მეტყველებაზე გადავიდა, ასიმილაცია განიცადა ქართველ ტომებთან და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შეეიდა. ეს პროცესი, როგორც

[9] Сванидзе А. Материалы по истории алародийских племен, Тбилиси, 1937.

ვთქვით, მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც მიდიელებმა ძ.წ. VI საუკუნის დასაწყისში ურარტუს სახელმწიფო გაანადგურეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიდიელები როდი იყვნენ ურარტუს ერთადერთი მესაფლავენი. ჩრდილოეთში (ამიერკავკასიაში) არსებული ურარტული ცენტრების (მაგალითად, ქალაქ თეიშებინის - დღევანდელი კარმირბლური ერევნის განაპირას) განადგურებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ სკვითებს, შესაძლებელია, ამიერკავკასიისავე ტომებთან კავშირში, რომელნიც აქამდე ურარტელთა მხრივ შევიწროებას განიცდიდნენ და ახლა, უეჭველია, არ გაუშვებდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა აგონიაში მყოფ ურარტუსათვის მახვილი ჩაეცათ. ამიერკავკასიის ამ ტომებს შორის, შესაძლებელია, ქართველი ტომებიც იყვნენ.

მიდიელთა ჰეგემონობა ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზე დიდხანს არ გაგრძელებულა. მას ბირველობა წაართვა სამხრეთირანული ტომების მიერ შექმნილმა სპარსეთის სახელმწიფომ. ამ უკანასკნელში სამეფო დინასტიის სახით აქემენიდების საგვარეულო დაწინაურდა; ამიტომაც ძ.წ. VI-IV სს სპარსეთს (ირანს) ხშირად აქემენიდურ ირანსაც უწოდებენ. სპარსეთის მეფე კიროსმა (558-529) დაიპყრო და შეიერთა მიდია, ხოლო შემდეგ თითქმის მთელი აზია; სირია, პალესტინა, ბაბილონეთი და სხვა. მისმა ვაჟმა კამბისმა სპარსელების ხელისუფლება ეგვიპტეზეც განავრცო. ძლიერი იყო სპარსეთი აგრეთვე დარიოს I დროს (521-486) და ა.შ. აქემენიდებმა, ეტყობა, ირანისადმი ამა თუ იმ დამოკიდებულებაში ჩააბეს, აგრეთვე, საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობაც.

აქემენიდების უზარმაზარი იმპერიის ფარგლებში დიდად განვითარდა ვაჭრობა აღებ-მიცემობა. აქემენიდების მიერ დაპყრობილი ქვეყნებისათვის შეწერილი ხარკიც (ძვირფას ლითონებში თუ სხვა სახით) სტიმულს აძლევდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას. აქემენიდებმა, კერძოდ, დარიოს I, მოაწესრიგეს ფულის მოჭრისა და მიმოქცევის სისტემა. ცენტრალური ხელისუფლება ჭრიდა ოქროს მონეტას („დარიკებს"), იმპერიის ცალკე სატრაპიები (ქვეყნები) - ვერცხლისას, ხოლო სატრაპიებში შემავალი ავტონომიური ოლქები სპილენძისას. სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ აქემენიდების იმპერიაში დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი იმპერიაში შემავალ თუ მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებში. ეს, უეჭველია, აგრეთვე ისტორიულ საქართველოს მოსახლეობასაც შეეხება.

აქემენიდებმა ვერ შეძლეს საქართველოს მოსახლეობა ერთიანად დაებყროთ და დაემორჩილებინათ. მათი ბატონობის უღელი უფრო მძიმე აღმოჩნდა სამხრეთი ქართული ტომებისათვის. უფრო ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა, ჩანს, შედარებით მსუბუქი ვალდებულებები იკისრეს აქემენიდების მიმართ.

როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, აწინდელი აჭარის ტერიტორიაზე მობინადრე მოსახლეობა აქტიური თანამონაწილეა იმ პროცესებისა, რომლებიც ძ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან I ათასწლეულის ბირველ ნახევარში ქართველური მოდგმის განსახლების არეალზე განვითარდა. კოლხური ბრინჯაოს კულტურა, შავი მეტალურგიის ქართული ცენტრის ფორმირება, ლითონის დამუშავების (ჩამოსხმა) მაღალი დონე, მოხვნითი მიწათმოქმედება, თქმულება ამირანზე და არგონავტების ლაშქრობაზე კოლხეთში, ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისათვის საძირკვლის მომზადება ის მახასიათებლებია, რომლებიც ქმნიან აჭარის ტერიტორიაზე და მეზობელ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სახეს ადრერკინის ხანაში.

§2. აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფა

ა. სოფლის მეურნეობა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, როგორც ითქვა, ძველი კოლხური ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარების ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონთაგანია. მისი ზღვისპირეთი, მიმდებარე მთისწინა ზოლით, სწორედ ის კერათაგანია, სადაც არქეოლოგიური მონაცემების მოშველიებით საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ სამეურნეო განვითარების პროცესებს ადრერკინის ხანის თითქმის ყველა მონაკვეთზე.[1] გარდა ამისა, მოცემული რეგიონის მაგალითზე შეგვიძლია დავაკვირდეთ თუ როგორ თანდათანობით, თუმცა, საკმაოდ ნელი ტემპით და, როგორც ჩანს, დიდი სიძნელეების გადალახვით იკაფავდა გზას რკინა-ფოლადისაგან დამზადებული იარაღი. მსგავსი სურათი შეინიშნება არა მარტო ჩვენთან, არამედ ახლოაღმოსავლურ-ეგეოსური სამყაროს ყველა მხარეში.[2]

როგორც ითქვა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სწორედ ის რეგიონია, სადაც შეიქმნა კოლხური ბრინჯაოს ხანის ნივთიერი კულტურის ძირითადი მახასიათებლები: კოლხური ცული, თოხი, ნამგალი, წალდი, ბრტყელი ცული, სეგმენტისებრი იარაღი და ა.შ. (სურ. 12-18). როგორც ჩანს, ამ კულტურის ფორმირება კოლხეთის ზღვისპირეთში მიმდინარეობდა, უფრო კი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.[3]

წერილობითი ტრადიცია, ნივთიერი მასალები ადასტურებს, რომ ადრერკინის ხანის კოლხეთის ბარი, რომელიც ზღვისპირა აკუმულაციურ ველსაც მოითვლიდა, მეურნეობრივად მაღალგანვითარებული მხარე იყო, სადაც ცალკეულ დარგთა შეთანაწყობის საკმაოდ ჰარმონიული სურათი შეინიშნება. მეურნეობის საფუძველს მრავალდარგობრივი ინტენსიური სოფლის მეურნეობა შეადგენდა.

მიწათმოქმედება ადრერკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარში სამეურნეო საქმიანობის წამყვან დარგს წარმოადგენდა. თუ შუა ბრინჯაოს ხანაში კოლხეთის აკუმულაციურ ველზე, ჭაობების მასობრივი გავრცელების გამო, თითქმის აღარ არის სამიწათმოქმედო საქმიანობის ბირობები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ვითარება რადიკალურად იცვლება, რის გამოც ზეგანსა თუ მთაში მცხოვრები მიწათმოქმედი თემების „ჭარბი" მოსახლეობა კვლავ აკუმულაციურ ველზე ჩამოსახლებულა და ბარული მეურნეობის ფერხულში ჩაბმულა.[4]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა აკუმულაციურ ველზე გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გაჩენილ მიწათმოქმედ თემთა დასახლებები ადრერკინის ხანაში არნახულ

---

[1] თოლორდავა ნ. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 03.

[2] Robert maddin, lames D.Nuhly and Tamara S.Wheeler. How the iron Age Begin-Soientific America, 237/4, 1977, p. 122-131.

[3] ლომოურელიძე ვ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი, 1974, გვ. 40 და შმდ.

[4] Хахутайшвили Д.А. Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. - Кавказско-ближневосточный сборник, VII, Тбилиси, 1984, сс. 146-151.

აყვავებას აღწევენ. ამის ნათელი მოწმობაა ნამჭედურის, ურეკის, ციხისძირის, ბათუმისციხის, მახვილაურის ნამოსახლარები და აქ გამოვლენილი მასალები.

როგორც ცნობილია, კოლხეთი ძველად ხშირი ტყეებით იყო დაფარული, ამიტომ ამ რეგიონში ხორბლეულის მოსაყვანი ფართობის პირველადი მომზადება ტყის გაჩეხვით ანუ ახოს აღებით იწყებოდა. საამისოდ გამოიყენებოდა კოლხური ცულების სამეურნეო ვარიანტები და წალდები, რომლებიც ასე ფართოდაა წარმოდგენილი აქ აღმოჩენილ ბრინჯაოს განძებში,[5] ხოლო ტერიტორიის ფესვებისაგან გასაწმენდად და ნიადაგის პირველადი, ღრმა დამუშავებისათვის იყენებდნენ ორპირა ქარჩს, რომელიც ასევე კარგადაა წარმოდგენილი სოფ.ზენითის და ზოგიერთ სხვა „განძებში“ (სურ. 14-18).

აქაური მიწათმოქმედი ამ დროს უკვე იცნობდა ხის სახვნელს ფოლადის სახნისით, რომელშიც გამწევ ძალად ხარი გამოიყენება. აი, რას ეუბნება კოლხეთის მეფე აიეტი იასონს „...არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და არესის ოთხი დღიური ხოდაბუნებისაკენ მივრეკავ. ამ ხოდაბუნებს სწრაფად ვხნავ გუთნით და ხნულებში დეოს ბერის თესლს კი არ ვყრი, არამედ საზარელი გველეშაპის კბილებს... ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამო ჟამს მკას ვწყვეტ...“[6] როცა არესის ველზე მივიდნენ, იასონმა „თვალი მოავლო ხოდაბუნს და დაინახა სპილენძის უღელი, გუთანი და მტკიცე ფოლადის სახნისი“. მართალია, მოტანილი ადგილი ძ.წ. III საუკუნის ძეგლიდანაა ამოღებული, მაგრამ საერთო აღიარებით იგი გაცილებით ადრეული ვითარების ამსახველია.[7]

როგორც გიბეას ნამოსახლარის მასალებიდან ჩანს, ძ.წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ახლო აღმოსავლეთი უკვე იცნობდა ფოლადის სახნისს.[8]

ძ.წ. XII-XI საუკუნეებიდან ძველი კოლხეთის ზღვისპირეთში მასობრივი ხდება ნიადაგის მოხვნითი დამუშავება. სახვნელში გამწევ ძალად, როგორც ითქვა, ხარი გამოიყენებოდა, რომლის კულტს ჩვენ აქ უკვე ნამჭედურის ნამოსახლარის უძველეს (XVI-XV სს) ფენაშივე ვადასტურებთ.[9] თუ წინათ ძველ კოლხეთში მოხვნითი მიწათმოქმედების არსებობაზე არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით მსჯელობდნენ (თქმულება არგონავტების ლაშქრობის შესახებ, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელი იარაღები და ა.შ.), დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს ამის შესახებ პირდაპირ მონაცემებს დავეყრდნოთ. კერძოდ, მდ.ჩოლოქის მარცხენა ნაპირას არსებულ ნამოსახლარზე, ძ.წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედის ფენაში გამოვლენილ იქნა ხის მარტივი სახვნელები და მათი ფრაგმენტები.[10] ხის მარტივი სახვნელების აღმოჩენასთან დაკავშირებით ჩნდება აუცილებლობა გაირკვეს სახვნელის ისეთი აუცილებელი დეტალის საკითხიც, როგორიცაა ლითონის სახნისი.

კოლხეთში ხის სახვნელების გავრცელებასთან დაკავშირებით ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ბრინჯაოს განძებში (განთიადის, ჩაისუბნის და ა.შ.) აღმოჩენილი იარაღი,

---

[5] ალრამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974.

[6] როდოსელის „არგონავტიკა“, გვ. 242-243.

[7] ოჯახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი, 1930, გვ. 262-265.

[8] G.E.Wright. Iron; The date of its inproduction into Common Use in Palestina.- AJA, 1939, XLIII, 3, p. 462.

9 ინჩაგლეიშვილი, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. - სდსძ, XVII, 1988, გვ. 25 და შმდ.

[10] დახიტაშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, I, ბათუმი, 1995, გვ. 50-51; ინჩაგლეიშვილი, უძველესი სახვნელი იარაღები ფიჭვნარიდან.

რომელსაც არქეოლოგები „ვერტიკალურხვრელიან“ ცულს უწოდებდნენ,[11] ფაქტიურად მარტივი სახვნელის სახნისადაც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. წვეროზე რკინის სახნისწამოგებული ხის მარტივი სახვნელების გამოყენება დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში (გურია-აჭარა და სამეგრელოს ბარში) „რუსული კავის“ (რომელიც მთლიანდ ლითონისაგან მზადდებოდა) შემოსვლამდე გრძელდებოდა. ამგვარი იარაღის მასობრივი გამოყენება საბოლოოდ მხოლოდ კოლექტივიზაციის პერიოდში შეწყდა. გიორგი ჩიტაია მიუთითებდა, რომ დასავლეთ საქართველოს მარტივი სახვნელი იმეორებს ქვემო ქართლში დადასტურებულ „ჩუთს“.[12] მისივე სიტყვით, „საკვირველ მსგავსებას ამჟღავნებს ეტრუსკული და მეგრულ-იმერული სახვნელები...“[13] ამგვარად, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელები გენეტიკურად იმგვარი სახვნელის ოდნავ სახეცვალი ფორმაა, როგორიც აღმოჩნდა ქობულეთ-ფიჭვნარის ჩოლოქისპირა სამოსახლოს გათხრებისას.

რკინა-ფოლადის განსაკუთრებით ფართო გამოყენებას კოლხეთის მიწათმოქმედებაში ვადასტურებთ იმ არქეოლოგიურ მასალებში, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედს მიეკუთვნება. კერძოდ, ნიგვზიანსა და ერგეტაში გამოვლენილ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მსუბუქი სახვნელის სახნისები,[14] რაც, როგორც ჩანს, იმის მოწმობაა, რომ კოლხეთის სინამდვილეში ნიადაგის მოხვნითი დამუშავების წვლილი მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვნად გაზრდილა. ჩვენ მხარეში ამ დროს არსებული ვითარების წარმოსადგენად განსაკუთრებული ღირებულებისაა ნიგვზიანის სამაროვნის მასალები. ამ ძეგლის ასეთი მნიშვნელობა იმითაცაა განპირობებული, რომ იგი გეოგრაფიულადაც შესასწავლ რეგიონს მიეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ოსური ლეგენდა, რომლის მიხედვით, სახვნელი იარაღის გამომგონებლად ქართველებია მიჩნეული: ამ ლეგენდის მიხედვით, თურმე ციდან ჩამოვარდა გუთნის სურათი, რომელიც ნახა ქართველმა და იმგვარივე გუთანი გააკეთა, როგორიც სურათზე იყო გამოსახული. შემდეგ მისგან გუთნის კეთება, თითქოს, სხვებმაც ისწავლეს.[15]

მართალია, კოლხეთის ბარის სინამდვილეში ნიადაგის მოხვნითი დამუშავება, როგორც აღვნიშნეთ, ადრიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ ნიადაგის პირველადი დამუშავების ერთ-ერთ წამყვან იარაღად მაინც თოხი რჩებოდა. უძველესი თოხი, მართალია, ანაკლიის მიდამოებშია აღმოჩენილი, მაგრამ ოთ.ჯაფარიძის გამოკვლევით, მისი ფორმირება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა მომხდარიყო, სადაც სამკუთხედის ფორმის თოხი პირველად შუაბრინჯაოს ხანაში ჩნდება (ურეკის განძი) და გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზეც განაგრძობს არსებობას.[16] თოხის ეს ტიპი დადასტურებულია მელექედურის, მახუნცეთის და ზენითის განძებში. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის თოხი კოლხეთის სხვა მხარეში დღეისათვის უცნობია. უფრო გვიან სამკუთხა თოხის ნაცვლად ვრცელდება პირფართო თოხის სხვადასხვა ვარიანტი (სურ. 12. 1, 5).

---

[11] ალრამაშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 13-14.

[12] ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღმოსავლეთ საქართველოში, - სსმმ, IV, ტიფლისი, 1926, გვ. 213, სურ. 4.

[13] ჩიტაია, რაჭული სახვნელი. - ენიმკის „მოამბე“, I, თბილისი, 1937, გვ. 284-287, სურ. 29-32.

[14] Микеладзе Т.К., Барамидзе М.В. Колхидский могильник VII-VI вв. до н.э. в Нигвзиани, - КСИА, 151, 1977, с. 33-39.

[15] თამიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი, 1985, გვ. 76-77.

[16] თ.ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლეთ-ქართულ კულტურაში. - თსუ შრომები, 49, თბილისი, 1953, გვ. 174-202; მისივე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, I, - საქ.მეცნ.აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, I, გვ. 64-65; იქვე, გვ. 55-56; დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, გვ. 53-55.

ძვ.წ. VIII საუკუნეში კოლხეთში რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანა დგება. ამ დროიდან ფართოდ ჩნდება რკინის სამეურნეო იარაღები. თავდაპირველად იგი თითქმის არ იცვლის ფორმას და ბრინჯაოს იარაღის მიბაძვითაა გამოჭედილი. ვრცელდება ფოლადის თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. თუმცა ამ ტიპის ბრინჯაოს იარაღი ჯერ ისევ ფართოდ გამოიყენებოდა.[17]

განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა თავის მთლიანობაში გულისხმობს არა მარტო ნიადაგის დამუშავებისა და თესვისთვის, ნათესის მოვლისათვის აუცილებელ აღჭურვილობას, არამედ მოსავლის აღებისა და დაუნჯებისათვის საჭირო ინვენტარის ქონებასაც. ამასთან დაკავშირებთან ყურადღებას იქცევს სამკალი იარაღები, მათ შორის ე.წ. „კოლხური ნამგალი". გვიანბრინჯაოს ხანიდან კაჟის ნამგლები თანაარსებობდნენ ლითონის ნამგლებთან, რაც, როგორც ფიქრობენ, გარკვეულ საწესო-რელიგიურ წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული.[18] ყველა „კოლხური" ნამგალი დაახლოებით ერთი ტიპისაა - უყუნწო, ტარის მანჭვლით დასამაგრებელი ნახვრეტებით. ფორმით ამ ნამგლებს უახლოვდება შიდა ქართლში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი (სურ.14.3, 17.5).[19]

ლითონის ნამგლის გავრცელებას ჩვენში ხორბლეულის ახალი ჯიშების გამოჩენასაც უკავშირებენ. კერძოდ, ამ აზრს ავითარებდა ბ.კუფტინი: „ლითონის ნამგალი ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, გვიანბრინჯაოს ხანაში შემოდის. ჩვენში, ისევე როგორც წინა აზიაში, ძირითადად უყუნწო ნამგალი იყო გავრცელებული".[20]

აჭარის ზღვისპირეთში ლითონის ნამგლები ჯერჯერობით მხოლოდ ციხისძირისა და ზენითის განძებშია წარმოდგენილი (სურ. 14.3).[21] ქრონოლოგიურად ისინი სწორედ ადრერკინის ხანის საწყის ეტაპს მიეკუთვნებიან. ამ დროს კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური მოედნები უკვე იმდენად დამშრალია, რომ ხორბლეულის მოსაყვანად გამოიყენება. ის გარემოება, რომ ნამჭედურის ნამოსახლარის V ფენის (ძვ.წ. XIII-XII სს) ერთ-ერთი სახლის გათხრისას ხორბლის თავთავების კარბონირებული კონა აღმოჩნდა, კარგად ეხმიანება ციხისძირისა და ზენითის (სურ. 14.3) განძებში დადასტურებულ ნამგლებს. ბუნებრივია, ნამგალი იქ და მაშინ ჩნდება, სადაც და როდესაც თავთავიანი ბურეულის შესაბამისი ჯიშების მასობრივი მოშენება იწყება. ასეთი პერიოდი კი კოლხეთის ზღვისპირეთში სწორედ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში დგება (ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის ხანა. იხ. შესავალი. § 2).

რაც შეეხება შნაკვს, გვაქვს ცნობა, რომ ქობულეთის რაიონის მთისწინეთში მას XX საუკუნის დამდეგსაც იყენებდნენ, ოღონდ ღომის თავთავის მოსამკელად. ღომის ღეროები (მას ღომის „ჩალა" ეწოდებოდა) ადგილზევე რჩებოდა და ბირუტყვის საკვებად ამ სახით გამოიყენებოდა. ძნელი სათქმელია ჩვეულებრივი შნაკვის გაჩენის დრო. იგი ბევრი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში არის დადასტურებული. უძველეს ხანაშიც მას, როგორც ჩანს, გავრცელების საკმაოდ ფართო არეალი გაჩენდა. ივ.ჯავახიშვილის აზრით, შნაკვი თავთავის მოსაწყვეტი უძველესი იარაღია, რომელმაც თავთავის ხელით მოგლეჯა შეცვალა.[22]

---

[17] ოთ.ჯაფარიძე. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, - მაცნე, I, 1982, გვ. 53-54.

[18] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 215.

[19] ოთ.ჯაფარიძე. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, - მაცნე, I, 1982, გვ. 65.

[20] ოთ.ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ.

[21] ოთ.ჯაფარიძე. დასავლეთ საქართველო..., I, გვ. 65.

[22] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 80.

მივიჩნიოთ, რომ ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთისათვის სამკალი იარაღის ის სახეობა, რომელიც შნაკვად იწოდება, ტრადიციული ყოფილა, რაც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული ვითარებითაც დასტურდება. ქობულეთის ძველი მცხოვრებლების გადმოცემით, ფიჭისაგან თაფლის გამოსაწურად აქ შნაკვის მაგვარი მოწყობილობა გამოიყენებოდა.

მომკილ ხორბლეულს, ბუნებრივია, გალეწვა ესაჭიროებოდა. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოდან ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის კევრის აღმოჩენის არქეოლოგიური ფაქტი, თუმცა, აღმოსავლეთი ამიერკავკასია და მესოპოტამია მას ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან იცნობდა. როგორც ჩანს, კევრის უქონლობა ნივთიერ კულტურაში იმით შეიძლება ავხსნათ, რომ აქაური მოსახლეობის საკვებ რაციონში მარცვლეულთაგან ძირითადად გავრცელებული იყო ღომი და მტვრევადთავთავიანი, მარცვალცვენადი ხორბლეულის ჯიშები, რომლის თავთავის „გალეწვაც“, ტრადიციულად „გაცეხვით“ ხდებოდა.

მართალია, ჩვენში არც ადრეული ხანის საცეხველები შემორჩა, მაგრამ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ძველად ისინი, როგორც ჩანს, ხის მორებისაგან მზადდებოდა. ეთნოგრაფიული და შუა საუკუნეების საცეხველები უპირატესად მონოლითისაგანაა დამზადებული, თუმცა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება ხისაგან დამზადებული ნიმუშებიც. ცნობილი იყო მრავალი სახის საცეხველი: „ხელის საცეხველი“ („დინგი“), „ფეხის საცეხველი“ („ფეხის ჩამური“ ანუ „ჩამური“), „წყლის საცეხველი“(„წყლის ჩამური“).[23]

მარცვლეულს საცხოვრებელ სახლში აბინავებდნენ. აქედან, თავთავი სხვენში, ხოლო გალეწილი (გაცეხვილი) მარცვალი თიხის ქოთნებში, დერგებში, ქსოვილის ტომრებში ინახებოდა. ნამჭედურის ნამოსახლარის ერთ-ერთი ნახანძრალი ჯარგვალის გათხრებისას გამოვლენილი თიხის ზოგიერთი ჭურჭელი ღომის კარბონირებული მარცვლებით იყო სავსე, ხოლო ნაგებობის ჭერთან ერთად დანახშირებული იყო როგორც ღომის, ისე ხორბლის (სპელტას) თავთავები.

მარცვლეულის დამუშავება, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელსაფქვავებით ხდებოდა, ხოლო მიღებული ბროდუქტი ნამცხვრის დასამზადებლად გამოიყენებოდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ხორბლეული მოხარშული კერძების სახითაც მოიხმარებოდა. ნამცხვრის მისაღებად გამოიყენებოდა კერამიკული კეცები („ტაფები“). მათ შორის ხშირია მრავალგანყოფილებიანი კერამიკული ტაფები, რომლებზეც მიიღებოდა როგორც საოჯახო, ისე საწესო-რიტუალური ნამცხვრები. ასეთი ტაფები დადასტურებული გვაქვს კოლხეთის ზღვისპირეთის წინაანტიკურ ნამოსახლარებზეც („ნამჭედური“, ბობოყვათი, ციხისძირი და ა.შ.).

შესასწავლი პერიოდის მიწათმოქმედება, ბუნებრივია, მხოლოდ მემინდვრეობით არ შემოიფარგლებოდა. აქ წარმოდგენილი იყო მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა. სამწუხაროდ, არქეოლოგიური თუ სხვა რიგის მონაცემები ამ დარგების შესასწავლად თითქმის არ გაგვაჩნია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური სამეურნეო იარაღების ძირითადი სახეობანი სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთშია შემუშავებული, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამ რეგიონმა ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა კოლხური სამიწათმოქმედო კულტურის ფორმირებაში.

აჭარის ზღვისპირა ზოლი კოლხეთის ქვეყნის ისეთი რეგიონია, რომელსაც

[23] ი.ჯაგანიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 92-93.

სამიწათმოქმედო რაიონისათვის შესატყვისი მეცხოველეობის არსებობის საუკეთესო პირობები ჰქონდა. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ურთიერთსიახლოვე, თბილი ზამთარი, როცა საშუალო წლიური ტემპერატურა დადებითია, აგრეთვე, პირუტყვის გამოზამთრებისათვის აუცილებელი საკვების დამზადების სიადვილე, იმთავითვე ხელშემწყობი ფაქტორი იყო მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარებისათვის. და, მართლაც, უკვე ადრერინჯაოს ხანაშივე, როგორც ისპანის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალებიც გვიდასტურებს, აქ მეცხოველეობის პროდუქტების გამოყენება საკმაოდ დაწინაურებული იყო.

აღნიშნული ძეგლიდან დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი განათხარი ძვლოვანი მასალა როგორც შინაური ცხოველებისა, ისე მათი ველური მოძმეებისა.[24] მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშებიდან წამყვანი ყოფილა ტანძორჩილი ძროხა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე შეგუებული სახეობაა. მუხის, წიფლისა და წაბლის ტყეებით მდიდარ კოლხეთში მეღორეობაც ადრიდანვე უნდა არსებულიყო, რაც კარგადაა ასახული ოსტეოლოგიურ მასალაში. ამავე დროს, ამ პერიოდის ფენებში ფიჭვნარ-ჩოლოქის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი იყო გარეული ღორის ძვლებიც (ნაბოვნია ეშვებიანი თავის ქალები).[25] შედარებით ნაკლებია თხისა და ცხვრის ძვლები. ამის მიზეზს ზოგიერთი იმაში ხედავს, რომ „ტყიანი და ჭაობიანი ადგილმდებარეობა ხელს უშლიდა მათ მოშენებას".[26]

ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენაში გაითხარა ხის ძელური წყობა. საერთო გეგმის დადგენა ჭირს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ რაღაც შენობის ფრაგმენტებია. აღნიშნულ შენობას ეკუთვნის ხის წნელებისაგან შეკრული მესერი, რომელიც მას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აკრავს. ამ ადგილას აღმოჩნდა დიდი რაოდენობით რკოს, თხილის, წაბლის, წიწიბოს ნაყოფები, დიდძალი ოსტეოლოგიური მასალა, ძვლის სალამური და მეცხოველეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავებასთან დაკავშირებული ხის ინვენტარი. აღნიშნული ნაგებობა და წნელებისაგან შეკრული მესერი ფარეხს ან, უფრო სწორად, აგვარას უნდა წარმოადგენდეს.[27]

ამგვარად, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ აღნიშნულ რეგიონში ადრერკინის ხანაში წარმოდგენილი იყო შინაური ცხოველების ძირითადი სახეები (ხარი, ძროხა, ღორი, ცხვარი, თხა და ა.შ.), აგრეთვე მეცხოველეობასთან დაკავშირებული სადგომები და ინვენტარი (ქალტა, ფარეხი, მწყემსის სალამური, რძის პროდუქტების გადამუშავება-შენახვასთან დაკავშირებული ინვენტარი). ამ მონაცემებს ამტკიცებს მითოლოგიური და წერილობითი ცნობებიც.[28]

მაშასადამე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, აჭარა, თავისი „ეთითა და ბარით" ამიერკავკასიური სამყაროს ის ნაწილია, სადაც მესაქონლეობის განვითარებისათვის იმთავითვე საუკეთესო პირობები არსებობდა.[29] აქ იგი ჰარმონიულად იყო შერწყმული ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან.

საკვები რაციონის შევსება ხდებოდა არა მარტო მემინდვრეობისა და მეცხოველეობის

---

[24] ირ.ჩაგელეიშვილი, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, - სდსძ, XVII, გვ. 25 და შმდ.

[25] იქვე, გვ. 25-41.

[26] Лордкипанидзе Г.А. Животноводство и промысли античной Колхиды. - СА, 1967, I, с.27.

[27] ირ.ჩაგელეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28-29.

[28] დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 61.

[29] გ.შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი, 1969, გვ. 20-22, 39 და შმდ. Шамиладзе В.М. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тбилиси, 1979, с. 28-39, 63-81.

პროდუქტებით, არამედ ნანადირევითა და თევზეულით.

ნადირობა და მეთევზეობა საქმიანობის ისევე ძველი დარგია, როგორც თვით ადამიანი. ჯერ კიდევ შემგროვებლური მეურნეობის სტადიაზე ეს ორი დარგი ადამიანის საკვები რაციონის შევსების ძირითადი წყარო იყო. ამიტომაცაა, რომ ნადირობასა და მეთევზეობასთან დაკავშირებულ აღჭურვილობას ჩვენ პალეოლითიდან ვადასტურებთ.

აჭარის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ადრეული რკინის ხანის ნაწარმი, რომელიც ნადირობა-მეთევზეობაში გამოიყენებოდა. ასეთებია: კაუსა და ბრინჯაოს ისრისპირები (სურ. 10.1-2, 17.4), შურდულის ქვები, ანკესები, ქვის ორმხრივამოღარული საწაფები და ა.შ. ამავე დროს, ოსტეოლოგიურ მასალაში წარმოდგენილია დიდი რაოდენობით დელფინის, გარეული ღორის, გარეული თხისა და ფრინველის ძვლები. როგორც ჩანს, ძირძველი ტრადიცია გაჩნდა ნანადირევის და თევზეულის შენახვას. ამ ტრადიციის მოგვიანო გაგრძელება ჩანს ასახული ქსენოფონტეს ცნობაში, რომ მოსინიკების სახლებში „ამფორებში აღმოჩნდა ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი, სხვა ჭურჭლებში კი შეკაზმული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისევე იყენებენ, როგორც ელინები ზეითუნის ზეთს".[30]

ნაყოფით მდიდარი გაუვალი ტყეები (მუხა, წაბლი, წიფელი და ა.შ.), სადაც სახორცედ გამოსადეგი გარეული ცხოველებისა და ფრინველების მრავალი სახეობა იყო წარმოდგენილი, აგრეთვე მრავალგვარი თევზეულით მდიდარი მდინარეები (ჩოლოქი, ოჩხამური, შავღელე, აჭყვა, კინტრიში, კინკიშა, დეხვა, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი, აჭარისწყალი შენაკადებით მაჭახელა, ჭოროხი და ა.შ.) და მრავალი მცირე ღელე, რომელთაგან არაერთი დღესაც „საკალმახის" სახელს ატარებს, თევზეულით მდიდარი ზღვა ქმნიდა ნადირობისა და მეთევზეობის ინტენსიური განვითარების ობტიმალურ პირობებს. აქაური რბილი, დადებითი საშუალო წლიური ტემპერატურის მქონე სუბტროპიკული ჰავა საშუალებას იძლეოდა ნადირობა და თევზჭერა თითქმის მთელი წლის განმავლობაში ეწარმოებინათ.

საყურადღებოა, რომ გარეული ცხოველებისა და წყლის ბინადრების ბევრი სახეობა ქართველურ სამყაროში საკულტო თაყვანისცემის ობიექტია. ეს გასაგებიცაა. ძველი ადამიანის რელიგიური წარმოდგენები ხომ მოჭარბებული პრაქტიციზმით გამოირჩეოდა.[31]

ბ. ხელოსნური წარმოება

ადრერკინის ხანა საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული საფეხურია. ამ დროს მწიფდება მთელი რიგი კარდინალური ძვრები ქვეყნის სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც გამოხატულებას ნახულობს ხელოსნური წარმოების განვითარებაშიც. ამ მხრივ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი აჭარის „ქვეყნის" განსაკუთრებით საყურადღებო ზონაა, სადაც სახეზეა ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორიცაა მეთუნეობა, ფეიქრობა, ხით ხუროობა, ფერადი ლითონების ჩამოსხმა, რკინა-ფოლადის მიღება, საიუველირო საქმე და ა.შ.

[30] თამაზ ელიავა, ქსენოფონტეს „ანაბასისი", 1967, გვ. 104; ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1980, გვ. 45-48.

[31] Бардавелидзе В.В. Религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, с. 11 и сл.

მეთუნეობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, მეთუნეობის ჩასახვა ნეოლითის ხანიდან ივარაუდება,[32] ხოლო გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში ხელოსნობის ყველაზე მასობრივი და მაღალგანვითარებული დარგია.[33] ამ დროს უკვე ფართოდ გამოიყენებოდა სამეთუნეო მორგვი და, როგორც ჩანს, იცნობდნენ სწრაფმბრუნავ ფეხის ჩარხსაც.

მრავალდარგობრივი მეურნეობა და დაწინაურებული ყოფა სტიმულს აძლევდა სამეთუნეო ტექნოლოგიის, კერამიკული წარმოების ხერხების სრულქმნასა და დახვეწას, ამრავალფეროვნებდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტს. გარდა ამისა, კერამიკული ჭურჭლის ზოგიერთი, იმდროინდელ ყოფასთან უკეთ შეხამებული ფორმები უფრო ფართოდ ვრცელდება და ზოგჯერ დასავლეთ ამერიკაკავკასიის მთელ ზღვისპირა ზოლსა და მთისწინეთში გვხვდება. ამგვარი ნაწარმის ჯგუფში შეიძლება მივუთითოთ ფართო კანელურებით შემკული მოზრდილი ჭურჭლები, რომელთა გამოჩენას ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ვარაუდობენ. მისი გავრცელების არეალი სამხრეთით ჭოროხამდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით სოხუმის მიდამოებსაც მიითვლიდა (სურ. 19-20).

გარდა ფართო კანელურებით შემკული ჭურჭლებისა, ადრერკინის ხანაში ფართოდ ვრცელდება ე.წ. ზოომორფული ყურებით შემკული ნაწარმი[34] (სურ. 19-20).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში კერამიკული ფორმებისა და საერთოდ, კერამიკული წარმოების განვითარების სურათის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ე.წ. ნამჭედურის ექვსფენიანი ნამოსახლარის მასალები, სადაც უძველესი დასახლება ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებს, ხოლო გვიანდელი ძვ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება.[35] აღნიშნული ნამოსახლარის თითოეული კულტურული ფენა მეორისაგან სტერილური შრით არის გამოყოფილი, რაც ზრდის ამ ძეგლის სტრატიგრაფიული მონაცემების მეცნიერულ ღირებულებას.[36]

ნამჭედურის ნამოსახლარის მონაცემების მიხედვით, ზოომორფული ყურებით შემკული ჭურჭლების წარმოება ამ რეგიონში თუმცა ადრე იწყება, მაგრამ განსაკუთრებულ აღმავლობას იგი რკინის სამეურნეო ათვისების ხანაში აღწევს. ეს ფაქტი, ალბათ, იმ რელიგიური წარმოდგენების გაცხოველებით უნდა ავხსნათ, რომელთა საფუძველზეც, თავის დროზე, ამგვარი ჭურჭლების წარმოება დაიწყო.

ზოომორფული ყურები, მცირე გამონაკლისის გარდა, უპირატესად ხარის თავის სტილიზებულ გადმოცემადაა მიჩნეული. ხარის კულტი განსაკუთრებით მკაფიოდაა ასახული ზღვისპირა ზოლში და იგი განივთებულია არა მარტო ჭურჭელთა ყურებში, არამედ თიხის სადგრებში, რომელთა ადრეული ნიმუშები შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან ჩნდება (იხ. ქვემოთ, თავი V, §2. ბ).

ადრერკინის ხანის სამეთუნეო წარმოების კიდევ ერთი დამახასიათებელი მხარეა მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებასთან დაკავშირებული ნაწარმის მომრავლება. ჩნდება კოლხური ქვევრები (პითოსები) და სასმისების ადრეული ფორმები. ამავე დროს მომრავლდა დიდი მოცულობის დერგის (ქვევრის) ფორმის ჭურჭლები (სურ. 21.1), რომლებსაც

---

[32] ს.გოგოტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978.

[33] ნ.ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1988, გვ. 49.

[34] ნ.ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი— გვ. 51.

[35] Микеладзе Т.К. Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985, с. 7 и сл.

36 იქვე, გვ. 6.

მარცვლეულის შესანახადაც იყენებდნენ. ასევე, გამორიცხული არ არის თიხის ჭურჭლის გამოყენება ცხოველური და მცენარეული ცხიმების მარაგის შესანახად, რაზედაც მოგვიანებით ქსენოფონტე და სტრაბონიც მოგვითხრობენ.

ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკა გამოირჩევა დეკორის მრავალფეროვნებით, სადაც ჭარბობს გეომეტრიული სახეები. დეკორის დასატანად მეთუნეები იყენებდნენ ისეთ ტექნიკურ ხერხებს, როგორიცაა ამოკაწვრა, ჭდევა, წნევა, რელიეფი (დაძერწვა), ზედაპირის გაპრიალება. ამ დროს აჭარის ზღვისპირა ზოლის მეთუნეები არ აწარმოებდნენ მოხატულ ჭურჭელს, მაგრამ ეფექტი, რომელსაც ისინი აღწევდნენ ჭურჭლის ტრადიციული ხერხებით შემკობის დროს, თავისი მხატვრული ღირსებით, სულაც არ ჩამოუვარდება მოხატვით შემკულ ნაწარმს (სურ. 21.12).[37]

დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის შესასწავლი ბერიოდის თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, აგრეთვე სამეთუნეო მორგვი და კერამიკული წარმოების ზოგიერთი სხვა იარაღი, მაგრამ ქართველური მოდგმის განსახლების სხვა რეგიონში, კერძოდ, შიდა ქართლში, ამ დროს თიხის ჭურჭელი ფეხის ჩარხზე მზადდებოდა და ჰორიზონტალურ ერთიანრუსიან ქურაში გამოიწვოდა. ყოველ შემთხვევაში ხოვლეს ნამოსახლარის ადრერკინის ხანის ფენებში სწორედ ამგვარი ქურები და თიხისაგან დამზადებული სამეთუნეო მორგვი იყო აღმოჩენილი.[38]

ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმის მრავალფეროვნება-მრავალსახეობა, თიხის ჭურჭელთა ფუნქციონალური დიფერენცირებულობის აშკარად გამოკვეთილობა, დეკორის ფორმათა სიმრავლე, რაც მისი შესრულების მანერის განსხვავებასაც გულისხმობს, და ზოგიერთი სხვა გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ დროის თიხის ჭურჭლის ძირითადი მასა **პროფესიონალი ხელოსნების** შრომის პროდუქტია და მეთუნეობაც ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგადაა წარმოდგენილი. კოლხეთის ზღვისპირეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მეთუნეობაში, როგორც ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მეთუნეებს წამყვანი როლი უნდა ეთამაშათ. აღნიშნული რეგიონი კოლხური სამყაროს ის ნაწილი იყო, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, შეიქმნა ბროტოტიპები კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი სამეურნეო და საბრძოლო იარაღისა (კოლხური ცული, თოხი, სატეხი, სეგმენტური იარაღი, წალდი, ნამგალი და ა.შ.). მეურნეობრივად ასე კარგად აღჭურვილ „ქვეყანას", ბუნებრივია, მეთუნეობაც შესაბამისად დაწინაურებული, სხვა სამეურნეო დარგებთან ჰარმონიულად შეწონასწორებული უნდა ჰქონოდა. ეს გარემოება სრულებით არ გამორიცხავს თიხის ჭურჭლის „საოჯახო" წარმოებას, მით უფრო, რომ ამგვარი რამ, ისევე როგორც ხალხური მეთუნეობა, აჭარის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩვენს საუკუნეშიც შემორჩა.[39]

ფეიქრობა. ანტიკური ხანის კოლხების მაღალი მიღწევები საფეიქრო საქმეში გვაფიქრებინებს, რომ მას ძირძველი ტრადიციები ასაზრდოებდა.[40]

ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ „...მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ

---

[37] **ნ.ხახუტაიშვილი.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი... გვ. 52-53.

[38] **დ.მუსხელიშვილი.** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი, 1978, გვ. 88-90; **დ.ხახუტაიშვილი.** უფლისციხე, II, თბილისი, 1970, გვ. 93-104; მისივე, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 134-135.

[39] **ნ.გახოძე.** ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, III, თბილისი, 1975, გვ. 99-101; მისივე, Ремесло в Аджарии. - Очерки этнографии Аджарии, Тбилиси, 1982, с. 139-143.

[40] **დ. ხახუტაიშვილი.** ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 78-79.

სელს ერთნაირად... კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებდნენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი - ეგვიპტურს".[41] არქეოლოგიური მონაცემებიც გვიდასტურებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, უკვე გვიანნეოლითიდან სახეზეა ძაფის რთვა, რაც კვირისტავების არსებობითაც არის დამოწმებული.[42] საროავი საქმის არსებობა, ბუნებრივია, მიღებული ძაფიდან ქსოვილის დამზადებასაც გულისხმობს.[43]

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აღნიშნულ რეგიონში საფეიქრო საქმის დაწინაურებაზე მიგვანიშნებს მრავალრიცხოვანი კვირისტავები (თიხა, ქვა...) და „ქსოვილიანი კერამიკა",[44] რომელიც სელის ქსოვილზეა დამზადებული.

სწავლობდა რა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დანაწევრების პროცესებს, გ.კლიმოვი მიუთითებდა, რომ სვანურს სხვა ქართველურ ენებთან საერთო აქვთ მესაქონლეობის ტერმინოლოგიით, მაგრამ თითქმის სავსებით განსხვავებული აქვთ სამიწათმოქმედო ტერმინოლოგია; ამასთან, სვანურსა და ზანურ-ქართულ ენობრივ ერთობაში არ დასტურდება იმ კულტურულ მონაბოვართა საერთო სახელწოდებანი, რაც ძვ.წ. XI-IX სს შემდეგ არის შეძენილი (სელი, რკინა, თიხის სადღვებელი, ცხენი და ა.შ.),[45] ასე რომ სელი, ენობრივი მონაცემების მიხედვით, ის კულტურაა, რომელიც ქართველურმა სამყარომ ადრერკინის ხანაში აითვისა. მეორე მხრივ, ფიქრობენ, რომ ეგვიპტეში სელის ნაწარმი, სელის ქსოვილი წინადინასტიურ, ზოგიერთის აზრით, ნეოლითურ ხანაშიც მზადდებოდა.[46]

როგორც დასტურდება, ადრეულ რკინის ხანაში ნართი გამოიყენებოდა ქსოვილის სხვადასხვა სახეობის დასამზადებლად, რაც მოიხმარებოდა მრავალგვარი დანიშნულებით. კერძოდ, ნართისაგან მზადდებოდა სათევზაო ბადეები, თოფრაკები, ტომრები, თოკები და ა.შ. ქსოვილი გამოიყენებოდა ტანსაცმლის, ტომრების, თავსახურავის, ფეხსაცმლის ზოგიერთი სახეობის დასამზადებლად. დიდი მოთხოვნილება იყო არა მარტო ტანსაცმელზე, არამედ ტომრებზე, რომელიც ხორბლეულისა და მაგნეტიტური მადნის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის გამოიყენებოდა.[47]

კოლხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი „ქსოვა" დღესაც გამოიყენება არა მარტო ქსოვილისა და ბადეების დამზადების პროცესის, არამედ ისეთი სასოფლო-სამეურნეო ჭურჭლების, აგრეთვე ფარდაგების დამზადების აღსანიშნავად, როგორიცაა „ყალათი", „გოდორი", „გიდელი", „ჭილოფი" და ა.შ. აქ ეს ტერმინი „წვნის" სანაცვლოდ იხმარება („გიდელი მოქსოვა", „გოდორი მოქსოვა", „ყალათი მოქსოვა", „ჭილოფი მოქსოვა" და ა.შ.).

რაც შეეხება წარმოების ხასიათს, უნდა ვიფიქროთ, რომ ადრერკინის ხანის კოლხეთის და მისი შემადგენელი აჭარის საფეიქრო წარმოება ძირითადად საოჯახო წარმოება იყო და მხოლოდ ცალკეული გამონაკლისების სახით შეგვიძლია დავუშვათ პროფესიული

---

[41] ჰეროდოტე, ისტორია, II, 105, I, თბილისი, 1975, გვ. 156.

[42] ს.ტოტტაძე, მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1979 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, XI, 1982, გვ. 35-36.

[43] დ. ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 78-79.

[44] Микеладзе Т.К., Хахутаишвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, 1985; Рамишвили А.Т. Раскопки приморских стоянок в Пичвнари-Кобулети в 1960-1964 и 1967 гг. - СА, 1975, 1, с. 143; Его-же, О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья, - СА, 4, 1975, с.36-44.

[45] Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков, с. 36; его-же, Вопросы методики сравнительно-генетических исследовании, Москва, 1980, с. 74.

[46] Лукас А. Материалы и ремесленные производства Древнего Египта, Москва, 1958, с. 238.

[47] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, გვ. 83-85.

სახელოსნოების არსებობა, ისიც „მეფის“ ან „მეფისნაცვალთა“ კარზე (უნდა ვიფიქროთ, რომ მეფისნაცვლები კოლხას მეფის მოხელეები იყვნენ, რომლებიც ხელოსნური წარმოების პროდუქციის მიღებისა და გასაღების საქმეს ხელმძღვანელობდნენ და სამეფო კარის ინტერესებს იცავდნენ).[48]

ჩვენ მცირე მონაცემები გაგვაჩნია საფეიქრო საქმის, თუ საფეიქრო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის შესასწავლად. ასევე მცირეა მონაცემები იმის შესახებ, თუ როდის იქცა ფეიქრობა ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგად. ვიცით მხოლოდ, რომ ადრერკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გამოიყენებოდა ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა.[49] ამისი მოწმობაა ამ ხანის ფენებში ქსელის დასაჭიმი შვეულების სრული უქონლობა, ერთი მხრივ, და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჰორიზონტალური საქსოვი დაზგების სხვადასხვა სახეობათა შემონახვა, მეორე მხრივ. როგორც ჩანს, ვერტიკალური საქსოვი დაზგა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძენმა მოახალშენეებმა შემოიტანეს და იგი, ძირითადად, ქალაქებსა და მსხვილ დასახლებებში გავრცელდა.

მშენებლობის ხელოვნება, ხით ხურვობა. აჭარის, კერძოდ მისი ზღვისპირა ზოლის საცხოვრებელ, სამეურნეო თუ საწესო ნაგებობათა მშენებლობაში გამოყენებული მასალების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთში გამოვლენილი მასალები, რომელთა საფუძველზე ჩვენ საშუალება გვაქვს დავადასტუროთ, რომ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ამ რეგიონის მოსახლეობა, ტრადიციისამებრ, ხის მორებისაგან აშენებდა საცხოვრებელ, სამეურნეო და საწესო ნაგებობებს. ამასთან, ძველკოლხური ნამოსახლარი ნამჭედურის ყველაზე ადრეული ფენის („ნამჭედური VI“) მცხოვრებლები (ძვ.წ. XVI-XV სს) უკვე იცნობდნენ მრავალსათავსიან შენობებს, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის.[50] სახლის მშენებლობაში გამოყენებულია კარგად შერჩეული და ცულით გათლილ-გასუფთავებული მორები.

ადრერკინის ხანას მიეკუთვნება ნამოსახლარ ნამჭედურის 3 არქეოლოგიური ფენა: ნამჭედური V (ძვ.წ. XIII-XII სს), ნამჭედური IV (ძვ.წ. XI-X სს) და ნამჭედური III (ძვ.წ. IX-VII სს). აქ მშენებლობის ხელოვნებაში შეინიშნება რიგი სიახლე, რაც ასახულია სადურგლო იარაღების კომპლექტის გამდიდრებაშიც. აღსანიშნავია, რომ V ფენის დასახლების მშენებლები უკვე აღარ კმაყოფილდებიან თიხატკეპნილი იატაკით და ნერგავენ საცხოვრებელი სახლისა და ეზოს ქვით მოკირწყვლის ტრადიციას. გავრცელებულია ერთდარბაზიანი მცირე ფართობის საცხოვრებელი სახლები კარისწინათი — სახურავქვეშ მოთავსებული ღია მოედნით („სოხანე“), რომლის იქით ქვით მოკირწყლული, მცირე ფართობის ეზოა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ადრერკინის ხანის კოლხი მშენებლები სახლის იატაკისა და ეზოს მოსაკირწყლავად საჭირო მასალის შერჩევაში იჩენდნენ. ისინი ზღვის სანაპიროზე სპეციალურად არჩევდნენ დისკოს ფორმის, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის ქვებს და სიბრტყეზე ალაგებდნენ სახლის იატაკზე, დერეფანსა („სოხანე“) თუ ეზოში. კარმიდამოსა და ჯარგვალური ტიპის საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობის ეს ხერხი კოლხეთის ზღვისპირეთში გვიანობამდე შეორჩა.

ადრერკინის ხანაშიეე მკვიდრდება მშენებლობაში კიდევ ერთი სიახლე ჯარგვალური

[48] იქვე, გვ. 85-86.

[49] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, с. 29.

[50] იქვე, გვ. 23.

ნაგებობის კედლების თიხის ხსნარის სქელი შრით შელესვა. ეს ტრადიცია გვიანაც განაგრძობდა არსებობას. როგორც ჩანს, გვიანბრონჯაოსა და ადრერკინის ხანის ხით ნაგები საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ჩოლოქ-ორხამურის ორმდინარეთის ზღვისპირა ზოლშია გამოვლენილი ვიტრუვიუსის (ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეები) „კოლხური სახლის" პროტოტიპი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი, თავის მხრივ, ქართული დარბაზული სახლის წინამორბედად მიიჩნევს.[51]

ნამჭედური III დროს (ძვ.წ. IX-VII სს) საცხოვრებელ სახლს აშენებდნენ ვერტიკალურად მდგარი მსხვილი სვეტების გამოყენებით, რომელთა შორის სივრცე წნული კედლებით არის შევსებული და თიხის ხსნარის სქელი შრით შელესილი. კედლის მშენებლობის ასეთივე ხერხი დამოწმებულია ვიტრუვიუსთანაც.[52] მკვლევართა შორის მეწვავე დავაა იმის შესახებ თუ როგორი ხერხით შენდებოდა კოლხური სახლის კედლები - ძელების ჭდობით თუ მის გარეშე. კოლხეთის ბარში არქეოლოგიურად ფიქსირებული ყველა ძელური სახლის კედლები, ადრებრონჯაოს ხანიდან მოკიდებული ვიდრე ანტიკურ ხანამდე, მხოლოდ ჭდობითაა ნაგები (ისპანი, ნამჭედური, დიხა-გუძუბა II და ა.შ.).[53] დასავლეთ საქართველოში არც ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ჯარგვალური ნაგებობის ჭდეების გარეშე მშენებლობა (სასიმინდეები ასევე შენდება დღესაც).

აი, როგორ აღწერს ვიტრუვიუსი კოლხურ სახლს: „კოლხები, ტყეებით მდიდარ პონტოს მხარეში, მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან მორებს აწყობენ და მათ თავებს შორის ტოლ მანძილს ტოვებენ. თავსა და ბოლოებს შორის გარდიგარდმო ძელებს გასდებენ და ამგვარად შემოსაზღვრავენ სახლის შიდა სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს, კუთხეებში შეუღლებული (ჭდეული) ძელების თანდათანობითი დაშენებით ამოყავთ ძირითადი კედლები და აგებენ სახლს. ძელებს შორის დარჩენილ სივრცეს (ღრიჭოებს - ბეტ.) ნაფოტებითა (Schidiac) და ტალახით (Luto) ამოავსებენ... ასევე (აგებენ) სახურავებსაც... კედლის ნაპირიდან დაცილებით, გასდებენ რა გასაყრებს, რომლებიც ზევითკენ ოთხივე მხრიდან თანდათანობით მოკლდება (ნაგებობების) შუისაკენ, ამოყავთ პირამიდები, რომლებიც ფათხებითა და მიწითაა დახურული".[54]

რაც შეეხება კოლხეთის სინამდვილეში მშენებლობაში ქვის გამოყენებას, როგორც ჩანს, იგი მხოლოდ ელინისტური ხანიდან ვრცელდება, ისიც უფრო შიდა ზონაში.

საყურადღებოა მშენებლობის ტექნიკური აღჭურვილობა: ადრერკინის ხანაში ჩვენ უკვე გვაქვს სათლელი და საჩეხი ცულები, სატეხები და საფხეკები. ფაქტიურად ამით ამოიწურება მცირე მასალა იმდროინდელ სადურგლო იარაღებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ გამოიყენებოდა აგრეთვე ხელეჩო, ჩაქუჩი, მათ შორის ხის ჩაქუჩიც და ა.შ. რაც შეეხება ლითონის ლურსმანს, მის გამოყენებას მშენებლობაში მხოლოდ ადრეანტიკური ხანიდან ვადასტურებთ.

ლითონდამუშავება (ჩამოსხმა და მჭედლობა). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში გამოვლენილი მასალების მიხედვით, ლითონდამუშავება (სამსხმელო საქმე,

---

[51] **ალ. ლაფაჩაძე.** კოლხური სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით და ქართული ხალხური საცხოვრებლის კვლევის პრობლემები. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", 1968, №4, გვ. 201-220; Гагошидзе В.С. Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების „მაცნე", 1965, №1(22), გვ. 279-292; შეად. Циркунов В.О. О происхождении зодчества, Москва, 1965.

[52] Витрувии, Десять книг об архитектуре, Москва, 1936; **ლ.ხუციშვილი.** კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", VI, 1945, გვ. 491-502.

[53] **ლ.ხუციშვილი.** მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ბათუმი, 1980, გვ. 18.

[54] Витрувии. Десять книг об архитектуре. книга II, Москва, 1936.

მჭედლობა, ოქრომჭედლობა) ხელოსნური წარმოების ისეთი უბანია, სადაც ადრერკინის ხანაში პროფესიული დანაწევრების ხარისხი უკვე საკმაოდ მაღალია. ამ დარგის თითოეული უბანი - ჩამოსხმა და მჭედლობა მისი ცალკე სახეებით - ფაქტიურად, უკვე დამოუკიდებელი ხელოსნური დარგებია.[55]

ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებში აჭარის ზღვისპირა ზოლში უკვე დადასტურებული გვაქვს სპილენძ-ბრინჯაოს ჩამოსხმა. მაგ. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე გამოვლენილია ყუამილიანი ბრინჯაოს (სპილენძის) ცულების ჩამოსასხმელი ყალიბების ნატეხები, ასეთივე ცულის ხის მოდელი, ლითონის ტიგელური „ხარშვისათვის" განკუთვნილი საბერველების საქშენი მილებისა და აბაზანისმაგვარი ტიგელების მინიატურული მოდელები (სურ. 10).[56] ასეთივე სურათია მთელი კოლხეთის ზღვისპირეთში. როგორც ჩანს, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობას ლითონის ჩამოსხმის საქმეში იმ დონისათვის მიეღწევია, რომელსაც შემდგომში, დიდხანს, პრინციპული ტექნოლოგიური ცვლილება აღარ განუცდია. მომდევნო პერიოდში (შუა და გვიანბრინჯაოს, ავრეთვე, ადრერკინის ხანა) იცვლებოდა წარმოების მასშტაბები, მაგრამ ჩამოსხმის ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპი უცვლელი რჩებოდა.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ლითონჩამოსხმის ერთ-ერთი ცენტრი ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში განლაგებული დასახლებები (თემები) უნდა ყოფილიყო. ამის მოწმობაა სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო და სამეურნეო იარაღებისა და სამკაულის ჩამოსასხმელი ყალიბების სიმრავლე, როგორც ნამჭედურის ნამოსახლარის, ისე ჩოლოქისპირა დასახლებების შესაბამის ფენებში.[57] აქ გამოვლენილია სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულების, ისრისწვერების, შუბისპირების, საკინძების, მძივებისა და სხვა ნაწარმის ჩამოსასხმელი ყალიბები (სურ. 17.1-3). აქვე წარმოდგენილია თიხის ჩამჩა გამდნარი სხმულის ყალიბში ჩასაწურად (სურ. 17.6). ნამჭედურის ნამოსახლარის V ფენაში დადასტურებულია საბერველების საქშენი მილების ისეთი სახეობა, როგორიც ჩვეულებრივ, სხმულის ტიგელში „ხარშვის" დროს გამოიყენებოდა.

აჭარა თავისი ზღვისპირეთით გეოგრაფიულად და კულტურულადაც ძველი ფერადი მეტალურგიის ჭოროხის ცენტრს[58] ეკუთვნოდა და მისი ცალკეული უბნები, ბუნებრივია, ლითონითაც ამ ცენტრის ლითონმომპოვებელი საწარმოო კერებიდან მარაგდებოდა. დღეისათვის გაგვაჩნია ერთადერთი სათუო ცნობა ჩვენში ფერადი ლითონის გამოდნობაზე. ეს გახლავთ ა.იესენის ცნობილი ნაშრომი კავკასიური სპილენძის მეტალურგიის შესახებ და ეხება მახინჯაურში, ზღვის ნაპირას ლითონსამსხმელო ქურის, ცეცხლის ნაკვალევისა და ბრინჯაოს ნაწარმით სავსე ორი ჭურჭლის აღმოჩენას. ა.იესენი ფიქრობდა, რომ მახინჯაურში,

---

[55] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, - სდსძ, XV, თბილისი, 1986, გვ. 71.

[56] Микеладзе Т., Барамидзе М., Инаишвили А., Хахутайшвили Д., Мусхелишвили Д. Исследования Колхидской археологической экспедиции. - В сб. Полевые археологические исследования в 1974 году (краткие сообщения), Тбилиси, 1976, с. 34-35; ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. - სდსძ, VIII, თბილისი, 1979, გვ. 7-8.

[57] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, с. 26-28; ირ.ჩაგლეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში. - სდსძ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 3-26.

[58] Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, - Известия ГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, с.30-34, 44-47, 117-123.

ზღვის ნაბირას ლითონსამსხმელო სახელოსნო უნდა ყოფილიყო, მაგრამ გასარკვევი რჩება, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ლითონსადნობ ქურას ლითონის ჩამოსხმასთან, რომელიც იმ დროს მხოლოდ ტიგელურ ღღობას გულისხმობდა როცა ტიგელში გამლღვარი ლითონი თიხის ციცხვით ყალიბში გადაქონდათ (სურ. 17.6).[59] როგორც ჩანს, ეს მოსაზრება მცდარია, რადგან: 1. ძველად სპილენძის დნობის ოსტატები მადანს შორ მანძილზე არ ეზიდებოდნენ და ცდილობდნენ იგი მოპოვების ადგილის მახლობლად გაემდიდრებინათ და გამოედნოთ, ლითონად ექციათ;[60] 2. ისტორიული კოლხეთის, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ნაწარმისა და ბრინჯაოს ზოდების დიდი რაოდენობა (ციხისძირის, ზენითის, ჯოჭოს და სხვა განძები),[61] რაც იმის უდავო მოწმობაა, რომ ფერადი ლითონის მიღება (გამოდნობა) ხდებოდა კონკრეტულ საწარმოო კერებში (ცენტრებში), საიდანაც ლითონი ცალკეულ ლითონსამსხმელო სახელოსნოს (კერას) მიეწოდებოდა და, სადაც, სასურველი ნაწარმის ჩამოსხმა ან გამოჭედვა ხდებოდა.[62] ამგვარად, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში კოლხური სამყაროს ეს რეგიონი სპილენძ-ბრინჯაოს **ჩამოსხმის** (და არა მოპოვების) საქმეში დაწინაურებული მხარე იყო.

ლითონჩამოსხმის მრავალი დარგის (საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული, სკულპტურა და ა.შ.) განვითარება, აგრეთვე ლითონდამუშავების დაწინაურებულობა გვაფიქრებინებს, რომ ასევე დიფერენცირებულია ამ სფეროში დასაქმებულ ხელოსანთა ფენაც. გვაქვს, აგრეთვე, საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადრერკინის ხანის კოლხეთში, გარდა მჭედლებისა, რომლებიც რკინა-ფოლადის ნაწარმის დამზადებას მისდევდნენ, უნდა არსებულიყვნენ ვერცხლის, ოქროს, სპილენძის, ბრინჯაოს მჭედლები, აგრეთვე, ნახევრად ძვირფასი ქვების დამუშავების ოსტატები.

ერთ-ერთ ხეთურ ლურსმულ ტექსტში ერთმანეთის გვერდით მოხსენიებულია „რკინის მჭედელი", „ვერცხლის მჭედელი" და „სპილენძის მჭედელი".[63] ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რა ვითარება იყო ქართველურ ტომთა განსახლების მეზობლად, მის სამხრეთით და შევადაროთ იმას, რაც ქართველური (კოლხური) სამყაროს მეურნეობრივად და სოციალურად დაწინაურებული რეგიონების შესახებ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვიცით, კერძოდ, შევადარო იმას, რაც აჭარის შესახებ გაგვაჩნია.

ქართველური სამყაროს, განსაკუთრებით კი ახლანდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცირეაზიულ სამყაროსთან მეზობლობა და სიახლოვე, სამეურნეო აღჭურვილობის დაახლოებით ერთგვარობა და კულტურული კონტაქტების ზოგი დამთხვევის ფაქტები, საშუალებას გვაძლევს დავუშვათ ამ ორი რეგიონის ტექნიკური სიახლოვე ლითონების დამუშავებაშიც.

იმის გამო, რომ შესასწავლ რეგიონში თითქმის არა გვაქვს არქეოლოგიური ნორმების დაცვით გათხრილი ადრერკინის ხანის სამაროვნები, გვიძნელდება ხელოსნობის მთელი რიგი დარგების შესახებ არგუმენტირებული საუბარი. ამის გამო ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით ხელოსნობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა საიუველირო საქმე, ტორევტიკა და ა.შ.

---

[59] Лукас А. Материалы и ремесленные производства древнего Египта, Москва, 1958, с. 347-350.

[60] **გ.გობეჯიშვილი**, ძველი ქართული სამთო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", XIII, 3, 1952, გვ. 183-190.

[61] **ალრამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.

[62] **დ.ხახუტაიშვილი**, ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 68-69.

[63] Гиоргадзе Г.Г. Производство и применение железа в Центральной Анатолии по данным хеттских клинописных текстов - Древний Восток, Этно-культурные связи, Москва, 1985.

§3. შავი მეტალურგიის უძველესი კერები აჭარის ტერიტორიაზე

რკინა ის ლითონი იყო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ადამიანთა ცხოვრებაში. იყო დრო, როცა ადამიანი არ ფლობდა შადნისაგან რკინის მიღებისა და მიღებული რკინის წრთობის (დაფოლადების) ტექნოლოგიას. პირველად იგი „ცის რკინას" ანუ მეტეორიტულ რკინას გაეცნო, რომელსაც მხოლოდ სამკაულების დასამზადებლად იყენებდა.

ძვ.წ. XII-XI საუკუნემდე რკინის წრთობა-დაფოლადების ხერხებს არ იცნობდნენ და რბილი რკინისაგან მხოლოდ სამკაულებსა და საწესო-რიტუალურ საგნებს ამზადებდნენ. ამგვარი ლითონისაგან დამზადებული საშეურნეო და საბრძოლო აღჭურვილობა პრაქტიკულად გამოუდეგარი იყო. ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღი ამ დროს გაცილებით მაგარი, თანაც ფხიანი იყო. მხოლოდ ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგს გამოუჩნდა მას მეტოქე ფოლადის სახით. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველი წერილობითი ცნობა რკინის გახურება-გაცივებით წრთობის შესახებ (ჰომეროსი, „ოდისეა"). აღმოჩენილია ფოლადისაგან დამზადებული პირველი სამეურნეო და საბრძოლო იარაღებიც.

ძვ.წ. II ათასწლეულში რკინას ფართოდ იყენებდნენ ხეთების სამეფოში, ძირითადად საწესო-რიტუალური დანიშნულების საგნებისა და სამკაულების დასამზადებლად.[1] გარდა ამისა, დაცულია ხეთური ლურსმული ტექსტი, თანაც ერთადერთი, რომელშიც რკინის წარმოებაზეა საუბარი. რამდენადაც ეს ტექსტი გახდა ამოსავალი თეორიისა, ე.წ. ხეთური მონოპოლიისა რკინის წარმოებაში და მასთან დაკავშირებული გაუგებრობებისა,[2] მოვიტანთ მას მთლიანად. წარწერა წარმოადგენს ხეთების მეფის ხათუსილი III წერილს ასურეთის მეფისადმი. აი, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ამ ტექსტიდან:

„—რაც შეეხება კარგ რკინას, რომლის შესახებ შენ მე მომწერე, კარგი რკინა ქიცუვატნაში, ჩემი „ბეჭდის სახლში" (როგორც ჩანს „სამეფო საწყობში" - ავტ) არა გვაქვს. ეს რკინა ძნელად დასამზადებელია. მე მივწერე, რომ მათ დაიწყონ კარგი რკინის დამზადება. მათ ჯერ არ დაუმთავრებიათ (გამოდნობა). როგორც კი დაამთავრებენ, მე შენ გამოგიგზავნი. ამჟამად კი მე შენ რკინის ხანჯლის ბირს გიგზავნი" (KB0 14).[3]

ტექსტის ეს ადგილი დასავლეთის მეცნიერებაში იქცა ძირითად საყრდენად რკინის წარმოების ე.წ. ხეთური თეორიის შესაქმნელად, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. XV საუკუნეში ხეთებმა მიაგნეს რკინის მიღების საიდუმლოებას და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მონოპოლიურად ფლობდნენ მას. შემდეგში ეს თეორია, ხეთების მიერ რკინის მიღების ტექნოლოგიის მონოპოლიური ფლობის შესახებ, ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული, მაგრამ ინერციით ხდებოდა მისი კვლავ და კვლავ გამეორება, სანამ ყურადღება არ მიექცა იმ უდავო ფაქტს, რომ ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსის სამყაროს იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც რკინა ადრიდანვე გამოიყენებოდა, არსად არ იყო ფიქსირებული რკინის ადრეული წარმოების რაიმე კვალი, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ მასშტაბებზე, როგორითაც რკინა გამოიყენებოდა კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა

[1] Гиоргадзе Г.Г. Указ. соч., с. 238 и сл.

[2] Хахутаншвили Д.А. Производство железа в древней Колхидс, Тбилиси, 1987, с. 17 и сл.

[3] Гиоргадзе Г.Г. указ. раб., с. 246.

და ეგეოსის აუზის ქვეყნებში.[4] ეს პრობლემა, მიუხედავად მრავალი ცნობილი მკვლევარის მცდელობისა, ღიად რჩებოდა მანამ, სანამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში (ჯიხანჯური, ლეღვა, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო-კაკარიათი, ჩაისუბანი) არ დაიწყო რკინის წარმოების ძველი კერების გათხრები.[5] გამოირკვა, რომ ლითონების წარმოებისა და დამუშავებაში, აგრეთვე, ლითონის ნაწარმის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაწინაურებული იყო როგორც გვიანი ბრინჯაოს, ისე, განსაკუთრებით, ადრეული რკინის ხანაში. საამისოდ ამ რეგიონს გააჩნდა თავისი დროისათვის მძლავრი სამთამადნო ბაზა და მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი. ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში (კერძოდ, ძვ.წ. XVIII ს) ამ რეგიონის მეტალურგებს შეუქმნიათ ლითონსადნობი კონსტრუქციები, რომლებშიც შეიძლებოდა მიეღოთ და შეენარჩუნებინათ 1400°-ს ტემპერატურა, რაც საკმარისი იყო მადნისგან პირდაპირი აღდგენით ლითონის, კერძოდ, რკინის მისაღებად.[6]

დადგინდა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არსებობდა წინარეანტიკური ხანის მძლავრი სამთო-მეტალურგიული ცენტრი, რომელიც ნ საწარმოო კერას მოითვლიდა. მათგან 3 აღმოჩენილია აჭარის ტერიტორიაზე. ეს ზონა, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, გამორჩეული რეგიონი ჩანს როგორც ლითონის მოპოვების, ისე გამოყენების საქმეში (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა-ფოლადი). ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ლითონ-ჩამომსხმელი სახელოსნოები (სპილენძი, ბრინჯაო), რომლებიც ქობულეთ-ფიჭვნარ-ჩოლოქის ნამოსახლარებზე იქნა აღმოჩენილი. ისინი გვიანბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანას მიეკუთვნებიან[7] და ამ რიგის ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ იმათაც, რომ აქაურ მონაბოვარში წარმოდგენილია სამეურნეო და საბრძოლო იარაღების თუ სამკაულის ყველა ცნობილი სახეების ჩამოსასხმელი ფორმები (სურ. 17.1-3). ამ დროის წარმოება (ლითონჩამოსხმა), როგორც ჩანს, აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში შეიქმნა და ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე არის დადგენილი (სურ. 10).

გვიანბრინჯაოს ხანის საზოგადოება წარსულიდან მიღებულ ამ ტრადიციებს ადრერკინის ხანას გადასცემს, რომელიც ახალ წარმოებით დარგთან განაგრძობს შეგუებას. ეს ახალი დარგი შავი მეტალურგიაა, რომელიც შუაბრინჯაოს ხანაში გამოჩნდა, თანდათანობით განიმტკიცა პოზიციები და ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში მისი პროდუქცია უკვე წამყვანი ლითონი გახდა როგორც სამეურნეო, ისე საბრძოლო აღჭურვილობის დამზადებაში.

აჭარის ტერიტორიაზე, როგორც ითქვა, გამოვლენილია შავი მეტალურგიის 3 საწარმოო კერა. მათგან ერთი ჭოროხის ხეობის ქვემო წელზე, ჭარნალის მეურნეობისა და სოფლების გონიოს, ავგიას, ახალსოფლის და მიმდებარე ტერიტორიებზე. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამ კერის ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მეზობელი შავშეთის ტერიტორიაზეც. ჭოროხის

---

[4] **Zaccagnini C.** KBo 1 14 e 1i "monopolia" hittita del ferra. "Estratto dalla a Rivista degli studi Orientali", vol. XLV, Romo, 1971, pp. 11-20.

[5] **Хахутайшвили Д.А.** Производство железа..., сс. 32-218.

[6] **ოგბელიშვილი.** აჭარაში 1960-1961 წწ. აღმოჩენილი რკინისსადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების შედეგები. - სდსძ, I, თბილისი, 1964, გვ. 29-44; **დახუტაიშვილი.** კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I, გვ. 45-58; **ოგბელიშვილი, დახუტაიშვილი.** რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. - სდსძ, I, გვ. 59-96. **ნ.ხახუტაიშვილი, გთაგაბაშვილი.** უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში. - „ძიებანი", №9, თბილისი, 2002; N.Khakhutaishvili, Development of iron metallurgi in West Transcaucasia (Historical Kolkheti). - "METALLA", №12, Deutsche Bergbau-Museum, BOCHUM, 2005.

[7] **Гзелишвили И.А.** Железоплавильное дело древней Грузии, сс. 14-30, 38-52, рис. 15, табл. 1-11, 2, 3; **Хахутайшвили Д.А.** Производство железа..., с. 206-212. - Там-же лит-ра.

საწარმოო კერა აღმოჩენილი იყო 1960 წელს (ა.ინაიშვილი, ი.გძელიშვილი, დ.ხახუტაიშვილი), მომდევნო წელსვე გაითხარა ერთი, შემდეგ წლებში კი, კიდევ ორი არქეოლოგიური ობიექტი (სულ 6 რკინისსადნობი სახელოსნო), რომლებიც თარიღდებიან ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის პირველი მეოთხედით.[8]

2001 წელს განახლდა ჭოროხის ხეობის რკინის საწარმოო კერის შესწავლა. სოფ. ახალსოფლისა და გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე გამოვლინდა კიდევ რამოდენიმე რკინის გამოსადნობი სახელოსნო უბანი („ავგია I“, „ავგია II“, „ხოფჩო I“, „ხოფჩო II“). ამ ძეგლებიდან აღებული ხის ნახშირის ნიმუშები დასათარიღებლად გაიგზავნა გერმანიაში, ჰაიდელბერგერის ინსტიტუტში და ბერლინში - გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში. მიღებული ბასუხების მიხედვით ორი ძეგლი („ხოფჩო I“, „ხოფჩო II“) ძვ.წ. XV-XIV სს დათარიღდა, ხოლო დანარჩენები ძვ.წ. X-IX სს. როგორც ჩანს, ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ჭოროხის მოსახლეობა უკვე ფლობდა რკინის წარმოების ტექნოლოგიას, რაც მნიშვნელოვანი იყო რეგიონის შემდგომი წინსვლისათვის.[9]

ჭოროხის საწარმოო კერის ოსტატები სამადნო ნედლეულად იყენებდნენ მაგნეტიტურ ქვიშას, რომელსაც ამზადებდნენ ზღვის ნაპირას, ჭოროხის შესართავის ორივე მხარეს წარმოდგენილ ახალშავზღვურ ტერასაზე. ამ ტერასის (დიუნის) ერთ მონაკვეთზე დღეს დგას გონიოს ციხე, რომლის გათხრების დროს არქეოლოგებმა იპოვეს მადნეულის მობოვებაზე დასაქმებული ისეთივე ნამოსახლარის ნაკვალევი, როგორიც გამოვლენილი და შესწავლილი იყო ჩაქვის, ბობოყვათის, ქობულეთის და ურეკის მიდამოებში. ასე რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ფუნქციონირებდა არა მარტო რკინისსადნობი კერები, არამედ აქვე იყო წარმოდგენილი სანედლეულო ბაზაც, კერძოდ მაგნეტიტური ქვიშები, რომელიც მესამეული გეოლოგიური ეპოქის ტუფოგენური ქანების გამოფიტვის შედეგად წარმოიქმნება, შემდეგ მდინარეებს ზღვაში შეაქვს, ხოლო ზღვას ნაპირებზე გამოაქვს და დიუნებზე (ტერასებზე) დააშრევებს.[10]

საყურადღებო გარემოებაა, რომ სადაც კი ზღვის ტერასაზე ამგვარი ნამოსახლარებია დადასტურებული, მახლობლად, ზღვის ნაპირიდან მეტ-ნაკლები დაშორებით, გამოვლენილია რკინის მომპოვებელი კერა: გონიოს ციხის მიდამოებში ჭოროხ-ჭარნალის კერა, ჩაქვის ნამოსახლარის უკან ჩაქვისწყლის ხეობის საწარმოო კერა, ქობულეთ-ფიჭვნარის დიუნური დასახლებების უკან ჩოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერა, ხოლო ურეკის დიუნურ დასახლებათა უკან - სუფსა-გუბაზეულის საწარმოო კერა.[11]

2000 წელს შესწავლილ იქნა კიდევ ერთი, ახალი, ჩაქვისწყლის ხეობის რკინის საწარმოო კერა. აქ, დაბა ჩაქვის სოფ. ჩაისუბნის ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 3,5-4 კმ-ის დაშორებით, გამოვლინდა წინაანტიკური ხანის ორქურიანი რკინის გამოსადნობი სახელოსნო. კერამიკული მასალის მიხედვით ძეგლი ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით დათარიღდა. ამ თარიღს ამაგრებს გერმანიიდან მიღებული ბასუხებიც.[12] სამწუხაროდ, თითქმის განადგურებულია ის დასახ-

---

[8] ირ.ჩაგელეიშვილი. კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში (ქობულეთ-ფიჭვნარი). - სდსძ, XIX, თბილისი, 1991, გგ. 3 და შმდ. დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა“, I, გგ. 66-70.

[9] Хахутайшвили Д.А. Производство железа..., сс. 41-59, табл., II-III.

[10] N.Khakhutaishvili, Alte Eisenproduktion an der östlichen Schwarzmeerküste, Deutschen-Bergbau-Museum, BOCHUM, 2001, pp. 182-188; N.Khakhutaishvili, Development of iron metallurgi in West Transcaucasia (Historical Kolkheti). - "METALLA", №12, Deutsche Bergbau-Museum, BOCHUM, 2005, pp. 80-88; ნ.ხახუტაიშვილი, დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი რკინის წარმოების უძველესი კერები. - „საისტორიო მაცნე“, XII, ბათუმი.

11 Гзелишвили И.А. Железоплавильное дело..., с. 16; დ.ხახუტაიშვილი. კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I, თბილისი, 1964.

12 Хахутайшвили Д.А. Производство железа..., с. 41 и сл.

ლება ზღვისპირა დიუნაზე, საიდანაც ეს საწარმოო კერა ნედლეულით (მადნით) მარაგდებოდა. როგორც ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი წარმატებით აგრძელებდა იმ საწარმოო ტრადიციებს, რომელთაც საფუძველი დაედო ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში და შესაძლებელია კიდევ უფრო ადრეც.

და ბოლოს, ერთი ძველი რკინისმომპოვებელი კერა წარმოდგენილია მდინარეების ჩოლოქისა და ორხამურის ხეობის შუა წელზე (ჯიხანჯური, ცეცხლაური, ლელეკა, ქაქუთი, ექადიე, ნარუჯა, ანასეული და ა.შ). ამ კერას მაგნეტიტით ამარაგებდა ის დასახლებები, რომლებიც ფუნქციონირებდა ზღვისპირა ტერასაზე (დიუნაზე) ქობულეთიდან ურეკამდე.

თითოეული რკინისმომპოვებელი კერა სამთო-მეტალურგიული კომპლექსია, რომლის ფუნქციონირებაც განპირობებულია ისეთი კომპონენტების ქონებით, როგორიცაა მადანი, საწვავი (ხის ნახშირი), ცეცხლგამძლე თიხები და რკინისსადნობი ტექნიკური აღჭურვილობა.

მადნეულად, როგორც აღვნიშნეთ, მაგნეტიტური ქვიშები გამოიყენებოდა, რომლის გამდიდრებაც ადგილზეევე, ზღვისპირა დასახლებებში ხდებოდა და შემდეგ წარმოების პუნქტებში გადაიზიდებოდა. მაგნეტიტური ქვიშები შეიცავენ არა მარტო რკინის მადანს, არამედ მარგანეცს, ტიტანს, კალციუმს, მაგნიუმს, ნიკელს და ა.შ.[13] აქედან გასაგები ხდება რეალობა არისტოტელეს ცნობისა, რომ, თითქოს, ძალიან ძველად, ხალიბებს მოუგნიათ უფანგავი რკინის (ფოლადის) მიღების ტექნოლოგიისათვის.[14]

რაც შეეხება საწვავს (ხის ნახშირს), იგი ადგილზეევე მზადდებოდა სხვადასხვა ჯიშის მერქნის ნახშირად გამოწვის გზით. საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ტყეებით მდიდარი მხარეა, სადაც შესაძლებელია ყოველგვარი კონდიციის საწვავის (ხის ნახშირი) მიღება. ასე იყო წარსულშიც.[15] ხის ნახშირი მაშინ ერთადერთი საწვავი იყო, რომელსაც შეეძლო ქურაში მადნის რკინად აღდგენისათვის საჭირო ტემპერატურა მიეცა. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, მართლაც, ამგვარი ნახშირი, სპერველების გამოყენებისას, ქურაში 1400°ს-მდე ტემპერატურას იძლეოდა.

ლითონის წარმოებისათვის აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტს ცეცხლგამძლე თიხა წარმოადგენდა. ამ მხრივაც აჭარის ტერიტორიაზე მომუშავე მელითონე ოსტატებს რაიმე სიძნელე არ ელობებოდათ წინ. საქმე იმაშია, რომ საერთოდ, აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის ძველი სამთო-მეტალურგიული ცენტრის ლითონსადნობი კერები განთავსებული იყო სუბტროპიკულ ზონაში, სადაც გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები. ისინი მითვლიან, აგრეთვე, მონაკეთებს, სადაც წარმოდგენილია ცეცხლგამძლე და ძნელადდნობადი თიხების სამადნეები. ერთი ასეთი მძლავრი სამადნო წარმოდგენილია აჭარის ტერიტორიაზე ცეცხლაურ-ორხამურის ცეცხლგამძლე თიხების სამადნის სახით.[16] როგორც ჩანს, სხვა საწარმოო კერებიც თიხის მარაგს ადგილობრივი სამადნოდან იღებდა.

ამგვარად, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული თითოეული რკინის მომპოვებელი კერა დამოუკიდებელი ერთეული იყო, რომელსაც გააჩნდა საკუთარი სანედლეულო ბაზა, საწვავის საკუთარი წყარო და ცეცხლგამძლე თიხების სამადნეები. რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას, იგი საერთო იყო მთელი კოლხეთისათვის.

---

[13] Хахутаншвили Н. Древнеколхидский очаг производства железа в ущелье реки Чаквисцкали. - „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", X, თბილისი, 2001; ნ.ხახუტაიშვილი, გ.თავგამოშვილი. უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში, თბილისი, 2002, გვ. 34-41.

[14] Инаишвили Г.В., Сакварелидзе Т.Н. Некоторые технологические особенности железоплавильного производства древней Колхиды. В книге: Хахутайшвили Д.А. Производство железа в древней Колхиде, дополнение I, с. 225-231.

[15] არისტოტელე. საოცარ ხმათა შესახებ, 830, ოცდაცხრაშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, 1969, გვ. 67-68.

[16] Хахутайшвили Д.А. Производство железа..., с. 189-192.

ძველი ქართული რკინისმომპოვებელი კერა მოითვლიდა საწარმოო კომპლექსის ბირთვსა და პერიფერიას. ბირთვში კომპაქტურად იყო თავმოყრილი რკინისსადნობი სახელოსნოები, ხოლო პერიფერიაზე წარმოდგენილი იყო ამგვარ სახელოსნოთა ერთეულები.

ძველკოლხური რკინისსადნობი სახელოსნო მოითვლიდა: რკინისსადნობ ღუმელს (ქურას), ქვის შედგენილ მაგიდას (საჟეპელას), მსუბუქ ფარდულს და მოედანს, სადაც წარმოების ნარჩენები (წიდები, ნაცარი, ქურის შელესილობის ფრაგმენტები, ნანგრევი ქვები და ა.შ.) გროვდებოდა (სურ. 24, 25). ასეთი სახელოსნოები, როგორც ზემოთ მივუთითეთ, შესწავლილია: ჭარნალში (6 სახელოსნო), ახალსოფელში (2 სახელოსნო), გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე (2 სახელოსნო), ჩაისუბანში (1 სახელოსნო), ჯიხანჯურში (7 სახელოსნო), ცეცხლაურში (3 სახელოსნო), ლეღვაში (2 სახელოსნო). ფიქსირებულია კიდევ 100-მდე სახელოსნო.

ადრეული შავი მეტალურგიის ნაშთების შესწავლა მიმდინარეობდა, როგორც აღინიშნა, მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. ამ აღმოჩენების შედეგად გადაწყდა მსოფლიო ისტორიისა და არქეოლოგიის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი — დადგინდა ის პირველადი სამშობლო, სადაც მიგნებულ იქნა მადნიდან რკინის მიღების ტექნოლოგია. ამის შემდეგ გაკეთდა შორსმიმავალი დასკვნები ქართველური სამყაროს როლზე კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს ძველ ისტორიაში. კერძოდ გამოირკვა, რომ: 1. რკინა-ფოლადის წარმოების დამწყებ ერთ-ერთ უადრეს რეგიონს წარმოადგენდა ქართველური ტომების საბინადრო ტერიტორია, რომელიც აწინდელ აჭარასაც მოითვლიდა. უფრო მეტიც, ქართველური სამყაროს ამ ტექნიკურ მიღწევაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის უძველესი მოსახლეობის როლი გამორჩეულია, სადაც მცირე ფართობზე კომპაქტურადაა წარმოდგენილი 3 რკინისმომპოვებელი საწარმოო კერა იმ 5 საწარმოო კერიდან, რომლებიც საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია ჯერჯერობით მიგნებული. ფაქტობრივად, რკინის წარმოების უძველესი კერები თავმოყრილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისწინა სუბტროპიკულ ზოლში, კონკრეტულად კი აჭარისა (3 საწარმოო კერა) და გურიის (2 საწარმოო კერა) ტერიტორიაზე.

2. ძველ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში და ეგეოსის აუზის ქვეყნებში თითქმის არ აღმოჩენილა რკინის წარმოების ადრეული კერები. ყოველ შემთხვევაში იმ მასშტაბის საწარმოები, რა მასშტაბითაც ეს ქვეყნები რკინა-ფოლადს ეროსმარდნენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნებისათვის რკინის ძირითადი მწარმოებელი და ლითონების ექსპორტიორი მხარე იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონი (კილხები, კოლხები, ხალიბები და ა.შ.). ამდენად გასაგებია, თუ რამ განაპირობა ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შედარებით ადრე გადავიდა ადრეკლასობრივ ურთიერთობათა ფორმირების სტადიაზე და შექმნა პირველი ქართული სახელმწიფოები (დიაოხი, კოლხა).

3. ჰიპოთეზა ხეთების პრიორიტეტზე რკინის წარმოებაში შეიქმნა იმის საფუძველზე, რომ ხეთები ძალიან ადრიდანვე ფართოდ იყენებდნენ რკინას, თანაც არსებობდა ერთადერთი ლურსმული ტექსტი (ხატუსილ III წერილი ასირიის მეფისადმი), რომელშიც რკინის დამზადებაზე იყო საუბარი, მაგრამ ეს არგუმენტი სრულებითაც არ არის იმის უცილობელი მოწმობა, რომ რკინა უშუალოდ ხეთების სამკვიდრო ტერიტორიაზე იწარმოებოდა. ჯერ ერთი, ამა თუ იმ პროდუქციის მომხმარებელი ყოველთვის როდია მისი მწარმოებელი და მეორეც, ხატუსილ III წერილში სულაც იმაზეა ლაპარაკი, რომ რკინა ხეთების სამკვიდრო ტერიტორიაზე კი არ იწარმოებოდა, არამედ სადღაც სხვაგან. ამიტომაა, რომ ხეთების მეფე პირდაპირ აცნობებს ასურეთის მეფეს: „მე მივწერე, რომ შესდგომოდნენ კარგი რკინის დამზადებას“. დღეს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარა-გურიაში, ბოლო წლებში წარმოებული

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, თუ სად უნდა წარმოებულიყო ის რკინა, რომლის შესახებაც ხეთების მეფე ასურეთის მეფეს აცნობებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ რკინის ადრეული წარმოების ზონაში შემოდის აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ, ჭანეთის ტერიტორია (ხალიბია), რომელიც ასახულია ძველბერძნულ მწერლობაში როგორც რკინა-ფოლადის (ხალიბები), ვერცხლისა (ალიბე) და თიხბერის (მოსინიკები) მწარმოებელი რეგიონი (ჰომეროსი, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი...).

4. რკინის მიღების ტექნოლოგია ძველ კოლხეთში წარმოიქმნა სპილენძის წარმოების ბაზაზე. ძველკოლხური რკინისადნობი ქურები გენეტიკურად უკავშირდება, კონსტრუქციულად იმეორებს ადრებრინჯაოს ხანის ადგილობრივ სპილენძისადნობ ქურებს (ახალციხის ამბრანის გორა).

5. „რკინის კაცები" ძველ კოლხეთში მადნურ ნედლეულად იყენებდნენ მაგნეტიტურ ქვიშას (Fe_3O_4) და ჰემატიტს (Fe_2O_3), ამასთან, ჰემატიტის გამოყენება ძ.წ. X საუკუნემდე არ დასტურდება. ნედლეულის ყველაზე ადრეული სახეობაა მაგნეტიტური ქვიშა, რომლითაც ასე მდიდარია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის პლაჟები.

6. რკინის მიღების ტექნოლოგიური პროცესის სირთულე და შრომატევადობა გულისხმობს შრომის ორგანიზაციის გარკვეულ დონეს, რაშიც წამყვან როლს თამაშობდა სატომო-თემური არისტოკრატია და სამეფო ადმინისტრაცია.

რკინის ძველ წარმოებაში შერწყმულია საქმიანობის რამდენიმე სახეობა, რაც, როგორც ითქვა, შრომის ორგანიზაციისა და დაგეგმვის მარტივ ელემენტებსაც გულისხმობდა. კერძოდ, საჭირო იყო მადნის მოპოვება, ცეცხლგამძლე თიხების მოტანა-მომარაგება, ხის ნახშირის დამზადება და სახელოსნოში მოტანა, სპერველებისა და საქშენი მილების დამზადება-გამოწვა, ქურის აგება-გამართვა, მაგიდის აგება, ხის ურიოების მომზადება და ა.შ.

მაგნეტიტური ქვიშების ფლოტაცია (გამდიდრება) სეზონური სამუშაოა და დაკავშირებულია წყლის გამოყენებასთან. იგი, როგორც ჩანს, წლის თბილ თვეებში სრულდებოდა. რაც შეეხება რკინის გამოდნობას, იგი, ალბათ, წლის შედარებით ცივ თვეებში ხდებოდა. აკი სწერდა ხეთების მეფე ასურეთის მეფეს: „ახლა რკინის გამოსადნობად ცუდი დრო არისო", რაშიც როგორც ჩანს, ზაფხულის თვეები იგულისხმებოდა. ამასთან, ხელოსანი, იმავე დროს, სოფლის მეურნეც იყო და მეტალურგიულ პროცესს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან თავისუფალ დროს ასრულებდა.

7. ძ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედიდან ასურეთისა და ურარტუსათვის ლითონით, განსაკუთრებით რკინა-ფოლადით მომარაგება სასიცოცხლოდ არსებითი გარემოება იყო. ამასთან იყო დაკავშირებული ახლოაღმოსავლეთის ამ ორი დიდი სახელმწიფოს მმართველთა განუწყვეტელი ლაშქრობანი ჩრდილოეთისაკენ — ლითონმომპოვებაში დაწინაურებული პონტოს მხარეებისაკენ. ყველა ნიშნის მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი წარმოადგენდა იმ რეგიონს, რომელიც ლითონით, განსაკუთრებით კი რკინა-ფოლადით ამარაგებდა აღმოსავლეთ აშიერკავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსის აუზის დაწინაურებულ ქვეყნებს. ამ ნიადაგზე შეიქმნა ბიბლიური წერილობითი ტრადიცია იმის შესახებ, რომ „თობელ-კაინი", ესე იგი კვერთ ხეროი, მჭედელი რკინისა და რვალისა" და ძველბერძნული წერილობითი ტრადიცია ხალიბების — „რკინის გამომგონებლების" შესახებ. ამ ზოგადსაკაცობრიო ფენომენის ფორმირებაში, როგორც ვთქვით, გამორჩეული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის, კერძოდ, აჭარის ძველი აბორიგენი მოსახლეობის როლი."[17]

[17] იქვე, გვ. 192-194.

§4. დასახლებების ფორმები და ბროტოქალაქების წარმოქმნა

შუაბრინჯაოს ხანის დასახლების ფორმები და იმდროინდელი მშენებლობის ხელოვნება ჩვენთვის თითქმის უცნობია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია ამ საკითხების გაშუქებისათვის აუცილებელი ნივთიერი და წერილობითი მონაცემები. სამწუხაროდ, ამგვარია ვითარება არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, არამედ მთლიანად საქართველოსა და ამიერკავკასიაში. უნდა ითქვას, რომ ჩვენ შედარებით უკეთ ვიცნობთ წინარე ხანის და მომდევნო პერიოდების ვითარებას. ამ მონაცემების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ დასახლების ფორმებს შუაბრინჯაოს ხანაში გარკვეული ცვლილება უნდა განეცადა უფრო ადრეული, ადრებრინჯაოს ხანის, დასახლების ფორმასთან შედარებით. ეს უნდა მომხდარიყო იმ კლიმატური ცვლილებების ფონზე, რასაც ჩვენ შუაბრინჯაოს ხანაში ვადასტურებთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. შესავალი, §2). III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დადგა საყოველთაო დათბობის პერიოდი, რასაც შედეგად მოყვა ბუნებრივი გარემოს საგრძნობი შეცვლა. ამ პროცესების განვითარების კვალობაზე გარკვეული ცვლილებები მოხდა დემოგრაფიულ სიტუაციაშიც. მათ შორის აღსანიშნავია ზღვისპირა აკუმულაციური ველის გაუკაცრიელება. გაუკაცრიელდა, აგრეთვე, ამიერკავკასიის შტკვრისპირეთის ბარიც.[1]

როგორც ადრებრინჯაოს, ისე გვიანბრინჯაოს ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხუტორული დასახლებების გვერდით არსებობდა კომპაქტური, მრავალკარმიდამოიანი დასახლებებიც (ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი ქ.ქობულეთის მახლობლად, ნამჭედურის ნამოსახლარი და სხვა დასახლებები ქ.ქობულეთის ჩრდილოეთ გარეუბანში, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის წყალსაყარის ზონაში). ამასთან ამ ნამოსახლართა ტოპოგრაფიაში აღინიშნება გარკვეული გენეტიკური მსგავსება. იმის გამო, რომ აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთის სინამდვილეში ნაგებობათა მშენებლობაში, როგორც წესი, გამოიყენებოდა მერქანი, დასახლებათა ნაშთების ძიების, მიკვლევისა და შესწავლის პირობებიც უაღრესად შეზღუდულია. საქმე იმაშია, რომ ხის ნაგებობები მხოლოდ გარკვეული კლიმატურ-ნიადაგური რეჟიმის პირობებში ინახება (ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი, ნამჭედურის ნამოსახლარის VI ფენა, ჩოლოქისპირა ნამოსახლარი და ა.შ.).[2]

თუ გავითვალისწინებთ ადრებრინჯაოს ხანის დასახლებათა ტოპოგრაფიისა და მშენებლობის ხელოვნების გენეტიკურ კავშირს გვიანბრინჯაოს ხანის მშენებლობის ხელოვნებასა და დასახლებათა ტოპოგრაფიასთან, ერთგვარი საფუძველი გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ შუაბრინჯაოს ხანაშიც მსგავსივე დასახლებები უნდა არსებულიყო, სადაც ასევე „ჯარგვალური ხერხით" ნაგები შენობები იდგა. ამგვარი რეკონსტრუქცია საკმაოდ

---

[1] დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 12-14, ლიტერატურა იქვე.

[2] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури. - Сдл , XV, თბილისი, 1985, сс. 22-23, табл. 3, 37, 38, 56, 57, 82, 83; დ.ხახუტაიშვილი, ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს არქეოლოგია. - ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა, თბილისი, 1986, გვ. 79-81; მისივე. ქობულეთის „ქვეყანა", გვ. 33-34, 81 და შემდ.

ლოგიკურად გამოიყურება განვითარების საერთო ფონზე, რაც წარმოდგენილია ბრინჯაოს ხანის მთელ სიგრძეზე - ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულამდე. ირკვევა, რომ დასახლების ფორმათა ტრადიცია, რაც ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში შეიქმნა, ამავე დროს ფორმირებული მშენებლობის ხერხები ისტორიული მეხსიერებით გადაეცემოდა მომდევნო თაობებს. მართალია, სხვა რეგიონებისათვის არსებული ინფორმაციით გიცით, რომ შუაბრინჯაოს ხანაში თითქოსდა შეიცვალა მეურნეობის წამყვანი დარგების ხასიათი და ბინადარ-სამიწათმოქმედო მეურნეობა მესაქონლე (მეცხვარე) - მომთაბარულმა შეცვალა, მაგრამ საეჭვოა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მის ზღვიპირეთში, ამ მოდელს ემუშავა, რადგან ტყიანი ქვეყანა ძნელი წარმოსადგენია მასობრივად მეცხვარეობაზე გადასულიყო და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე ხელი აეღო.

მშენებლობის „ჯარგვალური ხერხი", როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანვე დასტურდება: ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის საცხოვრებელი სახლები აგებულია ხის მორებისაგან, სადაც კედლის ამოსაყვანად გამოყენებულია ჭდევის ხერხი. მშენებლობის ამგვარი ხერხი გასული საუკუნის 50-იან წლებში სამგორის ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყორღანის გათხრების დროს იყო ფიქსირებული, სადაც ყორღანული სამარხის დასაკრძალავი ოთახი მსხვილი ძელებით იყო ნაგები, ჭდევის გამოყენებით.[3]

შიდა ქართლში ამ დროს, ე.წ. მტკვარ-არაქსულ დასახლებებზე, ხის კარკასიანი საცხოვრებელი სახლები შენდებოდა, რომლებიც თიხის ხსნარით იყო შელესილი (ქვაცხელები და სხვა).[4]

ისპანის ნამოსახლარზე ჯარგვალური საცხოვრებელი სახლები ერთმანეთზე მიბრჯნითაა განლაგებული. ეს იყო, როგორც ზემოთ ითქვა, საყოველთაო აციების პერიოდი (ზღვური რეგრესია) და საცხოვრებელი სახლიც, ბუნებრივია, შესაბამისად იყო გამართული - მორებს შორის დარჩენილი სიცარიელე (დრიჭო) შეივსებოდა ნაფოტებით და ამოილესებოდა თიხის ხსნარით (ფიქსირებულია გათხრების პროცესში).

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, ანუ ჩვენი დროიდან 4,5 ათასი წლის წინ, ისპანელები იწყებენ ხიმინჯებიან პლატფორმებზე მდგარი ჯარგვალების მშენებლობას, რაც ახალ კლიმატურ რყევასთან იყო დაკავშირებული. ამ დროს, როგორც ირკვევა, დაიწყო საყოველთაო დათბობა, რასაც შედეგად მოყვა ზღვის დონის მაღლა აწევა, წარმოიქმნა ახალშავზღვური ტერასა (დიუნა) და დაიწყო ზღვისპირა ზოლის საყოველთაო დაჭაობების პროცესი: სამეურნეო სავარგულები დაჭაობდა და საცხოვრებლად გამოუდეგარი გახდა; მოსახლეობას, მართალია, გაუძნელდა საბინადროსა და წინაპართა საფლავების მიტოვება და წყლის შემოტევას ხიმინჯებიანი ჯარგვალების მშენებლობით დაუპირისპირდა, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა და ზეგნებს შეხიზნოდა.[5]

ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებში დაიწყო ახალი აციების ხანა; ზღვის დონეც დაბლა დაიწია და კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ველი კვლავ სამეურნეო სავარგულად იქცა. მოსახლეობა კვლავ ჩამოიწია ბარში და აითვისა იგი. ქობულეთის ჩრდილო გარეუბანში, მდ.

---

[3] საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 92-93.

[4] ალ.ჯაფარიძე. ლღლონტი. ურბნისი, I, ნაკვეთი I, თბილისი, 1982, გვ. 42-44, ტაბ. VI-XVIII.

[5] Хахутайшвили Д.А. Природа и человек...., с. 147 и сл.

ოჩხამურის ნაპირას არსებული „ნამჭედურის ნამოსახლარის“ ყველაზე ძველი, VI ფენა, რომელიც ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებს მიეკუთვნება, შეიცავს მრავალგანყოფილებიანი ჯარგვალური სახლის ნანგრევებს. იმის გამო, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისწინეთი არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი, ჩვენ არ ვიცით, როგორ ცხოვრობდა აქაური მოსახლეობა შუაბრინჯაოს ხანაში, მაგრამ ადრებრინჯაოს ხანის ისპანის ნამოსახლარის და გვიანბრინჯაოს ხანის „ნამჭედურის“ ნამოსახლარების მასალების ურთიერთშედარება აშკარას ხდის აქაური მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების სტაბილურობას და მემკვიდრეობითობას, რაც ვლინდება არა მარტო ამ ორი ეპოქის დასახლებათა ტოპოგრაფიის, არამედ მშენებლობის ხერხების და მეურნეობის ფორმების მსგავსებაში. ასე მაგალითად, ნამჭედურის ნამოსახლარის უძველესი ფენის კერამიკის ერთი ჯგუფი გენეტიკურად ამოსავალს ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის კერამიკაში ნახულობს. სხვათაშორის, ეს მომენტი ეთნიკური სტაბილურობის მოწმობაც უნდა იყოს. ასე რომ/ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ზოლში ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული გვიანი ბრინჯაოს ხანის დადგომამდე რაიმე საგრძნობი ეთნიკური ცვლილება არ დასტურდება.

როგორც ვნახეთ, გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის დასახლებათა ფორმებში ნათლადაა წარმოდგენილი ტრადიციული ელემენტები. აქ კომპაქტური დასახლებების გვერდით (ნამჭედური, ციხისძირი, მახვილაური, ბათუმისციხე) გვაქვს ხუტორული კარმიდამოებიც. უკანასკნელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე შემორჩა.

გვიანი ბრინჯაოსა (ძვ.წ. XV-XII სს) და ადრეული რკინის ხანა (ძვ.წ.XI-VI სს) საყოველთაო აცოგებისა და ზღვური რეგრესიის პერიოდია. ბუნებრივი პირობების თავისებურებები, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა ისტორიული პროცესის მიმდინარეობაზე, იწვევდა დასახლებათა ფორმებისა და მშენებლობის ხერხების გარკვეულ კორექტირებას.

ს.ქობულეთის ნეოლითური ნამოსახლარის გათხრებმა ნათელყო, რომ ჩვენში კომპაქტური დასახლებები სათავეს ამ დროიდან მაინც იღებდა და მისი ფორმები ყოველ ეპოქაში განიცდიდა ევოლუციას, სანამ ქალაქურ და დაბურ დასახლებად არ მოგვევლინებოდა (სურ. 3). ცხადია, არსებითი სულაც არ არის, თუ რა მასალა გამოიყენება მშენებლობაში. ძვ.წ.V საუკუნეში, მაგალითად, დრილების ტომის დედაქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა და საცხოვრებელი სახლები ხისგან იყო ნაგები. ასევე ხისგან ყოფილა ნაგები ბათუმისციხის დასახლების ადრეული (ძვ.წ. VIII-VII სს.) საფორტიფიკაციო სისტემა და ნამჭედურის ნამოსახლარის საფორტიფიკაციო და საცხოვრებელი ნაგებობები. უფრო მეტიც, ქობულეთის ჩრდილოეთით არსებული ძვ.წ. V-II საუკუნეების უსახელო ნაქალაქარის გათხრების დროს ნაპოვნი არ ყოფილა ქვისა და აგურისაგან ნაგები არც ერთი სახლი. შემდგომშიც სასოფლო დასახლებებში ხე-ტყე იყო ერთადერთი სამშენებლო მასალა და მხოლოდ ახლახან, XX საუკუნეში დაუთმო მან ადგილი ქვასა და აგურს.

ადამიანთა კონცენტრაცია ხელსაყრელი გეოგრაფიული განლაგების მქონე გარკვეულ პუნქტებში სამეურნეო საქმიანობის რაციონალურად წარმართვის აუცილებლობითაცაა გამოწვეული. რა თქმა უნდა, არ უნდა გამოვრიცხოთ კოლექტიური თავდაცვის აუცილებლობაც. ქვის ხანაში, მაგალითად, კოლექტიური ნადირობა და კოლექტიური თავდაცვა იყო განმსაზღვრელი ფაქტორი კომპაქტური დასახლებების ფორმირებაში.[6]

---

[6] ალ.კალანდია. ქვის ხანა საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 95-118; ნ.ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი..., გვ. 95.

§4. დასახლებების ფორმები და ბრონზოლალაქების წარმოქმნა

გვიანბრინჯაოს ხანაში ჩვენ გვაქვს უპირატესად მცირე მასშტაბის კომპაქტური დასახლებები, რომლებიც გვაროვნული, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ტერიტორიული თემის საცხოვრისები ჩანან.

ადრერკინის ხანაში (ძვ.წ. XI-VI სს.) შეინიშნება თვისობრივად ახალი ტიპის დასახლებათა გამოჩენა. კერძოდ, ამ დროს ფორმდება **მსხვილი დაბური ტიპის დასახლებანი**, რომლებიც რამდენიმე თემს აერთიანებენ. ცხადია, ამ დროს განაგრძობს არსებობას დასახლების ტრადიციული ფორმებიც - ხუტორული კარ-მიდამოები და მცირე კომპაქტური დასახლებები. მსხვილი დაბური ტიპის დასახლებების ერთი მთავარი თავისებურებაა მის შემადგენლობაში დარგობრივი სახელოსნო უბნების არსებობა. ამგვარი დასახლებები ამ დროს ფორმდება არა მარტო კოლხეთში, არამედ შიდა ქართლისა და კახეთის ბარში და მთისწინეთში.[7]

აღმოსავლეთ საქართველოში უფლისციხის, ხოვლეგორას, კენჭყარას, ნაცარგორას, ქვემო ბოლნისის, ყათლანიხევის და რიგ სხვა გორანამოსახლართა ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ჯერ კიდევ იშვიათია თემები, რომელთაც გამაგრებული სამოსახლოების გვერდით გაუმაგრებელი დასახლებები ექნებოდათ. კოლხეთში მსგავსივე ვითარების არსებობაზე მიუთითებს დიხა-გუძუბას, ნაოხვამუს, ოჩამჩირის, ნამჭედურის და სხვა დასახლებათა ტოპოგრაფია და მასალები.

ქსენოფონტეს „ანაბაზისის“ სათანადო ადგილების გაცნობა ცხადყოფს, რომ ასეთივე ვითარება განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ რაიონებში ადრეანტიკურ ხანაშიც, კერძოდ, ძვ.წ. V საუკუნის მიწურულამდეც შემოინახა (ტაოხები, მოსინიკები, ხალიბები).[8]

ძვ.წ. I ათასწლეულის დადგომამდე ქართველ ტომთა ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ის ვითარებაა წამყვანი, როცა მეზობელი თემები, თუნდაც თავისივე მოდგმისა, განიხილებოდა როგორც ბოტენციური მტერი, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე საზოგადოებრივი ძალა ან ინსტიტუტები, რომელიც თემთა უშიშროებას უზრუნველყოფდა და თუნდაც სუსტ, მაგრამ ბატარა თემისთვის ძვირადღირებულ საფორტიფიკაციო სისტემას უსაგნოს გახდიდა, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა სოციალური უთანასწორობის რამდენადმე მნიშვნელოვანი ჩანასახი, ხოლო მეზობელთა კოლექტიური ძარცვა „კანონიერ“ საქმიანობად იყო მიჩნეული. ხოვლეგორას (გორის რ-ნი) გორასაცხოვრისის უძველეს ფენებში, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ.წ. XV-XII საუკუნეებში თავსდება, ნათლად ჩანს, რომ თემი დასახლებულია ხელოვნური თხრილით დაცულ ბორცვზე, ხოლო მიმდებარე ტერიტორია დაუსახლებელია. ხოვლეს გორასამოსახლოს მეზობლად (მეტეხსა, ავკეთსა და კენჭყარაში) თხრილებით დაცულ ბორცვებზე სხვა ასეთივე თემები სხედან. იგივე სურათი ჩანს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მცხეთის, ყათლანიხევი I და უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სამოსახლოების სინამდვილეში. როგორც ირკვევა, ამ დროის სამოსახლოები, როგორც წესი, გამაგრებული საცხოვრისები იყო და ახასიათებდა როგორც ბარის, ისე მთისწინა და მთის რაიონებს.[9]

რკინის სამეურნეო ათვისების პირველივე საფეხურზევე ქართლისა და კოლხეთის ბარის რაიონებში ჩნდება დასახლებები, რომელთა გარეგნული სახე ბრინციბულად განსხვავდება წინარე ხანის დასახლებათა გარეგნული იერისაგან. კერძოდ, გამაგრებული დასახლების

---

[7] **დ.სახუტაიშვილი**, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 62-72.

[8] ქსენოფონტე, ანაბაზისი, V, 5, § 30-31; **დ.სახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 62-63.

[9] **დ.სახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

გარშემო თავს იყრის გაუმაგრებელ უბნებზე მჯდარი თემები, რომლებიც დასახლების გამაგრებულ ნაწილს მხოლოდ საფრთხის შემთხვევაში აფარებენ თავს. ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებში, ასურეთისა და ურარტუს მეზობელ მხარეებში ამ ტიპის სამოსახლოები მრავლადაა ფიქსირებული ლურსმული ტექსტებით, ხოლო ქართლის ტერიტორიაზე არაერთგზისაა აღნუსხული ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ტიპიური მსგავსი დასახლებები წარმოდგენილია მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესაყარის ზონაში. ისინი კონცენტრირებულია ცენტრალური დასახლების გარშემო, რომელიც ნამჭედურის გორასაცხოვრისის სახითაა წარმოდგენილი. იგი ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩვეულებრივი კომპაქტური დასახლებიდან მსხვილი დბური ტიპის დასახლების ცენტრალურ, გამაგრებულ ნაწილად იქცა. აქ, ცენტრალურ დასახლებაზე, ცხოვრობდა, როგორც ჩანს, ჰეგემონი თემი და განლაგებული იყო ძირითადი სათემო სალოცავი.

ამგვარად, დასახლებათა ახალი ფორმის, ახალი ტიპის გამოჩენა პირდაპირ კავშირშია სოციალურ სფეროში მომხდარ ძვრებთან და სამეურნეო ცხოვრების ინტენსიფიკაციასთან. როგორც ჩანს, ამ დროსვე განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თუმცა, საკუთრების თემური ფორმა კიდევ დიდხანს წამყვანი რჩებოდა. ეს არის განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სიტუაცია.

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ადრერკინის ხანის პირველ საფეხურზეევე, კერძოდ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში უკვე წარმოიქმნა მსხვილი დასახლებები სახელოსნო უბნებით. ამგვარი დასახლებების ტოპოგრაფია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სამოსახლოს ცენტრალურ ნაწილს ანუ ცენტრალურ სამოსახლოს გააჩნია საკმაოდ საიმედო საფორტიფიკაციო სისტემა, რომელსაც შეუძლია გაუძლოს მეზობელი თემების შემოსევებს, მაგრამ ვერაფერს გახდება ძლიერ სამხედრო ძალასთან (ამიტომაცაა, რომ ურარტელები და ასურელები სამხრეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობებისას ერთ დღეში რამდენიმე ათეულ „ციხეს“ და „ქალაქს“ იღებენ, ან ცეცხლს აძლევენ). ცენტრალურ დასახლებაში, როგორც წესი, ცხოვრობს ჰეგემონი თემის ძირითადი ნაწილი და სათემო ცენტრალური სალოცავის (ხატის) ქურუმები.

ცენტრალური დასახლების გარშემო მეტ-ნაკლები დაშორებით განსახლებულია რიგითი (დაქვემდებარებული) თემები. ამ დროის საზოგადოების ამგვარი სოციალური დიფერენციაცია სავსებით რეალურია, რაც ასახულია სახელმწიფოებრიობას მიმსგავსებული წარმონაქმნების გაჩენაში.

ცენტრალური დასახლებიდან მეტ-ნაკლები დაშორებით ფუნქციონირებს „სახელოსნო უბანი“ (ხოვლეს სამოსახლო, ხირსის სამოსახლო, მცხეთის დასახლებები, ნამჭედურის სამოსახლო და ა.შ.).

ყოველ მსხვილ დასახლებას აქვს თავისი სამაროვანი (ნეკროპოლი) და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ამ პერიოდის სახლი დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ზღვისპირეთში, სწორკუთხედის გეგმის ჯარგვალია, რომლის იატაკი ან მორებისაგანაა შედგენილი და თიხით გალესილი, ან კიდევ, ყურადღებით შერჩეული რიყის ქვებითაა მოგებული. ასევე რიყის ქვებითაა დაფარული ეზოც, რომელიც უშუალოდ სახლის კარებს ებჯინება.[10] ზოგიერთ

[10] Микеладзе Т.К., Хахутаишвили Д.А. Древнколхидское поселение Намчедури, с. 22 и сл., табл. 3, 56, 57, 82-83.

სახლთან, განსაკუთრებით ცენტრალური დასახლების დაშორებით, ფიქსირებულია ცხვრის ფარეხი თუ ქალტა, რომელსაც ხის მაღალი მესერი შემოუყვებოდა.[11] იქვე მახლობლად, ერთ შემთხვევაში მელითონის სახელოსნოს თუ სახელოსნოების კარგად გამოხატული ნიშნებია დადასტურებული.[12] გარდა ამისა, დასახლებებთან ახლოს, ზღვისპირა დიუნებზე, გამართულია მაგნეტიტის მომპოვებელი საწარმოები, სადაც მოსახლეობა, უნდა ვიფიქროთ, სეზონურად საქმიანობდა წლის უფრო თბილ თვეებში.[13]

სახლი, როგორც ინდივიდუალური ოჯახის საცხოვრისი, გვხვდება როგორც ერთოთახიანი, წინკარითა და ეზოთი, ისე მრავალოთახიანი; რაც შეეხება მადნისმომპოვებელთა სახლებს ახალშავაზღვურ ტერასაზე, ისინი გეგმით ერთოთახიან საცხოვრებელ სახლებს იმეორებენ, მაგრამ უფრო მსუბუქი, დროებითი კონსტრუქცია აქვთ.

ამგვარი დასახლებები, როგორც ფიქრობენ, **პროტოქალაქების** აშკარად გამოხატულ ნიშნებს ატარებენ, რაც კარგადაა ილუსტრირებული ქობულეთი-ფიჭვნარის არქეოლოგიური კომპლექსის მაგალითზე. ამ მსხვილი დასახლებებიდან ზოგიერთი პროტოქალაქურ მსხვილ დასახლებად ფორმდება (ხოვლე, უფლისციხე, ფიჭვნარ-ჩოლოქი, მახვილაური, ურეკი და ა.შ.), მაგრამ აქ გადამწყვეტ როლს ასრულებდა იმ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი, რომლის ტერიტორიაზეც მსხვილი, დაბური ტიპის დასახლება ფუნქციონირებდა. როგორც ჩანს, ბარის ეს რეგიონი, განსაკუთრებით კი ქობულეთის „ქვეყანა“, იყო ის თვითკმარი ერთეული, სადაც სასაქონლო ხელოსნურ ნაწარმზე სტაბილური მოთხოვნილება არსებობდა. ეს გარემოება რკინის სამეურნეო ათვისების დასაწყისშივე ქმნიდა პირობებს, რომ ნამჭედურის მსხვილი კომპლექსი პროტო-ქალაქურ დასახლებად გადაქცეულიყო.[14]

ამგვარად, ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებში, მდ.ოჩხამურის მარჯვენა ნაპირთან, ამ მდინარისა და ჩოლოქის ხერთვისიდან დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით, გაჩენილა დასახლება, რომელშიც, როგორც ჩანს, ზეგნიდან აქ ჩამოსახლებული ერთი თემი ცხოვრობდა; გარკვეული დროის შემდეგ, იგი ზეგნიდან კიდევ რამდენიმე თემს მოიზიდავს. ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში ნამჭედურის ნამოსახლარის მიმდებარე ტერიტორიები, განსაკუთრებით მარჯვენა სანაპირო მდინარე ჩოლოქამდე უკვე ათვისებულია - აქ რამდენიმე სათემო საცხოვრისია წარმოდგენილი. ამასთან, ამ დროს სახელოსნოები მხოლოდ ნამჭედურის ბორცვზე იყო წარმოდგენილი, რომელიც ნამჭედურის IV დასახლებასთან ერთად განადგურებულა.[15] ამ დასახლების დროსვე წინაურდება ჩოლოქისპირა სამოსახლო, სადაც კიდევ ერთი სახელოსნო უბანი ფორმდება - ნამჭედურის III ფენის დასახლების დროს, რომელიც უკვე განვითარებულ რკინის ხანაში (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი) არსებობდა. ნამჭედურის ბორცვად წამოზიდულ დასახლებას უჩნდება ახალი საკმაოდ საიმედო საფორტიფიკაციო სისტემა: ბორცვს შემოუყვება ფართო თხრილი, რომლის ბოლოები მდ.ოჩხამურს ებჯინება და იგი მუდმივად წყლითაა სავსე. მტრულად განწყობილი მეზობელი თემის მცირერიცხოვანი რაზმისათვის იგი საკმაოდ კარგი დაბრკოლება იყო, ამასთან, თუ მომხვდური თხრილს გადალახავდა, მას უნდა დაეძლია საკმაოდ მძლავრი კედე-

---

[11] ირ.ჩაგელეიშვილი, მეხაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX-ადრერკინის ხანაში. - სდსძ, XVII, თბილისი, 1988, გვ. 25 და შემდ.

[12] ირ.ჩაგელეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხეროვანში. - ხდსძ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 3-26, ტაბ. I-XII.

[13] შდრ. გ.თავაძეიშვილი, ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ. - სდსძ, XIX, 1991, გვ. 27-41.

[14] დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, გვ. 81-83.

[15] ირ. ჩაგელეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს..., გვ. 6 და შემდ.

ლი, რომელიც ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან იყო შედგენილი და ხელოვნურად შექმნილ გრუნტულ ფლატეზე იყო მიყრდნობილი. ამ კედლის შიგნით წარმოდგენილი იყო მოსწორებული მოედანი, რომელიც რამდენიმე მცირე ნაგებობას თუ დაიტევდა. როგორც ჩანს, სიმაგრის შიგნით ცხოვრობდა ჰეგემონი თემის არისტოკრატიული ნაწილი და ქურუმობა, ხოლო ჰეგემონი თემის რიგითი წევრები თხრილის გარეთ სახლობდნენ. მდინარე ჩოლოქსა და ოჩხამურს შორის გაფანტულ სამოსახლოებზე ცხოვრობდენ დაქვემდებარებული თემები, იქვე იყო სახელოსნო უბნები. ამ დასახლებებს გააჩნდათ კიდევ ერთი, ნაყოფიერების ღვთაების სალოცავი, რომელიც დასახლებიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე იყო განლაგებული.

მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი დარგი იყო მიწათმოქმედება, მაგრამ მისდევდნენ მესაქონლეობას, ნადირობას და მეთევზეობას. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქმიანობის ისეთი დარგი, როგორიცაა მემთამადნეობა - მაგნეტიტური სილების გამდიდრება, რაც მდინარეების შუა წელზე განლაგებულ რკინისსადნობ სახელოსნოებს მიეწოდებოდა. ძვ.წ. I ათასწლეულის უწინარეს ახალშავზღვურ ტერასაზე (დიუნაზე), სადაც მადნის მოპოვება ხდებოდა, რაიმე ნაგებობებს არ აშენებდნენ. იმ დროიდან კი, როცა რკინაზე მოთხოვნილება გაიზარდა და მადანიც დიდი რაოდენობით გახდა საჭირო, იქ დაიწყეს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობების აშენება და ქვიშის გასარეცხად თიხისგან დამზადებული აბაზანის ფორმის ჭურჭლების გამოყენება.

ამგვარად, შეიქმნა მრავალპროფილიანი, მრავალფუნქციური მსხვილი დასახლება, რომელიც მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას და კომპაქტურად იყო განაშენიანებული. ეს იყო მსხვილი დაბური დასახლება სახელოსნო და საერთოდ საწარმოო უბნებით, საკუთარი სალოცავებით, აკროპოლისით, დაქვემდებარების ინსტიტუტით და ა.შ. ფაქტობრივად ეს იყო მსხვილი, პროტოქალაქური ტიპის სამოსახლო, რომელიც ხელსაყრელი პირობების ქონებისას შეიძლებოდა ქალაქად გაფორმებულიყო.

§5. ახალი მოვლენები სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში

ძვ.წ. XV-VII საუკუნეები ის პერიოდია, რომელიც ქართველურ სამყაროში ხასიათდება რადიკალური ძვრებით როგორც სამეურნეო, ისე სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამეურნეო განვითარების დაწინაურება და თვალშისაცემი ძვრები სოციალურ ცხოვრებაში დამახასიათებელია უპირატესად ბარის რეგიონებისათვის, უფრო კონკრეტულად იმ მხარეებისათვის, რომელთათვისაც წამყვანია ბარული ტიპის ინტენსიური მეურნეობა.

ასეთ რეგიონს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისწინეთი და ზღვისპირა ზოლი, რომლის უდიდესი ნაწილი ბარული მეურნეობის ჭაბანში იყო შებმული.[1] უფრო მეტიც, ეს ნაწილი, როგორც ვნახეთ, წამყვანი იყო მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ტონს აძლევდა მისი სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. ეს მხარე ამავე დროს ტექნიკური აზროვნებითა და პრაქტიკითაც მოწინავეობდა, რაც, ბუნებრივია, მის შემდგომ აღმავლობას განაპირობებდა.

ინტენსიური, კარგად აღჭურვილი სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა, თავისი დროისათვის მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოება, ბუნებრივია, აჩქარებდა, ხელს უწყობდა მოსახლეობის ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას აქედან გამომდინარე შედეგებით, კერძოდ, ცვლილებებით დასახლების ფორმებში, მმართველობის სისტემაში და ა.შ.[2]

რკინის ფართო სამეურნეო ათვისების პარალელურად, ამ პერიოდში საბოლოოდ ყალიბდება ძირითადი პირობები ადრეკლასობრივ ურთიერთობათა წარმოქმნისათვის, ფორმდება ადრეკლასობრივი ურთიერთობის საწყისი ფორმებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები (მემკვიდრეობითი მეფის ხელისუფლება, მმართველობის სისტემა, მსხვილი სტაბილური სატომო გაერთიანებების შექმნა, ადმინისტრაციული დაყოფა და ა.შ.).

გ.მელიქიშვილი ფიქრობდა, რომ „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების განსაზღვრის საკითხიც მჭიდრო კავშირშია საერთოდ უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების განსაზღვრასთან. საქართველოს შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალა არ იძლევა ამ პრობლემასთან დაკავშირებით რაიმე ფართო განზოგადების შესაძლებლობას. ამიტომაც ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობილების საკითხი ვერ გადაწყდება, ერთი მხრივ, უძველესი კლასობრივი საზოგადოების შესახებ ისტორიულ-ფილოსოფიური, საერთო-სოციოლოგიური თვალსაზრისის შემუშავებისა და, მეორე მხრივ, ტიპოლოგიურად ძველ საქართველოსთან ახლო მდგომ საზოგადოებათა შესახებ არსებული მასალის გათვალისწინების გარეშე“.[3] შეაჯამა რა მომდევნო ათწლეულში ამ პრობლემის კვლევაში მიღწეული შედეგები, გ.მელიქიშვილმა მიუთითა, რომ „...საკითხი უშუალო მწარმოებელთა სტატუსისა და, საერთოდ, ამა თუ იმ საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ, ერთგვარად მეორეულია, რამდენადაც დასახელებული სტრუქტურა თვით არის აღმოცენებული საზოგადოებაში მოქმედი შრომის დანაწილების სისტემისა და

---

[1] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, გვ. 113 და შმდ.

[2] ნ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 84.

[3] გ.მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობილების საკითხი. - „მაცნე“, 1968, 1, გვ. 72.

აქ გაბატონებული ურთიერთობების საფუძველზე - იმ ეკონომიკური ბაზისის საფუძველზე, რომლის განსახიერებას წარმოადგენდენ საკუთრების დარგში არსებული ურთიერთობანი".[4] უკანასკნელი დროის გამოკვლევებით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში დასტურდება „კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებლობა, მისი ფუნქციონირების შეზღუდულობა, რაც განპირობებული იყო სწორედ ყოვლისშემძლე სახელმწიფოსა და თემის არსებობით, ფეოდალ-სასაქონლო მეურნეობის სუსტი განვითარებითა და „მომხმარებლური", სუსტად განვითარებული ეკონომიკის არსებობით".[5]

კოლხური სამყაროს დაწინაურებულ რეგიონებში, მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარში, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში მიმდინარე სოციალური პროცესების შესახებ წერილობითი წყაროების თითქმის სრული უქონლობის პირობებში ჩვენ იძულებული ვართ მეურნეობისა და დასახლების ფორმების ცვლილებაში ვეძიოთ ჩვენთვის საინტერესო მონაცემები და რიგ შემთხვევაში ისინი მისაღები, კარგად შერჩეული და გააზრებული პარალელებით შევამაგროთ.[6]

კოლხური ტომების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევიან ჩვენი სამხრეთელი მეზობლების (ურარტელები, ასირიელები, ხეთები...) წერილობითი ძეგლები და ნივთიერი კულტურა, განსაკუთრებით ლურსმული ტექსტები.

„ზღვის ხალხების" შემოსევების (ძვ.წ. XII საუკუნე) შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ეთნიკური და პოლიტიკური რუკა საგრძნობლად შეიცვალა. ბუნებრივია, ახალი გარემოცვა, ახალი სიტუაცია შეიქმნა ქართველური მოდგმის განსახლების სამხრეთ ზოლში. ამიერიდან კოლხური ცივილიზაციის შემდგომი განვითარებაც ახალი ფაქტორების, ახალი მეზობლების, ახალი პოლიტიკური ერთეულების ზემოქმედების ნიშნით მიმდინარეობდა. ეს პერიოდი ქართველურ (კოლხურ) სამყაროში დაემთხვა მთელ რიგ გარდატეხებს, ისეთს, ვთქვათ, როგორიცაა რკინა-ფოლადის ფართო სამეურნეო ათვისება და მსხვილი პროტოქალაქური (დაბური) ტიპის დასახლებების გაჩენა. ამავე დროს ასურულ წარწერებში გამოჩნდა პირველი წერილობითი ცნობები კოლხების (კილხების) შესახებ. კერძოდ, იმ პერიოდის შესახებ, როცა ის-ის იყო ისახებოდა ქართველი ტომების მსხვილი გაერთიანებები. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) სიტყვით, მან გაიმარჯვა ნაირის ქვეყანაზე და მის მოკავშირეებზე, მათ შორის კილხებზე, რომელთაც მან „დიდ ზღვამდე" (შავი ზღვა) სდია.[7]

ხეთების მეფე მურსილი II (ძვ.წ. 1339-1306 წწ.) თავის ერთ-ერთ წარწერაში იტყობინებოდა, რომ ქაშქების ერთ-ერთი მეთაური ფიხუნია „თავის ქვეყანას ქაშქურად კი არ მართავდა (სადაც „...ერთი კაცის ბატონობა წესად არ იყო მიღებული„), არამედ მეფურადო". ამ ცნობაზე დაყრდნობით გ.მელიქიშვილი ასკვნის, რომ „...ქაშქებში უკვე დაწყებულა ტომის ბელადის სუვერენულ ხელისუფლად გადაქცევის, ე.ი. კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესი... ცოტა უფრო გვიან, განვითარება კიდევ უფრო შორს მიდის და ჩამოყალიბებას

---

[4] გ.მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხი. - ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი, თბილისი, 1978, გვ. 149.

[5] იქვე, გვ. 149-150.

[6] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს..., გვ. 114-115; დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 85.

[7] Меликишвили Г.А. Наири-Урарту, Тбилиси, 1954, с. 22-28; Его-же, Колха. - Сборник в честь акад. В.В.Струве, Москва, 1962, с. 320; Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида, Тбилиси, 1979, с. 3 и сл.; თ.მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი, 1974, გვ. 148-165 და სხვ.

იწყებენ საკმაოდ დიდი და მყარი გაერთიანებები, რომლებიც შეიძლება უკვე კლასობრივი საზოგადოების დაბალ საფეხურს - ადრეკლასობრივ (განუვითარებელ კლასობრივ) საზოგადოებას განასახიერებენ. ასეთი გაერთიანებები უნდა ყოფილიყო, კერძოდ, დიაოხი (ტაოხი, ტაო) და კოლხა (კოლხეთი)".[8] მკელეევარი ფიქრობს, რომ რკინის სამეურნეო გამოყენებაზე სწრაფმა გადასვლამ, აგრეთვე, წინააზიური კულტურის ცენტრებთან სიახლოვემ და მათთან უშუალო კონტაქტმა სწრაფი ტემპით წაიყვანა აქაური მოსახლეობის კონსოლიდაცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. აღნიშნული არამყარი გაერთიანებების ბაზაზე ჩამოყალიბდა ძლიერი კოლხური გაერთიანება - კოლხეთის სამეფო. ძვ.წ. VIII საუკუნის შუა ხანებში კოლხეთი (კულხა) უკვე ერთიანი პოლიტიკური ერთეულია თავისი „მეფით", სამეფო „ქალაქებით" და პროვინციის გამგებელი „ნაცვლებით". ეს ტრანსფორმაცია ტიგლათფილესერ I შემდეგ ხანაში, ძვ.წ. XI-IX სს მანძილზეა სავარაუდებელი. სწორედ ამ დროს კოლხა (კოლხეთი) გადაიქცა მყარ და ძლიერ გაერთიანებად, რომელმაც თავისი გავლენა განავრცო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე. ამან უეჭველია ხელი შეუწყო ამ მხარეში მცხოვრები ტომების კულტურული მონაპოვრების ურთიერთგაზიარებას და აქ მცხოვრები მოსახლეობის იმ კულტურული ერთობის ჩამოყალიბებას, რომელიც „კოლხური კულტურის" სახელითაა ცნობილი.[9]

ამგვარად, კოლხეთის დიდი გაერთიანება ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში „ქაშქური" ანუ სატომო მმართველობიდან „მეფურ" (მემკვიდრეობით) მმართველობაზე გადასულა და ადრეკლასობრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი (შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი და ა.შ.), მათ შორის აჭარაც, კოლხას სამეფოს ორგანული ნაწილი იყო. ზემოთ ვნახეთ, თუ რამდენად დაწინაურებული იყო იმ დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი მეურნეობრივად და ტექნიკურად. როგორც ჩანს, იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართული ადრეკლასობრივი სახელმწიფოს ფორმირებაში და ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაში. ფაქტიურად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და მთისწინა ზოლი შეადგენდა კოლხას სამეფოს ძლიერ ზურგს მის ბრძოლაში ისეთი სამხრეთელი მტაცებლების წინააღმდეგ, როგორიც იყვნენ ასურეთის და ურარტუს სამეფოები. ძვ.წ. IX საუკუნის მიწურულსა და VIII საუკუნეში ურარტელებმა შექმნეს ძლიერი იმპერია და საამისოდ წარმოებულ ბრძოლებში ბევრი მეზობელი გაამწარეს. მათ შორის იყო დიაუხის (ტაოხების) ქართული ადრეკლასობრივი სამეფო, რომლის სამხრეთი ზოლი ურარტელებმა მიიტაცეს, ხოლო ჩრდილო პროვინციები გაძლიერებულმა კოლხამ მიიერთა. კოლხა მოესწრო ურარტუსა და ასურეთის იმპერიების დამხობას. კოლხა ერთადერთი ძალა იყო „დიდი ზღვის" მხარის ქვეყნებიდან, რომელიც წარმატებით აღუდგა წინ ურარტუსა და ასურეთის ექსპანსიას ჩრდილოეთისაკენ, ქართველური სამყაროს შიდა რაიონებისაკენ.[10]

კოლხას სამეფო, როგორც ითქვა, ადრეკლასობრივი იერის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, რომელიც „მეფურად" იმართებოდა და არა „ქაშქურად". ძვ.წ. VIII საუკუნეში მას სათავეში ედგა ერთპიროვნული მეფე, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მემკვიდრეობითი ხელისუფალი იყო. სამეფო კარი ქვეყანას განაგებდა ადმინისტრაციული აპარატის მეშვეობით,

[8] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 361, შეად. გ.მელიქიშვილი, ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. - „მიმომხილველი", III, თბილისი, 1953, გვ. 200-201.

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 371.

[10] იქვე, გვ. 377-387.

საიდანაც ჩვენთვის ცნობილია „მეფის ნაცვლები“. ურარტუს მეფე სარდური II (ძვ.წ. 764-735 წწ.) ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც არტანუჯში იყო ნაპოვნი. განსხვავებას ვერ ხედავს თავის „მეფისნაცვლებსა“ და კოლხეთის მეფის „მეფისნაცვლებს“ შორის. აი, რას ეკითხულობთ ამ წარწერაში: „სარდური ამბობს: გავეშართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა მე დავიპყარი, ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხას მეფის...ბრძოლაში დავიპყარი, მისი მოსახლეობა გადავბუგე, კოლხას ქვეყნის მეფისნაცვლები, რომლებიც იქ იყვნენ, დავხოცე, რკინის ბეჭედი გავაკეთებინე. წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუსაში. ციხე-სიმაგრეები, ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები ტყვედ გავრეკე“.[11] როგორც ფიქრობენ, კოლხას მეფისნაცვლები ტომთა ბელადები კი არ იყვნენ, არამედ სამეფო მოხელეები.[12] როგორც ჩანს, სტრაბონთან მოხსენიებული კოლხეთის სკეპტუხიები მეფის ნაცვლები იყვნენ; სტრაბონის სიტყვით, არგონავტების ლაშქრობისა და აიეტის მმართველობის „შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“.[13] გამოთქმულია მოსაზრება, რომ სკეპტუხები გარკვეულ სამეურნეო ფუნქციასაც ასრულებდნენ. კერძოდ, „მეფის ნაცვლები“ (სკეპტუხები) ლითონის წარმოების ორგანიზატორები და საერთოდ სამეფო კარის ნების აღმასრულებლები იყვნენ.[14] გ.მელიქიშვილის გამოკვლევით, „ორგანიზატორული (მმართველობითი) ფუნქციის შესრულება სამეურნეო, სამხედრო, საკულტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმოადგენდა გაბატონებული ზედაფენის გამოყოფის საფუძველს. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია გაბატონებული კლასის თითქმის მთლიანი შერწყმა სახელმწიფო ხელისუფლებასთან ძველ აღმოსავლეთში.[15]

აჭარის ზღვისპირეთი და მთისწინა ზოლი, როგორც ითქვა, ისტორიული კოლხეთისა და კოლხური საზოგადოების ნაწილია. ეს რეგიონი კოლხური კულტურის ერთი ყველაზე დაწინაურებული მხარეა. მეტალურგები, ლითონჩამომსხმელები, მეთუნეები, ფეიქრები, მშენებლები, კულტის მსახურები, მეფის მოხელეები და ა.შ., რომელთაც ემატებოდა სათემო არისტოკრატია და მეთემეები, როგორც ჩანს, ქმნიდნენ ამ რეგიონის ახალ სოციალურ და სამეურნეო სახეს, კოლხური საზოგადოების იმ სოციალურ-პრლიტიკურ იერს, რომელიც თანდათან ანტიკურ სახელმწიფოებრიობაში გადაიზარდა თავისი ადმინისტრაციული დაყოფით, კლასობრივი სტრუქტურით, სამონეტო მიმოქცევით, ქალაქებით, საერთო-საქვეყნო კულტებით და ა.შ.

---

[11] Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи. с.280-282; გ.მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის... გვ 387.

[12] იქვე, გვ. 388.

[13] თამაზ ხაჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი, 1957, გვ. 124.

[14] Хахутайшвили Д.А. К истории древнеколхидской металлургии железа. - Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник), V, Тбилиси, 1977, с.177-179.

[15] გ.მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი..., გვ. 150.

§6. სულიერი სამყარო

აჭარის „ქვეყნის“ ძველ მოსახლეობაში რელიგიური წარმოდგენებისა და პანთეონის ფორმირების პირველ ნიშნები ადრებრინჯაოს ხანიდან დასტურდება. კერძოდ, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტში გამოვლენილია ადამიანის მცირე ზომის თიხისაგან დამზადებული ქანდაკება, რომელსაც ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულებად მიიჩნევენ (სურ. 10.3).[1] არ არის გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო „ჭაბუკის“ ტიპის ღვთაება, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაყოფიერების, გამრავლება-სიყვარულის ფუნქცია გააჩნდა.

აჭარის „ქვეყნის“ ზღვისპირეთის სიძველეებში განსაკუთრებით ძრავლადაა დადასტურებული ხარის კულტის ამსახველი მასალები (სურ. 27. 2, 3).

ქართველურ სამყაროში ხარის კულტი ადრიდანვე არსებულა. ამის არაერთი დასტური გვაქვს შიდა ქართლიდან, კერძოდ, ისეთი ძეგლებიდან, რომლებიც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანას მიეკუთვნებიან: უფლისციხე-ყათლანისხევის წარმართული სალოცავის ერთი სათავსო ბუღამწარმოებლის კულტმსახურებასთანაა დაკავშირებული, ხოლო მის გვერდით განლაგებულ სათავსოში წარმოდგენილია „ხარი-მხვნელის“ კულტისადმი მიძღვნილი საკურთხეველი.[2] კოლხეთის ზღვისპირეთიდან ხარის სკულპტურები გვაქვს ურეკისა და ერგეტას საშაროვნებზე, „სიმაგრის ნამოსახლარზე“ და ა.შ.[3]

ხარის კულტი და სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული სხვა სულიერი ფასეულობანი ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ზანურ-ქართული სამყაროს ბინადარ მოსახლეობაში. ძველ კოლხეთში ხარის კულტის არსებობაზე არაბირდაბირი მითითება გვხვდება თქმულებაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ. კოლხეთის მეფე აიეტს არესის ველზე საბალახოდ გაშვებული ჰყავდა ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევდნენ. მან იასონს უთხრა, რომ ხარებს ურემში აბამდა და არესის თხი დღიური ხოდაბუნებისაკენ მიერეკებოდა. აიეტი ხარებს უღელში დილით აბამდა, ხოლო საღამო ჟამს ხვნას წყვეტდა.[4] მართალია, მოტანილი ადგილი ძ.წ. III საუკუნის ძეგლიდანაა ამოღებული, მაგრამ საერთო აღიარებით იგი გაცილებით ადრეული ვითარების ამსახველია.[5] ეს თქმულება იმის დასტურადაა მიჩნეული, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთში იცნობდნენ მოხვნით მიწათმოქმედებას, სახვნელს ლითონის სახნისით და აგრარული კულტურის სხვა ატრიბუტებს.

ვ.ბარდაველიძემ გამოიკვლია, რომ ხარის, როგორც საკულტო ცხოველის, რელიგიურ პანთეონში და ცერემონიალებში მიჩენილი ადგილის მიხედვით ქართული წარმართული რელიგია დიდ სიახლოვეს იჩენდა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების სულიერ სამყაროსთან.

ეჭვს აღარ იწვევს, რომ ხარის კულტმა განსაკუთრებით მკაფიო სახე მოხვნითი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის აღმავლობის ხანაში მიიღო. როგორც ფიქრობენ, მას

---

[1] დ.სახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა“. I, თბილისი, 1995, გვ. 89-101.

[2] დ.სახუტაიშვილი. უფლისციხე. I, თბილისი, 1964, გვ. 25-41.

[3] თ.ბაქრაძე. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი, 1985, გვ. 58.

[4] აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. წიგნი III, თბილისი, 1970, გვ. 198-199.

[5] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბილისი, 1930, გვ. 262-263.

საფუძვლად დაედო პირველყოფილი ადამიანის მიერ მთვარის დისკოს თაყვანისცემა. მთვარის დისკოს ცვალებადობა იყო საფუძველი პრიმიტიული სამეწყათმოქმედო კალენდარული შეხედულებების შექმნისა. ხარის რქები მიამსგავსეს ახალ მთვარეს, რის საფუძველზეც ხარი მთვარის ღვთაების განსახიერებად აქციეს.[6] ივ.ჯავახიშვილი ხარის რქებს მთვარის ნიშნად მიიჩნევდა.[7] ამავე დროს, ხარი წარმოადგენდა ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებლური ძალის განსახიერებას, ნაყოფიერების სიმბოლოს. ამაზე მეტყველებს მისი უშუალო დაკავშირება კეთილდღეობისა და საზრდოს მომცემ მიწასთან.[8]

როგორც აღინიშნა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდანვე მოგვეპოვება საყურადღებო მასალები ხარის კულტის არსებობის შესახებ. აქ წარმოდგენილია არამარტო ხარის თავის ფორმის თიხის სქემატური სადგრები, არამედ საკურთხევლები, რომლებიც ამგვარი სადგრებისგანაა ნაგები. ასეთივე სურათს ვადასტურებთ ადრერკინის ხანაშიც. უფრო მეტიც, ადრეულ კოლხურ მონეტებზე (კოლხურ თეთრზე) ხარის თავის გამოსახულება ხარის კულტის არსებობის კიდევ ერთი მოწმობაა.

უძველესი ნაწარმი, სადაც სტილიზებულად წარმოდგენილია ხარის რქები, ცნობილია კრეტასა და ანატოლიაში. ისინი ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. ბრინჯაოს ხანაში ვრცელდება სადგრები ამიერკავკასიაშიც (მუხანათ-თეფე, კარმირ-ბლური, მოხლა-ბლური).[9]

რქისებრი სადგრების ადრეული ფორმები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში თავს იჩენს გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე. ამ დროის სადგრები მცირე მოცულობის, ღეროდაბალი ნახელავია და ასეთად რჩება იგი ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგამდე, მხოლოდ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ვადასტურებთ თიხის სადგრების მრავალსახეობას, რაც, როგორც ჩანს, მათი ფუნქციის მრავალფეროვნებით აიხსნება. ამისი დასტურია თიხის სადგრებისაგან ნაგები საკურთხევლები, სადგრების ორნამენტაციაში გველის გამოსახულების, აგრეთვე დეკორის სხვა ფორმების გამოჩენა. მართალია, გამოთქმულია მოსაზრება თიხის რქისებრი სადგრების ბრაქტიკული დანიშნულების შესახებ, მაგრამ ფიქრობენ, რომ ისინი გაჩნდა გარკვეულ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით და მათი ბრაქტიკული გამოყენება, თუ ამგვარი რამ რეალურია, მოგვიანო ბერიოდის ამბავია.[10]

ქობულეთთან ჩოლოქისპირა ნამოსახლარებზე გამოვლენილ თიხის რქისებრ სადგრებზე რქებს ქვემოთ ამოკაწრულია ნახევარმთვარე ან ჭდეული წერტილი, რომელიც როგორც ვარაუდობენ, ცისკრის ვარსკვლავის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენდა. ნამჭედურის მე-5 ფენაში ნაბოვნია ორშვერილიანი სადგარი, რომელსაც წინა მხრიდან ამოკაწრული აქვს ხარის თავის სტილიზებული გამოსახულება და სიმეტრიულად განლაგებული ოთხი, ხოლო უკანა მხრიდან სამი წერტილი. ზოგიერთები მათში ციური მნათობების გამოსახულებას ხედავენ, რადგან შვიდი წმინდა რიცხვად ითვლებოდა.[11]

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილესა და ფოლკლორს არაერთი ცნობა შემოუნახავს ხარის კულტისა და ხარის როგორც სიკეთისა და კეთილდღეობის, ადამიანის დამცველისა და ერთგული თანაშემწის შესახებ. ეს შეხედულება რეალურ ნიადაგზე ათასწლეულების

---

[6] Кушнарева К.Х. Древнейшие памятники Двина, Ереван, 1977, с. 51.

[7] ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბილისი, 1979, გვ. 99.

[8] ნ.ხახუტაიშვილი, წინაანტიკური ხანის საკულტო ძეგლები. - ხელნაწერი, ბათუმი, 1998.

[9] Есаян С.А. Скульптура Армении эпохи ранней бронзы. - Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, Москва, 1981, с. 11.

[10] ნ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52-53.

[11] ა.ჩაგელეიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს. - სდსძ, XVI, თბილისი, 1987, გვ. 21-32.

მანძილზე იქმნებოდა.

ხარის კულტთან დაკავშირებული სარიტუალო ციკლი[12] და ხარის, როგორც საკულტო ცხოველის ფუნქციური დატვირთვა ხელშესახებად შემოგვინახა აჭარის მოსახლეობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა მეხსიერებამაც. მათი წარმოდგენით დედამიწა ხარის რქებზე დგას. მასვე შეეძლო განებირობებინა ადამიანებისა და ცხოველების განაყოფიერება-გამრავლება.

შემთხვევითი არ იყო ხარის ფიგურირება წყლის გამოთხოვის მაგიურ ჩვეულებაში. როგორც ჩანს, ხარს წარმართობის პერიოდში წყლის სიუხვის დაცვა-მფარველობისა და ნაყოფიერების ფუნქცია ენიჭებოდა.[13] აჭარაში ხარის კულტი უშუალოდ იყო დაკავშირებული წყალთან. მას, გარკვეულ შემთხვევაში, უმეტესად განრისხებულს, წვიმის, ნიაღვრის, წყალდიდობისა და ჭექა-ქუხილის გამოწვევაც შეძლებია.[14] მიჩნეულია, რომ წყლის გამანაყოფიერებელი ძალა გაზიარებული აქვს ტბის ხარს და ცხენს. აქ წყალი ძირითადია, რომელსაც დაუკავშირდა მამაკაცური ძალის მქონე ცხოველები.[15] აჭარული, ისევე როგორც ზოგადად ქართულ-კავკასიური მასალებით, მითიური მამრობითი სქესის წყლის ხარების მოქმედების არეალი უმეტესად საზაფხულო საძოვრებია. ისინი სეზონურად დაბინავებული მეწველი ბირუტყვის გამანაყოფიერებელ ძალად გვევლინებიან.[16] ხარი ტბიდან ამოდის (ან ტბა სკდება) და აყვრანებს, ანადგურებს ახლო-მახლო სოფლებს. ერთი გადმოცემით, აჭარაში წყლის ხარი ჭინჭაოს ტბაში, ძელიგორის საძოვართან ახლოს ბუდობდა, წყლიდან ამოდიოდა და საძოვრის ახლოს ხარია-თაფზე წვებოდა, რის გამოც ხარია-თაფი საქონლის საყვარელ საწოლ ადგილად ქცეულა. იქ ნაწოლი საქონლის სიკეთე და სისაღე ცნობილი იყო. განმკურნებელი თვისებები გააჩნდა ჭინჭაოს ტბის წყალსაც, სადაც მოსახლეობა, განსაკუთრებით უშვილო ქალები შუამთობის დღესასწაულზე საბანაოდ დადიოდნენ. ამ ტბაში კი ხარი ბუდობდა.[17] ამგვარი გადმოცემები წყლის ხარზე ან ვერძზე ცნობილი იყო სამცხე-ჯავახეთში, შავშეთში, სამურზაყანოში, ასევე ანატოლიაში, ყაბარდოსა და ჩეჩნეთში.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხარი სამსხვერპლო ბირუტყვსაც წარმოადგენდა და ამინდის გამგებელს შეეწირებოდა. ჩვეულებრივ მას სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, უმეტესად შემაღლებულ ბორცვზე სწირაღდენ, რაც გარკვეული სახით ეხმიანება სოფელ კალოთთას შემაღლებულ ბორცვზე აღმოჩენილი სალიცავის სწორედ მსხვერპლშეწირვისათვის გამოყენების ფაქტს. ღორჯომის ხეობაში მსხვერპლშეწირვა სამ სოფელში (აგარა, ვანაძეები, ადაძეები) სრულდებოდა. აგარის თემში გაერთიანებული სოფლები - აგარა, ბოლაური, საციხური, ნამონასტრევი, გელაურა და ბანტნარი ზვარაკს აგარის ერთ-ერთ საუბნო ცენტრში, ე.წ. „კორდზე“ სწირავდნენ. ამ შემაღლებულ ადგილზე, სადაც თავყრილობა

---

[12] ამგვარ რიტუალებთან ჩანს კავშირში ხარების თამაში „ბულიების ჭედობა“ აჭარაში, რომელიც ტიბოლოგიურად კორიდას ნარსახეობას წარმოადგენდა და, როგორც ჩანს, აგრარულ-რელიგიური წლური ციკლიდან გაზაფხულის შეხვედრისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში იყო წარმოდგენილი, ხოლო ადრეული ფორმებით ბუნების ძალების გააქტიურებას, მოსავლისა და საქონლის განაყოფიერება-გამრავლებასა და სიუხვეს უკავშირდებოდა. იხ.: **გ.შამილაძე.** კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. - სდსყკ. I, თბილისი, 1979, გვ. 43-49.

[13] **ზ.თანდილავა.** ლეგენდა სოფელ ვერნებზე. - მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი, 1978, გვ. 84.

[14] **გ.შამილაძე.** მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). - საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბილისი, 1964, გვ. 199.

[15] **ოთხმაური.** წყლის კულტის ელემენტები საქორწინო რიტუალებში. - მსე, II, თბილისი, 1975, გვ. 164-165.

[16] **გ.შამილაძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[17] იქვე, გვ. 300.

ხდებოდა, წარმოდგენილი იყო ხის ნარგავები, ჭა და მსხვერპლშეწირვისათვის განკუთვნილი კონკრეტული მოედანი. გადმოცემით, „ქორდის“ მახლობლად მდებარე ბორცვის თხემზე ოდესღაც არსებობდა საყდარი, რის გამოც ამ ბორცვს დღესაც „საყდარს“ უწოდებენ. სოფელ ვანაძეები, მეკეიძეები, ვაშაყმაძეები და მეხალაშვილები მსხვერპლს სოფელ ადაძეებსა და დავლაძეებს შორის მდებარე ე.წ. „ფოლოსაყელზე“ სწირავდნენ. ამ ადგილს სხვაგვარად „კოსოლას“ ან საკლავთა სერს უწოდებენ.[18] შორეულ წარსულში სერები და გორა-ბორცვები ადამიანის საცხოვრისად გამოიყენებოდა.[19] ქრისტიანობა შეეცადა წარმართული რიტუალების განდევნას ამ ბორცვებიდან, რისთვისაც ასეთ ადგილებში ეკლესიებს აგებდნენ.

აჭარაში ხშირად შეხვდებით გადმოცემას, თითქოს სამსხვერპლო ხარი თავად ირჩევს შესაწირ ადგილს. ყოფილა შემთხვევა, როცა დაკლული ხარი თითქოს წამომხტარა და დაცემულა. მოსახლეობაც ასეთ ადგილს სამსხვერპლო ნაკვეთად ირჩევდა.

ჩვეულების მიხედვით სამსხვერპლო ადგილებში ნაზარდ ხეებზე, დაკლული ხარის სისხლს წაუსვამდნენ: „ყოველ წელიწადს მოისხამსო“, ე.ი. სისხლს ნაყოფიერების მაგიურ ფუნქციას ანიჭებდნენ. ქართველთა რწმენით, „ზეცა მამაზეციერის სამეუფეო იყო. ქვეყნით მიწას დედამდებარე ეწოდებოდა. შეწირული მსხვერპლიდან სული მამაზეციერს განეკუთვნებოდა, სისხლი - დედამდებარეს, ხოლო ხორცი - ადამიანებს.[20] სისხლი მთელ რიგ ხალხებში როგორც სასიცოცხლო ძალად, ასევე ადამიანის ერთ-ერთ სულად იყო მიჩნეული,[21] ეგვიპტურ პაპირუსებში იხსენიება გიგანტი ნეტბეუ, რომელიც შობა გეამ ურანის წვეთი სისხლისაგან.[22] ჰომეროსის მიხედვითაც, ჯოჯოხეთის მკვიდრი სულები სვამდნენ სისხლს და ამის შედეგად ცოცხლდებოდნენ.[23]

სამსხვერპლო სერებისა თუ ბორცვების მახლობლად მდებარე საყდრები უმეტესად წმ.გიორგის სახელობისაა, რაც ზემო აჭარაშიც დასტურდება.[24] ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევით, წმ.გიორგის ეკავა წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების - მთვარის ადგილი. ხარის რქები ჩვეულებრივ მთვარის სიმბოლურ ნიშნად ითვლებოდა.[25] ქობულეთთან, ჩოლოქისპირა ნამოსახლარებზე, როგორც აღინიშნა, დამოწმდა თიხის რქისებრი სადგრები, რომლებზეც რქების ქვემოთ ამოკაწრულია ნახევარმთვარე.[26] ეს ფაქტი მთვარისა და ხარის კულტების უშუალო კავშირის კონკრეტული, ნივთიერი დადასტურებაა. ირკვევა, რომ თავდაბირველად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხარის კულტი ჯერ შეერწყა მთვარის (მამა ღმერთის), ხოლო შემდეგ წმ. გიორგის კულტს.[27] შესაძლებელია, წმ. გიორგიმ ადრეული

---

[18] ნ.ბაგელაძე. ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში. - სდსზ, VII, თბილისი, 1984, გვ. 104-105.

[19] ნ.ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1960, გვ. 155; შდრ. შ.მაკალათია. წარმართული ზოგიერთი ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში. - სვანეთი (მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის), თბილისი, 1977, გვ. 28, 26-42.

[20] ი.სურგულაძე. ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები). - მსე, XIX, თბილისი, 1979, გვ. 61.

[21] ბ.ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან. - მიმომხილველი, I, თბილისი, 1949, გვ. 127, 128.

[22] Еленская А.И. Древнеегипетское божество в коптскую эпоху. - Древный Восток и мировая культура, Москва, 1981, с. 134.

[23] ჰომეროსი. ოდისეა, თბილისი, 1979, გვ. 134.

[24] Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшстия, Поцховский участок. ч.2, Москва, 1891, с.221.

[25] ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I, გვ. 50-59; შდრ. ა.კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 171.

[26] ა.ჩაგელეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 21-22.

[27] ა.ათასელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 205.

ღვთაების ადგილი, მართლაც, დაიკავა და ახალი კულტის საბატიცეცემულოდ მსხვერპლის (ხარის) შეწირვის ბრაქტიკამ მოსახლეობაში მყარად მოიკიდა ფეხი. წარსულში თრიალეთში იყო შემთხვევები, როცა ხარს მთელი სოფელი ყიდულობდა და წვიმის გამოსათხოვად წმ.გიორგის სწირავდა.[28] სამეგრელოშიც ილორის წმ.გიორგის ეკლესიაში შესაწირავად ხარს კლავდნენ.[29] ხალხური წარმოდგენით, თეთრი ხარი ეკლესიაში თავად წმ.გიორგის მოყავდა.[30] ხეთის ეკლესიაშიც წმ.გიორგის სწირავდნენ ხარს. ხარის შეწირვა წმ.გიორგიზე იმითაც იყო გაპირობებული, რომ იგი ზეცად ასვლისას ჭექა-ქუხილსა და თავის დროზე წვიმის ჩამოშვებასაც უზრუნველყოფდა.[31] ამგვარად იკვრება გარკვეული წრე და საკრალური[32] გენეტიკური კავშირი, რომელშიც თეთრი ფერის სიმბოლო განმსაზღვრელ როლს თამაშობდა: მთვარე - გველეშაპი - ხარი - წმ.გიორგი, რომელიც ფართოდ გავრცელებული იკონოგრაფიული[33] თემატიკის მიხედვით, თეთრ ცხენზე ამხედრებული ლახვარით გმირავს გველეშაპს. თავდაპირველად მთვარეს - ღვთაებას, როგორც ჩანს, გველეშაპი ებრძოდა. ამას გვაფიქრებინებს გადმოცემები, რომლებიც დაცულია საქართველოს მთიანეთის ამა თუ იმ კუთხეში, მათ შორის საინტერესო ვარიანტით აჭარისწყლის ხეობაში. ხალხური წარმოდგენით, მთვარე როცა ბნელდება, მას გველეშაპი ყლაბავს. მთვარე ამ დროს წითლდება, სისხლისფრად იქცევა. ასეთ დროს აჭარისწყლის ხეობის სოფლის მოსახლეობა ფეხზე დგება, რათა გველეშაპს მთვარე ბირიდან გაადგებინოს. ძალზე უჭირს ამ დროს მთვარეს, მოხუცი ქალები იღვიძებენ, სპილენძის ტაშტებს არახუნებენ, ლოცულობენ, სოფლის ახალგაზრდობა თოფებს ისვრის, ბავშვებითურთ ეზოში გამოდიან, რკინის საგნებს ათვალიერებენ და ეხებიან, საცხოვრებლის სახურაგზე ადიან, მანამ არ ისვენებენ, სანამ ლოცვა-კითხვა, თოფების სროლა არ გაჭრის და გველეშაპს მთვარე არ დაუსხლტდება.[34] სვანეთში მზის დაბნელების დროს, ზოგიერთი თემის მოსახლეობა (მაგალითად, ფარელები) ხმაურს ტეხდა, თოფებს ისროდა, ახსენებდნენ „ქალბბარის", ლატალის თემის მცხოვრებნი კი, როცა გველეშაპი მთვარეს გადაყლაპვას დაუპირებდა, სახლიდან გარეთ გამოცვივდებოდნენ და ყვირილს უწყებდნენ გველეშაპის უფროსს, ყვირილისას ახსენებდნენ ხარს.[35]

თავის დროზე ხარს ვეშაპს სწირავდნენ, მოგვიანებით კი - წმ.გიორგის. აქ სხვადასხვა ეპოქის რელიგიურ დანაშრეკებთან უნდა გვქონდეს საქმე, რაზეც ხარის როგორც საკულტო ცხოველის სახე მიგვანიშნებს; კერძოდ, ხარი, რომელიც იმავდროულად საკულტო ცხოველი იყო, შესაწირი მსხვერპლის სახითაცაა ყოფაში წარმოდგენილი.

ერთი რამ უდავოა: წარმართული რწმენა-წარმოდგენების განვითარების განსაზღვრულ მონაკვეთში წყლის სიუხვის დაცვა-მფარველობისა და ნაყოფიერების ფუნქციის მქონე ღვთაებას (თევზ-ვეშაპებს) ხარი უნდა ჩანაცვლებოდა. ამაზე ბერძნებში შემონახული რწმენაც უნდა მიგვითითებდეს, რომლის თანახმადაც ხარი შვა გველმა.[36] თევზ-ვეშაპი კი სხვადასხვა ხალხებ-

---

[28] Сихарулидзе А.Н. К вопросу о значении изображения быка на триалетских вешапах и вешапоидах. - КЭС, Тбилиси, 1972, с. 33.

[29] **ს.მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1940, გვ. 867.

[30] **ი.სასოკა**, ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 60-61, შდრ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. ტფილისი, 1938, გვ. 142-149.

[31] იქვე, გვ. 59, 64.

[32] საკრალური - რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული.

[33] იკონოგრაფია - მითოლოგიურ-ისტორიული პირების ან სიუჟეტების გამოსახულებათა სისტემატიური შესწავლა და აღწერა.

[34] **ეპახარაძე**, ეთნოგრაფიული მასალები. - ასმხდ. - 88; შდრ. **ა.ქანთარია**, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები (აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალების მიხედვით). -სსიეს, ბათუმი, 1981, გვ. 83.

[35] **გ.ბარდაგელიძე**, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარ). თბილისი, 1941, გვ. 98.

[36] Массон В.М. Первые цивилизации, Москва, 1989, с. 128.

სა და განსაკუთრებით ქართველურ ტომებში, როგორც აღინიშნა, წყლის გამგებელ ღვთაებად იყო მიჩნეული. თევზ-ვეშაპისა და ხარის შენაცვლება, მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს.[37] ორივე წყლის მანაყოფიერებელი ძალის მატარებელ სიმბოლოებად მიიჩნეოდნენ.

საინტერესო მასალას იძლევა ზოომორფული ყურებით შემკული ჭურჭელი, რომელთა წარმოება, მართალია, გაცილებით ადრე იწყება, მაგრამ ივი განსაკუთრებულ აღმავლობას სწორედ ადრერკინის ხანაში აღწევს (სურ. 19, 20). ეს გარემოება, როგორც ჩანს, იმ საწესო-რელიგიური წარმოდგენების საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდით უნდა აიხსნას, რომელთა გამოც, თავის დროზე, ზოომორფულყურებიანი ჭურჭლის წარმოება დაიწყო. ამგვარი ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ნამჭედურის ნამოსახლარზე, დიუნურ დასახლებებზე ბობოყვათსა და ფიჭვნარში, ციხისძირის წინაანტიკურ ნამოსახლარზე, ფიჭვნარ-ჩოლოქის დასახლების ჯგუფის სხვა ძეგლებზე.

ზოომორფული ყურები, მცირე გამონაკლისის გარდა უპირატესად ხარის თავის სტილიზებულ გადმოცემადაა მიჩნეული.

ამგვარად, არა მარტო აჭარისწყლის ხეობაში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, არამედ მთელ საქართველოში ხარს და მასთან დაკავშირებულ კულტმსახურებას საპატიო ადგილი ეკავა. ეს არაერთხელ დაადასტურა მრავალფეროვანმა არქეოლოგიურმა,[38] ფოლკლორულმა[39] და ეთნოგრაფიულმა მასალებმა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხარის კულტი ასე ფართოდ რომ იყო გავრცელებული წინააზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების უძველეს რელიგიურ აზროვნებაშიც.[40]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთში ხშირად რქისებრი სადგრები და ზოომორფული ჭურჭლების გვერდით გვხვდება საკულტო დანიშნულების სხვა საგნებიც (მაგალითად, მრავალგანყოფილებიანი ტაფები (ანუ კეცები), ფალოსები და ა.შ.).

მრავალგანყოფილებიანი ტაფები მხოლოდ აჭარის ზღვისპირეთში გვხვდება და მათ ადგილობრივ საკულტო ნაწარმად მიიჩნევენ.[41] არ არის გამორიცხული, ისინი წარმოადგენდნენ საოჯახო სამსხვერპლოებს, ან გამოიყენებოდნენ საკულტო კვერების თუ სარიტუალო პურების გამოსაცხობად.[42]

წარმართულ ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი გველის კულტს ეკავა. იგი ასრულებდა მთელ რიგ ფუნქციას, რომელთაც ასახვა ბოვეს რწმენა-წარმოდგენებში და ნივთიერ კულტურაში.

ძველთაგანვე მრავალი ხალხის წარმოდგენაში გველი სიბრძნისა („ბრძენი, ვითარცა გველი") და მკურნალობის სიმბოლო იყო. ბიბლიური ტრადიციის მიხედვით „გველი იყო უგონიერეს ყოველისა მხეცთა ქმეყანასა ზედა, რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან" (დაბადება. წიგნი მოსესი, 3,1), მაგრამ მის შემდეგ, რაც მან აცთუნა ადამიანი და მისთვის საცნაური გახადა „ხე ცხოვრებისა - კეთილისა და ბოროტისა", უფალმა დაწყევლა იგი: „წყეულ იყავ შენ ყოველთაგან ბირუტყუთა და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანისათა, მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა" (იქვე, 3,14).

---

[37] Марр Н.И., Смиров Я.И. Вишапы, Ленинград, 1931, с. 63; Капацян Гр. О каменных стелах Армении, Ереван, 1952, с.33.

[38] გ.ბობოვნიშვილი. ცნობალის ნაცარგორა. - მიმომხილველი, II, თბილისი, 1949, გვ. 230; ტ.ჩუბინაშვილი. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბილისი, 1965, გვ.100.

[39] ალ.ფალავანდიშვილი. ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი). - ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969; ნ.შამანაძე. ქართული ხალხური ლეგენდები, თბილისი, 1973, გვ. 100.

[40] ბ.ბარდაველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 18-24.

[41] ა.ალბერტი. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. - მსკა, 4, თბილისი, 1965, გვ. 74-75.

[42] Микеладзе Т.К. Хахутаншвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, с. 26, табл. 55, 77, 78, 79.

კოლხურ სამყაროში გველის კულტი ადრიდანვე შეიქმნა. მისი არსებობის პირველი ნიშნები ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე დასტურდება, სადაც მინიატურულ აბაზანის ფორმის ერთ-ერთ ტიგელზე დატანილია გველის სქემატური გამოსახულება.

გვიანბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანაში გველის გამოსახულებებს ვხედავთ რკინისსადნობი ქურების საბერველთა საქშენ მილებზე, სადგრებზე, თიხის ჭურჭლებზე, ბრინჯაოს ფიბულებზე[43], ბალთებზე, სარტყლებზე, სარიტუალო საკიდებზე, კოლხურ ცულებზე და ა.შ. ამასთან, ცულებზე ზოგჯერ გველის გამოსახულებები თევზებთან, ფანტასტიკურ ცხოველებთან და მზის გამოსახულებებთან ერთად გვხვდება.[44] აჭარისწყლის ხეობაში (ხიხაძირის განძი) წარმოდგენილ გრავირებულ ცულებზე ძაღლის, წრეების, ზენური ხვიების, ზიგზაგისებური და ბადისებრორნამენტიანი ზოლების გვერდით წარმოდგენილია გველებიც. აღნიშნული ცულები დეკორის შესრულების მანერით ემსგავსებიან ფსარცხის,[45] აჭანდარის,[46] წითელშუქურას,[47] ეშერას,[48] ნიკორწმინდის,[49] ცხინვალის,[50] თლის სამაროვნის,[51] ყობანისა[52] და სხვა რეგიონების ბრინჯაოს ცულებს. ასეთივე მოტივებია გავრცელებული თანადროულ ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე, აბზინდებზე[53] და სხვ.[54]

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გველი ფუძის, აგრეთვე, ჭურ-მარნის მფარველ ანგელოზად და ღვინის გამოულეველობის სიმბოლოდ არის მიჩნეული. ამიტომ ქვევრის თავზე მოგრაგნილი გველის ნახვა მოსალოდნელი ხვავრიელობის ნიშანია. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება თქმულება-გადმოცემები განძის მცველ გველებზე (ოქროს საწმისსაც ხომ ცეცხლისმფრქეველი გველეშაპი იცავდა). „აჭარაში— ყოველ სახლს გააჩნია ოჯახის ბატრონი დედალ-მამალი გველი, რომლებიც მომსხო, შავი ფერისაა და ადამიანს არ ვნებენ. ისინი ადამიანს იშვიათად ენახვებიან. თუ წყვილის ცალი ვინმემ ხელყო, მეორე მეტად საშიში ხდება, შურს იძიებს: ადამიანს უუმური შეეყრება, ზიანი მიეცემა“.[55] ითვლებოდა რა ძირითადად ოჯახისა და დოვლათის მფარველად, გველს ამავე დროს უკავშირებდნენ ისეთ არასასურველ ბუნებრივ მოვლენასაც, როგორიცაა გვალვა. ძლიერი გვალვის დროს გველს კლავდნენ, რომ წვიმა წამოსულიყო,[56] ამასთან, არ შეიძლებოდა ოჯახის მფარველი გველის მოკვლა, განსაკუთრებით სახლ-კართან ახლოს გველის მოკვლა იყო ტაბუირებული. გველისა და გველეშაპის კულტებმა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფუნქცია შეიძინა, მაგრამ მათ წყალთან, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოსთან უახლოესი კავშირი გამოკვეთილად შეინარჩუნეს, რაც ქართულ ზღაპრებში, მითოლოგიასა თუ ტრადიციულ რწმენა-

---

[43] ფიბულა - მშვილდსაკინძი.

[44] **დ.ხახუტაიშვილი.** ქობულეთის „ქვეყანა“, I, გვ. 94-101; აჭარისწყლის ხეობაში, მაგალითად, სოფელ სიხალიძეებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთი ნაწილი დაფარულია წვრილი კანელურებით, მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული წრეებით. იგი ძვ.წ. XII-XI საუკუნეების უნდა იყოს.

[45] Лукин А.А. Материалы по археологии Бзипской Абхазии. - ТОИПКГЭ, I, Ленинград, 1941, рис. 612.

[46] Воронов Ю.Н., Гунба М.М. Новые памятники Колхидской культуры Абхазии, - СА, 2, 1978.

[47] Трапш М.М. Труды, II, Сухуми, 1969, таб. XV/2.

[48] Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, I, 1949, с. 192-193, рис. 37.

[49] **ა.ჯაჯანიშვილი.** კოლხური ცულების განძი ამბროლაურის რაიონიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII, 9, თბილისი, 1981.

[50] **დ.ქორიძე.** კოლხური კულტურის ისტორისაათვის. თბილისი, 1965, გვ. 29. ტაბ. XIV-10, 11.

[51] Техов Б.В. Тлийский могильник. II, Тб., 1981, табл. 55-I; 59-I; 2; 72-I и др.

[52] Уварова П.С. Могильник Северного Кавказа. - МАК., вып. VIII, М. 1900, табл. XVI-3; XXII-I и др.

53 **მ.ხიდაშელი.** ცენტრალური ამირკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი, 1982, გვ. 28, 29, 30. ტაბ. I, IV, VI, VIII, IX, XII.

54 გველის საკულტო დანიშნულებისა და ფუნქციის, ცულებზე მათი გამოსახვისა და პარალელების შესახებ დაწვრილებით იხ. **ა.ალხაზიშვილი, შ.შამუსაძე.** აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

[55] **ჯ.ტარშალიშვილი.** ორნამენტი ზეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ბათუმი, 1979, გვ. 76.

[56] **ჯ.ჩხეიძე.** შრომის პოეზია, ბათუმი, 1961, გვ. 90.

წარმოდგენებში ნათლადაა ასახული. აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეში, დღესაცაა შენარჩუნებული წარმოდგენა, რომ ფუძის გველს თუ რძით გაუმასპინძლდები, შემოგეჩვევა, ზიანს არ მოგაყენებს. სოფელ კალოთაში (სხალთის ხეობა, ხულოს რაიონი) ერთ-ერთ ოჯახში დადასტურდა წიფლის ხისგან გამოქანდაკებული გველი, რომლის თავი მცირე ზომის ფიალისაკენ არის დახრილი. ეს ქანდაკება, მფლობელთა განმარტებით, ავი თვალისა და ავი სულებისგან დასაცავადაა გამოკვეთილი.[57] არ არის გამორიცხული, რომ ფიალა აქ რძიან ჯამს გამოხატავდეს, რომლითაც ოჯახი გველს უმასპინძლდებოდა. საერთოდ, თაყვანისცემის საგანია არა ყველა გველი, არამედ კარ-მიდამოში შენიშნული შავი გველი. ეს ფაქტი გველის ქთონურ[58] ბუნებაზე უნდა მიუთითებდეს. ტიპოლოგიური ნიშნები (ოჯახის გველი კარ-მიდამოს მფარველი ხდება, ოჯახის კეთილდღეობას განსაზღვრავს, მისი მოკვლა ან წყენინება ოჯახისათვის უბედურების მომტანია)[59] კი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ადრეულ ეპოქაში გველი არა მარტო საოჯახო გაერთიანების, არამედ უფრო ფართო სოციალური ჯგუფების ტოტემური[60] სიმბოლო უნდა ყოფილიყო. ზემო აჭარაში/დღესაც მიაჩნიათ, რომ ყოველი სახლის ქვეშ ბინადრობს გველი, რომელსაც მოსახლეობა „ბინის გველს“ უწოდებს. უბნის ფარგლებში დასახლებული ნათესაური ჯგუფის წევრები მას სოციალური გაერთიანების საერთო კეთილდღეობის მომტან სიმბოლოდაც აღიარებდნენ. ქართველებში არსებულა რწმენა გველის პერანგით შემოსვის შესახებ. მაგალითად, თქმულებაში ამირანზე ჩანს, რომ ბოროტი სულების წინააღმდეგ მებრძოლ სულკალმახს წელზე შემორტყმული ჰქონდა გველის პერანგი. ვარაუდობენ, რომ წარმოდგენები ბოროტი და კეთილი არსებების გველის პერანგით შემოსვის შესახებ კეთილი და ბოროტი ანგელოზების არსებობაზე მიანიშნებს.[61] უფრო მეტიც, შეხედულება გველის როგორც მავნე სულიერის შესახებ გაცილებით გვიანდელ გაზრებად მიაჩნიათ.[62] გველს, ისევე როგორც თევზს, ხეს, წყალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა კოსმოგონიურ წარმოდგენებსა თუ სამყაროს მოდელის ხალხურ გაზრებაში. სიცოცხლის ხის მოტივი,[63] მცენარეული სიმბოლიკა, წმინდა ხისა და ზოომორფული არსებების კავშირი (მაგალითად: წარმოდგენა გველის ტყავზე ან თევზის ფხაზე ამოსული ალვის ხის შესახებ),[64] აღნიშნულ სიმბოლოთა ერთად ფიგურირება მიგვანიშნებს მიწისქვეშა, ქთონურ და, საერთოდ, სკნელის[65] (ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი) სხვადასხვა განზომილების ღვთაებებთან მათ უშუალო მიმართებებზე. ზოგჯერ ადამიანი უპირისპირდება გველს და ძალით მოიპოვებს ღვთოს, ე.ი. გველის სახით ქვესკნელის სამყაროს უპირისპირდება. სწორედ ამიტომაც ზღაპრებში ქთონური არსებები - გველი, ხელიკი, ბაყაყი... ბოროტ ძალებად არიან წარმოსახული, ისევე, როგორც გველეშაბები მათი ანთროპომორფული (მაგალითად, დევი) ვარიანტებით.[66] საერთოდ, ქთონური ღვთაებები დროთა განმავლობაში ახალი ფუნქციებით იტვირთება. ამაზე უნდა მიანიშნებდეს

[57] ჯ.გარშალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74-75.

[58] ქთონური - მიწის მწარმოებელ ძალებთან და მიწისქვეშა სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებები.

[59] დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[60] ტოტემური - ცხოველის, როგორც ტომის წინაპარისა და მფარველის თაყვანისცემა

[61] ნ.ონიანიშვილი, სალოცავი „მზიერი“ (გიუნე). - სსმ, XXIV-B - თბილისი, 1964, გვ. 210.

[62] მ.ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 61; აჭარაში, ძველი სტილით აბრეშის ბირველ ოთხშაბათს, ე.წ. გარგნობის დღეს შეშის, ჭიგოს, წნელის მოჭრასა და სახლში მიტანას ერიდებიან, რადგან სწამთ, რომ ჯოხები გველებად გადაიქცევიან და ეზოსა თუ სახლში დაიბუდებენ (გარგნობის დღის ციკლთან დაკავშირებული ჩვეულებების შესახებ დაწვრილებით იხ. გ.გოგარტნაძე, გველის კულტი მაჟახლის ხეობაში. - „ჟორონი“, ბათუმი, 1992, გვ. 106-112).

[63] გ.ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. - ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941.

64 ხალხური სიბრძნე, II, თბილისი, 1964, გვ. 24 და სხვა; დ.ონიაძე, ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებითტიპოლოგიური ანალიზი (ქართული და სპარსული ზღაპრების ერთი სიუჟეტის მიხედვით), თბილისი, 1991, გვ. 64-71.

[65] ა.სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლო, თბილისი, 1986.

[66] გ.ტოტოჩაია, ეუშაბის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით), I, ბათუმი, 1980. - ხელნაწერი: აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა არქივი.

გველეშაპებთან მებრძოლი ამირანის, დევებთან მორკინალი იახსარისა და კობალას[67] ხატი. ქვესკნელის შვილები და ვეშაპებთან მებრძოლი გმირები ადრე თავად უნდა ყოფილიყვნენ თევზი-ვეშაპები. ქართული მითოსური ეპოსის უმთავრესი გმირის ამირანის გვერდით სულკალმახიც ერთ-ერთი მთავარი ვეშაპი უნდა ყოფილიყო ტბუირებული თევზის (კალმახის) სახეში განსახიერებული.

ოჯახის მიერ გველის კეთილგანწყობილების მოპოვებისათვის ზრუნვა მხოლოდ საქართველოსათვის არ არის დამახასიათებელი. ზოგი წარმოდგენით გველი მიცვალებულის სულია. მას „ბუნების დიდი დედის“ უძველეს ზოომორფულ სახედაც მიიჩნევენ.[68] გველის ამგვარი მრავალფუნქციურობა[69] აშკარად ვლინდება აჭარის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებში, ზებირ ტრადიციებში, მაგალითად, აჭარულ ზღაპარ „გველების ხენმწიფეში“ აშკარად ჩანს, რომ გველს შეუძლია ადამიანს მიანიჭოს ყოველი სულიერი არსების ენის მიხვედრის უნარი.[70] მის კეთილისმყოფელს, სულიერსა და უსულოს, გველი ენის ცოდნას გადასცემდა.[71] გველი გამანაყოფიერებელი ძალაც უნდა ყოფილიყო და ამ ფუნქციით იგი გველეშაპის კულტს უახლოვდება, რომელიც ხარის კულტის ქრონოლოგიურ თუ სემანტიკურ-გარდასახვით ვარიანტს ქმნიდა. ამ კუთხით იგი, მართლაც, შესაძლოა ნაყოფიერებისა და გამრავლების გამომხატველი ყოფილიყო. აჭარულ ზღაპარ „შაპზადეში“ ქალს გველი ჰყავს მუცელში, ხოლო ზღაპარ „ჩობანის“ მიხედვით, რომელიც გველისა თუ გველეშაპის გადაყლაპვის ერთ-ერთი ვერსიაა, ირკვევა, რომ ქალის მუცელში გველეშაპია.[72] გველისა თუ გველეშაპის მანაყოფიერებელი ფუნქციის, როგორც ვარაუდის, მართებულობაზე უნდა მეტყველებდეს, ასევე, გველეშაპის უშუალო კავშირი წყალთან.

ქართველურ ტომებში ადრეული ხანიდანვე ჩანს გავრცელებული თევზის თაყვანისცემა. თევზაობა საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს დარგად ჩამოყალიბდა, რამაც თევზის საკრალიზაციასა და მის საკულტო არსებად გადაქცევას შეუწყო ხელი. მეთევზეთა შორის დღესაც შემორჩა პირველად დაჭერილი თევზის გათავისუფლების ჩვეულება.

აჭარაში დაცულ თქმულებებში თევზი ადამიანის წინაპრადაა მიჩნეული.[73] ამის გამო, ხშირად, თევზაობა ტაბუირებული იყო, ხოლო ზოგიერთი თევზის დაჭერა, მავალითად ორაგულისა, იკრძალებოდა. ქართულ მითოლოგიაში (ეპოსსა და ჯადოსნურ ზღაპრებში) განსაკუთრებით მკაფიოდ ფიგურირებს წყალში ჩაბრუნების სანაცვლოდ სურვილების შემსრულებელი მაგიური ოქროს თევზი.[74]

აჭარის ზღვისპირეთში რქისებრი სადგრებისა და მრავალგანყოფილებიანი ტაფების

---

[67] კობალასა და იახსარის ფუნქციური არსის შესახებ მოსაზრებები იხ. ზ.ალანია, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბილისი, 1985; ი.ბენაშვილი, ღმერთები, მითები, რიტუალები, თბილისი, 1990, გვ. 69-81.

[68] ა.ალხაზიშვილი, დასახ. ნაშრ.

[69] ნ.ბაბალიანი, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი, 1997, გვ. 5-17.

[70] ჯ.ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი, 1972, გვ. 120; შდრ. ზღაპარს „გველკაცა“.

[71] რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1949, გვ. 140; ანალოგიურ მოტივებთან უნდა გვქონდეს საქმე ჯემალ ნოლაიდელის მიერ ჩაწერილ ზღაპარ „მეთევზე ახმედი“-ში: თევზმა მუცელში აღმოჩნდა თეთრი ქვა, რომელსაც მეთევზე ახმედი ენას მოუსვამს და ჩანგი გაჩნდება. ამ ქვას ბარალელი ეძებნება გველის ხვითოსთან ანუ ნატვრის თვალთან ზღაპარში „გველის ძმობილი“ (ხალხური სიბრძნე, II, გვ. 30). ერთის მხრივ, ნატვრის თვალისა და თევზის, ხოლო მეორეს მხრივ გველის მიმართებები აქ შემთხვევითი არ უნდა იყოს.

[72] ჯ.ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 95, 116; ქალის მუცელში განსაკუთრებული სიმბოლოების მოხვედრა, ვფიქრობთ, კელაგ შვილიერების მოტივითაა განსაზღვრული. მაგალითად, ფშავში ზოგჯერ მშობიარეს აძლევდნენ წყალს, რომელშიც თევზის კუდი იყო გარეცხილი (Макалатия С.И. Из старого народного быта пшавов. - СЭ, М.-Л., 1938, с. 112).

[73] ზ.ალანია, თევზი ქართულ ჯადოსნურ ეპოსში. - სდსძ, II, თბილისი, 1975.

[74] იხ. ზღაპრები, „ხემწიფის შვილი“, „ოქროს თევზი“ (ჯ.ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 120). ქარიოულ-აჭარული ზღაპრები, ბათუმი, 1973, გვ. 180.

(კეცების) გარდა, როგორც აღინიშნა, გვხვდება თიხის და ქვის ფალოსებიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ხულის რ-ნის სოფ.კალოთაში გამოვლენილი წარმართული სალოცავი, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუშენებიათ მოხრდილი დამუშავებული ქვა, ხოლო მის გვერდით აღუმართავთ ქვის ფალოსის ღერო. იქვე სამლოცველოს იატაკზე აღმოჩნდა ფალოსის თავიც. ფალოსის გვერდით ქვის კვადრზე მდგარა ქვაკაცი. ჩრდილო კედელში ჩაშენებული ყოფილა მეორე, უფრო დიდი ქვაკაცი, რომელიც ასევე წაქცეული იდო სამლოცველოს იატაკზე. იქვე აღმოჩნდა ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ფილაც, როგორც ჩანს, ტრაპეზი. სამლოცველოს დასავლეთით აღუმართავთ მეორე, უფრო პატარა კომპლექსი, რომლის ნანგრევებში აღმოჩნდა ორი შედარებით პატარა ზომის ქვაკაცი და ქვის ფალოსის თავი.[75]

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში **ბოსლობა** საოჯახო რიტუალი იყო, იგი, როგორც ჩანს, ადრეულ ხანაში მთელი თემისათვის განკუთვნილ საკულტო და სარიტუალო სალოცავებთანაც უნდა აღნიშნულიყო, რითაც მეთემეები „უზრუნველყოფდნენ" საკუთარ კეთილდღეობას. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ აჭარისწყლის ხეობაში, სოფელ კალოთას სამლოცველოსთან წლის გარკვეულ მონაკვეთში, ბოსლობის ტიპის დღესასწაულიც შესრულებულიყო. აჭარაში ბოსლობა როგორც ხალხური დღესასწაული სრულდებოდა ახალი წლის დღეებში: საღამოს სახლის უფროსი ქალი და მამაკაცი ხმის ამოუღებლად კერიიდან ჯაჭვს ხსნიდნენ, საქონლის სადგომში ჩადიოდნენ, საქონელს სამჯერ შემოუვლიდნენ და იქვე განაყოფიერების სიმბოლურ რიტუალს ასრულებდნენ, რაც ღამითაც მეორდებოდა. შესაძლოა მამაკაცს შემოვლის დროს ირგვლივ მარცვალიც მიმოეფანტა. საქონელზე შემოვლის დროს ფეხის დაცურება ან დაცემა ცუდ ნიშნად ითვლებოდა, რაც საქონლისათვის ავის მომასწავებლად იყო გაგებული.[76] რიტუალს უკავშირებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შესრულებულ რელიგიურ გუნდურ ცეკვებს, რომლის დროსაც ფეხის დაცურება, დაცემა ან წყობის არევა საქონლის დავარდნის და ავადმყოფობის, მოუსავლიანობისა თუ სხვა უბედურების მომტანად ითვლებოდა.[77] ბოსლობის დღესასწაული ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ცალკეულ პროვინციებში. როგორც ჩანს, ბოსლობის დღესასწაულთან უნდა გვქონდეს საქმე ბ.კოვალევსკის მიერ სვანეთში აღწერილ რიტუალში, სადაც მკაფიოდ ფიგურირებს მოზვერი, ფალოსი და განაყოფიერების სიმბოლოები.[78] ბოსლობაში მონაწილე ღვთაება თავდაპირველად ხარის სახით წარმოიდგინებოდა. შემდეგ მას ითიფალური მამაკაცის სახე მიუღია და ქრისტიანულ ხანაში წმ.ბასილის სახელით გამხდარა ცნობილი.[79] ფალოსი ბევრ ხალხში უბედურების ამრიდებელ სიმბოლოდაც ითვლებოდა.[80] საქართველოში ფალოსის კულტთან დაკავშირებული დღესასწაულები ბევრ კუთხეშია დადასტურებული და უკავშირდება მურყვანობას,[81] ბერიკაობას, ფოთლის ცეკვას.[82] ამ რიტუალის თანმხლები იყო მსხვერპლშეწირვაც, რასაც, სხვადასხვა მონაცემების გვერდით, სოფელ კალოთას ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ღია ტიპის სამლოცველოც ადასტურებს. როგორც

---

[75] ა.ალხაზიშვილი, შ.მაჭუტაძე, დასახ. ნაშრ.

[76] გ.შამილაძე, აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების ისტორიიდან აჭარაში. - ამსყს, თბილისი, 1971, გვ. 31-32; ეროტიკული კულტების, ჩვეულებების, სექსობრივი მაგიის, ტოტემიზმისა თუ ტაბუს შესახებ იხ. Токарев С.А. Ранние формы религии. Москва, 1990, с. 116-152; შდრ. Штенберг Л.Я. Первобытная религия в свете этнографии. Д., 1936, с. 177.

[77] გ.ბარდაგელიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა სასულიერო ტექსტები. - მსე, I, ტფილისი, 1938, გვ. 8.

[78] Ковалевский Б. Страна снегов и башен (очерки сванской культуры). - прибой, 1930, с. 22-24, 142-143.

[79] გ.ბარდაგელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 107; შდრ. ჭ.ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 83-84.

[80] ნ.ხახუტაიშვილი, წინაანტიკური ხანის საკულტო ძეგლები. ხელნაწერი, ბათუმი, 1998.

[81] ალ.ონიანი, სვანური მურყვანობა-კვირაობა. - მაცნე, თბილისი, 1966, გვ. 64-65.

[82] ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 65, 77; ს.მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში. - „მიმომხილველი", თბილისი, 1926, გვ. 120-135.

ირკვევა, აქ ხდებოდა მსხვერპლშეწირვაც, რაზეც სხვა მასალებთან ერთად ბრტყელი ქვაც უნდა მიუთითებდეს. ბორცვზე სხვა სამლოცველოებიც გამოვლინდა, ხოლო ქვაყრილებს შორის ბატარა ზომის ორი კერპი და ფალოსის თავი აღმოჩნდა.[83] შესაძლოა აქვე არსებობდა არა მხოლოდ საერთო-სათემო, არამედ თემში მცხოვრები გვარების (ან გვარის) თუ მცირე გენეალოგიური სეგმენტების და შესაბამისი ლოკალური ჯგუფების სალოცავ-საკურთხეველები.

კალოთას სამლოცველოს უკავშირებენ ქართულ კალენდარულ საწესჩვეულებო დღესასწაულს - „ლაზარობას“ და სხვა ტიბის რელიგიურ რიტუალებსაც, თუმცა, უმთავრესი მაინც ამინდის მაგიური მართვის ცერემონიალია. ლაზარობა უშუალოდ უნდა განვიხილოთ ფალოსებთან და ქვაკაცებთან[84] მიმართებაში, რადგან მათი თავდაპირველი ფუნქციური დატვირთვა შემოინახა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ლაზარობის სადღესასწაულო ციკლში, ამინდის მართვის რიტუალში. მაღალმთიანი აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები (ზაფხულში ნალექების სიმცირე) განსაზღვრავდა წყლის სიუხვეზე ზრუნვას და მსხვერპლშეწირვის შესაბამისი ცერემონიალის შესრულებას. ქვის ფალოსებიც ამინდის, ტაროსის, ცაღრუბლების გამგებელ ღვთაება ლაზარეს კულტთან იყო დაკავშირებული და ცერემონიალში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. კალოთას ქვის ფალოსი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი, რაც არ არის შემთხვევითი: ლაზარეს კულტის ქურუმთა წარმოდგენით ხანგრძლივი გვალვებისას ფალოსის სვეტზე თავს თუ დაადგამდნენ, სანატრელი წვიმა წამოვიდოდა, ხოლო გადაუღებელი წვიმების დროს, ფალოსზე თავის მოხსნით სასურველი ამინდი დადგებოდა.[85] ამ მხრივ საყურადღებო მინიშნებებია ვახუშტი ბატონიშვილთან: „ბატივანს (ადგილია სამხრეთ საქართველოში) ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი, იქნების უწვიმობა“.[86]

აჭარაში, დადასტურებულია „სიცოცხლის ხის“ და, საერთოდ, ხის თაყვანისცემა.[87] არქეოლოგიურ მონაპოვრებში გვხვდება, აგრეთვე, ვერძის (სურ. 26.1; 27.4), ირმის, მგლისა თუ ძაღლის (სურ. 16) გამოსახულებები, სხვა ტიბის ზოომორფული და კოსმოგონიური სიმბოლოები და ნიშნები, რომლებიც ხშირად ახსნას მოულობენ მითოლოგიასა და ეთნოგრა-

---

[83] აკახიძე, შ.მაჩულაძე, დასახ.ნაშრ., გვ. 45-47; სამთავროს ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი სარტყლის სიუჟეტში ციურ ძალებთან მიმართებაში გაშოსახულია ადამანის ორი ფიგურა, რაც ალურუშაძის აზრით უნდა წარმოდგენდეს წვიმაზე ლოცვის ინსცენირებას (Урушадзе И.Е. К исследованию исходных форм ритуально-магической изобразительной деятельности древнегрузинских племен. - მაცნე, ისტორიის სერია, I, თბილისი, 1980, გვ. 75).

[84] განძის ვეშაპის განხილვის პროცესში ნ.ბერძენიშვილი შეეხო ლ.შელიქსეთ-ბეგის მოსაზრებას, რომელიც ვარაუდობდა, რომ ვეშაპებთან დაკავშირებული ბევრი ცერემონიალი და ტერმინიც უკავშირდება ფალოსის კულტს. აქედან გამომდინარე ქრისტიანობამდელი საფეხური ამ ღვთაების განვითარებაში ფალოსი უნდა ყოფილიყო და არა ვეშაპი. მათი ვეშაპობა, თუ, მართლაც, ასე იყო, უფრო ადრინდელი ხანისა უნდა იყოს (ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1965, გვ. 41, 43). ასევე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქვაკაცა უკავშირდება ქვის კულტს, რომელსაც ლაზარობის რიტუალში გარკვეული ადგილი უჭირავს (ზანადელაძე, ლაზარობა და „ქვაკაცები“ აჭარაში. - სდსძ, I, თბილისი, 1974, გვ. 18).

[85] ნ.რიჯავაძის ცნობები ადასტურებს, რომ ფალოსი, მართლაც, დაკავშირებულია ამინდის მაგიური მართვის სარიტუალო ციკლთან. ავტორის მონაცემებით დმანისის რაიონის სოფ.დიდგომარეთში ფიქსირებული ფალოსიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მისი დანიშნულებაც სასურველი ამინდის რეგულირება ყოფილა. კალოთას ძველის საკულტო დანიშნულების ამსახველი მასალებით ფართოდ ესარგებლობდით აკახიძისა და შ.მაჩულაძის ნაშრომით, სადაც აღწერილია კალოთას სალოცავ-სამსხვერპლოს შესწავლის მდგომარეობა, წარმოდგენილია მასალები და გამოთქმულია ვარაუდები ქვაკაცების, ფალოსის კულტის და საერთოდ, ლაზარობის დღესასწაულის დანიშნულებისა და ფუნქციების შესახებ (იხ. აკახიძე, შ.მაჩულაძე, დასახ. ნაშრ.).

[86] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1941, გვ. 60.

[87] თლეთმყოფელი, სამიწათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში. - კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი, 1996, გვ. 80-81.

ფიულ მასალებში.[88] სანიმუშოდ საკმარისია დავასახელოთ ორნამენტი ქსოვილზე, ხეზე თუ ქვაზე. სიცოცხლის ხის მოტივში მთავარია ირმის გამოსახულება. აქვეა ცხენი, კურდღელი, ფარშევანგი, მამალი, იხვი, ჩიტი, რომელთაგან ბევრი უცხო არაა საკრალური და სულიერი სამყაროსათვის. ქსოვილის ორნამენტში, ასევე, გამოსახულია ასტრალური სამყარო, თუ ბუნება: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთა, წყალი, გზა, დატანილია სხვადასხვა მითოლოგიური არსებები თუ ნიშნები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიყოფა ჯვარი.[89] ამასთან, წინაანტიკური ხანის ნივთიერ კულტურაში ყველა რელიგიური სიმბოლოს ასახვის დასტური ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსა და ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობებში ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი ფასეულობები, წარმართული ღვთაებები და კულტები, მათთან დაკავშირებული სარიტუალო საგნები, ხელოვნების ნიმუშები, გრაფიკასა თუ ორნამენტში წარმოდგენილი სიმბოლოები შესაბამისი მითოსტრუქტურებითა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროებით აშკარად მიუთითებს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან საერთო კულტურულ-გეოგრაფიული არეალის არსებობაზე. ამგვარი კულტურულ-რელიგიური კავშირი, რომელიც გამოხატულია მატერიალურ საგნებში, ყოფაში, მითოლოგიასა და ზღაპრებში, შეინიშნება როგორც ისტორიულ-ქრონოლოგიურ, ისე სინქრონულ-ეთნოგრაფიულ დონეზე. სხვა მხრივ შეუძლებელია აიხსნას ის დიდი მსგავსება, რომელსაც აფიქსირებს არქეოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და ფოლკლორი, ზებირი ტრადიციები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანამედროვე აჭარის მოსახლეობამ, როგორც ჩანს, შეინარჩუნა და ეპოქებთან შესატყვისობაში გადაამუშავა კიდეც მსოფლმხედველური ფასეულობები, წინაპრების კულტურული მემკვიდრეობა.

---

[88] ხიხაძირის ცულებზე (ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები) გარდა ასტრალური (ციური) სიმბოლიკებისა (წრეები - მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ზიგზაგები, სპირალები, ტალღისებური ხაზები - მდინარეები, წყალი), გრაფიკულ კომპოზიციაში ზოომორფულ ტოტემურ ღვთაებათა სპექტრში გვხვდება ძაღლის (მგლის) გამოსახულებაც. ძაღლის კულტი ფართოდაა გავრცელებული არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის ხალხებში (იხ. **გ.ბარდაველიძე**, ქართველი ტომების ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი - ღვთაებათა ფუნქციები, ხელვეეითი სულები, დასკვნა. - მსე, XI, თბილისი, 1968, გვ. 146; მისივე, Древнеишие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, с. 37-44, 47, 94; Миллер А.А. Изображения собаки в древностях Кавказа - ИГАИМК, 2, Птр. 1892; Змея и собака на вешевых памятниках археологического Кавказа.- ЗВОРАО, XXVI), ამ მხრივ საკმარისია გაეიხსენოთ მითოლოგიური ყურშა, რომელიც ცხოველთა მფარველ ღვთაებათაა გააზრებული (**ჯ.ბარნოვიძე**, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964) და იმავდროულად სამეურნეო საქმიანობის (ნადირობის) წარმატების საწინდრად ითვლებოდა.

[89] დაწერ. იხ.: **ჯ.ბარშალიძე**, ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგები აჭარაში. - სდსყკ, XIII, თბილისი, 1998, გვ. 40.

§7. აჭარის მთიანეთის წინაქრისტიანული ძეგლები

აჭარისწყლის ხეობა, მისი ცალკეული მონაკვეთები საყოველთაოდ ცნობილი ბრინჯაოს კულტურის დაწინაურებულ კერას წარმოადგენდა. აქაურ მკვიდრთ გარკვეული წვლილი შეეონდათ ამ კულტურის შექმნაში; არსებითია ისიც, რომ აჭარის გადასასვლელებით, კერძოდ, კინტრიშის, ჩაქვისწყლის, აჭარისწყლის, ღორჯომისა და სხალთისწყლის სათავეებზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით მყარდებოდა უშუალო კონტაქტები ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთთან. უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ კოლხური კულტურის ნაკადი ადრეული საფეხურებიდანვე საკმაოდ ღრმად იჭრება სამხრეთ საქართველოში.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ხულოს რაიონის სოფ.დიდაჭარის განძი, რომელშიც შედიოდა ადრეული ეტაპის პირველი სახეობის ოცი კოლხური ცული; ა.ინანიშვილი დიდაჭარის ცულებს უკავშირებდა უდეს, პირველი მაისის (საღორეთი), ეკალაურის, ერგეს და ზემო ჯოჭოს ცნობილ განძებში შემავალ ზოგიერთ ნიმუშს და ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებით ათარიღებდა.[1]

კოლხური კულტურის საინტერესო მასალებმა იჩინა თავი ამ ბოლო წლებისათვის მდ.აჭარისწყლის მარცხენა შენაკად აკავრეთას ხეობაში. სოფ.სიხალიძეებში 1991 წელს გზის გაფართოებისას გამოჩნდა სხვადასხვა სახეობის არქეოლოგიური ნივთები. ესენია: პირველი ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცული, ყუაკვერიანი ცულები, ბრინჯაოს ფურცვლოვანი სარტყლისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები.[2] მონაპოვარში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ყუაკვერიანი ცულები (წარმოდგენილია 7 ცული). ამ რაოდენობის ყუაკვერიანი ცულები პირველად აღმოჩნდა (სურ. 14/1).

ამ სახეობის ცულების გავრცელების არეალის მიხედვით ჩანს, რომ ისინი გენეტიკურად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან უნდა იყვნენ დაკავშირებული და ძირითადად აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. სხვა მასალებთან ერთად თითო ცალი ყუაკვერიანი ცული მოპოვებულია ჩაქვის ჩაისუბანში,[3] ხელვაჩაურის რ-ნის სოფ.მარადიდსა (ჭოროხის ხეობა) და მაჭახლის ხეობის საყანე ადგილებში ჩალეწილში (სურ. 18/1, 2), ქედის რ-ნის სოფ. საღორეთში (პირველი მაისი),[4] შუახევის რ-ნის ჭვანისწყლის ხეობაში (ქვის თაღიან ხიდთან ახლოს),[5] ხულოს რ-ნის სოფ. ხიხაძირ-კალოთას მონაკვეთში,[6] ადიგენის რ-ნის სოფ.უდეში[7]. ორი ცული

---

[1] **ინანიშვილი**, დიდაჭარის განძი და კოლხური კულტურის ისტორიის საკითხები. - სდსძ, V, თბილისი, 1975.

[2] **აკაბაძე**, კოლხური კულტურის სათავეებთან. - „ჭოროხი", 6, 1992; **აკაბაძე, შ.მაშულაძე**, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993, გვ. 18-27.

[3] **დეკანოიძე**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 21, ტაბ. XII/10; **ბარამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974. გვ. 13-14.

[4] **ბარამიშვილი**, დასახ.ნაშრ., გვ. 21, ტაბ. XV/7.

[5] **ბარამიშვილი**, დასახ.ნაშრ., გვ. 24, ტაბ. XV/1,5.

[6] **აკაბაძე, შ.მაშულაძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 27-36.

[7] **აკვიტაშვილი, ტაბუნიაშვილი**, უდეს განძი, - „საბჭოთა ხელოვნება", 4, 1959; **დეკანოიძე**, დასახ.ნაშრ., გვ. 19-20, სურ. 11.

ექსპონირებულია ბორჯომის, ერთი — ახალციხის მუზეუმებში. ორი ცული დაცულია ყარსის მუზეუმის ექსპოზიციაში.

ყარსის, ჩალეწილის, სიხალიძეების, საღორეთის, ჭვანის ხეობისა და ჩაისუბნის ყუაკ-ჯერიანი ცულები თარიღდებიან გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით, ხოლო უდესა და ხიხაძირისს ცულები კი ამ ეპოქის განვითარებული საფეხურით - ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით. სიხალიძეების ყუაკჯერიანი ცულები სიმრავლესა და ადრეულობასთან ერთად იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი მოპოვებულია ფერადი ლითონებით, განსაკუთრებით სპილენძით მდიდარ ხეობაში, საყოველთაოდ ცნობილ მერისის მიდამოებში. საგსებით კანონზომიერი ჩანს ამ სახეობის იარაღთა დაკავშირება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, აჭარისწყ ლის ხეობასთან.[8]

არანაკლებ საყურადღებო ჩანს სიხალიძეებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სადა, ფურცვლოვანი სარტყლის ნატეხები.

ბრინჯაოს თხელი ფირფიტებისაგან დამზადებული სარტყლები ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ კულტურაში. მათი დიდი ნაწილი ცულების, სატევრების, შუბისპირების, კვერთხისთავების, აბზინდების, მშვილდსაკინძების, პინცეტების, რგოლებისა და საკისრე რკალების მსგავსად დაფარულია გრაფიკული დეკორით. ჩვენი მონაპოვარი იმით იქცევს ყურადღებას, რომ იგი ადრეულია და სადა. ადრე აჭარის ტერიტორიიდან ცნობილი იყო ხუცუბნის შედარებით გვიანდელი სარტყლის ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია ამოღარული გრეხილი ზოლების რამდენიმე მწკრივით. როგორც ქვემოთაც ვნახავთ, სიხალიძეების შემდეგ ორნამენტირებული აბზინდები ზუნდაგაშიც გამოჩნდა.

სიხალიძეებში აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ნატეხებიც. მათი ერთი ნაწილი დაფარულია წვრილი კანელურებით, მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული წრეებით; კანელურებს ზოგჯერ ერწყმის ღარებისა და ჭდეებისაგან შექმნილი ჰორიზონტალური ზოლები. სიხალიძეების ბრინ-ჯაოს ნაკეთობა და კერამიკული ნაწარმი ძვ.წ. XII-XI სს უნდა იყოს.

სიხალიძეებთან ახლოს, სოფ.მერისში (მდ.აკავრეთას მარჯვენა სანაპირო) შემთხვევით ბრინჯაოს ე.წ. სასაფეთქლე ხვიაც აღმოჩნდა. იგი ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ნაკეთობა ჩანს.[9]

განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს 1994 წელს ქედის რ-ნის სოფ.ზუნდაგაში აღმოჩენილი განძი. უნახავთ თიხის ქოთანში ჩაწყობილი 7 კგ-მდე ბრინჯაოს ნაკეთობანი და ზოდები (სურ. 15). ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ და მხოლოდ 8 ნივთმა. ესენია: ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული, ბრტყელი ცული, სამაჯური, ორი მასიური რგოლი, ორი ცალი სარტყელის აბზინდა და ერთიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი ნივთი. არის ბრინჯაოს ორიოდე უფორმო ნატეხიც. კიდევ ყოფილა წალდები, ეჩოსებური იარაღი (შესაძლოა სეგმენტები) და ორი ცალი ორ-ორი კილოგრამიანი ზოდი. ეს უკანასკნელნი, სამწუხაროდ, გაიბნა.

ზუნდაგის განძი მორიგ მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიცხვს განეკუთვნება. პირველ რიგში აღსანიშნავია ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული. მისდამი ინტერესი განსაკუთრებულია, რადგანაც მსგავსი ნივთი ადრე აჭარის ტერიტორიიდან უცნობი იყო.

ზუნდაგის მსგავსი იარაღი დამახასიათებელი ჩანს ვრცელი რეგიონისათვის (აღმოსავლეთი საქართველო, სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანი, ჩრდილო სომხეთი და ა.შ.). მისი გავრცელების

---

[8] ჭელიძე. ყუაკჯერიანი ცულების გენეზისისათვის. - საისტორიო მაცნე, 3, ბათუმი, 1996.

[9] ალიხანოვ. ახალი არქეოლოგიური ექსპონატი აკავრეთას ხეობიდან. - გაზ. „აჭარა", 29 მაისი, 1993.

საზღვრებია: ჩრდილოეთით-კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობები, აღმოსავლეთით - ნუხა-მინგეჩაურის ზოლი, სამხრეთით - მდ. არაქსის შუა წელი, დასავლეთით ძირითადად სურამის ქედი.[10] ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები თავს იჩენს ზემოთ დასახელებული არეალის ფარგლებს გარეთაც. ყველაზე შორეული და უძველესი პარალელია ბოღაზ-ქოიში, ხეთების დედაქალაქ ხატუსაში აღმოჩენილი ტეშუბის ქანდაკება, რომელსაც ხელში მსგავსი იარაღი უჭირავს (ეს რელიეფი ახლა დაცულია ანკარაში ანატოლიური ცივილიზაციის მუზეუმში, ხოლო თვით ძეგლზე ამ ქანდაკების ასლია დადგმული).[11]

ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების პროტოტიპებად აღიარებულია ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულები.[12] ისინი უბირატესად თრიალეთური კულტურის გავრცელების არეალში ჩნდება. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა საფეხურის ძეგლებზეა წარმოდგენილი. იარაღი საკმაოდ კონსერვატულია. საერთო სახეს ინარჩუნებენ მთელს ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ საქართველოში მათმა რაოდენობამ ასეულს კარგა ხანია გადააჭარბა. ასევე ითქმის სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ.

როგორც ითქვა, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები იშვიათად სხვა მხარეებშიაც იჩენს თავს. ესენია: მეხჩის ციხე,[13] ზემოსიმონეთი (უნაგირას მიდამოები),[14] ზესტაფონის რაიონის სოფ.ბეჟათუბანი,[15] საჩხერიდან 20-22 კმ-ის მოშორებით მდებარე მთაგორიანი სოფელი ბერევი,[16] ასევე აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა სვანეთიდან ჩამოიტანა ორი ცული (აღმოჩენის ადგილი უცნობია), რომლებიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.[17]

როგორც ფორმის, ასევე გარკვეულად თარიღის მიხედვითაც ზუნდაგის ცულთან ახლოს დგას სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის (ძვ.წ. XIV-XII სს) 240-ე ორმოსამარხში აღმოჩენილი ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული.[18] სამთავროს სამაროვნის ამ ტიპის სხვა ცულები (ბაიერნისეული 591 და 195-ე სამარხის კომპლექსები) უფრო მოგვიანო პერიოდით, გვიანბრინჯაოს მეორე ეტაპითაა (ძვ.წ. XI-VII სს) დათარიღებული. სამარხეულ ინვენტარში უკვე რკინის ნაკეთობანიც იყო წარმოდგენილი.[19]

ზუნდაგის მსგავსი ცულები შედიოდა, აგრეთვე, ცხინვალის ძვ.წ. XI-X სს განძში.[20] უძველესი პარალელები ეძებნებათ, აგრეთვე, ახალქალაქის განძში (გორის რ-ნი). II ცენტრალურ-

---

[10] კ.ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბილისი, 1973; **Асланов Г., Ваидов Р., Ионе Г.** Древний Мингечаур, Баку, 1959, с. 16; **Хачатрян Т.С.** Материальная культура Артика, Ереван, 1963; **Мартиросян А.А.** Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, с. 15-123; **Есеян С.А.** Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, с. 36.

[11] **L.Delaporte.** Les Hittites, Paris, 1936, გვ. 240, სურ. 11.

12 **Куфтин Б.А.** Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, рис. 20; **Мартиросян А.А.** Армения... с.60, 61, рис. 29.

[13] **დ.ქორიძე.** დასახ.ნაშრ., გვ. 37, სურ. 30/7.

[14] **დ.ქორიძე.** დასახ.ნაშრ., გვ. 24, სურ. 18.

15 **Куфтин Б.А.** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. - სსმმ. XII-B, გვ. 340, ტაბ. XI; **დ.ქორიძე.** დასახ.ნაშრ., გვ. 31, ტაბ. 22/7.

[16] **დ.ქორიძე.** მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერეს რ-ნი), თბილისი, 1957, გვ. 66-67; მისივე, კოლხეთის... გვ. 24, სურ. 26.

[17] **შ.ჩარდოლანი,** სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1977, გვ. 51-52. ტაბ. XXVI; მისივე, К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи, Тбилиси, 1989, с. 84-86, рис. 10.

[18] **ტ.ჩუბინაშვილი,** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957, გვ.100-101, სურ. 13.

[19] **ტ.ჩუბინაშვილი,** დასახ. ნაშრ., გვ.100-101.

[20] **Куфтин Б.А.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, ст. 31, таб. XIV-XVI; **თ.ჯაფარიძე.** ცხინვალის განძი. - სსმმ. XVI- B, გვ. 99-107; სურ. 1-6; **დ.ქორიძე.** კოლხური კულტურის... გვ. 29, ტაბ. XIV/1,2,4.

ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულიდან 9 ზუნდაგის ცულის მსგავსია. ეს განძიც ძვ.წ. XI-X საუკუნეებითაა დათარიღებული.[21]

ზუნდაგის ცული განეკუთვნება ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების ადრეულ სახეობას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ლამაზად აწვდილი მაღალი და წვეტიანი ფრთები, კოხტა პირი. ბოლო ეტაპის ცულებზე შეინიშნება თანდათანობითი დეგრადაცია. ზოგ შემთხვევაში ფრთები ბლაგვი და „მოტეხილი" ბოლოთი მთავრდება; სხვა შემთხვევაში ფრთები საერთოდ არ გააჩნია. ყუაზე შერჩენილი შვერილი ტლანქდება. პირიც აღარ გამოირჩევა სიმეტრიულობით. ძვ.წ. VII ს-ში ამათ რკინის ნაკეთობანი ცვლის.[22]

არანაკლებ საინტერესო ჩანს ზუნდაგის განძში შემავალი ბრინჯაოს ბრტყელი ცული. ესეც მთლიანადაა დაცული. აქვს მაღალი, გორდა სიმეტრიული მოყვანილობის პირი, გასქელებული, ექვსად დაწახნაგებული წელი, მხრების მაგვარი მეტნაკლებად დაქანებული გვერდითი შვერილები, მართკუთხა ბოლოსკენ გათხელებული ყუნწი. გამოირჩევა მოხდენილი ფორმითა და პროპორციულობით. ჩამოსხმულია ორმაგ ყალიბში.

ბრტყელი ცულები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარდა (აჭარა, გურია) აღმოჩენილია ქვემოიმერეთსა და სამეგრელოში.[23] მსგავსი ცულები მოპოვებულია ბობოყვათში,[24] ციხისძირში,[25] ვაკიჯვარში, შრომაში, მახარიაში, ზუგდიდის მიდამოებში,[26] მარტვილის რ-ის სოფ. გურძეში,[27] ბაღდადის რ-ის სოფ. ბაგინეთში,[28] ოფშკვითში[29] და ა.შ. ფიჭვნარში, ნამჭედურის გორასამოსახლოზე, მსგავსი ცულების ყალიბის ქვედა ნაწილიც აღმოჩნდა.

ბრტყელი ცულების გენეზისთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მარტივი ფორმის მსგავსი იარაღები ადრებრინჯაოდან, ძვ.წ. III ათასწლეულიდან ჩნდება. ფართო გავრცელებას ბოვებს შუაბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარი). მათი წარმოების ცენტრს მცირე აზიას, სირიასა და პალესტინას უკავშირებენ. აქედან ფართო გავრცელება ბოვა აღმოსავლეთით კურანის ველამდე (პაკისტანის საზღვარი), ხოლო დასავლეთით ირლანდიამდე. არსებობს ბრტყელი ცულების მრავალი სახესხვაობა, რომელთაც გავრცელების საკუთარი სფერო და განვითარების გზები გააჩნიათ. ერთ-ერთ ასეთ სახესხვაობათა რიცხვს განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დადასტურებული ბრტყელი ცულები, რომლებიც გენეტიკურად მცირე აზიის, ანატოლიური ცივილიზაციის უძველეს კერებთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ზუნდაგის მსგავსი პირველი სახეობის ბრტყელი ცულები ძვ.წ. XII-X საუკუნეებით დათარიღებულ განძებშია აღმოჩენილი.

ბრტყელი ცულების დანიშნულებასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის არაა აზრთა ერთიანობა. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი სახელოსნო-სადურგლო, ხით ხუროობასთან დაკავშირებული იარაღი უნდა ყოფილიყო. ერთი ნაწილი ამათ სხვა ფუნქციასაც მიაწერს (მიწის დამუშავება, სამთამადნო სამუშაოები, ტყავის დამუშავება, საბრძოლო იარაღი და სხვა).

---

[21] დ.ქორთუა. დასახ.ნაშრ., გვ. 30, ტაბ. XV/1,3-6,7,9,10,12.

[22] დ.ქორთუა. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები I, თბილისი, 1955, მისივე, კოლხეთის... გვ. 68.

[23] დ.ქორთუა. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის. - სსმმ, XIII-B, 1969.

[24] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 6, ტაბ. III; ა.რამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ.26, ტაბ. XVIII/29.

[25] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 6, ტაბ. III0; ა.რამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ.15,16.

[26] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 0, ტაბ. I/7; ა.რამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ.26, ტაბ. XVIII/29.

[27] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 6, ტაბ. I/8; ა.რამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ.26, ტაბ. XXV/7 და სხვა.

[28] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 6, ტაბ. I/3.

[29] დ.ქორთუა. დასახ. ნაშრ., გვ. 6, ტაბ. I/4.

ზუნდაგის განძის შემდეგი ნივთი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მასიური სამაჯურის სახითაა წარმოდგენილი. მსგავსი სამაჯურები არაერთგზისაა აღმოჩენილი თლიის სამაროვანზე.[30]

ზუნდაგის განძში წარმოდგენილია, აგრეთვე, ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყლის ორი ცალი კაუჭიანი აბზინდა. ჩაღრმავებულ ფუძეზე სარტყელზე მორგების მიზნით 10 მრგვალი სამანჭვალე ნახვრეტია გაკეთებული. აბზინდის ზედაპირი მთლიანადაა დაფარული გრაფიკული დეკორით, რომელიც ორმაგი ხაზებისაგან შედგენილ ოთხკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. თავის მხრივ ხაზებს შორისი არე შევსებულია მჭიდროდ განლაგებული დახრილი ხაზებით. ჩარჩოში მოცემულია ღრმად ნაკვეთი სვასტიკის ოთხი [31] გამოსახულება. თითოეული სვასტიკა შემოფარგლულია ურთიერთთან დაკავშირებული სხვადასხვა ზომისა და სიხშირის სპირალური ხვიებით. აბზინდა მაღალმხატვრულ ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება. სვასტიკიანი (მუდმივი მოძრაობის, მზის სიმბოლოს გამომსახველი) აბზინდა პირველად აღმოჩნდა საქართველო-დასავლეთ საქართველოში.

მეორე აბზინდაზეც გაკეთებულია 9 სამანჭვალე ნახვრეტი. აქაც კაუჭი შუა წელზეა მიმაგრებული. აბზინდაზე მოცემულია ორმაგი ხაზებით შემოფარგლული ზენური ხვიების ჰორიზონტალური გრავირებული ზოლი. ასეთივე ორნამენტია გადმოცემული თლიის სამაროვნის (შიდა ქართლი) 23-ე და 50-ე სამარხებში აღმოჩენილ აბზინდებზეც. ეს კომპლექსები განხილულია ძვ.წ. XII-X სს მასალებს შორის.[32] უფრო სწორი იქნება მათი დათარიღება ძვ.წ. X-IX საუკუნეებით.

როგორც ვხედავთ, სიხალიძეებისა და ხუცუბნის მონაპოვრებს ზუნდაგისა და წონიარისის აბზინდებიც მიეკუთვნება. ამ აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური კულტურის კომპონენტებში ამ სახის მოსართავსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, არაა გამორიცხული, რომ კავკასიაში ასე ფართოდ გავრცელებულ ამ სახის ნაკეთობებსაც სათავე ჭოროხის აუზშივე უნდა ეძებნებოდეს.

ზუნდაგის განძში შედიოდა, აგრეთვე, ბრინჯაოს ორი ცალი მასიური რგოლი. ერთ-ერთი მათგანი შედარებით პატარა ზომისაა, მეორე - მოზრდილი. ისინი ბოლოებგახსნილი და ოვალური შემოწერილობისანი არიან.

ბრინჯაოს რგოლებიც ფართოდაა გავრცელებული კოლხურ-ყობანურ და ცენტრალურ-ამიერკავკასიურ კულტურაში. მათი დანიშნულება ზუსტად ჯერ კიდევ არაა გარკვეული. მეორენაირად ამათ საწვივე რგოლებსაც უწოდებენ. გვხვდება როგორც განძებში, ასევე სამარხეულ კომპლექსებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მსგავსი ნივთები იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. აღვნიშნავთ, რომ 1896 წელს ჩაქვში აღმოჩენილი განძის 5 ცული, 6 მასიური რგოლი, აგრეთვე, ცულების 3 და რგოლების 14 ნატეხი მოსკოვის ისტორიული მუზეუმისათვის ჩაუბარებიათ.

ზუნდაგის განძიდან გადარჩა კიდევ ერთი ნაკლული ნივთი. მისი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. შესაძლოა, იგი სატეხის მასრისებური ტარი იყოს. მისი ოდნავ გაფართოებული ბოლო 2,5 სმ-ის სიფართეზე სდაა. შემდგომ იგი თანდათანობით ფართოვდება და მთლიანადაა

---

[30] იხ. Техов Б.В. Тлийский могильник, I, II, III, Тбилиси, 1980, 1981, 1985, табл. 34/7; 63/7,8; 90/10,11; 109/2,3; 195/1,2; 217/1,2 и др.

[31] სვასტიკა - სწორკუთხად მოხრილი ბოლოების ქქონე ჯვარი - ორნამენტაციის მოტივი, რომელიც გვხვდება ძველი ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიისა და ზოგი სხვა ქვეყნის ხელოვნებაში.

[32] Техов Б.В. Тлийский могильник, Тбилиси, 1980, с. 17, 20, табл. 39/1; 45/2.

დაფარული მჭიდროდ განლაგებული ტალღოვანი ორნამენტით.

ასეთია ზუნდაგის განძში შემავალი ნივთების საერთო დახასიათება. ჩვენი ქვეყნის ეროვნული საგანძური კიდევ ერთი საინტერესო მონაპოვრით შეივსო. ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, დღევანდელი აჭარა, კოლხური კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა აჭარისწყლის ხეობის სათავეებით დაკავშირებული ყოფილა ცენტრალურ-ამიერკავკასიურ, იბერიულ კულტურასთან.

გვიანბრინჯაოს ხანის საინტერესო მასალები გამოჩნდა 1992-1993 წლებში ქედის რ-ნის სოფ.ვაიოში. ესენია: კანელურებით შემკული თიხის დოქი, კლასიკური ბრინჯაოსაგან დამზადებული ოთხი ცალი სასაფეთქლე ხვია, რგოლი და მოზრდილი რგოლსაკიდი (სურ. 23/1, 2). ძეგლის ხასიათის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს. გზის ჭრილში შენიშნული კულტურული ფენა და ბათქაშის ნატეხები დასახლების მანიშნებელი უნდა იყოს. თიხის დოქი და ბრინჯაოს სამკაულები სამარხეულ ინვენტარად უნდა ყოფილიყო გამიზნული. ჩნდება ეჭვი, რომ სოფ.ვაიოს ამ უბანზე დასაკრძალავი რიტუალისათვის განკუთვნილ ნივთებს ამზადებდნენ. ახლო-მახლო, მერისის მსგავსად, აქაც არსებობს სპილენძის გამოსავლები. ასე რომ, სოფ.ვაიო საქართველოს არქეოლოგიის საყურადღებო ძეგლთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ვაიოში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდებიან.[33]

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განვითარებული საფეხურის, ე.წ. მეორე ეტაპის (ძვ.წ. XI-VII სს) განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენები მდ.აჭარისწყლის მარცხენა შენაკადს, სხალთისწყლის ხეობას უკავშირდება. პირველ რიგში აღსანიშნავია ხიხაძირის განძი. მასში შედიოდა გრავირებული ცულები, ყუაკვერიანი ცული, წალდი, სეგმენტური იარაღი და ზოდები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრავირებული დეკორით შემკული ცულები, რომლებიც მხატვრული ხელოსნობის ბრწყინვალე, თავისებურ ნიმუშებს წარმოადგენენ[34] (სურ. 16).

ხიხაძირის განძში შედიოდა, აგრეთვე, მთლიანად დაცული მოზრდილი ყუაკვერიანი ცული; ასევე დიდი ზომის სადა ცულისა და, როგორც ჩანს, ამულეტად გამოყენებული მინიატურული ცულის ნატეხები, ბრინჯაოსვე ფრაგმენტირებული წალდი (აკლია ღინკი-ნიღრი).

აჭარისწყლის ხეობაში პირველად აღმოჩნდა ორი მთლიანად დაცული სეგმენტისებური იარაღი, ასევე ითქმის ბრინჯაოს ზოდების შესახებაც. ხიხაძირის გრავირებულ ცულს არაერთი პარალელი ეძებნება როგორც კოლხურ, ასევე ყობანურ კულტურაში.

ძვ.წ. VII-VI სს საინტერესო მასალები იქნა შეგროვებული შემთხვევითი აღმოჩენების გზით ხულოს რ-ნის სოფ.ფუშრუკაულის სამაროვნის ტერიტორიაზე (ადგილი „ხიზანღელე"). ესენია: ბრინჯაოსა და რკინის ცულები, რკინის შუბისპირები, ქვის სალესი, ყურმილიანი დოქები, თასები, კოჭობი და ა.შ.[35] ისინი ეხმაურებიან ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ზღვისპირეთის სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებს. ფუშრუკაულის მონაპოვართა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გრავირებული კოლხური ცული. იგი განეკუთვნება გრავირებული ცულების მეორე ჯგუფს, სადაც ნაკვთები გეომეტრიზებულია, გამოსახულება შესრულებულია სქემატურ-სტი-

---

[33] ა.კ[illegible]ძე. ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ.ვაიოდან. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1995, გვ. 122-127.

[34] ა.კ[illegible]ძე, შ.ბ[illegible]ძე. აჭარისწყლის ხეობის... იქვე ლიტერატურა.

[35] შ.ბ[illegible]ძე. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სოფ.ფუშრუკაულში შემთხვევით აღმოჩენილი მასალები. - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978, გვ. 162-172.

ლიზებული მანერით.[36]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება რკინის ცული, რომელიც ემსგავსება ბორჯომის ხეობაში რველის სამაროვანსა[37] და რაჭაში, კერძოდ, ბრილში აღმოჩენილ ნიმუშებს.[38]

ქედის რაიონში, სოფ. წონიარისში მიხეილ კვირიკაძემ სახლთან ახლოს მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინა საინტერესო არქეოლოგიური ნივთები.[39] ბრინჯაოს მშვილდსაკინძები შემკულია ე.წ. წიწვოვანი ორნამენტით (სურ. 23.3). ფართოა ამათი გავრცელების არეალი. ადრეულები (ძვ.წ. XII-X სს) გვხვდება ეგეოსურ, ე.წ. „სუბმიკენურ“ კულტურაში. თვლიან, რომ ამათ შავი ზღვის გზით ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან შემოაღწიეს კოლხურ კულტურაში. განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ პერიოდისაა წონიარისში მოპოვებული ნიმუშები, რომელთაც ძალზე ბევრი პარალელი ეძებნებათ. ყურადღებას იქცევენ წონიარისის ბრინჯაოს საკიდები, რომელთა გახსნილი ბოლოები ჯერძის თავის სტილიზებული გამოსახულებებითაა შემკული (სურ. 23.4). სხვა სახის მონაპოვართაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინის წალდი. საკაცობრიო ცივილიზაციაში ამ მეტად თავისებური იარაღის შექმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთანაა დაკავშირებული. წონიარისიდან მომდინარეობს, აგრეთვე, ბიკონუსური მოყვანილობის თიხის კვირისტავი, ბრინჯაოს მასიური სამაჯური და ა.შ. ბუნებრივია, ამ აღმოჩენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომაც 2006 წლის გაზაფხულისათვის ბათუმის არქეოლოგიური, ქედის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმებისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის კომპლექსურმა ექსპედიციამ პირველი სადაზვერვო საველე სამუშაოები განახორციელა სოფ. წონიარისში. ექსპედიციის მიერ მოძოვებულ იქნა ბრინჯაოს შესანიშნავი აბზინდა, რომელზეც გრავირებულია საპირსპიროდ მდგომი ფრინველები, კიდევ ერთი ძეწკვიანი ზოომორფული საკიდი, ბატარა ზომის მთლიანად დაცული მშვილდსაკინძი, რკინის სატევრები, დანა; რკინისავე მოზრდილი საჩეხ-საკაფი იარაღი, რომლის მსგავსი ადრე უცნობი იყო არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის. არის ქვის კვირისტავი, საკულტო თუ ზამლის დოზირებისათვის განკუთვნილი ბატარა ზომის თიხის ჭურჭელი და ა.შ. კლდის თაღზე გამოვლენილ იქნა ქვის წყობის ნაშთები. ახალი აღმოჩენებით დასტურდება, რომ წონიარისის ეს მონაკვეთი ჯერ კიდევ VIII-VII საუკუნეებიდან წარმოადგენდა საფორტიფიკაციო-სათავალთვალო ბუნქტს, რომელიც კონტროლს ამყარებდა, ერთის მხრივ, მდ.აჭარისწყლის ხეობის მნიშვნელოვანი მავისტრალის მოზრდილ მონაკვეთზე, ხოლო, მეორეს მხრივ, თვით წონიარისისწყლის მიკროხეობაზე, რომელზედაც გადიოდა ჩქვისწლისა და კინტრიშის ხეობის უმოკლესი გადასასვლელები.

როგორც ზემოთაც ითქვა, აჭარის მთიანეთის წარმართული რწმენა-წარმოდგენების კვლევისათვის უაღრესად საინტერესო ნივთიერი კულტურის ძეგლებია გამოვლენილი ხულოს რ-ნის სოფ.კალოთაში. 1988 და 1990 წლებში სოფ.კალოთაში განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთებისა და სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების პარალელურად გარკვეული საველე სამუშაოები განხორციელდა ეკლესიასთან ახლო მდებარე განკერძოებულ ბუნებრივ

---

[36] ა.კახიძე. ახალი არქეოლოგიური ექსპონატი. - გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1975 წლის 22 ოქტომბერი; ა.ფალავანდიშვილი. გრავირებული ცული სოფელ ფუშრუკაულიდან. - სდსძ, VIII, 1979, გვ. 32-37.

[37] ო.ლაშაშვილი. რველის სამაროვანი. - „ძეგლის მეგობარი“, 39, გვ. 62.

[38] გ.ტორეიშვილი. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 291.

[39] ა.კახიძე, შ.ბაბულაძე, გ.ფარტენაძე. ახალი აღმოჩენები სოფელ წონიარისში. - გაზეთი „აჭარა“, 2003, 15 ივლისი.

ბორცვზე, რომელსაც აქაური მცხოვრებნი „სერს“ უწოდებენ. უძველეს ეპოქებში აქ ღია ცის ქვეშ აღუმართავთ ტაროსის მარეგულირებელი ღვთაების საპატივცემულოდ საკურთხეველ-სამსხვერპლო. მეგალითური[40] კულტურის ამ უნიკალური ძეგლისადმი ინტერესი განსაკუთრებულია.

საკურთხეველ-სამსხვერპლო აღმოჩნდა კალოთას სერის სამხრეთ ფერდობზე, სადაც წინასწარ საგანგებოდ მოუსწორებიათ, მოუშზადებიათ სამშენებლო მოედანი. მისი მისასვლელი, ე.ი. სამხრეთი ნაწილი ღია ყოფილა, აღმოსავლეთ და დასავლეთი კედლები გარკვეულ დონემდე ამოყვანილია დამუშავებული ქვებით (ახლა მხოლოდ საძირკველის ქვებია შემორჩენილი). შედარებით უკეთაა შემონახული ჩრდილო კედელი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუშენებიათ მოზრდილი დამუშავებული ქვა, მის გვერდით (დასავლეთის მიმართულებით) აღუმართავთ ქვის ფალოსი, რომლის სიმაღლე 125 სმ-ია, იქვე ახლოს საკურთხეველ-სამსხვერპლოს იატაკზე აღმოჩნდა ფალოსის თავიც (სიმაღლე - 40 სმ, დიამეტრი - 40-20 სმ). ფალოსის გვერდით შესანიშნავად დამუშავებულ ქვის კვადრზე მდგარა კერი, ე.წ. ქვაკაცი. თვით ქვაკაცი დროთა განმავლობაში გადმოპირქვავებული, იქვე ახლოს, ჩრდილო კედელთან აღმოჩნდა. მისი სიმაღლე 125 სმ-ია, სიფართე ძირთან ახლოს - 40 სმ, წვერთან - 20 სმ. მის გაგრძელებაზე ჩრდილო კედლის კონსტრუქციაში ჩაშენებული ყოფილა მეორე უფრო დიდი ქვაკაცი (მისი სიმაღლე 165 სმ-ია, სიფართე წელთან ახლოს - 65 სმ, წვერთან - 40 სმ). ეს ქვაკაციც წაქცეული იდო საკურთხეველ-სამსხვერპლოს იატაკზე. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ფილაც, როგორც ჩანს, ტრაპეზი (სიგრძე - 60 სმ, სიგანე - 50 სმ, სისქე - 20 სმ), რომელიც ერთი ბოლოთი შემოდგმული ყოფილა ჩრდილოეთ კედელზე, ხოლო მეორე ბოლოს ამაგრებდა ოთკუთხა განივკვეთიანი ქვის სვეტი. ჩრდილოეთ კედლის დანარჩენ ნაწილს დასავლეთ კედლის დასაწყისამდე ავსებდა დიდი ზომის მახვილპირიანი ქვის ფილა (სიგრძე - 115 სმ), მის წინ იატაკის დონეზე იდო ბრტყელი ქვა (სიგრძე - 116 სმ, სიფართე - 75 სმ). არ არის გამორიცხული, რომ ამ ადგილას ხდებოდა მსხვერპლად მოყვანილი ცხოველის დაკვლა.

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების მიხედვით სოფ.კალოთის საკურთხეველ-სამსხვერპლო უკავშირდება ძველ ქართულ კალენდარულ წეს-ჩვეულებას „ლაზარობას“. ბუნებრივია, არ გამოვრიცხავთ აქ სხვა სახის რელიგიური რიტუალების შესრულებასაც, მაგრამ უმთავრესი მაინც ამინდის მაგიური მართვის რიტუალი უნდა ყოფილიყ ო. მაღალმთიანი აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, კერძოდ, ზაფხულში ნალექების სიმცირე განაპირობებდა წყლის სიუხვეზე ოცნება- ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის სათანადო ცერემონიალის შესრულებას. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს კალოთაში აღმოჩენილი ატრიბუტების დანიშნულების გარკვევა. პირველ რიგში აღსანიშნავია ქვის ფალოსები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მამაკაცის ასოს, განაყოფიერების სიმბოლოს, ფალოსის მსგავსი გამოსახულება ამინდის, ტაროსის, ცა-ღრუბლების გამგებელი ღვთაების ლაზარეს კულტთან არის დაკავშირებული. როგორც ზემოთაც ვნახეთ, კალოთის ქვის ფალოსი ორი ნაწილისაგან შედგება. ეს არ არის შემთხვევითი. ლაზარეს კულტის მიმდევართა წარმოდგენით ძლიერი და ხანგრძლივი გვალვების დროს ფალოსის სვეტზე თავს თუ დაადგამდნენ, სანატრელი წვიმა წამოვიდოდა, ხოლო გადაუღებელი წვიმების დროს ფალოსზე

[40] „მეგა“ ბერძნული სიტყვაა და დიდს ნიშნავს, ლითოს კი ქვას, ე.ი. კირხსნარის გარეშე დიდი ქვებით მშენებლობა.

თავის მოხსენით სასურველი ამინდი დადგებოდა.[41] საინტერესო ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „პატივანს (ადგილია სამხრეთ საქართველოში) ქვეთ ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი, იქნების უწვიმობა".[42] ასეთივე ცნობებს ვხვდებით სხვა მკვლევართა ნაშრომებშიაც (მაგალითად, მანგლისის ერთ-ერთი ქვაჯვარა, ციკლობური ციხეები, დოლმენები, მენჰირები, კრომლეხები, ვეშაპები, ვეშაპოიდები, ქვაკაცები, ქვაჯვარები და ა.შ. მსოფლიოში გავრცელებული მეგალითური კულტურის ძეგლების სხვადასხვა სახეობანია).[43] ფალოსის და „ნაყოფიერების" სხვა სიმბოლოთა გამოსახულებებს ვხვდებით სამხრეთ საქართველოში აღმოჩენილ მეგალითური კულტურის სხვა ძეგლებზეც.

სოფ.კალოთის ქვის ფალოსებს გარკვეული პარალელი არქეოლოგიურ მასალებშიც ეძებნებათ. პირველ რიგში აღსანიშნავია მეგალითური კულტურის ძეგლებით მდიდარი სომხეთი: ურარტული ხანის ოშაკანის გათხრებისას მოპოვებულია ქვის მონოლითისაგან დამზადებული ფალოსები.[44]

ისინი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდებიან. მათთან შედარებით კალოთის ნიმუშები უფრო არქაულად გამოიყურებიან.

ფალოსის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს ხალხებში. აღიარებულია, რომ იგი „უნივერსალური რელიგიური ინსტიტუტია, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრირებული იყო ღვთაებების გარშემო".[45] ეს კულტი ფართოდ ჩანს ფეხმოკიდებული ზღვისპირა ზოლში. ფიჭვნარის ე.წ. „საკულტო ძეგლზე" მრავლადაა აღმოჩენილი თიხის ფალოსები.

არანაკლებ საინტერესო სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა კალოთის ე.წ. „ქვაკაცების" კვლევა. პირველყოფილი ადამიანისათვის აუხსნელი იყო ბუნების მოვლენები. მისი წარმოდგენით, ყველა არსებასა და საგანს გააჩნდა სული. პირველყოფილი რელიგია ანიმიზმის სახელითაა ცნობილი („ანიმა" ლათინურად სულს ნიშნავს). გაჩნდა ბუნების, საგნების კულტი, სულის მარადიულობის იდეა. თავდაპირველად სული ფიზიკურად იყო გააზრებული: არასულიერ საგნებსაც ჰქონდა სული, ღვთაებრივი ძალა. სწორედ ასეთ სულიერ კერპებადაა გააზრებული კალოთაში აღმოჩენილი „ქვაკაცები". ისინი ამ ტიპის ძეგლების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს. ერთ-ერთ მათგანზე საგანგებოდ ბასრი იარაღით ნაკვეთი გამოსახულებაცაა მოცემული, რომელიც წყლის ნაკადის სიმბოლოდ იქნა მიჩნეული. როგორც ცნობილია, უფრო მოგვიანო პერიოდების კავკასიის მეგალითურ ძეგლებზე წყლის ნაკადის გადმოცემა ერთობ გავრცელებული მოტივია. არ გამორიცხავენ კალოთის ქვაკაცის გამოსახულების ელვის სიმბოლიკასთან დაკავშირებასაც. როგორც წყლის ნაკადი, ასევე ელვის სიმბოლიკა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ლაზარეს კულტს უკავშირდება. შესაბამისად, სწორი ჩანს ინტერპრეტაცია, რომ კალოთის ქვაკაცებში პერსონიფიცირებულია ტაროსის ღვთაება ლაზარე. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა თვით სხალთისა და მარითის ხეობის ფოლკლორულმა და ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა, სხვა რეგიონების არქეოლოგიურმა მასალებმა. ცხადი ხდება, რომ

---

[41] ეთნოგრაფ ნ.ჩიჯავაძის ცნობით, დმანისის რ-ნის სოფ.დიდგომარეთში ფიქსირებული ფალოსიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მისი ფუნქციაც ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით სასურველი ამინდის რეგულირება ყოფილა.

[42] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 60.

[43] გოფურაძე, ქვაჯვარნი საქართველოში, - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი IV, თბილისი, 1942, გვ. 33.

[44] Есаян С.А., Калантарян А.А. Ошакан-Археологические раскопки в Армении, Ереван, 1988, с. 20, 21, таб. XXXV.

[45] ჯრუსაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბილისი, 1968, გვ. 17-18.

ლაზარობა ტრანსფორმირებული სახით დღემდეა შემორჩენილი.

ამ ბოლო ათეულ წლებამდე გვალვებით შეწუხებული ამ ხეობის მკვიდრნი ათასწლეულების მანძილზე, ჯერ ქრისტიანული, ხოლო შემდგომ მუსულმანური რელიგიების გვერდის აყვლით მასობრივად ადიოდნენ სხალთისა და მარითის ხეობის გამყოფ მაღალ მთაზე (სიმაღლე 3000 მ.). წმინდა მთაზე რელიგიური რიტუალების შესრულებაში მონაწილეობდნენ მამაკაცები, ქალები და ბავშვები. თან მიქონდათ სურსათ-სანოვაგე, მიყავდათ საკლავ-შესაწირავები. მაღალი მთის მოზრდილ ტერასაზე დღესაც აღმართულია ქვის კერპები. ისინი ორი სახისაა: მცირე ნაწილი მსგავსია სოფ.კალოთაში აღმოჩენილი ქვაკაცებისა, დიდი ნაწილი (ჩვენმა ექსპედიციამ 160-მდე „ქვაკაცი" დაითვალა) ნაგებია აქვე არსებული ფლეთილი ქვებით, რომელთაც პირამიდის მოყვანილობა აქვთ (სიმაღლე 1,5 მ-ია).[46] სწორედ ამ კერპების ახლო-მახლო იმართებოდა ღვთაება ლაზარესადმი ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ხორცს დიდი ზომის ქვაბებში ხარშავდნენ. ბოლოს სრულდებოდა საფერხულო ცეკვები. ამგვარად გაიბა უწყვეტი ძაფი წარმართულ რელიგიურ კულტმსახურებაში, რომელიც სულ ცოტა 3000 წლის მანძილზე მაინც სრულდებოდა.

მაღალ მთაზე ასვლა ინდივიდუალური წესითაც ხდებოდა. მორწმუნეთ სჯეროდათ, რომ ღმერთი ჭირნახულს გაუდიდებდა, საქონელს და ფრინველს გაუმრავლებდა, მოიხსენიებდნენ მიცვალებულთა სულებს. თვლიან, რომ მაღალ მთაზე ასვლისა და ტაროსის ღვთაებისადმი ვედრების წარმართული რიტუალის შესრულება ზოგჯერ მემთევრეობასთან დაკავშირებულ ხალხურ კალენდარულ დღესასწაულ შუამთობას ემთხვეოდა (ივლისის ბოლო - აგვისტოს პირველი რიცხვები).[47] ზემო აჭარის მთა-საძოვრებზე არსებული „ქვაკაცა" („ქვაკაცები") წარმართობის დროინდელი იმ ღვთაების სიმბოლური გამოსახულებაა, რომლის ფუნქცია ადამიანის კეთილდღეობის, სიმრავლე-სიუხვისა და აგრარული შეურნეობისათვის საჭირო ამინდის მაგიური მართვის რწმენა-რიტუალთან იყო დაკავშირებული. „ქვაკაცებს" ამსგავსებენ მეგალითური კულტურის სხვა ძეგლებს, კერძოდ, ვეშაპ-ვეშაპოიდებს.[48]

„ქვაკაცები" ფიქსირებულია ჭვანას ხეობის საზაფხულო საძოვრებზეც. მცხოვრებთა გადმოცემით, „შეიდის ტბაზე" შეიდი არის დამარხული (ე.ი. წმინდანი). ტბის მიდამოებში მაღალ გორებზე ქვაკაცები დგანან და ამ ადგილსაც მოსახლეობა „ქვაკაცას" ეძახის. მორწმუნე ადამიანები დიდი გვალვების, ან დიდი წვიმების დროს ცხვარს ან ხარს შეისყიდიან და შესაწირავად „შეიდის ტბაზე" მიყავთ. მისი ფესვები წარმართულ ეპოქაში უნდა ვეძიოთ.[49]

ლაზარეს კულტი ფართოდ ჩანს გავრცელებული აღმოსავლეთ ანატოლიაში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.[50]

კალოთის „ქვაკაცების" მსგავსი ძეგლები აღმოჩენილია სომხეთის ტერიტორიაზეც.

---

[46] კალოთასა და მაღალ მთას შორის დაშორება პირდაპირი ხაზით სულ რაღაც 5-6 კმ-ია. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ კალოთის პირველივე „ქვაკაცის" გამოჩენისთანავე სოფლის მცხოვრებლებმა მიგვანიშნეს მსგავსი კერპების არსებობაზე მაღალმთაზე. ჩვენც მაშინვე ავედით ამ უნიკალურ ძეგლზე. ჩვენს წინაშე გადაიშალა უჩვეულო პანორამა: ოდნავ დაფერდებულ ტერასაზე განფენილი ქვაკაცების დიდი გალერეა, შესანიშნავი ავენიუ. აჭარის მთიანეთის ოლიმპო, საიდანაც კარგად მოჩანს მარითის, სხალთისა და აჭარისწყლის ხეობები, კარგ ამინდში ზღვის სანაპირო ზოლიც კი.

[47] **ზ.თანდილავა**, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბილისი, 1980.

[48] **ზ.თანდილავა**, ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში.

[49] **ა.ადაგოლაძე**, ჭვანის ხეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში) - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 167-168.

[50] 1997 წელს თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ არაერთგზის იქნა ფიქსირებული მსგავსი საკურთხეველ-სამსხვერპლოების არსებობა ურარტულ ძეგლებზე. მაგალითად, ჩაუშთეფე. ძველი ტრადიციის მიხედვით „ზიარეთზე" სიარული ახლაცაა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში.

კერძოდ, ზემოთ უკვე აღნიშნულ ოშაკანის არქეოლოგიური გათხრებისას, ე.წ. დიდი კონდის ბორცვზე.[51]

როგორც ვხედავთ, კალოთის მონაპოვრები ეხმაურება ურარტულ სამყაროს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (ფიჭვნარის მრავალგანყოფილებიანი სამსხვერპლოები) ეს ურთიერთობანი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდანაა სავარაუდებელი. ამ კონტაქტებში მნიშვნელოვანი რგოლი უნდა ყოფილიყო უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - დიაოხი და კოლხა. ურარტუს მეზობელ დიაოხ-კოლხაშიცაა შემორჩენილი მსგავსი მეგალითური ძეგლები. სომეხი მწერლის ატრეპტის მიერ ფიქსირებული მასალების მიხედვით ვიცით, რომ „ჭოროხის აუზში", ზიარეთის სალოცავებში, ტბის ირგვლივ, შემჩნეულია ადამიანის ხელით გამოკვეთილი 25-30-მდე ვეშაპთა ცილინდრული გამოსახულება, რომლებიც ერთ დროს ტბის ნაპირზე, წყალში ვერტიკალურად მდგარა. ძეგლები გამოთლილია ტლანქად, მათზე გამოქანდაკებულია გველის, ხვლიკის, ხარ-კამეჩისა და სხვა ცხოველის თავები. ზიარეთის ტბის ამ ძეგლებიდან 5-6 კმ-ზე მოიპოვება წმინდა წყლის სათაავე თავისი ჭაობებითა და ვეშაპთა ძეგლებით.[52]

კალოთას აღმოჩენებით სათაავე დაედო მეგალითური კულტურის ძეგლების კვლევას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. როგორც აღინიშნა, მსგავსი კომპლექსები პირველად შეისწავლება ჩვენს სინამდვილეში და საერთოდაც. მეგალითური კულტურის ნაშთები შემორჩენილია ბეშუმის მიდამოებში, ჭვანისწყლის სათაავეებში, ნეგოიანის ტერიტორიაზე და ა.შ. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სოფ.თხილვანას ქვის სვეტი.

აჭარისწყლის ხეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ანტიკურ ხანაშიაც. იგი იყო საქართველოს შავიზღვისპირეთის დაპაკავშირებელი რგოლი სამცხე-ჯავახეთისა და შავშეთ-კლარჯეთის ისტორიულ პროვინციებთან. კლასიკური ხანის, კერძოდ, ძვ.წ. V ს საყურადღებო მასალაა მოპოვებული ქედის რ-ნის სოფ.კვაშტას ნამოსახლარის გათხრებისას 1983-1984 წლებში.[53] იგი წარმოადგენდა გამაგრებულ სათავალთვალო ბუნქტს, რომელიც იცავდა და კონტროლს აწესებდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთზე. ვიცით, რომ გამაგრებული სამოსახლოები ხეობის სხვა ბუნქტებშიაც უნდა არსებულიყო (აგარა, ურეხი, მახვილაური, ბზუბზუ, კოლოტაური, საღირეთი, სოფ. ტაკიძეები, ბაქსაძეები, ხიხაძირის ვარდციხე და ა.შ.). კვაშტა-კოლოტაურის გამაგრებული დასახლება ურეხ-მახვლაურის გრანდიოზული გორა-სამოსახლოთი დაწყებული და აჭარისწყლის სათავეების ძეგლებით დამთავრებული ერთიანი, ხეობებში განტოტილი რთული თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი უნდა ყოფილიყო. უახლესი აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ ადრეკლასობრივი კოლხეთის სამეფოს ფორმირებასთან დაკავშირებით მსგავსი გამაგრებული სამოსახლოები გაჩენილა ცენტრალურ კოლხეთში ფასის-რიონის გაყოლებაზე (დაფნარი, დაბლაგომი, მთისძირი, ვანი, პატრიკეთი და სხვა).[54] ეს ფუნქცია ადრეკლასიკური ხანიდან განსაკუთრებით გამოკვეთილად შეინიშნება კვაშტის ნამოსახლარის მაგალითზე, ამიტომაც ინტერესი მის მიმართ განსაკუთრებულია. ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი აჭარისწყლის

[51] Есаян С.А., Калантарян А.А. указ. соч., с. 20, 21, табл. V/3.

[52] ლ.ჭელიშვილი-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

[53] ა.კაკაბაძე, შ.მამულაძე, კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. - სდსმ, XVII, 1988; მათივე, აჭარისწყლის ხეობის... გვ. 57-80.

[54] გ.ტაბაცკოვი, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბილისი, 1982, გვ. 53, 55 და შმდ; Лордкипанидзе О.Д., Микеладзе Т.К. Колхида в VII-IV вв. до н.э. - Местные этно-политические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н.э. Тбилиси, 1988, с. 116; Джапаридзе В.М. Некоторые памятники Восточной Колхиды античной эпохи. - Местные... с. 246-247.

ხეობიდან ადრე უცნობი იყო. კვაშტას დასახლება ტერასული ხასიათისაა, ფუნქციონირებდა ძვ.წ. V საუკუნისათვის. იგი ხანძრის შედეგად განადგურებულა. არქეოლოგიური გათხრებისას ხშირად ჩნდება ხის დანახშირებული ძელების ნაშთები, დეფორმირებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, დამსკდარი ქვები და ა.შ. კვაშტის დასახლებაზე ყურადღებას იქცევს კლდეში ნაკეთები ფოსოები. ისინი ხის სვეტებისათვის უნდა იყოს ამოკვეთილი. აქა-იქ ჩნდებოდა კერის ნაშთებიც.

ამ ეპოქის ძეგლებში წამყვან ადგილს სამეურნეო კერამიკა იკავებს (ქვევრები და დერგები).

ზღვისპირა ზოლის საქალაქო ტიპის დასახლებებისა და სამოსახლოებისგან განსხვავებით კვაშტის სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკა არ გამოირჩევა ფორმათა მრავალგვარობითა და სინატიფით. ჭარბობს შედარებით ტლანქად ნაკეთები დოქები, ჯამები, სასმისები, ქოთნები, ტაფისებური ჭურჭელი, ლანგრები და ა.შ.

კვაშტის მონაპოვარში წარმოდგენილია იმპორტული თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხიც - სადაზოლებიანი იონური კერამიკის, ატიკური შავლაკიანი კილიკისა და ე.წ. სასმისებრძირიანი ამფორის ფრაგმენტები.

სხვა სახის სამეთუნეო ნაკეთობიდან ყურადღებას იქცევს ფეიქრობასთან დაკავშირებული კვირისტაკები. იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან ცილინდრულსახელურიანი მრგვალი ფორმის თიხის საბეჭდავები (სურ. 61.4).

სოფ. კვაშტის ძვ.წ. V ს სამოსახლოს გათხრებისას მცირე რაოდენობის ლითონის ნაკეთობანიცაა აღმოჩენილი. ყურადღებას იქცევს რკინის ხელშუბები, ე.წ. მუჯარები, მსგავსი საბრძოლო იარაღები წარმოდგენილია ფიჭვნარის,[55] სვანეთის (ლარი-ლარი), სოხუმის მთის,[56] ოჟორასა[57] და რკინის კალოს[58] სამაროვნის თანადროულ მასალებში. აღსანიშნავია რკინის წალდი. დასტურდება, რომ ამ იარაღის გავრცელების არეალი ანტიკური ხანისათვის ფართოვდება (სოხუმის მთა,[59] ნოქალაქევი,[60] მცხეთისჯვარის სამაროვანი (ხაშურის რ-ნი),[61] სოფ.აღაიანი (კასპის რ-ნი),[62] სომხეთის არმავირი,[63] სიმფეროპოლის რ-ნის სოფ.დობროე (ყირიმის ნ/კ)[64] და ა.შ.

სოფ.კვაშტაში მოპოვებულია ბრინჯაოს სამაჯურების საინტერესო ეგზემპლარები. ერთ-ერთი მათგანის ბოლოები შემკულია ცხოველის (დრაკონის?) თავების სტილიზული გამოსახულებებით. შებირისპირებული დრაკონის თავები მოცემულია სამაჯურის ზურგის არეშიაც.

ბრინჯაოსაგანაა ნაკეთები კვაშტაში აღმოჩენილი ორმაგი სპირალური ხვიის ნატეხი და წნული ორნამენტით შემკული სიტულის ყური. არის ორი ცალი მინის მძივიც, შედარებით მრავალრიცხოვანია ქვის ხელსაფქვავები (სურ. 61.1). ბითოსების სიმრავლისა და საფქვავების მიხედვით ჩანს, რომ აქ ახლო-მახლო მოსახლეობის სურსათის მარაგიც ინახებოდა. მრავალრიცხოვანია შურდულის ქვები და სალესები, რომელთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, გოდერძის მიდამოებიდან ჩამოტანილი გაქვავებული მერქნიდანაა დამზადებული. ბირველად აღმოჩნდა

[55] Кахидзе А.Ю., Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981, гв. 54, таб. XXX|12.

[56] ა.კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, გვ. 32-33,სურ. 10, ტაბ. VII/10.

[57] ო.ჯუჯარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ.ოჟორაში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 65, თბილისი, 1957, გვ. 191, სურ. 7.

[58] ლ.ბობაძე, იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები II (რკინის კალოს სამაროვანი), თბილისი, 1978, გვ. 9, ტაბ. XIII/27.

[59] ა.კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42, 43, სურ. 17, ტაბ. X/7-10.

[60] დაცულია ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციაში.

[61] განსვენებული ჯ.ნადირაძის ცნობა.

[62] ნ.მირიანაშვილი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1983, გვ. 42, 71, სურ. 101.

[63] Тирацян Г.А.Культура древней Армении, Ереван, 1983, с. 137, рис. 32, 33, табл. X.

[64] Лящук Н.М. Нож из позднескифского поселения Доброе. - СА, 1983, 3, с. 59, рис. 49/3.

აჭარისწყლის ხეობაში ბადის საძირავებად გამოყენებული ბატარა ზომის ქვის საწაფები. გათხრების პროცესში ხშირად ჩნდებოდა საარიალებელი ქვებიც.

გარკვეული საველე სამუშაოები განხორციელდა ქედის რაიონის სოფ. კოლოტაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე. კვაშტის მსგავსი გამაგრებული ტიპის სამოსახლო ჯვარიქედის ბოლო მონაკვეთის კლდოვან ბლატოზე ყოფილა გამართული, საიდანაც შესანიშნავად მოჩანს აჭარა-გურიისა და აჭარა-შავშეთის მთების ფერდობებზე შეფენილი სოფლები და თვით აჭარისწყლის ხეობა. ჩვენამდე მოაღწია ქვის წყობის ნაშთებმა და სხვა სახის მასალების შემცველმა კულტურულმა ფენებმა. აღმოჩნდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამეურნეო, საშზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკული ნაწარმი. გვხვდება იმპორტული ნაწარმი - სინოპური ამფორების სახით. არის ქვის ნაკეთობანიც - ხელსაფქვავები, საწაფები და ა.შ.[65]

ბოლო წლებში სოფ. კოლოტაურიდან შემთხვევითი აღმოჩენების სახით თავი იჩინა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნივთიერი კულტურის ძეგლებმა. პირველ რიგში აღსანიშნავია ბრინჯაოს ბინცეტი, რომლის ორივე ნახევარზე ძაღლის გამოსახულებაა გრავირებული. მათთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები. არაა გამორიცხული, ეს ნივთები დარღვეული სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საველე სამუშაოები აჭარისწყლის ხეობაში, აჭარის მთიანეთში, შედარებით გვიან, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, მაინც დაგროვდა საინტერესო მასალა. ამ დროს გრძელდებოდა ნეოლითისა და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ტრადიცია და ზღვისპირა ზოლისა და ხეობის მოსახლეობა მაღალმთიან ალბურ მდელოებს საძოვრებად მომდევნო ეპოქებშიაც ინტენსიურად იყენებდა. შუა, გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა, მთისწინა ზოლისა და მთიანეთის მოსახლეობა ერთობ დიდ როლს თამაშობდა დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ფორმირებაში, კოლხეთის სამეფოს გენეზისში. ზემო აჭარის გადასასვლელებით, აჭარისწყლის, ღორჯომისა და სხალთისწყლის სათავეებზე გამავალი საკომუნიკაციო გზების საშუალებით არსებობდა მჭიდრო კავშირები ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთთან და ცენტრალურ ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებთან. დაწინაურებული ჩანს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი. ამავე ხეობასთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ფერადი ლითონების გამოსავლების არსებობა. როგორც ვნახეთ, განძებში წარმოდგენილია მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ნიმუშები. ხეობის არქეოლოგიური კვლევით სათავე დაედო მეგალითური კულტურის ძეგლების შესწავლას მოცემულ ტერიტორიაზე. მიკვლეულია წარმართული ხანის საკურთხეველ-სამსხვერპლო, რომელიც ტაროსის ღვთაება ლაზარეს უკავშირდება. მის საპატივცემულოდ რელიგიური ცერემონიალი 3000 წლის მანძილზე მაინც სრულდებოდა.

აჭარისწყლის ხეობის მკვიდრნი ანტიკური ხანისათვის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ასულან. ამ მიმართებით განსაკუთრებით საყურადღებო მასალებია გამოვლენილი ხიხაძირ-ფუშრუკაულის, ჭვანის, კვაშტისა და კოლოტაურის წინაანტიკური თუ კლასიკური ხანის ძეგლების არქეოლოგიური გათხრებისას. რკინის მეტალურგიამ მოამზადა პირობები საწარმოო ძალების მკვეთრი პროგრესისათვის, გაიზარდა

[65] შამბულაძე, მ. ბალგაში, კოლოტაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, 2002, გვ. 28-41.

შრომის ნაყოფიერება, გაღრმავდა საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი, ისახება სასაქონლო წარმოება, თავს იჩენს უცხოური, ბერძნული ნაკეთობანიც კი. მობოვებულ არქეოლოგიურ მასალებში წამყვანი ადგილი უკავია მიწათმოქმედებასა და მევენახეობა-მეღვინეობასთან, შესაქონლეობასთან, რთვა-ქსოვასთან, მეთევზეობასთან, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებულ ნაწარმს. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თიხის საბეჭდავები, რომლებიც უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ამ ეპოქისათვის ისინი ხელისუფლების ინსიგნიებსაც უნდა წარმოადგენდნენ. საქართველოს ზღვისპირა ზოლის მსგავსად ძვ.წ. V საუკუნისათვის ხეობის მკვიდრთა შორის უკვე შორსაა წასული კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი. ნამოსახლარი კვაშტა და კოლოტაური ეკუთვნის თავისებურ ძეგლებს, გამაგრებული ტიპის ძველ დასახლებებს, რომელთაც ეკისრებოდა საშიშროებისას მოსახლეობის დაცვა. აჭარისწყლის ხეობის მთის როლი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება განვითარებული შუასაუკუნეებისათვის.

თავი VI
აჭარა ადრეანტიკურ ხანაში

§1. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი

ადრერკინის ხანის მიწურულს, კერძოდ, ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დამდეგს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ კოლხეთის სამეფოს ზღვისპირა ზოლში დასტურდება მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროდან (იონიიდან) გამოსული ბერძნული თემების გამოჩენა. კოლხეთი აქტიურად ებმება დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში.

დიდ ბერძნულ კოლონიზაციის კვლევას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხების ინტენსიური შესწავლა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.[1] ამ პერიოდში საინტერესო მასალები დაგროვდა, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის შესახებაც.

როგორც ფიქრობენ, დიდი ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და მამოძრავებელი ძალები კომპლექსური იყო. წამყვან ფაქტორთა შორის ასახელებენ ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკურ, სავაჭრო და ზოგჯერ კერძო ინტერესებსაც კი.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოიკვეთა ორი ძირითადი კონცეფცია: ედ.მეიერი ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის პრაქტიკას სავაჭრო ექსპანსიას უკავშირებდა და თვლიდა, რომ არქაულ ხანაში (ძვ.წ. VIII-VI სს) ეკონომიკისა და ნავიგაციის აღმავლობამ, აგრეთვე, სამონეტო ემისიის გაჩენამ ხელი შეუწყო აუცილებელი, ფუფუნების თუ ყოველდღიური მოხმარების საგნების სასაქონლო წარმოების ზრდას. მეორე თეორიის ავტორების (ჩ.ბელოხის, ბ.ვიროსა და სხვათა) აზრით, კოლონიზაცია აგრარული ხასიათის მატარებელი იყო. ისინი მიიჩნევენ, რომ თავიდანვე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ჩრდილო აფრიკის, ეგეიდის, ბრიბონდიტისა (მარმარილოს ზღვა) და პონტოს სანაპიროების მიმართულებით გაშლილ საკოლონიზაციო მოძრაობაში არსებითად მონაწილეობდნენ საბერძნეთის აგრარული რაიონები (არგოლიდა, ბეოტია და სხვა), რომლებიც არქაულ ხანაში უმეტესად სოფლებისაგან შედგებოდა.

[1] 1977 წლიდან ჯერ წყალტუბოში, ხოლო შემდეგ ვანში რეგულარულად იმართება შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმები. გამსვლელი სხდომები ეწყობა დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე. არაერთი სხდომა ჩატარდა ფიჭვნარში, ბეტრა-ციხისძირსა და გონიოაფსაროსში. ამ სიმპოზიუმების ორგანიზატორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. იხ: Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья, Тбилиси, 1979; Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации, Тбилиси,1979; Причерноморье в эпоху эллинизма, Тбилиси, 1985; Местные этно-политические обьединения Причерноморья в VII-IV вв. до н.э., Тбилиси., 1988; Причерноморье в VII-IV вв. до н.э. Тбилиси, 1990. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული ბერსპექტივა. - ძიებანი, დამატებანი I, თბილისი, 1999; ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში. - ძიებანი, დამატებანი VIII, თბილისი, 2002; შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში. - ძიებანი, დამატებანი XIII, თბილისი, 2005.

მნიშვნელოვანი იყო პოლისების (ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების) ფორმირებასთან დაკავშირებული პოლიტიკური მოტივებიც; კლასობრივ ბრძოლაში იმატა უმიწაწყლოთა, ე.წ. უკლეროთა რიცხვმა,[2] რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მეტროპოლია და მათთვის ხელსაყრელ ადგილებში ახალშენები დაეარსებინათ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის ადრეულ საფეხურზე ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც დასტურდება, დიდ წინააღმდეგობას უწევდა მოახალშენეებს. ბათუმისციხეზე ფიქსირებულია ბრძოლების, წვა-ნგრევის ამსახველი არქეოლოგიური შრე სათანადო დამათარიღებელი მასალებით. როგორც ჩანს, ამ სამოსახლომ შეინარჩუნა ადრინდელი სტატუსი. ბორცვს შემოავლეს დამცველი კედელი და თხრილი. სახელმწიფოებრიობის გზაზე მდგომ კოლხეთს აღმოაჩნდა ძალები არ დაეშვა პოლისური თვითმართვადი ერთეულების შექმნა და ბერძნებმა, მართლაც, ვერ შეძლეს ვრცელი ადგილების დაკავება. ადგილობრივი ზედაფენების წარმომადგენლები თანდათანობით ელინებთან ვაჭრობის გზას დაადგა. მათივე ხელის შეწყობით კოლხური სამოსახლოების გვერდით უნდა გაჩენილიყო ბერძენ თემთა დასახლებები. მსგავსი დასაყრდენის გარეშე ელინთა კონტაქტები შავიზღვისპირეთის სხვა ნაწილებთან, უფრო მეტად ჩრდილო შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებთან, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. უკვე არქაული ხანისათვის კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ფასისის დამაარსებელი მილეტელი ოიკისტე[3] თემისტაგორეა დასახელებული; მოხსენიებულია სხვა ახალშენებიც, კერძოდ, გიენოსი და დიოსკურია. საქორქიოს მიდამოებში, სიმაგრის ნამოსახლარზე, აღმოჩენილი მაღალმხატვრული ნაწარმის მიმწოდებელი ქალაქი ფასისი უნდა ყოფილიყო. შედარებით მცირე მასშტაბის იონიური დასახლებები უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ბათუმის, ციხისძირის, ფიჭვნარის, ურეკის, ოჩამჩირისა და ეშერას მიდამოებში.[4] მათი დიდი ნაწილი, სხვა ბერძნული აპოიკიების (ბერძნები მათ მიერ დაარსებულ ახალშენს აპოიკიას უწოდებდნენ) მსგავსად, უპირატესად სამიწათმოქმედო, სახელოსნო და გარკვეულად სავაჭრო პუნქტებიც უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ პირველი მოახალშენეების რიცხვი არ იყო დიდი და, როგორც ჩანს, მათთვის საკმარისი სამიწათმოქმედო სავარგულების გამონახვა მოხერხდა. ელადიდან გადმოსახლებულ უმიწაწყლოთათვის კოლხეთის ნოყიერი მიწა მოწონების საგანი გამხდარა, მით უფრო, რომ ამ დროს კოლხეთის დაბლობი მშრალი იყო და სამეურნეო სავარგულს წარმოადგენდა (იხ. შესავალი, §1).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იონიური (მცირეაზიური) ახალშენების გაჩენამ მნიშვნელოვნად დააჩქარა კოლხეთის სოციალური განვითარება, კერძოდ, კლასების ფორმირების პროცესი და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. იმატა ექსპორტმა, კოლხეთიდან გაქონდათ ძვირფასი ხე-ტყე, სანთელი, ფისი, სელი და სელის ნაწარმი.[5] გამოთქმულია ვარაუდი გარეული ფრინველისა და საქონლის ექსპორტირების შესახებაც.[6] წერილობითი და ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, სხვადასხვა დროს კოლხები მუშაობდნენ იონიისა და მატერიკული საბერძნეთის სახელოსნოებში, მოქირავნეთა რაზმებში.[7]

---

[2] კლერი - მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი.

[3] ოიკია - დასახლება. ოიკისტე - დასახლების დამაარსებელი (ძვ.ბერძნ.).

[4] ადრე გამოთქმული ეს მოსაზრება დაადასტურა ციხისძირის, გიონესისა და ეშერას აღმოჩენებმა. იხ.: **ა.კახიძე**, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონიური და ატიკური ეტაპები. - სდსძ, XI, 1982, გვ. 65.

[5] **Меликишвили Г.А.** К истории древней Грузии, Тбилиси, 1959., с. 244, 308.

[6] **Лордкипанидзе Г.А.** К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, с. 55.

[7] **Блаватский В.Д.** Архайческий Боспор. - МИА, 33, Москва, 1954, с. 33; **Граков Б.Н.** Материалы по истории Скифии в греческих надписях. - ВДИ, 3, 1939, с. 290; **ოყუხრიშვილი**, ბერძნული წარწერები საქართველოში,

ბერძნული კოლონიზაციის პროცესი არ დასრულებულა არქაული ხანით. განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს მომდევნო, ატიკური ეტაპი. ათენმა საკოლონიზაციო მოძრაობა შედარებით გვიან დაიწყო, კერძოდ, ძვ.წ. VII ს დასასრულს სიგეასა და თრაკიის ქერსონესში დაარსა პირველი აგრარული კოლონიები. სხვა ტრადიციული ელინური ახალშენებისაგან განსხვავებით ატიკურ კოლონიებს ადრიდანვე მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ მეტროპოლიასთან. ამ დროისათვის ხმელთაშუაზღვისპირეთი, ეგეიდა, პროპონტიდა და პონტოს სანაპირები მოფენილი იყო სხვა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მიერ დაარსებული ახალშენებით. ატიკაშიც ამოიწურა მიწის რესურსები. თუკიდიდეს სიტყვებით, „ატიკა უკვე აღარ ყოფნიდა ყველას“ (Thuc. 1,2,6) და იგი იწყებს თავისი გავლენის ახალი სფეროების ძიებას. სიგეის დაკავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი იყო ჰელესპონტის (დარდანელის) გასაღები. ათენის ეგზოდური საკოლონიზაციო პრაქტიკა გაგრძელდა ძვ.წ. VI საუკუნეში და თანდათანობით მომზადდა პირობები ახალი ექსპანსიისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ძვ.წ. VI ს ბოლო - ძვ.წ. V ს პირველი მესამედი. ეს იყო ათენელთა საკოლონიზაციო მოძრაობის მეორე უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ახალშენები იკავებენ როგორც ახლომდებარე ადგილებს, ასევე ოქროთი და ხე-ტყით მდიდარ ჩრდილო ეგეიდას. აგრარული ხასიათის კლერუქიები[8] გაყავთ სალამინზე, ეგებეაზე, შექმნეს დასახლებები ლემნოსზე, იმბროსზე და ა.შ. ამ ახალშენთა დაფუძნება უკავშირდება კლისთენეს აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ატიკური კოლონიზაციის მესამე ეტაპი ძვ.წ. 470-460 წლებით შემოიფარგლება. სპარსეთზე გამარჯვებამ და დელოსის საზღვაო კავშირის შექმნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ათენელთა საკოლონიზაციო მოძრაობა, რომელშიც ცენტრალური ობიექტი იყო ჩრდილო ეგეიდა.

ფიქვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლის მასალების მიხედვით, ამ პერიოდს უკავშირდება აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში ატიკური კოლონიზაციის დასაწყისი. ათენელთა ერთ-ერთი პირველი დასახლება ქობულეთის ფიქვნარში უნდა გაჩენილიყო. საკოლონიზაციო მოძრაობა გრძელდება მეოთხე ეტაპზეც, კერძოდ, ძვ.წ. 450-431 წლებში (პერიკლეს მოღვაწეობის ხანაში), როცა ათენმა დაიმორჩილა მოკავშირეები, გაზარდა კონტაქტები კლერუქიებთან და მოაწყო ექსპედიცია შავზღვისპირეთში.[9]

პლუტარქეს ცნობით, „პერიკლე შევიდა პონტოში დიდი, კარგად აღჭურვილი ესკადრით: მან გააკეთა ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ (აქ არსებულ ელინურ ქალაქებს) და გამოიჩინა მათდამი კეთილგანწყობა. ხოლო გარშემო მცხოვრებ ტომებს, მათ მეფეებსა და დინასტიებს მან უჩვენა უდიდესი ძალა, უშიშროება და მამაცობა ათენელთა, რომელნიც დაცურავენ სადაც კი მოესურვებათ და მთელი ზღვა ხელთ უპყრიათ. სინოპელებს მან დაუტოვა 13 ხომალდი ლამახის მეთაურობით და მეომრები ტირან ტემისილეოსის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც იგი განდევნილ იქნა თავის მეომრებთან ერთად, პერიკლემ მიიღო სახალხო კრების დადგენილება ათენელთაგან 600 მოხალისის სინოპეში გაგზავნისა და იქ სინოპელებთან ერთად დასახლების შესახებ. მათ უნდა გაეანაწილებინათ ის მიწები და სახლები, რომლებიც წინათ ტირანებს ეკუთვნოდათ“ (Plut. Pericl,20).[10]

თბილისი, 1951, გვ. XII.

[8] კლერუქიები - ათენელ მოქალაქეთა სამხედრო დასახლებები, რომლებიც შეიქმნა კონტროლის მიზნით დელოსის კავშირში შემავალი ქვეყნების ტერიტორიებსა და უმნიშვნელოვანეს საზღვაო მაგისტრალებზე.

[9] Брашинский И.Б. Понтийская экспедиция Перикла. - ВДИ, 3, 1958, აქვე წყაროები და ლიტერატურა.

[10] Максимова М.И. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956, с. 98.

ათენელთა ახალშენად მიიჩნევს ბლუტარქე ქამისოსაც (დღევანდელი სამსუნი).[11] თეოპომპეს მიხედვით მისი დამაარსებელი იყო ვინმე აფინოკლე. ფილონბენ, რომ პერიკლეს ექსპედიცია ჰერაკლეასაც შეეხო, იგი შეყვანილ იქნა ათენის საზღვაო კავშირში და დროებით ფოროსსაც[12] იხდიდა (Thuc. IV, 75; Diod, Bibl., XII, 7,2,4; Just. XVI,3). ასევე ითქმის კარუსა და კერასუნტის მიმართაც.[13] ჭანეთის ათინას სახით (ძველად ამ პუნქტს ლიმნე ეწოდებოდა) ატიკის გავლენის სფეროში ჩანს მოქცეული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიც.[14] ათენის საზღვაო კავშირში ჩანან დასავლეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთის ისეთი მნიშვნელოვანი პოლისები, როგორიც იყო აპოლონია,[15] ოლბია,[16] ნიმფეა[17] და როგორც ჩანს, ტირა.[18] რა თქმა უნდა, მსგავსი დასაყრდენი პუნქტები ათენს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც უნდა ჰქონოდა. ერთი ასეთი ცენტრი ქობულეთ-ფიჭვნარის საქალაქო ცენტრი უნდა ყოფილიყო. სწორედ ძვ.წ. V ს შუა ხანებიდან ფიჭვნარის დასახლების უჩვეულო აღმავლობა, ასევე, გიენოსის ეკონომიკური აღორძინება და აქ ბერძნული სავაჭრო დასახლების გაჩენა პერიკლეს აქტიურ პოლიტიკას უკავშირდება.[19]

ატიკური კოლონიზაციის მეხუთე ეტაპი მოდის პელეპონესის ომების (ძვ.წ. 431-404 წწ) მიჯნაზე. ახალშენები ეწყობოდა სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებში. ათენის კოლონიზაციური აქტიურობა ამ დროიდან თანდათანობით სუსტდება. მნიშვნელოვნად შეირყა მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. ათენის მარცხის შედეგად მოიშალა ატიკური კლერუქიები და ნაწილობრივ აპოიკიები. დაირღვა ადრინდელი კონტაქტები. საყურადღებოა, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის დასახლება აგრძელებს ტრადიციულ კავშირებს საბერძნეთის სახელოსნო ცენტრებთან.

ატიკური კოლონიზაციის მეექვსე ეტაპი ძვ.წ. IV საუკუნეზე მოდის. ამ დროს შეიქმნა II საზღვაო კავშირი, გამოცოცხლდა ძვ.წ. V საუკუნისათვის შექმნილი კლერუქიები, მაგრამ კავშირი სუსტი აღმოჩნდა. მალე ათენის ეს კოლონიური კავშირი საბოლოოდ დაეცა.

ძვ.წ. IV ს 30-იან წლებამდე ქობულეთ-ფიჭვნარშიც არსებობდა ბერძნული თემის დასახლება.[20]

---

[11] Брашинский И.Б. Синопа и Колхида. - Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник), IV, Тбилиси, 1973, с. 180-190.

[12] ფოროსი - ათენის საზღვაო კავშირში შემავალი ქვეყნების (ამათი რიცხვი ძვ.წ. 454 წლისათვის 208-ს შეადგენდა) საგალდებულო გადასახადი იყო. პირველ ხანებში იგი ხმარდებოდა სპარსეთის წინააღმდეგ ფლოტის მშენებლობას; სპარსეთზე გამარჯვების შემდგომ კი უბრალესად ათენის აკროპოლის გამშვენიერებისათვის იყენებდნენ.

[13] Тюменев А.И. Херсонские этюды. - ВДИ, 2(3), 1938, с. 256.

14 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1981, გვ. 32, 33.

[15] Блаватская Т.В. Западнопонтийские города в VII-I вв. до н.э. Москва., 1952, с.69.

[16] Карышовский П.О. Ольвия и Афинский союз. - МАСП, II, Одесса, 1960, с. 75.

[17] Блаватская Т.В. Очерки политической истории Боспора V-IV вв. до н.э. Москва, 1959; ს.ჟებელიოვისა და ი.ბარაშინსკის აზრით, პერიკლეს ექსპედიცია ჩრდილო შავიზღვისპირეთს არ შეხებია. არც ნიმფეა და არც სხვა ქალაქები არ შედიოდნენ ათენის სიმაცოცხლეში (კავშირში) იხ: Жебелев С.А. Афины, Нимфей и измена Гилона. - ИГАИМК, вып. 104, 1936, с. 24 и сл; Брашинский И.Б. К вопросу о положении Нимфея во второй половине V в до н.э. - ВДИ, 2, 1955, с. 148 и сл; Его-же, Афины и Северное Причерноморье в VII-II вв. до н.э. Москва, 1963, с. 70 и сл. ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ნიმფეისა და სხვა ქალაქების შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული. იხ: Шелов Д.Б. Монетное дело Боспора VI-II вв. до н.э. Москва, 1956, с. 35 и сл.

[18] Карышковский П.О. Материалы к собранию древних надписей Сарматии и Тавриды. - ВДИ, 4, 1959, с. 124 и сл.

[19] ჭანეთ. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ძვ.წ. V ს II ნახევარი). - „მაცნე" I, 1975, გგ. 58-59.

[20] ატიკური კოლონიზაციის შესახებ იხ.: Паршиков А.Е. О статусе афинских колоний в V в.до н.э. - ВДИ, 2, 1969; Яйленко В.П. Греческая колонизация Северного Причерноморья, Москва, 1982, с. 135-193.

§1. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი

ქობულეთ-ფიჭვნარის ძველ ნაქალაქარზე, განსაკუთრებით ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს, რომ აქ ათენელთა დასახლება ძვ.წ. V ს 80-70-იან წლებში ჩნდება. თავდაპირველად მოახალშენეთა რიცხვი დიდი არ უნდა ყოფილიყო. ირკვევა, რომ ისინი უბრალოდ ღარიბი ფენების, კერძოდ, უმიწაწყლოთა წარმომადგენლები იყვნენ. ცნობილია, რომ სპარსელებზე გამარჯვებისა და დელოსის კავშირში ჰეგემონობის მობოვების შედეგად ათენის როლი საერთაშორისო ურთიერთობაში მკვეთრად გაიზარდა. იონიური კოლონიზაციის პერიოდისაგან განსხვავებით, ახლა, როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფოს მესვეურებმა უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს ახალ საერთაშორისო ძალასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება. ათენიც ეძებდა „მეგობრულ დამოკიდებულებას ადგილობრივ მეფეებთან და კავშირს დინასტებთან“ (Thuc.II,29). თითქმის 1,5 საუკუნის განმავლობაში ფიჭვნარში გვერდიგვერდ მშვიდობიანად იცხოვრეს კოლხურმა და ბერძნულმა თემებმა.[21]

ქობულეთ-ფიჭვნარში მობინადრე ბერძნული თემი განსაკუთრებით მძლავრობდა ძვ.წ. V ს შუა ხანებსა და მესამე მეოთხედში. პერიკლეს დროით თარიღდება ყველაზე ადიდრული სამარხები და საალაბო მოედნები, სადაც წარმოდგენილია მოხატული ბრწყინვალე ვაზები, საიუველირო ხელოვნებისა და ტორევტიკის საუკეთესო ნიმუშები, ფერადი მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი, ინტერლოკალური მონეტები, პალესტრასთან[22] დაკავშირებული ნივთები და ა.შ. სამარხეული ინვენტარის ხასიათის, მრავალრიცხოვნებისა და მრავალფეროვნების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული თემის სამოსახლოს გაფურჩქვნა-აყვავების ხანაა. აქ შეძლებულები დიდი პატივით იკრძალებიან, იმართება ხალხმრავალი ქელეხები, მოაქვთ შესაწირავები.

პალესტრასთან დაკავშირებული ინვენტარის არსებობა ცხადყოფს, რომ აქ ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები, ელინური დღესასწაულები. ეკონომიკური და კულტურული აღზევება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ აქაც იჭრებოდა ე.წ. ავტონომიური მონეტები. ამაზე უნდა მიუთითებდეს კოლხური თეთრების უნიკალური ნომინალების (ჰემიტეტრატემორიონების) აღმოჩენები ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია ამ პერიოდის საშუალო ფენების სამარხები. ვხვდებით ღარიბთა თუ სრულიად უქონელთა განსასვენებელსაც. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული თემი რთული სოციალური უჯრედია.

ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული თემის სამოსახლოს ეკონომიკური პოტენციალი ეცემა ძვ.წ. V ს ბოლოდან, რაც დაკავშირებული უნდა იყოს პელოპონესის ომში ათენის დამარცხებასთან. აქ ძვ.წ. IV ს სამარხები უკვე მწირი ინვენტარის შემცველია. წარმოდგენილია ჰერაკლეის, თაზოსის, ბიზანტიონის, მენდეა და სხვა განსაზღვრელი ცენტრის ამფორები, იშვიათად მდარე ხარისხის მოხატული თუ სადა შავლაკიანი ატიკური კერამიკა, მინის მძივები და სხვა სახის სამკაულები; როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ატიკის პოზიციების შესუსტება ქობულეთ-ფიჭვნარის ელინურ წრეებშიაც აისახა. ძვ.წ. IV ს 30-იანი წლებიდან, მაკედონიის მიერ

---

[21] ესპანეთის იბერიაში ასევე ცხოველი კონტაქტები შეინიშნება პინტერლანდებსა და მოახალშენეებს, კერძოდ, ფოკეელებს შორის. ისინი ერთიანი ძალებით 800 მ სიგრძის დამცველ კედელსაც აშენებენ. იხ.: Козловская В.И. К вопросу о фокейской колонизации Испании. - ПГКСВП, Тбилиси, 1979, с. 59.

[22] პალესტრა - სპორტული გარჯიშებისა და ასპარეზობისათვის განკუთვნილი ადგილი; ზოგჯერ იგივე გაგება აქვს, რაც გიმნასიუმს - გრცელი ეზო, რომელსაც გარს ერტყმის კოლონებიანი საგარჯიშო დარბაზები და საბანაო აუზები.

საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, ქობულეთი-ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი და სამოსახლოც საერთოდ წყვეტს არსებობას. აშკარაა, რომ ეს ათენური დასახლება, შესაძლოა ეიბოკეა,[23] მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტროპოლიასთან.

ამგვარად, ქობულეთი-ფიჭვნარის პირველი მოახალშენეები (ძვ.წ. V ს-ის 80-60-იანი წლები) ღარიბი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათი მიზანი იყო მიწის სავარგულების მოპოვება და დასახლება. თანდათანობით დასახლების ეკონომიკური პოტენციალი იზრდება, იქმნება რთული სოციალური სტრუქტურა, ძლიერდება კლასობრივი პოლარიზაცია. მეტროპოლიიდან უნდა ყოფილიყო გადმონერგილი შიდასათემო წყობის ძირითადი ფორმები, აგრეთვე, რელიგიური კულტები. ნივთიერ კულტურაში აშკარად საგრძნობია ადგილობრივი მოსახლეობის ზეგავლენაც.

ფიჭვნარელი ბერძნები მხოლოდ სავაჭრო საქმიანობით არ უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული. მათ უნდა ჰქონოდათ საკარშიდამო ნაკვეთები თვით ქალაქში და თემის წევრებზე განაწილებული მიწის განსაზღვრული ფართობი ქორას[24] ტერიტორიაზე. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2006 წელს ვ.წ. IV საუკუნის ერთ-ერთ სამარხში ფართობირიანი რკინის თოხი აღმოჩნდა, ერთი სიტყვით, მათი დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო თუ ხელოსნურ საქმიანობას ეწეოდა, ხოლო წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილი მეტროპოლიაში იგზავნებოდა. ამ ოპერაციებში, ბუნებრივია, აქტიურ როლს თვით მეტროპოლიის ვაჭრები ასრულებდნენ. ათენიდან შემოტანილი მრავალრიცხოვანი ფუფუნების საგნების ძირითადი მომხმარებელნი ზღვისპირა ზოლში მცხოვრები შეძლებული ბერძნები იყვნენ, ხოლო გარკვეული ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის ზედა ფენების ხელში ექცეოდა. ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით უნდა იყოს ჩვენში შემოზიდული თაზოსისა და შენდეს მაღალხარისხოვანი ღვინო, სირიული თუ ეგვიპტური ფერადი მინის ნაწარმი, მძივები, რომელზედაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილება იყო. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში პირდაპირი ურთიერთობა უნდა არსებულიყო ასევე კ.ქიოსსა და ლესბოსთანაც. ასეთივე ურთიერთობას ეყრება საფუძველი კლასიკური ხანის სინოპესთან, გარკვეული სიახლოვე შეინიშნება ისეთ ბოლისებთან, როგორიც იყო პანტიკაპეიონი და ნიმფეა.

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენები წარმოადგენდნენ ანტიკური სამყაროს მნიშვნელოვან ცენტრებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში. საქართველოს ზღვისპირეთი იქცა კოლხური და ელინური ცივილიზაციების შეხვედრის მნიშვნელოვან არენად, სადაც დიდხანს ხორციელდებოდა უწყვეტი კონტაქტები ანტიკური სამყაროს სახელოსნო და კულტურულ ცენტრებთან.

ანტიკურ სამყაროსთან ხანგრძლივმა უშუალო კონტაქტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კოლხეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას; დააჩქარა კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების, ადრეკლასობრივი იერის სახელმწიფოს, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ფორმირება. როგორც ვნახეთ, ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი.

ამგვარად, დიდი ბერძნული კოლონიზაცია კეთილმყოფელი ფაქტორი იყო კოლხური სახელმწიფოსა და მისი მეურნეობის ფორმირებაში, რომლის აქტიური თანამონაწილეც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც იყო.

---

[23] ეიბოკეა ათენური ახალშენის ერთ-ერთი სახეობა, რომლის წარმომადგენლებიც მეტროპოლიის მოქალაქეებად ითვლებოდნენ.

[24] G h o r a (ქორა) - სასოფლო მიწები ანტიკური ქალაქის გარშემო.

§2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში აჭარის ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომელიც მოიცავდა გრცელ ტერიტორიას, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს როგორც მთას, ისე ზღვისპირა ზოლს, ბიჭვინტიდან მდ.ჭოროხის ხეობის ჩათვლით (იხ. სკილაქს კარიანდელი. „აზია", ფრ. 81) და შიმდებარე ტერიტორიებსაც (იხ. ქსენოფონტე, ანაბასისი). კოლხეთი ამ დროს წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. იგი ადრეკლასობრივი წარმონაქმნი იყო, სადაც არისტოკრატიული ფენა ექსპლოატაციას უწევდა როგორც მონებს, ისე რიგით მეთემეთა თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მასებს. ამგვარი ვითარება ძირითადად ცენტრალური კოლხეთის ბარში იყო.[1]

ძვ.წ. VI-V სს-ში კოლხეთი ამავე დროს წარმოგვიდგება ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნად, სახეზეა ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ელემენტი: ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება და ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება (აეტიდებად წოდებული სამეფო დინასტია), ინტენსიური საქალაქო ცხოვრება (მრავალრიცხოვანი ურბანისტული ცენტრები და მრავალშროფილიანი ხელოსნური წარმოებითა და განვითარებული საგარეო და საშინაო ვაჭრობით), საგადასახადო სისტემა, სრულყოფილად ჩამოყალიბებული და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით ნაშენები საერო და საკულტო ნაგებობები, ლითონის (უპირატესად რკინისა და აგრეთვე ბრინჯაოს) ფართო სამეურნეო გამოყენება და სხვა.[2] როგორც ფიქრობენ, ამ დროსვე ჩამოყალიბდა ეთნო-კულტურული ერთობა, სადაც წამყვან როლს სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურებული კოლხური ეთნოსი ასრულებდა. კოლხეთი, როგორც ვნახეთ, ჩაბმული იყო საერთაშორისო საჯარო ურთიერთობათა სისტემაში; აქ ვრცელდებოდა და ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავდებოდა მოწინავე ელინური და შემდეგ ელინისტური ხანის მეცნიერების, საინჟინრო აზროვნებისა და საერთოდ კულტურის მიღწევები, რასაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობისა და განვითარებული მეურნეობის არსებობამ.[3]

კოლხეთის ბუნებრივმა პირობებმა (სუბტროპიკული კლიმატი, ნიადაგები და ა.შ.) ხელი შეუწყო მიწათმოქმედების შემდგომ დაწინაურებას, ადრეანტიკურ ხანაში კვლავ ინტენსიურად ვითარდებოდა (განსაკუთრებით ძვ.წ. VII საუკუნიდან) მევენახეობა-მეღვინეობა, ტრადიციული მესაქონლეობა, სარეწაო თევზჭერა და სამეურნეო საქმიანობის ბევრი სხვა დარგი, რომელთა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე სასაქონლო ხასიათისა იყო. ამავე პერიოდში ჩნდება პირველი ქალაქები. ადრეანტიკურ ხანაში სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის და ქალაქების არსებობის მანიშნებელია კოლხური თეთრის ემისია, რაც

[1] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.

[2] ოლოლოკოშვილი. ქართული ცივილიზაცია, თბილისი, 1993, გვ. 3.

[3] ოლოლოკოშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 6-7.

არსებითად საშინაო ბაზარს ემსახურებოდა. პროფესიული ხელოსნობის სხვადასხვა დარგის დაწინაურება კოლხეთის ეკონომიკის, კულტურის, ტექნიკისა და მაღალი ესთეტიკური დონის მანიშნებელია. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიუღია რკინის წარმოებას, ფეიქრობას (კოლხური სელი აღიარებული ჩანს საერთაშორისო ბაზარზე), მეთუნეობას, სადაც ხდება ნაწარმის სტანდარტიზაცია, თვითმყოფადობით გამოირჩევა საიუველირო ხელოვნება. სახელმწიფოსა და ქალაქების წარმოქმნამ, სამონეტო საქმის განვითარებამ, ბუნებრივია, განაპირობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაში ჩაბმა.[4]

ისტორიის მამა ჰეროდოტე კოლხეთს იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოთა გვერდით ასახელებს. მისი სიტყვებია: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპეირები, სასპეირების ზემოთ კოლხები, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“ (Tuc, IV, 37).[5]

ანტიკური ხანის ქართული მეურნეობისა და კულტურის შექმნაში, როგორც დადასტურდა, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, კერძოდ, აჭარის როგორც ზღვისპირეთმა, ისე მთისწინა ზოლმა და მთიანეთმა. აქ მოპოვებული მდიდარი მონაცემები, კოლხეთის სხვა რეგიონებში მოპოვებულ მასალებთან კომპლექსში, საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ VI-IV საუკუნეების კოლხური საზოგადოების ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთის სახელმწიფოს ფორმირება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება, ეკონომიკის, კულტურის, რელიგიისა და საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი პრობლემა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჩვენ ამ დროისათვის შემდეგ ვითარებას ვადასტურებთ: მახვილაურის გორასამოსახლოს მიხედვით ჩანს, რომ ჭოროხის ქვემო დინების ზონის მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი ტრადიციული დარგებია მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, თევზჭერა, რთვა-ქსოვა, მეთუნეობა, შეზღუდულად იყენებდნენ უცხოურ ნაკეთობას (ეგეოსური სამყაროსა და შავიზღვისპირეთის სახელოსნო ცენტრების ნაწარმი აქ მრავლდება მხოლოდ ელინისტურ ხანაში). მახვილაურის დასახლება, როგორც ჩანს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აჭარისწყლის ხეობის ძველ საფორტიფიკაციო სისტემაში. იგი იყო ძირითადი სამეთვალყურეო პუნქტი, რომელიც აკონტროლებდა არა მარტო მდ.ჭოროხის დელტის ვრცელ ტერიტორიას, არამედ დაკავშირებული იყო მდ.აჭარისწყლის ხეობის მსგავსი ფუნქციის მქონე დასახლებებთან. როგორც ვნახეთ, საამისოდ განსაკუთრებით საინტერესო მასალებია მოპოვებული სოფ.კვაშტას სამოსახლოზე.[6]

ბათუმის „ქვეყნის“ ძვ.წ. VI-IV სს ვითარების შესასწავლად საყურადღებო მასალები მოგვცა ყოროლისწყლის შესართავთან მდებარე ბათუმისციხემ, რომელიც პირველად ფსევდო-არისტოტელესთან (ძვ.წ. IV ს) მოიხსენიება. ეს პუნქტი “Portus altus”-ის სახელწოდებით

---

[4] ოლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966; Инадзе М.П. Города древней Колхиды, Тбилиси, 1968; ა.კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971.

[5] თყაგხრიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1980, გვ. 82.

[6] მახვილაურის ნამოსახლარის გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. იხ. ა.კახიძე. არქეოლოგიური სამუშაოები ახალმშენებლობათა მოედნებზე. მახვილაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარი (ხელნაწერი), ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ფონდის ანაწერი 3, საქმე № 597.

ბეგტინგერიანას რუკაზეც არის აღნიშნული.[7] გამოირკვა, რომ იგი წარმოადგენდა ტიბიურ ურბანიზებულ გორასამოსახლოს, სადაც დასახლება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან არსებობდა. აქვე დადასტურებულია ძვ.წ. VII ს დასასრულისა და VI ს დამდეგის არქეოლოგიური შრე, რომელშიც ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმთან ერთად წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესი იმპორტი (იონიური თიხის ჭურჭლები და თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები). ცხოვრება განსაკუთრებით ინტენსიური ჩანს გვიანარქაულ და კლასიკურ ხანაში. ამ ხანის ფენაში მრავლადაა აღმოჩენილი მდიდრულად შემკული კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, სხვა სახის ადგილობრივი თიხის ჭურჭელი, საწაფები, ხელსაფქვავები, ქიოსური, ლესბოსური, სამოსური და თაზოსური ამფორები, იონიური და იშვიათად ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი.[8]

ბათუმის მიდამოების მოსახლეობას ამ დროს ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონია იოონურ ქალაქებთან და ეგეოსის ზღვის კუნძულებთან. კლასიკურ ხანაში (ძვ.წ. V-IV სს) ამ რეგიონის როლი საერთაშორისო ურთიერთობაში შედარებით შეზღუდული ჩანს, თუმცა, იგი კვლავაც რჩება მსხვილ ადგილობრივ სამეურნეო და სახელოსნო, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად.[9]

ძვ.წ. VI-IV სს ბათუმისციხის ურბანიზებულ სამოსახლოს, როგორც ჩანს, ჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი (ე.წ. ქორა). ამის მოწმობაა სოფ.განთიადში მიკვლეული თანადროული სამოსახლო; განთიადშივე აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს შუა ხანების სინოპური მონეტა.[10] მიწათმოქმედების და მესაქონლეობის გვერდით დაწინაურებული ჩანს ხელოსნური წარმოება. ძვ.წ. VII ბოლოდან, როგორც ჩანს, ბათუმისციხის დასახლების მიდამოებში ფუნქციონირებდა კერამიკული წარმოების ლოკალური კერა.

ჩაქვისწყლის ხეობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის რკინისსადნობი კერის, განძეულისა და ნამოსახლარების მიხედვით ჩანს, რომ იგი წინაანტიკურ ხანაში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ვითარება არ იცვლება ანტიკურ ხანაშიც. ყურაღდებას იქცევს უახლესი აღმოჩენები ჩაისუბანში (ადგილი ლომიჩამური), სადაც ნაპოვნია ანტიკური ხანის (ძვ.წ. II-I სს) ოქროს საყურე, სტილიზებული ორმაგი დრაკონის თავის გამოსახულებით, აგრეთვე, ოქროსავე ბიბირამიდული, სარდიონის, ქვისა და მინის ფერადი მძივები (მათ შორის მინის მოოქროვილი მძივები) - (სურ. 82. 1)[11].

ციხისძირი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, ამის მოწმობაა კოლხური ბრინჯაოს ცულების, თოხების, წალდების და სხვა სახის იარაღების შემცველი განძების მრავალჯერადი აღმოჩენები. პეტრას დედაციხესთან ახლოს აღმოჩნდა ძვ.წ. I ათასწლეულის (წინაანტიკური, კლასიკური და ელინისტური პერიოდის) მრავალფენიანი ნამოსახლარი, ხოლო გარე ქალაქის ტერიტორიაზე - გვიანარქაული, კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების ხანის ვრცელი სამაროვანი.[12]

---

[7] ა.ალხაზიშვილი. დასახელებული. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, I (წინაანტიკური და ანტიკური ხანა). - სდსძ, XVIII, თბილისი, 1989, ლიტ-რა იქვე.

[8] ა.ალხაზიშვილი. დასახელებული. დასახ. ნაშრ., I.

[9] ა.ალხაზიშვილი. ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1985, გვ. 73-74.

[10] ა.ალხაზიშვილი. სინოპური მონეტა განთიადიდან. - საისტორიო მაცნე, 3, ბათუმი, 1996, გვ. 31.

[11] ნ.ხურშაძე. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ჩაქვისწყლის ხეობაში. - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, გვ. 82-88.

[12] ციხისძირის სამაროვნის ადრეული მასალებიდან გამოქვეყნებულია მხოლოდ და მხოლოდ ტერაკოტები.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის მდიდარი ნივთიერი მასალა, რაც აღმოჩენილია ქობულეთი-ფიჭვნარის ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ძეგლი მდებარეობს ქ.ქობულეთის ჩრდილოეთით მე-10 კმ-ზე, ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისის)ზონაში. პირდაპირი წერილობითი ცნობა მისი ადრინდელი ისტორიის შესახებ არ შემოინახა. შესაძლებელია, პომპონიუს მელასთან მოხსენიებული კიკნოსი ამ უნიკალური ძეგლის უძველესი სახელწოდება იყოს (Pom. Mela De chronographia, I, 110). გარდა ნაქალაქარისა, ამ ზონაში დაცულია ძეგლთა მთელი ჯგუფი, რომელიც მიითვლის ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს, ადრერკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებს. ანტიკურ ქალაქთან უშუალოდ დაკავშირებულია ძვ.წ. V ს კოლხური, ძვ.წ. V-IV სს ბერძნული და ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-II სს) ვრცელი სამაროვნები, ამ ბოლო წლებში გამოჩნდა ეგრისის ძლიერების ხანის, კერძოდ, ახ.წ. IV-VI სს სამარხებიც. ფიჭვნარისაკენ კომპლექსში ექცევა ჩოლოქ-ოჩხამურის რკინის მეტალურგიის უძველესი კერა, სამოსახლოები ქვიშაზვინულებზე (დიუნებზე), საკულტო ადგილები და სასოფლო-სამეურნეო რაიონის დასახლებები. აქაური ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა მისი გარემომცველი „ქვეყნის“ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. ფიჭვნარის სამოსახლოებს კლასიკურ ხანაში 60-70 ha ფართობი ეკავა. მისი საზღვრები კიდევ უფრო იზრდება ელინიზმის ეპოქაში. აშკარაა, რომ ეს ქალაქი ძვ.წ. V-II საუკუნეებში წარმოადგენდა კოლხეთის (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის) და საერთოდ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მსხვილ ურბანისტულ ცენტრს.[13]

ძვ.წ. VI საუკუნიდან საქალაქო მშენებლობაში ტრადიციული ჯარგვალური ტიპის შენობების გვერდით ჩნდება ბათქაშით შელესილი ძელური ნაგებობანი, რომელთა იატაკი თუ კერიის ახლომახლო ადგილები აგურისებრი სქელი ფილებით ყოფილა მოგებული. ძვ.წ. V ს მეორე ნახევრიდან აქ სამარხების მშენებლობაში ზოგჯერ ქვასაც იყენებდნენ: ერთ-ერთი სამარხის თავზე გაკეთებული სამი რიგისაგან შედგენილ მშრალ წყობაზე ფოლადის გამირით გადაბმული იყო თეთრი კირქვისაგან გაკეთებული სტელა. ქვათლილების გადაბმის ეს წესი ფიჭვნარში ბერძნების მიერ ჩანს დანერგილი და ზოგიერთი სამარხის გასამართად არის გამოყენებული. ქვის წყობის თარაზული თუ შვეული გადაბმა კოლხეთის შიდა რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოში ელინისტურ ხანაში ჩანს გავრცელებული (ვანი, გორისციხე, უფლისციხე, წიწამური, არმაზციხე და ა.შ.). ფიჭვნარის ანტიკურ შენობათა ერთი ნაწილი სინოპური, ჰერაკლეური თუ ადგილობრივი კრამიტით ყოფილა გადახურული. არის წყალგაყვანილობის არსებობის ნიშნებიც. საერთოდ კი, ფიჭვნარის გარემოსათვის ქვის შენობების ფართო გავრცელება ნაკლებად სავარაუდოა - ნესტიან პირობებში ბათქაშით შელესილი ხის ნაგებობები გაცილებით ბრაქტიკული უნდა ყოფილიყო.

არქაული ხანიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობას, როგორც ითქვა, მჭიდრო კონტაქტები ჰქონია ანტიკური სამყაროს, კერძოდ, მატერიკული საბერძნეთის, ეგეოსის ზღვის კუნძულებისა და მცირე აზიის არაერთ ადრედაწინაურებულ

იხ. G.Tsetskhlagze, N.Vashakidze. Teracota figures of animals from Colchia. - Dialogues d, Histoire Ancienne 20. I, 1994, 109-125.

[13] ა.კახიძე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთი-ფიჭვნარი). - მსკა, IV, 1965; მისივე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში (სადოქტორო დისერტაცია), 1979. ა.კახიძე. ბ.ფიკერსი. ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004; ა.კახიძე. ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007 და სხვ.

საქალაქო ცენტრთან. ამ ურთიერთობათა ამსახველია ფიჭვნარში მოძოვებული როდოსულ-იონიური თუ ატიკური ნაწარმი, ძირითადად, სუფრის და საოჯახო თიხის ჭურჭელი, ქიოსის, ლესბოსის, სამოსის, თაზოსის, მენდეს, ბიზანტიონის, სინოპეს, ჰერაკლეის და ბანტიკაპეონის ამფორები, ფინიკიისა თუ ეგვიპტე-სირიის სახელოსნოებიდან გამოსული მრავალრიცხოვანი მძივები და ფერადი მინის შესანიშნავი სანელსაცხებლები, ტყვიის ატიკური საწონები, ქიზიკინები, სინოპური დრაქმები, ბანტიკაპეონის, ბანტიკაპეონის აბოლონიის, თეოდოსიის, ნიმფეის ფულები, ამისოს მონეტა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, სიცილიის ქალაქ სირაკუზის მონეტა და ა.შ. დადასტურდა, რომ კოლხეთის ზღვისპირეთს გვიანარქაულ, კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში უწყვეტი, პირდაპირი თუ საშუამავლო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ანტიკური სამყაროს ისეთ ცენტრებთან, როგორიც იყვნენ მილეტი, ქიოსი, ლესბოსი, ათენი, სინოპე, ჰერაკლეა, ბანტიკაპეიონი, ნიმეფი და სხვა.[14]

ადგილობრივი თუ უცხოური მონეტების მიმოქცევა მიგვანიშნებს აღებ-მიცემობის მაღალ დონესა და ვაჭართა ფენის არსებობაზე; სახეზეა რთული სოციალური სტრატიგრაფიის მქონე კლასობრივი საზოგადოება; ეკონომიკის, კულტურის, საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე.

ფიჭვნარის სამაროვნები მდიდარ და მრავალფეროვან მასალებს შეიცავს ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურის, უძველესი რელიგიური რწმენა წარმოდგენების, სოციალური და ეთნიკური შედგენილობის განსაზღვრისათვის.

გვიანარქაულ და ადრეკლასიკურ ხანაში (ძვ.წ. VI ს ბოლო - V ს პირველი მეოთხედი) თემური ურთიერთობების რღვევისა და კოლხეთში ადრეკლასობრივი საზოგადოების ფორმირებასთან დაკავშირებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში წამყვანი ხდება ინდივიდუალური ინჰუმაციური სამარხები. ძვ.წ. V საუკუნეში ფიჭვნარელი კოლხები მიცვალებულს კრძალავენ ოთკუთხა თუ წაგრძელებულ ოვალურ ორმოსამარხებში. ზოგჯერ ჩნდება მცირე ზომის კენოტაფური სამარხებიც. ერთჯერ ახალშობილი ელინური ადათ-წესების მსგავსად ამფორაშიც დაეკრძალათ. მიცვალებულთა ერთი ნაწილი თავით ჩრდილოეთისაკენაა ორიენტირებული, რაც უძველესი ადგილობრივი წესი ჩანს. გვხვდება აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი სამარხებიც, ეს კი ბერძენი მოახალშენეების გავლენის მაჩვენებელი უნდა იყოს. არის განსხვავებული (სამხრეთისკენ თუ დასავლეთისკენ) ორიენტაციის სამარხებიც. სახეზეა შემთხვევები, როცა სილნარ ნიადაგში ჩაჭრილი საოჯახო სამარხები ერთმანეთთან ვიწრო ბილიკებითაა დაკავშირებული.

სამარხეული ინვენტარის განლაგების მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებულთა ერთი ნაწილი დაკრძალული ყოფილა ზურგზე, გაშოტილ პოზაში. ამავე წესს მიმართავენ ფიჭვნარელი ბერძნებიც. ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე ფიქსირებული კრემაციული მოედნების (დადასტურებულია ორ შემთხვევა) მიხედვით კოლხთა დაკრძალვის რიტუალში ბერძნებსაც მიუღიათ მონაწილეობა და საკუთარი აღაპის წესი შეუსრულებიათ. ბერძნებისავე მიბაძვით ზოგიერთ ადგილობრივ სამარხში თავის დროზე ქვესკნელის (ჰადესის) ღმერთების

[14] ა. კაკაბაძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. - სდსძ. II, თბილისი, 1971, მისივე. Иноземные монеты из могильника Пичвнари. - ВДИ, 3, 1974; ა. გარშალომიძე. სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური შრომები, III, ბათუმი, 2005, გვ. 53-56.

საპატივცემულოდ თუ მიცვალებულთა სულის მოხსენიების მიზნით, ხის კუბოს გარეთ, ღვინიანი ამფორა ჩაუდგამთ. ფიჭვნარის ორივე სამაროვანი (ბერძნული, კოლხური) ბონტოს სანაპიროზე ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, სადაც (ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედიდან მაინც) გავრცელებულია ე.წ. „ქარონის ობოლის“ - მონეტის ჩაყოლების წესი. შავიზღვისპირეთის სხვა, თვით ბერძნულ ნეკროპოლებზეც კი, ეს წესი ძვ.წ. IV საუკუნეში იჩენს თავს. ეს საყურადღებო ფაქტი, როგორც ჩანს, ფიჭვნარისა და ათენის მჭიდრო კონტაქტებით უნდა აიხსნას.

ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის კოლხურ სამაროვანზე დაკრძალული ჩანან სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. სამარხთა დიდი ნაწილი ეკუთვნის ადგილობრივი საქალაქო თემების რიგით წევრებს. ფიქსირებულია ხის სახურავიანი თუ ხის კუბოიანი სამარხები რამდენიმე თიხის ჭურჭლით, ნაირნაირი სამკაულით, იმპორტული ამფორებითა თუ სხვა კერამიკული ნაწარმით; ზოგჯერ - მინის ჭურჭლით. აღინიშნება გარკვეული სახის აღაპის გადახდა. სამარხთა მნიშვნელოვანი ნაწილი უღარიბეს ფენებს ეკუთვნოდათ და ისინი ზოგჯერ ცალკე უბნებად იყო განლაგებული, უმეტესად უინვენტაროდ: აქ არც ხის კუბოს თუ მისი სახურავის რკინის ლურსმნები ჩანს, იშვიათად აყოლებდნენ დაზიანებულ, ხმარებიდან გამოსულ თიხის ჭურჭელს.

მცირე ჯგუფს ქმნის რიგითი მეთემეებიდან გამოყოფილი, საშუალო შეძლების პირთა სამარხები, რომლებშიც ყოველდღიური მოხმარების საგნებთან ერთად წარმოდგენილია ადგილობრივი თუ უცხოური კერამიკული ნაწარმის, კოლხური თუ სინოპური მონეტების, ფერადი მინის, მძივებისა თუ სანელსაცხებლების, ოქრომჭედლობის და სხვა სახის ნაწარმის მაღალმხატვრული ნიმუშები. ფიჭვნარის ადგილობრივი მოსახლეობის მდიდრული ფენების სამარხები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. არის ნიშნები, რომ ვანის ნაქალაქარის მსგავსად, ისინი ქალაქის სხვა უბანზე იმარხებოდნენ.

ამრიგად, ფიჭვნარის კოლხურ საქალაქო თემებში შორსაა წასული სოციალური დიფერენციაციის პროცესი. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედისათვის თითქმის დასრულებულია კლასებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების ფორმირება, სახეზეა ვაჭართა ფენა, კოლხური კულტურა ავიდა განვითარების მაღალ საფეხურზე. მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების სასაქონლო ხასიათის ზრდამ ხელი შეუწყო ახალი ფორმებისა და მიმართულებების გაჩენას. სამეთუნეო ხელოსნობაში ტრადიციულ ზოგადკავკასიური და კოლხური სახეობების გვერდით ინერგება ახალი, ე.წ. ფიჭვნარული, ან კიდევ ელინიზებული ფორმები, რომელთა დამახასიათებელი ნიშანია ტიპების მრავალგვარობა, დახვეწილი პროპორციები, შემკობის სინატიფე და სისადავე. ამ დროის ფიჭვნარის ადგილობრივი მოსახლეობა ზომიერად იყენებდა უცხოურ ფუფუნების საგნებს (სადაზოლებიანი იონიური კერამიკა, მინიატურული ჰიდრიები, ამფორები, ოინოხოები, ჯამები, იხთიები, სამოსური და ატიკური მოხატული და ორნამენტირებული ლეკითოსები, ე.წ. „ნატიფი კლასის“ თუ სადა კილიკები, კანელურებიანი ტოლჩები, ბოლსალები, ამფორისკები, ჯამები, თასები, ასკოსები, სკიფოსები, ე.წ. სენ ვალენტინის სტილის კანთაროსები, ლესბოსის, ქიოსისა და თაზოსის ამფორები და ა.შ.). ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დიდ მიდრეკილებას იჩენდა უცხოური სამკაულებისადმი, ნაირნაირი მძივებისადმი. იმპორტული ნაკეთობანი მეტ-ნაკლებად მისაწვდომი ჩანს რიგითი ფენებისათვისაც.

ფიჭვნარის კოლხური სამაროვანის ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ

კოლხეთი უძველესი სამონეტო ცივილიზაციის ქვეყანაა. მონეტა თითქმის ყოველ მეორე-მესამე სამარხში ჩაეყოლებინათ. ცხადია, ე.წ. „კოლხური თეთრი" უბირატესად საშინაო ბაზარს ემსახურებოდა და მისი ემისიაც სამეფო ხელისუფლების ბრეროგატივა უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ ადრეული მსხვილი ნომინალების ემისიას ზღვისპირა ქალაქები, ვთქვათ, ფაზისი ახორციელებდა. ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლების გარდა, ფიჭვნარის სამაროვანზე წარმოდგენილია იშვიათი ეგზემპლარიც, რომლის შუბლზე დაღრენილი ლომის თავია გამოსახული, ხოლო ზურგზე - ჩაჭდეულ კვადრატში - ძუ ლომის პროტომა მარჯვენა პროფილში.

ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩნდა ერთადერთი ადრეული სინობური დრაქმა, რომლის შუბლზე გამოსახულია ზღვის არწივის თავი, ზურგზე - ჩვეულებრივ - ჩაჭდეული კვადრატი. მონეტა თარიღდება ძვ.წ. 500-443 წლებით (ასე ადრეული სინობური მონეტა ბონტოს სანაპიროებიდან აქამდე უცნობი იყო).[15]

ადგილობრივი ხელოსნური წარმოების (საიუველირო საქმე, ქვის დამუშავება, მეთუნეობა, რკინის წარმოება და სხვა), ადათ-წესების, რწმენა-წარმოდგენების, გამოყენებითი ხელოვნებისა და სხვადასხვა ქვეყნებთან პირდაპირი თუ საშუამავლო ურთიერთობების გარკვევისათვის საყურადღებოა მინის, ოქროს, სარდიონის, ქარვის, ტყვიის, ბრინჯაოსა და თიხის მრავალრიცხოვანი მძივები და მძივსაკიდები. არქაულ ხანასთან შედარებით სარდიონისა და გიშერის მძივების ადგილობრივი წარმოება საგრძნობლად მცირდება და წამყვან ადგილს ეგვიპტე-სირიის სახელოსნოებში დამზადებული მინის სამკაული იკავებს. სხვა სახის სამკაულთაგან აღსანიშნავია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რგოლსაკიდები, საყურეები, ზარაკები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, ფარაკინები ბეჭდები და ა.შ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამკაულთა ერთი ნაწილი დაფარულია მხოლოდ ფიჭვნარისათვის დამახასიათებელი მჭიდროდ განლაგებული კონცენტრული წრეებით. ზოგიერთი სახის სამკაულს საერთოდ არ ეძებნება ანალოგი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საიუველირო ხელოვნების და ტორევტიკის ზოგიერთი ნიმუში ფიჭვნარელ ხელოსანთა შემოქმედების ნაყოფია. ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება დავუშვათ, რომ დასავლეთ საქართველოში ოქრომჭედლობის ვანის წამყვანი სკოლის გარდა, მოქმედებდა სხვა კერებიც, რომელთაგან ერთ-ერთი ფიჭვნარში უნდა ყოფილიყო. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ აქაური ნახევარმთვარისებრი ოქროს საყურეების ერთი ნაწილი ბარალელებს ძველი აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებთან ნახულობს, ხოლო მეორე ნაწილი კი (მხედველობაშია ვარდულიანი და ორნამენტირებული სარტყლით შემკული ნახევარმთვარისებრი საყურეების ბრწყინვალე ნიმუშები) თვით კოლხეთის (ვანი, საირხე, შრომისუბანი) მონაპოვრებთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ სახის სამკაულები ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ფიჭვნარშია აღმოჩენილი, სადაც გვხვდება, აგრეთვე, ბრინჯაოსა თუ ვერცხლისაგან დამზადებული ნახევარმთვარისებრი საყურეები; როგორც ჩანს, ანტიკური სამყაროსთან ურთიერთობების გზით ამ სახის სამკაულებს პირველ რიგში ზღვისპირეთის მოსახლეობა გაეცნო. შემდეგ იგი თანდათანობით კოლხეთის შიდა რაიონებშიც გავრცელდა და შეიქმნა მათი ადგილობრივი კოლხიზირებული

[15] ა.კეკელიძე. უხოური მონეტები ფიჭვნარის სამაროვნიდან. - „მაცნე", 3, 1974.

ვარიანტებიც.[16] ჯერჯერობით ბარალელი არ ეძებნება ბრინჯაოსრკალიან და მინის თვალით შემკულ ოქროს საყურეს, ასევე ბეჰემოტის თავების გამოსახულებიან, ბოლოებგახსნილ მასიურ საყურეს, რომელიც დაფარულია ცვარათი და გრეხილწნული ურთიერთმონაცვლე ზოლებით. საუკეთესო ნაკეთობაა ოქროსბურთულებიანი, ელექტრუმისა და ვერცხლის სხივანა საყურეები, რომელთა მსგავსი აღმოჩენილია ვანის ერთ-ერთ სამარხში.[17] ფიჭვნარის ბრინჯაოს ბიკონუსურ საყურეებს უკავშირდება ჩრდილო კავკასიის, ბოლგისპირეთისა და ურალისპირეთის სამკაულები, ხოლო ბრინჯაოს მაშასა და საკისრე რგოლს-ყირიმის ნახევარკუნძულის ტავრულ ტომებში გავრცელებული ნაწარმი. ანტიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭრილფარაკიანი ბეჭდები, რომელთაგან ერთ-ერთზე გრიფონია გამოსახული, ხოლო მეორეზე - ნიამორი თუ კრეტული თხა.[18]

ფიჭვნარის კოლხურ სამარხებში შედარებით იშვიათია რკინის ხელშუბები, ე.წ. სკვითური ისრისპირები, რკინის დანები, ქვის სალესები, ფერადი მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოს სიტულები და ა.შ., აღარ გვხვდება იარაღი, რომლის ტარების უფლება, როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენელთა და მდიდარი ფენების პრივილეგიად იქცა.[19] სამაგიეროდ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ ხშირად იარაღი რიგით სამარხებშიაც ჩნდება, რაც, როგორც ჩანს, იმითი აიხსნება, რომ ამ რეგიონს ანტიკურ ხანაშიც ეკისრებოდა მომთაბარე ტომებისაგან ქვეყნის დაცვის ფუნქცია. მსგავსი საშიშროება არ ჩანს ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში.[20]

ამგვარად, ძვ.წ. VI ს. ბოლოსა და V საუკუნის დამდეგისათვის ძველ კოლხეთში ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს, რაც კარგადაა ასახული ქობულეთ-ფიჭვნარის კოლხური თემების სამაროვანზე, აგრეთვე სხვა ძეგლებზე (ბათუმისციხე, მახვილაური, ციხისძირი, კვაშტა...) ფიქსირებულ ვითარებაში.

---

[16] ოქროს ნახევარმთვარისებრი საყურეებისა და სხვა სახის სამკაულის შესახებ. იხ. ოთ.ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი. - ვანი, I, თბილისი, 1972; ა.ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. - ვანი, VI, თბილისი, 1981; ჯ.ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი, 1990; Скржинская М.В. Греческие серьги и ожерелья архаического периода. - Ольвия и её округа, Киев, 1986. აქვეა ლიტერატურა.

[17] ა.ჭყონია. ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან. - ვანი, II, თბილისი, 1977.

18 ო.ლორთქიფანიძე. კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები, თბილისი, 1975, გვ. 21 და შმდ.

19 ა.ბაგაშვილი. ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 80-81.

20 ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის შესახებ იხ.: Кахидзе А.Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981; ა.კახიძე. მ.ჯიკერსი, ფიჭვნარი I, 2004.

§3. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში აჭარის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ბარული მეურნეობის ზონაში, შეინიშნება მეურნეობის ზოგიერთი დარგის შემდგომი გაფართოება და სასაქონლო წარმოების ზრდა. მხარის ეკონომიკურ საფუძველს ამ დროსაც მიწათმოქმედება შეადგენდა. თოხურ მიწათმოქმედებასთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ფოლადის სახნისიანი სახვნელი[1] (ანტიკური ხანის ფოლადის სახნისი ნაპოვნი იყო ფიჭვნარის ნაქალაქარზე). დადასტურდა, რომ აქ მოყავდათ როგორც მარცვლოვანი, ასევე ტექნიკური კულტურები. ხორბლეულთაგან უძველესი სამიწათმოქმედო მცენარეა ღომი. სამიწათმოქმედო იარაღების, კერძოდ, თოხების ერთი ჯგუფი სწორედ ღომის კულტურასთანაა დაკავშირებული.[2] ქობულეთ-ფიჭვნარის ძეგლების ტერიტორიაზე (ნამჭედურის ნამოსახლარი) მოპოვებულია როგორც ღომის, ისე სპელტის (ორმაცვალა ხორბლის) ნაშთები.[3] ეს სულაც არ მოგვეჩვენება მოულოდნელად, თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოში ცნობილი 16 ჯიშის მარცვლეულიდან 11 სახეობა საქართველოშია შემორჩენილი.[4] აქვეა აღმოჩენილი ხორბლეულის მოშენებასთან დაკავშირებული იარაღები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები.[5] გვაქვს მონაცემები, რომ კოლხეთში მოყავდათ სელი და სხვა ტექნიკური კულტურები, რომელთაც იყენებდნენ როგორც ბოჭკოსათვის, ასევე ზეთის მისაღებად.[6]

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში მიწათმოქმედებისათვის კვლავაც კარგი პირობები ჩანს როგორც მთისწინა ზოლში, ისე ზღვისპირეთში; მჭიდროდაა დასახლებული ჭოროხისა და სხვა მდინარეების ქვემო წელი, ბათუმისციხის მიდამოები, ციხისძირი და ფიჭვნარი. გარდა მარცვლეულის ნაშთებისა, აქ ხშირად ჩნდება ლითონის თოხები, კაჟისა და ბრინჯაოს ნამგლისპირები, ხის სახვნელები და რკინის (ფოლადის) სახნისები, ხელსაფქვავები და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვა სახის იარაღები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკვლევი ტერიტორია ადრიდანვე ეკუთვნოდა ტრადიციულ სამიწათმოქმედო კულტურათა არეალს.

---

[1] უძველესი ხის მარტივი კაგები ბიჩორასა და ფიჭვნარშია აღმოჩენილი. ბროფ. თ.მიქელაძე ლითონის სახნისის არსებობას გვიანბრინჯაოს ხანიდან ვარაუდობდა, როცა კოლხეთის მითიური მეფე აეეტი მიწას ხნავდა ფოლადის სახვნელით. იხ.: Микеладзе Т.К. К вопросу о периодизации истории древней Колхиды. - Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник, IV), Тбилиси, 1973, с.131.

[2] Куфтин Б.А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. - სსმმ, XII-В. 1944, გვ. 319, სურ. 155.

[3] Микеладзе Т.К., Хахутаишвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985, с. 19. 24. табл. 58.

[4] Вавилов Н.И. Мировые очаги (центры происхождения) важнейших культурных растении. - Труды, II, М.-Л., 1960, с. 45.

[5] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ.ნაშრ., გვ. 24, ტაბ. 38; **ანაგლეზეშვილი**, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში. - სდსმ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 3-24, ტაბ.X.

[6] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. указ. соч., с. 24, 25, 30.

ადრეანტიკურ ხანაში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დაწინაურებული, ცალკე გამოკვეთილი დარგი ჩანს მევენახეობა-მეღვინეობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფიჭვნარის, კოხის, ციხისძირის, ბათუმისციხის, მახვილაურისა და კვაშტას ქვევრები, ადგილობრივი თუ უცხოური საღვინე ჭურჭლები. ადგილობრივი საღვინე ტარის დამზადება და უცხოეთში გატანა (კერძოდ, ჩრდილო შავიზღვისპირეთში) იმის მაჩვენებელია, რომ კოლხური ღვინო ამ დროს ექსპორტის საგანი ყოფილა. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით მევენახეობა-მეღვინეობაში უფრო დაწინაურებული იყო მთისწინა ზოლი. ანტიკურ ხანაში ბაღჩეული კულტურებიც მოყავთ დიდი რაოდენობით, აგროვებდნენ წაბლს, თხილს, პანტასა და რკოს.[7]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრიდანვე არსებობდა შესანიშნავი პირობები მესაქონლეობის განვითარებისათვის. ფიჭვნარში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აქ გავრცელებული ყოფილა ტანმორჩილი რქოსანი პირუტყვი, დიდი სამეურნეო გამოყენება ჰქონია ხარს, აშენებენ თხას, ცხვარსა და ღორს. შესანიშნავი პირობები იყო მეღორეობისათვის (არქეოლოგიურ მონაპოვარში ღორის ძვლებს წამყვანი ადგილი უკავია). ჯერჯერობით ნაკლებად გვხვდება ცხენისა და ფრინველთა ძვლები. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თავისი „მთითა და ბარით“ იყო ის რაიონი, სადაც მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ორგანულად იყო შერწყმული.[8] ეჭვს გარეშეა, რძის პროდუქტების გარკვეულ ნაწილს ამ პერიოდში სასაქონლო ხასიათი უნდა ჰქონოდა.

აჭარაში დღემდეა შემორჩენილი მეფუტკრეობის ძველი ფორმები. კოლხეთისათვის ერთ-ერთ საექსპორტო ნაწარმს სანთელი და ცვილი წარმოადგენდა. ანტიკურ ხანაში კვლავაც საპატიო ადგილი ეკავა მითვისებითი მეურნეობის უძველეს ფორმას - ნადირობას. ფიჭვნარის მონაპოვარში ხშირად გვხვდებოდა ირმისა და გარეული ტახის ძვლები.

კოლხეთში ფრინველზე, კერძოდ, ხოხბებზე ნადირობას სარეწაო-საექსპორტო ხასიათი უნდა ჰქონოდა და საამისოდ სანაშენე ფერმების არსებობასაც ვარაუდობენ.[9] ზღვის სიახლოვემ და თევზით მდიდარი მდინარეების ქსელმა განსაზღვრა მეთევზეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ მიმართებით მრავალრიცხოვანია თევზჭერასთან დაკავშირებული ტრადიციული ნივთიერი მასალები (საწაფები, ანკესები და ა.შ.). როგორც ჩანს, ბერძნებს აქედანაც გაქონდათ დამარილებული თევზი, რადგან მასზე დიდი მოთხოვნილება იყო საერთაშორისო ბაზარზე. ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში აქ საერთოდ მეთევზეობასა და კონკრეტულად დელფინის ქონის დამზადებას სარეწაო ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ამგვარად, ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეთევზეობასა და მეურნეობის სხვა ბევრ დარგს შემდგომი აღმავლობა განუცდია. მსგავსი ძვრები, ბუნებრივია, დაკავშირებული იყო კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობასთან, სასაქონლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდასთან, საშინაო და საგარეო ბაზრის წარმოქმნასთან, ფულადი ემისიის გაჩენასთან და ა.შ.

ძვ.წ. VI-IV სს ხელოსნობის მანამდე არნახული აღმავლობის ხანაცაა. დასრულდა რკინის გამოყენებაზე გადასვლა (ამ დროს წარმოების უმთავრესი საშუალებანი სწორედ ფოლადისგანაა დამზადებული). სხვადასხვა ძეგლზე მოპოვებულია რკინის სახნისები, შუბისპირები, სხვადასხვა სახის სამკაულები და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რკინისგან

[7] Лордкипанидзе Г.А. К истории... с.54.

[8] ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში. - სდსძ, XV, თბილისი, 1986, გვ. 45.

[9] Лордкипанидзе Г.А. К истории... с.68-69.

ნაჭედი ლურსმნები, რომლებიც ხის კუბოს დასამზადებლად თუ სამარხთა ხის სახურავების შესაჭედად იყო გამოყენებული (ზოგიერთი სამარხის გათხრისას 30-დან 40-მდე მოზრდილი რკინის ლურსმანი აღმოჩნდა). მხოლოდ ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ როგორც კოლხურ, ასევე ბერძნულ მოსახლეობაში ეს ლითონი ფართო მოხმარების საგანი გამხდარა. ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების გათხრებისას იშვიათად სამჭედლო რკინის წიდებიც ჩნდება, ხოლო ვანის ნაქალაქარზე რკინის მაშაც აღმოჩნდა, რომელიც მჭედლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.[10] ანტიკური ხანის რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ძეგლები ძალზე ცოტაა ცნობილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. აღიარებულია, რომ ადრეანტიკური ხანისათვის შერეული ხასიათის ხელოსნობის ეს დარგი ყველა ქალაქ-სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო განვითარებული.[11]

ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით (შრომისა და საბრძოლო იარაღ-საჭურველი, სამკაულები, რკინის ლურსმნები და ა.შ.) ირკვევა, რომ რკინის მეტალურგია და მჭედლობა ხელოსნური წარმოების წამყვანი დარგები იყო.

ადრეანტიკურ ხანაში რკინის ნაწარმი, როგორც ითქვა, ყოველდღიურად მოიხმარებოდა და მან საბოლოოდ გამოდევნა ბრინჯაო. თუმცა, ბრინჯაოსა და ვერცხლის წარმოება შეზღუდულ ფარგლებში ისევ გრძელდებოდა, რადგან მასობრივი მოხმარების სამკაულები უპირატესად ამგვარი ლითონებისაგან მზადდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება ბრინჯაოსა და ვერცხლს. შეინიშნება სამკაულების დამზადების ერთიანი, უნიფიცირებული სტილის არსებობა, გამოიყოფა წარმოების ლოკალური კერები.

ანტიკური ხანა ოქრომჭედლობის აყვავების პერიოდია. ამ დროს ყველაზე მძლავრი ოქრომჭედლობის სკოლა, როგორც ჩანს, ანში მოქმედებდა.[12] უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დამზადებული ოქროსა თუ ვერცხლის ნივთები მეზობელ რაიონებშიაც ვრცელდებოდა (მთისძირი, ითხვისი, საჩხერე, შესაძლოა, მთიანი რაჭა). ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ლოკალური კერა ფიჭვნარშიც უნდა არსებულიყო,[13] სადაც გავრცელებულია, აგრეთვე, უცხოური ნაკეთობანიც. ამ დროს ფუფუნების საგნებისადმი დიდ მიდრეკილებას იჩენენ როგორც ადგილობრივი შეძლებული ფენების წარმომადგენლები, ისე ფიჭვნარელი ბერძნებიც. ამ ბოლო წლებში ოქროს ნივთები აღმოჩნდა ბეტრა-ციხისძირის, ჩაქვის ჩაისუბნის და ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ახალშენისა და ზანაქიძეების (სატეხია) არქეოლოგიურ მონაპოვრებშიც.

ძ.წ. VI-IV საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურზე ასულა მეთუნეობაც. იგი აგრძელებს ძველ ტრადიციებს, თუმცა, ნაწარმის დიდი ნაწილი ნოვაციური შემოქმედების ნაყოფია. ამავე დროს შეინიშნება სტანდარტიზაციისაკენ სწრაფვა,[14] ჭურჭლის შემკობის სისადავე და ფორმათა დახვეწილობა. ეს განსაკუთრებით ადგილობრივ ნაწარმს შეეხება, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევდა ატიკური მაღალხმატვრული ნაკეთობანიც კი. ბირიქით, ფიჭვნარელ ბერძენთა შორის ადგილობრივი თიხის ჭურჭელი დიდი მოწონებით სარგებლობდა და ხშირად ბერძენთა სამარხეულ ინვენტარშიაც გვხვდებოდა. როგორც ჩანს, ამ ტერიტორიაზე

---

[10] Лордкипанидзе Г.А. К истории... с.72.

[11] Шелов Д.Б. Железодетальное производство в Северном Причерноморье в раннеантичное время. - КСИА, 159, 1979,с. 3-9.

[12] Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида, Тбилиси, 1979, с. 197-215.

[13] შეად. Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида,... с. 95.

[14] თ.ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - „ეაცნე", ისტორიის... სერია, 2, 1978.

მოქმედებდა კერამიკული წარმოების საკმაოდ მძლავრი კერა (სურ. 31, 32, 33).

სასოფლო დასახლებებისა და საქალაქო ცენტრების ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ტრადიციული დარგი ფეიქრობა ყოფილა, რაზედაც მოგვეპოვება მდიდარი მონაცემები. კოლხური სელის საუკეთესო თვისებები კარგადაა ასახული ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, კალიმაქსე, პინდარი, სტრაბონი და ა.შ.). ივ.ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ სელის მცენარე, რომლის ქართული სახელწოდება არცერთი ხალხის ტერმინს არ ენათესავება, ერთ-ერთი უძველესთაგანია საქართველოში, რომ ეს კულტურა ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩანს.[15] საქართველოს ყველა კუთხეში შემოინახა მდიდარი ემპირიული ცოდნა სელისაგან როგორც ბოჭკოს, ისე ზეთის მისაღებად გამოყენების შესახებ.[16] აქვე მზადდებოდა შალის ნაწარმიც. მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის დაწინაურება ხელს უწყობდა რთვა-ქსოვისათვის აუცილებელი სანედლეულო ბაზის შექმნას. წერილობით ცნობებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებს ამდიდრებს საველე კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალა, რომელთა ერთი ნაწილი გამოვლენილია აჭარის ტერიტორიაზეც; აქაც ფეიქრობა საოჯახო ხელოსნობის ერთ-ერთი უძველესი დარგი ჩანს.

ანტიკური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა საქალაქო ცენტრები თუ ურბანიზებული სამოსახლოები ფართოდ ებმებიან საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელშიც აქაური სელისა თუ კანაფის ნაწარმიც მონაწილეობდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას ვხვდებით სტრაბონთან: „ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (იგი მეტწილად მწარეა) და მოიპოვება ყოველგვარი ნავთსაშენი მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოაცურებენ. ბლომად ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილს და ფისს, ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც არის: (ქვეყნის) გარეთაც კი გააქვთ“.[17] კოლხეთის მიმართ სტრაბონის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები თანაბრად შეეხება ამ ქვეყნის ცალკეულ მხარეებს, მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. გემთსაშენი ხე-ტყის ექსპორტთან ერთად, როგორც ჩანს, ხდებოდა იალქნებისათვის აუცილებელი საგანგებო, გამძლე ქსოვილის ექსპორტიც. ამ სახის ქსოვილის დამზადების ერთ-ერთი ცენტრი ფიჭვნარი უნდა ყოფილიყო, სადაც ქსოვილიან კერამიკასთან, მრავალრიცხოვან კვირისტაკებთან და თვით ქსოვილის ნაშთებთან ერთად, აღმოჩენილია შედარებით დიდი ზომის, ე.წ. პირამიდული საწაფები, რომელთაც ვერტიკალური საქსოვი დაზგის ძაფების დასაჭიმად იყენებდნენ. ისინი ადრებრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი, მაგრამ ჩვენთან უფრო გვიან, ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების გზით ვრცელდებიან. ძნელია გადაჭრით თქმა, თუ ბერძნების მოსვლამდე ქსოვის როგორი იარაღი იყო ცნობილი კოლხებში. ბ.კუფტინი ჰორიზონტალური დაზგის არსებობას ვარაუდობდა.[18]

ბერძნულ მოხატულ ვაზებზე წარმოდგენილი სიუჟეტების მიხედვით შესაძლებელი გახდა ვერტიკალურ დაზგაზე ქსოვის პროცესის გაცნობა, ხოლო შვეიცარიის ხიმინჯიან ნაგებობებში აღმოჩენილი ნაშთების მიხედვით - საქსოვი დაზგის რეკონსტრუქციაც კი.[19]

ფიჭვნარში აღმოჩენილია საწაფების რამდენიმე სახეობა (სურ. 81. 4). პირველ ჯგუფში

---

[15] ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფილისი, 1930, გვ. 373.

[16] გ.ჩარაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I, სელი. - სსმმ, XIX-B, 1950; ლ.მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1963.

[17] ო.ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 123-124.

[18] Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси., 1950, с. 291, 292.

[19] Гайдукевич В.Ф. К вопросу о ткацком ремесле в Боспорских поселениях. - МИА, 25, 1952, с. 402-403.

ერთიანდებიან დიდი ზომის წყვილნახვრეტიანი საწაფები, რომელთაგან ზოგიერთი 1 კგ-მდე იწონის. მათ, როგორც ჩანს, კარვის, ბაგირების თუ საიალქნე ქსოვილის ძაფების დასაჭიმად იყენებდნენ. რამდენიმე ცალი მსგავსი საწაფი მობოვებულია ვანში (უფრო ხშირად ცალნახვრეტიანი საწაფები გვხვდება).[20] წყვილნახვრეტიანი საწაფის ზედა ნაწილი აღმოჩენილია გუად-იხუს ნეკროპოლზე.[21] ისინი ცნობილია, აგრეთვე, ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან[22] (ათენის აგორა,[23] კ.ქიოსი[24] და ა.შ.). მეორე ჯგუფის საწაფები შედარებით პატარა ზომისაა. ვხვდებით, როგორც წყვილნახვრეტიან, ასევე (იშვიათად) ერთნახვრეტიან პირამიდულ საწაფებს; შედარებით ნაკლებია მესამე ჯგუფის პირამიდული საწაფები (ისინი მომაღლო და შედარებით ბატარა ზომისანი არიან). ამ მონაცემების მიხედვითაც ჩანს, რომ ფიჭვნარში ფეიერობას ფართო ხასიათი მიუღია.

თიხის პირამიდული საწაფები ცნობილია საქართველოს სხვა თანადროული ძეგლებიდანაც (ეშერა,[25] სოხუმი და მისი მიდამოები,[26] სოხუმის მთა,[27] გუად-იხუს ნეკროპოლი, ოჩამჩირე,[28] დიდი რაოდენობით ვანის ნაქალაქარზე,[29] ურეკი,[30] გურიანთა,[31] ბათუმისციხე,[32] აგარა, მახვილაური და ა.შ.[33]).

აჭარის ზღვისპირეთში მდიდარი მასალებია მობოვებული ანტიკური ხანის სხვადასხვა ცენტრებთან საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებაც. მათ შორის წამყვანია კერამიკული ტარა (ამფორები), ბერძნული (იონიური) ცენტრების სამეთუნეო ნაწარმი, ათენური (ატიკური) სადა, ორნამენტირებული თუ მოხატული ვაზები, ნუმიზმატიკური მონაბოვრები, ტორევტიკის ნიმუშები, მინის ნაწარმი, ოქრომჭედლობისა და გლიპტიკის ნიმუშები, სამკაული და ა.შ. ყველაფერი ეს ასახავს იმ ურთიერთობის საერთო სურათს, როგორიც არქაულ და კლასიკურ ხანაში არსებობდა პონტოს სანაპიროს ამ ნაწილსა და ანტიკური სამყაროს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრებს შორის.

რაც შეეხება სატრანზიტო ტარას, იგი მოიხმარებოდა როგორც სამეურნეო, ისე სავაჭრო საქმიანობაში. მათ იყენებდნენ სხვადასხვა სახის პროდუქტების, განსაკუთრებით კი ღვინისა და ზეთისხილის ზეთის, დამარილებული თევზის, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე, ახალშობილთა სამარხებად, სამარხეულ ინვენტარად და სამშენებლო მასალადაც კი. როგორც სატრანზიტო კერამიკული ტარა,

---

[20] **Хоштария Н.В.** Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году. - МЫА. II, 1959. ტაბ. 62.

[21] **Трапш М.М.** Краткий отчет о результатах археологических исследований в Сухуми в 1952 г. - Труды АБИЯЛИ, XXV, Сухуми, 1955, с. 190, рис. 8.

[22] **Кругликова И.Т.** Ремесленное производство простой керамики Пантикапея. - МИА, 56, 1957, с. 135.

[23] **Petter E. Corbett.** Attic pottery of the Later fifth century from the Athenian Agora. - Hesperia, 18, 1949, 101, N124.

[24] **J.K. Anderson.** Excavations of the Kofina ridge Chios, - BSA, XLIX, 1954. pp. 172, 182.

[25] **Куфтин Б.А.** Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, с. 14.

[26] **Сизов В.** Восточное побережье Черного моря. - МАК, II, Москва, 1889, с. 14; **Трапш М.М.** Диоскурия. - Труды II. Сухуми, 1969, таб. XXVIII, 11, 13.

[27] **ალ.კალანდაძე.** სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, გვ. 39.

[28] **Куфтин Б.А.** Материалы..., II, с.161.

[29] **Хоштария Н.В.** Указ. раб., с. 321.

[30] **ო.ჯაფარიძე.** დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. - სსმმ, XVI-B, 1950, გვ. 121.

[31] **ნ.გაშაკიძე.** გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. - სდსძ, II, 1971, გვ. 23, ტაბ. 4/4.

[32] **ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი.** მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. - სდსძ, XVIII, 1980, გვ. 88, ტაბ. XXV/3.

[33] საქართველოში აღმოჩენილი საწაფების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: **Лордкипанидзе Г.А.** К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, с. 84; **ა.კახიძე.** საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971, გვ. 50-55.

ყიდვა-გაყიდვის საგანიც იყო.[34] ბუნებრივია, ასეთი მრავალმხრივი ფუნქცია განსაზღვრავდა ამფორების დიდი რაოდენობით წარმოებას ანტიკური ხანის მრავალ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრში. ამის გამო მათ განათხარ მასალებშიც წამყვანი ადგილი უკავიათ.

დადგენილია, რომ ძველ კოლხეთსა და ეგეოსის სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს საფუძველი არქაული ხანიდან ეყრება, რისი მოწმობაცაა კოლხეთში აღმოჩენილი ქიოსური ამფორების ჯგუფი. ამ სახელოსნო ცენტრის კერამიკული ტარა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში. ბათუმისციხეზე აღმოჩენილი ქიოსური ამფორების უადრესი ცალების ზედაპირი თეთრი ანგობითაა დაფარული, ხოლო ზოგიერთიც მოხატულია მუქი-მოწითალო ტონალობის შავი ფერის ფართო ზოლებითა თუ ასიმეტრიული წრეებით. მრავალრიცხოვანი ანალოგიების მიხედვით (კ. ფერა, კ.როდოსი, თაზოსი, ჩრდ. აფრიკა, იტალია, მცირე აზია, ისტრია, ბერეზანი, დნეპრო-ბუგის არქაული ხანის სამოსახლო, პანტიკაპეიონი, ნიმფეი, პატრეი, ჰერმონასა, კეპი, ბოსფორის სამეფოს სხვა ქალაქები)[35] ისინი ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოთი და VI საუკუნის დამდეგით თარიღდება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და საერთოდაც ამიერკავკასიაში ბერნული იმპორტის ასეთი ადრეული ნიმუშები ჯერჯერობით არსადაა დადასტურებული. ფართო ჰორიზონტალური ზოლებით მოხატული სადა, უკვე არაანგობირებული, ძვ.წ. VI ს პირველი ნახევრის ქიოსური ამფორები აღმოჩენილია ფიჭვნარში და ფოთის მიდამოებში (საქორქიო, ადგილი სიმაგრე).[36] კ.ქიოსის ნაწარმის იმპორტი ჩვენში და საერთოდ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში კიდევ უფრო იზრდება ძვ.წ. VI ს მეორე ნახევრისა და V ს დამდეგისათვის. ამ ხანის მასალები, მათ შორის ქიოსური ამფორები ხშირად ჩნდება ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარზეც. აღმოჩნდა, აგრეთვე, ბათუმისციხეზე, ციხისძირში, საქორქიოში, ერგეტაში, ოჩამჩირეში, სოხუმის მიდამოებში, მთისძირში, ეშერაში და ვანის ნაქალაქარზე. ფიჭვნარის სამაროვნებისა და ნაქალაქარის ძვ.წ. V ს მასალების მიხედვით აქ მცხოვრებ ბერძნებში და ადგილობრივ მოსახლეობაში კუნძულ ქიოსის ღვინო დიდი მოწონებით სარგებლობდა, მისი იმპორტი გრძელდებოდა ძვ.წ. IV საუკუნეშიც (სურ. 50. 1, 3). ამ პერიოდის ქიოსურ ამფორებს, ფიჭვნარის გარდა, ვხვდებით ბათუმისციხის, ფოთისა და სოხუმის მიდამოების, დაფნარის, დაბლაგომისა და ვანის ნაქალაქარის მასალებში.[37]

როგორც ვხედავთ, ქიოსური პროდუქციის იმპორტი ძვ.წ.VII საუკუნის დასასრულს იწყება და უწყვეტად გრძელდება ელინისტურ ხანამდე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში (ბათუმისციხე, ფიჭვნარი) აღმოჩენილია, აგრეთვე, კუნძულ სამოსის არქაული ხანის კერამიკული ტარის ცალკეული ფრაგმენტები, რომლებიც ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება, ე.წ. ფსევდოსამოსური ამფორის ფრაგმენტები მობოვებულია საქორქიოში, სიმაგრის ბორცვზე.[38] უფრო მრავალრიცხოვანია კუნძულ ლესბოსის ამფორები (ფიჭვნარის სამაროვანზე მათი მთლიანი ცალებიც გვხვდება). წერილობითი წყაროების მიხედვით კ.ლესბოსზე ღვინის ფართო წარმოება საუკუნეების

[34] Зеест И.Б. Керамическая тара Боспора. - МИА, 63, 1960.

[35] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის... გვ. 74-79; ა.კახიძე, კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. - სდსქ, II, 1971, გვ. 29-40. იქვე ლიტერატურა.

[36] ოთ.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966; ა.კახიძე, კერამიკული ტარა...; თ.მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი, 1978, გვ. 62 და შმდ.

[37] ა.კახიძე, კერამიკული ტარა... გვ. 29-40; რ.ფუთურიძე, კერამიკული ტარა. - ვანი, VI, 1983, გვ. 9-10; ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის... გვ. 74-79, იქვეა ლიტერატურა.

[38] თ.მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება... გვ.63.

მანძილზე გრძელდებოდა, ძველი ავტორები აქაურ ღვინოს მაღალ შეფასებას აძლევენ და მიუთითებდნენ, რომ ამაზე უფრო სასიამოვნო ღვინო არ არსებობდა (არ იცის თავის ტკივილი, სასარგებლოა კუჭისათვის და ზღვის გემო დაკრავს, თანაც უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე ქოსისა და კნიდის ღვინოები). კ.ლესბოსი წყაროებში მოხსენიებულია როგორც ყურძნის მტევნებით დახუნძლული, ღვინით მდიდარი მხარე, სადაც ვენახი გაშენებული იყო ხელოვნურ ტერასებზე და მას ჭიგოები არ სჭირდებოდა. ყველაზე მეტი ღვინო მზადდებოდა ამ კუნძულის ჩრდილო რაიონში - მედიმნაში, არისტოტელეს ცნობით პონტოელი სოვდაგრები ლესბოსური ღვინითაც ვაჭრობდნენ.[39] საქალაქო მონეტების მიხედვით აქ გავრცელებული ყოფილა მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაების დიონისეს კულტი.

ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე მთლიანი ლესბოსური ამფორაცაა აღმოჩენილი, ხოლო ბერძნული ნეკროპოლის ლესბოსურ ამფორაზე შესრულებულია ერთ-ერთი უძველესი გრაფიტო. ბათუმისციხეზე გვხვდება უფრო ადრეული ნიმუშები (ფართო დიამეტრის მქონე ბრტყელი ძირები, რომლებიც ძვ.წ. VII ს ბოლოთი და VI ს-ის დამდეგით თარიღდება), რომლის ბადალიც აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთის სხვა პუნქტებიდან ცნობილი არ არის. ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვნებზე ძირითადად ძვ.წ. V ს ლესბოსური ნაწარმია წარმოდგენილი. იგი გვხვდება, აგრეთვე, მახვილაურში, ციხისძირში, გურიანთაში, სიმაგრის ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, დაბლაგომში და ვანის ნაქალაქარზე.[40] საერთოდ, ლესბოსური ამფორები დიდხანს იყო ხმარებაში (მისი დამზადება ძვ.წ. VII ს იწყება და მოულოდნელად წყდება IV ს მეორე ნახევარში).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქაული ხანის კულტურულ ფენებში გვხვდება, აგრეთვე, უცნობი ცენტრის ამფორებიც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. სასმისისებრძირიანები (კვაშტა, მახვილაური, ბათუმისციხე, ფიჭვნარი, გურიანთა, ფასისის მიდამოები, საქორქეო, ყულევი, ვანის ნაქალაქარი და ა.შ.). ბათუმისციხის მონაპოვართა მიხედვით თეთრანგობიანი ქოსური და ადრეული ლესბოსური ამფორების გარდა, აქ ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრიდან მაინც უცნობი ცენტრის კერამიკული ტარაც შემოქონდათ.

ძვ.წ. V საუკუნიდან პონტოს სანაპირო ქვეყნებში ფართოდ ვრცელდება ეგეოსური სამყაროს მევენახეობა-მეღვინეობის კიდეე ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის კუნძულ თაზოსის ამფორები. განსაკუთრებით მდიდარ მასალებს კვლავაც ფიჭვნარის ნაქალაქარი იძლევა, სადაც ძვ.წ. V-IV საუკუნეების სატრანზიტო კერამიკაში წამყვანი ადგილი სწორედ კ.თაზოსის პროდუქციას უკავია (სურ. 50. 2, 4). აქვე გვხვდება ე.წ. პროთაზოსური და „თაზოსის წრის" ამფორები. მეტ-ნაკლები რაოდენობით თაზოსური ამფორები წარმოდგენილია ბათუმისციხის, ციხისძირის, კოხის, ფასისის მიდამოების, ოჩამჩირეს, სოხუმისა და მისი მიდამოების, დაფნარისა და დაბლაგომის მონაპოვრებში.[41]

თაზოსის პროდუქციით ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში შუამავლად ათენი გამოდიოდა.[42] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთშიც თაზოსური პროდუქციის

---

[39] Barbara G.Clincenbeard. Lesbian Vine and storage Amphoras. - Hesperia, 51, 1982.

[40] ა.კახიძე. კერამიკული ტარა... გვ. 40-41; რ.ფუთურიძე. კერამიკული ტარა... გვ. 9; ა.კახიძე. დ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 79-82; ნ.გაშაკიძე. გურიანთის... გვ. 18; თ.ბიქელაძე. დასახ.ნაშრ., გვ. 63-64.

[41] ა.კახიძე. კერამიკული ტარა... გვ. 43-48; რ.ფუთურიძე, კერამიკული ტარა... გვ. 10. აქვეა ლიტერატურა.

[42] მ.ინაძე. საკაჭრო ურთიერთობათა ისტორია ძველ კოლხეთში. - კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962.

გავრცელება ათენის სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის აქტივიზაციას უკავშირდება.

ღვინის ექსპორტს აწარმოებდა, აგრეთვე, ქალქიდიკა-მენდე, რომლის კერამიკული ტარა პონტოსპირეთში ძალზე ცოტაა აღმოჩენილი. საქართველოს ტერიტორიაზე მენდეს ძვ.წ. V საუკუნის ამფორები მხოლოდ ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზეა აღმოჩენილი. ამავე ცენტრს უკავშირებენ ე.წ. კათხისებურძირიან ამფორებსაც, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნესა და III საუკუნის დამდეგს ფართოდაა გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში (ათენი, ოლინთო, ქიოსი, როდოსი, ჩრდ. შავიზღვისპირეთი და ა.შ.),[43] მათ შორის გვხვდება ფიჭვნარში, აგრეთვე, ბათუმისციხესა და ვანში.

ძვ.წ. IV ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გამოჩნდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრების ამფორებიც. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ქ.ჰერაკლეას ნაწარმი, რომლის უადრესი ნიმუშები ფიჭვნარშია აღმოჩენილი. არ არის გამორიცხული, რომ ძვ.წ. V ს ბოლო მეოთხედის უცნობი ცენტრის ყელგამობერილი ამფორები და ე.წ. ნაცრისფერკეციანი თიხის ჭურჭლები ჰერაკლეას ნაწარმი იყოს. ამ ცენტრის კერამიკული ტარა გვხვდება კოლხეთის როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა რაიონებში, ე.წ. ტრანსკავკასიური მაგისტრალის გაყოლებით. ჰერაკლეის ამფორები აღმოჩენილია ბათუმში, ფიჭვნარში, ფოთის მიდამოებში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ვანში და ა.შ.

გვიანკლასიკური ხანიდან, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მცირე აზიის საქალაქო ცენტრი სინოპე, ხოლო ძვ.წ. IV ს მეორე ნახევრიდან იწყება კოლხური ამფორების წარმოება და მისი ექსპორტი ჩრდილო შავზღვისპირეთში.[44]

ეკონომიკური კავშირების საინტერესო სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა სადაზოლებიანი როდოსულ-იონიური კერამიკული ნაწარმი, რომელიც გამოყენებული იყო საბერძნეთის აღმოსავლეთ რაიონებთან კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობაში. იგი მზადდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა სახელოსნო ცენტრში ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან ვიდრე V საუკუნემდე. ეს ნიადაგსახმარი კერამიკა ფართოდ ჩანს გავრცელებული მთელს შავიზღვისპირეთში.[45] როგორც ჩანს, არსებობდა ბევრი საწარმოო ცენტრი, მაგრამ კარგად გამოიყოფა მხოლოდ სამოსი და როდოსი. მათი ნაწარმის უადრესი ნიმუშები აღმოჩენილია ბათუმისციხეზე (ძვ.წ. VII ს ბოლო, მაგრამ აქ უფრო ხშირია ძვ.წ. VI ს ნიმუშები). ამ დროიდან აღმოსავლურ-ბერძნული (იონიური) კერამიკის შემოტანას ჩვენში სისტემატური ხასიათი მიეცა (ფიჭვნარი, საქორქიო, ოჩამჩირე, ეშერას ნაქალაქარი)[46] და ფართოდ გავრცელდა არა მარტო ზღვისპირა ზოლში, არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველომდე მიაღწია.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ ადრე გავრცელდა საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენის სახელოსნოებში დამზადებული შავლაკიანი სადა თუ მოხატული კერამიკა.

---

[43] Зеест И.Б. დასახ.ნაშრ., გვ. 88.

[44] აკახიძე. კერამიკული ტარა... გვ. 54; რაფუთურიძე. ამფორების წარმოება კოლხეთში ძვ.წ. IV-I საუკუნეებში. - იბერია-კოლხეთი, თბილისი, 2003.

[45] Шмидт Р.В. Греческая архаическая керамика Мирмекии и Тиритаки. - МИА, 25, М.-Л., 1952; Сидорова Н.А. Архаическая керамика из Пантикапея. - МИА, 103, М., 1962.

[46] აკახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971, გვ. 76-80; აკახიძე. დ.ხახუტაიშვილი. დასახ.ნაშრ., გვ. 86-88; თამაქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 65 და შემდ.

აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ეშერის შავფიგურული ამფორა, საქორქიოსა და ვანის „წვრილფიგურული“ კილიკები (საღვინე ჭურჭლები), რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ძ.წ. VI ს შუა და 30-იან წლებში.[47] ძ.წ. VI ს ბოლოდან ათენმა საქართველოს ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში წამყვანი ადგილი დაიკავა. მისი სავაჭრო ჰეგემონია მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში გრძელდებოდა. ქობულეთი-ფიჭვნარის მასალებით ამ კონტაქტების ინტენსიურობის განსაზღვრაც ხერხდება არა მხოლოდ ცალკეული ეტაპების, არამედ ათწლეულების მიხედვითაც კი, ათენთან ურთიერთობის საინტერესო მასალებია აღმოჩენილი ციხისძირის სამაროვანზე,[48] შედარებით მოკრძალებული კოხში, ბათუმისციხესა და მახვილაურში. ატიკურმა ნაწარმმა შეაღწია, აგრეთვე, აჭარისწყლის ხეობაშიც (ს.კვაშტა).[49]

ძ.წ. V-IV სს ათენისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ურთიერთობათა აყვავების ხანაა.

ატიკური პროდუქცია აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს მრავალ ძეგლზე, ხოლო კოლხეთის შიდა რაიონების მეშვეობით მან აღმოსავლეთ საქართველოშიც შეაღწია. ურეკის, ჩიბათის, ზემოფარცხმის, წიფნარის, ფოთის მიდამოების, ნოქალაქევის, დაფნარის, დაბლაგომის, მთისძირის, ვანის, ქუთაისის, საჩხერეს მიდამოების, ხოვლეს, უფლისციხის, რუსთავისა და სხვა პუნქტების მონაპოვრები ცხადყოფენ, რომ აღმოსავლეთ შავზღვისპირეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პუნქტებზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი საზღვაო და სახმელეთო გზები, მათ შორის ტრანსკავკასიური მაგისტრალიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ვაჭრობის გზით ვრცელდებოდა ტორევტიკული ნაწარმიც, რომელიც უპირატესად მდიდრულ სამარხებშია აღმოჩენილი. აქაური მცირერიცხოვანი გლიპტიკური ნაწარმი გამოირჩევა გამოსახულების სინატიფით, დახვეწილი სტილითა და კვეთის უზადო ტექნიკით, ისინი დამზადებული ჩანს ატიკის საუკეთესო საიუველირო სახელოსნოებში (სურ. 54. 1). ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობდა ეგვიპტური თუ მესოპოტამიური, მცირე კავკასიონისა თუ სომხეთის ზეგნის სახელოსნოებში დამზადებული ქვის და მინის სადა თუ ფერადი მძივები და მძივსაკიდები.

კოლხეთის სამეფოში საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭართა ფენის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ნუმიზმატიკური ძეგლები. ფიჭვნარის ნაქალაქარზე ნაპოვნია მონეტების

---

[47] თამაქელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68; დ.კაკბარავა, ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში, მოხატული შაულაკიანი და სადა კერამიკა. - ვანი, VII, 1987, გვ. 82.

[48] ეს მასალები ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

[49] საქართველოში ატიკური იმპორტის გავრცელების შესახებ იხ.: ა.კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მსკა, V, თბილისი, 1965; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთი-ფიჭვნარი), თბილისი, 1965, (საკანდ.დის.); მისივე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, თბილისი, 1979 (სადოქტ. დის.), მისივე, Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981; ა.კახიძე, ბ.გოკერსი, ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004; ა. კახიძე, ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007; ნ.ყალიჩავა, შაულაკიანი კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან. - თსუ შრომები, 113, თბილისი, 1965; თ.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966; მისივე, Новые материалы к истории связей Афин с Колхидой. - ХКАМ, Москва, 1976; ზ.შატბერაშვილი, ა.კახიძე, კოლხეთსა და ათენს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან. - სდსძ, II, 1971; Трапш М.М. Труды II, Сухуми, 1969; Шамба Г.К. Эшерское городище, Тбилиси, 1980; დ.კაკბარავა, დასახ. ნაშრ., აქვე ლიტერატურა.

რამდენიმე განძი ასეულობით მონეტით. ერთ-ერთ განძში თავმოყრილი იყო ძვ.წ. V ს 291 ცალი კოლხური თეთრი, ელექტრუმის ქიზიკინი და მკრთალი ოქროსაგან დამზადებული სამი ცალი სხივანა საყურე.[50] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მონეტები ადრეც იყო მობოვებული. შემოინახა ცნობა მწვანე კონცხზე ათენური ტეტრადრაქმის, ხოლო ციხისძირში პანტიკაპეონის მონეტების აღმოჩენის შესახებ.[51]

ქობულეთში ნაპოვნია კოლხური თეთრის უნიკალური ნომინალები, ქიზიკინები (სურ. 54. 2), თეოდოსიის, პანტიკაპეიონისა და ნიმფეის მონეტები. ამ ბოლო ხანებში სიცილიის მონეტაც გამოჩნდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ადრეული ნუმიზმატიკური ძეგლები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. სამაგიეროდ ზღვისპირა ზოლში კოლხური თეთრების აღმოჩენის შემთხვევები ისე ხშირი ყოფილა, რომ ამ მონეტების ლითონს მოსახლეობა, თურმე, საფანტის დასამზადებლადაც კი იყენებდა.[52] როგორც ჩანს, ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთში საგაჭრო ურთიერთობანი საკმაოდ გაცხოველებული იყო. ამ დროს მოსახლეობა ჩაბმულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში.

კლასიკური ხანის ფიჭვნარის ანონიმური ქალაქი წარმოადგენდა კოლხი და ბერძენი ვაჭრების შეხვედრის ადგილს, სადაც ფართო მასშტაბის გაცვლითი ოპერაციები ხორციელდებოდა. იმის გამო, რომ კოლხეთის საშინაო ბაზარზე გბატონებული იყო კოლხური თეთრი, ბერძენი ვაჭრები თავიანთ ნაწარმს, როგორც ჩანს, ადგილობრივ მონეტებზე ყიდდნენ, ხოლო ამოღებული ფულით კოლხებისაგან მათთვის სასურველ ბროდუქციას იძენდნენ. ფიჭვნარში ნაპოვნია კოლხური თეთრის ყველაზე მცირე ნომინალებიც, ე.წ. ჰემიტეტრატემორიონები, რომელთაც წვრილი ფულის ფუნქცია უნდა შეესრულებინათ.[53] თავის მხრივ, კოლხი ვაჭრებისათვისაც აუცილებელი იყო უცხოური მონეტები: ისინი ხომ შუამავლებად გამოდიოდნენ ბერძენ ვაჭრებსა და კოლხეთის შიდა რაიონების მოსახლეობას შორის.

საინტერესო სურათს ქმნის ჩვენში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. ამ ოდენობის ადრეული ნუმიზმატიკური მასალა ამიერკავკასიაში ჯერჯერობით არსადაა აღმოჩენილი. პირველ რიგში აღსანიშნავია ქ.ქიზიკის (მარმარილოს ზღვის სანაპირო) სტატერები (ქიზიკინები), რომლებიც საერთაშორისო საგაჭრო ეტალონები იყო ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში (სურ. 54. 2). ანტიკური სამყაროს რიგ რაიონებში (შავიზღვისპირეთი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი) ქიზიკინები ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური ფულის ფუნქციას: მსხვილი საგაჭრო გარიგებანი მხოლოდ მათი გამოყენებით ხორციელდებოდა და ისინი კონკურენციას უწევდნენ ისეთ მონეტებსაც კი, როგორიც იყო ირანული დარიკები. აღსანიშნავია, რომ ქიზიკინები საერთაშორისო ბაზარზე ათენის ჰეგემონიის დამყარების შემდეგაც კი ინტერლოკალურ მონეტებად რჩებოდნენ.[54] ათენი კოლ-

---

[50] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთარი №8709-8000. Пахомов Е.А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку, №1898; Голенко К.В., Капанадзе Д.Г. Четыре клада колхидок. - НЭ, VI, 1960.

[51] Капанадзе Д.Г. К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным. - ПИСП, Москва, 1959.

[52] Зограф А.Н. Распространение находок античных монет на Кавказе. - ТОНГЭ, I, 1945, с. 35; Капанадзе Д.Г. Грузинская нумизматика, Москва, 1955, с. 144.

[53] გ.ფეფინდუა, ა.კაკაბაძე. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. - „მაცნე", 2, 1979, გვ. 66-73. ა.კაკაბაძე. ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდ, 2007, გვ. 140, სურ. 43. 4-6.

[54] Шелов Д.Б. Кизикские стратеры на Боспоре. - ВДИ, 2, 1949; Булатович С.А. Электровые монеты Кизика.

ხეთთან ურთიერთობაში ქიზიკინებთან ერთად თავის გერცლის მონეტებსაც იყენებდა. ამის დასტურია ბათუმის ახლოს, მწვანე კონცხზე აღმოჩენილი ათენური ტეტრადრაქმა (ძვ.წ. V-IV სს).[55]

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კონკრეტულად აჭარის ტერიტორია, ძვ.წ. VI-IV სს-ში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩრდილო შავიზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობაში.[56] მათგან შესაძლებელია გამოიყოს სამი პერიოდი: I ათასწლეულის პირველი ნახევარი, კლასიკური ხანა (ძვ.წ. V-IV სს) და ელინისტური პერიოდი (ელინიზმის ეპოქა - ძვ.წ. IV ს ბოლო მეოთხედი-I ს მომდევნო თავში იქნება განხილული).

ტომთაშორისი ურთიერთობანი ადრეულ ხანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო რეგულარული. მათ სისტემატიური ხასიათი მიეცა გვიანარქაული და ადრეკლასიკური ხანიდან, რაც დაკავშირებული იყო მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან. დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობათა ორბიტაში აღმოსაელეთი შავიზღვისპირეთიც აღმოჩნდა ჩაბმული, რის შედეგადაც განმტკიცდა კავშირები პონტოს სანაპიროს ცალკეულ მხარეებთან: ჩრდილო შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ნიმფეაში აღმოჩენილია კოლხური ქვევრები და მონეტები,[57] კლასიკური ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმი აღმოჩნდა პანტიკაპეიონის,[58] ჰერმონასის,[59] მირმეკიონის, ტირიტაკის[60] და სხვა ძეგლების მასალებშიც.

პანტიკაპეიონის არქაული ხანის ფენაში აღმოჩნდა ძვ.წ. VI ს დასასრულით დათარიღებული იონიური ჭურჭელი, რომელზეც გაკეთებულია ეთნონიმის აღმნიშვნელი გრაფიტო „კოლხოს". ვარაუდობენ, რომ ბოსფორის ქალაქებში არსებობდა განსაზღვრული კოლხური ფენა, ხოლო კოლხი ვაჭრები მონაწილეობდნენ სავაჭრო ოპერაციებში.[61]

კლასიკურ ხანაში ძველ კოლხეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი ხორციელდებოდა ადგილობრივი ბერძნული ახალშენების მეშვეობით. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა მხარეების მსგავსად ამ ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის, კერძოდ, აჭარის „ქვეყნის" მოსახლეობაც. ამის დასტურია პანტიკაპეიონის, თეოდოსიის და ნიმფეის მონეტები, რომლებიც ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეკროპოლზა აღმოჩენილი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთს უშუალოდ ემეზობლება სამხრეთი შავიზღვისპირეთი. სამწუხაროდ პონტოს სანაპიროს ეს ნაწილი ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი. შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ არქეოლოგიური გათხრების გზით

- МАСП, VII, 1971.

[55] Пахомов Е.А. указ.раб., №12; Зограф А.Н. Распространение находок античных монет...

[56] ფიჭვნარში აღმოჩენილი ადრეული მონეტების შესახებ იხ.: [illegible], ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. - „მაცნე", ისტორიის... სერია, 3, 1974; მისივე, Иноземные монеты могильника Пичвнари. - ВДИ, 3, 1974.

[57] Худяк М.М. Раскопки в Нимфее. - Сообщения ГЭ, 1940, с. 22; Куфтин Б.А. Материалы... II, с. 72, таб. 24; Скуднова В.М. Находки колхидских монет и пифосов в Нимфее. - ВДИ, 2, 1952.

[58] Зеест И.Б., Марченко И.Д., Некоторые типы толстостенной керамики из Пантикапея. - МИА, 103, 1962, с. 152-155; Марченко И.Д. Раскопки Пантикапея в 1959-64 гг. - Сообщения ГМИИ им. А.С.Пушкина, IV, 1968.

[59] Зеест И.Б. Раскопки Гермонассы. - КСИИМК, вып. 58, 1955, с. 117.

[60] Гайдукевич В.Ф. Мирмекий, Варшава, 1958, с. 46-47, рис. 45/1.

[61] [illegible], ანტიკური სამყარო... გვ. 90, ტაბ. XXIII; მისივე, К вопросу о связях колхиды с Северным Причерноморьем в VI-IV вв до н.э. - ИКАМ, Москва, 1977, с. 113.

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა ამ რეგიონის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრის სინოპესა და ძველი კოლხეთის ურთიერთობის კვლევისათვის. ბუნებრივია, ნედლეულით მდიდარი კოლხეთისადმი ინტერესი სინოპეს ადრიდანვე უნდა გაჩენოდა,[62] რაზედაც, მართალია, პირდაპირი წერილობითი მითითება არ გაგვაჩნია, მაგრამ მითოლოგიური გადმოცემით, სინოპეს ლეგენდარული დამაარსებლები თითქოს შეუერთდნენ არგონავტებს კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობაში (Argon. II, 955, V, 113). ამ გადმოცემაზე დაფუძნებით სტრაბონი ავტოლიკს (სინოპეს დამაარსებელს) იაზონის თანამგზავრად მიიჩნევდა (Strabo. XII, 3, II) და მიუთითებდა, რომ ფაზისიდან ამისომდე და სინოპემდე ზღვით მგზავრობას 8 ან 9 დღე სჭირდებოდა. პოლიბიოსის სიტყვით, კი „სინოპე მდებარეობს ფაზისისკენ მიმავალ გზაზე" (Polibi. IV, 55). სინოპელთა საკოლონიზაციო აქტიურობაზე კოლხეთისაკენ მიუთითებს შიდა კოლონიზაციის პროცესში დაარსებული სინოპური ახალშენები კოტიორა (ორდუ), კერასუნტი (ფარნაკია) და ტრაპეზუნტი. ქსენოფონტეს ცნობით (ძვ.წ. V ს), ტრაპეზუნტი „კოლხთა ქვეყანაში" მდებარეობდა (Xen. Anab. IV, 8, 22).

სინოპესა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა გვიანარქაულ-ადრეკლასიკურ ხანაში ისახება. ამისი დასტურია ფიქვნარის კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებზე აღმოჩენილი ადრეული სინოპური მონეტები. ადრეული მონეტების გარდა, ძვ.წ. V-IV სს სინოპური დრაქმები აღმოჩენილია ბათუმის მიდამოებში, ურეკში და სოხუმში.[63] ძვ.წ. IV ს შუა ხანების სინოპური ვერცხლის მონეტა ნაპოვნია ხელვაჩაურის რ-ნის სოფ.განთიადშიც.[64] გვიანკლასიკური ხანიდან, პელეპონესის ომში ათენის საზღვაო სახელმწიფოს დამარცხების შემდეგ, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მცირდება ათენური და მკვეთრად იზრდება სინოპური პროდუქციის ხვედრითი წილი (ზეითუნის ზეთი, ღვინო, კერამიკული ნაწარმი). განსაკუთრებით აქტიურია სინოპე როგორც ჩრდილო,[65] ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში.

ქ.ჰერაკლეასთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მდგომარეობის გასათვალისწინებლად უნდა მივუთითოთ, რომ ძვ.წ. 400-330 წლების მასალებში ჰერაკლეის ნაწარმი გაცილებით მეტია, ვიდრე სინოპესა და სხვა ცენტრების პროდუქცია. როგორც ჩანს, ამ დროს ჰერაკლეასთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ურთიერთობაში წამყვანია ფიქვნარი. გარდა ამფორებისა, ჰერაკლეას სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული ე.წ. ნაცრისფერთიხიანი კერამიკული ნაწარმიც, რომელიც გამოჩნდა ჰერაკლეის ამფორებთან ერთად და გაქრა მაშინვე, როგორც კი შეწყდა ჰერაკლეის ამფორების წარმოება. გამოირკვა, რომ ერთმანეთს ემთხვევა კერამიკის ამ ორი ჯგუფის გავრცელების არეალიც.[66]

---

[62] Брашинский И.Б. Синопа и Колхида. - Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточний сборник, IV), Тбилиси, 1973, с. 180-190.

[63] Дундуа Г.Ф. Нумизматика..., с. 34-38.

[64] ა.კახიძე, ძვირფასი არქეოლოგიური ნაპოვნები, გაზ. „აჭარა", 1971, 26/X; ა.გარშალოშიძე, სინოპური მონეტა განთიადიდან. - საისტორიო მაცნე, №3, ბათუმი, 1996, გვ. 31.

[65] Зеест И.Б. Новые данные о торговых связях Боспора с Южным Причерноморьем. - ВДИ, 2, 1951; Брашинский И.Б. Экономические связи Синопы в IV-II вв до н.э. - Античный город, Москва, 1963.

[66] ა.კახიძე, აღ.შავიზღვისპირეთი... გვ. 316; მისივე, ფიქვნარის ძვ.წ. IV ს-ის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, IV, თბილისი, 1974; მისივე, ფიქვნარის ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლზე 1978 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, VIII, თბილისი, 1979. ა.კახიძე, ბ.ფოკერსა, ფიქვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004.

§3. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ძვ.წ.VII საუკუნიდან მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ეკონომიკასა და კულტურაში. აღმავალი სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის ძირითადი პროდუქცია (მარცვლეული, სელი, კანაფი, ღვინო, თევზეული, ლითონები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, საიუველირო ნაწარმი, მეთუნეობა, ფეიქრობა და სხვა.) თანდათანობით სასაქონლო ხასიათს იძენდა, ვითარდებოდა მესაქონლეობა, სარეწაო ხასიათი ეძლეოდა თევზჭერასა და დელფინის ქონის დამზადებას, ვითარდებოდა ფულადი მეურნეობა. შესაბამისად, შავზღვისპირეთის ეს ნაწილი ურბანისტული და სამონეტო საქმის მნიშვნელოვან კერად იქცა. ზღვისპირა ზოლსა და სამდინარო მაგისტრალების გასწვრივ განლაგებული ქალაქები და ურბანისტული დასახლებები (გონიო-აფსაროსი, ბათუმისციხე, ბეტრა-ციხისძირი და განსაკუთრებით ქობულეთ-ფიჭვნარი) დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის შიდა რაიონებსა და ანტიკური სამყაროს სახელოსნო ცენტრებთან საგაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობაში. ქვეყნის ცალკეულ რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი კონსოლიდირებული კოლხეთის სამეფო წარმოიქმნა (ძვ.წ. V-IV სს კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა). კლასიკურ ხანაში კოლხური კულტურა აღწევს თავისი განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს. ამ დროს შორს წავიდა საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესი, გაღრმავდა ქონებრივი პოლარიზაცია: გაბატონებული ფენები (სამეფო გვარეულობის წევრები, მმართველი არისტოკრატია, ქურუმები, ვაჭრები და უმაღლესი სამხედრო ბირები) ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, ხოლო ქვეყნის დოვლათს ქმნიან თავისუფალი თუ ნახევრად თავისუფალი მეთემეები, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. საზოგადოების ეს ნაწილი ძირითადად დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა სფეროში; ცალკეული რაიონების მიხედვით შეინიშნება დარგობრივი სპეციალიზაცია: ზღვისპირეთში წამყვანი რჩება მიწათმოქმედება, მთისწინა ზოლის მოსახლეობაში - მევენახეობა-მეღვინეობა, მთიანეთში - მელითონეობა და მესაქონლეობა.

ქალაქებისა და სასაქონლო წარმოების განვითარებამ ხელი შეუწყო კულტურაში ახალი ფორმებისა და მიმართულებების გაჩენას. ხშირად ვხვდებით დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ ნაკეთობას, ფართოდ ვრცელდება უცხოეთიდან შემოტანილი ფუფუნების საგნები.

§4. ანტიკური სამყარო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

კოლხეთისა და ანტიკური სამყაროს ურთიერთობის უადრესი საფეხურის ამსახველი მონაცემები ძირითადად ბერძნულ ლეგენდებსა და მითებშია შემონახული.[1] არქაული ხანიდან ჩნდება ბერძენ ავტორთა ფრაგმენტული, მაგრამ საინტერესო ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ.[2] რაც მთავარია, კოლხეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ანტიკური სამყაროს სხვადასხვა სახელოსნო ცენტრის პროდუქცია.[3]

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული ცივილიზაციის კვლევისათვის უმთავრესი მასალა მოგვცა ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქის ბერძნულმა ნეკროპოლმა, რომელშიც კარგადაა ასახული ის სამყარო, რაც აქ ბერძნებმა მოიტანეს და არსებული ქალაქური იერის დასახლების თემებს გააცნეს. ჯერჯერობით ეს ნაქალაქარი ერთადერთი ძეგლია მთელ ამიერკავკასიაში, სადაც შესაძლებელი გახდა ბერძნული და კოლხური თემების პრაქტიკაში იმ დროს არსებული დაკრძალვის წესების, სამარხთა ტიპების, ინვენტარის გატანების კანონზომიერების და სოციალურ-ეთნიკური შედგენილობის, აგრეთვე, ქრონოლოგიისა და კოლხურ-ბერძნული ურთიერთობების საკითხის გარკვევა.

ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლს დაახლოებით 6 ჰა ფართობი უკავია. იქვეა კოლხური თემების სამაროვანიც. გვერდიგვერდ ადგილობრივი და ბერძნული სამაროვნების გამართვა უნიკალური შემთხვევაა ჩვენი არქეოლოგიისათვის. იგი ქართული და ბერძნული თემების მშვიდობიანი თანაარსებობის დოკუმენტური მოწმობაცაა.

შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეების 400-ზე მეტი სამარხი. პირველ მოახალშენეთა სამარხები ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედით თარიღდება. მომდევნო ჯგუფის სამარხები ძვ.წ. V ს შუახანებსა და მეორე ნახევარს განეკუთვნება, ხოლო მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება ძვ.წ. IV ს სამარხები. ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძენთა შორის გავრცელებული ჩანს აღაპის წესი. ადრეული ეტაპის (ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი) უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს ინდივიდუალურის გვერდით (ამათი რიცხვი თვრამეტამდეა) კოლექტიური საალაპო მოედნის გამართვა. ღარიბი ფენების წარმომადგენლებს ამ პერიოდში, როგორც ჩანს, არ შეეძლოთ ქელეხები გაემართათ და საერთო მოედნებზე თითო-ოროლა ჭურჭლის შეწირვითა და ქელეხის წესის სიმბოლური შესრულებით კმაყოფილდებოდნენ. ასეთივე

---

[1] ა.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964; ოლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966; თ.ჩიქელაძე, ძიებანი ძველი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი, 1974; Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии, Тбилиси, 1989. აქვეა ლიტერატურა.

[2] Ипадзе М.П. Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968, с. 39-97; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1981; Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида, Тбилиси, 1979. და ა. შ.

[3] კოლხეთში იმპორტის გავრცელების შესახებ იხ.: ა.კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთ-ფიჭვნარი). - მსკა, IV, თბ., 1965; მისივე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971; ა.კახიძე, ზ.გიკერსი, ფიჭვნარი I, 2004 (ქართულ და ინგლისურ ენებზე). ა. კახიძე, ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007; ოლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; დ.კაჭარავა, მოხატული შაფლაკიანი და სადა კერამიკა, - ვანი, VII, თბილისი, 1983 და სხვ.

საერთო სააღაბო მოედანი ციხისძირის სამაროგანზეც იყო დადასტურებული. ფიჭვნარში ამ ჯგუფის ინდივიდუალური სამარხების სააღაბო მოედნები მცირე ფართობისაა, სადაც კარგად ჩანს ცეცხლის კვალი.

აღაპის წესების შესრულებასთან დაკავშირებით საინტერესო სურათს იძლევა მომდევნო ბერიოდის სამარხები (ძვ.წ. V ს შუა ხანები და მეორე ნახევარი); სააღაბო მოედნების რიცხვი აქ გაცილებით მეტია და თანაც გამორჩეულია სოციალურად დაწინაურებულ პირთა სარიტუალო მოედნები, სადაც საკმაოდ სქელ დამწვარ ფენაში დიდი რაოდენობით ჩნდება საგანგებოდ დამტვრეული (იშვიათად მთელი) სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი, ფრინველთა დანახშირებული ძვლები, ზოგჯერ სამკაულები და მინის ჭურჭლის ნატეხები, მცენარეული ნაყოფის ნაჭუჭები, ტყვიის ფილები, კაჟისპირი და ნამგლის ჩასართი. ქვესკნელის ღმერთების საბატივცემულოდ აქვე დაუღვრიათ ღვინო, რძენარევი თაფლი თუ სხვა სახის სითხეები. ეს-ხარიებად[4] იყენებდნენ ძირმომტვრეულ ამფორებს, რომლებიც ხშირად ჩნდება ამ ბერიოდის დასაკრძალავ მოედნებზე. ერთ-ერთი სამარხის თავზე აღმოჩნდა კირქვისგან საგანგებოდ დამზადებული, მოზრდილი, ოთხკუთხა მოყვანილობის შუაზე ნახვრეტიანი ესხარია. ესხარიები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ყორღანულ სამარხებში (მაგალითად, ბოლშაია ბლიზნიცა, ვასიუსინსკი)[5] და სხვა ბერძნულ ნეკროპოლებზე (მაგ. კეპში).[6]

აღაპის წესი ასევე კანონიკური ჩანს ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს ბერძენთა დაკრძალვის რიტუალში. საერთოდ იგი უძველესი დროიდან დასტურდება ბერძნულ სინამდვილეში და არაერთგზისაა მოხსენიებული „ილიადაში“.

ძვ.წ. VI ს დამდეგიდან სოლონმა შეზღუდა (აკრძალა) ადრინდელი მდიდრული დაკრძალვები, საქელეხო ღრეობანი, რასაც თან ახლდა მსხვილფეხა საქონლის მსხვერპლშეწირვა. მართალია, იგი თანდათანობით მივიწყებას მიეცა, მაგრამ ზოგჯერ იხსენიებდნენ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. სამაგიეროდ ეს რიტუალი დიდხანს შემორჩა ანტიკური სამყაროს ბერიფერიებში. ფიჭვნარის მაგალითზე ჩანს, რომ იგი სრულდებოდა მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში. უფრო მეტიც, ადრეელინისტური ხანიდან გავრცელებას იწყებს ადგილობრივ მოსახლეობაშიც. საერთო სააღაბო მოედნები გამოჩნდა გვიანარქაული ხანის ციხისძირის სამაროვნის ტერიტორიაზეც, სადაც ბერძენთა გარკვეული ფენის არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

ფიჭვნარელი ელინები თავიანთ მიცვალებულს კრძალავდნენ ბირალმა, გაშოტილ პოზაში, უპირატესად თავით აღმოსავლეთისაკენ (მეტნაკლები გადახრებით). ბერძენთა წარმოდგენით აღმოსავლეთით იყო ზეციური ღმერთების სამყოფელი, ხოლო მიცვალებულის მზერა მიმართული იყო დასავლეთისაკენ - ჰადესის (ქვესკნელის) ღმერთებისაკენ (Plut., Solon,10). ხშირ შემთხვევაში ბერძნის სამარხში კოლხური იერის ინგენტარიც გვხვდება. ფიჭვნარელ ბერძენ მოახალშენეთა შორის ძვ.წ. V ს შუა ხანებიდან მიცვალებულის აღმოსავლეთისაკენ ორიენტირება კანონიკური ჩანს.

დაკრძალვის პრაქტიკაში, ამ დროს მაინც, წამყვანია ინჰუმაციური (დაკრძალვა კრემაციის გარეშე) ინდივიდუალური, სხვადასხვა ტიპის ორმოსამარხები. იშვიათია კოლექტიური

---

[4] ე ს ხ ა რ ი ა. ჭურჭელი, რომელშიც ჩაალაგებდნენ მიცვალებულისათვის შეწირული ცხოველის თუ ფრინველის ხორცს და დებდნენ სამსხვერპლო ორმოებზე (ბოტროსებზე). ესხარიის ნახვრეტიდან სამსხვერპლო ორმოში იღვრებოდა ცხოველის სისხლი.

[5] Кастанаян Е.Г. Обряд тризны в Боспорских курганах. - СА, XIV, 1950.

[6] Сорокина Н.П. Раскопки некрополя Кеп в 1961 г. - КСИА, вып. 95, 1963, с.62.

ორმოსამარხები, დადასტურდა ბავშვთა ფეხშექცევით დასაფლავების შემთხვევაც.[7] ორმოსამარხების ერთ ნაწილში იდგმებოდა ხის კუბო, ხოლო მდიდარი ფენებისათვის, შესაძლებელია, ხის სარკოფაგიც მზადდებოდა. ზოგიერთ ორმოსამარხს მხოლოდ ხის სახურავი უკეთდებოდა. ადრეულ ეტაპზე საკმაოდ ხშირია გრუნტული ორმოსამარხები.

ფიჭვნარში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები ერთიდაიმავე სამაროვანზე იკრძალებოდნენ. მდიდრული თუ საშუალო შეძლების ელინების დასაკრძალავად ძვ.წ. V ს შუა ხანებიდან აშზადებდნენ მოზრდილ სამარხ ორმოებს (ზოგჯერ 5X3 მ-ზე). იქვე გვერდით მართავდნენ ქელეხებს, მოქონდათ შესაწირავები, შეინიშნება კლასობრივი ბოლარიზაცია. ბალესტრასთან დაკავშირებული ინვენტარი იმის მაჩვენებელია, რომ აქ იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, ელინური დღესასწაულები.

ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის ორმოსამარხებზე ქვის სტელის დასამაგრებლად ზოგჯერ სამი-ოთხი რიგისაგან შემდგარი ქვის კედელიც ამოყავდათ. ერთ-ერთ სამარხში შემონახული იყო ჩრდილო და დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლის ნაწილი. ნანგრევებში ტყვიის მოზრდილი გამირი, ხოლო აღმოსავლეთ კედელთან - სტელად გამოყენებული თეთრი კირქვის ნატეხები აღმოჩნდა. მეორე სამარხი ორმოს ჩრდილო კედელს ქვის ორი-სამი რიგი მიუყვებოდა.

მცირე რაოდენობით აღმოჩნდა კრემაციული სამარხები (400 სამარხიდან მხოლოდ 5), თუმცა გამოყენებული იყო კრემაციის სხვადასხვა წესი. ორ შემთხვევაში მიცვალებულის კრემაცია მოუხდენიათ საგანგებოდ გამოყოფილ მოედანზე, ხოლო ფერფლი შეუნახავთ წითელფიგურულ ე.წ. კოლონებიან კრატერში და ნახევარსფეროსებრ ჭურჭელში. ერთხელაც, ბირველი ორის მსგავსად, მიცვალებული ფერფლად უქცევიათ საკრემაციო მოედანზე, ნაშთები კი დაუკრძალავთ საგანგებოდ ამოჭრილ პატარა ზომის ორმოში, რომელშიც ერთმანეთში იყო არეული კალცირებული ძვლების, ნახშირისა და შავლაკიანი თას-სკიფოსის ნატეხები. მეოთხე მიცვალებულის ნაშთები ფიქსირებულ იქნა საკრემაციო მოედანზე, რომელიც შევსებული იყო დატკეპნილი შავი სილნარი მასით. მოედნის ცენტრში, კრემაციის დამთავრების შემდეგ, 0,6 მ დიამეტრის ორმო ამოეჭრათ, რომელშიც ჩაუდგამთ მიცვალებულის ფერფლის შემცველი მაღალი სადა ჰიდრია.[8] მეხუთე მიცვალებული თვით სამარხ ორმოში დაუწვავთ. საამისოდ ორმოს მთელ სიგრძეზე შეშის მორები ჩაულაგებიათ და საკრემაციო კოცონი გაუჩაღებიათ. კრემაციის დამთავრების შემდეგ სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაუდგამთ მოზრდილი კოლხური ქოთანი და ჩაუმტვრევიათ შავლაკიანი ჭურჭლები. სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში იდო სადაზოლებიანი იონური თასი, ხოლო დასავლეთ მონაკვეთზე იონიური ოინოხოია (ღვინის ჭურჭელი) და დაზიანებული შავლაკიანი ჭურჭლები, რომელთაც ცეცხლის მოქმედების შედეგად ადრინდელი ელვარება დაკარგული ჰქონდათ.

ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზე კრემაციული სამარხი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, მაგრამ ამგვარი სამარხი გაითხარა ციხისძირში (ელინისტური ხანისაა).

ბორჯომის ხეობაში ნაპოვნია ადრეული კრემაციული სამარხები, სადაც მიცვალებულის

---

[7] კოლექტიური სამარხები იშვიათად ანტიკური სამყაროს სხვა ცენტრებიდანაცაა ცნობილი. მაგალითად, ოლინთოში ერთ სამარხში 26 მიცვალებული იყო ჩასვენებული. იხ.: Robinson D. Necroolynthia, Baltimore, XI, p. 146. ზოგჯერ მსგავსი სამარხები ჩრდილო შავიზღვისპირეთშიაც გვხვდება. იხ.: Сорокина Н.П. Тузлинский некрополь, Москва, 1957, с. 15,18; Силантьева Л.Ф. Некрополь Нимфея. - МИА, 69, М.-Л., 1959, с. 45-46; Козуб Ю.И. Погребальный обряд ольвийского некрополя V-IV вв до н.э. - ЗОАО, I, (34), 1969, с. 73 и сл.

[8] დასაკრძალავ ურნებად ბრინჯაოს ჰიდრიებიც გამოიყენებოდა. იხ. Olynthus, V, p. 126, no. 145, pl. 91-92.

ფერფლი სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელში შეუნახავთ, ხოლო სახურავად საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი ქვები და ჯამები გამოუყენებიათ. ჩიტახევის სამაროვანზე მსგავსი სამარხები შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპითა და გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება.[9] ამ ხეობის ძვ.წ. VIII-VI სს სამარხებში დადასტურებული კრემაციის ფაქტები დაკავშირებული უნდა იყოს ძვ.წ. VIII ს ბოლო მეოთხედში მცირე აზიაში მომხდარ ძვრებთან, კერძოდ, კიმერიელების მიერ მესხურ-ფრიგიული სახელმწიფოს განადგურების შემდგომ მოვლენებთან, როდესაც ხეთიზირებული მესხური მოსახლეობის ერთი ნაწილი მცირე აზიიდან ჩრდილოეთისაკენ (საქართველოს სამხრეთ პროვინციებისაკენ) გადაადგილდება.[10] კრემაციით დაკრძალვა გავრცელებული იყო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოში ძველაღმოსავლურ ხანაში მსგავსი რიტუალის გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს მცირეაზიიდან მესხური ტომების მიგრაციასთან, ხოლო კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობასთან.

ბერძნულ სამყაროში მიცვალებულის კრემაციის შესახებ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ჰომეროსის პოემებში, ხოლო ადრეული კრემაციული სამარხები აღმოჩენილია კარიაში,[11] კ.ფერაზე,[12] კრეტაზე[13] და ა.შ. ძვ.წ. VI საუკუნიდან მათი რიცხვი მცირდება (მაგალითად, სამოსის 161 სამარხიდან 2 იყო კრემაციული,[14] რიზონას 32 სამარხიდან 8-ში აღმოჩნდა დანახშირებული ძვლები,[15] ოლბიის 275 სამარხიდან 11% იყო კრემაციული,[16] პანტიკაპეონში 10-13%).[17] ასეთივე სურათი შეინიშნება სხვა ბერძნულ ნეკროპოლებზე.

ფიჭვნარის კლასიკური ხანის ბერძნული ნეკროპოლის სამარხთა მცირერიცხოვან ჯგუფს ე.წ. ამფორასამარხები ქმნიან. ბერძნულ სამყაროში არსებული ტრადიციის მიხედვით 6 თვემდე გარდაცვლილ ბავშვს საგანგებო ჭურჭელში, ხშირ შემთხვევაში ამფორაში კრძალავდნენ, ხოლო ზოგჯერ სხვა სახის თიხისა თუ ლითონის ჭურჭელს იყენებდნენ. ციხისძირის, ფიჭვნარის, ეშერას, გონიო-აფსაროსისა და ბიჭვინტის მონაცემებით ჩანს, რომ ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის ეს რიტუალი საქართველოს ზღვისპირეთშიც შემოიჭრა. უძველესი ამფორასამარხები (ძვ.წ.VI ს ბოლო - V ს დამდეგი) აღმოჩენილია ციხისძირის სამაროვანზე, ხოლო ადრეკლასიკური ხანისა — ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე.

ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილია ერთადერთი ამფორასამარხი. როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობაში დაკრძალვის ეს უცხო წესი უფრო ფეხს იკიდებს ელინისტური ხანიდან. ციხისძირის სამაროვანზე გვიანარქაული ხანის ამფორასამარხების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის ადრეულ ეტაპზე აქ ეგეოსური სამყაროსა თუ მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროების მოსახლეობის

---

[9] ოლამბაშიძე, ახალი მასალები სამცხე-ჯავახეთიდან (წინააზია-ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის). - „ძეგლის მეგობარი", 63, 1983; მისივე, რგველის სამაროვანი, - „ძეგლის მეგობარი", 39, 1975, გვ. 12-13.

[10] ოლამბაშიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. - „ძეგლის მეგობარი", 4, 1978, გვ. 40-41.

[11] Paton W.R. Excavations in Caria. - JHS, VII, 1887, p. 67, 73, 77.

[12] Dragendorf H. Theraeische Graber. Thera, II, 1903, p. 83.

[13] იქვე.

[14] Beehlau J. Aus ionischen und italischen necropolen. Leipzig, 1889, pg. 12-13.

[15] Burrovs R.M. and Ure P.N. Excavations at Rhitsona in Beotia. - ABC, XIV, 1907-1908, pg. 242 და შმდ.

[16] Козуб Ю.И. Погребальный обряд... с. 79; მისივე. Некропль Ольвии V-IV вв. до н.э. Киев, 1974, с. 18, 169 (უკრაინულ ენაზე).

[17] Цветаева Г.А. Грунтовый некрополь Пантикапея. - МИА, 19, 1951, с. 64.

გარკვეული თემები სახლობდნენ.

ციხისძირის ნეკრობოლზე მიკვლეულ სხვადასხვა ეპოქის 300-ზე მეტი სამარხიდან გარკვეული ნაწილი ამფორასამარხებია. მათგან უმეტესობა გვიანარქაული და ერთიც ელინისტური ხანისაა. ახ.წ. IV-V საუკუნეების 7 ამფორასამარხს ციხისძირიდან დამხრობაში რაიმე კანონზომიერება არ შეენიშნება: ჭურჭლები ჰორიზონტალურად დევს და ზოგჯერ რიყის ქვები აქვს შემოწყობილი. ერთ-ერთ ამფორასამარხში ბრინჯაოს მშვილდსაკინძზე შეწებებული იყო ქსოვილის ნაშთები (მიაჩნიათ, რომ ახალშობილი ქსოვილში გახვეული იყო დაკრძალული).[18] ჩვილი ბავშვის ამფორაში დაკრძალვა ფიქსირებულია, აგრეთვე, ბიჭვინტაში (65 ამფორასამარხი), სადაც ინვენტარი მხოლოდ II-IV სს ერთ სამარხში დადასტურდა.[19]

ქობულეთის (ფიჭვნარის) ცალკეულ სამარხებში აღმოჩენილი მასალები წარმოადგენს უტყუარ ნივთიერ წყაროს კოლხეთის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებების, ადგილობრივ მკვიდრთა და მოახალშენეთა ურთიერთობების ხასიათის გარკვევისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი წარმოადგენს ანტიკური მცირე ხელოვნების, პლასტიკის, ოქრომჭედლობის, ტორევტიკის საუკეთესო ნიმუშებს. ხშირ შემთხვევაში ისინი განეკუთვნებიან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უნიკალურ მონაპოვართა რიცხვს.

როგორც ვიცით, ერთ-ერთ წამყვან ადგილს ამფორები იკავებენ. სამეურნეო კერამიკის ეს სახე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შესაბამისი ეპოქის მეტროლოგიის, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის კვლევისათვის.

დიდია ქიოსური ნაწარმის ხვედრითი წონა (სურ.50.1, 3). ჩვენ შესაძლებლად ვთვლით კ.ქიოსსა და კოლხეთს შორის უშუალო, პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობას. კ.ქიოსს ასეთივე კავშირები ჰქონდა პონტოს სანაპიროს სხვა ნაწილებთანაც, კერძოდ, ჩრდილო შავიზღვისპირეთთან.[20] კონტაქტები ჩანს ლესბოსთანაც. აღიარებულია, რომ კ.ქიოსის მსგავსად ისინიც სარგებლობდნენ პრივილეგიებით ათენის საზღვაო სახელმწიფოს სხვა მოკავშირეებთან შედარებით.[21] მათი პროდუქცია დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებშიაც ვრცელდება.[22]

ადრეკლასიკური ხანიდან, კერძოდ, ძვ.წ. V ს 80-იანი წლებიდან საერთაშორისო ბაზარზე ათენის ჰეგემონიის დამყარებასთან დაკავშირებით პონტოს სანაპიროს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოს ზღვისპირეთშიაც, ფართო გავრცელებას იწყებს თაზოსისა და მასთან დაკავშირებული წრის კერამიკული ტარა. ფიჭვნარის მონაპოვარში წამყვან ადგილს სწორედ ამ ცენტრის ნაწარმი იკავებს (სურ. 50.2, 4). აღიარებულია, რომ თაზოსური პროდუქცია შავიზღვისპირეთში ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით ვრცელდებოდა.[23]

---

[18] ნ.ანანიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები. - სდსძ, XXI, თბილისი, 1993, გვ. 93-07, ტაბ. 30-39.

[19] ა.ფეფელი ე. „დიდი პიტიუნტი" - არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. - დიდი პიტიუნტი, I, თბილისი, 1975, გვ. 83; გ.ლორთქიფანიძე ე. ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბილისი, 1991, გვ. 114-115, 147, 157 და შმდ. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ წესს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობა არ მისდევდა; ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის მიხედვით კი ჩანს, რომ თანდათანობით ეს წმინდა ბერძნული წესი ადგილობრივ წრეებშიაც იკიდებს ფეხს. თ.თოდუა, ამფორასამარხები ბიჭვინტიდან (პიტიუნტი). - იბერია-კოლხეთი, I, 2003, გვ. 50-54.

[20] Брашинский И.Б. Афины и Северное Причерноморье в VI-II вв. до н.э. Москва, 1963, с. 96.

[21] Лурье С.Я. Эксплуатация афинских союзников. - ВДИ, 1947, 2.

[22] რ. ფეფელიშვილი, კერამიკული ტარა - ვანი VII, 1983.

[23] ზ.ანანიძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია ძველ კოლხეთში. - კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი., 1962.

დიდია ინტერესი ე.წ. მენდეს ადრეული ამფორისადმი ქობულეთ-ფიჭვნარიდან. ესაა ქალქიდიკის (ეგეიდის ჩრდილო სანაპირო) ერთობ ცნობილი და ძვირადღირებული ღვინის იმპორტირების პირველი შემთხვევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე ასევე პირველად აღმოჩნდა პატარა ზომის ყელგამობერილი ამფორები. მათი საწარმოო ცენტრი ზუსტად არაა განსაზღვრული. ბერძნული ნეკრობოლის მიხედვით ჩანს, რომ გვიანკლასიკური ხანიდან ფიჭვნართან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტენსიურად ებმებიან სამხრეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ცენტრები. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრის სინოპეს როლი. პელეპონესის ომში ათენის დამარცხების შემდეგ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სფეროში მკვეთრად იზრდება აქაური ნაწარმის ხვედრითი წონა. სხვადასხვა სახის სამეთუნეო ნაწარმისა და განსაკუთრებით კი ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით დგინდება, რომ ქობულეთ-ფიჭვნარსა და სინოპეს შორის არსებობს პირდაპირი ურთიერთობანი. გარდა სინოპისა, აღმოჩენილია პერაკლეიის კიდე უფრო ადრეული ამფორებიც.

ძვ.წ. IV საუკუნის კერამიკული ტარიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ე.წ. სოლოხას ტიპის (ბიზანტიონის?) და პანტიკაპეონის ამფორები, მაგრამ მათი რიცხვი მოკრძალებულია. კერამიკული ტარის მიხედვით ჩანს, რომ აჭარის ეს ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ანტიკური სამყაროს არა ერთ მნიშვნელოვან სახელოსნო და სავაჭრო ცენტრთან.

ანტიკური ხელოვნების საგანძურში საპატიო ადგილს მოხატული ბერძნული ვაზები იკავებენ. მათ შთამომავლობას შემოუნახეს თავისი დროის და ჩვენთვის დაკარგული ფერწერული მხატვრობის ასლები.

ბერძნული მცირე ხელოვნების საინტერესო ნიმუშებია აღმოჩენილი ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე. მათი რიცხვი საგრძნობია, მაგრამ საერთო სურათის შექმნის მიზნით შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. ადრეულ ნიმუშებს განეკუთვნებიან შავფიგურული ოინოხოია (მასზე მხედარი და ცხენია გამოსახული - სურ. 36) და თეთრანგობიანი ლეკითოსები, შემკული ვერტიკალური პალმეტებით (სურ. 37.1). მსგავსი ნიმუშები ბეტრა-ციხისძირ-შიცაა აღმოჩენილი. ამ სახის ლეკითოსების წარმოება ბელდამის მხატვრის სახელოსნოსთანაა დაკავშირებული და ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედითაა დათარიღებული.[24]

ამავე ბერიოდისაა თეთრფონიანი ლეკითოსები, რომელთა ტანზე სუროს ტოტი ზემოდან და ქვემოდან ექვსუჯრედული ზოლებითაა შემოსაზღვრული (სურ. 37.2, 3).

იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება ქობულეთ-ფიჭვნარის ე.წ. საკვამურის-ებრპირიანი შავლაკიანი ლეკითოსი, შავფიგურული პალმეტებით შემკული ალაბასტრი (სურ. 39.1).

ადრეულია წითელფიგურული „გ" ტიპის სკიფოსი[25] და ე.წ. St-Valentin-ის მდიდრულად ორნამენტირებული კანთაროსი (სურ. 39. 2, 3).

---

[24] ოსიხარულიძე. ატიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვნიდან. - სდსძ, XVI, 1987; მისივე. ატიკური მოხატული კერამიკის ახალი ნიმუშები ფიჭვნარის ბერძნული სამაროვნიდან. - სდსძ, XVII, 1988; მისივე, ატიკური მოხატული კერამიკა ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს სამაროვნიდან (ბერძნული კულტურის ძეგლები საქართველოში), საკანდ. დის., თბილისი, 1992 და სხვ.

[25] ძვ. საბერძნეთში სკიფოსად წოდებული სასმისი, ღრმა ფინჯანისებური მოყვანილობის ქუსლიანი ტანით და ორი ყურით, ჩამოყალიბებული იყო ძვ.წ. VIII ს ბოლოსა და VII ს დამდეგის გვიანგეომეტრიული სტილის კორინთულ კერამიკაში. ატიკური ძვ.წ. VI ს შუახანებში შეიქმნა, ქობულეთ-ფიჭვნარის მსგავსი ამ საუკუნის ბოლოსათვის. იგი ათენის სკიფოსების ანალოგიურია.

თავი VI ატარა ადრეანტიკურ ხანაში

ძვ.წ. V ს 460-450 წლებს შორისაა დამზადებული ფიჭვნარის კიდევ ერთი გვიანარქაული წითელფიგურული სტილის ცილინდრულტანიანი ლეკითოსი, რომელიც თეზევს-ათენა-ბოუდოინის სახელოსნოსთანაა დაკავშირებული.

ფიჭვნარის ადრეკლასიკური ხანის წითელფიგურული სტილის მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს №1 სამარხში აღმოჩენილი ჯამისებრი (a calice) ფორმის კრატერი (სურ. 40, 41). აქვს შედარებით პატარა მოცულობის ტანი, სუსტად გამოყოფილი მხრებიდან აზიდული ყურები, მაღალი გაშლილი ყელი, ფართო ლილვისებური გვირგვინით დასრულებული ბირი (ტანის მოცულობის დიდი ნაწილი ყელზე მოდის), ტანისაგან გამოყოფილ ორსაფეხურიან ფეხსა და კორპუსს შორის შემოუყვება პლასტიკური რგოლი. მხატვრობა ორფრიზიანია. ბირი შემკულია ვოლუტებიანი პალმეტებისა და ლოტოსის ყვავილების ჰ ორიზონტალური ზოლით. ქვედა ფრიზის სცენებს შორისი და ყურის ძირების ზედა არე ორმაგი პალმეტებითაა შევსებული. ზედა და ქვედა ფრიზი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ოვების ორნამენტის ზოლით. ქვედა ფრიზის შემომსაზღვრელი მეანდრისა და ჯვრების ჰ ორიზონტალური ზოლი ყურებამდე ვრცელდება.

ქობულეთ-ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერის ზედა ფრიზის წინა მხარეს, თეზევსის (ათენელი გმირი, რომელმაც მოკლა მინოტავრი, პროკრუსტე და ბევრი სხვა საგმირო საქმე ჩაიდინა) მიერ ელენეს მოტაცების სცენაა აღბეჭდილი. მოქმედების ადგილია არტემიდე ორთიას ტაძარი, რაზედაც ნათლად მიუთითებს იქვე გამოსახული იონიური კაპიტელიანი საკურთხეველი და დორიული კოლონა. მრავალფიგურიანი კომპოზიციის (ზედა ფრიზზე მოხატულია 13 ქალისა და 7 მამაკაცის ფიგურა) ცენტრში ნაჩვენებია შუბოსანი შიშველი ახალგაზრდა - ატიკის უპოპულარესი გმირი თეზევსი, რომელიც მარცხნივ მისდევს ელენეს. თეზევსს ხურავს ორნამენტირებული ბეტაზი, რომლის ქვემოთაც მოჩანს გრძელი, ჩამოშლილი თმები, ხელთ უპყრია ორმაგი შუბი, მარცხენა ფერდზე ჰკიდია მოკლე სატევარი, მარცხენა ხელზე გადაგდებული აქვს ვიწრო და გრძელი მოსასხამი. ელენეს აცვია სადღესასწაულო პეპლოსი, რომლის ზედა ტანი (აკეცილი კალთა) და ბოლო შემკულია ფართო შტოებიანი აშიით. წელზე ვიწრო სარტყელი აქვს შემორტყმული, კონად შეკრულ თმებს ამშვენებს მახვილშტოებიანი დიადემა. ელენეს უკან მარცხენა პროფილში დგას წვერიანი მამაკაცი, როგორც ჩანს, ელენეს მამა ზევსი. მარცვენა ხელში უკავია ორნამენტირებული სკიპტრა, თავი შემკული აქვს დაფნის შტოსაგან შედგენილი გვირგვინით. მის გვერდით ვხედავთ ზურგიან სკამს. გვირგვინი, სკიპტრა, ფიგურის მონუმენტურობა ნათელყოფს, რომ საქმე გვაქვს უზენაეს ღვთაებასთან. სიტყვას აღარ განვავრცობთ სხვა ფიგურების, ელენეს მეგობარი ქალიშვილების შესახებ.

კრატერის ზედა ფრიზის უკანა მხარეს სასიყვარულო მიდევნების სცენაა გადმოცემული: შუაში ფრთოსანი ქალღმერთი ეოსი მისდევს ჩანგიან ჭაბუკ კეფალოსს.

ქობულეთ-ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერის წინა მხარეს ქვედა ფრიზზე მოხატულია მითი ტრიპტოლემოსის, დემეტრესა და პერსეფონეს შესახებ. ცენტრში ნაჩვენებია ფრთოსან ეტლში მჯდომი ტრიპტოლემოსი მარჯვენა პროფილში, რომელსაც მარცხენა ხელში სკიპტრა და თავთავები უკავია, მარჯვენაში კი - ფიალა. ტრიპტოლემოსის წინ დგას ქალღმერთი დემეტრე. მას მარცხენა ხელში სკიპტრა და თავთავები უკავია, მარჯვენა წინ გაწვდილ ხელში კი - ბრინჯაოს ოინოხოია. დემეტრეს უკან ვხედავთ მაშხალებიან ჰეკატეს ფასში. ტრიპტოლემოსის უკან კი კორას, პერსეფონეს მარჯვენა პროფილში. შემოსილია

ნაზი ქსოვილისაგან დამზადებული ქიტონითა და მოსასხამით. ორივე ხელში უკავია ზეთის-ხილის შტოების ბოლოები. სიღრმეში მოჩანს დორიული კოლონა, რაც ადასტურებს, რომ მოქმედება ხდება ელევსინის ტაძარში.

ქვედა ფრიზის უკანა მხარეს მოცემულია ოთხფიგურიანი კომპოზიცია სიმპოსიუმის სცენით - ტახტზე წამოწოლილი მამაკაცები და მათი გვერდობი ქალები.

ქობულეთ-ფიჭვნარის კრატერი დამზადებულია ატიკაში დაახლოებით ძვ.წ. 450 წელს.[26] მისი მომხატველია ე.წ. ნიობიდების მხატვარი. იგი წითელფიგურული ვაზათმომხატველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია და ითვლება მონუმენტური ვაზათმომხატველობის ფუძემდებლად. აგრძელებს კლასიკური მონუმენტური ფრესკული კედლის მხატვრობის საუკეთესო ტრადიციებს (კლასიკური მონუმენტური მხატვრობის წარმოქმნა-განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებასთან). მონუმენტური ფრესკული მხატვრობის უდიდეს წარმომადგენლად აღიარებულია პოლიგნოტ თაზოსელი (მოღვაწეობდა ძვ.წ. 470-440 წლებში). თვლიან, რომ კიმონის ხანაში იგი ისეთივე როლს თამაშობდა მხატვრულ ცხოვრებაში, როგორსაც ფიდიასი პერიკლეს მონათმფლობელური დემოკრატიის აყვავების ხანაში. პოლიგნოტი გრანდიოზული მრავალფიგურიანი კომპოზიციების ოსტატია. მის შემოქ-მედებაში დიდი ყურადღება ექცევა პერსონაჟთა სულიერ-ესთეტიკურ განწყობილებების გადმოცემას. პოლიგნოტს მხატვრობაში შემოაქვს პეიზაჟი - ზღვის სანაპირო, მდინარეები, უსწორმასწორო რელიეფი და ა.შ., ნერგავს პლასტიკურ, მოცულობით მხატვრობას, ადრე კი ფიგურები სიბრტყეში ფრიზისებურად იყვნენ განლაგებული. მისი შემოქმედებიდან განსაკუთ-რებით აღსანიშნავია პლატეაში ათენა არეას ტაძრის მოხატულობა ჰომეროსის „ოდისეას" თემაზე, ასევე გრანდიოზული კომპოზიცია დელფოში - „ილიონის დანგრევა" და „ქვესკნელის სამეფო". მანვე კიმონთან ერთად ათენში მოხატა თეზეონი. ათენის აკროპოლის პორტიკის მხატვრობაში პოლიგნოტთან ერთად მონაწილეობა მიუღია მიკონსა და ფიდიასის ძმას პა-ნენს. ორი ნახატი „ილიონის აღება" და „ამაზონომახია" შეეხება მითოლოგიურ თემას, ხოლო „მარათონის ბრძოლა" და „ინოის ბრძოლა" - ისტორიულს.[27]

კედლის მხატვრობის სწორედ ამ ტრადიციებს აგრძელებს და ნერგავს ვაზათმომხატველობაში ფიჭვნარის კრატერის ოსტატი. როგორც ცნობილია, „ნიობიდების მხატვარს" ეს სახელი შეერქვა ორვიეტოში აღმოჩენილი (დაცულია ლუვრის მუზეუმში) ბრწყინვალე კრატერის მიხედვით. მოხატული ვაზების აღიარებული სპეციალისტი ი.ბიზლი მის შემოქმედებას აკუთვნებს 101 ვაზას, ხოლო მოწაფეებისას - 46-ს.[28] ამათ, რა თქმა უნდა, ჩვენი მონაპოვარიც ემატება. ნიობიდების მხატვრისათვის დამახასიათებელია იზოლირებულად მდგომი ფიგურების თავისუფალი განლაგება. საერთო სიმშვიდის განწყობილება, რომელიც დამახასიათებელია მისი ფიგურებისათვის, ატარებს არა აბსტრაქტულ, როგორსაც ჩვენ ვხე-დავთ მისი მასწავლებლის (მხედველობაშია ოსტატი ალთამურიდან) შემოქმედებაში, არამედ სრულიად სარწმუნო და ბუნებრივ ხასიათს, რითაც მოგვაგონებს ოლიმპოში ზევსის ტაძარზე

[26] დაწვრილებით იხ.: ა.კახიძე, ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 69, 2, 1973; მისივე, ფიჭვნარის ანტიკური ხელოვნების ძეგლები. - „საბჭოთა ხელოვნება", 9, 1973; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები... გვ.34-68; მისივე, ფიჭვნარი II, გვ. 79-82, სურ. 23-27. თამარულიძე, ატიკური მოხატული... გვ. 60-66.

[27] მონუმენტური მხატვრობის შესახებ იხ.: Чубова А.П., Иванова А.П. Античная живопись, Москва, 1966; Колпинский Ю.Д. Искусство эгейского мира и древней Греции, Москва, 1970; Виппер Б.Р. Искусство древней Греции, Москва, 1972 და სხვა.

[28] I.D. Beazley, ARV².

გამოსახული ღმერთებისა და გმირების მონუმენტურ ფიგურებს. ახალი მიმართულების ხელოვნებისათვის, ამაღლებული კლასიკისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენცია შესანიშნავად ჩანს ფიჭვნარის კრატერის მიხედვითაც. ნიობიდების მხატვარი ქმნის საყვარელი ღმერთების (აპოლონი და არტემიდე, ზევსი და ათენა, დემეტრე და დიონისე და ა.შ.) თუ გმირების ტიპიურ, იდეალიზებულ სახეებს. ინდივიდუალიზებული პორტრეტების შექმნის პრობლემა მის წინაშე არ დგას, რაც დამახასიათებელია საერთოდ ადრეკლასიკური ბერძნული ხელოვნებისათვის. იგი ხშირად მიმართავს მონუმენტური კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელ სიუჟეტებს. ესენია: გიგანტომახია, ამაზონომახია, კენტავრომახია, ტროას დაცემა და ა.შ. ვხვდებით სხვა სცენებსაც: დიონისე და მენადები, ახალგაზრდის გამომშვიდობება ოჯახთან და სხვა. მის რეპერტუარში ხშირადაა ღმერთები აპოლონი, არტემიდე, ლეტო, ზევსი, დიონისე და გმირები, ტრიპტოლემოსი, ორფეოსი და სხვა.[29]

ფიჭვნარის კრატერთან განსაკუთრებით სიახლოვეს ბოვებს ორვიეტოსა (ლუვრის კრატერი), ბრიტანეთის მუზეუმისა და ეტრუსკულ ქალაქ სპინაში აღმოჩენილი კრატერები. ლუვრის კრატერის ფრონტალურ სცენაზე მოხატულია არგონავტების შეკრება. სხვა ფიგურებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცხენთან მდგომი შიშველი ახალგაზრდა. ჩვენი მონაპოვრის მიხედვით შესაძლებელი ხდება „ნიობიდების მხატვრის“ შედევრის ლუვრის კრატერის ამ პერსონაჟის დადგენა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლუვრის კრატერზე გამოსახული სცენის სწორი ინტერპრეტაციისათვის. ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ეს ფიგურა როგორც მხატვრობის მანერის, ასევე ცალკეული ატრიბუტების მიხედვითაც იმეორებს ფიჭვნარის კრატერზე გამოსახულ შიშველ ახალგაზრდას-თეზევსს. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ ლუვრის კრატერზე გამოსახული ცხენთან მდგომი შიშველი ახალგაზრდა თეზევსი უნდა იყოს. ჩვენი პერსონაჟის მსგავსად, ამასაც ხურავს ფიჭვნარის ფიგურის ანალოგიური ორნამენტირებული პეტაზი, ხელთ უპყრია წყვილი შუბი, გვერდზე ჰკიდია მოკლე სატევარი, ხოლო მარცხენა ხელზე გადაგდებული აქვს გრძელი მოსასხამი. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს გამოსახულება ფიჭვნარის თეზევსის ორეულია.

ამ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ლუვრის კრატერის ფრონტალური სცენის სწორი ინტერპრეტაციისათვის. ამ მიმართებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი ნაწილი (ბიზლი, ვებსტერი, ჰელბიგი და რობერტი) თვლის, რომ აქ გადმოცემულია „ჰერაკლე და არგონავტები“, ჰაუზერი აქ მარათონის ბრძოლის გმირებს ხედავს; სიესის მოსაზრებით, ესაა ჰერაკლეს მიერ ქვესკნელის ტყვეობიდან თეზევსის გათავისუფლების სცენა. ამ სცენაში თეზევსი და პეირითოსი შეიცნო არგონავტებს შორის გარდნერმა. ახალ მოსაზრებას გვთავაზობს ერიკა სიმონი, რომლის მიხედვითაც ლუვრის კრატერზე გამოსახულია თეზევსის არა პირველი „მითიური“ დაბრუნება ჰადესის სამეფოდან, არამედ მეორე „ისტორიული“, როცა ძვ.წ. 475 წ. კიმონმა კ.კიროსზე აღმოჩენილი „დიდი ადამიანის კუბო, რომლის გვერდითაც სპილენძის შუბი და ხმალი იდო“, თეზევსის ნეშტად მიიჩნია, დიდი პატივით გადმოასვენა ათენში და დაკრძალა თეზეონში, აგორის მახლობლად. ერიკა სიმონი თეზევსად მიიჩნევდა ქვემოთ, მიწაზე გართხმულ ახალგაზრდას, რომელიც თითქოს ხელმეორედ წამოდგა საფლავიდან.[30] ფიჭვნარის აღმოჩენების შემდეგ ერიკა სიმონის მსგავსი განსაზღვრა საფუძველს მოკლებული

[29] ნიობიდების მხატვრის შესახებ იხ.: T.Webster. Der Niobidenmailer, Leipzig, 1935; I.D. Beazley, ARV²: A.Rump, Malerei und Zeichnung, Monaco, 1953 და სხვა.

[30] ლუვრის კრატერის ფრონტალური სცენის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებანი გადმოცემულია: E.Simon, Polygnotal Painting and the Niobid Painter.-AJA,67(1), 1963.

ჩანს. ფიჭვნარის კრატერი, როგორც ითქვა, შესაძლებლობას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ ლუვრის კრატერზე გამოსახული თეზევსი - ესაა ცხენთან მდგომი შიშველი ახალგაზრდა. უფრო სარწმუნო ჩანს ბიზლის, ვებსტერის, ჰელბიგისა და რობერტის ინტერპრეტაცია, რომ ლუვრის ფრონტალურ სცენაზე ნამდვილად გადმოცემულია არგონავტების შეკრების სცენა. მოქმედება ხდება უსწორმასწორო ადგილებში.

ლუვრის კრატერის მეორე მხარეს გადმოცემულია ნიობიდების დახოცვის პათეტიკური სცენა.[31] აქაც მოქმედება უსწორმასწორო ადგილას ხდება. ფიგურები კიდევ უფრო თავისუფალ მოძრაობაშია ნაჩვენები. ზემოთ გამოსახულია აპოლონი და არტემიდე, რომლებიც მომართული მშვილდებიდან ისრებს უშენენ განწირულ ნიობიდებს. ნაწილი უკვე განგმირული მიწაზეა გართხმული, ნაწილი კი ამაოდ ეძებს შველას. სწორედ ამ ამაღელვებელი სცენის მიხედვით ეწოდა დიდ ხელოვანს „ნიობიდების მხატვარი". მისი ნამდვილი სახელი ჯერ კიდევ უცნობია. კრატერი ძვ.წ. 455-450 წლებითაა დათარიღებული.[32]

ქობულეთ-ფიჭვნარის მონაპოვრის მსგავსია ეტრუსკულ ქალაქ სპინაში აღმოჩენილი ორფერიანი კრატერი, რომლის ზედა ფრიზზე მოცემულია გიგანტომახია, ხოლო ქვედაზე, ფიჭვნარის მსგავსად, მითი ტრიპტოლემოსის, დემეტრესა და პერსეფონეს შესახებ.[33] ფიჭვნარის მსგავსი კიდევ ერთი კრატერი ბრიტანეთის მუზეუმშია ექსპონირებული.

ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილ წითელფიგურულ კრატერს სხვა მოხატულ ვაზებთან ერთად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ანტიკური მცირე ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს. მისი ზედა ფრიზი (თეზევსის მიერ ელენეს მოტაცება) უნდა აცოცხლებდეს მონუმენტური კედლის მხატვრობის დღემდე უცნობ მრავალფიგურიან კომპოზიციას, ხოლო თეზევსის შესახებ თქმულებათა ციკლს ახალი მხატვრული სიუჟეტი შეემატა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფიჭვნარის ვაზა შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ ნიობიდების მხატვრის შედევრის ლუვრის კრატერის ერთ-ერთი პერსონაჟი. ფიჭვნარის კრატერი საპატიო ადგილს იკავებს მხატვრის შემოქმედებაში. იგი თამამად შეიძლება დავაყენოთ ლუვრის, ბრიტანეთის მუზეუმისა და სპინას წითელფიგურული კრატერების გვერდით.

კლასიკური წითელფიგურული სტილის ნაწარმადაა მიჩნეული ფიჭვნარის პოლიგნოტოსის ჯგუფის სვეტისებრყურიანი წითელფიგურული კრატერი ეოსისა და კეფალოსის გამოსახულებებით. მხატვარი აგრძელებს ნიობიდების მხატვრის ტრადიციებს. შეინიშნება მისწრაფება ადამიანის სახის იდეალიზებისა და რაფინირებული სრულყოფისაკენ, რასაც სპეციალისტები ფიდიასის ქმნილებათა გავლენით ხსნიან.[34]

2005 წელს ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერ ნულ ნეკროპოლზე აღმოჩნდა კიდევ ერთი წითელფიგურული კრატერი. მის წინამხარეზე გამოსახულია უზენაესი ღვთაება ზევსი და

---

[31] მითის მოკლე შინაარსი ასეთია: თებეს მეფის ამფიონის მეუღლეს ნიობეს პყავდა 7 ვაჟი და ამდენიეე ქალიშვილი. დასციანის ზეკსის სატრფოს, ქალღმერთ ლეტოს, რომელსაც მხოლოდ ქალ-ვაჟი (ოქროს კულულებიანი აპოლონი და ქალწული არტემიდე) პყავს. არც მსხვერპლი შეწირა. ლეტომ შვილებს შესჩივლა ნიობეს კადნერების შესახებ. სასტიკად დაინაჯა ნიობე: აპოლონმა ყველა ვაჟი დაუხოცა, არტემიდემ კი - ქალიშვილები. თვით ნიობე ცრემლჩამომდინარე კლდედ იქცა.

[32] ლუვრის კრატერის შესახებ იხ.: Beazley, ARV²: T.W. Webster. დასახ. ნაშრ; E.Simon. დასახ. ნაშრ.

[33] Alfieri-Arias, Spina, გვ. 40 და შემდ.

[34] თ.ახალბარულიძე. წითელფიგურიანი კრატერი მითოლოგიური სცენით „ეოსი და კეფალოსი" ფიჭვნარიდან. - სდსძ, XIII, 1985; მისივე, ატიკური... გვ. 66-67, ტაბ. XLI.

ფრთოსანი ირისი. უკანა მხრის სიუჟეტის განსაზღვრა არ ხერხდება - მოხატულია ქალისა და ჭაბუკის თავები (სურ. 42).

გვიანკლასიკური წითელფიგურული სტილის ნიმუშს წარმოადგენს ფიჭვნარის ჰიდრია. მასზე მოხატულია ზურგიან სკამზე მარცხენა პროფილში მჯდომი ქალის ფიგურა. მის წინ გამოსახულია ეროსი მარჯვენა პროფილში, დაფრენისას. დამზადებულია პოლიგნოტოსის ტრადიციების გამგრძელებელ სახელოსნოში. ვაზების ცნობილმა სპეციალისტმა ჯ. ბიზლიმ ამ სკოლის ოსტატს შუვალოვის მხატვარი უწოდა. თარიღდება ძვ.წ. 425-410 წლებით.[35]

გვიანკლასიკური ხანის წითელფიგურული სტილის ვაზები უკვე წარმოადგენენ მასიური წარმოების პროდუქციას და მათზე უპირატესად თითო ფიგურაა გამოსახული. ფიჭვნარის მონაპოვარში ძვ.წ. V ს მეორე ნახევრის მსგავსი ვაზებიდან მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან შედარებით პატარა ზომის ცილინდრული თუ ე.წ. არიბალისებრი ლეკითოსები. ამ პერიოდისათვის ხელოვნების მცირე ფორმების სტანდარტები თანდათანობით ეცემა, გზა ეხსნება დიდძალ ერთსახოვან პროდუქციას, თუმცა, ნახელავი მაინც მოწონებით სარგებლობს. მკვლევართა ყურადღებას იქცევს ფიჭვნარის წითელფიგურული ლეკითოსი, რომელზეც მოცემულია ფრთოსანი ქალღმერთი (ნიკე თუ აურა) მშვიდი და კეთილშობილი იერით. თავისუფალი, დინჯი და ზვიადი მოძრაობით მას პართენონის გამოსახულებებს უახლოვებენ. თვლიან, რომ შესრულებულია პოლიგნოტოსის სკოლის ტრადიციულ სტილში. გამოირჩევიან ასევე ლეკითოსები, რომლებზედაც მოხატულია ქალის ფიგურები ხელში კოლოფებით, ქალი შეწირვის აღსრულებისას; შესანიშნავადაა შესრულებული ქალის პროფილი თავზე მოსასხამით და ჭაბუკის პროფილი მუზარადისებრი პილოსით, ეროსის გამოსახულებიანი ლეკითოსები (სურ. 44). ფიქრობენ, რომ ესენი დამზადებულია შუვალოვისა და ერეტრიას მხატვრული სკოლის ტრადიციებით. ვხვდებით გარდაცვლილთა სულების მეგზური ღვთაების ჰერმესის გამოსახულებებს ფარფლებიანი ქუდით; აფროდიტესა და ეროსის ციკლს აკუთვნებენ ბურთებით მოთამაშე ეროსის გამოსახულებებს, ხოლო ბუს ალეგორიულ გამოსახულებას ათენას კულტს უკავშირებენ. იშვიათად ჩნდება არიბალისებრი ლეკითოსები, რომლებზეც სფინქსია მოხატული. ძვ.წ. V ს ბოლო მეოთხედს განეკუთვნებიან ცხოველთა თუ ფრინველთა გამოსახულებიანი ლეკითოსები (ხშირია გედის გამოსახულებანი). არის ასევე ირმის დინამიური ფიგურა მარჯვნივ მიმართულ მოძრაობაში. ძვ.წ. IV ს პირველი ნახევრით თარიღდება ე.წ. ბადისებრორნამენტიანი ლეკითოსები და ამფორისკი. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარში გავრცელებულია ე.წ. შარტივორნამენტიანი ცილინდრული ლეკითოსები. ზოგიერთი მათგანი უახლოვდება ე.წ. ლუვრის გოგონას მხატვრის ნამუშევარს.

სხვა ფორმებიდან ყურადღებას იქცევენ წითელფიგურული თუ სადა შავლაკიანი ასკოსები, რომელთაც მჯდომარე ფრინველის (მტრედისა თუ იხვის) ფორმა აქვთ. ამათგან ნელ-ნელა, წვეთობით იღვრებოდა ზეთი თუ თაფლი. არ გამორიცხავენ, რომ ამ სახის ზოომორფული ჭურჭლით ბავშვისათვის რძის მიწოდებაც ხდებოდა. ფიჭვნარის ერთ-ერთ ნიმუშზე გადმოცემულია ლომისა და ხარის ურთიერთდაპირისპირებული აგრესიული ფიგურები, მეორეზე-სატირისა და მენადის დევნის კომპოზიცია. სხვებზე მოცემულია ორი შიშველი ათლეტის ფიგურა სტრიგილით ზემოთ აწეულ ხელში. ერთ-ერთ ასკოსზე სფინქსები თუ სირინოზები

[35] თ.ხიხარულიძე, ატიკური... გვ. 07-73, ტაბ. XLII.

უნდა იყოს გამოხატული. არის კაცისა და ლომის გამოსახულებიანი ნიმუშიც.[36]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქობულეთ-ფიჭვნარის მონაბოვარი მდიდარ ინფორმაციას იძლევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ანტიკური ცივილიზაციის კვლევისათვის.

ფიჭვნარის აღმოჩენებში გაცილებით მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჯგუფს ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი სადა თუ ორნამენტირებული ატიკური შავლაკიანი კერამიკა ქმნის. მსგავსი სერვისი ჯერჯერობით ამიერკავკასიის არცერთ ძეგლზე არაა წარმოდგენილი. სჭარბობს საღვინე, სუფრის, ტუალეტისა თუ დასაკრძალავი რიტუალისათვის განკუთვნილი ნაწარმი. ატიკური შაავლაკიანი კერამიკის ძირითადი მომხმარებელი, ბუნებრივია, თვით ფიჭვნარელი ელინები არიან. მეტ-ნაკლებად ფუფუნების საგნების ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყენებენ; ისინი წარმოდგენილია ძ.წ. V ს კოლხთა სამარხებში და კიდევ უფრო ხშირად ჩნდება ფიჭვნარის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში.

ქობულეთ-ფიჭვნარში აღმოჩენილი ამ სახის ნაწარმის დიდი ნაწილი მასობრივი წარმოების პროდუქციას წარმოადგენს. გვხვდება თვით ანტიკური სამყაროსათვისაც კი უცნობი თუ იშვიათი ნიმუშები. ჩვენი სინამდვილისათვის ატიკური შავლაკიანი კერამიკის დიდი ნაწილი ქობულეთ-ფიჭვნარის აღმოჩენებამდე უცნობი იყო. ბევრი მათგანი დამზადებულია ათენის საუკეთესო სახელოსნოში.[37]

ფიჭვნარის ძვწ. V-IV სს ბერძნული ნეკროპოლის მასალებში ყურადღებას იქცევენ საღვინე ჭურჭლები, პირველ რიგში ე.წ. კილიკები, რომელთათვის დამახასიათებელია დახვეწილი ფორმები და ნატიფი სამკაულები. როგრც დახვეწილი ფორმის, ისე შემკობის სინატიფით გამოირჩევა 2006 წელს აღმოჩენილი ღვინის სმისათვის განკუთვნილი კილიკი, რომელიც დაფარულია საუკეთესო ხარისხის შავი ლაკითა და ფსკერის შიდა ზედაპირ'ზე სიმეტრიულად განლაგებული ვარდულებით, სუროს ფოთლებითა და მარცვლებით. მსგავსი მაღალმხატვრული ნაკეთობა პირველად აღმოჩნდა საქართველოში (სურ. 43); არის სხვა ე.წ. „ნატიფი კლასის" კილიკებიც. ასევე ითქმის ე.წ. ბოლსალების, თას-სკიფოსებისა და მაღალძირიანი თასების შესახებაც, სკიფოსები შედარებით ცოტაა წარმოდგენილი. გვხვდება ე.წ. ცალყურა თასები, რომლებიც იდეალურია მოგზაურობისა და ჯარისკაცებისათვის. საღვინე ჭურჭლებს შორის ყურადღებას იქცევს პატარა ზომის კანელურებიანი ტოლჩები (სურ. 45.1), ოინოხოიები და ა.შ. სუფრის ჭურჭელთა შორის გამოირჩევა სხვადასხვა ზომის სადა თუ ორნამენტირებული შავლაკიანი ჯამები, სამარილეები, თეფშები, მაღალძირიანი ლანგრები და ა.შ.

სანელსაცხებლე ჭურჭლებიდან აღსანიშნავია შავლაკიანი ამფორისკები (სურ. 45. 2,3; 51. 1,2), ასკოსები, ლეკითოსები, ლეკანები და ა.შ.

კოლხური სამაროვნის მსგავსად ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილია სადაზოლებიანი იონური კერამიკის ცალკეული ნიმუშები (სურ. 47.1-3). აშკარაა, რომ იონიურ ცენტრებთან ტრადიციული კონტაქტები ძვ.წ. V ს 30-იან წლებამდე გრძელდებოდა.

საინტერესოა, რომ ძვ.წ. V-IV სს ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი ოთხივე ტერაკოტა დემეტრეს გამოსახავს (სურ. 60). ერთ-ერთი მათგანი შესრულებულია ყალიბში, თავს უმშვენებს სტეფანა. მკერდი და მკლავები რელიეფურადაა დამუშავებული. სტილისტური მონაცემების

[36] დაწვრილებით იხ.: თ.სიხარულიძე. ატიკური მოხატული გაზები...

[37] 1967 წელს აღმოჩენილი ზოგიერთი ფორმის შესახებ იხ.: ა.კახიძე. აღმოსაგლეთ შავიზღვისპირეთის... 1968-2002 წლების მონაბოვრების შესახებ: ა.კახიძე, ზ.გიკერსი, ფიჭვნარი 1, 1964. ა.კახიძე. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ფიჭვნარის ძვ. წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი-ოქსფორდი, 2007.

მიხედვით ის ატიკური წარმოებისაა, შესრულების მანერის მიხედვით კი გარდამავალი ბერიოდის უნდა იყოს (ე.წ. მკაცრი სტილის კლასიკა ძვ.წ. V ს 60-იან წლებამადე), რომელშიც შერწყმულია როგორც არქაიკისათვის, ისე ადრეული კლასიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ტერაკოტა მიეკუთვნება ე.წ. ტახტზე მჯდომი ქალღმერთების რიგს. სიუჟეტური ანალოგებისა და გარკვეული ატრიბუტიკის უქონლობის მიუხედავად დემეტრეს, მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთის გამოსახულება უნდა იყოს.[38] მეორე ტახტზე მჯდომი ქალღმერთის დემეტრეს სახე ოვალურია, ცხვირი დაზიანებული, სახე არ არის პროფილირებული. კეფაზე აქვს კაუჭის ფორმის თავსამკაული, სავარძელს ამშვენებს მომრგვალებული შვერილები, დანარჩენ ტახტზე მჯდომი ქალღმერთთა ფიგურები ძლიერ დაზიანებულია. გვაქვს ძვ.წ. V საუკუნეების შუახანების ფეხზე მდგომი ქალღმერთის გამოსახულებიანი მოზრდილი ტერაკოტა. მარცხენა ხელით ბეჭლოსის კალთა აქვს აკეცილი, მარჯვენაში ყვავილი უნდა ეჭიროს. მარცხენა ფეხი წინ აქვს გადადგმული; სახე მასიური, მსხვილნაკვთებიანი, თმები სოლისებურად უკან აკრეფილი (სურ. 60.1). აკუთვნებენ კ.როდოსზე მიკვლეულ პოსტაფროდიტეს ჯგუფის ქანდაკებებს.[39]

ფიჭვნარელ ელინთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს ზოგადკოლხური ყურმილიანი და ე.წ. ფიჭვნარული ხელადები (სურ. 32). იგივე ითქმის სხვა ფორმების შესახებაც, რომლებიც იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. ასეთია მზის სიმბოლიკიანი და ყელის არეში კოპებით შემკული მათარა (სურ. 33.1), მოზრდილი ჭდეული ყურძნის მტევნების გამოსახულებიანი ფინჯნისებური ჭურჭელი და ა.შ.

ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის ერთ-ერთ თავისებურებას ანტიკური სამყაროს სხვა მასობრივ სამაროვნებთან შედარებით წარმოადგენს ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ზეგავლენით შედარებით ხშირად ჩნდება ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული სხვადასხვა სახის სამკაულები თუ მინის მძივები. ხშირ შემთხვევაში როგორც შემოტანილი, ასევე ადგილზე დამზადებული ამ სახის ნაკეთობანი წარმოადგენენ ანტიკური მცირე ხელოვნების, ამაღლებული კლასიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებს. ამ სფეროში მომუშავე ქობულეთელი ოსტატები ტოლს არ უდებენ საყოველთაოდ ცნობილ საწარმოო ცენტრებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ოქრომჭედლობის შესახებ.

საიუველირო ხელოვნების ნიმუშთა დიდი ნაწილი ადგილობრივი წარმომავლობისაა. შესაძლებელი ხდება სამეთუნეო ნაწარმის მსგავსად ადგილობრივი სტილის გამოყოფაც კი. ძალზე მცირერიცხოვანია იმპორტული ნაკეთობანი, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მკრთალი ოქროსაგან (ელექტრუმი) დამზადებული ბეჭედი - ინტალიო, რომელზეც გამოსახულია წამოწოლილი ქალის - აფროდიტას ფიგურა. ციურ ღვთაებას - აფროდიტა ურანიას მარცხენა ხელი ეროსის ხელისათვის წაუვლია. ეროსი აფროდიტას გვირგვინს აწვდის (სურ. 54.1). მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ფიჭვნარის ბეჭედი-ინტალიო კლასიკური ხანის ძეგლთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ოსტატი დექსამენეს თანამედროვედაა მიჩნეული. სცენას პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება. შორეული პარალელების, თმის ვარცხნილობის, ჩაცმულობის, ფორმებისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით ქობულეთ-ფიჭვნარის უნიკუმი ძვ.წ.

---

[38] Русяева А.С. Античные терракоты Северо-Западного Причерноморья, Киев, 1982; Кругликова И.Т. Статуэтки из Киммерики. - Терракоты Северного Причерноморья. - САИ, вып. Г1-11, Москва, 1970, с. 82, таб. 27 (1,1а,1б).

[39] ა.კახიძე, მ.გიკურსი, ფიჭვნარი I, გვ. 75, სურ. 167.

V ს შუა წლებით, უფრო მესამე მეოთხედით თარიღდება.[40]

ოქროს ნივთების დიდი ნაწილი ადგილობრივია. ფიჭვნარული ნაკეთობა უნდა იყოს სადა თუ მჭიდროდ განლაგებული კონცენტრული წრეხაზებით შემკული რგოლსაკიდები და სასაფეთქლე ხვიები. ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლის ოქროს სამკაულებს შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ე.წ. ნახევარმთვარისებრი საყურეები, რომლებიც წარმოადგენენ დღემდე ცნობილი ამ ტიპის თავსამკაულის საუკეთესო ნიმუშებს (სურ. 52.2, 3, 4).

აღიარებულია, რომ ნახევარმთვარისებრი საყურეები შექმნილია ადგილობრივ ნიადაგზე; გამოყენებულია ადგილობრივ აღმოცენებული მხატვრული ხერხები, რომელთაც ღრმა ტრადიციები აქვთ. ვარდული და ორნამენტირებული სარტყელი მხოლოდ და მხოლოდ კოლხეთში დამზადებული ნიმუშებისათვის ჩანს დამახასიათებელი.[41] გვხვდება ე.წ. ოქროს ბურთულიანი საყურეები (სურ. 49.2).

შესანიშნავია ბავშვის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი პატარა ზომის საყურეებიც, რომელთა წინა გაბრტყელებული ნაწილი შემკულია ვარდულითა და ორნამენტირებული ვერტიკალური ზოლებით. თვით საყურე კი გარკვეულ მონაკვეთებზე მარცვლოვანი გავარსხითაა დაფარული (სურ. 52.1). სამეცნიერო ლიტერატურაში მათ პარალელი არ ეძებნებათ.

ქობულეთ-ფიჭვნარის ოქროს ყელსაბამები შედგება მძივებისა და სხვადასხვა სახის საკიდებისაგან. მძივები ორი სახისაა - სადა სფეროსებური და ტანდაღარული (სურ. 49.1; 62.1). აღმოჩენილია ფეხმოკეცილი ჯიხვის ფორმის საკიდი (სურ. 53).

ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ჯიხვის კულტი უძველესი ეპოქებიდანაა დადასტურებული. იგი მიჩნეულია ცხოველთა მფარველი ღვთაების, ბუნების დიდი დედის ერთ-ერთ ზოომორფულ სახედ. ჯიხვის პლასტიკურ გამოსახულებებს ცენტრალური ადგილი უკავია ბრინჯაოს ბალთებსა[42] და ყაზბეგის ქანდაკებებში.[43] სხვა ნიმუშებიდან ყურადღებას იქცევს ფრინველის გამოსახულებიანი საკიდები, რომელზეც უხვადაა გამოყენებული ცვარა (სურ. 53).

ოქროს ყელსაბამების შესადგენად უკეთებიათ, აგრეთვე, ნახევარმთვარისებრი გამოსახულებანი (სურ. 46.2) და დისკოსებური თხელი ფირფიტები, რომლებიც ასტრალურ რელიგიურ ბანთეონს უკავშირდებიან. მსგავსი სიმბოლიკაც ფართოდაა გავრცელებული ჩვენი წინაპრების მატერიალურსა თუ სულიერ კულტურაში.

მაღალმხატვრულ ნაკეთობას წარმოადგენს ცხოველის სტილიზებული თავებით (ბეჭ ემოტის) შემკული ოქროს საყურე რგოლი (სურ. 49.3).

ქობულეთ-ფიჭვნარის ნეკროპოლზე ოქროს გარდა, ზომიერადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინის ნაირ-ნაირი სამკაულები. მსგავს მონაპოვარში აირეკლა აქაურ მკვიდრთა მხატვრული გემოვნება, რელიგია, სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე. გარკვეული წარმოდგენა გვექმნება მათ ჩაცმულობა-მოკაზმულობაზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ვერცხლისა და ბრინჯაოს სპირალური ხვიები, ვერცხლის, იშვიათად რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები (სურ. 55), ფარაკიანი ბეჭდები, რგოლსაკიდები, მშვილდსაკინძები (სურ. 62.3), ბალთა, პირამიდული საკიდი, ნაირ-ნაირი მინის მძივები და სხვა.

---

[40] **ბ.ლორთქიფანიძე.** კოლხეთის ძვ.წ. V-III სს სპილენძი ბეჭდები, თბილისი, 1975, გვ. 21.

[41] **ა.ჯაფარიძე**, ოქროს სამკაულები განის ნაქალაქარიდან. - განი VI, 1962.

[42] **ბ.ხიდაშელი**, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბილისი, 1972, გვ. 63 და შმდ.

[43] **ლ.წითლანიძე.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1976, გვ. 39 და შმდ., ტაბ. IX.

ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილ მასალებს შორის საგანგებო ყურადღებას იქცევენ ნატიფი ხელოვნების, ლითონის პლასტიკის, ტორევტიკის ნიმუშები. ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან მისი მოქმედმარებელი საზოგადოების მაღალ გემოვნებაზე. ცალკეულ სამარხეულ კომპლექსებში, უფრო მეტად მდიდართა ფენების განსასვენებელში მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოდგენილია ვერცხლის ფიალები, ბრინჯაოს დოქები, ოინოხოიები, ჩამჩები, საწური, სკიფოსისებრი ჭურჭელი, სტრიგილები, სიტულები და ა.შ.[44]

ფიჭვნარში აღმოჩენილია ომფალოსიანი ვერცხლის სამი ფიალა. მათგან უძველესი კანელურებითაა შემკული. მეორე ფიალის ტანი დაფარულია კონცენტრული წრეხაზებით, მრავალკუთხედებით, პალმეტებით და ნუშის გულისებრი ბურცობებით. ფიჭვნარის თანადროული ოქროს, ვერცხლისა თუ მინის განსხვავებული ფორმის ფიალები აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა პუნქტში: ენაგეთში (ქვემო ქართლი), ახალგორაში, ალგეთში, ყანჩაეთში, ყაზბეგში, ვანში და ა.შ.[45] მესამე ფიალის ტანი დეკორირებულია ნუშისგულისებური ბურცობების სამი რიგით (თითოეულ რიგში მოცემულია 23-23 ბურცობი), სტილიზებული ლოტოსის ყვავილებით, ოვებითა და პალმეტებით (სურ. 46.1).

ტორევტიკის სხვა ნიმუშები ბრინჯაოსაგანაა დამზადებული, ისინიც უპირატესად მდიდარი ფენების სამარხებში გვხვდება. აღსანიშნავია ბრინჯაოს დოქი (სურ. 48.1). იგი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ანალოგიური ჭურჭელი საქართველოს სხვა ძეგლებიდან ჯერჯერობით უცნობია. ერთადერთი ეგზემპლარია აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც.[46] მსგავსი დოქები ეტრუსკულ ნაკეთობადაა მიჩნეული. ხმელთაშუაზღვისპირეთის ეტრუსკულ სამარხებში ამ სახის ჭურჭლის აღმოჩენის 20-მდე შემთხვევაა ფიქსირებული. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ეტრურიის ნაკეთობის აღმოჩენის პირველ შემთხვევას ფიჭვნარი იძლევა. მოპოვებულია ბრინჯაოს ოინოხოიაც.

ტორევტიკის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია გედისთავიანი **ბრინჯაოს ჩამჩები და საწურები** (სურ. 48.2).

ღვინის სმასთან დაკავშირებული სერვისიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სკიფოსისებრი ჭურჭელი, რომელიც წააგავს კორინთულ-ატიკურ შავლაკიან სკიფოსებს.

პალესტრთან დაკავშირებული ნაწარმიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ბრინჯაოსა და რკინის სტრიგილები (სურ. 48.2).

ბრინჯაოს სარკეები ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ სამყაროში (პელეპონესი, ატიკა, ეგინა, სამხრეთ იტალია, მცირე აზიის სანაპიროები, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ა.შ.). ფიჭვნარში აღმოჩენილია სახელურიანი სარკეები.

პონტოს სანაპიროს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ქობულეთ-ფიჭვნარის კოლხური და ბერძნული ნეკროპოლები ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, სადაც ასე ადრეული

---

[44] A.Kakhidze, Specimens of classical bronze Toreutics from Pichvnari. - Talanta XXXII-XXXIII (2000-2001), pp. 41-60.

[45] **ი.გაგოშიძე**, ადრეანტიკური ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 72-75; **მ.საგინაშვილი, ი.გაგოშიძე**, ალგეთის ფიალა. - „მაცნე", 4, 1973, გვ. 81-98 (ეს მინის ნაწარმია - ა.კ.); **ნ.ხოშტარია, რ.ფუთურიძე, ა.ჭყონია**, ვანის ნაქალაქარის ჩრდ.-აღმ. ნაწილში 1961-63 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. - ვანი, I, 1972, გვ. 116, სურ. 55; **ლ.წითლანაძე**, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 17-23, ტაბ. I (დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში); **ს.მარგიშვილი**, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბილისი, 1992, გვ.5, 30, 31, 71, 72, ტაბ. XX.

[46] Билимович З.А. Этрусский бронзовый кувшин из IV Семибратного Кургана. - Художественные изделия античных мастеров, Ленинград, 1982, с. 84-85; აქვეა მითითებული სპეციალური ლიტერატურა.

საფეხურებიდან (ძვ.წ. V ს პირველ ნახევარი) დადასტურებულია მიცვალებულისათვის მონეტის, ე.წ. „ქარონის ობოლის" ჩაყოლების ფაქტი. ჩვენს მიერ შესწავლილი მრავალრიცხოვანი ბერძნული მასობრივი ნეკროპოლების მიხედვით სხვაგან ეს წესი ფეხს ძვ.წ. IV ს-დან იკიდებს. ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე წარმოდგენილია უცხოური თუ ადგილობრივი მონეტების შეტად საინტერესო ნიმუშები. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ელექტრუმის (ოქროსა და ვერცხლის ნარევი) ქიზიკინები. ერთი მათგანი შედიოდა 1952 წელს აღმოჩენილ კოლხური მონეტებისა და სხივანა საყურეების შემცველ განძში.[47] მეორე ქიზიკინი აღმოჩნდა 1967 წელს მე-6 სამარხში (ნიმფა კლიტეს გამოსახულებით), ხოლო მესამე - 1968 წელს მე-15 სამარხში (თევზის კუდიანი წვეროსანი მამაკაცის ზღვის ღვთაების ტრიტონის გამოსახულებით). ქობულეთ-ფიჭვნარის ქიზიკინები ძვ.წ. V ს პირველი ნახევრით თარიღდება (სურ. 54.2). ამიერკავკასიაში ჯერჯერობით ქიზიკინები სხვაგან არსად აღმოჩენილა.[48]

მილეტის კოლონიის ქ. ქიზიკის სტატერების მოპოვება ქობულეთ-ფიჭვნარში შეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც ცნობილია, ანტიკური სამყაროს მთელ რიგ რაიონებში (შავიზღვისპირეთი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) დიდი ხნის განმავლობაში (ძვ.წ. VI-IV სს) ქიზიკინები ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას. მსხვილი სავაჭრო გარიგებანი მხოლოდ და მხოლოდ მათი საშუალებით ხორციელდებოდა.[49] ქობულეთ-ფიჭვნარის მონაპოვრები წარმოადგენენ ქ. ქიზიკის სამონეტო სისტემის შედარებით იშვიათ ეგზემპლარებს, მათში ოქროს სინჯი საკმაოდ მაღალია - დაახლოებით 65-70%.

ყურადღებას იქცევენ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები. პირველ რიგში აღსანიშნავია პანტიკაპეონის ვერცხლის მონეტა, რომელზეც გამოსახულია ლომის თავი ანფასში. იგი ძვ.წ. 475-450 წლებით თარიღდება.

პანტიკაპეონის ზარაფხანის პროდუქციადაა მიჩნეული ვერცხლის მონეტა, რომლის წინა მხარეს გამოსახულია ლომის თავი ანფასში, რევერსზე - ოთხად გაყოფილ ჩაჭდეულ კვადრატში მოთავსებული ოთხი ბერძნული ასო - АПОЛ. აპოლონიის ეს მონეტა ანალოგიების მიხედვით ძვ.წ. V ს II მეოთხედით თარიღდება. თვლიან, რომ მათ მილეტელების მიერ დაარსებული მთავარი სატაძრო ცენტრი ჰრიდა.[50] მრავალმხრივ საინტერესოა ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფოს თეოდოსიის მონეტების აღმოჩენა. ისინი ძვ.წ. 413-403 წლით თარიღდებიან. ორივე მონეტის ავერსზე მოცემულია ადამიანის თავის გამოსახულება მარჯვნივ, თმები დიადემით აქვს შეკრული. რევერსზე - მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ კარგად იკითხება ქალაქის სახელწოდების აღმნიშვნელი წარწერა. როგორც ცნობილია, თეოდოსია მდებარეობდა მნიშვნელოვან საზღვაო მაგისტრალზე. ჰქონდა შესანიშნავი პორტი, რომელიც არ იყინებოდა. პორტში ერთდროულად 100-დე ხომალდი დგებოდა. გარს ერტყა ნაყოფიერი მიწები. ქალაქი სერიოზულ კონკურენციას უწევდა თვით პანტიკაპეონს ხმელთაშუაზღვისპირეთთან მარცვლე-

---

[47] Голенко К.В., Капанадзе Д.Т. Четыре клада колхидок. - НЭ, VI, 1966.

[48] ა.კახიძე. ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. - „მაცნე", 1974, 3; მისივე. Привозные монеты из могильника Пичвнари. - ВДИ, 1974, 3.

[49] Шелов Д.Е. Кизиксие статеры на Боспоре. - ВДИ, 1949; Булатович С.А. Электровые монеты Кизика.- МАСП, VII, 1971.

[50] Діюков Ю.А. О монетах с изображением львинной головы и надписью - АПОЛ. -ВДИ, 4, 1975, с. 72; Анохин В.А. монетное дело Боспора, Киев, 1986, с. 13.

ულით ვაჭრობაში.[51] ფიჭვნარში მოპოვებულია ბოსფორის სახელმწიფოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ნიმფეის მონეტაც. მის ერთ მხარეს მოცემულია ქალის თავი (ნიმფა), მეორე მხარეს - ყურძნის მტევანი და ფოთლები.[52] ამ მონაპოვრის მნიშვნელობა მეტად დიდია. ჯერ ერთი, იგი რაოდენობრივად ზრდის ნიმფეის საქალაქო მონეტების რიცხვს. გარდა ამისა, ფიჭვნარის მონეტა აღმოჩენილია ძვ.წ. V ს ბოლო მეოთხედის სამარხეულ კომპლექსში, რაც კიდევ უფრო ამაგრებს ამ ცენტრის მონეტების მოჭრისა და მიმოქცევის მიღებულ თარიღს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან ცნობილი არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ნიმფეური მონეტები შემთხვევით მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. ე.ი. დათარიღებულ დახურულ კომპლექსში ნიმფეის მონეტა პირველად ფიჭვნარში აღმოჩნდა.

ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის გარდა ძვ.წ. V ს პირველი ნახევრის ერთი ცალი სინოპური დრაქმა ბერძნულ ნეკროპოლზეც აღმოჩნდა.[53] სინოპის ძვ.წ. IV ს და მომდევნო პერიოდის მონეტები განსაკუთრებით ფიჭვნარში და სხვა პუნქტებში არაერთგზის იყო აღმოჩენილი. ამ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრის ასე ადრეული მონეტა მანამდე უცნობი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან.

ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალებში, ბუნებრივია, განსაკუთრებით აღსანიშნავია „კოლხური თეთრის" ახალი ტიპი, ახალი ნომინალები, რომელთა შუბლზე მოცემულია მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება, ხოლო ზურგზე ასევე მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი (წეროები). სამივე მონეტა განეკუთვნება უკნინეს ნომინალებს, რომელთაც ე.წ. ტეტრატემორიენებზე ნაკლები წონის გამო პირობითად ჰემიტეტრატემორიენები ეწოდა.[54] მსგავსი ხურდა ფულის არსებობა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაღალი დონის მანიშნებელი უნდა იყოს.

კოლხური თეთრის ემისიაში ნომინალებისა და ტიპების მსგავსი მრავალფეროვნება, მცირე და უმცირესი ნომინალების არსებობა პოლისის სამონეტო საქმიანობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ფიჭვნარში მოპოვებული უწვრილესი ერთეულები, როგორც ჩანს, საქალაქო, ავტონომიურ მონეტებს წარმოადგენენ, რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა წვრილი სავაჭრო გარიგებანი, ხოლო ჩვეულებრივი ტიპის კოლხურების მასობრივი მიმოქცევა ქვეყნის შიდა რაიონებში, გავრცელების ფართო დიაპაზონი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ისინი ერთდროულად ასრულებდნენ საქალაქო მონეტის და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ექვივალენტის ფუნქციასაც.[55]

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ადრეკლასიკური ხანიდანვე ფართოდ ჩანს ჩაბმული საერთაშორისო ურთიერთობაში, დაწინაურებულია საშინაო ბაზარი, სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობანი. სამონეტო მიმოქცევა კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს გვიანკლასიკური ხანიდან. კვლავაც წამყვანი ადგილი კოლხურ მონეტებს უკავიათ. მიმოქცევაშია უცხოური მონეტებიც. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარსა და III ს პირველ ნახევარში ეკონომიკური კონტაქტების არსებობა შეინიშნება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა

---

[51] Шелов Д.Б. Феодосия, Гераклея и спартокиды. - ВДИ, 3, 1950; Петерс Б.Г. Феодосия. - АГСП, М., 1984.

[52] მსგავსი მონეტების შესახებ იხ.: Зограф А.Н. Античные монеты. - МИА, 16, 1951, с. 167, таб.XXXIX, 19; Шелов Д.Б. Монетное дело Боспора VI-III вв до н.э. 1956, с. 21, таб.I/7.

[53] ლიაშენილი, ადრეული სინოპური ვერცხლის დრაქმა ფიჭვნარიდან. - სდსძ, XVI, თბილისი, 1987.

[54] გ.დუნდუა, ა.კახიძე, კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. - „მაცნე", 1, 1979, გვ. 66-77.

[55] გ.დუნდუა, ა.კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ახალშენ ამისო-ბირეას შორის. ამაზე ნათლად მიუთითებს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ქ.ამისის ვერცხლის სიკილა, რომელიც აღმოჩენილია ფიჭვნარის მიდამოებში 1966 წელს. გვიანკლასიკური ხანიდან წამყვან ადგილს იკავებენ სინობური მონეტები.

როგორც ვხედავთ, ნუმიზმატიკური მასალები საინტერესო სურათს იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის საგაჭრო საქმიანობასა და საერთაშორისო კონტაქტებზე.

სანელსაცხებლე ბოლიქრომიული მინის საინტერესო კოლექცია დაგროვდა ქობულეთ-ფიჭვნარის არა მარტო ბერძნული, არამედ კოლხური და ელინისტური ხანის სამაროვნებიდან. მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ბოლიქრომიული მინის სანელსაცხებლების განსაზღვრისას ადრე სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ბ.ფოსინგის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს.[56] ფიჭვნარის კარგად დათარიღებულ კომპლექსებში აღმოჩენილი მსგავსი ნაკეთობა უფრო დანაწევრებული დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. მინის ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული სირიაში, ფინიკიის კოლონიებში, საბერძნეთსა და ანტიკური სამყაროს სხვა ნაწილებში (იტალია, ბალკანეთი, ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთი). ამ ბოლო დროს ფერადი მინის ჭურჭელი საქართველოშიც გამოჩნდა.

ჯერ კიდევ ბოლომდე არაა განსაზღვრული ანტიკური ხანის ფერადი მინის საწარმოო ცენტრი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი კ.როდოსზე მზადდებოდა. ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ მინის სანელსაცხებლე ჭურჭელს ატიკასაც უკავშირებენ,[57] ეს მოსაზრება საკმაოდ საფუძვლიანად გამოიყურება. ფიჭვნარსა და ვანში გვაქვს ირანული ნაკეთობაც. ესაა ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედის ოთხწახნაგა სანელსაცხებლე, რომელიც ქუთუთოების შესაღები შავი ბუდრის შესანახად იყო გამოყენებული. იგი მიეკუკთვნება იშვიათ მონამოვართა რიცხვს.

ფორმების, საღებავის სიხასხასის თუ სამარხეული კომპლექსების მიხედვით წინასწარეულად გამოვყოფთ 4 ქრონოლოგიურ ჯგუფს: 1. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი (არიბალოსები, ალაბასტრები, ოინოხოია, ამფორისკები (სურ. 57.2), ძვ.წ. V საუკუნის პირველი მეოთხედის სანელსაცხებლე ჭურჭელი, ამფორისკები და არიბალისები ციხისძირშიცაა აღმოჩენილი (სურ. 57.1). 2. ძვ.წ. V ს შუა ხანები - მეორე ნახევარი (ამფორისკები, ალაბასტრები, ოინოხოია (სურ. 57.3; 58). 3. ძვ.წ. IV ს პირველი ნახევარი (ალაბასტრი) და 4. ადრეელინისტური ხანა (ალაბასტრი). ზომიერად იყენებდნენ სადა თუ ბოლიქრომიულ მინის მძივებს (სურ. 35.2).

ასეთია ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს ბერძნულ ნეკროპოლზე გამოვლენილი სამარხთა ტიპები, ლოკალური თავისებურებებით შეზავებული დაკრძალვის საერთო ელინიური რიტუალები და არქეოლოგიური მონამოვრის ძირითადი ჯგუფები.

ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს ბერძნული ნეკროპოლის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მიკვლეულია ძველი

---

[56] Fossing P. Glass Vessels before Glassblouing, Copenhagen, 1940.

[57] ჩრდილო შავიზღვისპირეთის მსგავსი ნაწარმის შესახებ იხ.: Сорокина Н.П. Тузлинский некрополь. Москва, 1957; Её же. Находки стеклянных сосудов V в до н.э. на Таманском полуострове. - История и культура Восточнои Европы по археологическим данным, Москва, 1971; Её же. Раскопки некрополя в Кепах в 1959-1960 годах. - КСИА, 91; Коровина А.К. Некрополь около мыса Панагии. - Археология и история Боспора II, Симферополь, 1962 и сл.

კოლხეთის და, საერთოდ, ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უბრწყინვალესი, უნიკალური ძეგლი. ამ აღმოჩენებით დასტურდება, რომ ფიჭვნარი კლასიკურ ხანაში წარმოადგენდა კოლხური და ბერძნული ცივილიზაციების შეხვედრის ადგილს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. მსოფლიო არქეოლოგიურ პრაქტიკაში უნიკალური შემთხვევაა, როცა ადგილობრივი მკვიდრნი და ელინები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ თითქმის 1,5 საუკუნის მანძილზე. კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებს შორის მანძილი სულ რაღაც 80-100 მ-ს შეადგენს. იდეალური შემთხვევაა მსოფლიო ისტორიისათვის ისიც, რომ შესწავლილი 400 სამარხიდან გაძარცვული აღმოჩნდა ერთადერთი, თანაც უძველეს უბოქაში.

როგორც ვნახეთ, ფიჭვნარელი ელინების ელიტური ფენების წარმომადგენლები დიდი პატივით იკრძალებოდნენ. მათი რიცხვი არაა დიდი. ჭრიდნენ მოზრდილ სამარხეულ ორმოებს, რომლებშიაც იდგმებოდა სარკოფაგები თუ ხის კუბოები. ხის კუბოთა შესაკრავად ხელგაშლილითაა გამოყენებული მოზრდილი რკინის ლურსმნები. მართავდნენ მდიდრულ სააღაპო ქელეხებს. მიცვალებულს ჰადესის სამეფოში თან აყოლებდნენ ანტიკური ვაზათმომხატველობის, საიუველირო ხელოვნების, გლიპტიკისა და ტორევტიკის მრავალრიცხოვან ნიმუშებს, როგორც ითქვა, სხვა ბერძნულ მასობრივ სამაროვნებზე მაღალმხატვრული ნივთების მსგავსი რაოდენობა არსადაა ცნობილი. უფრო მეტია საშუალო შეძლების ფიჭვნარელ ელინთა განსასვენებელნი. ამ სოციალური ფენების სამარხებს ხშირად ახლავს სარიტუალო მოედნები. რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით ირკვევა, რომ ერთი ნაწილი ხის კუბოებსა თუ სარკოფაგებში იკრძალებოდა. ზოგიერთ სამარხს მხოლოდ სქელი ფიცრებისა თუ მორებისაგან შეჭედილი სახურავი უკეთდებოდა. ამგვარ სამარხებშიც თავს იჩენს ბერძნული მცირე ხელოვნების ნიმუშები. მაგრამ მაინც, წამყვანია მასობრივი წარმოების ნიადაგსახმარი ნივთები. აღარ გვხვდება ვაზათმომხატველობის, ოქრომჭედლობის, ტორევტიკის ნიმუშები, ინტერლოკალური მონეტები, მსგავსი ნაკეთობანი მხოლოდ მდიდართა სამარხების თანამგზაურები არიან.

ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის სამარხთა დიდი ნაწილი რიგითი ფენების წარმომადგენელთ ეკუთვნით. ასეთ სამარხებს იშვიათად ახლავს მოკრძალებული ფართობის სააღაპო მოედნები. აღარც ხის კუბოს მანიშნებელი რკინის ლურსმნები გვხვდება. შედარებით იშვიათად სამარხს უკეთდებოდა ხის სახურავი. ხელგაშლით ვერ აყოლებდნენ სამარხეულ ინვენტარსაც. ჩნდება 2-5 დასახელების ნივთი, რომლებიც მასობრივი წარმოების პროდუქციას წარმოადგენდა. ცალკე ჯგუფს ქმნის სრულიად უქონელთა უინვენტარო სამარხები. ასე, რომ ფიჭვნარის მაგალითზე შეინიშნება რთული სოციალური სტრატიგრაფია, პოლარიზაცია.

ფიჭვნარის ნეკროპოლი მეტად საყურადღებო ძეგლი ჩანს სხვა ასპექტის მიხედვითაც. მიუხედავად უცხო გარემოსა, აქ თითქმის 1,5 საუკუნის მანძილზე მტკიცედაა დაცული დაკრძალვის წმინდა ბერძნული წესები. სამარხთა დიდი ნაწილი აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. სრულდება ტრადიციული აღაპის წესი. ვხვდებით სამსხვერპლო ორმოებს, ე.წ. ბოტროსებს. ადრეული საფეხურიდანს ჩანს ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის წესი. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ინჰუმაციურის გვერდით გვხვდება კრემაციული სამარხებიც. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედიდან მიცვალებულს აყოლებდნენ მონეტას, რაც მეტროპოლიისა და ფიჭვნარის ელინური დასახლების უშუალო, მჭიდრო კონტაქტების მანიშნებელია.

რა თქმა უნდა, დაკრძალვის წმინდა ბერძნული რიტუალის პარალელურად სახეზეა

ზოგიერთი ადგილობრივი ელემენტი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ადრეული სამარხების მიხედვით. გარდა აღმოსავლეთისაკენ ორიენტაციისა, იშვიათად გამოერევა ქვეყნის სხვა მხარეებისაკენ დამხრობილი სამარხებიც. სამარხეულ ინვენტარში ბერძნულ ნაწარმს ზოგჯერ ცვლის ადგილობრივი სამეთუნეო ნაკეთობანი და ხშირად სამკაულები. ფიჭვნარელ ელინებს განსაკუთრებით მოსწონდათ კოლხური ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნაწარმი, საერთო კოლხური და ადგილობრივი, ფიჭვნარული თიხის ჭურჭელი. ბერძენთა სამარხებში ზოგჯერ კოლხური თეთრიც გვხვდება. ადგილობრივი მასალები ხშირად თავს იჩენს სააღაპო მოედნის დამწვარ-დანახშირებულ ფენებშიაც, რაც იმისი მოწმობა უნდა იყოს, რომ ელინი მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალში ადგილობრივი მკვიდრნიც მონაწილეობდნენ.

ფიჭვნარელი ელინები სხვადასხვა სახის, ზოგჯერ ძვირად ღირებული ღვინის ფართო მომხმარებლები ჩანან. სამარხეულ ინვენტარში წამყვანი ადგილი უკავია სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებულ ღვინის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ კერამიკულ ტარას - ამფორებს. ამფორები ზოგჯერ უქონელთა სამარხებშიაც გვხვდება. თავის დროზე ფიჭვნარელ ელინთა სატრაპეზო სუფრას ამშვენებდა ანტიკური ყაზათმომხატველობის უბრწყინვალესი ნიმუშები, ღვინისა და წყლის გასაზავებელი, საყოველთაოდ ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი წითელფიგურული კრატერები; ამ ჭურჭლიდან ღვინის ამოსასხაი თუ ჩამოსასხმელი ტორევტიკის ნიმუშები, ნაირ-ნაირი ფორმის სადა, ორნამენტირებული თუ მოხატული შავლაკიანი ჭურჭელი, კოლხური სასმისები და ა.შ. მდიდარ სერვისს ქმნის სუფრაზე მოსახმარი სხვა სახის ნატიფი ნაკეთობანი. არა ნაკლებ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ე.წ. სანელსაცხებლე ჭურჭელი, პალესტრასთან დაკავშირებული თუ ტუალეტისთვის განკუთვნილი ნაკეთობანი. ამ მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ მეტროპოლიის კვალდაკვალ ფიჭვნარელ ბერძენთა შორის სრულდებოდა ელინური დღესასწაულები, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და ა.შ. მეტროპოლიაში დამზადებული ნაწარმის გვერდით დიდ მოწონებას იმსახურებდა ადგილობრივი სამეთუნეო თუ ოქრომჭედლობის საუკეთესო ნახელავი, სხვადასხვა სახის ფერადი მინის ჭურჭელი, მიმოქცევაშია ინტერლოკალური, პონტოს სანაპიროს ქვეყნებისა და კოლხეთის სამეფოს მონეტები.

სამარხეული ინვენტარის მიხედვით ჩანს, რომ მეტროპოლიის მსგავსად ძვ.წ. V ს შუა ხანები და მეორე ნახევარი ფიჭვნარის ბერძნული თემის ეკონომიკური და კულტურული ძლიერების ხანაა. ეს სამოსახლო იქცა საქართველოს ზღვისპირეთის, საერთოდ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, ბერძნული და კოლხური კულტურის ურთიერთობისა და ურთიერთზემოქმედების ადგილად.

ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა საშური წყაროთმცოდნეობითი ბაზა შექმნა ძველი კოლხეთისა და ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებს შორის საგაჭრო ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის კვლევისათვის, არაერთი არსებითი პრობლემის ახლებური გადაწყვეტისათვის. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები, კოლხეთისა და საბერძნეთის იონიური ცენტრების ურთიერთობა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ათენის. ძველი კოლხეთის, სამხრეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კავშირები და ა.შ.

§5. ადრეკლასობრივი ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს.)

ძველ საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ ყველგან, ქალაქები ჩნდება საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როცა ისახება კლასობრივი საზოგადოება, იქმნება მემკვიდრეობითი ინსტიტუტები და სახელმწიფოებრიობა.[1]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში არსებულმა იმ მსხვილმა სამოსახლოებმა, რომელთაც ბროტო-ქალაქების იერი ჰქონდათ, ძვ.წ. VI-V სს-ში დასაბამი მისცეს ადრეკლასობრივი ხანის ქალაქების ფორმირებას.[2] ბუნებრივია, ყველა მსხვილი სამოსახლო ვერ გადაიქცეოდა ქალაქურ დასახლებად. თავისთავად, მსხვილი სამოსახლო გარკვეული ლოკალური რაიონის (ხევი, ხევთა გაერთიანება და ა.შ.) ადმინისტრაციული ცენტრის როლს იჩემებდა, ხოლო მისი სახელოსნო უბანი (უბნები) ამავე რეგიონის სახელოსნო ცენტრად და ხელოსნური წარმოების ტონის მიმცემად გამოიყურებოდა. ამ დროის ხელოსანი (მეტალურგი, მჭედელი, ლითონჩამომსხმელი, ოქრომჭედელი, მეთუნე, დურგალი და ა.შ.) პროფესიონალი მწარმოებელია, რომელიც, ძირითადად, მოწყვეტილია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების, ხელოსნობის დაწინაურების, სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესის გაძლიერების, სოციალურ სფეროში მომხდარი ძვრების, ახალი სამეურნეო სავარგულების ათვისების პირობებში და მსხვილ სამოსახლოთა ცხოვრებაში შეინიშნებოდა განვითარების ერთგვარი არათანაბრობა, რომლის მიღმა, როგორც ჩანს, ცალკეულ რაიონთა ეკონომიკური პოტენციალის არათანაბრობაც დასტურდება. ბუნებრივია, თემთა და ტომთა გაერთიანება-თავმოყრა მდიდარი და ძლიერი თემისა და მისი საცხოვრისის გარშემო უნდა მომხდარიყო, ხოლო ასეთი როლი ეკისრა იმ საცხოვრისსა და თემს, რომელიც ეკონომიკურად წელღონიერ რეგიონში იყო წარმოდგენილი. ეკონომიკური შესაძლებლობანი და მოსახლეობის სიმრავლე, რაც საჭირო შემთხვევაში, შესაბამისად, სამხედრო სიძლიერეშიც პოულობდა ასახვას, განსაზღვრავდა მოცემული კოლექტივის წარმატებას გაერთიანება-კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში. ასე ჩნდებოდა ჰეგემონი თემები, რომელთა საცხოვრისი უფრო და უფრო ფართო ტერიტორიის ცენტრი ხდებოდა და შესაბამის იერსაც იღებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის

---

[1] **დ.ხახუტაიშვილი**, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966; **ა.ფაქიძე**, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1903; **ზ.ანჯაფარიძე**, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია). - ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 2, 1962; **ა.კალანდია**, მასალები აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, 1965; **ა.კალანდია**, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბილისი, 1971; მისივე, აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975; Инадзе М.П. Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968; Кахидзе А.Ю. К истории городов Восточного Причерноморья в античную эпоху (Кобулети-Пичвнари). Автореф.канд.дисс. Тбилиси, 1965.

[2] **დ.ხახუტაიშვილი**, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 62 და შემდ.

პირველ ნახევარში არსებულ მსხვილ დასახლებათა შორის ადრეკლასობრივი ტიპის ქალაქად ფორმირების ყველაზე აშკარად გამოხატულ ნიშნებს ატარებდა, როგორც ვთქვით, ის მსხვილი დასახლება, რომელიც მდ.ჩოლოქისა და მდ.ოჩხამურის შესაყარის ზონაში, კურორტ ქობულეთის ჩრდილოეთით არსებობდა.[3] ეს იყო მსხვილი დასახლება, რომელსაც გააჩნდა როგორც სახელოსნო უბნები (ლითონჩამოსხმა, მჭედლობა), ისე მადნეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საწარმოები. კიდევ მეტი, ეს დასახლება იყო იმ დიდი სამეურნეო კომპლექსის ბირთვი და მარეგულირებელი, რომელიც რკინის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, მოიცავდა როგორც საწარმოო კერას, რომელიც მდ.ჩოლოქისა და მდ.ოჩხამურის ხეობის შუაწელზე ფუნქციონირებდა (ჯიხანჯური, ცეცხლაური, ლეღვა, ანასეული, ნარუჯა - სურ. 24, 25),[4] ისე დიუნურ დასახლებებს, რომლებიც ძირითადად მადნეულის (მაგნეტიტური ქვიშების) მოპოვებაში იყვნენ დასაქმებული.[5]

ადრეკლასობრივი ხანის ქალაქი პირველ რიგში სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციის, განსაკუთრებით კი ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრია. ამავე დროს, ამ პერიოდის ქალაქისათვის აუცილებელია ნაყოფიერი სასოფლო სამეურნეო გარეუბანი.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ქობულეთ-ფიჭვნარის მსხვილი, პროტოქალაქური დასახლება უფრო და უფრო იღებდა ქალაქური დასახლების იერს.

ძვ.წ. XV-XI საუკუნეები, როგორც ითქვა, ზღვური რეგრესიის (საყოველთაო აცივების) პერიოდია, როცა კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ზოლი ნოყიერ სასოფლო სამეურნეო სავარგულად აღდგა (იხ. აქვე, შესავალი, §2), სადაც თავისი დროისათვის კარგად აღჭურვილი სამიწათმოქმედო თემები ბინადრობდნენ და საქმიანობდნენ. ისინი, უნდა ვიფიქროთ, მსხვილი დასახლების გაბატონებულ (ჰეგემონ) თემს ექვემდებარებოდნენ და ქმნიდნენ იმ სოციალურ ერთობას, რაც ადრეკლასობრივი ქალაქისა და მისი სასოფლო-სამეურნეო ოლქის ურთიერთობაშია გამჟღავნებული.

ამგვარად, ძვ.წ. VI საუკუნისათვის ქობულეთ-ფიჭვნარის მსხვილი დასახლების ცხოვრებაში მომწიფდა ვითარება, როცა იგი ეს-ეს არის ქალაქურ დასახლებად, ქალაქად უნდა გაფორმებულიყო.

სწორედ ამ პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისევე როგორც მთელ შავიზღვისპირეთში, როგორც უკვე ითქვა, ინტენსიური და სტაბილური ხდება ბერძენი მოახალშენეების საქმიანობა. ძვ.წ. V საუკუნეში, ჩვენთვის უცნობ ვითარებაში, ქობულეთ-ფიჭვნარის მსხვილი დასახლების ჰეგემონ თემს ნება მიუცია ერთ-ერთი ბერძნული თემისათვის აქაური მსხვილი დასახლების ტერიტორიაზე დაედო ბინა, სადაც ბერძნული თემისა თუ თემებისათვის ცხოვრების ოპტიმალური პირობები არსებულა. აქ ისინი ხანგრძლივი დროით დასახლებულან და შესამჩნევი კვალიც დაუტოვებიათ (იხ.ქვემოთ) ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში (იხ. ზემოთ, §1-4).

როგორც დადასტურდა, ფიჭვნარ-ჩოლოქის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II საუკუნეებში

---

[3] **დ.ხახუტაიშვილი**, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 69-71.

[4] **დ.ხახუტაიშვილი**, მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა). - სდსძ, VII, გვ. 17-34). Захутайшвили Д.А. Производство железа в древней Колхиде, сс. 60-99.

[5] **დ.ხახუტაიშვილი**, კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან. -სდსძ, I, გვ.52-56; **გ.თავაძეიშვილი**, ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ. - სდსძ, XIX, 1991, გვ.27-40; **ალ.ალიბეგიშვილი**, ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. -„მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, №2, გვ.103-111.

არსებული ქალაქი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილა გაშლილი.[6] იგი ფარავდა უფრო ადრინდელ მსხვილ დასახლებებს, რასაც შემომატებია ახალი უბნები მისგან აღმოსავლეთით და მდ.ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე. ქალაქის სასოფლო-სამეურნეო გარეუბანში ფიქსირებულია ადრეანტიკური ხანის დასახლებათა ნაკვალევი (უპირატესად მდ.ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე). როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის არსებობის პერიოდი ფანაგორიული ზღვური რეგრესიის დამამთავრებელი ფაზაა, როცა ზღვის დონე 3-5 მეტრით უფრო დაბლა იყო დაწეული და კოლხეთის დაბლობის დღეს დაჭაობებული ზოლიც მაშინ სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენდა და სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. ასე რომ, ფიჭვნარ-ჩოლოქის ტერიტორიაზე არსებული ანონიმური ქალაქის თემებს სამეურნეო სავარგულები საძებარი არ ჰქონიათ - იგი უშუალოდ ეკვროდა ქალაქს და მისი არსებობის ერთ-ერთ საფუძველს შეადგენდა.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქი, როგორც წესი, შედგებოდა ქალაქის, ციხისა და სასოფლო-სამეურნეო ოლქისაგან (ე.წ. ქორა). ჩვენ შემთხვევაში, ქალაქი გაშლილი იყო მდინარე ჩოლოქის ორივე ნაპირას და მდ.ოჩხამურის მარჯვენა მხარეს. ქალაქის ციხის ფუნქცია თავისთავზე აუღია იმ ბორცვს, რომელიც დღეს „ნამჭედურის ნამოსახლარის“ სახელითაა ცნობილი და შეიცავს ერთმანეთზე დაშრევებული 6 დასახლების ნანგრევებს, 6 კულტურულ ფენას, რომელთაგან უძველესი (VI ფენა) ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ყველაზე გვიანდელი - ძვ.წ. II საუკუნით.[7]

ქალაქის „ციხეს“ შემოუყვებოდა ღრმა თხრილი, რომლის ბოლოები მდ.ოჩხამურის კალაპოტს ებჯინებოდა და მუდმივად წყლით იყო სავსე. თხრილის შიდა პერიმეტრზე მიდევნებით, ვერტიკალურად მდგარი მსხვილი მორებით ნაგები კედელი იყო, რომელშიც ადგილ-ადგილ კოშკები იყო ჩაშენებული. ასეთი საფორტიფიკაციო სისტემა ძვ.წ. V საუკუნის დასასრულს აღწერილი აქვს ქსენოფონტე ათენელს ცნობილ „ანაბასისში“ ტრაპეზუნტის მიდამოებში მოსახლე დრილების და მოსინიკების „აკრობოლისების“ სახით.[8] გამაგრების ასეთივე სისტემა ფიქსირებული იყო ბათუმისციხის ნამოსახლარზეც.[9]

საფორტიფიკაციო სისტემებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობაში მერქნის გამოყენება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში საყოველთაოდ იყო გავრცელებული (გამონაკლისი ჯერჯერობით არსადაა დადასტურებული).

ფიჭვნარ-ჩოლოქის ანონიმურ ქალაქში (ისევე როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ქალაქებში) საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები, როგორც ჩანს, ხით იყო ნაგები და მათი ნაკვალევი აღარ გადარჩენილა. ძვ.წ. V-II საუკუნეებში ეს ქალაქი, როგორც ირკვევა, სისხლსავსე საქალაქო ცენტრი იყო, რომელსაც გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა როგორც კოლხეთისა და იბერიის სხვა ქალაქებთან, ისე მცირე აზიის, ბალკანეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან.[10] ამ საქმეში მთავარი შუამავლის როლს, როგორც ჩანს, ასრულებდა ის ბერძნული თემი, რომელიც, როგორც ითქვა, ძვ.წ. V საუკუნის დამდეგიდანვე

---

[6] ა.კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 17-19.

[7] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985, с 11-20.

[8] Ксенофонт. Анабасис. Москва., 1951, сс. 129-132, 135-139. Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. დასახ. ნაშრ., გვ. 20-21.

[9] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, I (წინაანტიკური და ანტიკური ხანა) - სდსძ, XVIII, თბილისი, 1989, გვ. 56.

[10] ა.კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73-116.

ფიჭვნარ-ჩოლოქის ანონიმური ქალაქის ტერიტორიაზე დასახლდა. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, V საუკუნეში ფიჭვნართან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაში საზღვარგარეთულ ცენტრთაგან წამყვანი ადგილი ათენს ეკავა. გამოვლენილია ათენთან გაცხოველებული ურთიერთობის მრავალი მოწმობა, ძირითადად ხელოსნური ნაწარმის სახით. მომდევნო პერიოდში, ათენის დასუსტების შემდეგ, ქალაქს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა აქვს მცირე აზიის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან, განსაკუთრებით სინოპესთან,[11] ასევე ჰერაკლეასთან.

ფიჭვნარ-ქობულეთის ანტიკური ქალაქის ტოპოგრაფია შეიძლება მიახლოებით მაინც წარმოვადგინოთ ისევ და ისევ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. როგორც ირკვევა, ქალაქში V-IV საუკუნეში ცხოვრობდნენ მკვიდრი, კოლხური საქალაქო თემები და მოსული, ბერძნული საქალაქო თემი. თემთა ამგვარი თანაცხოვრების აშკარა მოწმობაა ის გარემოება, რომ თითოეულ ჯგუფს გააჩნდა თავისი, დამოუკიდებელი ნეკროპოლი (სასაფლაო), სადაც მხოლოდ ამ თემის წარმომადგენლები იმარხებოდნენ. ძვ.წ. V-IV საუკუნეებისაა ვრცელი ბერძნული სამაროვანი, სადაც ამ თემის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იმარხებიან. ამასთან, ბერძნული თემის წარმომადგენლის სამარხეულ ინვენტარში წამყვანია იმპორტული (ბერძნული), თუმცა, გვხვდება ადგილობრივი, კოლხური ნაწარმიც. ბერძენი თემი თავის მიცვალებულს ბერძნულ სამყაროში გავრცელებული წესის მიხედვით ასაფლავებდა. ცალკეულ შემთხვევაში სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ხდებოდა მიცვალებულის კრემაცია. სამარხ ორმოსთანავე მოეწყობოდა საალაბო მოედანი, რომელზეც ხდებოდა მსხვერპლშეწირვა. ამ მოედნებზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შავლაკიანი თიხის ჭურჭლების ხანძარგამოვლილი ნატეხები, თხილისა და წაბლის ნაყოფი, დანახშირებული ძვლები, სამკაულები და ა.შ.[12]

ძვ.წ. V-IV საუკუნეებში ქალაქის მკვიდრ (კოლხურ) თემებს გააჩნდათ საკუთარი ნეკროპოლი (სამაროვანი), რომელიც ე.წ. ნაპურვალას ბორცვზე იყო წარმოდგენილი.[13] აქ სამარხეულ ინვენტარში წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი, რომელშიც ზოგჯერ იმპორტული პროდუქციაც გვხვდება. როგორც ჩანს, ამგვარი შერეული ინვენტარი კოლხური თემების უფრო შეძლებული წრის წარმომადგენელთა სამარხებისთვის იყო დამახასიათებელი.[14]

ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნეში შეინიშნება თემთა გარკვეული ეთნიკური ნიველირება, მკვიდრი თემების მიერ მოსული, არამკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია, რაც სამარხეულ ინვენტარსა და დამარხვის წესების ნიველირებაში ნახულობს ასახვას.

ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ოლქის თემები, უნდა ვიფიქროთ, ნაკლებად განიცდიდნენ ელინიზაციის გავლენას. თანაც მათი დასახლებანი, როგორც ჩანს, ხუტორული იყო. როგორც ქალაქში, ისე სასოფლო-სამეურნეო ოლქში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, როგორც ითქვა, ხისგან იყო ნაგები და, ბუნებრივია, მცირე გამონაკლისებს გარდა, აღარ გადარჩენილა.

---

[11] ბ.ბახჩიჟ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები. გვ. 5-9.

[12] ბ.ბახჩიჟ. დასახ. ნაშრ., გვ. 10.

[13] Кахидзе А.Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху (Колхидские могильники), Батуми, 1981, с. 13 и сл.

[14] ბ.ბახჩიჟ. ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, 4, თბილისი, 1974; Кахидзе А.Ю., Указ. раб., с.13 и сл.

ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქური დასახლება ძვ.წ. V-II საუკუნეებში ერთადერთი მსხვილი სახელოსნო-სავაჭრო ცენტრი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (აჭარის ზღვისპირეთში). იგი, როგორც ჩანს, ამ რეგიონის სამეურნეო ცხოვრების, მთისა და ბარის ურთიერთობის ძირითადი მარეგულირებელი ცენტრი სოციალური კონტრასტებისა და წინააღმდეგობათა საკვანძო ბუნქტი იყო.

ძვ.წ. II საუკუნეში ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქმა არსებობა დაასრულა. საქმე იმაშია, რომ სწორედ II საუკუნეში დამთავრდა ფანაგორიული ზღვური რეგრესიის პერიოდი (ძვ.წ. XVII-II სს) დ დადგა საყოველთაო დათბობის ანუ ახალი (ლაზური) ტრანსგრესიის ხანა, როცა მსოფლიო ოკეანის და, ბუნებრივია, შავი ზღვის დონე 3-5 მეტრით მაღლა აიწია და თანამედროვე ნიშნულს მიუახლოვდა. ამის გამო, კოლხეთის დაბლობის, მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის აკუმულაციური ზონა დაჭაობდა და სამიწათმოქმედო საქმიანობისათვის გამოუსადეგარი გახდა. აქ არსებულ ქალაქებს მოუშალათ ისეთი საყრდენი, როგორიც იყო ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო გარეუბანი; დაიწყო მათი დაქვეითება და დაცემა. როგორც საქალაქო ცხოვრების ცენტრი, ამ დროიდან უკვე აღარ ფუნქციონირებდა ფაზისი, გიენოსი, ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე არსებული ქალაქი და ა.შ. დაიწყო საქალაქო ცხოვრების ცენტრების გადანაცვლება.[15]

ძვ.წ. VI-II საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ფუნქციონირებდა სულ მცირე კიდევ ორი ურბანიზებული დასახლება, რომლებიც ასრულებდნენ საშუამავლო როლს ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა სახელოსნო ცენტრებს შორის. ასეთი უნდა ყოფილიყო ციხისძირისა და ბათუმისციხის ტერიტორიაზე არსებული ურბანიზებული დასახლებები (შესაძლებელია ემპორიონები).[16]

მას შემდეგ, რაც კოლხეთის დაბლობის აკუმულაციური ზონის ზღვისპირა ურბანისტული ცენტრები მოიშალა, დაიწყო ახალი საქალაქო ცენტრების ფორმირება. ეს პროცესი ვითარდებოდა ისეთ გეოგრაფიულ ბუნქტებში, რომელთაც დაჭაობების საფრთხე არ ემუქრებოდათ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ამ ხასიათის ორი ძირითადი ბუნქტი იყო: პეტრა-ციხისძირი ქობულეთის „ქვეყანაში" და გონიო-აფსაროსი ბათუმის „ქვეყანაში". ამ ორმა ურბანისტულმა ცენტრმა იკისრა ამ რეგიონის სამეურნეო, კულტურული და ადმინისტრაციული ცხოვრების რეგულირება გვიანანტიკურ ხანაში. პეტრა-ციხისძირის შესახებ ახ.წ. I-IV საუკუნეებისათვის თითქმის არავითარი წერილობითი მონაცემები არ გაგვაჩნია; გვაქვს მხოლოდ არქეოლოგიური მასალა, რომელიც მიგვითითებს, რომ აქ უნდა არსებულიყო რაღაც საფორტიფიკაციო სისტემა[17] და ადმინისტრაციული ცენტრი[18] (მდიდრული სამარხების აღმოჩენის ფაქტები). ციხისძირის ტერიტორიაზე ადრეული ურბანისტული დასახლების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის და იმავე დროის საკმაოდ ვრცელი სამაროვანი, რომელიც ციხის აღმოსავლეთით გაშლილ დაბლობზე, ნაქალაქარის ტერიტორიაზე

---

[15] Хахутайшвили Д.А. Природа и человек в приморссой полосе Колхиды в эпоху голоцена. - «Кавказско-ближневосточный сборник», VII, Тбилиси, 1984, сс. 146-151; **ფხაკაძე**. ქობულეთის „ქვეყანა", I, გვ. 8-15, 47.

[16] **აკაბაძე, ფხაკაძე**. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, გვ. 92-93. **ნინოშვილი**. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. - სდსძ, XXI, თბილისი, 1993, გვ. 12. **ანანიშვილი**. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. - სდსძ, IV, თბილისი, 1974, გვ. 102-153.

[17] **ჭაბადელი**. კავკასიის საზღვარი - II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. - საქ.მეცნ. აკადემიის „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №1, გვ. 134-140. **ნინოშვილი**. დასახ. ნაშრ., გვ. 16-17.

[18] **ნინოშვილი**, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 17-41, 98-190.

იყო გამოვლენილი.[19]

პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე წარმოქმნილმა საქალაქო დასახლებამ, როგორც ჩანს, ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან იკისრა იმ ფუნქციების შესრულება, რაც მანამდე ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქს გააჩნდა. პეტრა-ციხისძირის მომდევნო პერიოდის თავგადასავალი გვიდასტურებს, რომ იგი იყო როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სავაჭრო-სამეურნეო და სულიერი ცენტრი. ამ პუნქტის შემდგომი პერიოდის თავგადასავალზე, მის მნიშვნელობაზე ამ მხარისა და საერთოდ საქართველოს ისტორიაში „ნარკვევების" მომდევნო ტომში იქნება მოთხრობილი.

ძვ.წ. II საუკუნის შემდეგ, როგორც ჩანს, წინაურდება გონიო-აფსაროსი. იგი თანდათანობით ფორმდება როგორც სამხედრო-სტრატეგიული ბაზა და საქალაქო ცხოვრების ცენტრი. მისი ქალაქობისდროინდელი ძეგლები დღეს არქეოლოგიური გამოკვლევის ობიექტია (სურ. 87-95). გარკვეული დროიდან იგი რომაული გარნიზონის სადგომი და პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე რომაელთა ბატონობის საყრდენი გამხდარა.

წერილობით წყაროებში გონიო-აფსაროსი პირველად მოხსენიებული აქვს პლინიუსს თავის „ბუნების ისტორიაში", ახ.წ. I საუკუნეში (ტრ, VI, 11). მისი სიტყვით, „ტრაპეზუნტიდან 140000 ნაბიჯით დაშორებულია მდ.აბსარუსი, რომლის შესართავთანაა იმავე სახელის ციხე (კასტელუმი)", თვით მდინარე აფსაროსი კი მოიხსენიება ძვ.წ. IV საუკუნის ერთ-ერთ „პერიპლუსში", რომელიც სკილქს კარიანდელს მიეწერება.[20]

ახ.წ. II საუკუნის დამდეგიდან მაინც, როგორც იტალიაში ნოლას მახლობლად აღმოჩენილი ერთ-ერთი წარწერა და რომაელი მოხელის ფლავიუს არიანეს 131 წლის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" გვიდასტურებს, აფსაროსში რომაული გარნიზონი მდგარა, რაც, უნდა ვიფიქროთ, ქალაქის ცხოვრებაზე გარკვეულ კვალს ტოვებდა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ წყაროებში არის მინიშნება, რომლის მიხედვით აფსაროსის მიდამოებში რომაელების მოსვლამდე უკვე არსებულა საქალაქო ცერტრი.[21] ფლავიუს არიანეს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს ძველი გადმოცემა, რომლის მიხედვით „...ადგილი აფსაროსი ოდესღაც ძველად აფსირტედ იწოდებოდა იმის გამო, რომ თითქოს აქ შედეას ხელით დაიღუბა აფსირტე (აფსირტეს საფლავსაც უჩვენებენ), ხოლო შემდეგ კი ეს სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დააშახინჯეს" (PPE,7). ახ.წ. IV საუკუნეში, გეოგრაფ კასტორიუსის რუკის მიხედვით, აფსარი დიდი და მნიშვნელოვანი პუნქტია.[22] VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიხედვით „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით. მას მრავალი სხვა რაიმეც გააჩნდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად მათგან არაფერია დარჩენილი, გარდა ნაგებობათა საძირკვლებისა".[23] როგორც ადრევე იყო შენიშნული, პროკოპი კესარიელის უკანასკნელი ცნობა ეხება არა მისი დროის ქალაქს, არამედ სწორედ ძველ აფსაროსს, რომელიც ოდესღაც დიდი ქალაქი ყოფილა.[24]

---

[19] ნინაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 12-13.

[20] თოლორთქიფანიძე, თამექელაძე, დ.ხახუტაიშვილი. გონიოს განძი, თბილისი, 1980, გვ. 5; Ельницкий Л.А. Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, 1938, №2, с. 310 и сл.

[21] თოლორთქიფანიძე და სხვები... გონიოს განძი, გვ. 6.

[22] იქვე. გვ. 6-7.

[23] საყუხაშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ). II, თბილისი, 1934, გვ. 94-95, 1965, გვ. 123-124.

[24] თოლორთქიფანიძე და სხვები. გონიოს განძი, გვ. 7.

როგორც ჩანს, აფსაროსი ძვ.წ. II ახ.წ. IV საუკუნეებში არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული ბაზა იყო, არამედ საქალაქო ცხოვრების ყველაზე მსხვილი ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში.

აფსაროსის გეოგრაფიული მდებარეობა მდ.ჭოროხის შესართავის მახლობლად, ზედ ზღვის ნაპირას, ჩრდილო კავკასიიდან მცირე აზიისაკენ მიმავალ სახმელეთო გზაზე, სადაც თავს იყრიდნენ აგრეთვე გზები ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობებიდან, განაპირობებდა ამ პუნქტის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო აღზევებას, მის წამყვან როლს იმ დროისათვის არსებულ საფორტიფიკაციო საყრდენ ბაზებს შორის (პეტრა, ფაზისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

არქეოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურა წერილობითი წყაროების მიერ მინიშნებული სურათი, რომ აფსაროსი საიმედოდ გამაგრებული სამხედრო ბაზა იყო, რომელთანაც არსებობდა მსხვილი საქალაქო დასახლება ფართო საგარეო ეკონომიკური და კულტურული კავშირებით. აქ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში, ადგილობრივი ხელოსნური პროდუქციის მასაში, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი უცხოური მონეტები (სურ. 104), იმპორტული კერამიკული ნაწარმი, მათ შორის სატრანზიტო ტარა (ამფორები), მინის ჭურჭლები (სურ. 106/1, 2) და ა.შ. აქ გამოვლენილი ხელოსნური პროდუქცია შემოტანილია დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების, ჩრდილო შავიზღვისპირეთის, მცირე აზიის, ბალკანეთის, ადრიატიკის ქვეყნებისა და სამხრეთ ესპანეთის ხელოსნური წარმოების ცენტრებიდან.

აფსაროსი, როგორც ჩანს, იყო გარკვეული რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი. ამისი მოწმობა უნდა იყოს ქალაქის სანახებში ორგზის აღმოჩენილი ახ.წ. პირველი საუკუნეების მდიდრული სამარხეული ინვენტარი: ერთი 1934-35 წელს აღმოჩენილი და იგი დღეს მეცნიერებისათვის დაკარგულად ითვლება,[25] ხოლო მეორე სამარხეული კომპლექსი აღმოჩნდა ცალკე განძის სახით (1974 წ.), რომელიც, როგორც ჩანს, ადრევე, მდიდრული სამარხის გაძარცვით მოიპოვეს და ლითონის ჭურჭელში დიდი ლოდის ქვეშ შეინახეს[26] (სურ. 96-101). „გონიოს (განძის) ოქროს ნივთები და არმაზისხევისა და კლდეეთის მდიდრული სამარხების ინვენტარი, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების მიხედვით, სრულიად ერთგვაროვანია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გონიოს განძში შემავალი ნივთები ეკუთვნოდა ახ.წ. პირველი საუკუნეების საქართველოს მმართველი ფენის კიდევ ერთ უცნობ წრეს, რომელიც განაგებდა ძველი საქართველოს კიდევ ერთ ადმინისტრაციულ ქვეყანას, ცენტრით ციხე-ქალაქ აფსარში.[27]

არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოს ტომთა ლაზიკის სამეფოდ გაერთიანებამდე, აფსაროსი იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი წარმონაქმნის ძიდრიტების ადმინისტრაციული ცენტრი. ფლავიუს არიანე თავის „პერიპლუსში“ მოგვითხრობს, რომ ჭანების (სანების) შემდეგ ზღვის სანაპიროს მიდევნებით ცხოვრობენ „მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები **ძიდრიტები** არიან. ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. მათი მეფე მალასაა...“.[28] ამ დროს არსებული ექვსი გაერთიანებიდან იბერიის მეფე ფარსმან II ქვეშევრდომ ზიდრიტებს ეკავათ ტერიტორია მდ. არქაბედან მდ.ჭოროხის შესართავამდე.[29] არ არის გამორიცხული,

---

[25] ოთ.ლორთქიფანიძე და სხვები... გონიოს განძი, გვ. 10.

[26] იქვე, გვ. 10.

[27] იქვე, გვ. 27, 51.

[28] ნ.კეკელიძე. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავიზღვის გარშემო, თბილისი, 1901, გვ. 42-43.

[29] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 544.

რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეს გაერთიანებები ამ დროს განიცდიდნენ გარკვეულ ზეწოლას ქართლის სამეფოს მხრიდან და აფსაროსიც ქართლის სამეფოს საგამგეო ტერიტორიაზე მდებარეობდა.

IV საუკუნეში ლაზებმა დაამთავრეს დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, რომლის სამხრეთ საზღვარზეც აფსაროსი მდებარეობდა. იგი მომდევნო პერიოდშიც აქტიურ როლს ასრულებდა ლაზიკის სამეფოს ისტორიაში, რაზედაც საუბარი „ნარკვევების“ მომდევნო ტომში იქნება.

ამგვარად, ახ.წ. I-IV საუკუნეებში აჭარის ტერიტორიაზე ორ საქალაქო ცენტრს ვადასტურებთ. ესენია პეტრა-ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული (კოლხური, ქართლ-იბერიული) ქალაქები, როგორც ითქვა, სოციალური კონტრასტებისა და სოციალურ წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტებია. ბუნებრივია, ამ საერთო კანონზომიერებიდან გამონაკლისი არც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ადრეკლასობრივი ქალაქებია.

საზოგადოების კლასებად დანაწილების სურათი, პირველ რიგში, ქალაქშია წარმოდგენილი, რადგან იგი გარკვეული ადმინისტრაციული დანაყოფის პოლიტიკური, სამეურნეო, სოციალური, კულტურული და სულიერი ცხოვრების ცენტრი იყო. სწორედ აქ გახლდათ თავმოყრილი მმართველი არისტოკრატიული ფენა, ქურუმები, ვაჭრები, ხელოსნები (მჭედლები, ოქრომჭედლები, ლითონჩამომსხმელები, ხით ხუროები, მეთუნეები, ფეიქრები და სხვ.) და მონების გარკვეული რაოდენობაც.

თავი VII
აჭარა ელინისტურ ხანაში

§1. მეურნეობა, საერთაშორისო სავაჭრო კავშირები

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შედეგად აღმოსავლეთის ადრედაწინაურებულ ქვეყნებში (ეგვიპტე, სირია, ფინიკია, მიდია, ირანი და ა.შ.) ინერგება ელინური (ბერძნული) კულტურა, სოციალ-პოლიტიკური წყობა, ჩნდება ანტიკური მონობის ახალი ფორმები, სასაქონლო-ფულადი მიმოქცევა და ა.შ. ელინიზმი ბერძნული და აღმოსავლური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების, კულტურული სინკრეტიზმისა (შერწყმის) და თანაარსებობის პერიოდია.[1]

ბერძნულ-მაკედონური ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უშუალოდ არ შეხებია, მაგრამ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ელინისტურ სახელმწიფოებთან უშუალო კონტაქტებმა ძველი კოლხეთი ელინიზმის სფეროში მაინც მოაქცია.

ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობამ გავლენა მოახდინა კოლხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კულტურასა და იდეოლოგიაზე. ელინისტური პერიოდი კოლხეთში, ისევე როგორც მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და სავაჭრო ურთიერთობათა მანამდე არნახული აღმავლობის ხანაა. მატერიალურ კულტურაში ინერგება ანტიკური ფორმები, ვრცელდება ბერძნული რელიგიური კულტები, გაჩნდა ახალი საქალაქო ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი მოსახლეობა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას აფართოებს გარე სამყაროსთან.

ელინიზაციის პროცესს და ეკონომიკურ აღმავლობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა საერთაშორისო სატრანზიტო გზამ, რომელიც რიონ-ყვირილისა და მტკვრის მაგისტრალით შუა აზიას, ბაქტრიას და ინდოეთს ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებდა.[2]

გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე თანამიმდევრული არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად დაგროვდა მეტად საინტერესო მასალები აჭარის, კოლხეთის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობის ელინისტურ ხანის მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. აქაურ მკვიდრთა სამეურნეო

---

[1] თ.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 117; მისივე, ელინიზმი და ძველი კოლხეთი. - საბჭოთა ხელოვნება, 1970, №2; 1972, №5. მისივე, „ელინიზმი“, „ელინისტური სამყარო“ და „ელინისტური კულტურა“ (დეფინიციის სიძნელეები“). - მაცნე, 2, 1984, გვ. 38-57.

[2] თ.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 118-119; მისივე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალი სატრანზიტო გზის შესახებ. - საქართველოს მეცნ.აკად. „მოამბე“, XIX, №3, 1957, გვ. 377-384; Гозалишвили Г.К. О древнем торговом пути в Закавказье. - ისტ.ინსტ.შრ. II, 1950, с. 153-160; Ямпольский З.И. К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Чёрному морю. - ისტ.ინსტ.შრ. II, с. 161-180; Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 245-246; დ.ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 150-154.

საქმიანობის, სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების, რწმენა-წარმოდგენების, კულტურისა და რიგი სხვა საკითხების შესასწავლად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენს აქ გამოვლენილი ელინისტური ხანის ნამოსახლარები და სამარხეული კომპლექსები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიჭვნარის ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ელინისტური ხანის მასალები ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზეა გამოვლენილი.

„ნამჭედურის" ნამოსახლარზე, ბორცვის წვეროდან ჩამორეცხილი და ძირობის ახლოს შექმნილი 2-2,5 მ სისქის კულტურული ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა კოლხური ქვევრების, დერგების, ჯამების, ადგილობრივი და უცხოური (ქიოსური, სინოპური, პანტიკაპეონის, სოლოხა I ტიპის)[3] ამფორების ფრაგმენტებს, თიხის პირამიდულ საწაფებს, ბათქაშებს და გათლილი ხის ძელებს.

ელინისტური ხანის მასალებში წარმოდგენილია აგრეთვე ე.წ. „კათხისებრძირიანი" და ადგილობრივი კოლხური ამფორები, სინოპური და ადგილობრივი კრამიტის ნატეხები. კოლხური ქვევრებისა და სხვა სახის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. ნაქალაქარის ზოგიერთ უბანზე ელინისტური ხანის ფენას მოსდევს კლასიკური ხანის კულტურული ფენა, ხოლო მის ქვემოთ განლაგებულია წინაანტიკური დროის ფენები.

განუზომლად დიდია მეცნიერებისათვის ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის მნიშვნელობა. სწორედ სამარხეული კომპლექსები მოიცავენ მასობრივ ინვენტარს და წარმოადგენენ ძირითად საყრდენს ელინისტური ხანის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დასახასიათებლად. აქ გამოვლენილია ელინისტური ხანის 220-ზე მეტი სამარხი და რამდენიმე სააღაპო მოედანი. ძვ. წ. IV-I საუკუნეებისათვის ძირითადად გავრცელებული იყო ორმოსამარხები. დადასტურდა ამფორაში დაკრძალვის წესიც. გაირკვა, რომ სამაროვანი ვრცელდებოდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. სამარხთა სიმჭიდროვე, აგრეთვე, ერთი სამარხის მიერ მეორის დაზიანების შემთხვევები ცხადყოფს, რომ ეს ადგილები ინტენსიურად ყოფილა გამოყენებული. სამარხეულ ინვენტარში წამყვანია კერამიკული ნაკეთობა (დოქები, მათარები, ჯამები, ჭოჭობები, ლუთერიები, სანელსაცხებლები, კანთაროსისებრი ჭურჭლები და ა.შ. იხ. სურ. 65, 66, 67, 69, 70), ასევე მრავლადაა შემოტანილი კერამიკული ნაწარმი (შავლაკიანი კანთაროსები, დოქები, ლეკითოსები, სანელსაცხებლები, იხთიები, ლუთერიები, არიბალისებრი ჭურჭლები და სხვ. იხ. სურ. 71-72), აგრეთვე, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამკაულები (საყურე რგოლები, ბეჭდები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, ზარაკები, საკიდები და ა.შ. იხ. სურ. 76, 77, 78). მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ოქროს ნაკეთობანი. მიცვალებულებისათვის ჩაუტანებიათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, კერძოდ, სინოპური მონეტები, განსაკუთრებით მრავლად ჩნდება მინის მძივები და მძივსაკიდები.

ელინისტური ხანის საყურადღებო მასალებია მოპოვებული ციხისძირის გორანამოსახლარზე, სადაც წინაანტიკური და კლასიკური ხანის საოჯახო კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ელინისტური პერიოდის კოლხური ქვევრები, სინოპური და ადგილობრივი ამფორები, კრამიტები და სხვ.

როგორც ჩანს, ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში ციხისძირი წარმოადგენდა ქობულეთის „ქვეყნის" ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონს.[4]

---

[3] ნ.გაშაკძე. იმპორტული კერამიკული ტარა „ნამჭედურის" ნამოსახლარიდან. - სდსძ, XI, 1982, გვ. 79 და შმდ.

[4] ა.კაკაბაძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი 1971, გვ. 132.

უნდა უკავშირდებოდეს ბობოყვათის ზღვისპირა მონაკვეთის ვრცელი სამაროვანი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მას უჭირავს ისტორიულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული ციხე-ქალაქ პეტრას ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა დაბლობის ნაწილი.

ამ მიდამოებში სხვა ძეგლებთან ერთად გამოვლენილ იქნა ანტიკური ხანის ვრცელი სამაროვანი,[5] რომელიც ძვ.წ. VI ს. ბოლოდან ახ.წ. IV-V სს-მდე ფუნქციონირებდა. შესწავლილი 313 სამარხიდან უმეტესობა ელინისტურ ხანაზე მოდის. ფიჭვნარის სამაროვანის მსგავსად აქაც გავრცელებულია ორმოსამარხები, იშვიათად დასტურდება მიცვალებულის ამფორაში დაკრძალვა. სამარხების გარკვეული ნაწილი უინვენტაროა, ხოლო სხვებშიც ინვენტარის ასორტიმენტი ღარიბულია. წარმოდგენილია თითო-ოროლა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, საკისრე რგოლები, ბეჭდები, მინისა და ქვის მძივები, რკინის საბრძოლო (მუჯირა) და სამეურნეო (თოხი, ცული, მოხრილი დანა, მაკრატელი, სატეხი, ეჩო) იარაღები, მონეტები (სინოპური დრაქმები და კოლხური თეთრები) და სხვ.

სამარხეულ კომპლექსებში თუ სააღაპო მოედნებზე ხშირად ჩნდება უცხოური კერამიკული ნაწარმი: შავლაკიანი კანთაროსები, თეფში, ჯამი, არიბალოსი, ე.წ. „მეგარული თასი", წითელლაკიანი კანთაროსისებრი ჭურჭელი და ა.შ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სურათის წარმოსადგენად.

გვიანელინისტური ხანის (ძვ.წ. II-I სს) საინტერესო არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული ჩაქვის ჩაისუბანში. ესენია: ოქროს საყურეები, რომლის წინა მხარეს მოცემულია სტილიზებული ცხოველის თავების შეპირისპირებული გამოსახულება. არის ელექტრუმის რგოლსაკიდი და ბიბირამიდული ოქროსა და მინის მძივები. ერთი ნაწილი შიგნიდანაა მოოქროვილი; ურევია სარდიონისა და მთის ბროლის მძივსამკაულებიც (სურ. 82).[6]

ელინისტურ ხანაში ცხოვრების კვალი დადასტურებული იქნა ბათუმის გორასამოსახლოზეც, სადაც მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს მოკიდებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.[7] ელინისტური ხანის მასალები წარმოდგენილია ბორცვის ძირობზე დაშრეგებულ ნაყარ ფენაში, რომელიც წარმოქმნილია ადრეფეოდალურ ხანაში ბორცვის თხემის ნიველირებისას გადმონაყარი მიწით. ეს ფენა შეიცავდა კოლხური ქვევრების, დერგების, ჯამების, ადგლობრივი და სინოპური ამფორების და კრამიტის ფრაგმენტებს. ნაპოვნია რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ბირამიდისებური საწაფები და კვირისტავები. დადგინდა, რომ ელინისტურ ხანაში ბორცვზე აღმართული შენობების საძირკვლები, ქვის უნდა ყოფილიყო, რაზედაც, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად მშენებლობაში გამოყენებული რიყის ქვებიც მიუთითებს.[8]

ბათუმის სამოსახლო, როგორც ჩანს, ამ მხარის ეკონომიკური, ბოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი იყო. მართალია, იგი არ წარმოადგენდა საქალაქო დასახლებას, მაგრამ ამ მსხვილ ურბანიზებულ სამოსახლოს გააჩნდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი (ე.წ. ქორა), სახელოსნო უბნები და ფართო სააღებ-მიცემო ურთიერთობა გარესამყაროსთან. ბათუმის სამო-

---

[5] მიუხედავად იმისა, რომ ეს სამაროვანი ბობოყვათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზეა განლაგებული, მას მივაკუთვნებთ ციხისძირის სახელს, რადგან იგი, როგორც არქეოლოგიური ძეგლი, პეტრა-ციხისძირის ქალაქს ეკუთვნის.

[6] ნ.სურმანი ე. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ჩაქვისწყლის ხეობაში. - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, 2002, გვ. 82-88, ტაბ. I-II.

[7] ა.კაკაბაძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. - სდსძ, XVIII, 1988, გვ. 57.

[8] ა.კაკაბაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

სახლო ელინისტურ ხანაშიაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და მას ეს ფუნქცია მომდევნო პერიოდებშიც არ დაუკარგავს.[9] ელინისტური ხანის სამოსახლოს ნაშთები მიკვლეულია ბათუმის ციხის მახლობლად სოფ. განთიადის ტერიტორიაზე.

ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. აგარის გამორჩეულ მთის წვერზე 2005 წელს ჯვართამაღლების ეკლესიის მშენებლობისას შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის სხვადასხვა სახის არ-ქეოლოგიური მასალა. წამყვანი ადგილი ელინიზმის ეპოქის მონაპოვრებს უკავია. ესენია: მასიურკედლიანი ცილინდრული მოყვანილობის ორნამენტირებული სადგამი, რომელსაც პარალელი ძვ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებულ ფიქვნარის მასალებს შორის ეძებნება. თითქმის მთლიანად აღდგა ქუსლიანი ჯამი. სჭარბობს თანადროული კოლხური ამფორის ნატეხები; არის პირამიდული საწაფები, იმპორტული ნაკეთობანი და ა.შ. მთლიანადაა გადარჩენილი რკინის ცული.[10] აშკარაა, რომ აგარის მთაზე ფუნქციონირებდა საფორტიფიკაციო დასახლება, რომელიც აკონტროლებდა ზღვისპირა ზოლის მოზრდილ მონაკვეთს.

ამ პერიოდის საყურადღებო მასალა აღმოჩნდა გონიო-აფსაროსსა და მის მიდამოებში.[11] აქ წარმოდგენილია ადგილობრივი და უცხოური, ძირითადად სინოპური, კერამიკული ნაწარ-მის (ამფორები, კრამიტი, ლუთერია) ფრაგმენტები.[12] ასევე, როდოსული და კოსის ამფორები. აქვე აღმოჩენილია ძვ.წ. IV ს ბოლო - III ს კარგად დაცული კოლხური ამფორა, შესანიშნავი შავპრიალა სამკუთხა შევრონებით შემკული კოლხური დოქი, სინოპური ლუთერია და სხვ.[13] ეს მასალები მიუთითებს, რომ გონიო ქალაქად ქცეულა და ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილა ადრეელინისტური ხანიდანვე და იგი გვიან აღმართული ციხის კედლის გარეთაც ვრცელდებოდა.

ელინისტურ ხანაში ცხოვრების კვალი დადასტურდა მახვილაურის გორასამოსახლოზეც. იგი მდ. ჭოროხის დელტას დასცქერის და ათვისებული ჯერ კიდევ განვითარებულ ნეოლითში ჩანს; ელინისტური ხანის შემოტანილი კერამიკა წარმოდგენილია ყავისფერლაკიანი ჭურჭლების ჯგუფით (მოზრდილი ლანგრები და ჯამები, ყავისფერლაკიანი პატარა ჯამები და სხვ.). რომელიც, როგორც ჩანს, შავლაკიანი კერამიკიდან წითელლაკიანზე გარდამავალ საფეხურს ქმნის. აქ აღმოჩენილი ლანგრები ფორმის მიხედვით ემსგავსება გვიანელინისტური ხანის წითელლაკიან ნაწარმს.[14] კერამიკული ნაწარმის საკმაოდ მოზრდილ ჯგუფს ქმნის თიხის პირამიდული საწაფები. შედარებით იშვიათად ჩნდება კრამიტი, რომელიც, როგორც ჩანს, აქ ფართოდ არ გამოიყენებოდა.

აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის ძეგლები, წერილობით წყაროებთან ერთად, გარკვეულად აშუქებენ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, გვიქმნიან მეტ-ნაკლებად სრულ სურათს მეურნეობის ცალკეული

---

[9] იქვე.

[10] **ა.კაკაბაძე.** ტრანსკავკასიური შაგისტრალის გასწვრივ. - **ჭოროხი**, 11, 2005, გვ. 110-112.

[11] **ი.გელაშვილი, დ.ხახუტაიშვილი,** რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. - სდსძ, I, თბილისი, 1984, გვ. 85-92; **ს.გოგიტიძე, ნ.გაბაშაძე, ა.ანანიაშვილი, ა.კაკაბაძე, ლ.ჩხაიძე, დ.ხახუტაიშვილი,** ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. საველე გათხრების შედეგები. - არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ. თბილისი, 1971, გვ. 80-81.

[12] **ბ.ხალვაში,** კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. - გონიო-აფსაროსი II, ბათუმი, 2002.

[13] **ლ.ჩხაიძე,** გონიო-აფსაროსის ელინისტური ხანის მასალები. - სდსძ, XII, თბ., 1983, გვ. 87-93.

[14] **ტ.ებრალიძე,** იმპორტული კერამიკა მახვილაურის გორასამოსახლოდან. - კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 2000, გვ. 28-36; შდრ. **რ.ფუთურიძე,** წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან. - მსკა, IV, თბილისი, 1965, გვ. 103.

დარგების განვითარების შესახებ, რის საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ელინისტურ ხანაში საკვლევი ტერიტორია დაწინაურებული სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო, რომლის ეკონომიკის საფუძველს კვლავაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა.

მიწათმოქმედების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ელინისტური ხანის ძეგლებზე გამოვლენილი სამეურნეო იარაღები. ამ მხრივ საყურადღებოა ფიჭვნარის ნაქალაქარზე ელინისტური ხანის ფენაში აღმოჩენილი რკინის სახნისი. ციხისძირის სამაროვანზე კი ამ პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში თუ სამარხებს გარეთ ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა ფორმის რკინის თოხები და სხვა სამიწათმოქმედო იარაღები (სურ. 84).

აჭარის ტერიტორიაზე შესწავლილი თითქმის ყველა ნაქალაქარისა და ნამოსახლარის (ფიჭვნარი, ციხისძირი, ბათუმისციხე, აგარა, გონიო-აფსაროსი, მახვილაური და ა.შ.) ელინისტური ხანის კულტურული ფენები მრავლად შეიცავდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლებს, კოლხურ ქვევრებს (სურ. 80). ისინი ამ პერიოდშიც მარცვლეულის შესანახადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან აქაური ნესტიანი ჰავის პირობებში ორმოებში (ე.წ. ხაროებში) მარცვლეულის შენახვა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ქვევრის კედელზე დატანებული სავენტილაციო ნახვრეტი.

ელინისტურ ხანაში მიწათმოქმედება, ბუნებრივია, მხოლოდ მარცვლეულის მოყვანით არ იქნებოდა შემოფარგლული. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა, აგრეთვე, მებაღეობასა და მებოსტნეობას. სტრაბონთან დაცული ცნობით, კოლხეთი მდიდარია კარგი ხარისხის ნაყოფით (Strabo, XI, II, 17), რაც მეურნეობის ამ დარგების განვითარების მოწმობაა.

ელინისტურ ხანაში მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ მასალები მწირია. თუმცა, მეცხოველეობა აქაურ მკვიდრთა ძველი, ტრადიციული დარგი იყო, რაზედაც წინარე ეპოქებით დათარიღებული არქეოლოგიური მონაპოვრები მიუთითებს. ელინისტურ ხანაში ცხვრის კულტის არსებობის მოწმობაა ფიჭვნარის სამაროვანის მე-6 სამარხში აღმოჩენილი თიხის ქოთანი, რომლის მორჩისებური ყური ბოლოვდება ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით (სურ. 66. 2).[15]

ამ დროის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მევენახეობა-მეღვინეობა, რომელიც ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს დასასრულიდან აღწევს მნიშვნელოვან განვითარებას.[16] მეღვინეობასთანაა დაკავშირებული კოლხური ქვევრები და ამფორები, რომლებიც ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში (ფიჭვნარი, ბათუმისციხე, მახვილაური და სხვ.) ყველაზე მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარს წარმოადგენს. მევენახეობასვე უკავშირდება ამ პერიოდის კულტურულ ფენებში და სამარხეულ კომპლექსებშიც (ფიჭვნარი, ციხისძირი) აღმოჩენილი რკინის მოხრილი დანები, რომლებიც ვაზის გასასხლავ იარაღადაა მიჩნეული. მევენახეობის მსხვილი მეურნეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ფიჭვნარის მახლობლად ს.ზენითში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კლდეში ნაკვეთი დიდი წარმადობის მონოლითური საწნახელი, რომელიც ანალოგებს აღმოსავლეთ საქართველოში (უფლისციხე), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და პალესტინაში ბოულობს.[17]

---

[15] **ა.კახიძე.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წელს. - სდსძ, X, თბილისი, 1981, გვ. 34, ტაბ. VIII, 1.

[16] **ა.ბოხოჩაძე.** მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1968; **Цкитишвили Г.Г.** К истории виноградарства в Грузии. - იკ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 2, 1959, გვ. 137.

[17] **დ.ხახუტაიშვილი,** ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. - საზ.მეცნ.განყ.-ის „მოამბე", 1963, №2, გვ. 118, ტაბ. II, 1; მისივე, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 156-162.

ელინისტურ ხანაში სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დაწინაურებულ და გამორჩეულ დარგად რჩება მეთევზეობა. ფიქრობენ, რომ ამ დროს მან სარეწაო ხასიათი მიიღო, ხოლო დამარილებული თევზი ექსპორტის საგანსაც შეადგენდა.[18] ამ დროს თევზჭერის ფართო ხასიათზე მიუთითებს ფიჭვნარისა და ციხისძირის ელინისტური ხანის ფენებში დიდი რაოდენობით მოპოვებული ქვის საწაფები და სამაროვანზე აღმოჩენილი ტყვიის მოგრძო, მართკუთხედის ფორმის ბადის საძირავები. სამარხებში ტყვიის საწაფებთან ერთად გვხვდება ბრინჯაოს მასიური ანკესებიც.[19] ფიჭვნარის ერთ-ერთ სამარხში (№208) მთლიანი ბადე ჩაეყოლებინათ - წარმოდგენილი იყო 60 ცალი ტყვიის საწაფი.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა ხელოსნური წარმოების შესწავლისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულია ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სამაროვნის მონაპოვრები. ეს ქალაქი ხომ დიდი ხნის განმავლობაში (ადრეანტიკური ხანიდან გვიანელინისტურ ხანამდე) წარმოადგენდა ე.წ. ქობულეთის „ქვეყნის“ სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს. კოლხეთის სხვა ზღვისპირა ქალაქების მსგავსად, იგი იყო მსხვილი საწარმოო ცენტრი, რომელშიც ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოსნობის ცალკეული დარგები განვითარების მაღალ დონეს აღწევდნენ.

ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მასალების მიხედვით ელინისტურ ხანაში ჩვენი მხარის მელითონეები დიდი რაოდენობით ადნობდნენ რკინას, რომლის ნაწილი ხმარდებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებას. სამარხებში მრავლადაა წარმოდგენილი რკინის თოხები, ცულები, მაკრატელი, სატეხი, ერო, მოხრილი დანები, ლურსმნები და სხვ. ფოლადისაგანვე მზადდებოდა საბრძოლო იარაღებიც. ამ მხრივ გამოირჩევა პეტრა-ციხისძირის სამაროვანი, სადაც ელინისტური ხანის სამარხეულ კომპლექსებში რკინის საძგერებელი იარაღის - მუჯირას აღმოჩენის 5 შემთხვევაა დადასტურებული.[20] მსგავსი იარაღი ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზეც არის აღმოჩენილი.

მასობრივად მზადდებოდა რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის სხვადასხვა ფორმის სამაჯურები, ბეჭდები, საყურე რგოლები, ბრინჯაოს ზარაკები, საკისრე რგოლები და ა.შ. მსგავსი სამკაულები ელინისტურ ხანაში მთელ კოლხეთშია გავრცელებული. მათი წარმოების ერთ-ერთი კერა ფიჭვნარშიაც უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, აქ დამზადებული ბროდუქცია ახლო-მახლო ადგილებსაც მიეწოდებოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს მახლობელ ბუნქტებში აღმოჩენილი სინქრონული ინვენტარის მსგავსება ფიჭვნარში აღმოჩენილ ნაწარმთან. მასობრივ და ერთფეროვან ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულებში გამოირჩევა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 136-ე სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯური, რკალზე დატანებული მრგვალი ფარაკით, რომელზეც გამოსახულია ასტრალური (მზე, მთვარე) ნიშნები და ფრინველები. (სურ. 75. 2). მსგავსი სამაჯური საქართველოს ზღვისპირეთში ჯერჯერობით უცნობია. ბარალელი ეძებნება ლარი-ლარისა და აწყურის მონაპოვრებში.

ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის მრავალრიცხოვან ბეჭდებს შორის გამოირჩევა ნიმუშები, რომელთა ფარაკებზე კარგადაა დაცული ცხოველების, ფრინველების, დელფინის, ვარდულის, „სიუხვის რქის“ (რიტონის) და სხვ. გამოსახულებები (სურ. 78. 1-4).[21] ყურადღებას იქცევს

---

[18] **ბაკაძე.** საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. გვ. 131.

[19] სამარხი №137 (ფიჭვნარი), №32 (ციხისძირი).

[20] სამარხ. №№84,100,106,107,224.

[21] **ნგაშაკაძე.** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1980 წელს წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, XII, თბილისი, 1983, გვ. 81-84, ტაბ. V, 5.

ბერერიკეს პორტრეტულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ბეჭედი (სურ. 78. 5-6). ძალზე იშვიათია ოქროსაგან დამზადებული სამკაული, ხოლო რაც არის, არ გამოირჩევა მაღალმხატვრულობით. ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩნდა ლომისთავებიანი ოქროს საყურეები, რომელთა მსგავსი ადრე უცნობი იყო საქართველოდან (სურ. 74.1). საერთოდ კი, ასეთი საყურეები ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს საყურეები[22] მხატვრული გაფორმებით (დაკეჭნილი მავთული, ცვარათი შედგენილი სამკუთხედები) კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს ეხმაურება და შესაძლოა, ფიჭვნარელ ხელოსანთა ნახელავსაც წარმოადგენდეს (სურ. 75.1). შედარებით მაღალმხატვრული ნაკეთობაა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს საკიდი,[23] რომლის შემკულობაში გამოყენებულია მარცვლოვანი გავარსით შესრულებული წრე და სამკუთხედები (სურ. 74.3). ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე ოქროს კიდევ რამდენიმე ნაკეთობაა გამოვლენილი (საყურე რგოლები,[24] ბურთისებრი[25] და ყუნწიანი[26] საკიდები).

ელინისტურ ხანაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობასთან მნიშვნელოვნად დაკავშირებულმა ხელოსნობის ისეთმა დარგმა, როგორიცაა მეთუნეობა.

ელინიზმის ეპოქაში საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარების კვალობაზე იზრდება მოთხოვნილება სამეურნეო და სატრანზიტო ჭურჭლებზე, სამშენებლო მასალებზე და სხვ. სოფლის მეურნეობის გაფართოებასთან დაკავშირებით შეიმჩნევა დიდი ზომის ჭურჭლების, მაგალითად ქვევრების წარმოების ზრდა. მარცვლეულის შესანახად და მეღვინეობაში ფართო გამოყენების გარდა, ისინი, როგორც ჩანს, ღვინის გადასაზიდ ტარადაც მოიხმარებოდა, რაზედაც მიუთითებს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ნიმფეა,[27] ჰერმონასა,[28] პანტიკაპეიონი[29] და სხვაგან) აღმოჩენილი ძვ.წ. IV-III სს კოლხური ქვევრების ფრაგმენტები.

ელინისტური ხანის ქვევრების წარმოებაში შეინიშნება გარკვეული ცვლილებები როგორც ფორმის, ისე შემკულობის მიხედვით. გვიანელინისტურ ხანაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჭურჭლის შემკობას, აღარ ჩანს ქვევრებზე გრეხილური სარტყლები, რელიეფური ქედები და სამკუთხედები, რომლითაც უხვად იყო შემკული ადრინდელი (ძვ.წ. IV-III სს) ნიმუშები. ამგვარი ვითარება გამოწვეული უნდა ყოფილიყო წარმოების ინტენსიფიკაციით (მასობრივ წარმოებაზე გადასვლით). სასაქონლო წარმოების ზრდა გავლენას ახდენდა კოლხ მექვევრეებზეც. ქვევრის ზედაპირის რთული ორნამენტული სახეებით შემკობა გარკვეულ დროს საჭიროებდა და უთუოდ გააძვირებდა პროდუქციას. ამავე დროს ეს ფაქტორი არ იძლეოდა სასაქონლო წარმოების მკვეთრი აჩქარების საშუალებას, თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო.[30]

სასაქონლო წარმოების ზრდამ ბიძგი მისცა ანტიკური კერამიკული ტარის ადგილობრივ

---

[22] ცძ. 87/83.

[23] ა.კახიძე, ნ.გაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, VI, თბილისი, 1977, გვ. 45, ტაბ. XX, 5.

[24] ა.კახიძე, ნ.გაშაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 40, ტაბ. XXII, 5.

[25] ა.კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის... გვ.53, ტაბ. XVI, 3.

[26] ა.კახიძე, ნ.ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 52, ტაბ. XVII, 4.

[27] Худяк М.М. Раскопки в Нимфее. - Сообщения ГЭ, I, 1940, 22; Скуднева В.М. Находки колхидских монет и пифосов в Нимфее. - ВДИ, 2, 1952, с. 238-241.

[28] Зеест И.Б. Раскопки Гермонассы. - КСИИМК, 58, 1955, с. 117.

[29] Зеест И.Б. Марченко И.Д. Типы толстостенной керамики из Пантикапея. - МИА, 103, с. 154.

[30] კოლხური ქვევრების შესახებ დაწერილებით იხ. ნ.გაშაკიძე, გ.ლორთქიფანიძე. კოლხური ქვევრი. - სდსძ, V, თბილისი, 1975.

დამზადებას. დაიწყო „ყავისფერთიხიანი“ ამფორების მასობრივი წარმოება. მსგავსი კერამიკული ტარა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ისტორიული კოლხეთის ნამოსახლარებსა თუ ნაქალაქარებზე. აღმოსავლეთ საქართველოში იგი ცნობილია უფლისციხიდან,[31] აღმოჩენილია, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც.[32] აჭარის ტერიტორიაზე „ყავისფერთიხიანი“ ამფორები მრავალ ბუნქტშია დადასტურებული (ქობულეთ-ფიჭვნარი, კოხი, ციხისძირი, ბათუმისციხე, გონიო-აფსაროსი, მახვილაური, კოლოტაური და ა.შ).[33] მათი სიმრავლე ფიჭვნარში და ფორმების მრავალგვარობა საშუალებას იძლევა დავუშვათ, რომ ელინისტურ ხანაში კოლხური ამფორების წარმოების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ფიჭვნარი წარმოადგენდა. თავდაპირველად მათ დამზადებაში მონაწილეობა უნდა მიეღო სინობელ მეთუნეებს, რაზედაც მიუთითებს ამ ამფორების ადრეული ტიპის მსგავსება სინობურ ნაწარმთან, როგორც ფორმით, ისე ტექნოლოგიური შესრულებით.[34] ასე რომ, ამ პერიოდისათვის ფიჭვნარი უკვე თვითონ აწარმოებდა საკუთარ სატრანზიტო ტარას (სურ. 66).[35]

ფართოდ იყო განვითარებული საოჯახო-საყოფაცხოვრებო კერამიკის წარმოება. როგორც ითქვა, ფიჭვნარისა და ციხისძირის სამარხეულ კომპლექსებში, ფიჭვნარის ნაქალაქარის, ბათუმისციხის და მახვილაურის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში მრავლად გვხვდება ნაირნაირი დოქები, ქოთნები, მათარები, მაღალფეხიანი ვაზისებრი ჭურჭლები, კოჭობები, ჯამები, სასმისები და ა.შ. კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილი ავრძელებდა კოლხური კერამიკული წარმოების ტრადიციებს, მაგრამ ემჩნევათ დაქვეითების ნიშნები. ჭურჭლების მოზრდილი ჯგუფი წარმოდგენილია ახალი ფორმებით, არის იმპორტული ნაწარმის მიბაძვით დამზადებული ნიმუშებიც.

კოლხური კერამიკული წარმოების ტრადიციული ფორმები — ყურმილიანი დოქები, მათარები, კოჭობები, კანელურებიანი დოქები — უმთავრესად გვხვდება ელინისტური ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ.წ. IV ს ბოლო - III ს პირველი ნახევარი). მათ შემკულობაში ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ადრეული კოლხური კერამიკული წარმოებისათვის დამახასიათებელი ხერხები და მოტივები: გაპრიალებული ზოლები, ტალღისებური ორნამენტი, კანელურები და ა.შ., მაგრამ ამ პერიოდის ჭურჭლები მაინცდამაინც არ გამოირჩევა დეკორის სიმდიდრით და ფორმათა დახვეწილობით.[36] თუმცა, გვხვდება რჩეული ნიმუშებიც. შემკულობითა და ზედაპირის დამუშავებით გამოირჩევა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შავადგაპრიალებული კანელურებიანი დოქები. გაპრიალებულზედაპირიანი და სამკუთხა შევრონებით შემკული გონიოს ერთ-ერთი დოქი კოლხური კერამიკული წარმოების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.[37]

ტრადიციული ფორმებიდან აღსანიშნავია მათარები.[38] ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის მათარების უმრავლესობა

---

[31] დ.ხახუტაიშვილი. უფლისციხე, I, თბილისი, 1964, გვ. 71, სურ. 37

[32] Зсест И.Б. Керамическая тара Боспора. - МИА, 83, 1960, с. 108.

[33] ა.კაკბაძე. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. - სდსძ, II, თბილისი, 1971, გვ. 65; ა.ქანდაშვილი. კოხის „ნაჯიხურალი“ - ძველი კოლხური ნამოსახლარი. - აჭარის მუზ.შრომები, IV, ბათუმი, 1963. ა.კაკბაძე, დ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 63; ლ.ჩხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[34] ა.კაკბაძე. მასალები აღმ.შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. - მსკა, IV, თბილისი, 1965, გვ. 88.

[35] იქვე.

[36] ნ.ყაფაკიძე, ა.კაკბაძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე... გვ. 43, ტაბ. XVI, 2, XVII, 5, XX,6; ნ.ყაფაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე... ტაბ. VI,1; IX,4.

[37] ლ.ჩხაძე. დასახ. ნაშრ., სურ.3.

[38] ნ.ყაფაკიძე, ა.კაკბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 48, XV,1; XI,3,4; ნ.ყაფაკიძე. დასახ. ნაშრ., ტაბ., VII, 7.

ორნამენტირებულია, შემკულობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მზის სიმბოლიკას. ახალი ფორმები აერთიანებს სხვადასხვა ტიპის დოქებს, ქუსლიან ჯამებს, მაღალ-ფეხიან ვაზისებრ ჭურჭლებს და სხვ.[39] სამაროვანზე ნაბოვნი დოქები გამოირჩევიან დახვეწილი პროპორციებით და სისადავით. აღსანიშნავია ფიჭვნარში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოქი, რომლის ზედაპირი შემკულია მეწამული ფერის საღებავით შესრულებული ყურძნის მტევნების, სუროსა და გვიმრის ფოთლების გამოსახულებებით (სურ. 65).[40]

ბერძნული ნაწარმის მიბაძვით დამზადებული ჭურჭლები ყველაზე მრავლად ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზეა მოპოვებული (ყაყისფერთიხიანი ამფორები, კანთაროსისებრი ჭურჭლები, სამტუჩა დოქები-ოინოხოიები, სანელსაცხებლები, სათევზე ლანგრები-იხთიები, ლუთერიები და სხვ.). ამ რიგის ჭურჭლების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილი დოქი-ამფორა,[41] რომელიც, როგორც ჩანს, საწყაოდ გამოიყენებოდა.

ელინისტურ ხანაში კერამიკული წარმოების აღმავლობის მაჩვენებელია ნაწარმის ტექნოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესება. წინა ეპოქის კერამიკასთან შედარებით იგი კარგადაა დამუშავებული და გამოიწვარი. ზედაპირი უმეტესწილად გაპრიალებულია და ზოგჯერ ანგობირებული. გვიანელინისტური ხანიდან კერამიკულ-წარმოებაში იწყება დაქვეითების ეტაპი, მნიშვნელოვნად უარესდება ნაწარმის ხარისხი, რაც საერთო მოვლენა ჩანს კოლხურ კერამიკულ წარმოებაში. ამის მიზეზად სპეციალისტები იმ გარემოებას თვლიან, რომ ამ დროიდან უპირატესობა მიეცა ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭლებს.[42]

ელინისტურ ხანაში მნიშვნელოვნად იზრდება სამშენებლო მასალების, კერძოდ, კრამიტის წარმოება. ორივე ტიპის კრამიტის (გვერდებაკეცილის, სოლენი) და ღარიანის (კალიპტერი) ფრაგმენტები აღმოჩენილია ფიჭვნარის ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე,[43] ციხისძირში,[44] ბათუმისციხეზე,[45] მახვილაურში[46] და სხვ. ფიჭვნარში სამშენებლო კერამიკის, კერძოდ, კრამიტის ადგილობრივი წარმოების გაფართოებას ვარაუდობენ ძვ.წ. IV ს-დან.[47] ამ დროისათვის კრამიტი მასობრივი ნაწარმის რიგს არ განეკუთვნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარად გადახურულ ნაგებობათა რიცხვი არც თუ ისე დიდი ყოფილა. ეს განსაკუთრებით ითქმის ბათუმისციხის და მახვილაურის დასახლებების მიმართ, სადაც კრამიტი ფართოდ არ ყოფილა გამოყენებული. როგორც ჩანს, მათი მეშვეობით მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს ხურავდნენ. შესაძლოა, სოლენის ტიპის კრამიტს, გარდა სახურავისა, შენობის სხვა კონსტრუქციებშიც იყენებდნენ. ორივე ტიპის ადგილობრივი კრამიტი სინოპური ნაწარმის ანალოგიურია, რაც იმისი მოწმობაა, რომ კოლხეთში კრამიტის წარმოება სინოპური ნაწარმის გავლენით დაიწყო.[48]

---

[39] ა.კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, გვ. 34-35; ნ.ვაშაკიძე, ა.კახიძე, ფიჭვნარის ელინისტური... ტაბ., XVII, 1.

[40] ნ.ვაშაკიძე, ა.კახიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 33, ტაბ. XII, 2.

[41] ნ.ვაშაკიძე, ა.კახიძე, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს. - სდსძ, VIII, თბილისი, 1978, გვ. 76, ტაბ. XXXI, 2.

[42] გ.ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ.წ. I-III სს-ში. - ისტ.ინსტ.შრ. I, თბილისი, 1955, გვ. 354.

[43] ა.კახიძე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის... გვ. 75.

[44] ცძ. 65/93.

[45] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

[46] ვ-82/514, ვ-82/518.

[47] Кахидзе А.Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху (Автореферат докт. диссер.), Тбилиси, 1981, с. 10.

[48] ოთ.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 133.

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო წინაურდება საფეიქრო საქმე, როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. თავი VI) ამ დარგის ნაწარმმა საკმაოდ ადრე მიიღო სასაქონლო ხასიათი და აღიარება მსოფლიო ბაზარზე).

ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ფეიქრობა რომ ძირძველი ტრადიციული დარგი იყო, დასტურდება მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური აღმოჩენებით (გვიანნეოლითიდან მოკიდებული ძაფის რთვასთან დაკავშირებული კვირისტავები ყველგან არის დამოწმებული).[49] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ამ დარგის დაწინაურებაზე მიუთითებს ზღვისპირა ნამოსახლარებზე ძვლის თუ ქვის მრავალი კვირისტავისა და ქსოვილიანი კერამიკის აღმოჩენები.[50]

ელინისტურ ხანაში საკვლევ ტერიტორიაზე ფართოდ გამოიყენებოდა ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგები, რაზეც მიუთითებს თიხის პირამიდული საწაფების აღმოჩენები. ისინი ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმად იყო გამოყენებული[51], რაც ამ დარგის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.[52] ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ბ.კუფტინმა ადრეულ ხანის კოლხეთში ჰორიზონტალური საქსოვი დაზგების არსებობა ივარაუდა.[53] აჭარის სინამდვილეშიც ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები ბოლო ბერიოდამდე იყო გავრცელებული.[54]

ვერტიკალური საქსოვი დაზგის თიხის პირამიდული საწაფები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ნაქალაქარზე (ძვ.წ. V-II სს კულტურულ ფენებში). მათ შორის გამოიყოფა მასიური ნიმუშები, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, უხეში ქსოვილის (საიალქნე და საკარვე) დასამზადებლად გამოიყენებოდა. შედარებით მომცრო ზომის საწაფებით, უნდა ვიფიქროთ, ნაზი ქსოვილები მზადდებოდა.[55]

ფიჭვნარის ნაქალაქარს გარდა თიხის პირამიდული საწაფები აღმოჩენილია აგარაში, ბათუმისციხეზე[56] და მახვილაურში.[57] ფიჭვნართან შედარებით მათი რაოდენობა მოკრძალებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ საფეიქრო ხელოსნობის ამ დარგის პროდუქცია, ძირითადად, საშინაო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ხოლო ფიჭვნარში წარმოებული პროდუქცია, როგორც ჩანს, ექსპორტის საგანიც უნდა ყოფილიყო.[58]

გარდა თიხის პირამიდული საწაფებისა, საფეიქრო საქმეს უკავშირდება თიხის კვირისტავები, რომლებიც ხშირად ჩნდება ფიჭვნარის ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში. ფიჭვნარის ელინისტური ხანის ერთ-ერთ სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილი თიხის კონუსისებრი კვირისტავის ფუძეს მთლიანად ფარავს ამოღარვით შესრულებული წრეში ჩასმული ბორჯ-

---

[49] სგოგიტიძე. მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარებზე 1979 წ. წარმოებული არქ. გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, XI, თბილისი, 1982, გვ. 35-36.

[50] Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Нанчедури., Тбилиси, 1985, таб. 53; Рамишвили А.Т. Раскопки приморских стоянок в Пичвнари-кобулети в 1960-64 и 1967 гг. - СА, 1975, I, с. 143, рис. 56; Его же, О назначении стоянок с текстильной керамикой Восточного Причерноморья. - СА, 1975, с. 36-44; ნ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1966, გვ. 82.

[51] Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, с. 15; Гайдукевич В.Ф. К вопросу о ткацком ремесле в Боспорких поселениях. - МИА, 25, с. 395.

[52] გ.ჩაჩაბეიშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები. - სსმმ, XVIII-B, 1954, გვ. 195.

[53] Куфтин Б.А. Указ. соч., с. 15.

[54] ა.კაკაბაძე, საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 53.

[55] იქვე.

[56] ა.კაკაბაძე, ნ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66, ტაბ. XXV, 3.

[57] ვ-62/422; ვ-62/2; ვ-62/110; ვ-62/434.

[58] ა.კაკაბაძე, ნ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ღალას გამოსახულება (სურ. 81.1).[59] კონუსური და ბიკონუსური ფორმის რამდენიმე კვირისტავი აღმოჩენილია ბათუმისციხეზეც.[60] ერთ მათგანზე დატანილია ასტრალური ნიშანი — მზის გამოსახულება, რომელიც წერტილებისაგან შედგენილი სხივებით არის გადმოცემული.

გარდა რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული აღჭურვილობისა, საფეიქრო ხელოსნობის განვითარების უტყუარი დასტურია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე ქსოვილის ნაშთების არაერთი აღმოჩენა. ბრინჯაოს ნივთების ბატინა კარგად ინახავს ტილოსებრი ქსოვილის ანაბეჭდებს და თვით ქსოვილის ნაშთებსაც. სამარხებში მძივებთან ერთად ხშირად ჩნდებოდა დაგრეხილი ძაფის ნაშთებიც.

ელინისტურ ხანაში კოლხეთის სამეურნეო ცხოვრება დიდ აღმავლობას განიცდიდა, გაიზარდა საშინაო და საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ქვეყანა ჩაება საერთაშორისო ურთიერთობაში. კერძოდ, სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენები, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საშუამავლო ვაჭრობას, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა გარესამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაფართოებისა და გაძლიერებისათვის.[61]

კოლხეთის სამეურნეო ცხოვრებისა და გარესამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობათა კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.[62] შესწავლილია მეურნეობის ძირითადი დარგები: სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, განსაზღვრულია ბერძნული სამყაროს ის ძირითადი ცენტრები, რომლებთანაც კოლხეთს კონტაქტები ჰქონდა ელინისტურ ხანაში, დადგენილია სავაჭრო გზები, ექსპორტისა და იმპორტის ხასიათი, გამოყოფილია ვაჭრობის აღმავლობისა და დაცემის ცალკეული ეტაპები.[63]

ამ საკითხების კვლევისათვის მრავალფეროვანი და საინტერესო მასალებია გამოვლენილი აჭარის ტერიტორიაზე. ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპორტულ კერამიკულ ნაწარმს და ნუმიზმატიკურ მასალებს. ამ სახის მონაცემები მრავლადაა გამოვლენილი ფიჭვნარისა და ციხისძირის სამარხეულ კომპლექსებში, წარმოდგენილია ბათუმისციხის, გონიო-აფსაროსის და მახვილაურის ნამოსახლარების შესაბამისი ხანის კულტურულ ფენებში. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალებს გარკვეულად ავსებს შემთხვევითი აღმოჩენები გონიო-აფსაროსიდან, აგარიდან და ბათუმიდან. განსაკუთრებით მრავალფეროვანია იმპორტული კერამიკული ნაწარმი ფიჭვნარის ნაქალაქარიდან.

ელინისტურ ხანაში იმპორტის ხასიათი და მასშტაბები არაერთგვაროვანია. ადრეელინისტურ ხანაში (ძვ.წ.IV ს ბოლო - III ს პირველი ნახევარი) წარმოდგენილია ატიკური სადა შავლაკიანი კერამიკა, თასსისი, ქიოსის, ჰერაკლეასა და სინოპეს ამფორები. მოგვიანო ბერიოდში (ძვ.წ. III

---

[59] ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე, არქეოლოგიური გათხრები... გვ. 77, ტაბ. XXVI, 5.

[60] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[61] მ.ინაძე, საგაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1982, გვ. 107.

[62] Меликишвили Г.А. დასახ. ნაშრ., მ.ინაძე დასახ. ნაშრ., ა.კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მისივე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები; თ.ალორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი - აქვეა მითითებული ლიტ-რა; მ.ბერძნიშვილი, ქ.ფასისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969; Лордкипанидзе Г.А. К истории Древней Колхиды, Тбилиси, 1970; მისივე. Колхида в VI-II вв до н.э. Тбилиси, 1973; ნ.ბაბალიშვილი. ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან, თბილისი, 1977; მ.ინაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი, 1982; გ.მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ.წ. II-I სს. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970.

[63] ნ.ბაბალიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ს მეორე ნახევარი - II ს) ვრცელდება მცირეაზიული სახელოსნოების პროდუქცია (თეფშები, კანთაროსები, ლეკითოსები, სანელსაცხებლები და ა.შ.). მათ შორის გამოიყოფა პერგამისა და როდოსის სახელოსნოების ნაწარმი (ყავისფერლაკიანი ლეკითოსი, თასი, კილიკი, „მეგარული" თასი და სხვ.); თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის სხვა ბუნქტებთან შედარებით ამ ცენტრების ნაწარმი აქ შედარებით მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. ისინი მრავლად ჩანს კოლხეთის შიდა რაიონებში, მდ.რიონის სავაჭრო მაგისტრალის გაყოლებაზე, განსაკუთრებით ვანსა და მის მიდამოებში,[64] ასევე დიოსკურია-ეშერას ტერიტორიაზე.[65] აღნიშნული პერიოდის იმპორტში განსაკუთრებული ადგილი უკავია სინოპეს სახელოსნოების ნაწარმს (ამფორები, ლუთერიები, კრამიტი). აღარ ჩანს თასოსის, ჰერაკლეას, ქიოსის კერამიკული ტარა.

მეურნეობისა და აღებ-მიცემობის აღმავლობის მაჩვენებელია ზღვისპირა ზოლში თუ შიდა რაიონებში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის მონეტები. აღრეელინისტურ ხანაში სამონეტო მიმოქცევაში წამყვანი ადგილი საშინაო ბაზარზე კვლავ კოლხურ თეთრებს ეკავა. ფიჭვნარისა და ციხისძირის ელინისტური ხანის სამარხეული კომპლექსების დიდი უმრავლესობა შეიცავს კოლხურ ნახევარდრაქმიანებს, ე.წ. ტრიობოლებს. ზოგიერთ სამარხში მათი რაოდენობა 20-მდე აღწევს. ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამ სახის მონეტები განძების სახითაც არის აღმოჩენილი.[66] 1948 წ ფიჭვნარში აღმოჩენილ განძში კოლხურ თეთრებთან ერთად სინოპური დრაქმებიც იყო წარმოდგენილი.[67] ეს კოლხური მონეტების უცხოურ ფულებთან ერთად აღმოჩენის პირველი შემთხვევა იყო, რაც კოლხური თეთრის სათანადო მნიშვნელობის მანიშნებელია.[68] როგორც ჩანს, მათ იყენებდნენ საშინაო ვაჭრობაში.[69] კოლხური ფულების ასეთი ინტენსიური ბრუნვა ქვეყნის შიგნით გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობათა მაჩვენებელია. ფიქრობენ, რომ ე.წ. კოლხურები ქვეყნის შიდა ბაზარს ემსახურებოდა და მათი ემისია ხდებოდა ზღვისპირა ქალაქებში, რომლებიც პოლიტიკურად კოლხეთის სამეფოზე იყვნენ დამოკიდებული.[70]

იმპორტული კერამიკისა და ნუმიზმატიკური მონაცემებით ელინისტური ხანის კოლხეთის, კერძოდ, აჭარის ტერიტორიის მოსახლეობის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან შემდეგნაირად გამოიყურება:

- ძვ.წ. IV ს ბოლოს და III ს პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად შესუსტებულია, მაგრამ მაინც გრძელდება კონტაქტები ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან, პირველ რიგში ატიკასთან. ამ ცენტრის შავლაკიანი კანთაროსები (ღვინის სასმელად განკუთვნილი ჭურჭლები) მრავლადაა მოპოვებული ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე და ფიჭვნარის ნაქალაქარის ელინისტური ხანის ფენებში. მათ შორის გამოირჩევა ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი შავლაკიანი კანთაროსი, ე.წ. „ჰერაკლეს" კვანძის მსგავსად განასკვული წყვილღეროიანი ყურებით (სურ. 71.1). იგი ატიკური ხელოსნური წარმოების საუკეთესო და იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.[71]

---

[64] **ნ.ბერძენიშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 95-98.

[65] **ნ.ბერძენიშვილი,** დასახ. ნაშრ., გვ. 88; Шамба Г.К. Эшерское городище, Тбилиси, 1980, с. 36.

[66] Голенко К.В. Кобулетский клад серебранных монет середины IVв до н.э. - СА, XXVII, Москва, 1957; მისივე. Клад синопских монет из Кобулети (1948). - ВДИ, 1, 1961.

[67] Голенко К.В. Указ. соч.

[68] **ნ.ხოშტარია,** ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 225.

[69] **ა.კახიძე.** საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 119.

[70] **გ.მელიქიშვილი.** კოლხეთი ძვ.წ. VI-IV სს. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 411-412.

[71] **ა.კახიძე.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1905 წ. გვ. 45.

ატიკას უკავშირდება სააღაბო მოედნებზე, ცალკეულ სამარხეულ კომპლექსებსა თუ ნამჭედურის ნამოსახლარზე აღმოჩენილი შავლაკიანი სათევზე ლანგრები (იხთიები). ერთ-ერთ ნიმუშზე ამოკაწრულია მონოგრამა „A“, რომელიც ბერძნული პანთეონის ქალღმერთ არტემიდას უკავშირდება.[72] როგორც ცნობილია, არტემიდა ნადირობის მფარველი ღვთაება იყო და ამგვარი მონოგრამიანი სათევზე ჭურჭელი სიმბოლურად მის კულტს ეძღვნებოდა.

ატიკურ შავლაკიან თეფშზე ციხისძირის სამაროვნიდან სუროს ფოთლებია დატვიფრული.

ათენის საზღვაო სახელმწიფოს დასუსტების შემდეგ (ძვ.წ. IV ს შუა ხანებიდან), მისი როლი შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვნად შესუსტდა. სამაგიეროდ ამ პერიოდიდან მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები მყარდება სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას შორის. ამ ურთიერთობებში წამყვანია სამხრეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი სინოპე. ამ ქალაქის ნაწარმი კოლხეთში ძვ.წ. IV ს შუა ხანებიდან მასობრივად გამოჩნდა. ადრეელინისტური ხანის სინოპური იმპორტი ძირითადად მონეტებით და ამფორებითაა წარმოდგენილი. შედარებით ნაკლებადაა საოჯახო მოხმარების ჭურჭელი და სამშენებლო კერამიკა. სინოპური ნაწარმი აღმოჩენილია გონიოაფსაროსში, მახვილაურის გორანამოსახლარზე, ბათუმისციხეზე, ფიჭვნარის ნაქალაქარის ყველა უბანზე და ა.შ. მათ შორის ყველაზე ადრეულია ქობულეთის „ნამჭედურის“ ნამოსახლარზე აღმოჩენილი სინოპური ამფორის ძირები, რომლებიც მასიურობითა და მკვეთრი იასამნისფერი შეფერადებით გამოირჩევიან.[73] ყურადღებას იქცევს ფიჭვნარში ნაპოვნი სინოპური ამფორის დამღიანი ყურები.[74]

გარდა ამფორებისა, ადრეელინისტურ ხანაში ვრცელდება სინოპური მასიური თასისებრი ჭურჭელი - ლუთერიები.

ადრეელინისტური ხანიდან სინოპესთან გაცხოველებულ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიანიშნებს აჭარის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი სინოპური მონეტები, რომელთაც საგარეო ვაჭრობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების წყალობით ისინი ყველაზე მრავლად ფიჭვნარშია გამოვლენილი, მაგრამ ცნობილია სხვა პუნქტებიდანაც. ადრეელინისტურ ხანაში სინოპესა და ფიჭვნარს შორის პირდაპირი და უშუალო კავშირის მაჩვენებელია 1948 წ ფიჭვნარში აღმოჩენილი მონეტების დიდი განძი, რომელშიც, როგორც ითქვა, კოლხურ თეთრებთან ერთად სინოპური დრაქმები შედიოდა. სინოპური მონეტების კარგი დაცულობის გამო ნუმიზმატი კ.გოლენკო ფიქრობდა, რომ ისინი მოჭრის შემდეგ მიმოქცევაში არ ყოფილა და პირდაპირ ფიჭვნარში შემოუტანიათ.[75] აღნიშნული მონეტები ხშირად ჩნდებოდა ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების ელინისტური ხანის სამარხებში. განძში თუ სამარხებში აღმოჩენილი სინოპური მონეტების ერთი ნაწილი დამზადებულია სპარსული წონითი სისტემით (ე.წ. მსუბუქი დრაქმა). ზოგიერთ მათგანზე გაკეთებული ასტინომის აღმნიშვნელი წარწერა ΑΓΡΩΕΣ. მონეტების ნაწილი ეგინური სისტემითაა მოჭრილი (მძიმე დრაქმა).[76] ამ ჯგუფის რამდენიმე მონეტაზე ნიმფას წინ გამოსახულია აკროსტილი-

---

[72] Тольстой И.И. Греческие граффити древних городов Сев. Причерномрья, М.-Л., 1953, с. 21, №20.

[73] ნ.ჯაშაკიძე, იმპორტული კერამიკული ტარა... გვ. 89.

[74] ა.კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის... გვ. 85-86; ...ეაშვილი, სინოპური დამღა ფიჭვნარიდან. - სდსძ, XI, თბილისი, 1982, გვ. 95.

[75] Голенко К.В. Кобулетский клад... с. 294.

[76] ნ.ჯაშაკიძე, ა.კახიძე, არქეოლოგიური გათხრები... გვ. 82.

აბლუსტრუმა. ეს მონეტები ეკუთვნის სინოპური დრაქმების განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. 360-320 წწ).

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილია მომდევნო პერიოდის (ძვ.წ. IV ს ბოლო - III ს პირველი ნახევარი) სინოპური მონეტებიც (სურ. 83).[77] ისინი ცნობილია სხვა ბუნქტებიდანაც (განთიადი, ბათუმის ახლოს).[78]

ამრიგად, არქეოლოგიური მასალებით დადასტურდა, რომ ადრეელინისტური ხანიდან სინოპეს როლი საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულია. სინოპური კერამიკული ტარა, კრამიტი, ლუთერიები, ბითოსები, მონეტები ფართოდ გრცელდება ზღვისპირა ქალაქებში და აღწევდა ქვეყნის შიდა რაიონებს. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის ზოგიერთი ფორმა (ამფორები, ლუთერიები) სინოპური ნიმუშების მიხედვით ადგილობრივად კეთდებოდა. თვლიან, რომ სინოპედან კოლხეთში უბირატესად შემოქონდათ კერამიკული ნაწარმი და ზეითუნის ზეთი, ხოლო აქედან ექსპორტის საგანს შეადგენდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყე, ფისი, ტილო, ცვილი, ბაგირი და სხვ.[79]

ძვ.წ. IV ს ბოლოსა და III ს პირველ ნახევარში სინოპესთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები კარგად იკვეთება მცირე აზიის მეორე მნიშვნელოვან საწარმოო-სავაჭრო ცენტრთან ჰერაკლეასთან. როგორც ცნობილია, ძვ.წ. IV საუკუნიდან ჰერაკლეამ დაიწყო აქტიური საშუამავლო ვაჭრობა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებთან.[80] ვაჭრობის საგანს შეადგენდა ძვირფასი ღვინოები და ზეითუნის ზეთი.[81] ამ ცენტრის მთლიანად დაცული ენგლიფურდაშლიანი ერთი ამფორა ნაპოვნია ბათუმში.[82] ჰერაკლეას ამფორის რამდენიმე ძირი აღმოჩნდა ფიჭვნარის ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე.[83] მსგავსი ამფორები დათარიღებულია ძვ.წ. IV ს ბოლო პერიოდით.[84] გარდა კერამიკული ტარისა, ფიჭვნარში აღმოჩენილია ამ ცენტრის მიერ წარმოებული ორივე ტიპის კრამიტი - როგორც სოლენები, ისე კალიპტერები.[85]

ადრეელინისტურ ხანაში გრძელდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ეგეოსურ ცენტრებთან (ქიოსთან, თასოსთან). ქიოსთან კონტაქტები კარგად ჩანს გვიანარქაული ხანიდან (ბათუმისციხის, ფიჭვნარისა და ციხისძირის მასალები). ამ ცენტრის კერამიკულ ტარას გვიანარქაულ და კლასიკურ ხანაში ჩვენში აღმოჩენილ იმპორტულ ამფორებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ელინისტური ხანის ქიოსური ე.წ. „ჩაჩისებურძირიანი" ამფორის ძირები აღმოჩენილია ქობულეთის „ნამჭედურის" ანტიკური ხანის ფენაში.[86]

ძვ.წ. IV-III სს იმპორტი წარმოდგენილია მენდეს ე.წ. „კათხისებრძირიანი" ამფორებით, რომლებიც აღმოჩენილია ფიჭვნარის ნაქალაქარზე,[87] ბათუმისციხეზე[88] და სხვ. ამ ტიპის ამფორების წარმოების ცენტრი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, თუმცა თასოსურ ამფორებთან მათი ტიპოლოგიური მსგავსების გამო, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ამ კუნძულის ახლო-

---

[77] გ.ფეფინაშვილი, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები. - „მაცნე", №1, 1971, გვ. 145-147, ტაბ., 4, 5, 8.

[78] ა.ალხაზიშვილი, ძვირფასი არქეოლოგიური ნაპოვნები. - „საბჭოთა აჭარა", 28. X. 1971.

[79] ზ.ანანიძე სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან... გვ. 101-103.

[80] Зеест И.Б. Керамическая тара... с. 23.

[81] იქვე.

[82] ა.ალხაზიშვილი. კერამიკული ტარა... გვ. 52.

[83] ა.ალხაზიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 51; ნ.ვაშაკიძე, იმპორტული კერამიკული ტარა... გვ. 85.

[84] Зеест И.Б. Указ. соч., с. 109, таб. 22, 42.

[85] ა.ალხაზიშვილი, მასალები აღმ. შავიზღვისპირეთის... გვ. 88.

[86] ნ.ვაშაკიძე, დასახ.ნაშრ., გვ.80.

[87] ა.ალხაზიშვილი, კერამიკული ტარა... გვ.48.

[88] იქვე.

მახლო მზადდებოდა.[89] ამგვარი ამფორების განსხვავებული ლოკალიზაცია მოგვცა ი.ბრაშინსკიმ, რომელმაც ისინი მენდეს ადრეულ ამფორებს დაუკავშირა და მათი ევოლუციის პროდუქტად მიიჩნია.[90]

კოლხეთს ელინისტურ ხანაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთანაც. ამ პერიოდის „ყავისფერთიხიანი" კოლხური ამფორები ფართოდ ვრცელდება ბოსფორის სახელმწიფოს ქალაქებში.[91] მათი გავრცელების უკიდურესი პუნქტი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბელგოროდ-დნესტროვსკის მიდამოებია.[92] მეორე მხრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის მასალები დადასტურებულია ფიჭვნარში („ნამჭედურის" ნამოსახლარისა და ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში), სადაც გვხვდება ბანტიკაპეიონის ძვ.წ. 370-340 წწ. ამფორების ძირები.[93]

ძვ.წ. III ს მეორე ნახევრიდან საკვლევ ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ კოლხეთში, აღარ ჩანს ჰერაკლეას, თასოსისა და ქიოსის ამფორები. ამის მიზეზად ხმელთაშუაზღვისა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ეკონომიკური ურთიერთობის შეცვლას მიიჩნევენ.[94] ამ პერიოდიდან განსაკუთრებით იზრდება სინოპეს როლი, რომელიც ამისოსთან ერთად ზეითუნის ზეთისა თუ სხვა ნაწარმის ძირითადად მიმწოდებლად იქცა შავი ზღვის აუზის, მათ შორის, აღმ. შავიზღვისპირეთის მოსახლეობისათვის.[95] ამ ხანის სინოპური ამფორის ძირები მრავლადაა მოპოვებული ფიჭვნარში, ბათუმისციხეზე და ა.შ. ხშირად გხვდება საყოფაცხოვრებო კერამიკა (ლუთერიები, დოქი) და სინოპური კრამიტის ფრაგმენტები. ფიჭვნარში სინოპური კრამიტებით გადახურული სამარხიც კი არის აღმოჩენილი.[96] იმავე სამაროვანზე აღმოჩნდა სინოპური თიხისაგან დამზადებული დოქი, რომელიც აღნაგობით ამავე სამაროვანზე მრავლად დადასტურებული ყავისფერთიხიანი ადგილობრივი ჭურჭლების ანალოგიურია.[97] ასევე ითქმის ყავისფერთიხიანი ლუთერიების შესახებ. ერთ-ერთი სამარხის საალაპო მოედანზე ჩამსხვრეული იყო რამდენიმე ადგილობრივი ლუთერია, რომლებიც სინოპური ნაწარმის მიბაძვითაა დამზადებული. მათ აქვთ სინოპური ლუთერიების შედარებით გვიანდელი ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ნიშნები (დაუდევრად დატანილი დეკორი, მომცრო ზომები) და თარიღდებიან ძვ.წ. III-II სს.[98]

ძვ.წ. III-II სს იწყება სავაჭრო ურთიერთობა კ.როდოსთან, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, ამ პერიოდში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ეგეოსის ზღვაზე და საშუამავლო ვაჭრობის ფართო ქსელი გააჩნდა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებთან. უკანასკნელთ იგი კუნძულ კოსთან ერთად ღვინით ამარაგებდა. ამ ცენტრის ამფორების აღმოჩენები მიუთითებს, რომ იგი ღვინოს კოლხეთსაც აწვდიდა.[99] ძვ.წ. III-II სს როდოსული ამფორის ძირი აღმოჩნდა გონიოს ციხის

---

[89] Зеест И.Б. Указ.соч., с. 89; Шелов Д.Б. Керамические клейма из раскопок Фанагории. - МИА, 57, 1956, с. 151.

[90] Брашинский И.Б. Амфоры Менде. - ХКАМ, М., 1978, с. 65.

[91] Зеест И.Б. Раскопки Гермонассы, с. 17.

[92] ა.კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 115, სურ. 5.

[93] ნ.ჯაფარიძე. იმპორტული კერამიკული ტარა... გვ. 92; ა.კახიძე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის... გვ. 87.

[94] მ.ინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[95] იქვე.

[96] ა.კახიძე. კრამიტსახურავიანი სამარხი ფიჭვნარიდან. - სდსძ, XII, თბილისი, 1983. სინოპური კრამიტებით გადახურული მეორე ელინისტური ხანის სამარხი ფიჭვნარში 2006 წელსაც აღმოჩნდა.

[97] ა.კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის... გვ.49.

[98] Зеест И.Б. Указ. соч., с. 24-25.

[99] მ.ინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 112-113.

ტერიტორიაზე.[100] ფიქრობენ, რომ ძვ.წ. III ს-დან როდოსი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კოლხეთის წინა აზიის ქვეყნებთან (ეგვიპტე, სირია)[101] სავაჭრო ურთიერთობაში. როდოსის კოლხეთთან საშუამავლო ვაჭრობის დასტურს უნდა წარმოადგენდეს ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ე.წ. „მეგარული თასი".[102] მსგავსი ჭურჭელი ანტიკური სამყაროს მრავალ სახელოსნო ცენტრში მზადდებოდა. არაა გამორიცხული, რომ ციხისძირის თასი კეცის, ფორმისა და შემკულობის მიხედვით დელოსური ნაწარმი იყოს.

როდოსის მიერ წარმოებული საშუამავლო ვაჭრობის გზით უნდა მოხვედრილიყო აჭარის ტერიტორიაზე ეგვიპტისა და სირიის სახელოსნოებში დამზადებული მინის მძივსამკაული. აქაური სამარხეული კომპლექსები (ქობულეთი-ფიჭვნარი, ციხისძირი და სხვ.) ასეულობით შეიცავს მინისა და მინისებური პასტის მძივებსა და მძივსაკიდებს (სურ. 79). მათ შორის გამოირჩევა ადამიანის ნიღბის მძივსაკიდი და დიდი ზომის ცილინდრული მძივები ადამიანის ორსახოვანი გამოსახულებებით. აქვე გვხვდება ცისფერი მინის სკარაბეოიდი, მრავლადაა გულის, დელფინის, ჭურჭლების (დოქი, ამფორა) ფორმის მძივსაკიდები, ცისფერი ეგვიპტური პასტისაგან დამზადებული სხვადასხვა სახის (მრგვალი, ბიკონუსური, პირამიდისებრი, დაღარულზედაპირიანი და სხვ.) მძივები.[103] ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩნდა ცილინდრული მოყვანილობის სპირალისებური ორნამენტით შემკული თეთრი ფინიკიური მინის სანელსაცხებლე.[104] ჩვენი მხარის ეგვიპტესთან სავაჭრო ურთიერთობის დასტურია ძვ.წ. III ს პტოლემეაოსების სპილენძის მონეტები, რომლებიც ბათუმში იყო აღმოჩენილი.[105]

ძვ.წ. III-II სს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჩანს მცირე აზიის ცენტრებთან. იქაური ნაწარმი ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე წარმოდგენილია შავლაკიანი კანთაროსებით, სანელსაცხებლეებით, არიბალისებრი ჭურჭლებით, თასისებრმირიანი ლეკითოსებით, ძილტუჩიანი ჭურჭლებით და ა.შ.[106] მათი საწარმოო ცენტრის დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. ამ სახის კერამიკის მოზრდილ ჯგუფს ქმნის თიხის სანელსაცხებლეები, რომლებიც ფართოდ ვრცელდება ადრეელინისტური ხანიდან და მთლიანად დევნის სამარხეული ინვენტარის აუცილებელ ატრიბუტს, ლეკითოსებს. ფიჭვნარისა და ციხისძირის სანელსაცხებლეები შედარებით ადრეული ნაწარმია.[107] მათგან ზოგიერთი თიხის მიხედვით, ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული. მსგავსი ჭურჭლების ასაკი ოლბიის,[108] კეპის,[109] დაბლაგომის,[110] ეშერას[111] და სხვა ბუნქტების მასალების მიხედვით ძვ.წ. III ს პირველი ნახევრით არის განსაზღვრული.

მცირეაზიული ნაწარმის მეორე ჯგუფს ქმნიან მილტუჩიანი ჭურჭლები, რომლებიც პირველად ფიჭვნარში ძვ.წ. V ს ჩნდება.[112] მათი რიცხვი განსაკუთრებით იზრდება ადრეელინისტური

---

100 მ.ხალვაში, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. გვ. 250.
101 მ.ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113.
102 ცა/ძ. 84/39.
103 ნ.გაშაკაძე, ა.ალხაზი. არქეოლოგიური გათხრების ფიჭვნარის... გვ. 79-80.
104 ა.ალხაზი, ნ.გაშაკაძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის... გვ. 45.
105 Голенко К.В. Кобулетский клад... с. 296.
106 ნ.გაშაკაძე, ა.ალხაზი. დასახ. ნაშრ.
107 ა.ალხაზი, ნ.გაშაკაძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის... გვ. 38; ცა/ძ. 87/101.
108 Парович-Пешикан М., Некрополь Ольвии эллинистического времени, Киев, 1974, с. 101 (т.III), рис. 94, 6.
109 Сорокина Н.П. Раскопки некрополя в Кепах в 1959-60 гг. - КСИА, вып. 91, 1962, с. 105, рис. 41/45.
110 გ.თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. - განი, II, თბილისი, 1978, გვ. 73, სურ. 112-113.
111 Куфтин Б.А. Материалы... I, с. 31-32, т.IV.
112 ა.ალხაზი, აღმ. შავიზღვისპირეთის... გვ. 83, ტაბ. XXIX.

ხანიდან.[113] როგორც ჩანს, ჭურჭლის ამ სახეობის ერთი ნაწილი ფიჭვნარშივე ბერძნული ნაწარმის მიბაძვით მზადდებოდა, ხოლო ნაწილი იმპორტის გზით აღწევდა.

ძვ.წ. III ს თარიღდება და მცირე აზიის უკავშირდება თასისებრპირიანი შავლაკიანი ლეკითოსები, რომლებიც ნამოვნია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე.[114] საერთოდ, ჭურჭლის ეს ფორმა იშვიათ მონამოვართა რიცხვს მიეკუთვნება (ცნობილია ციხისძირიდან, ეშერიდან[115] და ჩიბათიდან[116]).

მცირეაზიულ ნაწარმს წარმოადგენს ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე აღმოჩენილი ზოგიერთი შავლაკიანი კანთაროსები, რომელთა ანალოგები ოლბიიდან დათარიღებულია ძვ.წ. III-II სს.[117] დასავლეთ საქართველოში მსგავსი კანთაროსები ცნობილია სოხუმიდან,[118] დაფნარიდან,[119] წიფნარიდან,[120] ნოქალაქევიდან[121] და ა.შ. ამ ტიპის ჭურჭლის ყველაზე გვიანდელ ნიმუშს წარმოადგენს ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი, ერთობ წაგრძელებული ბრონორციების მქონე მცირეაზიური შავლაკიანი კანთაროსი.[122] მსგავსი ფორმის კანთაროსები ოლბიიდან ძვ.წ. III ს ბოლოსა და II ს განეკუთვნებიან.[123]

მცირე აზიის საქალაქო ცენტრებიდან ძვ.წ. III-II სს ყველაზე აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს პერგამონთან, რომელიც წარმოადგენდა წითელლაკიანი ჭურჭლების დამზადების მთავარ ცენტრს.[124] მასთან ურთიერთობის დასტურად გამოდგება ფიჭვნარსა[125] და მახვილაურში[126] აღმოჩენილი ყავისფერლაკიანი კერამიკა (ლანგრები, თასები, კილიკები, ლეკითოსები და სხვ.). ასეთი ჭურჭლები ოლბიიდან დათარიღებულია ძვ.წ. III-II სს და მიჩნეულია როდოსულ და პერგამონულ ნაწარმად.[127]

პერგამონული ნაწარმია ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი მინიატურული კანთაროსი.[128] მის შემკულობაში გამოყენებულია პერგამონული კერამიკისათვის დამახასიათებელი მოტივები - სუროს გირლიანდები და სუროს ფოთლის რელიეფური გამოსახულებები, ხოლო ზედაპირი დაფარულია წაბლისფრად აჭრელებული მოშავო-მონაცრისფრო ლაკის თხელი ფენით. მსგავსი ფორმისა და შემკულობის კანთაროსები ოლბიიდან ძვ.წ. III-II სს თარიღდება.[129]

მცირეაზიული, შესაძლოა, პერგამული ნაწარმია ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი

---

[113] ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის... ტაბ. XIV,6; XV,5.

[114] ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის... ტაბ. XXVII,1.

[115] Куфтин Б.А. Материалы... I, с. 41, т.V$_{1,2}$.

[116] ნ.გაშაკიძე, სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები, გვ. 78, ტაბ. VIII$_6$.

[117] Фармаковский Б.В. Раскопки некрополя древней Ольвии эллинистического времени, Киев, 1974, с. 79, рис. 76, 5.

[118] Трапш М.М. Некоторые итоги археологических исследовании в Сухуми в 1951-53 гг. - СА, XXIII, 1955, с. 207, рис. 2,3.

[119] Кигурадзе Н.Ш. Дапнарский могильник, Тб., 1976, с. 51.

[120] ნ.გაშაკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70, ტაბ. VIII, 2.

[121] გ.გეგინაძე, ნოქალაქევის სამარხეული ძეგლები, - ნოქალაქევი-არქეოლოგია, I, გვ. 171, ტაბ. XI.

[122] ცძ. 84/184.

[123] Парович-Пешикан М. Указ.соч., с. 76; рис. 75, 6 (т.I).

[124] ჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ.111.

[125] ა.კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 108; ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე... გვ. 51, ტაბ. XVIII,3.

[126] ტ.ტბერალი ე, დასახ. ნაშრ., გვ. 28-36.

[127] Левин Е.И. Керамический комплекс III-II вв до н.э. из раскопок Ольвийской агоры. - Ольвия, М.-Л., 1964, с. 275, рис. 15.

[128] ცძ. 84/105.

[129] Парович-Пешикан М. Указ.соч., с. 78, рис. 43(37), 76 (2).

წითელლაკიანი კანთაროსისებრი თასი.[130] მსგავსი მონაბოვრები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაც მცირეაზიულ ნაწარმადაა მიჩნეული და დათარიღებულია ძვ.წ. II ს.[131]

გარდა იმპორტული კერამიკისა, სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს ადგილობრივ დამზადებული თიხის ზოგიერთი ჭურჭელიც. ამ მხრივ საყურადღებოა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარაოვანზე აღმოჩენილი ტარა-საწყაო.[132] იგი უნიკალური მონაბოვარია, რომელსაც ანალოგი ჩვენ არქეოლოგიურ სინამდვილეში ჯერჯერობით არ ეძებნება. ეს არის ჭურჭელი ამფორის მსგავსი ტანით და სამტუჩა ოინოხოის ფორმის პირ-ყელით. როგორც ჩანს, იგი საწყაოდ გამოიყენებოდა და მისი ტრანსპორტირება კერამიკულ ტარასთან ერთად ხდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამფორებში ჩამოსხმული ღვინის ბითუმად ვაჭრობასთან ერთად მისი რეალიზაცია წყვითაც ხდებოდა. ამისი უდავო მოწმობაა აქვე აღმოჩენილი მეორე, ასევე ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული მოზრდილი დოქიც,[133] რომლის ყელის არეში გაკეთებულია ბერძნული წარწერა ΜΕΤΠΟΝΔΕΚΑ, რაც „ათსაზომიანს“ ნიშნავს (სიტყვა-სიტყვით „განზომილება ათი“).

ბერძნულ და აღმოსავლურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გრძელდებოდა ძვ.წ. II ს დასასრულამდე. ამ პერიოდიდან, როგორც ცნობილია, კოლხეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა და გაძლიერებული პონტოს სამეფოს პოლიტიკურ გავლენაში მოექცა. ძვ.წ. I ს პირველ ნახევარში პონტოს მეფე მითრიდატესა და რომს შორის წარმოებულმა ომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კოლხეთის ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებაში. მოიშალა მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობა და კოლხეთი, გარკვეული დროით, თითქმის მთლიანად მოწყვიტა ბერძნულ სამყაროს, რის კვალობაზეც სავაჭრო ურთიერთობათა სფერო მხოლოდ შავიზღვისპირეთის აუზით შემოიფარგლა. ამ პერიოდიდან ჩვენთვის საინტერესო რეგიონში აღარ ჩანს საერთაშორისო მნიშვნელობის ბერძნული სახელოსნო ცენტრების ნაწარმის იმპორტი, მოსახლეობა ძირითად მოთხოვნებს ადგილობრივი ნაკეთობებით იკმაყოფილებს. სუსტად, მაგრამ მაინც ჩანს კონტაქტები ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან, რომლებიც მოქცეული იყვნენ პონტოს სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I ს სინოპური ამფორების აღმოჩენები გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე და ბათუმში მოპოვებული მითრიდატე ევპატორის მონეტა.[134]

ამრიგად, ელინისტურ ხანაში აჭარის ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობას და ვაჭრობას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიეცა. დაწინაურებულა სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის ძირითადი დარგები: მიწათმოქმედება, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, ოქრომჭედლობა, მეთევზეობა და ა.შ. კოლხეთის სხვა ნაწილებთან ერთად, ეს მხარეც ხასიათდება სასაქონლო წარმოების განვითარებით, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მანამდე არნახული აღმავლობით.

---

130 ცან. 83/26.

131 Парович-Пешикан М. Указ.соч., с. 80; Книлович Т.Н. К вопросу о торговых сношенях античных колонии Сев.Причерноморья. - СА, XI, с. 274.

132 ნ.ბაშაკაძე, ბ.ბერძენიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის... გვ. 77.

133 იქვე.

134 ბ.ბერძენიშვილი, საქართველოს ზღვისპირეთის... გვ. 117.

§2. ყოფა და კულტურა

ელინისტურ ხანაში აჭარის ტერიტორიაზე მობინადრე მოსახლეობის კულტურული ვითარებისა და ყოფის დახასიათებისათვის საიმედო საყრდენს გვაძლევს სხვადასხვა ძეგლზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. ამ მიმართულებით გამოირჩევიან ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მონაპოვრები. გამოვლენილია ელინისტური ხანის ასეულობით სამარხეული კომპლექსი, რომლებიც წარმოადგენს მეტად ძვირფას წყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი საკითხების შესასწავლად. ახალი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის მაშინდელ ყოფაზე, ნივთიერ და სულიერ კულტურაზე, მათ შორის დაკრძალვის წესებზე, სამარხთა ტიპებზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, ელინური კულტურის გავლენაზე და ა.შ. ამგვარად, გვეძლევა შესაძლებლობა განისაზღვროს ამ რეგიონის ადგილი და როლი ელინისტური ხანის საქართველოს მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში.

ელინისტურ ხანაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად გავრცელებულია სამარხთა უძველესი ტიპი - ორმოსამარხები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ხის ძელებით ყოფილა გადახურული. სამარხები გამართულია კუთხეებმომრგვალებულ წაგრძელებულ ოთხკუთხა ორმოებში, რომელთა დიდი ნაწილი აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი, თუმცა, წარმოდგენილია ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული სამარხებიც. ინვენტარის განლაგების მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებულთა ნაწილი დაუკრძალავთ პირაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, ზოგი კი - გვერდზე, მოხრილ პოზაში.

სამარხების ერთი ნაწილი სრულიად უინვენტაროა; ან კიდევ უმრავლესობის ინვენტარის ასორტიმენტი ღარიბულია. ამავე დროს გვხვდება სამარხები, რომლებშიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარია წარმოდგენილი. ამგვარად, სამარხეულ ინვენტარში ასახული ჩანს მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის სურათი, რაც სოციალური უთანასწორობის საფუძველი იყო. ამ დროის საზოგადოება, ეტყობა, ადრეკლასობრივი სტრუქტურისაა, რისი ასახვაც სამარხეულ ინვენტართა სხვადასხვაობაშია განივთებული.

სამარხთა უმრავლესობაში ჩაუტანებიათ თითო-ოროლა, ზოგჯერ მეტი თიხის ჭურჭელი, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის სამკაულები, ნაირ-ნაირი ბეჭდები, სამაჯურები, საყურე რგოლები, ზარაკები, საკიდები და ა.შ. იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება ოქროს ნაკეთობანი (საყურეები. საყურე რგოლები, საკიდები, მძივები); განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი მინის მძივები და მძივსაკიდები, გვხვდება, აგრეთვე, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები (შუჯირა, მახაირა, თოხი, ცული, სატეხი, ეჩო, მოხრილი დანები, მაკრატელი და ა.შ.). მსგავსი მონაპოვრებით განსაკუთრებით გამოირჩევა ციხისძირის სამაროვანი, სადაც საბრძოლო (საძგერებელი) იარაღი - რკინის შუჯირა 5 სამარხში იყო წარმოდგენილი.[1] აქვე იყო რკინის საბრძოლო დანა - მახაირაც. საბრძოლო იარაღის (შუჯირა) აღმოჩენის შემთხვევას ადგილი ჰქონდა ფიჭვნარის სამაროვანზეც.[2] ციხისძირის სამაროვანზე სამარხეულ

---

[1] ცძ. №№84, 100, 106, 107, 224.

[2] ნ.გაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1980 წ. წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, XII, თბილისი, 1983, ტაბ. V,5.

ინვენტარში ხშირად ჩნდებოდა რკინის თოხები,[3] რომელიც ზოგჯერ სამარხს ზემოდან ედო. მიცვალებულებისათვის გაუტანებიათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, კერძოდ, სინოპური მონეტები, დადასტურდა საგზლის გატანების შემთხვევებიც. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლები, რომლებსაც ბირზე დაფარებული ჰქონდათ ამფორის კედლის ნატეხები. ჭურჭლებში შემორჩენილი იყო საგზლის ნაშთები (ფრინველის ძვლები და ყურძნის წიპწები).[4]

დაკრძალვის რიტუალი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები არსებითად განეკუთვნება მოსახლეობის სულიერ კულტურას, რელიგიური აზროვნების სფეროს. ელინისტურ ხანაში კოლხეთში თვალსაჩინო ცვლილებები ხდება მიცვალებულის დაკრძალვის საუკუნეებით მიღებულ წესში, რაც ელინური კულტურის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ელინიზაციის პროცესი მოცემულ ხანაში კოლხური სამყაროსათვის საერთო მოვლენა ჩანს. ეს სიახლეები კარგად იგრძნობა ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მიხედვითაც. როგორც გამოირკვა, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად დაკრძალვის წესები, როგორც ითქვა, განიცდის ელინური კულტურის ძლიერ გავლენას, რაც გამოიხატება მიცვალებულის ორიენტირებაში, სააღაბო მოედნების გამართვაში, მონეტების გატანებაში, ამფორების სამარხებად გამოყენებაში და ა.შ.

სამაროვნებზე დადასტურებულია მიცვალებულის თავით აღმოსავლეთისაკენ დაკრძალვა, რაც, როგორც ცნობილია, წმინდა ბერძნული წესია. იგი ჩვენში გავრცელებას იწყებს კლასიკური ხანიდან (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზე სამარხების ერთი ნაწილი აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული).[5] ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ელინისტურ ხანაში ფართოდ გამოყენებული დამარხვის ეს წესი ბერძენი მოახალშენეებისაგან უნდა გავრცელებულიყო. ადგილობრივი ტრადიციით მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ უნდა ყოფილიყო დამხრობილი.[6] გარდა ამისა, მოხრილ ბოზაში (მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე) დაკრძალვასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა, ბერძნების მსგავსად, მიმართავდა მიცვალებულის ბირაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვასაც.

ადგილობრივი ელინიზებული მოსახლეობა ზომიერად ასრულებდა ე.წ. აღაბის წესს. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 30-მდე სააღაბო მოედანი იქნა მიკვლეული. ერთ მათგანს საკმაოდ ვრცელი ფართობი (48 X 38) ეკავა. სარიტუალო მოედნებზე მრავალად ჩნდებოდა დამსხვრეული ამფორების, დერგების, ჯამების, დოქების, ლუთერიების და სხვა სახის ნაკეთობათა ფრაგმენტები, ნახშირისა და კალცირებული ძვლების ნაშთები. იქვე ეყარა რიყის ქვები, რითაც აღაბის წესის შესრულებისას ხდებოდა ჭურჭლების საგულდაგულოდ დალეწვა.[7] აღაბის შესრულება - წმინდა ბერძნული ჩვეულება - ფიჭვნარის ელინებში ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედიდან დასტურდება, ხოლო ადრეელინისტური ხანიდან იგი ადგილობრივ მოსახლეობაშიც ვრცელდება. გარდა ფიჭვნარისა, რამდენიმე სააღაბო მოედანი დადასტურებულია ციხისძირის სამაროვანზე.

---

[3] სამარხი №№100-102. რკინის თოხი 2002 წელს შესწავლილი ფიჭვნარის ძვ. წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლის ერთ-ერთ სამარხშიც იყო წარმოდგენილი.

[4] ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წ. ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 43, ტაბ. XIX, 1,2.

[5] Кахидзе А.Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху, Бат., 1981, с. 17.

[6] იქვე.

[7] ნ.გაშაკიძე, ა.კახიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე... გვ. 42.

ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენდა მიცვალებულის ამფორაში დაკრძალვის ადათის გავრცელება. ახალშობილის ამფორაში დაკრძალვა ბერძნული წესია და კარგადაა ცნობილი ანტიკური სამყაროსათვის. ადგილობრივი მოსახლეობის სხვა სამაროვნების, მათ შორის თვით ფიჭვნარის კლასიკური ხანის კოლხური სამაროვნისათვის დაკრძალვის ეს წესი ადრე უცნობი იყო. ერთადერთი ამფორა სამარხი აღმოჩნდა 2005 წელს. უფრო ხშირად ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე გვხვდება.[8] ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ადრეული (ძვ.წ. V ს) ამფორასამარხებიც[9] ბერძნულ მოსახლეობას უნდა უკავშირდებოდეს. ახალშობილები აქ დაკრძალულია ძვ.წ. V ს თაზოსურ და ქიოსურ ამფორებში. სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლებიც იმპორტული (ბერძნული) წარმოებისაა. ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში ამფორებში დაკრძალვა უფრო ხშირად ელინისტურ ხანაში იჩენს თავს. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ამფორასამარხებიც ასევე ადგილობრივ მკვიდრთ ეკუთვნოდა. აქ დასაკრძალად გამოყენებულია კოლხური ამფორა (სამარხი №156). იგივე ითქმის ციხისძირის ამ პერიოდის ამფორასამარხებზეც (სამარხი №10), სადაც ახალშობილი კოლხურ ამფორაშია დაკრძალული.

მიცვალებულის ამფორაში დაკრძალვის ტრადიცია შემოინახა გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანამდე. ამისი დასტურია ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორები, რომლებიც სამარხებადაა გამოყენებული (სამარხი №№ 7,9,12,13,15,17...). იგივე სურათია ბიჭვინტაშიც, სადაც 65 ამფორასამარხია აღმოჩენილი.[10]

კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენაა მიცვალებულისათვის მონეტის, ე.წ. „ქარონის ობოლის" გატანება, რაც ძველი ბერძნებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებაა. იგი ასევე გავრცელებულ წესად რჩება ელინისტურ სამყაროშიც. სამარხში მონეტის ჩატანება კოლხურ დაკრძალვის რიტუალშიც ადრიდანვე იკიდებს ფეხს. ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზე 39 სამარხში წარმოდგენილი იყო ერთი ან რამდენიმე კოლხური მონეტა, ხოლო ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა სინოპური მონეტის ადრეული ნომინალიც." ეს წესი კიდევ უფრო ვრცელდება ელინისტურ ხანაში (როგორც ფიჭვნარის, ისე ციხისძირის სამაროვნების ელინისტური ხანის სამარხეული კომპლექსების უმრავლესობა შეიცავდა 1-2 ან უფრო მეტ, ზოგჯერ ათეულობით „კოლხურ თეთრს". ფიჭვნარის სამაროვანზე ძვ.წ. IV ს დასასრულს და III ს-ის 62 სამარხში 118 ც „კოლხური თეთრი" და 10 სინოპური მონეტაა ფიქსირებული).

ქობულეთ-ფიჭვნარისა და ბეტრა-ციხისძირის სამაროვნებზე შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მიცვალებულისათვის ამფორის ჩატანების შემთხვევები. ფიჭვნარის ერთ-ერთ სამარხში (№105) აღმოჩნდა მთლიანად დაცული თაზოსური ამფორა, რომელიც სამარხი ორმოს კონტურებს გარეთ, მიცვალებულის თავის მახლობლად იდო. სამარხებში ამფორების ჩატანება ელინისტური ხანისათვის შედარებით იშვიათი იყო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიტუალი ადგილ-ადგილ რომაულ ხანამდე შემოინახა. ამისი დასტურია ციხისძირის სამაროვანზე ამ პერიოდის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილი კოლხური წელშეზნექილი ამფორა.[12]

ელინისტურ ხანაში, ისევე როგორც წინა პერიოდში, უმრავლეს შემთხვევაში ხდება

---

[8] აკაბაძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1981, გვ. 158.

[9] სამარხი №№108, 111-112, 114, 130, 145, 146, 150, 178, 179, 211, 265.

[10] გ.ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბილისი, 1991, გვ. 144. თ.თოდუა, ამფორასამარხები ბიჭვინტიდან, ბიტიუნტი. - იბერია-კოლხეთი I, 2003, გვ. 50-54.

[11] Кахидзе А.Ю. Указ. соч., с. 47. მომდევნო წლებში ამათი რიცხვი გაიზარდა.

[12] ნ.ანანიაშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები. - სდსძ, XXI, თბ., 1993, გვ. 81.

მიცვალებულის ჩვეულებრივად დაკრძალვა-ინჰუმაციური სამარხები. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე მხოლოდ ნ-ია კრემაციული.

მიცვალებულის კრემაცია საერთოდ გავრცელებული წესია ბერძნულ სამყაროში. აღმოსავლეთ შავიზღვისირეთიში მოსულ ბერძნებს უკავშირდება ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კრემაციული სამარხი (№148), რომელშიც წარმოდგენილი იყო იმპორტული ჭურჭლები (შავფიგურული ლეკანოსი, წითელფიგურული სკიფოსი და ა.შ.). კრემაციას ფართოდ მიმართავდნენ წინაანტიკური ხანის კოლხებიც. ამ პერიოდისათვის ტრადიციულია კოლექტიური სამარხები სრული ან ნაწილობრივი კრემაციით. ამ ტიპის სამარხები აღმოჩენილია პალურში,[13] ნიგვზიანში,[14] წვერმაღალაზე[15] და ა.შ.

მიცვალებულის კრემაცია კოლხეთში მომდევნო ეპოქებშიც გრძელდებოდა. გუადიხუს ძვ.წ. VII-II სს სამაროვანზე ინჰუმაციური სამარხების გვერდით მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიდა ინდივიდუალური კრემაციული სამარხები.[16] ანალოგიური სურათი გვაქვს გვიანანტიკური ხანის წებელდის სამაროვანზე.[17]

კოლხეთში დაკრძალვის ამ წესის ძლიერი ტრადიციების მიუხედავად, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე კრემაციული სამარხების (№93, №133, №149...) არსებობა ბერძნების გავლენით, ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციით უნდა აიხსნას. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვანი, სადაც უკლებლივ ყველა სამარხი ინჰუმაციურია.[18]

ელინისტური კულტურის გავლენით აიხსნება სამარხეული ინვენტარის შერეული ხასიათი. კოლხურ სამარხთა ინვენტარში წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი (კერამიკა, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის სამკაულები), რომელთანაც ხშირად ჩნდება ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული კერამიკული ნაწარმიც (კანთაროსები, ლეკითოსები, იხთიები, ლუთერიები, ჯამები და ა.შ.). ტრადიციულ კოლხურ კერამიკულ ნაკეთობასთან (ყურმილიანი დოქები, მათარები, კოჭობები და ა.შ.) ერთად აქ მრავლადაა წარმოდგენილი ახალი ფორმები - მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლები (მრავალნაირი დოქები, ქუსლიანი ჯამები, მაღალფეხიანი ვაზისებური ჭურჭელი და ა.შ.). ცალკე ჯგუფს ქმნის ელინიზებული ფორმები (ამფორები, კანთაროსისებური ჭურჭელი, სანელსაცხებლეები, ლუთერიები, იხთიები და სხვა).

ელინისტურ ხანაში ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა მძივებისა და მძივსაკიდებისადმი. სამარხეულ ინვენტარში სწორედ ამ სახის სამკაულია ყველაზე დიდი რაოდენობით ჩაყოლებული. მათი განლაგების მიხედვით ჩანს, რომ ისინი გამოიყენებოდა არა მარტო ყელსაბამებად, არამედ ტანსაცმლის მოსართავად და სამაჯურებადაც კი.

ელინისტურ ხანაში განაგრძობდა არსებობას ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები. თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერებასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ

---

[13] ნოქრიბაძე, მ.ბარამიძე, პალურის საძვლე. 1908 წ. გათხრების შედეგები. - მსკა, VI, თბილისი, 1968.

[14] Микеладзе Т.К., Барамидзе М.В. Колхский могильник VII-VI вв до н.э. Нигвзиани КСИА, 151, 1977, с. 33.

[15] Микеладзе Т.К., Мусхелишвили Д.А., Хахутайвшили Д.А. Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции. - ПАИ в 1977 году, Тбилиси, 1980, с. 37.

[16] Трапш М.М. - Труды, 2, Сухуми, 1962.

[17] Трапш М.М. Культура Цебельдинских некрополей. - Труды, 3, Тбилиси, 1971.

[18] Кахидзе А.Ю. Указ. соч.

ღმერთებს. აქაურ მკვიდრთა რელიგიურ პანთეონში წამყვანი ადგილი ასტრალური ღვთაებების (მზისა და მთვარის) კულტს ეკავა. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილ მათარებზე გამოსახული რელიეფური თუ ამოღარული კონცენტრული წრეები მზის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს. ერთ-ერთ მათარაზე კონცენტრული რელიეფური წრეებით შედგენილი მზის დისკოს გამოსახულებაა გადმოცემული, რომლის გარშემო სამკუთხა ჭდეებით შედგენილი კონცენტრული წრეები მზის გაშლილი სხივების შთაბეჭდილებას ტოვებს. მზისა და ცის ცნება ძველი აღმოსავლეთის ხალხებში და კავკასიაშიც, უძველესი დროიდან წრის სახით გადმოიცემოდა.[19] ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი ფაქტია დადგენილი, სადაც ნათლად ჩანს, რომ წრის დაკავშირება საგანთან თუ არსებასთან ამ უკანასკნელს ასტრალურ შინაარსს ანიჭებდა.[20] ამ მხრივ საყურადღებოა ფიჭვნარის მინიატურული მათარის ორივე მხარეზე წარმოდგენილი წრეში ჩასმული ბორჯღალი,[21] რაც მისი ასტრალური მნიშვნელობის ხაზგასმას უნდა წარმოადგენდეს. ასევე წრეშია ჩასმული მბრუნავი ჯვრის (სვასტიკის) გამოსახულება ფიჭვნარის სამაროვანზე ერთ-ერთ სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილ კვირისტავზე.[22]

ასტრალური ნიშნები (სვასტიკა და მრავალფრთიანი ჯვარი - ბორჯღალი), როგორც ცნობილია, მზის სიმბოლური გამოსახულებებია.[23] ისინი განასახიერებენ მზეს თავისი ძირითადი ნიშნებით: ნათებით, მცხუნვარებით და მოძრაობით. გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ეს ნიშნები ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში.[24] ამ ფორმით გამოხატავდნენ ძველი ხალხები ცხოველმყოფელ, უსასრულო მოძრაობას, ე.ი. მუდმივობის იდეას. ფიჭვნარის კვირისტავზე გამოსახული მბრუნავი სვასტიკის იმიტაცია ხაზს უსვამს ამ საგნისათვის დამახასიათებელ მოძრაობას - ბრუნვას. კვირისტავი და ბრუნვა ერთმანეთს განასახიერებენ.

ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებს, კერძოდ, მთვარის კულტს უნდა უკავშირდებოდეს ფიჭვნარისა და ციხისძირის სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ოქროსა და ბრინჯაოს ნახევარმთვარისებრი საკიდები (სურ. 74. 3,4).[25]

ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ აზროვნებაში საპატიო ადგილი ცხოველებისა და ფრინველების კულტსაც ეჭირა. თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა ცხვარი. ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის მე-6 სამარხში აღმოჩენილი ქოთნის მორჩისებური ყური ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა დაბოლოებული (სურ. 66.2).[26] ვერძის სკულპტურული გამოსახულების ფრაგმენტები ნაპოვნია ბათუმისციხეზეც.[27]

---

[19] ი.სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1988, გვ. 70.

[20] ვ.ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941.

[21] ნ.გაშაკიძე. ა.კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48, ტაბ. XI, 1.

[22] ნ.გაშაკიძე. ა.კახიძე, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1970 წელს. - სდსძ, VIII, თბილისი, 1979, გვ. 77, ტაბ. XVI,5.

[23] Reinach S. Ouseaux et Suastikas, Cultes, mythes et Religions , t. II, Paris, 1928.

[24] ი.სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 66 და შმდ.

[25] ა.კახიძე, ნ.გაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ, VI, თბილისი, 1977, გვ. 45, ტაბ. XX,5; ნ.გაშაკიძე. ა.კახიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წ.- გვ. 52, ტაბ. XVII,4, XVIII,4.

[26] ა.კახიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წელს. - სდსძ, X, თბილისი, 1981, გვ. 34, ტაბ. VIII,1.

[27] ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. - სდსძ, XVIII, თბილისი, 1989, გვ. 71, ტაბ. XXXIII,1.

წარმოდგენილია, აგრეთვე, ფიჭვნარისა („ნაბურვალა") და ციხისძირის ადრეანტიკური ხანის მასალებშიც.[28] ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებს ვხვდებით სამარხებში აღმოჩენილ ვერცხლისა და ბრინჯაოს მრავალრიცხოვან ფარაკიან ბეჭდებზე. თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა თევზიც. ციხისძირის სამაროვანზე ერთ-ერთ სამარხში გაქვავებული მერქნისაგან დამზადებული თევზის სტილიზებული გამოსახულებაა აღმოჩენილი.[29]

წინარეელინისტურ ხანაში კოლხეთის სინამდვილეში გზას იკვლევენ ბერძნული კულტები. დასტურდება დემეტრას, დიონისეს, აპოლონის, არტემიდას და სხვა ღვთაებათა კულტების არსებობა.[30] უცხოური კულტები კიდევ უფრო მრავლდება ელინისტურ ხანაში. ვანში აღმოჩენილია მევენახეობის და მეღვინეობის ღვთაება დიონისეს ნიღაბი.[31] ხოლო დიონისეს კულტთან დაკავშირებული რომაული ხანის მოზაიკა ნაპოვნია მცხეთის მახლობლად ძალისაში.[32] ჩვენი მასალების მიხედვითაც კარგად ჩანს მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველი ბობულარული ღვთაების დიონისეს კულტის თაყვანისცემა. ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილია ადგილზე დამზადებული წითელი საღებავით მოხატული დოქი,[33] რომლის სამკაული დიონისეს კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. დოქის პირის არეს შემოუყვება გვიმრის ფოთლისნაირი სარტყელი, მის ქვემოთ განლაგებულია სუროს ფოთლების და ყვავილების გამოსახულება. მუცელზე შემოვლებული ჰორიზონტალური ზოლიდან ქვემოთკენ ეშვება ყურძნის მტევნები, მხარზე. გამოსახულია სუროს მოზრდილი ფოთოლი (სურ. 65). სუროს, ვენახის ფოთლები და ნაყოფი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ღვთაება დიონისეს კულტთან დაკავშირებული ატრიბუტებია. სიახლეს წარმოადგენს გვიმრის ფოთლები, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებში ჯერჯერობით ანალოგს ვერ ნახულობს. ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვიმრის ფოთლებიც, გარკვეულად, დიონისეს კულტს უკავშირდება. გურია-აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდაა გავრცელებული ყურძნის დაწურვის დროს გვიმრის ფოთლების გამოყენება. როგორც ჩანს, ფიჭვნარელმა მხატვარმა დიონისეს კულტთან დაკავშირებულ ატრიბუტებში ადგილობრივი ყოფის ეს ელემენტიც შეიტანა.

ბერძნული პანთეონის ქალღმერთ არტემიდას უნდა უკავშირდებოდეს ფიჭვნარის ერთ-ერთ სათევზე ლანგარზე (იხთიაზე) ამოკაწრული მონოგრამა A. მსგავსი გრაფიტო აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც და მას არტემიდას კულტთან აკავშირებენ. როგორც ცნობილია, არტემიდა ნადირობის მფარველი ღვთაებაა და მისდამი მიძღვნილი სათევზე ჭურჭელი სიმბოლურად მის კულტს უკავშირდება.[34]

ფიჭვნარის ელინისტური ხანის მასალები მიუთითებს აქ ბერძნული დამწერლობის გავრცელებაზეც, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მის გამოყენებაზე. სამარხებში აღმოჩენილ ადგილობრივ დამზადებულ ჭურჭლებზე ხშირადაა ამოკაწრული ცალკეული ბერძნული

---

[28] Кахидзе А.Ю. Указ. соч., с. 39.

[29] ცხ. 86/397.

[30] Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии, Тбилиси, 1989, с. 295.

[31] ნ.ხოშტარია, თამარორთაფანიძე, რევაზ ურიძე, ბ.ლეონიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წ. - ვანი I, თბილისი, 1972; ქ.ლაბაშვილი, ანტიკური ხანის ტერაკოტები ვანიდან. - საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968, გვ. 292 და შმდ.

[32] ა.ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში, თბილისი, 1981, გვ. 54.

[33] ა.ალიბეგაშვილი, ნ.ვაშაკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32, ტაბ. XII, 2.

[34] Тольстой И. И. Греческие граффити древних городов Северного Причерномрья, М.-Л., 1953, с. 21, №20.

ასოები თუ სიტყვები, ერთ-ერთ ჭურჭელ-საწყაოზე, უკვე ითქვა, გაკეთებულია გრაფიტო ΜΕΤΠΟΝΔΕΚΑ (მეტრონ-საზომი, საწყაო, დეკა -ათი).

როგორც ვნახეთ, ელინისტურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში დაწინაურებულია მეურნეობისა და ხელოსნობის ძირითადი დარგები: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, თევზჭერა და მათთან დაკავშირებული ადგილობრივ ტრადიციებზე აღმოცენებული ხელოსნობის ისეთი მნიშვნელოვანი და მაღალგანვითარებული სახეები, როგორიც იყო მელითონეობა, კერამიკული წარმოება, ფეიქრობა და ა.შ. ხდება მნიშვნელოვანი ძვრები მათ განვითარებაში. ეს პირველ რიგში ითქმის ისეთი ტრადიციული დარგის შესახებ, როგორიცაა მეთუნეობა, სადაც ძველი ფორმები თანდათან უთმობს ადგილს სრულიად ახალს - მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარ თიხის ჭურჭლებს, რომლებიც გამოირჩევიან დახვეწილი პროპორციებითა და სისადავით. სამკაული, ისიც დაუდევრად შესრულებული, შენარჩუნებულია ადრეულ ტრადიციულ ფორმებზე. მრავლდება ელინიზებული ფორმები, თითქმის ყველა წამყვან იმპორტულ ნაკეთობას უჩნდება ადგილობრივი მინაბაძი. ელინსტური ტრადიციები ინერგება ფეიქრობაშიც, ფართოდ გამოიყენება ვერტიკალური საქსოვი დაზგა. როგორც ჩანს, კოლხური სელის ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზეც გადიოდა. წინა ეპოქებთან შედარებით გარკვეულ დაქვეითებას განიცდის ოქრომჭედლობა.

ელინისტური ხანის ადგილობრივ მკვიდრთა რელიგიურ ბანთეონში განსაკუთრებულ ბატივს მიაგებდნენ ასტრალურ ღვთაებებს. არსებობდა მზისა და მთვარის კულტი. დიდ პატივს სცემდნენ, აგრეთვე, მიცვალებულის კულტს, ცხედარს აყოლებდნენ სხვადასხვა დანიშნულების საგნებს, საგზალს და ა.შ., ასრულებდნენ სათანადო რიტუალს. ჩვენში ამ დროს თანდათანობით ფეხს იკიდებს უცხოური ღვთაებების (დიონისეს, დემეტრას, აპოლონის, არტემიდეს) თაყვანისცემაც. ადგილობრივ მკვიდრთა შორის ინერგებოდა ელინებისათვის დამახასიათებელი სამარხთა ტიპები (ამფორასამარხები, კრემაციული სამარხები) და დაკრძალვასთან დაკავშირებული უცხოური წესებიც: აღაპის შესრულება, მიცვალებულისათვის მონეტების გატანება, სამარხში ამფორის ჩადგმა და ა.შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გამოიკვეთა სამარხები, რომლებიც მისი ბატრონების საქმიანობაზე მიუთითებდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე აღმოჩენილ მეთევზეთა სამარხები, რომლებიც შეიცავენ სათევზაო ბადის ტყვიის საძირავებს და ბრინჯაოს მასიურ ანკესებს. ასევე ითქმის ციხისძირის იმ სამარხებზე, რომლებშიც აღმოჩენილია რკინის თოხები. აშკარაა, რომ აქ მეთემეშიწათმოქმედები იყვნენ დასაფლავებული. წინა ეპოქასთან შედარებით ელინისტურ ხანაში მომრავლდა საბრძოლო იარაღების შემცველი სამარხებიც.

ამგვარად, სახეზე გვაქვს მაღალგანვითარებული, სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება თავისუფალი თუ დამოკიდებელი მეთემეებით, სამოხელეო არისტოკრატიით, ქურუმებით, ხელოსნებით, ვაჭრებით, მონებით, დაწინაურებული მეურნეობითა და სულიერი კულტურით, განვითარებული გზებითა და საერთაშორისო კავშირებით.

§3. რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. რომაელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

კოლხეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ძვ.წ. II ს ბოლოდან, როცა მან დაკარგა დამოუკიდებლობა და ანექსირებულ იქნა პონტოს სამეფოს მიერ. ეს აქცია ძვ.წ. 111-110 წწ. მოხდა. მართალია, ამ ამბებზე ჩვენ კონკრეტული და დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ დროიდან კოლხეთი მოექცა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და ძვ.წ. 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა.[1]

აჭარის ტერიტორია, როგორც კოლხეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოს ხელქვეით მხარედ იქცა. ეს გასაგებიცაა: მეზობელი ტრაპეზუნტის ოლქიც მითრიდატე VI მიერ იქნა დამორჩილებული და პონტოს შემადგენლობაში შეეყვანილი.[2]

ძვ.წ. I საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან პონტოს სამეფოს ბრძოლა რომთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯერ ლუციუს ლუკულუსმა დაამარცხა პონტოს მეფე მითრიდატე VI, ხოლო ძვ.წ. 66 წ მეორე რომაელმა მხედართმთავარმა გნეიუს პომპეუსმა არა მარტო გაანადგურა პონტოს სამეფოს სამხედრო ძალები, არამედ აიძულა მითრიდატე VI გაქცეულიყო და კოლხეთისათვის შეეფარებინა თავი. ამის შემდეგ მან მორჩილებაში მოიყვანა მითრიდატე VI მოკავშირე დიდი არმენიის მეფე ტიგრან II, ხოლო 65 წ გაზაფხულზე იბერიაში (ქართლში) შეიჭრა.[3]

ქართლის მეფე არტაგი ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ დამორჩილდა პომპეუსს და თავი „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ", ე.ი. არსებითად ვასალად აღიარა. აქედან პომპეუსი რიკოთის (სურამის) უღელტეხილით კოლხეთში გადავიდა. ამ დროისთვის მითრიდატე VI დატოვა თავისი ადგილსამყოფელი დიოსკურია და ბოსფორში გადავიდა. პომპეუსმა კი, რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედდება „ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით". ასე, ფაქტიურად სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე, გაიარა მან რიონის ველი და ქ.ფაზისამდე მივიდა, სადაც მას დახვდა რომაული ფლოტი პუბლიუს სერვილიუსის მეთაურობით; მითრიდატეს შემდგომი დევნა პომპეუსმა მიზანშეუწონლად ჩათვალა. კოლხეთის გამგებლად ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი, ბერორომაულად განწყობილი არისტარქე დატოვა და გაილაშქრა ამ დროისათვის რომის წინააღმდეგ აჯანყებულ ალბანელებზე. მათი დამარცხების შემდეგ იგი სირიაში წავიდა და ძვ.წ 62 წლამდე წინა აზიის ბოლიტიკური რუკის თავისებურ შეცვლას ახდენდა.[4]

მითრიდატე VI ამ დროს ბოსფორში რომაელებთან ახალი ომის გეგმებს აწყობდა, მაგრამ

---

[1] Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, с. 17-24; Ломоури Н.Ю. К истории Понтийского царства. Тбилиси., 1979, с. 76, 175-176.

[2] Strabo, XII, 3, 28; Ed.Meyer, Geschichte des Königreichs Pontos, Leipzig, 1879, გვ. 87; Ломоури Н.Ю. К истории...с. 75-76, აქვეა ლიტერატურა.

[3] Манандян Я.А. Тигран II и Рим, Ереван, 1943, с. 178-186; Ломоури Н.Ю. Римско-грузинские взаимоотношения, Тбилиси, 1981, с. 99-112. იქვე წყაროები და ლიტერატურა.

[4] Cassius Dio, XXXVII,3,1-4; Plutarchus, Pompeus, 34-35; Appianus, Mitridates, 194.

მათ განხორციელება აღარ ეწერა: მის წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ მისივე კარისკაცები მისი ვაჟის ფარნაკეს მეთაურობით. უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა მითრიდატემ ძვ.წ. 63 წ თავი მოიკლა. პომპეუსმა სირიაში მიიღო ცნობა რომის დაუძინებელი მტრის სიკვდილის შესახებ და დაუყონებლივ პონტოში მოვიდა, სადაც შეხვდა ფარნაკეს ელჩებს, რომელთაც მიართვეს ერთგულების ფიცის შემცველი წერილი, საჩუქრები და მითრიდატე VI ნეშტი. ფარნაკე პომპეუსმა ბოსფორის მეფედ და „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ" ცნო, ხოლო პონტოს სამეფოს ძირითადი ოლქები მის მიერვე დანიშნულ დინასტებს დაუნაწილა.[5]

ასე დასრულდა მითრიდატესთან მესამე ომი, წინა აზიასა და ამიერკავკასიაში რომის დამკვიდრების პირველი და გადამწყვეტი ეტაპი.

მიუხედავად იმისა, რომ რომაული წყაროები ზემოაღნიშნულ მოვლენებს საკმაოდ სრულად აშუქებენ, მათში საქართველოს ცალკეულ კუთხეთა მონაწილეობა ასახული არ არის და კონკრეტულად თუ როგორი იყო ისტორიული აჭარის პოზიცია პონტო-რომის ომების და რომაელთა მიერ კოლხეთისა და იბერიის დალაშქვრის დროს ჩვენ არ ვიცით.

ერთადერთი რამ, რაც შეიძლება დავადასტუროთ, არის ის, რომ კოლხეთში გაქცეულ მითრიდატეს უდავოდ აჭარის ტერიტორიაზე უნდა გაევლო: პომპეუსისგან ძლეულმა მითრიდატემ თავისი ლაშქრის მცირე ნარჩენებით ჯერ სიმაგრე სინორეგასკენ, ანუ იგივე სინორიისაკენ დაიხია, რომელიც მდ. ევფრატის სათავეების ახლოს, მდ. ყარა-სუზე მდებარეობდა. აქედან იგი ევფრატის სათავისაკენ გაემართა, აქ მდინარე გადალახა, შემდეგ კი ხოტენეში იბერებს შეეტაკა და უკუაგდო ისინი, გადალახა მდ. აფსაროსი (ჭოროხი) და კოლხეთში შევიდა.[6] მართალია, ბევრი მკვლევარი ხოტენეს სტრაბონისეულ ხორძენესთან ანუ კლარჯეთთან აიგივებს,[7] მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარია, რომ ჭოროხზე გადასულ მითრიდატეს უდავოდ აჭარის ტერიტორია უნდა გაევლო და შიდა, შემდეგ კი ჩრდილო კოლხეთში შესულიყო. სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით, მტრულად თუ მოყვრულად გაიარა პონტოს მეფემ კოლხეთის ეს ოლქი.

პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის შემდეგ, როგორც ითქვა, დასავლეთი საქართველო (კოლხეთი) სამშართველოდ გადაეცა ვინმე არისტარქეს. როგორც ჩანს, იგი ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი, შესაძლოა ერთ-ერთი სკეპტუხთაგანი იყო, რომელმაც, საფიქრებელია, კონფლიქტის დროს პომპეუსის მხარე დაიჭირა.[8]

როგორი იყო არისტარქეს რეალური ხელისუფლება, რა ძალებს ეყრდნობოდა იგი ჩვენთვის უცნობია. კოლხეთში რომაული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა ამ დროს სავარაუდო არაა. ცნობილია, რომ რომაელები მათ მიერ დაქვემდებარებულ ქვეყნებში ეყრდნობოდნენ აქ მანამდე არსებულ მმართველებს, არაფერს ცვლიდნენ ადგილობრივ კანონებსა და სახელმწიფოებრივ მმართველობაში.[9] უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ვითარება იყო კოლხეთშიც, მაგრამ უდავოა, რომ არისტარქეს ძალაუფლება მაინც რომის მხარდაჭერას ეყრდნობოდა და მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი რომის მიერ ნაკურთხი გამგებელი იყო. ის გარემოება,

---

[5] Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, с. 109-112. იქვე წყაროები, ლიტერატურა.

[6] Appianus, Mithrid., 101. შეად. აბიანეს ტექსტის თ.ყაუხჩიშვილისეული გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 195.

[7] არის ამ ოლქის სხვა ლოკალიზაციებიც. იხ. Ломоури Н.Ю. Грузино-римские... с. 101-102. აქვე ლიტერატურა.

[8] Reinach Th. Mithridates Eupator König von Pontos, Leipzig, 1895, p. 407. D.Magie. Roman Rule in Asia Minor, Princston, 1950, pg. 407. ~~ბ.ლორთქიფანიძე~~. კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - „მაცნე", 1965, №2, გვ. 129.

[9] Ранович А.Б. Восточные провинции Римской империи I-III вв., М.-Л., 1949, с. 11.

რომ არისტარქეს მიერ მოჭრილი მონეტების ჩვენამდე მოღწეული 6 ეგზემპლარიდან ერთ-ერთზე, სავარაუდოა, პომპეუსია გამოსახული,[10] ადასტურებს არისტარქეს მიერ რომისადმი ვასალური დამოკიდებულების ოფიციალურ აღიარებას.

ჩვენ არ გვაქვს ცნობები არისტარქეს მმართველობის ხანგრძლივობის შესახებ, ვიცით მხოლოდ, რომ ძვ.წ. 53 წელს იგი ჯერ ისევ მართავდა კოლხეთს, რამდენადაც სწორედ ამ წლით (ე.ი. მმართველობის მეთორმეტე წლით) თარიღდება ჩვენამდე მოღწეული ხუთივე მონეტა.[11] ამასთან დაკავშირებით მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ ამ წლისათვის არისტარქემ გარკვეული დამოუკიდებლობა მოიპოვა რომისაგან, რაც საკუთარი მონეტის მოჭრაში გამოიხატა.[12]

ძვ.წ. 48 წლამდე კოლხეთისა და არისტარქეს შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ამ წელს კოლხეთი კვლავ პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ასპარეზი გახდა. როგორც ცნობილია, ძვ.წ. 60 წელს რომის რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა ე.წ. პირველი ტრიუმვირატი პომპეუსის, იულიუს კეისარისა და მარკუს კრასუსის შემადგენლობით. 53 წ კრასუსი დაიღუპა პართელებთან ომში, ხოლო 49-48 წწ დიდი ხნით ადრე მომწიფებული კონფლიქტი პომპეუსსა და კეისარს შორის მათ აშკარა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, რაც პომპეუსის სრული დამარცხებით და შემდეგ მისი დაღუპვით დამთავრდა (48 წ). პომპეუსის დევნისას იულიუს კეისარი ეგვიპტეში აღმოჩნდა, სადაც ხანმოკლე გართულების შემდეგ (ე.წ. „ალექსანდრიის ომი") ხელი შეუწყო ეგვიპტეში კლეოპატრას გამეფებას.

ეგვიპტეში (ალექსანდრიაში) ყოფნისას იულიუს კეისარმა მიიღო ცნობა აზიაში მომხდარი ახალი გართულების შესახებ, კერძოდ, ბოსფორის მეფე ფარნაკე მითრიდატეს ძის გამოლაშქრების შესახებ. ისარგებლა რა რომში მიმდინარე პოლიტიკური არეულობით, დაახლოებით 48 წ, ფარნაკემ გადაწყვიტა მამისეული საბრძანებლის დაბრუნება. ისტორიკოს დიონ კასიუსის ცნობით, „რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში დაკავებულნი, ფარნაკემ ადვილად დაიპყრო მთელი კოლხეთი და მთელი არმენია დეიოტარეს იქ არყოფნისას და დაიმორჩილა კაბადოკიის ნაწილი და პონტოს ზოგიერთი ქალაქი".[13]

ძვ.წ. 47 წ ზელასთან, მცირე აზიაში, იულიუს კეისარმა გაანადგურა ფარნაკეს ჯარი და აიძულა იგი ბოსფორში გაქცეულიყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სამეფოც მისთვის დაკარგული იყო: მას აუჯანყდა ბოსფორის გამგებლად დატოვებული მხედართმთავარი ასანდრი, რომელთან ბრძოლაშიც ფარნაკე დაიღუპა. ამასობაში კეისარმა ბოსფორის დაკავება და ასანდრთან ანგარიშსწორება თავის მხედართმთავარს მითრიდატე პერგამონელს დაავალა, მაგრამ მითრიდატესაც ხელი მოეცარა - ასანდრთან ბრძოლაში ისიც დაიღუპა.[14]

ჩვენთვის ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში კოლხეთი აღმოჩნდა ჩარეული. როგორც აღვნიშნეთ, ფარნაკმა კოლხეთი დაიკავა. სამწუხაროდ,

---

[10] Jenkins J.K. Recent Aoguisitions of Greck Goins by the British Museum, "Numizmatio Chroniole", 1959, ser. VI, t. XIX, pg. 32; Лордкипанидзе Г.А. К истории... с. 40.

[11] Капанадзе Д.Г. Грузинская нумизматика, Москва, 1955, с. 41-42. Голенко К.В. Денежное обращение Колхиды в римское время, Ленинград, 1964, с. 21.

[12] გ.ლომოურიძე. კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 130.

[13] Cassius Dio. XLII. 45-48; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ნ.ლომოურის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 69-73.

[14] დაწვრ. იხ. Каллистов Д.П. Этюды по истории Боспора в римский период. -ВДИ, 1938, №4-5, с. 176-178; Голубцова Е.С. Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, Москва, 1952, с. 56-64.

არაფერია ცნობილი როგორ წარიმართა ეს აქცია. მაგრამ სტრაბონის ერთი ცნობა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ფარნაკმა იარაღის ძალით ჩაიგდო ხელში კოლხეთი. აღწერდა რა კოლხეთს, მდინარე ფაზისისა და მტკვრის დინებას, სტრაბონი აღნიშნავდა: „მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ, მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლეკეთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც (სამლოცველო-სამისნო) მდიდარი იყო, ხოლო ჩვენ დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული. „როდესაც ქვეყანა დაუძლურდება, ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა“ - ამბობს ეურიპიდე“.[15]

ეს კონტექსტი აშკარად მიუთითებს ქვეყნის დარბევაზე. ბირდაბირი მითითება ლეკეთეას სამლოცველოს გაძარცვაზე მოწმობს, რომ ფარნაკეს მიერ კოლხეთის დაკავებას სულაც არ ჰქონია მშვიდობიანი ხასიათი. იგივე ითქმის მითრიდატე პერგამონელის კოლხეთზე გავლის შესახებაც. ვარაუდობენ, რომ ლეკეთეას სამლოცველო მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვა სახსრების მოპოვებისათვის,[16] მაგრამ საეჭვოა ის ამაზე წასულიყო, კოლხეთში რომ წინააღმდეგობა არ შეხვედროდა.[17]

ამრიგად, ძვ.წ. 48-47 წწ კოლხეთი მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმე გახდა. ჩვენ ამ მოვლენაზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდით, რადგან ისინი ნაწილობრივ ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე თუ არა, მის უშუალო სიახლოვეს ხდებოდა.

როგორც ვნახეთ, სტრაბონის მიხედვით ლეკეთეას მდიდარი სამლოცველო მოსხების ქვეყანაში მდებარეობდა. ცოტა უფრო ქვემოთ სტრაბონი აღნიშნავდა, რომ „მოსხების ქვეყ ანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს და მესამე - არმენიელებს“.[18]

ზემოთ აღწერილი მოვლენები ეჭვს არ ტოვებენ, რომ ლეკეთეას ტაძარი მესხეთის იმ ნაწილში მდებარეობდა, რომელიც კოლხეთს ეკუთვნოდა.[19] ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ის სწორედ მერმინდელი აჭარის ტერიტორიაზეა სავარაუდო.[20] თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ერთადერთ ცნობასთან, რომელშიაც ისტორიული აჭარის იმ შორეულ მოვლენებში მონაწილეობაზეა მითითება.

რომში მალე კვლავ შინაგანი არეულობა დაიწყო: ძვ.წ. 44 წ იულიუს კეისარის მოკვლის შემდეგ ერთმანეთს ე.წ. კეისარიანელები და რესპუბლიკელები დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ხელისუფლება გადავიდა კეისარის მომხრეთა ხელში, რომელთაც შექმნეს მეორე ტრიუმვირატი გაიუს ოქტავიანეს, მარკუს ანტონიუსისა და ლეპიდეს შემადგენლობით. ტრიუმვირებმა გაინა-

---

[15] Strabo, XI, 2, 17; თ.ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, 123-124.

[16] Гаидукевич В.Ф. Боспорское царство, М.-Л., 1949, с. 313.

[17] დაწვრილებით იხ. Ломоури Н.Ю. Грузино-римские... с., 123-124.

[18] Strabo, XI, 2, 17; თ.ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 125.

[19] ამ აზრისა იყო ს.ჯანაშია. იხ. მისი ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში. შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 153-154. ლეკეთეაში რეალურად უნდა ვივარაუდოთ რომელიღაც ადგილობრივი ღვთაება, რომელიც ბერძნების „თეთრ ღვთაებას“ უახლოვდებოდა. იხ. Лордкипанидзе О.Д. Наследие..., Тбилиси, 1989, с. 305-306.

[20] ბრიფ. ო.ლორთქიფანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ლეკეთეას სამლოცველო გაიგივებული უნდა იქნას ვანის ნაპალაქართან (ძვ.წ. სურიაში), რამდენადაც აქ ჩვენ სატაძრო ქალაქთან გვაქვს საქმე: „ქალაქი ვანი“. - „ცისკარი“, 1958, №7, გვ. 133-143; Лордкипанидзе О.Д. К локализации *то тησ Λευκοθεασ ιεσον* , — ВДИ, 1972, N2 с. 106-125, ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას ვანის სატაძრო ქალაქად ყოფნის შესახებ, მაგრამ ლეკეთეას სამლოცველოს აქ ძიება გამორიცხულად მიგვაჩნია, რადგან იგი მოსხების ქვეყანაში ვანისგან საკმაოდ დაშორებით იყო.

წილეს პროვინციები: აღმოსავლეთი ერგო ანტონიუსს და იგი მაშინვე აზიაში გაემართა. აქ რომის ძალაუფლება საკმაოდ შერყეული იყო და ანტონიუსმა გაატარა სხვადასხვა ღონისძიება რომის გავლენის აღსადგენად. ამ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად შეიცვალა აღმოსავლური ოლქების მართვის სისტემა, რომელიც დამკვიდრებული იყო ჯერ პომპეუსის, შემდეგ კი კეისრის მიერ. ანტონიუსმა აღადგინა ან ხელახლა შექმნა რომზე დამოკიდებულ სამეფოთა მთელი რიგი და მათ სათავეში მისთვის სასურველი დინასტები ჩააყენა. კერძოდ, აღდგენილ იქნა პონტოს სამეფოც, რომლის სათავეში ანტონიუსმა ჯერ ფარნაკის ძე დარიუსი დააყენა, რომელიც შემდეგ კილიკიის მმართველმა პოლემონმა შეცვალა.[21] წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ დროს კოლხეთის მდგომარეობა, ვინ მართავდა მას მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის შემდეგ. მოგვიანებით, სტრაბონის ცნობით, კოლხეთს პოლემონი დაეუფლა.[22] ამრიგად, კოლხეთი პოლემონის პონტოს[23] შემადგენლობაში აღმოჩნდა და ასე რჩებოდა იმპერატორ ნერონის ხანამდე (ახ.წ. 54-62 წწ.). მაშასადამე, მართალია კოლხეთი არ იქცა რომის პროვინციად, მაგრამ იგი მთლიანად იყო მოქცეული მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში. ფაქტიურად მასზე იყო საკუთრებით დამოკიდებული, რაც პოლემონის პონტოს სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ისტორიული აჭარის ტერიტორიასაც, როგორც კოლხეთის ორგანულ ნაწილს, ასეთივე პოლიტიკური სტატუსი გააჩნდა.

---

[21] ამ საკითხზე დაწვრ. იხ. V.Gardthausen, Augustus und seine Zeit, I,2, Leipzig, 1891, p. 430. შდრ. D.Lindsay, Mark Antony, London, 1936; A.H.M.Jones. The Cities of the Eastern Koman Provinces, Oxford, 1937, p. 167; Максимова М.А. Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, с. 304.

[22] Strabo, XI,2, 18. კონკრეტულად როდის შეუერთდა კოლხეთი პონტოს ახლადშექმნილ სახელმწიფოს ანტონიუსის, თუ უფრო მოგვიანებით ოქტავიანე ავგუსტუსის დროს, გარკვეული არაა და სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. იხ. Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, с. 126. შდრ. თამოდუა, რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, თბილისი, 1995, სადოქტორო დის. ხელნაწერი, გვ. 26-28.

[23] ამ სამეფოს წყაროებსა და ლიტერატურაში ეს სახელი დაუმკვიდრდა.

თავი VIII
აჭარა ახ.წ. I-IV საუკუნეებში

§1. ლაზიკის სამეფოს წარმოქმნა და აჭარა

ნერონის იმპერატორობის დროს პოლემონის პონტოს პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ცნობილია, ნერონს განზრახული ჰქონდა პართიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ლაშქრობის მოწყობა, რის გამოც მისთვის აუცილებელი იყო შავიზღვისპირეთში თავისი პოზიციები განემტკიცებია. გარკვეული როლი შეასრულა, აგრეთვე, ყირიმში სკვითების აქტივიზაციამ, მათ მიერ აქაური ბერძნული ქალაქების, ისევე როგორც ოლბიის დაპყრობის საფრთხემ. ნერონმა ჯარი შეიყვანა როგორც ქერსონესში, ისე ყირიმის სხვა პუნქტებში და ბოსფორის სამეფოზე უშუალო პროტექტორატი დაამყარა.[1] ერთდროულად ახ.წ. 63 წ გაუქმდა პოლემონის პონტოს სამეფო და მისი ტერიტორია რომის პროვინციად (კაპადოკიად) გამოცხადდა: ახალი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად და რომაული ფლოტის მთავარ ბაზად ქ.ტრაპეზუნტი იქცა.[2] ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ კოლხეთიც, როგორც პოლემონის პონტოს შემადგენელი ნაწილი, ახლადფორმირებულ რომაულ პროვინციაში შევიდა. როგორც ჩანს, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სიმაგრეებში ნერონის დროს ჩაყენებული იყო რომაული გარნიზონები. მართალია, ზოგიერთი ვარაუდობს, რომ რომაული ჯარი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ვესპასიანეს დროს იქნა ჩაყენებული,[3] მაგრამ საერთო სიტუაციის გათვალისწინება და ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი აშკარად მიუთითებს, რომ კოლხეთის ზოგიერთ პუნქტში მაინც, რომაული გარნიზონი სწორედ ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო.[4]

თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ ნერონს, პონტოს სამეფოს გაუქმებისა და კოლხეთთან ერთად მისი რომის პროვინციად ქცევის შემდეგ, აქ თავისი ჯარი არ ჩაეყენებინა. სხვა საქმეა, რომ ვესპასიანეს დროს აქ რომაული ჯარის რიცხვი გაიზარდა.

პონტოს სამეფოს კოლხეთთან ერთად რომაულ პროვინციად ქცევამ უდავოდ გაზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაცია, გადიდდა გადასახადები; როგორც სხვა პროვინციებში, აქაც გაჩნდნენ გადასახადის ამკრძალი ე.წ. პუბლიკანები, რომლებიც გადასახადების აკრებას იჯარით იღებდნენ. გაუარესდა ქალაქების მდგომარეობა, რადგან მათ დაკარგეს ის შეღავათები, რომლებიც ანტონიუსმა და ოქტავიანე ავგუსტუსმა მიანიჭეს. ყოველივე ამან გამოიწვია რომის უშუალო ბატონობით უკმაყოფილების ზრდა, რაც მალე პონტოში ადგილობ-

---

[1] Ломоури Н.Ю. Восточное Причерноморье и Рим, в. I в. н.э. - Историко-филологические разыскания, I, Тбилиси, 1980, с. 136 и сл.

[2] F.Cumont, L'anexion du Pont Polemoniaque et la Petit Armenie, "Anatolian Studies", 1923, p. 109-119.

[3] Леквинадзе В.А. «Понтийский лимес». - ВДИ, 1969, №2, с. 75-90.

[4] Инадзе М.П. Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968, с. 243-244; [illegible] რომაული სამყარო..., გვ. 45-46; დაწვრ. იხ. Ломоури Н.Ю. Восточное Причерноморье и Рим в I в. н.э., с. 136 и сл.

რიგი მოსახლეობის აჯანყებაში გადაიზარდა.

ნერონის მოკვლის შემდეგ იმპერიაში ერთბაშად იმპერატორობის რამდენიმე მაძიებელი გაჩნდა, რომელთა შორის საბოლოოდ ორი სარდალი — ტიტე ფლავიუს გესპასიანე და ავლე ვიტელიუსი შემორჩა. სწორედ ამ ბრძოლით სარგებლობს ბოლემონ II ფლოტის ყოფილი სარდალი, სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო ანიკეტი და აჯანყებს ბონტოში მცხოვრებ ტომებს, ძირითადად ჭანებს. იკავებს ქ.ტრაპეზუნტს და მოკლე დროით ბონტოს ეუფლება. ეს ახ.წ. 69 წ მოხდა. ამასობაში ვესპასიანემ ჩამოიშორა ყველა მეტოქე და 70 წ რომში შევიდა; იმპერიაში ხელისუფლება ფლავიუსების დინასტიის ხელში გადავიდა. ანიკეტის წინააღმდეგ გამოგზავნილმა რომაულმა ჯარმა იგი ადვილად დაამარცხა და აიძულა ერთ-ერთი ჭანური ტომის (სედოხეზების) ბელადს შეკედლებოდა; უკანასკნელმა მალე უღალატა მას და რომაელებს გადასცა.[5]

ანიკეტის აჯანყებას აშკარად გამოხატული ანტირომაული ხასიათი პქონდა და, როგორც ფიქრობენ, იგი შემოსაზღვრული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთი. ამავე რეგიონში უნდა ყოფილიყო სედოხეზების ტომიც და არა ცენტრალურ კოლხეთში, როგორც ეს მკვლევართა უმეტესობის მიერაა მიჩნეული.[6]

როგორი ბოზიცია ეკავა ამ მოვლენების მიმართ კოლხეთის მოსახლეობას, ჩვენ კონკრეტულად არ ვიცით, მაგრამ ეს აჯანყება უდავოდ გამოხატავდა საერთოდ ბონტოსპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის განწყობილებას. ამ აჯანყებამ შეასრულა გარკვეული როლი რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შემდგომ ურთიერთობაში. რომის ხელისუფლებას უნდა დაენახა, რამდენად საშიშია შემდგომი ექსპანსია და უნდა წასულიყო რეჟიმის შერბილებაზე. რომის სამხედრო პოტენციალის შესუსტების, დაშორჩილებულ ხალხთა და ტომთა აქტივიზაციის, პართიის სამეფოსთან მუდმივი კონკურენციის პირობებში რომს არ შეეძლო თავისი გავლენა, თავისი ბოზიციები ამიერკავკასიის ქვეყნებში, და კერძოდ, კოლხეთში, დარტყმის ქვეშ დაეყენებინა; ანიკეტის აჯანყებამ ცხადყო, რომ ასეთი დარტყმის საშიშროება არსებობდა. საერთო ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რომი იძულებული იყო ეცნო ერთგვარი დამოუკიდებლობა კოლხეთის ეთნოტერიტორიულ ერთეულთა მეთაურებისა (ყოფილი სკეპტუხოსებისა), რათა შეენარჩუნებინა მათზე მეტნაკლებად რეალური ბატონობა და გავლენა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. I ს ბოლოს თუ II ს დასაწყისში ნახევრადდამოუკიდებელ სამეფოთა თუ სამთავროთა წარმოქმნისა. გარკვეული როლი აქ იბერიის მომძლავრება-აგრესიულობასაც უნდა ეთამაშა.[7] ახ.წ. II ს 30-იანი წლებისათვის ჩვენ გაგვაჩნია თვითმხილველის მეტად სანდო, პირველხარისხოვანი ცნობები დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. ესაა კაპადოკიის პროვინციის რომაელი პროკონსულის ფლავიუს არიანეს ნაწარმოები „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ანუ „ექესინის

---

[5] Tacitus, Annales, III, 47-48; **ს.ჯანაშია**, საქართველო ადრეული ფეოდალიზმის გზაზე. - შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 189-191; **გ.ფოფალიშვილი**, ქართველი ტომების აჯანყება რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე, ახ.წ. I საუკუნეში. - თსუ შრომები, 37, 1949, გვ. 131-152; Амиранашвили (Болтунова) А.И. Восстание Аникета. - ВДИ, 1939, №2, с. 59-67.

[6] დაწვრ. იხ. Ломоури Н.Ю. Восточное Причерноморье и Рим..., с. 138-149; სრულიად დაუსაბუთებელი ჩანს სედოხეზების ჩრ.-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზაცია და ერთ-ერთ პენიოხურ (ჩერქეზულ) ტომად მიჩნევა, იხ. **გ.ლორთქიფანიძე**, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი, 1991, გვ. 42.

[7] ამის შესახებ იხ. Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, с. 182-207.

ბონტოს ბერიპლუსი", რომელიც წარმოადგენს არიანეს სამმართველო პროვინციისა და მისი უშუალო მეზობელი მხარეების საინსპექციო დათვალიერების ანგარიშს; ეს მოგზაურობა არიანემ განახორციელა 134 წ იმპერატორ ადრიანეს მეფობაში (117-138 წწ).

„პერიპლუსი" შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა პოლიტიკური ვითარების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი; ქსენოფონტე მათ დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ ისინი სანები არიან... გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი; მეფე არ ჰყავს... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები - ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან; ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა მამაშენისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი, სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი".[8]

ამრიგად, ფლავიუს არიანეს აღწერილობით, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, რომელთა სათავეში საკუთარი მმართველები (არიანეს მიხედვით ბასილევსები ანუ მეფეები) დგანან და ყველა ისინი რომის იმპერატორის დამტკიცებულნი არიან. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში კი ვითარება ასეთია: ტრაპეზუნტის უშუალო მეზობლები კოლხები და ჭანები (სანები) ადმინისტრაციულად კაპადოკიის პონტოს პროვინციაში შედიან. პროვინციის უშუალო მეზობლებია მაკრონებისა და ჰენიოხების გაერთიანებული სამეფო. ის გარემოება, რომ მაკრონებსა და ჰენიოხებს ერთი მეფე (ანქიალე) ჰყავთ, მიუთითებს, რომ ეს ტომები ერთ სამეფოში ყოფილან გაერთიანებული. მაკრონები ბერძნული წყაროებისათვის კარგად ცნობილი მეგრულ-ჭანური ტომია. რაც შეეხება ჰენიოხებს, ამ სახელწოდების ტომებს ბერძნულ წყაროთა უმეტესობა ათავსებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, კოლხეთის ფარგლებს გარეთ.[9] რაც შეეხება ანქიალეს ქვეშევრდომ ჰენიოხებს, მათი გაიგივება ჩრდილოელ ჰენიოხებთან უმართებულო იქნება; აქ, უდავოდ, უნდა ვიგულისხმოთ, რომელიღაც ჭანური ტომი, რომლის სახელი გაჯდა ჰენიოხთა ეთნონიმს და ბენძენ-რომაელმა ავტორებმა უფრო ფართოდ ცნობილი ეს სახელწოდება სამხრეთულ ტომზეც გაავრცელეს. ამ მხრივ საინტერესოა ურარტულ წარწერებში იგანიეხების ტომის მოხსენიება.[10] ამრიგად, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო ჭანური ტომების პოლიტიკურ გაერთიანებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენთვის ამ სამეფოს იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ, როგორც ირკვევა, მას აჭარის უშუალო მეზობელი და ნაწილობრივ თვით აჭარის ტერიტორია ეჭირა. როგორც არიანეს, ისე სხვა წყაროთა ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ეკავაა ჭანეთის ნაწილი ცენტრით დაახლოებით ქ. ათინასთან,[11] ხოლო მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ.ჭორო-

---

[8] Arrianus, PPE, §11; ქართული თარგმანი მოგვაქვს ყველგან ნ.კეკელიძის გამოცემით; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ.კეკელიძისა, თბილისი, 1961.

[9] იხ. Ломоури Н.Ю.О «Политии фасисцев» Гераклида. - ВДИ, 1988, №3, с. 129-131.

[10] Ушаков П.Н. Древнейшие народы Грузии и новые археологические открытия. - სსმმ. X-В, 1940, გვ. 256 შმდ; Меликишвили Г.А. Наири-Урарту, Тбилиси, 1954, сс. 60, 61, 62, 64, 112, 215-216 и сл.

[11] სკანანშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. - „შრომები", III, 1959, გვ. 22-23.

ხის შესართავის რაიონში გადიოდა, ისე რომ ციხე-სიმაგრე აფსაროსი მათ ტერიტორიაზე მდებარეობდა.[12]

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ძიდრიტთა ტომის ადგილსაცხოვრისი, რომელსაც ეჭირა ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით, თანამედროვე აჭარის ტერიტორია.[13] ნიშანდობლივია, რომ არიანეს ლაკონური ცნობით, ძიდრიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამდროინდელი იბერიის (ქართლის) მეფის ფარსმან II ფრიად დამოუკიდებელი და ზოგჯერ რომის მიმართ აგრესიული ბოლიტიკა, აშკარაა, რომ ფარსმანს გზა გაუკვლევია შავი ზღვის სანაპიროსკენ, ძიდრიტთა ტომზე თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია და შეჭრილა რომის გავლენის ქვეშ მყოფ სამფლობელოებში.[14] ამრიგად, აჭარის ტერიტორია ამ დროს ორად აღმოჩნდა გაყოფილი: ჭოროხის სამხრეთით მდებარე მხარე გონიო-აფსაროსის ჩათვლით მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს, ხოლო მერმინდელი ბათუმ-ქობულეთის რაიონი ქართლის იერისდიქციაში შედიოდა. საგარაუდოა, რომ სწორედ ეს გვიანდელი ვითარება აისახა ქართულ მატიანეში, რომელიც აჭარას ფარნავაზის საერისთაოთა შორის მოიხსენიებს.[15]

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახ.წ. I ს შუა ხანებისათვის მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე ციხე-სიმაგრე აფსაროსში რომაული გარნიზონის დგომაა საეჭვოდ. ამას ადასტურებს აფსაროს-გონიოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც,[16] რომლის მიხედვით რომაულ ხანაში ინტენსიური საქალაქო ცხოვრება დასტურდება (სურ. 86-101; 103-106); ვარაუდობენ, რომ იმ დროს აქ იყო რეზიდენცია კოლხეთის ამ ოლქის მმართველი დიდმოხელისა.[17] მოგვიანებით, როცა კოლხეთი ბროვინციად იქცა, აქ რომაული გარნიზონი ჩადგა, ხოლო I ს მიწურულს თუ II ს დასაწყისში, მას შემდეგ, რაც კოლხეთის ტერიტორიაზე რომმა იწყო ცალკეული სამთავროების ჩამოყალიბება, კოლხეთის ეს ყველაზე სამხრეთი ნაწილი, ჭანეთის ჩრდილოეთ ოლქთან ერთად, ანქიალეს სამფლობელოში გააერთიანა.

არიანეს ცნობებიდან ირკვევა, რომ მის დროს რომაული სამხედრო ნაწილები დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა პუნქტებშიც იმყოფებოდნენ: ფაზისში ოთხასი რჩეული მეომარი მდგარა, ხოლო სებასტოპოლის-ცხუმში, ქვეითებთან ერთად, ცხენოსანთა რაზმიც ყოფილა დისლოცირებული (განლაგებული); მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია აფსაროსში მდგომი გარნიზონი, რომელიც, არიანეს ცნობით, 5 კოჰორტა (ძველ რომში ქვეითი ჯარის რაზმი, რომელიც შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს), ე.ი. დაახლოებით 3000 ჯარისკაცი ყოფილა (Arr. PPE, §7). ჯარისკაცების ასეთი რაოდენობა ამ სიმაგრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს; იგი რომაელთა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მიწაწყალზე. აფსაროსის ასეთი სიძლიერე განპირობებული უნდა ყოფილიყო მეზობელ ძიდრიტთა ოლქში იბერიის დამკვიდრებით. ამ ციხის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებული იბერიის

---

[12] ნ.ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი, 1988, გვ. 7-10.

[13] ს.ჯანაშია, თუბალ-თაბალი... გვ. 23; ნ.ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 10.

[14] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 131, 137-138.

[15] ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., 1, 1955, გვ. 24.

[16] Успенский Ф.И. Старинная крепость в устье Чорохи.- «Известия Академии наук», 1917, №2, с. 163 и сл.; ა.ბერძენიშვილი, დ.ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში... - სდსძ, 1964, გვ. 59-92; ა.ალფაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45-46, აქვე ლიტერატურა.

[17] ოთარ ფანცულაია, ოთარ ქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, 1980, გვ. 9-10, აქვე ლიტერატურა.

შემოტევისაგან.[18] გასათვალისწინებელია მეორე მომენტიც, არიანეს ცნობით, რომს გარკვეულ პრობლემას უქმნიდნენ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს სამხრეთით, როგორც ჩანს, ძირითადად ჭანეთის მთებში მოსახლე ჭანთა ანუ სანთა ტომები. არიანე წერს: „გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი, მაგრამ, ამის შემდეგ, თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან“ (Arrian, PPE, §11). საფიქრებელია, აფსაროსში მდგომ კოპორტებს ჭანთა ურჩი ტომების დამორჩილების ფუნქციაც ეკისრებოდათ.

აჭარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ვნახეთ, II ს 30-იანი წლებისთვის ქართლის სამეფოს ექვემდებარებოდა, ხოლო სამხრეთი ნაწილი, ჭანეთის ჩრდილოეთი ოლქებთან ერთად, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. არიანეს დროს ამ სამეფოს სათავეში ედგა ანქიალე; რამდენადაც არიანე არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვისგან მიიღო ხელისუფლება ანქიალემ, როგორც ჩანს, ადრიანე კეისარი კარგად იცნობდა ამ მეფეს, რამდენადაც ის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო რომისა ამ რეგიონში. თვით ანქიალე და მისი სამეფო არანაკლებ იყო დაინტერესებული რომის მხარდაჭერით, რამდენადაც მას საშიშროება ელოდა როგორც დამეზობლებული იბერიის, ისე ჭანთა მეკობრული ტომების და პართიის მხრიდანაც.[19]

პირველი კონკრეტული ცნობა მაკრონ-ჰენიოხთა და რომის ურთიერთობის შესახებ განეკუთვნება იმპერატორ ტრაიანეს (98-117) - პართელებთან ომის ხანას. როგორც ცნობილია, 113 წ ტრაიანემ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი პართიის წინააღმდეგ. ამ დროისათვის სომხეთის ტახტზე პართიის მეფემ ხოსროვმა დასვა ვინმე პართამოსირისი, რომელიც, ტრაიანეს მზადებით შეშფოთებული, ცდილობდა მორიგებოდა იმპერატორს, მაგრამ ამაოდ. ტრაიანემ ლაშქრობა 113 წ დაიწყო, ხოლო 115 წ უშუალოდ სომხეთს შეუტია: იგი შემოვიდა სოფენაში, ანუ დასავლეთ სომხეთის ბროვინცია წოფკში და აიღო ქ.არშამაშატი, აქედან კი მივიდა რომაელთა კუთვნილ ქ. სატალიაში. და აი, ისტორიკოსი დიონ კასიუსი მოგვითხრობს, რომ ტრაიანე „მივიდა სატალაში და ანქიალე-ჰენიოხებისა და მახელონების მეფე - საჩუქრებით დაავალდოვა“.[20] სამწუხაროდ, ჩვენ შემოგვრჩა დიონ კასიუსის თხზულების მხოლოდ ფრაგმენტი. არშამაშატის აღების შემდეგ ტრაიანე პირდაპირ დიდ სომხეთში კი არ შეიჭრა, არამედ მცირე არმენიაში სატალასთან მოვიდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას აქ უნდა შეერთებოდა დამხმარე ძალები, პირველ რიგში მაკრონ-ჰენიოხთა მეფის რაზმები. ანქიალე არა მარტო თავის ვასალურ ვალდებულებას ასრულებდა, არამედ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსაც იცავდა: სომხეთში პართიის დამკვიდრება მას ახალ გართულებებს უმზადებდა; უნდა ვიფიქროთ, რომ ანქიალემ თავისი სამოკავშირეო ერთგულება საკმაოდ აქტიურად გამოაჩინა იმპერატორის სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მოსვლამდე, რის საზღაურადაც უკანასკნელმა საჭიროდ ჩათვალა მისი დასაჩუქრება.[21]

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს რომთან ურთიერთობის შემდგომი პერიოდის შესახებ ცნო-

---

[18] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 376-377; ნალბანდოვი, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 38.

[19] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 372.

[20] Cassius Dio, LXVIII, 19, 1-2; დიონ კასიუსის მახელონები, ეჭვს გარეშე, იგივე მაკრონები არიან; ამის შესახებ იხ. ნალბანდოვი, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და კომენტარი, თბილისი, 1966, გვ. 81-82, 131-136.

[21] იქვე, გვ. 137; Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, с. 227-228.

ბები II საუკუნის 60იან წლებს განეკუთვნება. ეს ისევე დიონ კასიუსის შრომის ფრაგმენტია, რომლის შესაბამისად: „—სატრაპი ტირიდატე, რომელმაც აჯანყება მოახდინა არმენიაში და მოკლა ჰენიოხების მეფე, და რომელმაც ხმალი აღმართა ვერუსის წინააღმდეგ, როდესაც უკანასკნელი ამ საქმეების გამო საყვედურობდა (იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა) სიკვდილით კი არ დასაჯა, არამედ მხოლოდ ბრიტანეთში გადაასახლა".[22]

ეს ფრაგმენტი ეხება იმპერატორების მარკუს ავრელიუსისა (161-180) და ლუციუს ვერუსის (161-169) ერთობლივი მართვის ხანას. სატრაპ ტირიდატეს აჯანყების შესახებ სხვა წყაროებში არავითარი ცნობები არაა. დიონ კასიუსის ფრაგმენტი, საფიქრებელია, ეხება აღნიშნულ იმპერატორთა დროს პართიის წინააღმდეგ წარმოებულ ომს, რომელიც 161-166 წლებში მიმდინარეობდა და სომხეთში პართელების შეჭრის გამო დაიწყო. საბოლოოდ რომმა სერიოზული მარცხი აგემა პართელებს, დაიბრუნა სომხეთი, აიღო სელევკია და ქტესიფონი. მხოლოდ არმიაში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიამ აიძულა იგი ზავი დაედო.[23]

უნდა ვიფიქროთ, რომ სომხეთისათვის ბრძოლის დროს იფეთქა აქ ვინმე სატრაპ ტირიდატეს აჯანყებამ, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო პართიის უფლისწულის ბაკორის სომხეთიდან განდევნისა და აქ რომის კანდიდატის სოხემის გამეფების შემდეგ, როცა რომის ძირითადი ძალები მესოპოტამიაში იყო დაბანაკებული. ტირიდატის აჯანყების ჩახშობა რომმა, ალბათ, თავის ვასალს მაკრონ-ჰენიოხთა მეფეს, ზემოხსენებული ანქიალეს მეუკვიდრეს დაავალა, რომ II ს 60-იან წლებშიაც მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო რჩება რომის აქტიურ მოკავშირედ, რეალურად მის ქვეშევრდომად. ამ სამეფოს, ისევე როგორც ზიდრიტთა ოლქის შემდგომი ისტორიისათვის ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სანამ მახლობელ აღმოსავლეთში არ მოხდა კარდინალური ცვლილებები, ზიდრიტები რჩებოდნენ ქართლის ქვეშევრდომებად, ხოლო სამხრეთ აჭარის და მასთან ერთად მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს სტატუსიც უცვლელი იყო.

ახ.წ. II ს დასაწყისისთვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულთაგან ცენტრალური ადგილი ლაზების სამეფოს ეჭირა. ლაზებს, ანუ ქართული წყაროებით ეგრებს, ეჭირათ მდ.რიონ-ფაზისის ორივე სანაპირო აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან, ვიდრე მდ. ერისწყალამდე ანუ თანამედროვე ღალიძგამდე.[24] სამხრეთიდან მათ ესაზღვრებოდნენ ე.წ. ზიდრიტები, რომლებიც ქართლის სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთიდან - აფსილები.

შემდგომ ორ საუკუნეში ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფომ თანდათანობით შესძლო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. ის რომ სწორედ ეგრისის სამეფომ მოახერხა დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულთა შორის დაწინაურება და მათი დაქვემდებარება, საკუთარი კანონზომიერი იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ სამეფოს მეურნეობრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. ძველი კოლხეთის ცენტრალურ და ყველაზე ნაყოფიერ ნაწილში განლაგებული ეგრისი დასავლეთ საქართველოს წამყვან რეგიონს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა მოხირისის მხარე, რომელიც, ბიზანტიელი მწერლების ცნობით, ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერი ოლქი იყო მთელ ლაზიკაში, ე.ი. იმდროინდელ მთელ დასავლეთ

[22] Cassius Dio, LXXI, 19, 2; ~~ნალბანდი~~, დიონ კასიოსის ცნობები— გვ. 83,139-140.

[23] ამ ომის შესახებ იხ. D.Magie, Roman Rule in Asia Minor, Princeton, 1950, p. 659; Бокшанин А.Г. Парфия и Рим, т. II, გვ. 288-277.

[24] ~~დ.ბუსხელიშვილი~~, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, I, 1977, გვ. 77, 106-113; Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии, 1959, с.7; Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения, с.221.

საქართველოში.[25] მოხირისის მხარე მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას - დღევანდელი ქუთაისის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, აბაშის და მარტვილის რაიონებს. ამ მხარის ეკონომიკური ძლიერების მაჩვენებელია, თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს უძველესი და მდიდარი ქალაქები - ქუთაისი, ვანი, მოხირისი, ვარდციხე; შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მხარეს ძველქართულად სამოქალაქო ეწოდებოდა.[26] საკმაოდ ნაყოფიერი იყო ის ოლქიც, რომელიც მოხირისს დასავლეთიდან ემიჯნებოდა (სენაკისა და ხობის რაიონები) და სადაც ეგრისის სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი და მნიშვნელოვანი სიმაგრეები ნესოსი და ონოგურისი მდებარეობდნენ.[27]

ლაზიკა-ეგრისზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სამდინარო და სახმელეთო გზები, რომლებიც ზღვისპირეთს შიდა რაიონებთან, რაჭა-ლეჩხუმთან, ქართლთან და სომხეთთან აკავშირებდა.[28] ყოველივე ეს ეგრისს დასავლეთ საქართველოს წამყვან ოლქად აქცევდა და აბირობებდა იმ ვითარებას, რომ სწორედ ის გამოვიდა დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ლაზიკის მეთაურობით ერთბაშად არ მომხდარა. ამ აქტს წინ უსწრებდა ცალკეულ სამეფოთა შორის მწვავე ბრძოლა, რაც ჯერ კიდევ II საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. ვარაუდობენ, რომ ამ ბრძოლის პროცესში ლაზიკასა და რომს შორის ურთიერთობაც გართულდა. II საუკუნის მიწურულს რომში დასრულდა ანტონინების დინასტია და დაიწყო მორიგი ბრძოლა ტახტის მოცილეთა შორის; ამ ბრძოლაში ბართია და ადიაბენაც ჩაერთნენ. მოქიშპეთა პაექრობაში დუნაისპირა ლეგიონების სარდალმა სეპტიმიუს სევერუსმა გაიმარჯვა; მანვე დაამარცხა მესოპოტამიაში შემოჭრილი ბართიის მეფე ვოლოგეზი და აიძულა იგი ზავი ეთხოვა.[29]

ამ მოვლენების შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი სინგელოსი (VIII ს) აღნიშნავდა, რომ სევერუსმა, გარდა ალბანელებისა და არაბებისა, „დაიმორჩილა აგრეთვე კოლხეთი ანუ ლაზიკა“.[30] საეჭვოა, რომ ლაზებმა ისარგებლეს რომ'ში მომხდარი არეულობით, განუდგნენ მას და სცადეს დამოუკიდებლობის მოპოვება.[31]

ზოგიერთი მონაცემის ანალიზი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უკვე II ს ბოლოს თუ III ს დასაწყისში ლაზების სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი ერისწყალ-ღალიძგადან მდ.კოდორამდე გადაიწია.[32] ამდენად, გაძლიერების გზაზე შემდგარი ლაზთა სამეფო პირველ რიგში თავის ჩრდილოელ მეზობლებს, კერძოდ აბსილებს აყენებდა.

ლაზთა სამეფოს გაძლიერებაზე მიუთითებს, აგრეთვე, ის წინააღმდეგობა, რომელიც მან გაუწია გუთების შემოსევებს. ცნობები ამის შესახებ გვიანდელ წყაროებში - ისტორიკოს

---

[25] ბროკჰაუზი კესარიელი, გუთებთან ომის შესახებ, VIII, 14.

[26] ს.ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 320-321; Мусхелишвили Д.Л. К вопросу о центре Эгрисского царства. - Кавказ и средневековье, 1980, с. 135-138.

[27] აგათია, ისტორია, II, 22; III, 7; IV, 9; გეორგიკა, III, გვ. 316-317; ნ.ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). - ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, 1981, გვ. 34-36.

[28] ნ.ლომოური, ძველი საქართველოს საგაჭრო გზების საკითხისათვის. - იიშ, IV, 1, 1958.

[29] Ковалев С.И., Штаерман Е.М. Очерки истории древнего Рима, Москва, 1956, с. 273; Бокшанин А.Г. Парфия и Рим, II, с. 279-283.

[30] Georg. Syncellus, 671, 1-10.

[31] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 382.

[32] Kibling, Heniochi, RE, Bd.8, p. 247; Меликишвили Г.А. К истории..., с. 371-372.

ზოსიმესთან (V-VI სს) და კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს) არის შემონახული. გუთთა შემოსევებს ადგილი ჰქონდა ორჯერ - III ს 70-იან წლებში და იმავე საუკუნის მიწურულს. გუთებმა პირველ შემთხვევაში დაარბიეს ქალაქი ტრაპეზუნტი და ბიჭვინტა, ხოლო ფაზისი ვერ აიღეს.[33] მეორე შემოსევისას კი ისინი ლაზეთში დამკვიდრებულან და „აქაურ მცხოვრებლებს" ეომებოდნენ. ის გარემოება, რომ აქ ამ დროს არ ჩანს რომაული ჯარი,[34] შესაძლოა იმისი მოწმობა იყოს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის რომაელთა გარნიზონები ლაზიკაში აღარ მდგარა, თუმცა, ფორმალურად ეს ქვეყანა კვლავინდებურად რომის გავლენის სფეროში ითვლებოდა.[35]

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი მონაცემები III საუკუნის დასაწყისის კოლხეთის სამხრეთი ოლქების შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ვითარება არ შეცვლილა.

დასავლეთ საქართველო ამ დროს წინარე პერიოდთან შედარებით გარკვეულ სამეურნეო პროგრესს განიცდის, რაც, პირველ რიგში, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლებაში გამოიხატა. დადასტურდა, რომ დასავლეთ საქართველოს, უპირველესად ზღვისპირა ქალაქურ ცენტრებს, გარე სამყაროსთან საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ, რომელშიაც მთელი ლაზიკაც არის ჩაბმული. ეს სავაჭრო ურთიერთობა ძირითადად მცირე აზიის პროვინციებთან, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს საქალაქო ცენტრებთან ჰქონდა.[36]

ლაზიკის აღმოსავლეთი, იბერიის მომიჯნავე რაიონების როგორც ნუმიზმატიკური, ისე არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს ამ რაიონის სამონეტო მიმოქცევა იბერიის სამონეტო მიმოქცევის იდენტურია.[37] არქეოლოგიურადაც ეს ოლქი ქართლის სამეფოს უკავშირდება და მასთან ჩანს ერთიანობაში. თუ ეს დასკვნა ასე თუ ისე გასაგებია ქ.შორაპანისა და მისი ოლქისათვის, რომელიც გარკვეულ პერიოდებში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, პოლიტიკური მიზეზებით ამას ვერ ავხსნით კლდეეთის მიმართ, რომელიც ყოველთვის ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა. არადა კლდეეთის სამაროვანის მასალა დიდ სიახლოვეს იჩენს ქართლის მატერიალური კულტურის ძეგლებთან. როგორც ჩანს, პოლიტიკური საზღვარი ქართლისა და ეგრისის სამეფოებს შორის არ ყოფილა მკვეთრად გამიჯნული მონათესავე, აღმოსავლურ და დასავლურ ქართველურ მოსახლეობას შორის. კერძოდ, მათ ჰქონიათ უმჭიდროესი კულტურული და სამეურნეო ურთიერთობა.[38]

ცხადია, იბერიასა (ქართლსა) და ლაზეთს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირები უფრო ძლიერი იყო ლაზეთის აღმოსავლეთით, იბერიის მომიჯნავე ოლქში. თუმცა, როგორც ჩანს, იბერიის გავლენა უფრო ღრმადაც იჭრებოდა, რასაც მოწმობს მასალები ხარაგაულის რაიონის სოფ. სარგვეშიდან, ენგურის პირას მდებარე სოფ. თაგილონიდან, რაჭიდან და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შავი ზღვის ნაპირას მდებარე სოფ. ურეკიდან.[39] ამ

---

[33] Zosim, Historia Nova, I, გეორგიკა, I, გვ. 260-266; Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 380.

[34] Const. Porphyr.; De admin. Imper., LIII გეორგიკა, IV, 2, გვ. 287-288; Хармата Я. К истории Херсонеса Таврического и Боспора. - Античное общество, Москва, 1967, с. 204-206.

[35] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 381; ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 40-45.

[36] ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 45-64. აქვე ლიტერატურა.

[37] გ.ცქიტიშვილი. იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში. - იმშ, I, 1955, გვ. 310; მ.ხახიტ. ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1965, საკანდ. დისერტაცია, ავტორეფერატი, გვ. 10-15.

[38] ნ.ლომოსათქვ. კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, თბილისი, 1957, გვ. 187-189.

[39] ა.ალფაძე. ბვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. - სსმმ, XIV-, 1947, გვ. 89-111; ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 64-65. აქვეა ლიტერატურა.

თვალსაზრისით საინტერესოა და ნიშანდობლივი ის ერთიანობა, რასაც ამეღავნებს ქართლის მატერიალურ კულტურასთან ე.წ. გონიოს განძი.[40]

I საუკუნიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი შეეხო როგორც რომის იმპერიას, ისე მის ძირითად მეტოქეს - პართიას.

უკვე II ს მეორე ნახევრიდან რომის იმპერიაში სულ უფრო აშკარად მეღავნდება საერთო სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი. იგი შეეხო ეკონომიკასაც და, რაც მთავარია, მის პოლიტიკურ წყობასაც, როცა მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სენატორული ზედაფენა, პროვინციების მიწათმფლობელი მაგნატები და საიმპერატორო ხელისუფლება. ამასთან, უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა რეგიონში განლაგებული არმიები თვითნებურად ნიშნავენ და ამხობენ იმპერატორებს. იმპერიამ დაიწყო რღვევა. ცალკეული მხარეები ან პროვინციები დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან და ცენტრალური ხელისუფლება ზოგჯერ იძულებული ხდებოდა ეცნო გამდგარი ოლქების მმართველთა თვითმმართველობა; იმპერიაში იზრდება მონათა, კოლონთა და პროვინციათა მოსახლეობის აჯანყებები, რასაც ემატება საგარეო გართულებები. მართალია III ს მეორე ნახევარში (იმპერატორების კლავდიუს II, ავრელიანეს და, განსაკუთრებით, დიოკლეტიანეს (284-305) დროს) იმპერიამ გარკვეულ სტაბილიზაციას მიაღწია, მაგრამ იგი მაინც საგრძნობლად დასუსტებული იყო როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად.[41]

ქართულ სახელმწიფოებს თითქოს ხელსაყრელი პირობები შეექმნათ რომთან ურთიერთობაში: იბერიას უფრო თავისუფლად შეეძლო ემოქმედა, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამეფოებს მეტი დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ. მაგრამ სწორედ ამ დროს აღმოსავლეთში, ირანში, კარდინალური ცვლილებები მოხდა, რომელთაც გაართულეს ქართულ სახელმწიფოთა მდგომარეობა: III ს 20-იან წლებში დასუსტებული, დეცენტრალიზებული არშაკიდული პართიის ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი დინასტიის მიერ გაერთიანებული და განმტკიცებული სახელმწიფო - სასანური ირანი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პართიის სამეფოსაგან. მართალია, საგარეო პოლიტიკაში იგი მნიშვნელოვანწილად აგრძელებდა პართული ირანის ხაზს, ოღონდ უფრო თანმიმდევრულად, ენერგიულად და უფრო აგრესიულად.[42]

ახალი ირანის ძირითად მეტოქეს ისევ რომი წარმოადგენდა. პირველი შეტაკებები მათ შორის უკვე პირველი სასანიდი მეფის არდაშირ I დროს მოხდა, მაგრამ განსაკუთრებით ენერგიულად და შედეგიანად რომის იმპერიას არდაშირის ვაჟი და მემკვიდრე შაფურ I (241-272) ებრძოდა, რომელმაც რამდენიმე სერიოზული მარცხი მიაყენა მეტოქეს. მიუხედავად ზოგიერთი ლოკალური წარუმატებლობისა, შაფურმა შეძლო თავისი ძალაუფლება დაემყარებინა მესოპოტამიასა და სომხეთში.

შაფურ I მოღვაწეობის ერთგვარ შემაჯამებელ ანგარიშს შეიცავს სამენოვანი (პართულ-ფალაური, სასანურ-ფალაური და ბერძნული) წარწერა, გამოკვეთილი პერსეპოლისის მახლობლად, ნაშ-ი-რუსტამში მდებარე ე.წ. „ზოროასტრის ქაბის" (Kaaba-i-Zardost) ტაძარში. ამ წარწერაში შაპან-შაპის ქვეშევრდომთა შორის, იბერიისა და არმენიის გვერდით, ბერძნულ

[40] თამარ ბოლოქოშვილი, თამაზ ქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, გონიოს განძი. თბილისი, 1980, გვ. 20-27.

[41] Ковалев С.И., Штаерман Е.М. Очерки... с. 280-283; История Древнего Мира, ч. II, под ред. Бокщанина А.Г., Москва, 1982, с. 368-382.

[42] ბ.გაბაშვილი, სასანიდური ირანის სახელმწიფო. - ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 22-25; A.Christensen, L' Iran sou les Sasanides, Copenhague, 1944, pp.88-144.

ტექსტში დასახელებულია ქვეყანა მახელონია, ხოლო ფალაური ტექსტის შესაბამის ადგილას - ქვეყანა სიკან (Syk'n).[43] როგორც დადასტურდა, ეს ქვეყანა იდენტურია ზემოთ დასახელებული მაკრონების (გარიანტ. მახელონების) და პენიოხების სამეფოსი.[44]

წარწერიდან ირკვევა, რომ მაკრონ-პენიოხების სამეფოს III ს 80-იან წლებში (წარწერა 262 წელს არის ამოკვეთილი) თავისი დამოუკიდებლობა, უფრო ზუსტად რომის ვასალური სამეფოს სტატუსი დაუკარგავს და სპარსეთის მეფის ხელქვეით და მოხარკე ქვეყნად ქცეულა. ჩვენ არ ვიცით როგორი იყო მახელონიის ირანზე დამოკიდებულების რეალური შინაარსი, ან იყო თუ არა იგი ნამდვილად დაბყრობილი შაფურ I დროს: საქმე ისაა, რომ „ზოროასტრის ქააბის" წარწერაში ირანის შაჰან-შაჰის მოხარკე ქვეყნებს შორის ზოგჯერ დასახელებულია ისეთებიც, რომლებიც მას უშუალოდ კი არ დაუბყრია,[45] არამედ ან ბრძოლაში დაუმარცხებია, ან დაულაშქრავს. ცხადია, თუ კი მახელონია, მართლაც, შედიოდა სპარსეთის ხელქვეით ოლქთა შემადგენლობაში, ეს შეიძლებოდა მხოლოდ ხანმოკლე დროით მომხდარიყო. საქმე იმაშია, რომ შაფურ I შემდეგ რომაელებმა სპარსელებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და 298 წელს რომსა და ირანს შორის დადებული ნისიბინის საზავო ხელშეკრულებით ირანმა კარგა ხნით დაკარგა ძალაუფლება სომხეთსა და მესოპოტამიაში. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ირანს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე რაიმე გავლენა შეენარჩუნებინა. ამრიგად, III ს 80-90-იან წლებში რომს მაკრონ-პენიოხთა სამეფო, იგივე მახელონია, უკან უნდა დაებრუნებინა.[46] მაშასადამე, აჭარის სამხრეთი ოლქი, მის მეზობელ ჩრდილოეთ ჭანეთთან ერთად, მოკლე დროით (262 წ. ახალი დრო) სასანური ირანის ქვეშევრდომობაში უნდა მოხვედრილიყო.

რაც შეეხება იბერიის ქვეშევრდომობაში მყოფ ზიდრიტებს, ისინი შემდეგდროინდელ წყაროებში აღარ იხსენიებიან, ხოლო რომაელთა სამფლობელოს უშუალოდ ემეზობლება ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორია (იხ.ქვემოთ). საქმე იმაშია, რომ შაფურ I დროს იბერია, რომლის ქვეშევრდომიც, ფლავიუს არიანეს მიხედვით, იყო ზიდრიტთა ტომი, საკმაოდ რთულ ვითარებაში მოექცა და მასაც, გარკვეული ხნით, ირანის ქვეშევრდომობა თუ არა, მასზე გარკვეული დამოკიდებულება უნდა ეცნო.[47] მახელონიის დამორჩილება თუ დალაშქრა უნდა მომხდარიყო იმავე ხანებში, როდესაც შაფურმა რომთან ბრძოლაში საერთო წარმატებებს მიაღწია და ამიერკავკასიის ქვეყნებშიაც თავისი გავლენა გაავრცელა. ასეთ სიტუაციაში საეჭვოა, იბერიას მახელონიის მეზობელი ზიდრიტთა ტერიტორია შეენარჩუნებია; სავარაუდოა, ის შაფურის წარწერის მახელონიაშია საგულისხმელელი. ხოლო შემდეგ, როდესაც რომმა მაკრონ-პენიოხთა ტერიტორია კვლავ დაიბრუნა, მას ზიდრიტთა ტომის მიწა-წყალიც თავისი ხელქვეითი უნდა გაეხადა. იგი, როგორც ჩანს, რომის მოკავშირე ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

მახელონიის კვლავ რომის დაქვემდებარებაში დაბრუნება, როგორც ჩანს, III ს შემდეგ

---

[43] Sprengiing M. A new pahlavi inscription. - American Journal of Semitic Lanquages and Literatures, t.53, 2, 1937, 126-144; E.Honigmann et A. Maricq, Recherches sur les Res gestae divi Saporis, Bruxelles, 1953.

[44] Honigmann E., Maricq A. Recherches..., p. 64-76; Меликишвили Г.А. К истории Грузии, с. 380-390.

[45] M.Sprengling, Third Century Iran, Sapor and Kartir, Chicago, 1953, p. 7; Луконин В.Г. Завоевание Сасанидов на востоке и проблема кушанской абсолютной хронологии. - ВДИ, 1969, №2, с. 34-37; Его-же, Культура сасанидского Ирана, Москва, 1969, с. 126-128.

[46] ნ.ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975, გვ.14, 36-37.

[47] ნ.ლომოური, ნარკვევები..., გვ. 35 და შემდ.

მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, IV ს 60-იან წლებისათვის ეს ფაქტი უკვე სახეზეა. IV ს მეორე ნახევრის რომაელი მწერლის ამიანე მარცელინეს ცნობით, 362 წელს ირანის შაჰინ-შაჰი შაფურ II (309-379) არმენიაში შეიჭრა, დააბრმავა აქაური მეფე არშაკ II, რომლის ვაჟმა ბაბმა დაახლოებულ პირებთან ერთად თავი იმ მაღალ მთებს შეაფარა, რომლებიც რომაელთა მიწებს ლაზიკისაგან ყოფდენ; იქ მათ ხუთი თვე დაყვეს და უღრან ტყეებსა და დაკლაკნილ ხეებში მანევრირებით თავიდან აიცილეს სპარსთა მეფის მრავალი ცდა დაეტყვევებინა დეგნილები.[48]

მაშასადამე, ამ დროს ლაზეთის სამეფოს საზღვარი ჩრდილოეთიდან უკვე ჭანეთის მთებს ებჯინებოდა. ამიანე მარცელინეს ამ ცნობას ავსებს და აკონკრეტებს მერმინდელი ბიზანტიელი ავტორების ცნობები, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ლაზეთის სამეფოს ტერიტორია სამხრეთით მდ.ჭოროხის შესართავის სექტორამდე აღწევდა.[49]

ვარაუდობენ, რომ ლაზეთსა და რომის ხელქვეით ტერიტორიებს შორის საზღვარი გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა: ჭანეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი გათავისუფლდა რომაელთა ბატონობისაგან და ლაზეთს დაემორჩილა. ამის მანიშნებელია პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ჭანებს მღვდელმთავრებს ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენო. შემდგომ ხანებში, ლაზეთის სამეფოს ერთგვარი დასუსტების შედეგად (V ს-ის მეორე ნახევარი), ჭანეთის მოსახლეობა კვლავ გათავისუფლებულა ლაზების მეურვეობისაგან. ეს მხარე, გარკვეული დროით, აღარც ლაზეთს ემორჩილებოდა და აღარც რომს.[50]

ცხადია, რთული კოლიზიების იმ ეპოქაში, როგორიც IV-V საუკუნეები იყო, მახლობელი აღმოსავლეთისათვის პოლიტიკური საზღვრებისა და გავლენის სფეროების ხშირი ცვალებადობა სავსებით ბუნებრივი იყო, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არ დასტურდება. უპირველეს ყოვლისა, ამიანე მარცელინეს ზემოთ მოტანილი ცნობა ცხადყოფს, რომ ის მთიანი მხარე, სადაც უფლისწულმა ბაბამ შეაფარა თავი, რომაელებისა და ლაზების სამფლობელოებს შორის მდებარეობდა და საკმაოდ ვრცელიც იყო. მაშასადამე, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რომაელთა კუთვნილი ტერიტორია ლაზიკას უშუალოდ არ ემეჯნებოდა, რაც კარგად ეთანხმება პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის აღწერას, რომლის მიხედვით რომაელთა უშუალო სამფლობელოებსა და ლაზეთს შორის, სწორედ ჭანეთის მთიანეთში, ცხოვრობდა თავისთავადი ხალხი. მაშასადამე, IV და VI საუკუნეებს შორის აქ ვითარება არ შეცვლილა. სარწმუნო არ ჩანს ის ცნობაც, თითქოს ამ მხარის მღვდელმთავრებს ლაზთა ეპისკოპოსები აწესებდნენ. ჯერ ერთი, ეს ცნობა გვიანდელ, VI საუკუნის ვითარებას ასახავს. გარდა ამისა, საეკლესიო დაქვემდებარება სრულიადაც არ გულისხმობდა პოლიტიკურ დაქვემდებარებასაც.[51] რაც შეეხება „სომხური გეოგრაფიის" ცნობებს, ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის მათზე დაყრდნობაც არ ჩანს გამართლებული, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ეს თხზულება სხვადასხვა რიგისა და დროის წყაროებს ეყრდნობა[52] და შავიზღვისპირეთში არსებული

---

[48] Ammianus Marcelinus, Res gestae, XXII, 12, 11; გეორგიკა, I, გვ. 128.

[49] ნ.ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 67.

[50] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, გვ. 390-391; იგივე დასკვნამდე „სომხური გეოგრაფიის" ცნობების საფუძველზე მიგიდა დ.მუსხელიშვილი. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 92-96.

[51] ნ.ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 69-70.

[52] Еремян С.Т. Ашхарацуц-Армянская география VII в. - Вестник обществ. наук. АН Арм. ССР, 1968, №5, с.43-60; Культура раннефеодальной Армении (IV-VII в.), Ереван, 1980, с. 231-234.

პოლიტიკური ვითარება აქ სრული დამაჯერებლობით არაა წარმოდგენილი.

ამრიგად, მთავარ საყრდენს ისევ ამიანე მარცელიანეს ცნობა წარმოადგენს - ლაზიკასა და რომის სამფლობელოთა უშუალო მეზობლობა და ჭანეთის მხარის ლაზიკისადმი დაქვემდებარება არც IV საუკუნეში და არც შემდგომ საკარაუდო არაა. რაც შეეხება ჭანეთის ზღვისპირა ზოლს და აქაურ ბუნქტებს (მაგალითად რიზეს, ათინას), ისინი კვლავ რომის გამგებლობაში იმყოფებოდნენ. საკარაუდოა, რომ რომი არც აფსაროსის ციხესიმაგრეს შეელეოდა და იგი კვლავ კაბადოკიის რომაული პროვინციის იურისდიქციაში რჩებოდა. ასე იყო ადრეც და ასეა ბიზანტიური წყაროებითაც (V ს ანონიმი, პროკოპი კესარიელი, აგათია). ამდენად, არა გვაქვს საფუძველი რომელიმე პერიოდში სანაპიროს ეს მონაკვეთი ეგრის-ლაზეთს მივაკუთვნოთ. მაშასადამე, აჭარის სამხრეთი ზონა კვლავ რომის უშუალო გამგებლობაში იყო, ხოლო ბათუმქობულეთის მხარე ეგრისის სამეფოში შედიოდა.

ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო IV საუკუნეში ჩრდილოეთ კოლხეთსაც იქვემდებარებს: 389-395 წლებს შორის ლაზთა მეფეები იმორჩილებენ მაღალმთიან სვანეთს, რასაც წინ უსწრებდა აფსილების, აბაზგების და მისიმიანთა სვანური ტომების, აგრეთვე ლეჩხუმის დაქვემდებარება.[53] ლაზიკის სამეფოს ტერიტორია აღმოსავლეთის მიმართულებითაც გაფართოდა. ქართლთან საზღვარი გადიოდა ციხე-ქალაქ შორაპანსა და სკანდაზე, ამასთან უკანასკნელნი, ოდესღაც ქართლის კუთვნილნი, IV ს-დან უკვე ეგრისის შემადგენლობაში არიან.[54]

ამრიგად, IV ს მიწურულისათვის დასრულდა ეგრისის სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. მისი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროზე გაგრა-ბიჭვინტის რაიონიდან მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე ვრცელდებოდა; აღმოსავლეთით ის ლიხის მთამდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა მერმინდელ აფხაზეთს და სვანეთს.

ისტორიული აჭარა, ზღვისპირა მაინც, ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. სად გადიოდა ზუსტად საზღვარი ლაზიკასა და რომის კუთვნილ ტერიტორიებსა თუ ჭანეთს შორის - მდ.ჭოროხზე თუ უფრო სამხრეთით, ძნელი სათქმელია. ზოგადად ლაზიკის სამხრეთი საზღვარი ჭოროხის შესართავის სექტორზე, ან ცოტა უფრო სამხრეთით უნდა ვივარაუდოთ.

როდესაც ამ პერიოდის აჭარაზეა საუბარი, ისტორიის გვერდით, ცხადია, გვაინტერესებს ამ მხარის ეკონომიკური ვითარებაც. სამწუხაროდ წერილობითი წყაროები არაფერს გვატყობინებენ კონკრეტულად ამ რეგიონის სამეურნეო განვითარების შესახებ, მეტად მწირია ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალაც.

მართალია, აფსაროსის ციხე III-IV სს-ში თითქოს ლაზიკის ფარგლებს გარეთ, ჯერ მახელონიის, შემდეგ კი კაბადოკიის პროვინციის შემადგენლობაში ჩანს, მაგრამ რამდენადაც ის ისტორიული აჭარის მიწა-წყალს განეკუთვნება, მოკლედ მის შესახებაც ვისაუბრებთ. არიანეს დროს მნიშვნელოვან ზღვისპირა ბუნქტად და ამ რეგიონში რომაელთა ერთ-ერთ მთავარ საყრდენ სიმაგრედ წარმოდგენილი აფსაროსი, როგორც ჩანს, არც შემდგომ კარგავს თავის დანიშნულებას და როლს. III ს-ში გუთების თავდასხმის შედეგად, როგორც ვარაუდობენ, იგი უნდა დაზარალებულიყო, მაგრამ III ს ბოლოს თუ IV ს დასაწყისში კვლავ აღდგენილი ჩანს.[55]

---

[53] ს.ჯანაშია. ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, გვ. 317-318; ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 70-72.

[54] Procop. De BG, VIII, 13; Ломоури Н.Ю. Западная Грузия-Эгриси (Лазика) в IV-V вв. - Очерки истории Грузии, II, Тбилиси, 1988, с. 113.

[55] გ.ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი, 1991, გვ. 62.

მართალია, მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ არქეოლოგიურად IV საუკუნიდან აქ კვლავ რომაული ბანაკი ჩანს.[56] ამას გარდა, იგი სახელწოდებით „აფსარო" (Apsaro) დადასტურებულია IV ს საგზაო რუკაზე, რომელიც რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ იყო შედგენილი და ლიტერატურაში, მისი პირველი შემსწავლელის კონრად პევტინგერის სახელით, „პევტინგერის ტაბულის" სახელითაა ცნობილი. ამ რუკაზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისაკენ მიმავალ გზაზე აღნიშნულია ბუნქტი აფსარო; თანაც, იგი უბრალო სადგურად კი არაა წარმოდგენილი, არამედ ორი კოშკით, როგორც ამ რუკაზე ჩვეულებრივ ქალაქებია აღნიშნული; ნიშანდობლივია, რომ ასეთი პირობითი ნიშნით ამ გზაზე, აფსაროსის გარდა, მხოლოდ ტრაპეზუნტი და სებასტოპოლისია აღნიშნული, რაც მის გამორჩეულ მნიშვნელობაზე და მასშტაბებზე მიუთითებს.[57]

პევტინგერის ტაბულაზე „ამ გზაზე მითითებულ ბუნქტთაგან აღსანიშნავია Portus Altus, რომელიც აფსაროსის შემდეგ არის რუკაზე მოთავსებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ქალაქი უნდა დაუკავშირდეს „პერიპლუსში" დასახელებულ მდ. ბათისს (Batus), რომელიც პლინიუსის „ბუნების ისტორიაშიც" ამავე ადგილას არის დასახელებული.[58] ს.ყაუხჩიშვილის აზრით, რამდენადაც ეს სახელწოდება აშკარად გავს ქართულ „ბათუმს", ეს მდინარე ბათუმის ახლოს ზღვაში ჩამდინარე რომელიღაც მდინარეს, შესაძლოა ყოროლისწყალს დაუკავშირდეს. ამავე მიდამოებზე უნდა მიუთითებდეს „პევტინგერის ტაბულის" Portus Altus, რამდენადაც ლათინური სიტყვა Altus აგრეთვე ღრმას ნიშნავს; მაშასადამე, მდ. ბათისის შესართავთან ყოფილა ამავე სახელწოდების ნავთსადგურიც ან ქალაქიც და ამდენად სავარაუდოა, აქ ბათუმი იგულისხმებოდეს.[59]

იყო მოსაზრება, რომ, რამდენადაც ბათუმის ტერიტორიიდან ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა არ არის, შესაძლოა აქ რეალურად ფიჭვნარის ნაქალაქარი იგულისხმებოდეს.[60] დღეს კი, უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მოხდა ამ მოსაზრების კორექტირება და გამოითქვა ვარაუდი, რომ „პორტუს ალტუს" მერმინდელი ციხისძირია, ანუ ბიზანტიური წყაროების ბეტრა. საქმე იმაშია, რომ სიტყვა altus „ღრმასაც" ნიშნავს და „მაღალსაც", „მაღლა მდებარესაც". ეს მინიშნება კარგად ეთანხმება ციხისძირის ქალაქური ტიპის დასახლების ციტადელის მდებარეობას, მით უფრო, რომ ამჟამად ჩვენ ციხისძირიდან არქეოლოგიური მასალაც გაგვაჩნია.[61] ციხისძირში აღმოჩენილია სხვადასხვა ხასიათის ძეგლები - სასახლის კომპლექსი, ძველი აბანოები, მარანი, ნაირსახოვანი კერამიკული ნაწარმი, მინის ჭურჭელი, სამარხები, რომლებიც მოწმობენ, რომ ყოველ შემთხვევაში IV ს-ში, თუ უფრო ადრე არა, აქ მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლება ყოფილა.[62]

გამოითქვა ვარაუდი, რომ ახ.წ. II-III სს ციხისძირში უკვე არსებობდა კოშკი ან რაღაც

---

[56] ბ.ინანიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (1959-1971). - სდსძ, III, 1973, გვ. 8,30.

[57] Itineraria Romana, Romische Reiswege an der Hand der Tabula Pentingeriana, Stuttgardt, 1916; ნ.ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. - იიშ, IV, ნაკ. I, 1958, გვ. 101, სვგმ. X-XI. აქვე ლიტერატურა.

[58] Plinius, Natur, historia, VI, 12.

[59] ს.ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. - ქუთაისის პედინსტიტ. შრომები, X, 1950-51, გვ. 17-23; შეად. გეორგიკა, 2, გვ. 21-23.

[60] ნ.ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 81-82.

[61] იხ. ნ.ინანიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993, აქვე ლიტერატურა.

[62] იქვე, გვ. 114-118.

გამაგრება, რომელიც აფსაროსის ციხის ფორპოსტი იყო და იქ რომაული რაზმიც იდგა. ამგვარი დასკვნის საფუძველს თითქოს იძლევა ციხისძირის ზედაციხის კალთაზე, საყანეში ნაპოვნი დამღიანი აგური, რომელსაც აწერია VEXFA. ვ.ლექვინაძემ ეს დამღური წარწერა გაშიფრა როგორც რომაული ლეგიონების სახელწოდება - Fulminatae Apollinaris და ამ საფუძველზე პეტრა-ციხისძირში ამ ლეგიონების ჯარისკაცთა დგომა ივარაუდა.[63] სხვაგვარად წაიკითხა ეს დამღა მ.შაიდელმა; მისი აზრით, წარწერა უნდა იკითხებოდეს როგორც VEXILLATIO FASIANA და მიუთითებს ამ აგურის დამზადებაზე ფასისში მდგარი საშხედრო ნაწილის (VEXILLATIO) სახელოსნოში.[64]

ერთადერთი აგურის და სხვაგვარად წაკითხულ-გააზრებული დამღის მიხედვით საეჭვო ჩანს ციხისძირში რომაული გარნიზონის ან, თუნდაც, მცირე რაზმის დგომა. II საუკუნისთვის ამგვარი რამ საერთოდ გამორიცხულია, რამდენადაც ეს ტერიტორია ამ დროს იბერიას ანუ ქართლს ეკუთვნოდა. დამღიანი აგური აქ შეიძლება სულ შემთხვევითაც მოხვედრილიყო, მაგრამ ერთი უდავოა: IV საუკუნისთვის ციხისძირი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქური ტიპის დასახლებულ პუნქტად ყალიბდება. არქეოლოგიურმა გათხრებმა თვით ციხისძირის ბორცვზედაც და მის ჩრდილოეთით დაბლობში (ბობოყვათის მიდამოებში) გამოავლინა არქიტექტურული ნაგებობები (აბანოები, სასახლე, მარანი, წყალსადენები, ეკლესიები), კერამიკული და მინის ნაწარმი, სამაროვანი, ნუმიზმატიკური მასალა, რაც ძირითადად IV-VI საუკუნეებით თარიღდება. ცნობილია ციხისძირის მიდამოებში აღმოჩენილი მდიდრული „განძი", რომელიც II ან III საუკუნეებით თარიღდება.[65] ყოველივე ეს მოწმობს, რომ III-IV საუკუნეებში აქ მზადდებოდა ნიადაგი ისეთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის ჩამოყალიბებისთვის, როგორიც აქ VI საუკუნეში გვაქვს დადასტურებული ქ.პეტრას სახით. აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა და მინის ნაწარმი, სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი და მონეტები მოწმობენ აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან და შავიზღვისპირეთის ცენტრებთან საკმაოდ ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობას. მეორე მხრივ, ამ დასახლებაში არსებული არქეოლოგიური მასალა ორგანულ კავშირშია ლაზეთის (ეგრისის) თანადროულ ძეგლებთან (სოხუმი, ბიჭვინტა, წებელდა, ნოქალაქევი), რაც ადასტურებს ამ პუნქტის ორგანულ ეთნო-კულტურულ ერთობას სწორედ ეგრისის დანარჩენ ოლქებთან.

ამგვარად, III-IV საუკუნეების აჭარის ტერიტორია ადმინისტრაციულად ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაშია და ეკონომიკური თუ კულტურული განვითარებითაც ამ ქვეყნის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

---

[63] Леквинадзе В.А. Римский кирпич со штампом из Цихисдзири. - საქ.მეცნ.აკადემიის მოამბე, XV, 3, 1967, გვ. 797-800.

[64] ბ.შაბიდელი, კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფაზისში. - „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №1, გვ. 138-140.

[65] ნ.ინანიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 42-116.

§2. სამეურნეო ყოფა და საგარეო კავშირები

ახ.წ. I-IV სს-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამეურნეო ცხოვრების შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ელინისტური პერიოდისა და ბიზანტიური წერილობითი წყაროების მონაცემების, აგრეთვე, არქეოლოგიური მასალების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავადასტუროთ, რომ რომაულ ხანაშიც კოლხეთის ეკონომიკის საფუძველს კვლავ სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა.

ახ.წ. I-IV სს და მომდევნო პერიოდი საქართველოს ზღვისპირეთში ელინისტური ხანისაგან აშკარად განსხვავებული და მეურნეობის წარმოებისათვის საკმაოდ არახელსაყრელი ხანაა. საქმე იმაშია, რომ საყოველთაო დათბობის გამო ძვ.წ. II საუკუნიდან დადგა ახალი ზღვური ტრანსგრესიის ხანა (ე.წ. ლაზური ტრანსგრესია), როცა მსოფლიო ოკეანის დონე 3-5 მეტრით ამაღლდა და აკუმულაციური დაბლობის ზღვისპირა ზოლი დააჭაობა (იხ. აქვე, შესავალი §2). ამის გამო არსებობა შეწყვიტა ანონიმურმა ანტიკურმა ქალაქურმა დასახლებამ ქობულეთ-ფიჭვნარში (ძვ.წ. V-II სს) და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ქალაქების უმრავლესობამ.

აჭარის ტერიტორიაზე ლაზური ტრანსგრესიის ამ მონაკვეთში (ახ.წ. I-IV სს) ვადასტურებთ მეურნეობის ტრადიციული დარგების შემდგომი აღმავლობის სურათს, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგი კვლავაც სოფლის მეურნეობაა, თავისი ისეთი ტრადიციული დარგებით, როგორიცაა მიწათმოქმედება (მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა და ა.შ.) და მესაქონლეობა (მთისა და ბარის საძოვრებით). შემდგომ წინაურდება მრავალდარგობრივი ხელოსნობა (მჭედლობა, ოქრომჭედლობა, მეთუნეობა, მშენებლობა და სხვ.), სადაც შეინიშნება დარგსშიდა სპეციალიზაცია. კერძოდ, მჭედლობაში უნდა გამოვყოთ საბრ ოლო იარაღის და სამეურნეო აღჭურვილობის, მეთუნეობაში - კრამიტისა და აგურის, წყალსადენი მილების, სამეურნეო და საოჯახო ჭურჭლის, ოქრომჭედლობაში სამკაულის, თვლების დამზადება და ა.შ.

სამეურნეო საქმიანობის აქტიურ უბნად კვლავაც რჩება მეთევზეობა, მათ შორის რეწვა და ნადირობა.

უნდა ითქვას, რომ რომაელთა მმართველობა და სამეურნეო კულტურა გარკვეულ გავლენას ახდენდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაზე, რაც ფრაგმენტულადაა ასახული წერილობით წყაროებში და არქეოლოგიურ მონაპოვარში.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახ.წ. I-IV სს მატერიალური კულტურის ძეგლები ჯერჯერობით მთლად საკმარისი როდია კოლხეთის ამ მნიშვნელოვანი რეგიონის სამეურნეო ცხოვრებისა და საგარეო კავშირურთიერთობათა სხვადასხვა საკითხის დეტალების განსახილველად. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის არქეოლოგიური მასალების აღმოჩენა უმთავრესად დაკავშირებულია ციხისძირთან და გონიოსთან (სურ. 86-95). უკანასკნელი ახ.წ. I ს მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებდა როგორც რომაული ციხე-სიმაგრე (კასტელუმი) აფსაროსი, სადაც 1961 წ გამოვლენილი იყო ნაგებობათა ნაშთები და არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოიცავ-

და ფართო ქრონოლოგიურ პერიოდს - ძვ.წ. I საუკუნიდან მოკიდებული გვიანშუასაუკუნეების ჩათვლით. ამ დროსვე მოპოვებულ იქნა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის იმპორტული კერამიკული ნაწარმის - წითელლაკიანი კერამიკისა და ამფორების - საყურადღებო ნიმუშები.[1] არქეოლოგიური გათხრები მართალია გაგრძელდა 1969-1970 წწ, მაგრამ იმ დროს ძირითადად ადრე და გვიანი შუასაუკუნეების მასალები იყო გამოვლენილი.

1995 წელს გონიო-აფსაროსის შესწავლაში ახალი ეტაპი დაიწყო. განხორციელდა სისტემატური, ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები, გამოვლენილია ახ.წ. I-IV სს კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავს ნაგებობათა ნაშთებს, თერმებს, გარნიზონის ყაზარმას, ადმინისტრაციულ შენობებს, წყალსადენისა და კოლექტორების სისტემებს, ტრადიციულ არქეოლოგიური მასალა, რომელშიც წამყვანია სამეთუნეო ნაწარმი (სამშენებლო კერამიკა, სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი), აგრეთვე, მინისა და ლითონის ნაკეთობანი და მონეტები.[2]

გვიანანტიკური ხანის ცალკეული აღმოჩენები დაკავშირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებთანაც, როგორიცაა ციხისძირი, მახო, მახვილაური. ციხისძირი გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი იყო. მართალია, აქ ახ.წ. I-IV სს კულტურული ფენები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, მაგრამ მასთან დაკავშირებულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ისეთი შემთხვევითი აღმოჩენები, როგორიცაა ე.წ. ციხისძირის განძი, დამღიანი აგური (რომელიც მიუთითებს რომაული გარნიზონის ყოფნაზე ციხისძირში ახ.წ. III ს დასასრულიდან მაინც), აგრეთვე, ახ.წ. I-III სს რომაული მონეტები ბობოყვათის სანაპირო ზოლში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, როცა მონეტები აღმოჩნდა მოგვიანო პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში. გვიანანტიკური ხანის საყურადღებო მასალებია მოპოვებული, აგრეთვე, გონიო-აფსაროსის მახლობლად და მდ. ჭოროხის ქვემო დინების სხვა პუნქტებში. ესენია საიუველირო ნაკეთობათა განძი სოფ.მახოდან (სურ. 102) და ადრიანეს ვერცხლის მონეტა სოფ. მახვილაურიდან. ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება ძვირფასი ნივთებისაგან შედგენილი განძი, რომელიც 1974 წ აღმოჩნდა გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულ მთის ფერდობზე. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში „გონიოს განძის“ სახელწოდებით შევიდა. გონიოს, ციხისძირისა და მახოს განძები საიუველირო ხელოვნებისა და მხატვრული ხელოსნობის მრავალ შესანიშნავ ნიმუშს შეიცავს (იხ.თავი VIII, §3).

ახ.წ. I-IV სს ანტიკურ სამყაროსთან ჩვენი რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნუმიზმატიკურ მასალებს და იმპორტულ ნაწარმს, გამორჩეულად - ამფორებს.

ყველაზე ადრეული რომაული მონეტები, როგორც მოსალოდნელი იყო, მოგვცა უახლესმა აღმოჩენებმა გონიო-აფსაროსში (სურ. 104). რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფს შეადგენს ანტიოქიის მონეტები, რომელთა ზურგზე მოთავსებულია აბრევიატურა SC (სენატის დადგენილება). ჯერჯერობით აღმოჩენილია ექვსი მონეტა, მათგან ორი ცალი ნერონის (54-68 წწ) სახელითაა მოჭრილი, ერთი - დომიციანესი (81-96 წწ), სამი მათგანის ზუსტი ატრიბუცია ვერ ხერხდება, მაგრამ ისინიც I ს მეორე ნახევრით თარიღდება და ანტიოქიას ეკუთვნის, რომელიც თავისუფალი

---

[1] **ა.ბერძენიშვილი, დ.ხახუტაიშვილი.** რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. - სდსძ, I, თბილისი, 1964, გვ. 29-96, ტაბ. XX, ა-XXX.

[2] **დ.ხახუტაიშვილი, ა.კახიძე, შ.ბამბულაძე, ნ.ინანიშვილი, ზ.ხალვაში, გ.ჯაფარიძე, ნ.აფსარაგა, ალ.ნონეშვილი.** გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია 1996 წელს. - კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბილისი, 1997, გვ. 49. გონიო-აფსაროსი II, III, IV, V, VI და შმდ.

ქალაქის სტატუსით ძვ.წ. 64 წელს შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. აბრევიატურა SC ანტიოქიის მონეტებზე ჩნდება ოქტავიანე ავგუსტუსის დროიდან. მსგავსი მონეტები საქართველოში სხვაგან ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ გონიო-აფსაროსში მათი აღმოჩენა საეჭვოა კანონზომიერია, ვინაიდან აფსაროსის ციხე-სიმაგრეს იხსენიებდა პლინიუს უფროსი, რომელმაც თავისი ნაშრომი ახ.წ. 77 წელს დაასრულა.[3] როგორც ჩანს, ანტიოქიაში მოჭრილი მონეტებით მარაგდებოდა აფსაროსში ჩაყენებული გარნიზონი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და შესაძლოა, II ს. დასაწყისშიც, საყურადღებოა ისიც, რომ გონიოში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მონეტა ნერონს ეკუთვნის. მართებული ჩანს ნ.ლომოურის ვარაუდი, რომ კოლხეთის ზოგიერთ პუნქტში მაინც, რომაული გარნიზონი სწორედ ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო.[4]

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომლებიც გონიოში ხუთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ესენია: ტრაიანეს (98-117 წწ) სპილენძის მონეტა (ერთი ცალი), ადრიანეს (117-138 წწ) ერთი ვერცხლისა და ორი სპილენძის საფასე და სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ) ნახევარდრაქმიანი. ციხისძირში კი მოპოვებულია დომიციანეს, ადრიანეს, ანტონინუს პიუსისა (138-161 წწ) და სეპტიმიუს სევერუსის სახელით მოჭრილი კესარიული დრაქმები. ციხისძირის კოლექციაში რაოდენობრივად სჭარბობს სეპტიმიუს სევერუსის მონეტები (3 ცალი). სხვები კი თითო ცალითაა წარმოდგენილი. ამასთან დომიციანესა და ადრიანეს მონეტები დიდრაქმებია, დანარჩენები კი დრაქმები.[5]

კაპადოკიის კესარია იმპერატორ ტიბერიუსის (14-37 წწ) დროიდან დიდ საიმპერატორო ზარაფხანად იქცა, რომელიც ამზადებდა როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტებს. სამხედრო საჭიროების ზარაფხანისათვის მოსახერხებელი ადგილმდებარეობის გამო იმპერატორმა ტრაიანემ მცირე აზიის სამონეტო ცენტრი დასავლეთიდან კესარიაში გადმოიტანა. აქ მოჭრილი მონეტები რომის აღმოსავლეთ პროვინციებში ცირკულაციისათვის იყო განკუთვნილი.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონები კაპადოკიის სარდლობას ექვემდებარებოდა, ამიტომ კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში კესარიულ მონეტებს გაბატონებული ადგილი ეკავათ. კესარიული მონეტების საქართველოში გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოებია I ს ბოლო - III ს დასაწყისი. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული კესარიული მონეტა (ციხისძირი) დომიციანეს სახელითაა მოჭრილი. სწორედ ამ იმპერატორის დროიდან ვრცელდება ეს მონეტები საქართველოში.[6] ყველაზე მეტი კესარიული ვერცხლის მონეტა სევერუსთა ხანისაა და III ს პირველი ნახევრით თარიღდება. როგორც ჩანს, აღნიშნული მონეტები უფრო გვიანაც იყო მიმოქცევაში. ამისი მოწმობაა ადრიანესა და გორდიანე III (238-244 წწ) მონეტების ერთად აღმოჩენის ფაქტი გონიოში, ხოლო ადრიანეს დიდრაქმისა - ციხისძირის საძაროვანზე, IV ს სამარხეულ კომპლექსში. კესარიული მონეტების საქართველოში აღმოჩენის ტოპოგრაფია საკმაოდ ფართოა. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარდა, ისინი აღმოჩენილია ურეკში, სუფსაში, ვანში, ნოქალაქევში, სეფიეთში, წებელდაში, სოხუმში, ბიჭვინტაში. გარდა ამისა, ცნობილია, აგრეთვე,

---

[3] გონიოში მოპოვებული რომაული მონეტები განხილულია ნაშრომში: ირ.ჯარშალომიძე. ანტიკური (რომაული) ხანის მონეტები გონიო-აფსაროსიდან. 1997 წლის წლიური ნაშრომი. ინახება ბსკი-ის არქეოლოგიის განყოფილების არქივში. მისივე, რომაული ხანის მონეტების გაძარცვა გონიო-აფსაროსიდან. - ძიებანი, 5, 2000, გვ. 81-83.

[4] ნ.ლომოური, რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. რომაელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. - იხ. ზემოთ, თავი VII, §4, გვ. 10. შდრ.; Леквинадзе В.А. Понтийский лимес. - ВДИ, 1969, №2, сс. 75-90.

[5] ნანაშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993, გვ. 98-113, ტაბ. XLI-XLII.

[6] Голенко К.В. Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, 1964, с. 28.

მათი განძები, კერძოდ, გერზეულის, ეკის (მასში 907 მონეტიდან 771 კესარიულია) და ნაბაკევის განძები.[7] კესარიული მონეტები საქართველოში საზღვაო გზით ტრაპეზუნტიდან შემოდიოდა, რომელიც დიდი როლს თამაშობდა რომის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში. მონეტები შემოპქონდათ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებში, საიდანაც ქვეყნის სიღრმეში ვრცელდებოდა.

ახ.წ. II-III სს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კესარიულ მონეტებთან ერთად მიმოქცევაშია რომაული დენარები, თუმცა, მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. გონიოს მასალებში წარმოდგენილია ორი რომაული დენარი, რომლებიც მოჭრილია ფაუსტინასა (141 წ) და სეპტიმიუს სევერუსის (?) სახელით.[8] ციხისძირში კი აღმოჩენილია კარაკალასა (211-217 წწ.) და გორდიანე III (238-244 წწ.) ვერცხლის მონეტები. აღნიშნული საფასეებიც შავიზღვისპირეთში მცირე აზიის ქალაქებიდან ვრცელდებოდა.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებს, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბიჭვინტა-ლიძავისა და სოხუმის ტერიტორიაზე. აჭარაში უკანასკნელ დრომდე ცნობილი არ იყო მსგავსი მონეტები (ციხისძირში მათ არ არსებობას მოეძებნა შესაძლებელი ახსნა იმით, რომ ტრაპეზუნტმა სამონეტო ემისია შეწყვიტა 249 წელს, ხოლო რომაული გარნიზონის გაჩენა ციხისძირში ივარაუდება III საუკუნის ბოლოს),[9] მაგრამ როგორც კი გონიოაფსაროსში გაითხარა შესაბამისი პერიოდის კულტურული ფენები, ტრაპეზუნტის მონეტებმაც მაშინვე იჩინა თავი. გონიოში ისინი წარმოდგენილია კომოდუსის (180-192 წწ.), სეპტიმიუს სევერუსისა და ტრანკულიანას[10] (238-244 წწ.) საფასეებით.[11] მეტად საყურადღებოა კომოდუსისა და სეპტიმიუს სევერუსის ის მონეტები, რომელთაც ზურგზე მითრა-მხედარია გამოსახული.

ტრაპეზუნტის მონეტებს ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების რიცხვს მიაკუთვნებენ, კერძოდ კი მითრას იკონოგრაფიასთან დაკავშირებით გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება, რომ ტრაპეზუნტში მითრას კულტის გამარჯვებისათვის ქართული ეთნიკური საფუძველი არსებობდა. მითრას გამოსახულების მქონე მონეტებს პარალელი არ ეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმიზმატიკაში, სამაგიეროდ, მსგავსი გამოსახულების მქონე, ადგილობრივად დამზადებული ჭრილა ქვები აღმოჩენილია საქართველოში (მცხეთა-სამთავრო, ურბნისი, ქუთაისი). ტრაპეზუნტის მონეტების ზურგზე გამოსახულ მითრა-მხედარს ასტრალურ ღვთაებათა (მზე, მთვარე, ვარსკვლავი) უნიფიცირებულ სახედ მიიჩნევენ და ქართველურ სამყაროში წმინდა გიორგის კულტის უშუალო წინამორბედად თვლიან.[12]

ტრაპეზუნტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უდიდეს როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული გარნიზონების მომარაგების საქმეში. იგი რომაელთა სამხედრო ფლოტის მთავარ ბაზას წარმოადგენდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ტრაპეზუნტი გვევლინება მონეტების მთავარ მიმწოდებლად შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ბუნქტებისათვის.

გონიოს ნუმიზმატიკურ მონაპოვარში ყურადღებას იქცევს გორდიანე III სახელით ქ.სი-

---

[7] **გ.დუნდუა.** საქართველოს სამონეტო განძები, თბილისი, 1979.

[8] **ირ.გარშალომიძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 4-5, 12.

[9] **ნინაშვილი.** დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[10] გორდიანე III-ის შეუღლე.

[11] **ირ.გარშალომიძე.** დასახ. ნაშრ., გვ. 4-8, 12-15.

[12] **გ.დუნდუა.** კიდევ ერთხელ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ. - დიდი პიტუნტი, II, თბილისი, 1977, გვ. 343-347.

ნოპეში მოჭრილი სპილენძის საფასე.[13] სინოპური მონეტები ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა კოლხეთში, მაგრამ რომაულ ხანაში ისინი თითქმის არ გვხვდება. სხვა არქეოლოგიური მასალის, კერძოდ ამფორების, მიხედვით ჩანს, რომ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა სინოპესთან გვიანანტიკურ ხანაშიც გრძელდებოდა. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია ხსენებული სინოპური მონეტის აღმოჩენა გონიოში.

III ს ბოლოსა და IV ს დასაწყისს მიეკუთვნება ციხისძირში აღმოჩენილი სამი სპილენძის მონეტა, მათგან ორი დიოკლეტიანეს (284-305 წწ), ხოლო მესამე კონსტანციუს I (293-306 წწ) სახელითაა მოჭრილი. კონსტანციუს I მონეტა ქიზიკის ზარაფხანაშია დამზადებული, ხოლო დიოკლეტიანეს მონეტებზე ზარაფხანის სახელი არ იკითხება.[14] როგორც ჩანს, ისინი ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მონეტების უმრავლესობა, რომაული აღმოსავლეთის ზარაფხანებიდან უნდა იყოს გამოსული.

ამრიგად, დღესდღეობით არსებული ნუმიზმატიკური მასალა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. I-III სს სამონეტო მიმოქცევის შემდეგ სურათს გვიხატავს: I ს განეკუთვნება ანტიოქიაში მოჭრილი სპილენძის მონეტები და ერთი ცალი კესარიული ვერცხლის მონეტა; II ს ნუმიზმატიკურ მონაპოვარში წამყვანია კესარიული ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, თითო ცალია რომსა (დენარი) და ტრაპეზუნტში მოჭრილი (სპილენძი) საფასეები; III ს პირველი ნახევრის მონეტებში კვლავ ჭარბობს კესარიული ვერცხლის მონეტები, მაგრამ მათთან ერთად გვხვდება რომაული დენარები, ე.წ. ანტონინიანები, აგრეთვე, ქალაქ ტრაპეზუნტისა და ქალაქ სინოპეს სპილენძის მონეტები. III ს დასასრული წარმოდგენილია სპილენძის მონეტებით, რომელთაგან ერთ-ერთი ქიზიკის ზარაფხანაშია მოჭრილი.

სპილენძის მონეტები ძირითადად კოლხეთის სანაპირო ქალაქებში და იმ პუნქტებში იყო გავრცელებული, სადაც რომაული გარნიზონები იდგა, ქვეყნის სიღრმეში კი ძირითადად ვერცხლის მონეტები მიმოიქცეოდა. ამის მოწმობაა კოლხეთის შიდა რაიონებში აღმოჩენილი კესარიული ვერცხლის მონეტების მრავალრიცხოვანი განძები. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მონეტები ხანგრძლივად იყო მიმოქცევაში, რასაც ადასტურებს მათი აღმოჩენა გაცილებით გვიანდელ, კერძოდ, IV-VI სს სამარხეულ კომპლექსებში.[15]

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კერამიკულ ტარას (ამფორებს). ციხისძირის მონაპოვარში ახ.წ. I-III სს ამფორების ნიმუშების გამოყოფა არ ხერხდება, ხოლო გონიო-აფსაროსმა უკანასკნელ წლებში მოგვცა 30-მდე სახეობის ამფორათა ფრაგმენტები, რომლებიც, ზოგადად, ძვ.წ. III-II - ახ.წ. VI-VII სს ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. მათგან ელინისტურ ხანას განეკუთვნება მხოლოდ რამოდენიმე ნიმუში, ძირითადი მასა კი რომაული ხანისაა და თარიღდება ახ.წ. I ს მეორე ნახევრითა და III ს დასასრულით. ახ.წ. I ს განეკუთვნება კოსის (შეწყვილებულყურიანი ამფორების გვიანდელი ვარიანტები), იტალიკური (ქიმისებურშეყრილიანი ყურებით) და როდოსული ე.წ. ძაბრისებრპირიანი ამფორები. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით როდოსული ამფორების ფრაგმენტები გვხვდება, ხოლო კოსური და იტალიკური ნაწარმი მხოლოდ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ახ.წ. II-III სს სამეთუნეო ნაწარმში წამყვანი ადგილი უკავია მცირეაზიულ, განსაკუთრებით კი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში დამზადებულ კერამიკულ ტარას. მათ შორის რაო-

[13] ორ.გარშალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 15-16.
[14] ნინოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106-107.
[15] ნინოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81-86.

დენობრივად და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან სინობური ამფორები. აფსაროსში აღმოჩენილია რომაული ხანის სინობური ამფორების შვიდი ტიპი, რომელთაგან ორი აქამდე უცნობი იყო.[16] ასეთი სიჭარბე კანონზომიერია, ვინაიდან სინობე ამ დროს აღმოსავლეთ ბონტოში განლაგებული რომაული ჯარების მთავარი მომმარაგებლის ფუნქციას ასრულებდა.

რომაულ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სინობეს კვლავ გააქტიურება თვალსაჩინოა სხვა რიგის მასალებითაც. კერძოდ, სინობური ამფორების მრავალრიცხოვან ფრაგმენტებთან ერთად გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია სინობური, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტებისა და ლუთერიების ფრაგმენტებიც.

სინობურთან ერთად გონიო-აფსაროსში სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრების სამეურნეო ნაწარმიცაა წარმოდგენილი, მაგრამ სინობური ნაწარმისაგან განსხვავებით, რომლის თიხა ადვილად გამოსაცნობია, დანარჩენი ცენტრების ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, რაც დაკავშირებულია გვიანანტიკურ ხანაში სამეურნეო წარმოებაში მომხდარ ტექნოლოგიურ ძვრებთან, რის გამოც ამ ცენტრების ნაწარმის გამოსაცნობი ნიშნები კლებულობს. გარდა ამისა, აღნიშნული პერიოდის რომაული ამფორები გაცილებით სუსტად არის შესწავლილი, ვიდრე წინარე პერიოდისა.

ახ.წ. I-IV სს არქეოლოგიურ მასალებში წამყვანია სამხრეთ შავიზღვისპირეთის ნაწარმი, გაცილებით ნაკლებია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების (კოსი, როდოსი) კერამიკული ტარა. ნათელი ხდება, რომ აფსაროსში, რომაულ ხანაში და შემდგომ, ბიზანტიურ ხანაშიც, კერამიკული ნაწარმის ეს სახეობა და მასთან ერთად სატრანზიტო საქონელი (პური, ზეთი, ღვინო) ძირითადად სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებიდან შემოდიოდა.

ახ.წ. I-IV სს იმპორტულ ნაწარმში გარკვეული ადგილი ეჭირა წითელლაკიან კერამიკას, რომელიც სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლების - ჯამების, ლანგრების, თეფშების, მოძცრო დოქებისა და ბალზამარიების ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ამ ტიპის კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში.[17] განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიოში 1961 წელს აღმოჩენილი წითელლაკიანი ჯამი, რომლის ფსკერზე მოცემულია ფიგურული დამღა - სანდლიანი მარჯვენა ფეხის გამოსახულება. მსგავსი დამღები ახ.წ. I ს მეორე მესამედიდანაა გავრცელებული. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის ნიმუშები მცირეაზიულ სახელოსნოებში (პერგამი, სამოსი) უნდა იყოს დამზადებული, რასაც მათი თიხის შედგენილობა და კეცი გვაფიქრებინებს.[18]

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია ტიპიური რომაული ჭურჭლები - ლუთერიები. თიხის მიხედვით ისინი სინობურ და პერაკლეის პროდუქციას განეკუთვნებიან. გვხვდება აგრეთვე ყავისფერკეციანი ადგილობრივი მინაბაძებიც.[19]

გონიო-აფსაროსის გათხრებისას მოპოვებულია ტერაკოტა მამაკაცის თავის გამოსახულებით (სურ. 103).[20]

---

[16] **მ.ხალგაში**, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან (რეფერატი). - ინახება ბსკის-ის არქეოლოგიის განყოფილების არქივში; **მ.ხალგაში**, სინობური ამფორები გონიო-აფსაროსიდან. - გონიო აფსაროსი II, ბათუმი, 2002, გვ. 37-41.

[17] **ტ.ბერაძე**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გიანლინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). - გონიო-აფსაროსი, VI ბათუმი, 2005.

[18] **ა.გაგელიშვილი, დ.ხახუტაიშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 65-69, ტაბ. XXII, 1, XXIII,1.

[19] **ტ.ბერაძე**, დასახ. ნაშრ.

[20] **ა.კაკიძე, შ.ბაბულაძე**, სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1998 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. - გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი, გვ. 58, ტაბ. XLI,2

გონიო-აფსაროსში მოპოვებულ იმპორტულ ნაწარმში გამოიყოფა თიხისა და ბრინჯაოს ჭრაქები, რომელთაც იყენებდნენ როგორც საზოგადოებრივი, ასევე საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების გასანათებლად (სურ. 105.1, 3, 5). გონიოს თიხის ჭრაქები სადაა ან შემკულია მცენარეული ორნამენტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1961 წ მოპოვებული წითელლაკიანი ჭრაქი, რომლის ფარაკზეც რელიეფურად გამოსახულია მეომარი მორბენლის პოზაში. მას მარჯვენა ხელში სატყორცნი იარაღი უჭირავს, ხოლო მარცხენაში - ფარი. აღნიშნული ჭრაქი, ისევე როგორც თიხის ჭრაქების უმრავლესობა, ახ.წ. I-III სს მცირეაზიულ სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული. რაც შეეხება ბრინჯაოს ჭრაქებს, რომლებიც გონიოში 1997 წელს აღმოჩნდა, ისინი იტალიკური ნაწარმი უნდა იყოს. ერთ-ერთ მათგანზე მოცემულია ლათინური წარწერა[21] (სურ. 105.1).

თიხის ჭრაქებს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ანტიკური სამყაროს მთელ რიგ ტრადიციულ კერამიკულ სახელოსნოებში როგორც შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე საექსპორტოდაც, რაც განპირობებული იყო საგარეო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით. არსებობდა სპეციალიზებული სახელოსნოები, სადაც საგარეო ბაზრისათვის ჭრაქები დიდი რაოდენობით მზადდებოდა. ასეთი სახელოსნოები იყო ეფესოში, სამოსზე, ათენში, რომში და სხვაგან.[22]

ჭრაქის პატრუქს, ჩვეულებრივ, ლერწმის გულისაგან ამზადებდნენ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ კოლხეთში ამ მიზნით სელსა და კანაფს იყენებდნენ. საწეავად კი ზეითუნის ზეთს ან ქონს ხმარობდნენ. კოლხეთში ასევე დასაშვებია სელისა და კანაფის ზეთის,[23] აგრეთვე, დელფინის ქონის გამოყენება.

რომაული ხანის არქეოლოგიური მონაპოვრის საინტერესო ნაწილს წარმოადგენს მინის ჭურჭელი, რომლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა გონიო-აფსაროსში. ესენია სხვადასხვა ცენტრებში და სხვადასხვა ტექნიკით დამზადებული (ჩამოსხმა-ბრესირება, ფორმაში გამობერვა და თავისუფალი ბერვა) და განსხვავებულად შემკული მინის ჭურჭლების - ვერტიკალურწიბოიანი ფიალები (სურ. 106.1), მოზაიკური მინის ჭურჭლები, რელიეფურგამოსახულებიანი და ბერძნულწარწერიანი სასმისები, ოთხწახნაგა გრაფინისებური ჭურჭლები (კუბიკოსები), ბოთლები, სხვადასხვა ტიპის სანელსაცხებლეები (სურ. 106.2) და ჭიქები - ფრაგმენტები. აგრეთვე მინის ძაბრისა და ფრინველის ფორმის ჭურჭლის ნატეხები.[24]

ყურადღებას იქცევს ბრინჯაოსაგან დამზადებული სერაპისის ქანდაკების აღმოჩენა (სურ. 106.3).[25]

ამრიგად, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ახ.წ. I-IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა მთავარი გეზი მიმართული იყო სამხრეთისაკენ, ძირითადად, შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროსა და საერთოდ მცირე აზიისაკენ.

---

[21] Мамуладзе Ш.Х., Халваши М.С., Асланишвили Л.Г. Римские гарнизоны Апсара.- БРДИ, I, 2002, с. 36-37, рис.4,5.

[22] ნ.კილურაძე. ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. - დიდი პიტიუნტი, II, თბილისი, 1977, გვ. 211-223.

23 იქვე, გვ. 214.

[24] ო.შალიკაძე. გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. - გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი.

[25] ო.თოდუა. სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან. - ძიებანი, XV-XVI, 2005, გვ. 170-171.

§3. ნივთიერი კულტურა

ახ.წ. I საუკუნეში, როგორც ითქვა, კოლხეთი რომის მცირეაზიული პროვინციის ნაწილი გახდა, რამაც განაპირობა ამ ოლქებთან მისი ხანგრძლივი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. ამგვარ ურთიერთობას ღრმა ფესვები გააჩნდა ელინისტურ და უფრო ადრეულ ხანაშიც. ამიერიდან დასავლეთ საქართველო რომაული კულტურის გავლენის სფეროში მოექცა.

აჭარის ტერიტორიაზე ახ.წ. I-IV სს არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით სუსტადაა შესწავლილი. იმდროინდელი კოლხეთის კულტურული ცხოვრების წარმოსადგენად ძირითადად ჩვენს განკარგულებაშია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ციხისძირის განძი (1907 წლიდან ერმიტაჟის საგანძურში ინახება), გონიოს მახლობლად, სოფ.მახოში აღმოჩენილი საიუველირო ნივთების საინტერესო კომპლექსი (1964 წ) და საკუთრივ გონიოში აღმოჩენილი ოქროს ნივთების განძი, ე.წ. „გონიოს განძი" (1974 წ). ციხისძირის, მახოსა და გონიოს განძები მხატვრული ხელოსნობის (ოქრომჭედლობა, ტორევტიკა, გლიპტიკა-ნახევარადძვირფას ქვებზე გამოსახულებათა კვეთა) მრავალ ბრწყინვალე ნაკეთობას შეიცავს. საიუველირო, ტორევტიკისა თუ გლიპტიკის ნიმუშებზე მოცემული მითოლოგიური სიუჟეტები და ორნამენტული მოტივები იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავდა.

ხსენებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში[1] შემავალი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებულ სხვადასხვა ნაკეთობას წარმოადგენს, შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: სამკაული, ჭურჭელი, ტანისამოსისა და ცხენის საზეიმო აკაზმულობის დეტალები.

სამკაული. ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ოქროს სამკაულთა ცალკე ჯგუფს ქმნის გონიოს განძში შემავალი **ბალთები**, მოთვალული და დაცვარული სწორკუთხა ფირფიტები, რომელთა ზედა ნაწილი ფრინველის ან ცხოველის გამოსახულებებით შემკული ერთი ან ორი სამკუთხედითაა დაგირგვინებული, ხოლო ქვედა ნაწილზე შებმულია წნულ ძეწკვზე დამაგრებული მრგვალი ფირფიტები (სურ. 98.1, 3). სამი ბალთა მეტნაკლებად მთლიანადაა გადარჩენილი, მეოთხე მხოლოდ ზედა ნაწილითაა წარმოდგენილი. ბალთების ცენტრალური, ოთხკუთხა მოყვანილობის ფირფიტები შემკულია სხვადასხვაგვარად: ორი მათგანის ცენტრში მოთავსებულია მოყვითალო ან მოწითალო ფერის ოვალური, ხოლო კუთხეებში შედარებით მომცრო, სფერული ან მსხლის ფორმის თვლები. მესამე ბალთაზე კი, ოთხკუთხედის ცენტრში, დარჩილულია ცვარაშემოვლებული ფირფიტა მხედრის რელიეფური გამოსახულებით. რომელიც შემოსილია თავსაბურავითა და გრძელსახელოებიანი, მოკლე კვართით. მხედარს ყელი ცვარათი აქვს შემკული. აღნიშნული სამკაულებისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე დაკბილული თვალბუდეები, რომელთაც ცვარას სარტყელი შემოუცვამს; სამკუთხა და ოთხკუთხა ფირფიტები შემოსაზღვრულია დაკეპნილი მავთულით ან ღარაოვანი ჩარჩოთი. ფირფიტების თავისუფალი არეები შევსებუ-

[1] გონიოსა და ციხისძირის განძებს სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა, იხ.: **თინა ლორთქიფანიძე, თამარ ქელაძე, დ.სახუტაშვილი.** გონიოს განძი. თბილისი, 1980; **ნანა აშვილი.** ციხისძირის განძი. - სდსძ, XVI, თბილისი, 1987, გვ. 118-146, ტაბ. LIII-LX; **ნ.ნანაშვილი.** ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1993, გვ. 17-41, ტაბ. IV-X.

ლია ცვარათი გადმოცემული სახეებით - სამკუთხედებით, რომბებით, ვარდულებით, ალაგ-ალაგ წყვილი, ალაგ-ალაგ სამ-სამი ცვარათი.

გონიოს ბალთების მსგავსი სამკაულები, საზოგადოდ, იშვიათია. ისინი აღმოჩენილია ახ.წ. II ს დათარიღებულ სამაროვანზე სოფელ კლდეეთში[2] (ზესტაფონის რაიონი) და დაბა ლოოს მახლობლად (სოჭიდან ჩრდილოეთით 25 კმ დაშორებით) შემთხვევით აღმოჩენილ, ძლიერ დანგრეულ, მდიდრულ სამარხში.[3] მიუხედავად ზოგიერთი დეტალის განსხვავებისა, გონიოს, კლდეეთისა და ლოოს ბალთები ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით .სამკაულთა ერთ სახეობას განეკუთვნებიან. მათი ფუნქცია მთლად ნათელი არ არის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ისინი თავსამკაულს წარმოადგენდნენ. მიუთითებენ აღნიშნული სამკაულების მხატვრულ-სტილისტურ მსგავსებაზე ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებთან, აგრეთვე მათზე მოცემულ გამოსახულებათა (მხედარი, ჩიტები, ვარდული) სიმბოლიკის გენეტიკურ კავშირზე კოლხურ მხატვრულ-კულტურულ სამყაროსთან, თუმცა მათი დამზადების ცენტრისა (თუ ცენტრების) საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.[4]

ოქროს ნაკეთობათა შორის ყურადღებას იქცევს ციხისძირის განძის ოქროს შედგენილი საყურე (საყურე რგოლი, თვალბუდე, ტრაპეციის ფორმის ფირფიტა, ყუნწები და საკიდები). მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული გახსნილი საყურე რგოლი ოვალურადა მორკალული. თვალბუდის წინა ნაწილი შემკულია მცენარეული ორნამენტით - ერთმანეთის მონაცვლეობით განლაგებული „პალმეტისა" და „გულის" (ან სტილიზებული ლოტოსის?) ფორმის გამოსახულებებით. ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია სადა ბუდეში ჩასმული კონუსური ფორმის, გაპრიალებულზედაპირიანი გრანატის ქვა. ტრაპეციის ფორმის ფირფიტაზე, რომელიც სამი ჰორიზონტალური ღარითაა შემკული, ზემოდან დარჩილულია თვალბუდე. საყურეს ამკობს ორი ერთნაირი მოძრავი საკიდი, რომლებიც ყუნწების მეშვეობით დაკავშირებულია დაღარული ფირფიტის ზურგზე დარჩილულ ორ ყუნწთან.

ციხისძირის საყურე მიეკუთვნება რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სამკაულის ტიპს. ზოგიერთის აზრით, ამ ტიპის საყურე რომის იმპერიაში .აღმოსავლეთიდან გავრცელდა, შესაძლოა, პალმირადან, რომელიც გვიანანტიკურ ხანაში ოქრომჭედლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

ციხისძირის საყურე ახ.წ. II-III სს თარიღდება. საქართველოში ამ ტიპის საყურის კიდევ ერთი, შედარებით გვიანდელი, ვარიანტია ცნობილი. ესაა ურეკის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე.[5]

ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია ციხისძირის ოქროს **აგრაფი**, რომელიც მთის ბროლის ინტალიოთია შემკული. ოვალური მოყვანილობის მთის ბროლზე ამოკვეთილია იმპერატორ ლუციუს ვერუსის რეალისტური პორტრეტი. ინტალიო რამდენადმე უჩვეულოდ - პირქვე არის ჩასმული ბუდეში.

აგრაფი, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა ფართო მოსასხამების შესაკრავად კისერთან ან მხარზე, მას ქალისა და მამაკაცის სხვა ტანსაცმლის შესაკრავადაც ხმარობდნენ.

დიდი ზომის სადა ან ჭრილა ქვები, ჩასმული კოლოფისებური მოყვანილობის ბუდეებში,

---

[2] **გ.ლომთათიძე**, კლდეეთის სამაროვანი. თბილისი, 1957, გვ. 30-35, ტაბ. XIV,1; XV,2; XIX,2.

[3] Иванова М.И., Голубов П.М. Находки в Лоо. - СА, 1961, №3, с.284-292, рис. 7,1, рис. 8,2.

[4] **ოთარ ორთქიფანიძე, თამაქელაძე, დ.ხახუტაიშვილი**, დასახ.ნაშრ., გვ. 19-23.

[5] **ა.ფაღავა**, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. - სსმმ, XIV-B, თბილისი, 1977, გვ. 93 და შმდ; Леквинадзе В.А. Богатое погребение конца IV века из Уреки. - СА, 1975, №4, с. 199, рис. 5а.

შემკული სხვადასხვა ტექნიკით (ცვარა, ფილიგრანი, ამოტვიფრული ან აეურული) შესრულებული სახეებით, ახ.წ. II ს ფართოდ ვრცელდება რომაულ სამყაროში. ამგვარი მედალიონები გამოყენებული იყო ყელსაბამის ბალთებად, საკიდებად და აგრაფებად. ცნობილია მათი მრავალრიცხოვანი გამოსახულებები ბალმირასა და ფაიუმის პორტრეტებზე. ამ რიგის სამკაულის შესანიშნავი ნიმუშები საქართველოში სხვაგანაცაა აღმოჩენილი. ესენია: ონიქსითა და საკიდებით შემკული ურეკის აგრაფი და კლდეეთის მოთვალული, პორტრეტულგემიანი შესაკრავი.[6]

ციხისძირის აგრაფი კარგად თარიღდება ლუციუს ვერუსის (ახ.წ. 161-169 წწ) პორტრეტული გემის მიხედვით. თვალბუდეც ინტალიოს თანადროულია. აღნიშნული ნივთი ინსიგნიების კატეგორიას განეკუთვნება და ციხისძირში მისი აღმოჩენა რომსა და კოლხეთს შორის ჩამოყალიბებული პოლიტიკური ურთიერთობების ანარეკლია.

გვიანანტიკური ხანის კომპლექსებში წარმოდგენილ სამკაულში ყველაზე მრავალფეროვან ჯგუფს ქმნის ყელსაბამები, რომლებიც, ძირითადად, საკიდების, ძეწკვების, ბალთა-მედალიონების, თვალბუდეების, მძივების, მძივსაკიდების, შესაკრავების სახითაა მოღწეული. ციხისძირის ყელსაბამი, რომელიც ნაკლული სახითაა შემორჩენილი, შედგება ერთმანეთთან ყუნწებით დაკავშირებული ნახევარბალმეტის ან ნახევარაკანთის მსგავსი გამოსახულებიანი საკიდებისაგან, რომლებიც ამოტვიფრითაა შესრულებული. გამოსახულება სტილიზებულია. ყელსაბამი, თავის დროზე, შემკული უნდა ყოფილიყო ცენტრალური მედალიონით ან საკიდით. მსგავსი მცენარეული მოტივებით შემკული ოქროს ერთგვაროვანი საკიდებისაგან შედგენილი ყელსაბამები შედარებით იშვიათია გვიანანტიკურ ხანაში და ძირითადად რომის აღმოსავლეთ პროვინციებშია გავრცელებული (ახ.წ. III ს). გონიოს განძში კი გვხვდება ოქროს წნული ძეწკვები, რომელთა ბოლოები მთავრდება თავების ჩასამაგრებელი ცილინდრული რგოლებით ან გვერდებდაღარული, ბიკონუსური ფორმის, მასური ბურთულებით, რომლებზედაც საკიდი რგოლებია მირჩილული (სურ. 100.2). ძეწკვებში გაირჩევა წნულის რამოდენიმე რიგი, რომლებიც წიწვისებურ ანდაზს ქმნიან. მსგავსი წნული ძეწკვები ძალზე დამახასიათებელი სამკაულია რომაული ხანისათვის. ისინი ზოგჯერ ყელსაბამებადაა გამოყენებული, ზოგჯერ კი სხვა სამკაულის შემადგენელი ნაწილია. ძეწკვებისაგან შედგენილი ყელსაბამები ხშირად დამატებითი ელემენტებით - ცენტრალური მედალიონებით ან საკიდებითაა დაშშეენებული.

გონიოს განძის ერთ-ერთი გამორჩეული ნივთია ჭაბუკის ოქროს მთლიანადსხმული ქანდაკება, რომლის ზურგზეც მირჩილულია საკიდი მარყუჟი. ჭაბუკი მთელი ტანითაა წარმოდგენილი, ახურავს კონუსური თავსაბურავი, ე.წ. პილოსი, რომელიც ვარსკვლავის სამი სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული. მას მხარზე ქლამიდა[7] აქვს მოგდებული, რომლის ბოლო მარცხენა ხელზე აქვს დახვეული, ხოლო მარჯვენა ხელში რაღაც ნივთი, შესაძლოა ფიალა უჭირავს. ქანდაკების სიმაღლე 7,6 სმ-ია. შესაძლოა, აღნიშნულ ქანდაკებას იმავე განძის ოქროს წნული ძეწკვით ატარებდნენ (სურ. 97).

გონიოს განძის ოქროს ქანდაკება დიოსკურ//კაბირ//კორიბანტის გამოსახულება უნდა იყოს და იგი იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით ახ.წ. ბირველი საუკუნეებით თარიღდება.[8]

---

[6] Леквинадзе В.А. указ.соч., с. 197-199, рис. 4; ფალიოლოგია, დასახ. ნაშრ., გგ. 28-30, ტაბ. I,3; XV,I.

[7] ქლამიდა - ძველი ბერძნებისა და რომაელების მამაკაცის სამოსი, ერთგვარი ლაბადა, რომელსაც შესაკრავი პქონდა მარჯვენა მხარზე ან გულზე.

[8] თამაროთქიფანიძე, თამაქელიძე, დასახ.ნაშრ., გგ. 23-25. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის თანახმად იგი ღვთაება ატისის გამოსახულებადაა მიჩნეული - იხ.: იქვე, გგ. 24, შენიშვნა 60.

გონიოს განძის მეორე ოქროს საკიდ მედალიონზე მზის ღვთაება ჰელიოსია გამოსახული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ჩარჩოსა და გულისაგან. წახნაგოვანი ჩარჩოს ზედა ნაწილში მილისებური მარყუჟია მირჩილული, რომლის შუბლზე, თვალბუდეში, ჩასმულია მუქი ალუბლისფერი, ნახევარსფერული თვალი. ჩარჩოს ქვედა ნაწილი ასევითვე, შედარებით ღია ფერის ორი თვალითაა შემკული. საკიდის გული წარმოადგენს მამაკაცის ბიუსტის ჭედურ, რელიეფურ გამოსახულებას, რომელსაც თავზე გვირგვინად ადგას მზის დისკო გაფანტული „სხივებით". მამაკაცი წამოსასხამშია, რომელიც მკერდის მარჯვენა მხარეს თვალედი აგრაფითაა დამაგრებული (სურ. 100.1).

გონიოს განძის მედალიონს ბარალელები მოეპოვება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის იმ სამკაულებში, რომლებიც ელინისტური ხანით თარიღდება და ბოსფორის სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული. გონიოს მედალიონი კი, ისევე როგორც განძის დანარჩენი ნივთების უმრავლესობა, შემკულია ფერადი თვლებით, რაც მათ თანადროულობაზე მიუთითებს.

ციხისძირის განძის **ბალთა-მედალიონები** ასევე ოქროსია. ერთ-ერთის ბუდე ოვალური კოლოფის მოყვანილობისაა. თვალი ამჟამად დაკარგულია. ბუდის ზედაპირზე დარჩილულია ნახევარმთვარისებური, დატეიფრული ფირფიტები, რომლებიც რადიალურადაა განლაგებული (ორნამენტი მთლიანობაში აღიქმება, როგორც „ბორჯღალი"). ორნამენტირებული სარტყელი ორი მხრიდან შემოსაზღვრულია დაკეჭნილი მავთულით. სარტყლის შიდა მხარეს, მავთულზე, თანაბარი დაცილებით, ოთხი ცვარაა დარჩილული. ბალთა-მედალიონი, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო ყელსაბამის ცენტრალურ ნაწილში და მანჭვლების მეშვეობით უკავშირდებოდა სამკაულის სხვა ნაწილებს, რაზეც მიუთითებს მისი ზომა, ყუნწების რაოდენობა და განლაგება.

ციხისძირის განძის მეორე ბალთა-მედალიონი ასევე ოქროსგანაა დამზადებული და შემკულია მოწითალო-მოყავისფრო მინის თვლით. მოგრძო ოვალური მოყვანილობის თვალი მედალიონის კოლოფისებურ ბუდეშია ჩასმული. თვალს ნაწილობრივ ფარავს ფირფიტის კიდე, რომელიც მას სალტესავით ეკვრის. სალტის გარშემო გრეხილი მავთულია შემოვლებული. ბუდის ზედაპირი შემკულია ამოტვიფრული, წაწვეტებულბოლოებიანი „ფოთლების" გამოსახულებებით.

ციხისძირის განძის ოქროს **თვალბუდე** ნაკლული სახითაა მოღწეული. იგი ყელსაბამის ნაწილია და ორფენიანი, ონიქსის მინაბაძი მინის თვლითაა შემკული. ზედა ფენა მუქი ყავისფერია, ქვედა - რძისფერი. ბუდიდან მაღლა ამოზიდული თვლის ზედაპირი ოვალურია და ბრტყელი, კარგად არის გაპრიალებული. ბუდე სადა ფირფიტას წარმოადგენს, რომელიც იმგვარადაა დახრილი, რომ სამკაულს მთლიანობაში წაკვეთილი კონუსის მოყვანილობა აქვს. ბეჭდის თვლებად გამოყენებული მსგავსი ფორმის სამფენიანი მინის (ონიქსის მინაბაძები) სადა და ჭრილა ქვები, რომლებიც ბეჭდების ფორმების მიხედვით ახ.წ. III ს თარიღდება, აღმოჩენილია მცხეთის ბაგინეთსა და ურბნისში.[9]

გვიანანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელ სამკაულს წარმოადგენს გონიოს განძის ორი ცალი ბიკონუსური **მძივი**, რომლებიც ცვარას ორრიგი სარტყლით ორად არის გაყოფილი. ორივე ნაწილი დაფარულია ცვარათი შედგენილი სახეებით: სამკუთხედებით, რომბებით, ჯვრებით, ვარდულებით (სურ. 99.1). ზუსტად ამგვარი სამკაული აღმოჩენილია მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. თაგილონის მახლობლად, სამარხეულ კომპლექსში, რომელიც ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება.[10]

---

[9] **ნანაშვილი**, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 29-30, ტაბ. 4,6.

[10] **Амиранашвили А.И.** Новая находка в низовьях реки Ингури. Тифлис, 1935, с. 17, 35-56, табл. 1,4.

ოქროს მძივებთან ერთად გონიოს განძში აღმოჩენილია სფერული ფორმის მუქი ალუბლისფერი ქარვის ორი **მძივსაკიდი**. სამკაულის საინტერესო დეტალს წარმოადგენს აგრეთვე ციხისძირის ოქროს ყელსაბამის **შესაკრავი**, რომელიც ცხოველის თავის რელიეფური გამოსახულებითაა შემკული.

ცხოველის თავის გამოსახულებებით შემკული შესაკრავიანი ყელსაბამები მეტად პოპულარული იყო ელინისტურ ხანაში. გვიანანტიკურში კი შეინიშნება ამ ელემენტის გაქრობა. ციხისძირის შესაკრავი, ელინისტური ხანის სამკაულისაგან განსხვავებით, ჩამოსხმითაა დამზადებული, მაშინ როდესაც ადრეული ნიმუშები ძირითადად გამოტვიფრულია, დეტალები ცალკეა დამზადებული და მერეა მირჩილული. ციხისძირის ნიმუში მხოლოდ წინხედში აღსაქმელ კომპოზიციას წარმოადგენს, რაც აგრეთვე მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ელინისტური და გვიანანტიკური ხანის შესაკრავების სკულპტურული გამოსახულებებისაგან. ფრონტალური კომპოზიციით, სილუეტური გამოსახვის მანერით და საზოგადოდ, სტილისტური ნიშნებით, ციხისძირის შესაკრავის ცხოველის თავის გამოსახულება დიდ მსგავსებას იჩენს კოლხურ ბრინჯაოს ბლასტიკასთან, რის გამოც იგი შეიძლება მივიჩნიოთ ადგილობრივი ოქრომჭედლის ნახელავად და ზოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით დავათარიღოთ.

გვიანანტიკურ ხანაში გავრცელებული სამაჯურების ტიპური ნიმუშები გონიოს განძშია წარმოდგენილი. ისინი ოქროსია, მასიური, მთლიანადსხმული, ბოლოებგახსნილი, დაწახნაგებული. ერთი სამაჯური უფრო დიდია, მეორე - შედარებით მცირე (სურ. 99.2). მსგავსი სამაჯურები, ოღონდ ინკრუსტირებული ბოლოებით, ნაპოვნია ურეკის სამარხეულ კომპლექსში (ახ.წ. III-IV სს).[11]

გვიანანტიკურ ხანაში საქართველოში ბერძნულ-რომაული სამყაროდან ფართოდ ვრცელდება ჭრილა ქვებით შემკული ბეჭდები, რომლებიც წარმოდგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ კომპლექსშიც. ციხისძირის განძში ინტალიოთი შემკული ორი ოქროს **ბეჭედია**, რომლებიც ამავე დროს საბეჭდავებს წარმოადგენდა; ერთ-ერთის თვალბუდეში ჩასმულია სარდერის ინტალიო[12] - ახალგაზრდა მამაკაცის ბორტრეტული (ბიუსტი) გამოსახულება, რომელიც შემოსილია კვართითა და აგრაფით შემკული ქლამიდით. ინტალიო ახ.წ. III ს დათარიღებული და ადგილობრივი ოსტატის ნახელავადაა მიჩნეული.[13] მეორე ბეჭდის ბუდეში ასევე ლუქისებრი იასპის ინტალიოა ჩასმული, რომელზეც ამოკვეთილია რომაულ გლიპტიკაში ახ.წ. I-III სს ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი: ორ მამალს მიაქვს პატარა ეტლი, მას მართავს თაგვი, რომელსაც „ხელში" სადავეები და მათრახი უჭირავს. ორივე ბეჭედი რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ე.წ. ჰორიზონტალურმხრებიანი ბეჭდების სახესხვაობებს წარმოადგენს და ახ.წ. III ს თარიღდება.[14]

გამოყენებითი ხელოვნების ძეგლია ციხისძირის განძის მცირე ზომის რელიეფურგამოსახულებიანი ოქროს ფირფიტა. მასზე ამოტვიფრული დიონისეს თუ დიონისეს ატრიბუტებით შემკული მამაკაცის ბიუსტი, დიადემა, სუროს ფოთლებისა და ნაყოფის გამომსახველი გვირგვინი, აგრეთვე, ცხოველის ტყავის წამოსასხამი მიგვანიშნებს, რომ აქ წარმოდგენილია დიონისე. ან დიონისეს გამომსახველი კონკრეტული პიროვნების განზოგადებული პორტრეტი. გამოსახულების ინდივიდუალური ნიშნებით და გამოსახვის ექსპრესიული მანერით იგი ახლოსაა ხელოვნების იმ

[11] **ურეკი**. დასახ. ნაშრ., გვ. 93 და შმდ.

[12] **ინტალიო** - სამკაულის თვალზე ამოკვეთილი გამოსახულება. ამოკვეთილგამოსახულებიანი ქვა.

[13] მარგ.ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი, 1969, გვ. 137-138.

[14] **ნინაშვილი**, დასახ. ნაშრ., გვ. 31, ტაბ. 6,2.

ძეგლებთან, რომლებიც ელინისტური მეფეების იდეალიზებულ პორტრეტებს წარმოადგენდნენ. შესაძლოა, ამ შეთხვევაშიც ელინისტური ხანის რომელიმე მეფის განზოგადებულ პორტრეტთან გვქონდეს საქმე.

ტანისამოსის, უმეტესად მოსასხამების, შესაკრავად გამოიყენებოდა მშვილდსაკინძები ანუ ფიბულები. ციხისძირის განძის ბრინჯაოს **მშვილდსაკინძი** ერთწილადია, ბუდეებმული, მუხლზამბარიანი, გარეთა უღლით და მშვილდზე თვალბუდით, რომელშიც კონუსური მოყვანილობის ბატარა თვალი ზის. ამ მშვილდსაკინძის ნაწილი ჩანს იმავე კოლექციის ბრინჯაოს ძეწკვი. ამ ტიპის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ახ.წ. I-III სს.[15]

მდიდრული სამოსელის მოსართავს უნდა წარმოადგენდეს გონიოს განძში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტები, გარსაკრავები, აგრეთვე, ღილი და კილიტები. **ფირფიტები** სხვადასხვა სახისაა. ზოგი შემკულია მრგვალ ბუდეებში ჩასმული ორ რიგად განლაგებული თვლებით, უმრავლესობა კი (13 ცალი) ვარდულებითა შემკული, რომელთა გული და ფურცლები შევსებულია ცისფერი და ალუბლისფერი პასტით (სურ. 101.1). **გარსაკრავები** ზოლოვანია და მრგვალი, შემკულია წიწვისებური ანდაზით ან თვლებით შემდეგნაირად: ოვალური ფორმის ორ თვალს შორის მოქცეულია მსხლის ფორმის თვალი. ორ ცალ ერთნაირ გარსაკრავზე გამოსახულია რელიეფური ბორჯღალი, რომელსაც ცრუ ცვარას წრე შემოუყვება, ცენტრში ჩასმულია მწვანე ფერის ქვა, რომელიც მხოლოდ ორ მათგანს შემორჩა. ორი მრგვალი გარსაკრავი კი ცვარათი გამოყვანილი კონცენტრული წრეებითაა შემკული, რომლებიც ერთმანეთისაგან მავთულის რგოლებითაა გამოყოფილი. **ღილი** სამკუთხა, გლუვზედაპირიანი, **კილიტები** კი მრგვალია, რომელთა ნაპირები რელიეფურადაა ჩარჩოშემოვლებული, ხოლო ტანსაცმელზე დასაკერებლად, უკანა მხარეს, მათ ყუნწები ან მარყუჟი აქვთ დარჩილული.

გონიოს განძის ნივთებს შორის უნიკალურია ოქროს მრგვალი **გარსაკრავი**, რომლის ცენტრში ცხოველთა ბრძოლის სცენაა გამოსახული. კატისებრი მტაცებელი თავს ესხმის ჯიხვისებრ ცხოველს. ფიგურები ინკრუსტირებულია სხვადასხვა ფორმის (ნალისებრი, მრგვალი და სხვა) ბუდეებში ჩასმული მწვანე და წითელი პასტით, ბეწვი კი გადმოცემულია ზოგან ირიბი ჭდეებით, ზოგან კი - ფართო, ტალღოვანი ან წვრილი გრძივი ხაზებით (სურ. 96.1).

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით გონიოს გარსაკრავი განეკუთვნება ძვ.წ. I-ახ.წ. II სს. ე.წ. პოლიქრომიულ-სარმატულ ცხოველსახოვანი სტილის ძეგლთა წრეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტანისამოსის მოსართავი ბალთებისა და ცხენის აკაზმულობის ნაწილების (ფალარის) შემკობა ცხოველთა ბრძოლის ისეთი სცენებით (ხშირად მტაცებელ ცხოველთა თავდასხმა მძოველებზე), სადაც ცხოველთა გამოსახულების თავისებური სტილიზაცია ზოგჯერ შეხამებულია ცალკეული დეტალების ნატურალისტურ გადმოცემასთან. გონიოს გარსაკრავის სტილისტური ნიშნები დამახასიათებელია დონისპირეთის ძეგლებისათვის, რომელთა საწარმოო ცენტრად მკვლევართა უმრავლესობა ბოსფორის სამეფოს სახელოსნოებს მიიჩნევს.[16]

გონიოსა და ციხისძირის განძებში გამოიყოფა ოქროს **გარსაკრავი** ფირფიტების ერთი ჯგუფი, რომლებიც რაღაც საგნებზე მანჭვლებით ყოფილა დამაგრებული. ამათგან გონიოს განძში სამი ასეთი გარსაკრავია, რომელთაგან ორი სამკუთხედის ფორმისაა და შემკულია ჭედურად შესრულებული მუხის ტოტის, ფოთლებისა და რკოს გამოსახულებებით (სურ. 101.2). მესამე ფირფიტა

[15] ნ.ინანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40, ტაბ. 10,2.

[16] თ.ლორთქიფანიძე, თ.ბიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 25-26, ტაბ. VI, XVII-XVIII.

ოთხკუთხაა და მისი ცენტრალური ნაწილი დაფარულია ამოტვიფრული რომბისებური (ქერცლისებური) გამოსახულებებით.

გვიანანტიკური ხანისაა ციხისძირისა და გონიოს განძებში აღმოჩენილი ის საგნები, რომლებიც ერთდროულად სამკაულსაც წარმოადგენდნენ და მიჩნეული არიან ძალაუფლების სიმბოლოებად (ინსიგნიებად). მათ კატეგორიას განეკუთვნება ციხისძირის განძის თვლებით მოოჭვილი ოქროს ბუნიკი და გონიოს განძის შტანდარტის თავი. ბუნიკი სფერული ფორმისაა, ჭვირული, ვერტიკალური მილისებური ჩამოსხმული ღერძით. ბუნიკის ზედაპირი შემკულია ბუდეებში ჩასმული მოწითალო ფერის მინის თვლებით.

ციხისძირის ბუნიკი, თავისი დანიშნულებით, წარჩინებული პიროვნების საზეიმო იარაღის (ინსიგნიის) ნაწილი უნდა იყოს. სტილისტური ნიშნებით იგი დიდ სიახლოვეს იჩენს არმაზისხევის სამაროვნის ახ.წ. II-III სს პოლიქრომიულ ნივთებთან, პირველ რიგში, ბერსუმა პიტიახშის სატევრის ტართან, რომლის ზედაპირიც ასევე მთლიანადაა დაფარული ბრტყელზედაპირიანი თვლებით.

ოქროს ფირფიტისაგანაა დამზადებული გონიოს განძის კონუსური ფორმის შტანდარტის თავი, რომელიც სარტყლებადაა შემკული: ზედა სარტყელი ცრუ ცვარათი, ხოლო შუა და ქვედა სარტყელი - ორ და სამ რიგად მირჩილული მავთულებით. შტანდარტზე მიმაგრებულია ოქროს ძეწკვებზე დაკიდული ნალისებური მოყვანილობის საკიდები. შემორჩენილია ოთხი ძეწკვი და სამი საკიდი (სურ. 98.2).

ციხისძირისა და გონიოს განძებში მოიპოვება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლების როგორც მთლიანი ცალები, ისე ფრაგმენტები. გონიოს განძის ოქროს ფიალა ბასიური, კანელურებით შემკული, დაბალქუსლიანია (სურ. 96.2). ფორმით იგი წაგავს საქართველოში ახ.წ. პირველ საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ ვერცხლის თასებს (თაგილონი, ბანძა, არმაზისხევი და სხვა).[17]

ციხისძირის ვერცხლის ლანგარს აქვს ფართო, თანაბრად გამობერილი კალთა, შესქელებული, ლილვაკისებური პირი და დაბალი ქუსლი. ლანგრის ცენტრალურ ნაწილში ფორტუნის გამოსახულებიანი რელიეფური მედალიონია მოთავსებული. მარცხენა ხელში მას სიუხვის ყანწი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელით საჭეს ეხება. ფიგურის მარცხნივ გამოსახულია საკურთხეველი. როგორც ჩანს, ლანგარი ხანგრძლივად იყო ხმარებაში, ვინაიდან გამოსახულება გაცვეთილია.

ჭურჭლის ფორმის, მედალიონის გამოსახულების შესრულების ტექნიკისა და სტილისტური ნიშნების მიხედვით ციხისძირის ლანგარი ახ.წ. II ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება. მას გალიის პროვინციული სახელოსნოს ნაწარმად მიიჩნევენ.[18]

ციხისძირის განძში დაცულია კიდევ ერთი ვერცხლის ჭურჭლის ბირ-ყელის მცირე ფრაგმენტი, რომელზეც შემორჩენილია შემკულობის ნაწილი - ცხოველის (ჯიხვი, ანტილობა?) მოხრილი და დაღარული რქა, რქის ქვემოთ ფოთლისებური მოყვანილობის ყური მოჩანს, მარჯვნივ კი - მცენარეული ორნამენტი.

ძალზე საინტერესოა ციხისძირის განძის ჩამჩის ტარის ფრაგმენტი, რომელზეც შემორჩენილია რელიეფური გამოსახულება. ფრაგმენტი შედგება ორი ფირფიტისაგან. ზედა ვერცხლისაა, ქვედა - ბრინჯაოსი. ვერცხლის ფირფიტაზე მოცემულია ახალგაზრდა მამაკაცის რელიეფური გამოსახულება ფრიგიული ქუდით. იგი გრძელსახელოებიანი, თეძოზე ვიწრო ქამარშემორტყმული აღმოსავლური ტანისამოსითაა შემოსილი. ტანსაცმელს გულისპირზე და შუა ადგილას, მთელს

[17] ოთ.ლორთქიფანიძე, თ.მიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 19, ტაბ. VI, XIV.
[18] ნ.ანანიაშვილი, ციხისძირის განძი, გვ. 137-138.

სიგრძეზე გასდევს არშია, რომელიც გრავირებული ხაზებითაა გადმოცემული. ქუდი და არშია მოოქროვილია. ახალგაზრდას ძარცხენა, იდაყვში მოხრილ და ზეაწეულ ხელში, გრძელტარიანი იარაღი (რომბისებურბირიანი შუბი) უჭირავს. დაბალ რელიეფში შესრულებული გამოსახულება ჩამოსხმულია, ხოლო დეტალები გრავირებითაა დამუშავებული. ჩამჩის ტარის ტალღისებური დაბოლოება და მისი ზედაპირის შემკობა ერთფიგურიანი კომპოზიციით, უმეტესად ახ.წ. III ს არის დამახასიათებელი. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ აქ გამოსახული ღვთაება ატისია, მისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობითა და ატრიბუტით,[19] მაგრამ რამდენადაც ჭაბუკს ხელში რომბისებურპირიანი შუბი უჭირავს, მისი ატისთან გაიგივება შეუძლებელია. როგორც ჩანს, ციხისძირის ჩამჩის ტარზე რომელიღაც მცირეაზიული ღვთაების გამოსახულებაა მოცემული. ღვთაებების გამოსახულებებითა და სხვადასხვა მითოლოგიური სიუჟეტებით შემკული ვერცხლის ჩამჩების საკულტო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს. მათ ხშირად პოულობენ ტაძრის შეწირულობათა შორის, ზოგჯერ მიძღვნითი წარწერებითაც. გვხვდება სამარხებშიც (ბორი, რიყიანების სამაროვანი).

ციხისძირის განძში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი **სურის** ყურების ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით შეუძლებელია ჭურჭელთა ფორმისა და ტიპის დადგენა. მსგავსი, ჩამოსხმული, სამნაწილიანი ყურები დამახასიათებელი იყო რომაული ხანის ტორევტიკაში გავრცელებული სურებისათვის, რომელთა ყურებიც, ჩვეულებრივ, ფრინველის (უმეტესად გედის) თავის რელიეფური გამოსახულებებით იყო შემკული. ციხისძირის ორივე სურის ყურზეც ფრინველის თავის სქემატური გამოსახულებებია წარმოდგენილი. სტილისტური ნიშნებისა და შესრულების მიხედვით ციხისძირის ნიმუშები შეიძლება გვიანდელ, ახ.წ. II-III სს ბროვინციულ (ადგილობრივ?) ნახელავებად მივიჩნიოთ.

ციხისძირის განძში აღმოჩნდა აგრეთვე რომაული ხანის **ბატერა** (ტაფისებრი ჭურჭელი, იყენებდნენ ანტიკურ ხანაში ღმერთებისათვის ღვინის შესაწირავად). ბრინჯაოსგან დამზადებული ჭურჭლის ტარი კანელურებითაა შემკული და ბოლოვდება ვერძის თავის სქემატური, სკულპტურული გამოსახულებით. იგი მიეკუთვნება რომაული ბატერების მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელთა ტარები უმეტესად ვერძისა და ძაღლის თავების გამოსახულებებითაა დაბოლოებული. მდიდრულად ორნამენტირებული ბატერები იტალიკურ ნაწარმადაა მიჩნეული, რომელთაც ბევრად ჩამოუვარდება ბროვინციული სახელოსნოების ნახელავი. ციხისძირის ბატერის ტარი, გამოსახულების შესრულების ხარისხით, ახლოს დგას ახ.წ. II-III ს ბროვინციულ სახელოსნოთა ნაწარმთან.

რომაულ სამყაროში ბატერების საკრალური დანიშნულება და მათი სამარხებში სურებთან (ან ოინოხოიებთან) ერთად აღმოჩენის ფაქტი დადასტურებულია საქართველოშიც. ციხისძირის კომპლექსშიც ბატერა და სურა ერთადაა წარმოდგენილი.

ციხისძირის განძში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის კიდევ სამი ფრაგმენტი, რომლებიც ასევე ბროვინციული სახელოსნოების ნაწარმია. ესენია: ცხოველის თავის სქემატური გამოსახულებით დაბოლოებული ბრინჯაოს **ბატერის** ან **სარკის** ტარი, კანელურებით შემკული ბრინჯაოს **თეფში** და **ბრინჯაოს** კოვზი, რომლის ტარი დაბოლოებულია ორად გაყოფილი ცხოველის ჩლიქის გამოსახულებით. მსგავსი კოვზები რომაულ სამყაროში მეტად პოპულარული იყო და ხშირად გვხვდება სამარხებში.

ამრიგად, აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ახ.წ. I-IV სს გამოყენებითი ხელოვნების მრავალფეროვანი და საინტერესო ძეგლები, რომლებიც ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივი მხატვ-

[19] Amiranashwili A. Zwei Henkel eines silbernen Gefases aus Mzcheta (Georgian). - AA, 1934, 1 /2, p. 8,10.

რულ-სტილისტური ნიშნებით ხასიათდება. სამკაულის უდიდესი ნაწილი ბოლიქრომულია, ე
ფერადი ქვებით ან მინის თვლებითაა შემკული, რაც, საზოგადოდ, გვიანანტიკური ხანის ნაწარმ
დამახასიათებელი ნიშანია. მიუხედავად იმისა, რომ სამკაულთა უმრავლესობა გვიანანტიკურ ხან
ში გავრცელებული ტიპური ნიმუშებითაა წარმოდგენილი, ბევრი მათგანი დამზადების ტექნიკ
შემკულობის ხერხებითა და დეტალებით თავისებურია და ზუსტი ანალოგი არ ეძებნებათ. გვხვ
ბა ისეთი სამკაულებიც, რომელთა გავრცელების არეალი საქართველოსა და კავკასიის ფარგლ
ბით ისაზღვრება. ზოგიერთი სამკაულის შემკულობის ხერხებსა და მოტივებში ნათლად იგრძნ
კოლხური ოქრომჭედლობის გავლენა (გავარსის უხვად გამოყენება, ზედაპირის დაფარვა ცვარ
შესრულებული ფიგურებით, ორნამენტული სახეები - სამკუთხედები, რომბები, ვარდულები, ბო
ჯღალი და სხვა). მიუთითებენ აგრეთვე სამკაულზე მოცემულ გამოსახულებათა სიმბოლი
გენეტიკურ კავშირზე კოლხურ მხატვრულ-კულტურულ სამყაროსთან. ასე მაგალითად, გონი
ბალთებზე მოცემული ჩიტებისა და მხედრის გამოსახულებების შესახებ გამოთქმულია მოსაზ
ბა, რომ ისინი ძველ სამყაროში, მათ შორის კოლხეთშიც, ფართოდ გავრცელებული ღმერთე
დიდი დედისა და მისი მხედრების შესახებ მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება.[20] ამ კუ
ტის ადრეული ანარეკლი უნდა იყოს ვანის ადრეანტიკური ხანის ფიგურულსაკიდებიან საყურე
ზე მოცემული ოთხთვალა ეტლზე მდგომი მხედრების გამოსახულებები. ასევე, გონიოს ერთ-ერ
ბალთის ცხენის გავაზე გამოსახული ვარდული, ვანის ადრეანტიკური ხანის საყურეების ცხე
გავაზე მოცემული სვასტიკის მსგავსად, მზის სიმბოლოს წარმოადგენს.[21] მზის კულტს უკავშირდ
ბა, აგრეთვე, გონიოს გარსაკრავებსა და ციხისძირის ბალთა-მედალიონებზე გამოსახული ბორჯღ
ლი და, რასაკვირველია, გონიოს საკიდი-მედალიონი პელიოსის გამოსახულებით. ეს უკანასკნე
ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენით შექმნილი ძეგლია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭე
ჭელი იმეორებს რომაულ ტორევტიკაში გავრცელებულ ფორმებს და მათი უმრავლესობა გვი
დელ ბროვინციულ ნაწარმად განიხილება.

მხატვრული ხელოსნობის ნიმუშთა მსგავსი ნაკრები, დამახასიათებელია საქართველოს სხ
ადგილებში აღმოჩენილი თანადროული, მდიდრული სამარხებისათვის (ურეკი, კლდეეთი, ზღ
დერი, არმაზისხევი და სხვ.). ამ იერის სამარხები არისტოკრატიის მაღალ ფენებს ეკუთვნო
რაც გვაფიქრებინებს, რომ გვიანანტიკურ ხანაში ჩვენთვის საინტერესო რეგიონში საზოგადოებ
ასეთი ფენა არსებობდა, მით უფრო, რომ აღნიშნულ კომპლექსებში ძალაუფლების სიმბოლო
- ინსიგნიებია წარმოდგენილი.[22]

მცირე ხელოვნების აქ განხილული ნიმუშები იმდროინდელი კულტურული ცხოვრების ფ
წინაურებისა და ელინისტურ-რომაულ და ჩრდილო-კავკასიურ სამყაროსთან სამხრეთ-დასავლ
საქართველოს, კერძოდ, აჭარის ზღვისპირა ზოლის მოსახლეობის კულტურული ურთიერთობ
ნათელი დასტურია.

---

[20] ოთ.ლორთქიფანიძე, თ.ჩიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25-27.
[21] ოთ.ლორთქიფანიძე, თ.ჩიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 22-23, 26-27.
[22] იქვე, გვ. 27.

§4. ბიზანტიის იმპერიის ფორმირება და აყვავება

როგორც აღნიშნული იყო (თავი VIII, §1) III ს პირველ ნახევარში აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამ ცვლილებების შედეგი იყო სასანური ირანის ჩამოყალიბება, რამაც კარდინალურად შეცვალა წინააზიის პოლიტიკური რუკა და ძალთა თანაფარდობა მცირე აზიაში, ხმელთაშუაზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში და ამიერკავკასიის რეგიონში. IV საუკუნისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, აგრეთვე, რომის იმპერიაში. რესპუბლიკის ხანაში და ადრეული იმპერიის (პრინციპატის) პერიოდში წარმოებული დაპყრობითი ომების შედეგად იმპერიამ, მართლაც, გრანდიოზული მასშტაბები მიიღო: იგი გადაიჭიმა ბრიტანეთიდან და პირენეის ნახევარკუნძულიდან (ესპანეთი), ვიდრე მესოპოტამიამდე. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა მოდგმის ხალხები და ტომები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე იდგნენ, რის გამოც მათ რაიმე ერთიანობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. თანდათან აშკარა ხდებოდა, რომ ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ერთი ცენტრიდან მართვა შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით ჭირდა რომიდან შორეულ აღმოსავლურ პროვინციებში სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარება და ამ პროვინციების მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა.

უკვე II-III სს გამოიკვეთა იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის განსხვავება. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის ოლქები ძველთაგანვე ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ისტორიული და კულტურული განვითარების ერთიანობით, რაც ელინისტური ხანის მემკვიდრეობა იყო. ამ ოლქებში სუსტად იყო განვითარებული მონობა, სამეურნეო ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდა დამოკიდებული და თავისუფალი მოსახლეობა - მეთემე გლეხობა, აგრეთვე, წვრილ და საშუალო თავისუფალ ხელოსანთა მასა. ამის შედეგად აღმოსავლეთის პროვინციებმა ნაკლებად განიცადეს III ს კრიზისი. ყოველივე ამან განაპირობა იმპერიის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ცენტრის აღმოსავლეთ პროვინციებში გადანაცვლება. აღმოსავლეთ და დასავლეთ პროვინციათა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულობამ ნიადაგი მოამზადა მათი თანდათანობითი განკერძოებისათვის, რამაც საბოლოოდ იმპერიის ორად გაყოფა გამოიწვია.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305 წწ.) პირველი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით: მის დროს იმპერია ორ ნაწილად გაიყო; თითოეულის სათავეში იდგა უზენაესი ხელისუფალი - ავგუსტუსი და მათი მოადგილეები - კეისრები. ამდენად, უზენაესი ადმინისტრაცია ამიერიდან ოთხი პირისაგან შედგებოდა (ტეტრარქიის სისტემა). ნიშანდობლივია, რომ ავგუსტუსთა შორის უპირველესმა - დიოკლეტიანემ - იმპერიის აღმოსავლეთი აირჩია სამმართველოდ და მის რეზიდენციად ქალაქი ნიკომედია გახადა. ამ რეფორმათა გაგრძელება იყო კონსტანტინე I დროს (306-327 წწ) ახალი დედაქალაქის დაარსება ბოსფორის სრუტის ნაპირას, ძველბერძნულ ქალაქ ბიზანტიონში, რომელსაც შემდგომ კონსტანტინეპოლი ეწოდა. მისი დაარსებით აღმოსავლეთის პროვინციებს გაუჩნდათ ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. კონსტანტინეპოლი და რომი გახდნენ ორი სამყაროს - ლათინური დასავლეთისა და ბერძნული აღმო-

საკლეთის ცენტრებად. უმნიშვნელოვანეს ახალ მოვლენას წარმოადგენდა კონსტანტინე I მიერ ახალი რელიგიის - ქრისტიანობის ჯერ თანასწორუფლებიან (მილანის ედიქტი 312 წ), შემდეგ კი სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება. არსებითად კონსტანტინეპოლის დაარსებით და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით იწყება აღმოსავლეთის ბოლიტიკურ სარბიელზე ახალი ძალის, ე.წ. ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბება.

მართალია, იმპერია კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებდა ფორმალურ ერთიანობას, მაგრამ არსებითად მისი ორად გაყოფა რეალური ფაქტი იყო. ეს ბროცესი IV ს ბოლოს დასრულდა, როდესაც 395 წ იმპერატორმა თეოდოს I (379-395) სიკვდილის წინ იმპერია თავის ვაჟებს - არკადისა და ჰონორიუსს გაუყო. ამიერიდან აღმოსავლური ბროვინციები ცალკე სახელმწიფოდ - აღმოსავლეთ რომის იმპერიად ჩამოყალიბდა და მას ისტორიოგრაფიაში ბიზანტიის იმპერია ეწოდა.[1]

ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, კირენაიკა (ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ოლქი ჩრდ. აფრიკაში), კუნძულები კრეტა და კვიპროსი, მესოპოტამიისა და არმენიის ნაწილი. ამიერიდან აღმოსავლეთის, კერძოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა სწორედ ამ სახელმწიფოსთან ჰქონდა.

ბიზანტიის იმპერიასთან დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკის (ეგრისის სამეფოს) არსებითად იგივე ურთიერთკავშირები ჰქონდა, რაც ერთიან რომის იმპერიასთან, მაგრამ ამ სახელმწიფოს ახლადშექმნილ ცენტრთან სიახლოვე, ბიზანტიის იმპერიის აშკარად პრიორიტეტული აღმოსავლური მიმართულება საგარეო პოლიტიკისა და ამდენად მეტი აქტივობა აღმოსავლურ დამოკიდებელ ქვეყნებში, ახალ ამოცანებს აყენებდა ქართულ სახელმწიფოთა ხელისუფლების წინაშე და რამდენადმე ართულებდა მათ მდგომარეობას.

III ს და IV ს პირველ ნახევარში რომი ჯერ კიდევ ახერხებდა სასანური ირანისათვის საკადრისი წინააღმდეგობა გაეწია. იგი, მიუხედავად ზოგიერთი მარცხისა, ძირითადად ინარჩუნებდა თავის პოზიციებს როგორც ამიერკავკასიაში, ისე მესოპოტამიაში.[2]

მაგრამ IV ს მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოზიციები აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შეირყა. ბიზანტიამ რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადა ირანთან ბრძოლაში; მესოპოტამიაში მან დაკარგა მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტები - ციხე-ქალაქები ნაზიბინი და სინგარა. იგი იძულებული გახდა ეცნო ირანელთა სრული უბირატესობა სომხეთში. მას შემდეგ, რაც 378 წ ქადრიანოპოლთან (კონსტანტინეპოლის დასავლეთით, თრაკიაში) ვესტგუთების მომთაბარე ტომებმა სასტიკად დაამარცხეს იმპერატორი ვალენტი, რომს უკვე ძალა აღარ შესწევდა ქიშპობა გაეწია ირანისათვის. ამ პერიოდში ირანი ფაქტიურად ქართლშიაც გაბატონდა, რაც აღიარებულ იქნა 387 წლის ზავით; ამავე ზავის პირობით სომხეთის ოთხი მეხუთედი ირანს ერგო, ხოლო ერთი მეხუთედი - რომს.[3]

ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა არ შეცვლილიყო ურთიერთობა ლაზიკასთან, რამდენადაც ამიერკავკასიაში მხოლოდ აქ რჩებოდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის საყრდენი და ქვეშევრდომი. ბიზანტიის მდგომარეობას ართულებდნენ აგრეთვე მომთაბარეები: ჯერ გუთე-

---

[1] ს.ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბილისი, 1948, გვ. 1-38; 48-60; История Византии, I, Москва, 1967, с. 66 и сл. აქვე ძირითადი ლიტერატურა.

[2] Пигулевская Н.В. Якубовский А.Ю. и др. История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Ленинград, 1958, с. 39-40; G.Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Staates, Munchen, 1940, p. 23-27.

[3] The Cambridge Medieval History, v.I, 1936, p. 84-85.

ბი, ხოლო IV ს 70-იან წლებიდან ჰუნები, რომელთა ნაწილი ყირიმში დამკვიდრდა და შავი ზღვის სანაპიროთი და ჩრდილო კავკასიის ზეკარებით ბიზანტიის აზიურ პროვინციებსაც ესხმოდა თავს.[4]

ამრიგად, ბიზანტიის ხელისუფლებას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალზე მეტად ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა. იგი ამ დროს იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელიც შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მას. ბიზანტიას ესაჭიროება მოკავშირე და საყრდენი სომხეთსა და ქართლში დამკვიდრებული ირანის და თვით იბერიის წინააღმდეგაც: დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც იბერიამ აჭარის „ქვეყნის" ტერიტორიაზე მოსახლე ზიდრიტთა ტომი დაიმორჩილა; ახლა, სასანიანთა ხელშეწყობით, არ იყო გამორიცხული, რომ მსგავსი აქცია გამეორდებოდა ბიზანტიას თუ ლაზეთი მხარში არ დაუდგებოდა, იბერიას შეეძლო კვლავ გამოჭრილიყო შავი ზღვის სანაპიროსაკენ, ყველაზე იოლად ისევ აჭარის ტერიტორიაზე. ამას გარდა, ლაზიკის ძლიერი სამეფო ბიზანტიას ესაჭიროებოდა, რათა გუთები და ჰუნები მის ტერიტორიაზე გავლით რომის სამფლობელოებში ვერ შემოჭრილიყვნენ.[5]

ყოველივე ეს აიძულებდა ბიზანტიას შერიგებოდა ლაზიკის გაფართოებას, გაძლიერებას და მისი დამოუკიდებლობის გაზრდას. IV საუკუნიდან ლაზიკის ტერიტორიაზე, თვით მის ზღვისპირა სიმაგრეებშიაც კი აღარ იდგნენ რომაული გარნიზონები.[6] ბიზანტიელი მწერლები გარკვევით წერენ, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს. გარდა იმისა, რომ მტკიცედ იცავდნენ საზღვრებს, რათა ჰუნები რომაელთა მიწა-წყალზე არ შემოჭრილიყვნენ. ლაზთა მეფის რომზე დამოკიდებულება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ტახტზე იმპერატორი ამტკიცებდა.[7]

ლაზიკის სამეფოს გაძლიერებამ და რომის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის აღმოსავლეთში გადმოტანამ კიდევ უფრო გამოაცოცხლა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დასავლეთ საქართველოსა და რომის აღმოსავლურ პროვინციებს შორის. ამ ურთიერთობაში აქტიურად ჩანს ჩართული აჭარის ზღვისპირეთიც, რისი დასტურია პეტრა-ციხისძირში და გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.[8]

ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო ქრისტიანული რელიგია, ხოლო ამ თვისობრივად ახალი სახელმწიფოს საწყისად ის ხანა ითვლება, როდესაც

---

[4] Бернштам А.Н. Очерки истории гуннов, Ленинград, 1951, с. 143-153; F.Altheim, Attila und die Hunnen, Baden-Baden, 1951, p. 178-179.

[5] Procop., De BP, II, 15; გეორგიკა, II, გვ. 72; Меликишвили Г.А К истории древней Грузии, с. 834; ნ.ლომბერი, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 74-75.

[6] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, с. 385; ნ.ლომბერი, ეგრისის სამეფოს ისტორია, გგ. 66. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ნ.ლომბერი. Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის. - „ოსუ შრომები", 1975, 162, გვ. 65-78. ამ შრომის უგულვებელყოფით ნ.ინაიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ციხისძირში დადასტურებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მოხსენიებული უნდა იყოს Notitia dignitatum-ში, სადაც, მისი სიტყვით, ჩამოთვლილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონების სადგომები. ამასთან იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ ძეგლში მოხსენიებული პუნქტი „მოხორა" შეიძლება სწორედ ციხისძირი იყოს („ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები", გვ. 115-116). ეს მოსაზრება გაუმართლებელია, რადგან „Notitia"-ში მოხსენიებული არც ერთი პუნქტი არაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქ.რიზეს ჩრდილოეთით, ხოლო „მოხორა"-ს ლოკალიზაციის ერთადერთი რეალური ვარიანტია მისი გაიგივება ჭანეთის სოფ.მოხორასთან. იხ. Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана. Ереван, 1971, с. 100; ნ.ლომბერი, დასახ. ნაშრ., გგ. 68-69.

[7] Procop., De BP, II, 15; გეორგიკა, II, გვ. 72-73.

[8] იხ.ზევით, თავი VIII, §I.

რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს. ბიზანტიის შემადგენლობაში ყოფნა, მის ვასალურ პოლიტიკურ ერთეულად ფუნქციონირება, ან მისი პოლიტიკური ორიენტაციის დაცვა, აუცილებლად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანობის აღიარებასთან. ამდენად, ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები, რომლებიც ირანის პოლიტიკური ზეგავლენის ან სულაც ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამ ზეგავლენიდან დახსნას ბიზანტიასთან აკავშირებდნენ და შესაბამისად ქრისტიანობაზე იღებდნენ გეზს და მას თავის სახელმწიფო რელიგიად ამკვიდრებდნენ. კანონზომიერი იყო ისიც, რომ ლაზიკაში, რომელიც კიდევ უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან, ქრისტიანობამ ადრე იწყო ფესვის მოკიდება და დამკვიდრება. ამაზე მეტყველებს ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციაში დამკვიდრებული გადმოცემა ანდრია პირველწოდებულის, მატათას და სიმონ კანანელის სწორედ დასავლეთ საქართველოში ქადაგების, ასევე, ცნობა ნიკეის პირველი საეკლესიო კრების (325 წ) მუშაობაში ბიჭვინტის ეპისკოპოს სტრატოფილეს მონაწილეობის შესახებ.[9] უდავოა, რომ სტრატოფილე, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი იყო და მაშასადამე, ქრისტიანობაც აქ საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული.[10]

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა **სახელმწიფო რელიგიად** დაახლოებით იმავე ხანებში გამოცხადდა, როდესაც ქართლში, ე.ი. IV საუკუნეში.[11]

აჭარის ისტორიისათვის ეს გარემოება ზოგადად გასათვალისწინებელია, რამდენადაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ეს ოლქი ლაზიკის განუყოფელი ნაწილი იყო როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულადაც. ამდენად, თავისთავად უეჭველია, რომ ახალი რელიგიის ოფიციალური დამკვიდრება აქაც იმავე ხანებში მოხდა, როდესაც დანარჩენ სახელმწიფოში, მით უფრო, რომ გადმოცემის თანახმად, ანდრია მოციქულისა და მატათას ქადაგების ერთ-ერთი ასპარეზი სწორედ აჭარაც იყო.

ჩვენ უფრო კონკრეტული მონაცემებიც გვაქვს. იგივე ციხისძირის არქეოლოგიურმა მონაცემებმა დღეს უკვე სრულიად ცხადი გახადეს აჭარაში ქრისტიანობის დამკვიდრება IV საუკუნიდან. ციხისძირის ბორცვზე და ბობოყვათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გაითხარა ადრექრისტიანული ხანის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, სადაც მოძოვებულია ნივთები ქრისტიანული სიმბოლიკით (გემიანი ბეჭედი თევზის გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება, ქრისტიანული შინაარსის გრაფიტო ამფორებზე).[12] ყოველივე ეს პარდაპარ ანალოგიებს პოულობს ბიჭვინტაში, წებელდაში, ნოქალაქევში, რაც აშკარა დოკუმენტური მოწმობაა აქ ქრისტიანობის დამკვიდრებისა.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ციხისძირში უკვე IV-V სს არის დადასტურებული ქრისტიანული სიმბოლიკის ელემენტები. როგორც ვნახავთ, სწორედ ციხისძირი, ანუ VI ს ბიზანტიური წყაროების პეტრა გახდა შემდგომში ლაზიკის ეპარქიის (სამიტრობოლიტოს) ერთ-ერთი საეპისკოპოსოს ცენტრი.[13] ამ ეპარქიაში, როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ ჭანე-

---

[9] გეორგიკა, I, გვ. 2-10.

[10] **ნ.ლომოური**, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 118-120.

[11] იქვე, გვ. 112-120; შეად. მისივე, დასავლეთ საქართველო IV-V საუკუნეებში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 186-188.

[12] **ალანიშვილი**, პეტრა-ციხისძირში 1962-65 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. - სდსძ, IV, თბილისი, 1974, გვ. 102-153; **ნანიაშვილი**, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს..., გვ. 114.

[13] უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება ბიზანტიური წყაროების პეტრას ციხისძირთან გაიგივების საწინააღმდეგოდ (**გ.გერგოლა**, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი, 1994.). ამ საკითხს შევეხებით ქვემოთ, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ჭოროხის სამხრეთით პეტრას ძიება საგსებით გამორიცხულია.

თის მოსახლეობაც, რადგან ბროკოპი კესარიელის ცნობით, ჭანებს, მღვდელმსახურებს ლაზთა ეპისკოპოსები უწესებდნენ.[14] ლაზეთის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსთაგან ტერიტორიულად სწორედ ბეტრას მღვდელმთავარი შეიძლებოდა ყოფილიყო მეზობელი რეგიონის საეკლესიო ხელისუფალი. თავდაპირველად, როგორც I მსოფლიო კრების აქტებიდან ირკვევა, ლაზიკა, კერძოდ, ბიჭვინტის ეპარქია, ბოლემონის პონტოს ეპარქიაში შედიოდა და აქვე იყო ტრაპეზუნტის ეპისკოპოსიც.[15] ასეთ სიტუაციაში ჭანეთის მღვდელმსახურები, საფიქრებელია, სწორედ ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ. მაგრამ შემდეგ, როცა შეიქმნა ლაზიკის მიტროპოლია თავისი ოთხი ეპისკოპოსით, ჭანეთის უშუალო მეზობლობა ლაზეთთან და ამ ორი მხარის ეთნიკური სიახლოვე ჭანეთის ბეტრას ეპისკოპოსისათვის დაქვემდებარების საფუძველი გახდა.

სხვა ცნობები ამ დროის აჭარის შესახებ ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ გვიანდელი მოვლენებისა და საერთო ვითარების გათვალისწინება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ აჭარა თანდათან სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა ლაზიკაში. მისი უშუალო მეზობლობა ბოლემონის პონტოსთან, ამასთან ჭანების დაუმორჩილებელ ტომებთან, იქვე მთებს გადაღმა იბერიის არსებობა ამ ოლქს მნიშვნელოვან ობიექტად ხდიდა და შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც VI ს იუსტინიანე I გაამკაცრა თავისი პოლიტიკა ლაზეთში, სწორედ აქ, ციხისძირის საქალაქო დასახლებაზე, შექმნა მან თავისი ძალაუფლების მთავარი საყრდენი - ქალაქი ბეტრა, რომელშიაც ლაზიკის უზენაესი რომაელი გამგებელი (სტრატეგოსი) დასვა.

---

[14] Procop., De BP, VIII, 2; გეორგიკა, II, გვ. 125.

[15] გეორგიკა, I, გვ. 2-4.

§5. მედიცინა უძველესი დროიდან ახ.წ. IV ს-მდე

ქართული მედიცინა სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. სამწუხაროდ, ხშირმა ომებმა ამ დარგსაც დიდი ზიანი მიაყენა; განადგურდა ან გატაცებულ იქნა ძველი სამედიცინო ხელნაწერები, მოისპო საკულტო ცენტრები, რომლებთანაც მრავალი სასნეულო და ქსენონი იყო მოწყობილი. საქართველოს მხარეებს შორის ამ მხრივ ყველაზე შეტად შისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, კერძოდ, აჭარა დაზარალდა.

მონღოლთა შემოსევებისა და ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ამ მხარეში თითქმის მთლიანად მოისპო სამკურნალო კარაბადინები; ბოლო დრომდე ისტორიისათვის უცნობი იყო, აგრეთვე, შესაბამისი არქეოლოგიური მასალაც, რომელიც ჩვეულებრივ ძვირფას ცნობებს იძლევა ამა თუ იმ მხარეში მედიცინის განვითარებაზე.

ზემოთქმულის გამო ქართული მედიცინის ისტორია, რომელსაც მრავალი მონოგრაფია და სახელმძღვანელო მიეძღვნა, წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს ზოგიერთი რეგიონით. აჭარა არცერთ ამ ნაშრომში წარმოჩენილი არ არის.

უკანასკნელ დროს აღმოჩენილმა ხელნაწერებმა და არქეოლოგიურმა მასალამ საშუალება მოგვცა შეგვევსო ეს ხარვეზი, შეგვესწავლა მხარეში მედიცინის განვითარების სურათი.[1]

საქართველოს ამ კუთხეში აღმოჩენილია ადამიანის განვითარების თითქმის ყველა საფეხურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც მიგვანიშნებენ ამა თუ იმ დაავადების გავრცელების, კვების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ.

პირველყოფილი ადამიანი საკვებად ძირითადად როგორც ცხოველურ, ისე მცენარეულ პროდუქტებს იყენებდა. ზოგიერთი დაავადების მკურნალობის დროს იგი მცენარეულ პროდუქტებზე დაკვირვებას და ემპირიულ გამოცდილებას ეყრდნობოდა. მომდევნო პერიოდში შინაური ცხოველების მოშენებამ მისი ცოდნა ახალი მონაცემებით შეავსო. მან სამკურნალოდ ცხოველური პროდუქტების გამოყენებაც სცადა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

ცხოველთა ორგანიზმის თავისებურებების ცოდნა ადამიანს გამოადგა საკუთარი ორგანიზმის შესასწავლად; ამგვარი ცოდნის დაგროვება საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და საფუძველად დაედო ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, დასტაქრობასა და მეანობას.

მეტალურგიის განვითარებამ ხელი შეუწყო მედიცინის ამ დარგებისათვის აუცილებელი იარაღების გაჩენას.

აჭარის ტერიტორიაზე ნაპოვნია თიხის, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, მინის, ფოლადის ნაწარმი, მათ შორის ჰიგიენური და კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭლები. საყურადღებოა, რომ ნივთების ერთი ნაწილი შემკულია გველის რელიეფური გამოსახულებით.

მთელ კოლხურ სამყაროში, მათ შორის აჭარაშიც, გველის კულტი ადრიდანვეა დადასტურებული. კერძოდ, იგი წარმოდგენილია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის მასალებში.[2]

ყველაზე ველი თიხის ჭურჭელი, რომელიც წამლების დასამზადებლად გამოიყენებოდა და ფიჭვნარის „ნამჭედურის“ ნამოსახლარზე აღმოაჩინეს მიეკუთვნება ძვ.წ. XVI-XV სს. აქვე,

---

[1] რ.სურმანიძე. რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, I, ბათუმი, 2001; II, ბათუმი, 2003.

[2] დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის „ქვეყანა“, ბათუმი, 1995, გვ. 97 და შმდ.

მახლობლად, სამაროვანზე აღმოჩენილია ძვ.წ. V ს ფერადი მინის სანელსაცხებლები (სურ. 57, 58), წამლების მოსამზადებელი თიხის ჭურჭელი და ბერძნული თიხის სანელსაცხებლები (ლეკითოსები - სურ. 37, 38, 44). ძვ.წ. V-III საუკუნეებს მიეკუთვნება ფიჭვნარის სამაროვანზეევე აღმოჩენილი თიხის საწოვარა (გუტუსი), რომლითაც ბავშვებსა და ავადმყოფებს თხევად საკვებს და წამლებს ასმევდნენ.

ძალზე მდიდარი მასალები აღმოჩნდა ციხისძირის მიდამოებშიც. აქ დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს ბინცეტი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, ეს არის ერთ-ერთი უნიკალური და უძველესი ქირურგიული იარაღი, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. იგი უიჭველია, გამოიყენებოდა ტრავმული შემთხვევების (მოტეხილობები, ჭრილობები, სისხლის დენა და სხვ.) დროს და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა „პატრიარქალური გვარის განვითარებასთან ერთად მტკიცდებოდა ტომი. სიმდიდრის მოხვეჭის, საძოვრების დაუფლების სურვილი და სხვა სასიცოცხლო მოთხოვნილებანი იწვევდა ბრძოლებსა და შეტაკებებს ტომებს შორის, რაც უდავოა, ზრდიდა ტრავმატიზმის შემთხვევებს“.[3]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ოქროს სამკაული, რომელიც მუხის ფოთლებით და რკოებითაა დამშვენებული (სურ. 101.2).

ძველი ბერძნების წარმოდგენით, პრომეთეს დედის აზიისათვის (ჰესიოდეს მიხედვით კლიმენე), წმინდა იყო ყურძნის მტევანი და მუხა. ყურადღება მიექცა კურტ შპრენგელის ცნობას, რომ კოლხეთში თაყვანს სცემდნენ ფაზისის ღმერთ აზიას, რომლისთვისაც, როგორც ითქვა, წმინდა იყო ყურძნის მტევანი და მუხა. ვაზის მტევნებია გამოსახული ფიჭვნარის ძვ.წ. III ს მოხატულ დოქზე (სურ. 65). ამის მიხედვით აკეთებენ დასკვნას, რომ „მუხის და ვაზის მტევნისადმი თაყვანისცემას სიმბოლურ სამყაროდან აშკარა რეალურ სამყაროში გადმოვყავართ“, რომ, მართლაც, მუხის როგორც ქერქი, ისე ნაყოფი დღესაც ვირფასი ნედლეულია ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მისაღებად.[4]

დღემდე შემორჩენილი მკურნალობის მაგიური მეთოდები, აგრეთვე ჩვენში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი ადასტურებს, რომ აქ ფართო გავრცელება ჰქონია მაგიურ მედიცინასაც. ამის ძირითადი მიზეზი ცნობილია: ადამიანისათვის ძნელი ასახსნელი იყო გარემო სამყაროში მიმდინარე პროცესები, სტიქიური მოვლენები, სიცხე, სიცივე, ელვა, ჭექა-ქუხილი, წვიმა, თოვლი, ქარი და ა.შ. მას წარმოდგენა არ ჰქონდა საკუთარ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე (ორსულობა, მშობიარობა, დაბადება, ძილი, სიზმარი, დაავადებები და ა.შ.). ზოგიერთი არასასურველი პროცესის ასაცილებლად ადამიანმა მოიგონა მაგიური საშუალებები, რომლებიც რელიგიის წინა საფეხურის გადმონაშთებად არის მიჩნეული.

ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე იპოვეს მაგიური დანიშნულების ბრინჯაოს ზარაკები, მინის თვალედი მძივები, რომლებიც ძვ.წ. V-III ს მიეკუთვნება (სურ. 35.2; 81.2), ხოლო მახვილაურის ნამოსახლარებთან აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების ქვის ამულეტები, რომლებიც უფრო ადრეული - ძვ.წ. VI ათასწლეულისა უნდა იყოს (სურ. 6.2).

ძველთაგანვე ხალხში ცოცხლობს ხსოვნა იმის შესახებ, რომ პერიფერიული ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების განკურნება შეიძლება სარდიონის მძივებით, რომლებსაც ხალხი ძველ სამარხებსა და ნასახლარებში პოულობდა. ხუცუბანში, მდინარის ფლატეში ადგილობრი-

[3] ბ.შენგელია. ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1980, გვ. 25.

[4] ს.სალუქვაძე. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები. თბილისი, 1987, გვ. 62-63.

ვი მცხოვრებლები ნახულობდნენ სარდიონის ძველ „კაკილებს“ (მძივებს), რომლებსაც შაკიკის სამკურნალოდ იყენებდნენ.[5] ამ მძივებს სახელადაც „შაკიკს“ ეძახდნენ და საჭიროების დროს (თავის ტკივილი, სამწვერა ნერვის ანთება და სხვა) შუბლზე იკიდებდნენ, ამას თან ერთვოდა შელოცვაც.[6] ცეცხლაურში მოპოვებულია ძ.წ. VIII-VII სს შესანიშნავად დამუშავებულ-გაპრიალებული სარდიონის მძივების მთელი ასხმა (სურ. 28.1).

ერთ-ერთ დოკუმენტში, სადაც, სხვათაშორის, ხუცუბანია ნახსენები, დაცულია ტექსტიც „ლოცვა შაკიკისა“, რომელშიც მოხსენებულია „სამი ივის კაკალი: ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი...“.[7] ამგვარად, დაავადების მკურნალობის დროს ირაციონალურ შელოცვას ახლავს მაგიური ნივთით მკურნალობის შედარებით რაციონალური მეთოდი, რასაც ფსიქო-ფიზიკური ზემოქმედების თვალსაზრისით, მართლაც, უნდა მოყოლოდა გარკვეული ეფექტი.

სარდიონის მძივებს სამკურნალო თვისებებს მიაწერდა სულხან-საბა ორბელიანიც: „სარდიონი ესე თვალი სისხლის ფერია, სენთა ჰკურნავს. ეს თვალი წითელია, სისხლის ფერი, მსგავსი სარკისა და სნეულებასა ჰკურნავს, იპოვების ბაბილონში, დიდსა ასურეთს“.[8] დიდი ლექსიკოგრაფი საერთოდ ჩამოთვლის 12 ვირფას ქვას, რომელთაგან სამკურნალო თვისებებს მიაწერს მხოლოდ ორს, სარდიონსა და ანთრაკს (ხუცუბანში ადრერკინის ხანის ნეკროპოლზე სარდიონის 180-მდე მძივი აღმოჩნდა. აქედან 30 მძივი გრ.გურიელმა და ექ.თაყაიშვილმა მოიპოვეს, 30 ცალი მათ გლეხებმა აჩუქეს, ხოლო 150-მდე მძივი 1944 წ აღმოაჩინა ავთ.იოსელიანმა).[9] სარდიონის მძივები მოპოვებულია, აგრეთვე, ფიჭვნარში, ციხისძირსა და მახვილაურში.

ამგვარად, სამყაროსა და ცოცხალი არსების ბუნების გაუცნობიერებლობამ ადამიანს შეუქმნა გარკვეული რწმენა (ნამდვილიცა და მოჩვენებითიც) ბიოლოგიურ პროცესებზე, გამრავლება-განაყოფიერებაზე, ზრდა-განვითარებასა და სიკვდილზე, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით კარჩაკეტილობით ცნობილ მთაში, დღემდე შემორჩა. მთიან აჭარაში ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების გამო, კარჩაკეტილობა საკმაოდ საგძნობი იყო.

წარმართული დროიდან ადამიანის დაავადებას უკავშირებდნენ როშელიმე სალოცავის (ხატის) განრისხებას. ადამიანთა წარმოდგენით ყველა მოვლენას, დაავადებას ან ადამიანის ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ ფუნქციას (ორსულობა, მშობიარობა, შვილოსნობა და ა.შ.) თავისი ხატი (ღვთაება) ყავდა.

მესხეთ-ჯავახეთში, რომლის ნაწილს აჭარაც შეადგენდა, ყველაზე მიზეზიან ხატად მიჩნეული იყო ბტენის წმინდა გიორგი, რომელიც მალარიას კურნავდა. ასევე აღსანიშნავია ვარძიის ხატი, სადაც სულით ავადმყოფები, ასთმიანები და უშვილო ქალები იკურნებოდნენ. ხატებს უკავშირდებოდა ბატონების (წითელა, ყივანახველა და ა.შ.) კულტიც, რომლის რწმენა დღესაც გვხვდება აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ფიქრობენ, რომ ხუცუბნის ადრეულ სამარხებში ნაპოვნი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლომის თავები და თეთროსანის საყდრის მოხატული „დავითნის“ მინიატურებში წარმოდგენილი ლომის გამოსახულებანი ყვავილ იასთანაა გარკვეულ კავშირში. ყვავილ - ბატონებზე ძველი კოლხური საგალობელი „იავნანა“ დაკავშირებულია წარმართულ ღვთაება ბარბარესთან, იგივე ბაბილონურ ლაბარტუსთან (ძუ ლომთან), რაც პირველად ივანე ჯავახიშვილს შეუნიშნავს.

---

[5] ბითსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. თბილისი, 1973, გვ. 31.

[6] იქვე, გვ. 31.

[7] ძ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექცია, №3027.

[8] სორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 2, თბილისი, 1993, გვ. 50.

[9] ბითსელიანი, დასახ. ნაშრ., ჩანართი, 32-33 გვერდებს შორის.

ფიქრობენ, რომ იგი ხუცუბნის ლომის თავებთან და თეთროსნის ლომის გამოსახულებებთანაც უნდა იყოს კავშირში.[10]

არსებობდა მრავალგვარი სამკურნალო რიტუალები, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი შელოცვას ეკავა. სამკურნალო შელოცვა ხალხის ხსოვნაში დარჩენილი, მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ჟანრია. მაგიური მკურნალობის სათავეები, როგორც ჩანს, შელოცვებთან იყო დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ მკურნალობის პროცესში სიტყვის, შთაგონების უდიდეს ზეგავლენას, გასაგები გახდება, რომ შელოცვაც გარკვეულწილად დადებითად მოქმედებდა ავადმყოფების განწყობაზე.

ხალხმა სამკურნალო შელოცვებში ძირითადად უძველესი შინაარსი და სიტყვაწყობა შემოინახა. აჭარისთვის, განსაკუთრებით მისი მთის ზოლისათვის, როგორც ზემოთაც ითქვა, დამახასიათებელი იყო გარკვეული კარჩაკეტილობა. საყურადღებოა, რომ ისლამის გავრცელების მიუხედავად, სამკურნალო შელოცვებში სრულებით არ გვხვდება ბარბარიზმები. სამაგიეროდ ხშირად ვხვდებით ქრისტიანული აღმსარებლობისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს.[11]

ხშირ შემთხვევაში აჭარაში გავრცელებულ შელოცვებში მოიხსენიება რიცხვი შვიდი, რაც ძველი ბაბილონური და შუმერული წარმოდგენების ანარეკლი უნდა იყოს:

„ანისაო, ბანისაო, მე გილოცავ თვალისაო,

ჯერეთ ჩემი თავისაო, შვიდი ქვრივი ქალისაო...“[12]

საყურადღებოა, რომ მრავალი მსგავსი სიტყვა გამოავლინეს შუმერულ, ელამურ და აქადურ ტექსტებში. ასე, მაგალითად, ქართული შაკიკი, შუმერულადაც ასევე ეწოდერს - Sakiki. ქართულად ერთ-ერთ სამკურნალო მცენარეს კასია ქვია, შუმერულად Casia სამკურნალო ბალახს ნიშნავს. აქადურად Adaru დარდ-ს, მწუხარებას ნიშნავს, Banu - სისუფთავეს (აქედან ქართული ა-ბან-ო). Lemasu - კეთილს და ქართულ ლამაზს შეესატყვისება, Sapaku - ჩამოსხმას (აქედან ქართული შიბაქი) და ა.შ.[13]

საყურადღებოა, რომ აჭარაში გავრცელებულ შელოცვებში, უშუალოდ შელოცვის ტექსტის გარდა, მოცემულია ხალხური მკურნალობის უძველესი ხერხი, ჩამოთვლილია სამკურნალო საშუალებები, რითაც ეს ტექსტები სცილდება მაგიურ-რელიგიური ფოლკლორის ფარგლებს და ხალხური მკურნალობის მნიშვნელობას იძენს. ქართულ ხალხურ სამედიცინო ტექსტებში ჩამოთვლილი საშუალებები ხშირად დღესაც გამოიყენება საყმაწვილოს სამკურნალოდ. ასე მაგალითად, სელის ზეთი, დიკა ბური, ლილა ქარვანაი და ძაღლყურძენა საყმაწვილოს სამკურნალოდ გამოიყენება,[14] ხოლო ღოლო და ლენცოფას ძირი, აგრეთვე, კარაქზე დამზადებული გოგირდის მალამო - მუნის სამკურნალოდ.

ჩვენი წარმოდგენა ძველი ქართული მედიცინის განვითარებაზე ქართულ მითებს, ზღაპრებსა და თქმულებებს, აგრეთვე, უცხოურ წყაროებში შემორჩენილ ცნობებს ემყარება. ამ მხრივ მდიდარ მასალას ვნახულობთ ცნობილ ეპოსში „თქმულება ამირანზე“, აგრეთვე ძველ ბერძნულ მითოლოგიასა და მწერლობაში.

ამირანზე თქმულებაში ყურადღებას იმსახურებს ყამარის პერსონაჟი, რომელიც ვითომც თაგვზე მიბაძვით (თაგვმა მკვდარი შვილი რაღაც ბალახით გააცოცხლა) სამკურნალო მცენარის

---

[10] იქვე. გვ. 232.

[11] ო.შთოშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994, გვ. 39.

[12] იქვე. გვ. 12.

[13] გ.შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 12-13.

[14] ო.შთოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

გამოყენებით აცოცხლებს ამირანს, ბადრსა და უსუბს.

„ამირანიანისათვის“ ცნობილია, აგრეთვე, ბანგის, როგორც საძინებელი საშუალების გამოყ ენება (დევებმა ამირანს ბანგი შეაბარეს და დააძინეს).

საინტერესოა საკეისრო გაკვეთის მსგავსი ოპერაცია, რომელსაც ეპოსში ვხვდებით. აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქალღმერთმა დალიმ სულკალმახს თხოვა დანით გაუჭრას მუცელი. იგი, მართლაც, ასე მოიქცა და ამოიყვანა მზის მსგავსი ბავში. უფრო მეტიც, რადგან ნაყოფი ზრდადასრულებული არ არის, დალი ურჩევს სულკალმახს, რომ მისი ახალშობილი შვილი სამი თვე დეკეულის ფაშვში შეინახოს, სამი თვე კუროს ფაშვში, რათა რაც დედის მუცელში დააკ- ლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს. მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწვინე აკვანშიო, ურჩევს დალი. დეკეულისა და კუროს ფაშვი დღევანდელი გაგებით ცვლის კოუვეზს (ინკუბატორს), რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში.

„ამირანიანში“ ხშირად ვხვდებით ცნობებს ჭრილობების მკურნალობის, თვალის ამოღების, მწვავე ინფექციური დაავადებების (ყვავილის), მინერალური წყლის სამკურნალო გამოყენების და სხვათა შესახებ.[15]

შ.ნუცუბიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ერთ საინტერესო ადგილს „ამირანიანში“ და აღნიშნა, რომ ეპოსის შექმნისას, ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულში, საქართველოში უკვე არსებობდა აზრი სამყაროს ოთხი ძირითადი ელემენტის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შესახებ. მისი სიტყ ვით, „პოემა „ამირანში“... ოთხი სტიქიონია შეტანილი ქვეყნის საერთო სურათის აღნაგობაში: **წყალი**... აღიარებული იყო ყოველივე ცოცხალის და მზარდის საწყისად, **ჰაერი** კი იყო სფერო, სადაც ბრუნვაში მოდიოდნენ ზეციური ჯამ-ელემენტები, **ცეცხლი** - ეს იყო ერთი ძირითადი ზეციური სტიქიონი, რომელიც ამირანის მცდელობითა და მოღვაწეობით გამოტაცებულ იქნა ღმერთებისაგან, ხოლო დასასრულ, **მიწა** - რომელიც უბრისპირდება ზეცას. იგივე საწყისი, ე.ი. მიწა ამირანის მისწრაფების მიზანია, რადგან ამირანი თვითონ არის მიწასთან დაკავშირე- ბული, როგორც განსახიერება ბუნებისა და ყოველივესი, რაც ცოცხლობს და იზრდება დედამი- წაზე“.[16]

ფიქრობენ, რომ ამირანის ეპოსში ფიქსირებული ეს იდეა საქართველოდან შევიდა ძველ საბერძნეთში და საფუძვლად დაედო ესქილეს ტრაგედიას „მიჯაჭვული პრომეთე“.

„ამირანიანში“ დადასტურებული სამედიცინო-ბიოლოგიურ კონცეფციებს გარკვეულად საფუძველს უმაგრებს და ახალ შინაარს სძენს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, რომ- ლის მნიშვნელოვანი ნაწილი მედეას ეძღვნება. კოლხეთის მეფის ასულმა საყურადღებო როლი შეასრულა საკაცობრიო სამედიცინო აზროვნების განვითარების ისტორიაში. ვარაუდობენ, რომ მედეა რეალური პიროვნებაა და არა მითიური არსება, გრძნეული ან ჯადოქარი, როგორც ამას ზოგიერთი ძველი მწერალი აღნიშნავდა.

მედეას „ჯადოქრობა“ წამლების მომზადებასა და ავადმყოფთა მკურნალობაში მისმა დიდ- მა განსწავლულობამ და სიბრძნემ განაპირობა. მართალია, მედეას სამკურნალო საქმიანობა ერთგვარად რელიგიურ-მისტიკურ რიტუალებსაც უკავშირდება, მაგრამ თუ თვალს მივადეგ- ნებთ წამლების დამზადების მისეულ წესებს და მკურნალობის მეთოდებს, თითქმის ვერაფერს ვნახავთ მაგიურს - წამლები და მათი სამკურნალო მოქმედება ზუსტად შეესაბამება ხალხის იმდროინდელ გამოცდილებას.

---

[15] **გ.შენგელია.** დასახ. ნაშრ., გვ. 32-46.

[16] **შ.ნუცუბიძე.** ქართული ფილოსოფიის ისტორია. I, თბილისი., 1958, გვ. 53.

წამლების მომზადება და მკურნალობა მედეას თქმულების მიხედვით, დედამ და დამ შეასწავლეს. ამ ცოდნას ის იყენებდა არა ადამიანების სამტროდ, არამედ იმისათვის, რომ „გადაერჩინა სიკვდილისაგან ყველა, თვით უცხოელიც კი".[17]

კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით „მედეამ, აიეტის ასულმა, კოლხმა, ბირველმა გამოიგონა თმის შეღებვა".[18] ადამიანის გაახალგაზრდავების მიზნით სისხლის გადასხმის თავისებურ წესსაც მედეას მიაწერენ. ამის შესახებ მოგვითხრობს ოვიდიუს ნაზონი.[19] სხვა საქმეა, თუ როგორია დღევანდელი გაგებით სისხლის გადასხმის ამ მეთოდის შეფასება, მაგრამ თვით ფაქტი, რომ ესოდენ დიდ ცოდნას მედეას მიაწერენ, მეტად საგულისხმოა და ძველ სამყაროში კოლხური მედიცინის მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს.

იასონის ღალატის შემდეგ მედეამ თავისი ცოდნა შურისძიებისათვის გამოიყენა. ჯერ გაკიცხა იასონი, შემდეგ მის ახალ საცოლეს გაუგზავნა შხამით გაჟღენთილი სამოსი, რომლის ჩაცმის შემდეგ გლავკეა გარდაიცვალა, ასევე განუტევა სული მისმა მამამ კრეონტმაც, რომელიც ქალიშვილის კაბას შეეხო. მამა-შვილის დაღუპვის სხვა ვერსიაც არსებობს, სადაც დაზუსტებულია შხამის შემადგენლობა. კერძოდ, ნათქვამია, რომ მედეამ ერთ-ერთი მცენარის ფესვისაგან დამზადებული წამალი შეურია ნავთში და ამ ნაზავით გაჟღინთა გლავკეას სამოსი. როგორც კი ამ ტანსაცმლით ბატარძალი ცეცხლს მიუახლოვდა, ალი ავარდა და გლავკეა მამასთან ერთად ხანძრის მსხვერპლი გახდაო. ასეა თუ ისე, მედეას მიაწერენ, რომ იგი მცენარისაგან ამზადებდა ისეთ ნივთიერებას, რომელიც შეხებისთანავე კლავდა ადამიანს, ან კიდეე იმდენად აქროლადი იყო, რომ ცეცხლს იტაცებდა, ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, მხოლოდ დიდად განსწავლულ წამალთმცოდნეს შეეძლო.

ბერძენი ავტორები, მათ შორის ევრიპიდეს თანამედროვენიც, კატეგორიულად უარყოფენ ევრიპიდეს მიერ შეთხზულ ვერსიას შვილების დახოცვის შესახებ და მედეას წარმოგვიდგენენ უნიჭიერეს მკურნალად, უაღრესად კეთილშობილ, სათნო და ამასთან უდიდესი ნებისყოფის მქონე შეუდრეკელ პიროვნებად.[20]

მედეას მიერ დამზადებული წამლების ჩამონათვალი ძალზე მრავალფეროვანია, რომელშიც იყო აგრეთვე მომწამვლელიც, გარკვეული დოზების მიღების შემთხვევაში - სასიკვდილოც. მთავარია, რომ მედეა წამლებს ამზადებდა არა რაღაც მისტიკური წესების გამოყენებით, არამედ რეალურად, ბუნებაში არსებული ნედლეულის, ძირითადად მცენარეულისაგან. ამიტომაა, რომ მედეას სამკურნალო საქმიანობაში რაციონალური ყოველთვის სჭარბობს მისტიკურს.

დიოდორ სიცილიელის ცნობით, დიდ მკურნალად არის წარმოდგენილი მედეას მამიდა ჰეკატე, რომელმაც „ქალიშვილობაში შეიძინა ღრმა ცოდნა შხამების შეზავებაში, აღმოაჩინა ბაია (aconitum), გამოსცადა შხამების მოქმედება, რასაც საჭმელთან ერთად უცხოელებს აძლევდა. შემდგომში მისმა ქალიშვილმა ცირცეამ მთელი სიცოცხლე შეალია შხამების შესწავლას, აღმოაჩინა სხვადასხვა მცენარეთა ფესვების საკვირველი თვისებები. მართალია ჰეკატემ, ასწავლა მას ბევრი საიდუმლოებანი ამ ნაერთებისა, მაგრამ თვით ცირცეამაც თავისი შრომისმოყვარეობით ბევრი რამ აღმოაჩინა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არავის უთმობდა პირველობას ამ მეცნიერებაში...".[21]

---

[17] ჯ.შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

[18] გეორგიკა. I. ა.გამყრელიძის და ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1961, გვ. 25.

[19] Касирский И.А. Переливание крови, Москва, 1939, с. 13-16.

[20] ჯ.შენგელია, რ.სურმანიძე. მედეა.- გაზ. „საბჭოთა აჭარა", №17, 1983, 25 იანვარი, გვ. 4.

[21] ჯ.შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 48-49.

თქმულებათა მიხედვით, მედეამ ჰეკატესა და ცირცეასაგან ისწავლა წამლების დამზადება და მკურნალობა, მაგრამ შემდგომში ისე დახელოვნდა, იმდენად სრულყო თავისი დაკვირვებები, თავისი ცოდნა, რომ მასწავლებლებსაც გაუსწრო და დიდად განსწავლული მკურნალის სახელი მოიხვეჭა არა მარტო კოლხეთში, არამედ საბერძნეთშიც.

რომაელი მწერლები მიუთითებდნენ, რომ კოლხეთის ქალაქ აიაში სამკურნალო მცენარეთა ბლანტაციაც არსებობდაო; ბერძნულ წყაროებში კიდევ უფრო დაზუსტებულია ეს გარემოება და ნათქვამია, რომ მდინარე ფაზისის დაბლობზე გაშენებული იყო ჰეკატეს ბაღი, სადაც მრავალი მცენარე ხარობდა.[22]

ნაცადი იქნა „ჰეკატეს ბაღის" იმ მცენარეთა სიის აღდგენა, რომელიც ცნობილია თანამედროვე ხალხური და ბროფესიული მედიცინისათვის. სამწუხაროდ, ცნობების შეკრება მოხერხდა მხოლოდ 53 მცენარის შესახებ. ისინი აჭარაში დღესაც თითქმის ისეთივე დანიშნულებით გამოიყენება, როგორც იყენებდნენ ჰეკატე, მედეა და ცირცეა. ეს მცენარეებია:

ვენერას თმა, ტილჭირი, ფრინტა, კამა, ქალალდის არალია, ირაგა, ასფოთოლა, შმაგა, იელი, ალისარჩული, ანაგვირილა, შინდი, ყოჩივარდა, უცუნა, მარჯნისძირა, დრაცენა, ზაფრანა, ბაბირი, ბაბირუსი, ფინურა, მთის ჩადუნა, ურიში, ილი, ქალბანა, ყაყაჩურა, სურო, ხარისძირა, ღავი, არჯაკელი, დაფნა, ლავანდი, ლიკოპუსი, ხანჭკოლა, ბალბა, მანდრაგორი, სამკურნალო მატრიკარია, ბიტნა, თაგშავა, იორდასალამი, ყაყაჩო, ძირთეთრა, ლობიო, ჭადარი, სალბი, გონგოლა, ეკალღიჭი, ძაღლყურძენა, ეუნერუკი, ურთხელი, ბეგქონდარა, ჭარელა, კუტიბალახი, კატაბალახა, ვერბენა, ცერცველა.[23]

დასახელებულ მცენარეთა საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, აჭარაში ადრიდანვე გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში. ამ სიის 17 მცენარე შეტანილია აჭარაში აღმოჩენილ XVIII ს სამკურნალო ხელნაწერებში, რაც უძველესი კოლხური სამედიცინო ტრადიციის, კერძოდ, წამლის მომზადებისა და მკურნალობის მედეასეული მეთოდების ანარეკლი შეიძლება იყოს.

მედეას მითოლოგიური ბიოგრაფიიდან ცნობილ სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად, ეს ფაქტიც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მედეა რეალური ბიოგენებია და მასში განსახიერებულია წინაქრისტიანული პერიოდის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიღწევები სამკურნალო ხელოვნებაში.

დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასკლეპიოსის და ჰიგიას ეპოქამდე თითქმის ათასი წლით ადრე ქართველებს ყავდათ მედეა, რომელიც აღიარა მომდევნო დროის მრავალმა სამედიცინო ავტორიტეტმა.

1792 წ გერმანელმა მეცნიერმა კურტ შპრენგელმა ჰალეში გამოსცა მსოფლიო მედიცინის ისტორიის ხუთტომეული - „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების გამოცდილების ისტორია", რომლის პირველი ქვესათაურია „უძველესი კოლხური მედიცინა", სწორედ კურტ შპრენგელმა შემოიტანა სამედიცინო ტერმინოლოგიაში Cura midiana, რაც მედეასეულ მკურნალობას აღნიშნავს. ასევე, ყველა ხალხში ერთნაირად ღღერადი ტერმინი „მედიცინაც" მედეას სახელს უნდა უკავშირდებოდეს.[24]

---

[22] ხ.სალუქვაძე-დასახ. ნაშრ., გვ. 57, 58.

[23] სიის შედგენისას გსარგებლობდით რ.დ. კუბაინის (ეურნ. „საბჭოთა მედიცინა", №3-6, 1931), ზ.შენგელიას (სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბილისი, 1983), მ.შენგელიას (უძველესი კოლხეთ-იბერიის მედიცინა. თბილისი, 1976, ქართული მედიცინის ისტორია. თბილისი, 1980), რ.სურმანიძის (მცირე კარაბადინი, I, ბათუმი, 1974, მცირე კარაბადინი, II, ბათუმი, 1990) შრომებით.

24 K.Sprengel. Versuch einer pragmatischen Yeschichte der arzneicunde 4, aufgabe Bunds, Leipzig, 1846.

ძირითადი შემოკლებანი

ასმშ	- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები
ბსკიფა	- აკად.ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდების არქივი
ენიმკის მოამბე	- ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
მსე	- მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მსკა	- მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის
მსკი	- მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
სდსძ	- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები
სდსზ	- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზებირსიტყვიერება
სდსყკ	- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა
სდსყკს	- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის საკითხები
სსიეს	- სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები
სსმმ	- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
АПГА	- Археологическое путешествие в Гурии и Адчаре.
ВАГ	- Вопросы археологии Грузии
ВВ	- Византийский временник
ВДИ	- Вестник древней истории
ГМИИ	- Государственный музей изобразительных искусств им. А.С.Пушкина
ЗОАО	- Записки Одесского Археологического Общества
ИГАИМК	Известия Государственной Академии истории материальной культуры
ИКАМ	- История и культура античного мира
ИКОИРГО	Известия Кавказского Отделения Императорского Росийсского Географического Общества
ИКОМАО	- Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического Общества
КСИА	- Краткие сообщения Института археологии

КСИИМК	- Краткие сообщения Института истории материальной культуры
МАСП	- Материалы по археологии Северного Причерноморья
МИА	- Материалы и исследования по археологии СССР
НЭ	- Нумизматика и Эпиграфика
ПАИ	- Полевые археологические исследования в Грузии
ПГКСВП	- Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья
ПИСПАЭ	- Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху
СА	- Саветская археология
СЭ	- Советская этнография
ТАИЯЛИ	- Труды Абхазского Института языка, литературы и истории им.Д.Гулия
ТОНГЭ	- Труды Отдела нумизматики Государственного Эрмитажа
Труды ЮТАКЭ	- Труды Южно-Туркменинстанской археологической комплексной экспедиции
ХКААМ	- Художественная культура и археология античного мира
AA	- Archäologischen Anzeiger. Beiblatt zum Iahrbuch des deutschen Archäologischen Institut
AJA	- American Jaurnal of Archaeology
BSA	- Annual of the British School at Athens
RE	- Payly - Wissowa - Kroll. Real-Encyclopädie der klassischen Altertumwaissenschaft

ილუსტრაციები

1. აჭარის ძირითადი არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები. რუკა (შემდგენელი პროფ. დ.ხახუტაიშვილი. 1999 წელი).

2. 2-10. ქვედა პალეოლითური იარაღ-ანატკეცები ბულულადან (ბეშუმის მიდამოები).

3. ახალი ქვის ხანის დასახლება სოფ. ქობულეთში (ა.ჯაველიძის რეკონსტრუქცია).

4. ობსიდიანის იარღ-ანატკეცები ყიშლადან და მახვილაურიდან.

5. 1-2. ქვის გაბრიალებული ცული და ბიკისებური იარაღი მახვილაურიდან.

6. ნეოლითი. 1. ქვის თოხი. 2. ნახვრეტებიანი ქვის ამულეტები. 3. შურდულის ქვები. 4. ბადის საძირავებად გამოყენებული ქვის საწაფები (მახვილაური).

7. ენეოლითი. 1.კაეის შუბისებური კვირიკედან. 2. კაეის ისრისებური ტალახნარიდან. 3. ძვლის სადგისები ჯანჯღნარიდან.

8. ენეოლითი. 1, 2. თიხის ჭურჭელი ჯანჯღნარიდან.

9. ადრებრინჯაოს ხანა. 1. ყუადაქანებული ცული ნამარიდან. 2. თიხის ჯამი ჯანჯღნარიდან. 3, 4. თიხის ჭურჭელი კოლოტაურიდან.

10. ადრებრინჯაოს ხანა. მასალები ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარიდან. ქობულეთი. 1-2. კაეის ისრისპირები. 3. თიხის ანტრაპომორფული ქანდაკება. 4-6. სბერეველების საქშენი მილები ტიგელური დნობისათვის. 7. ყუადაქანებული ცულის ხის მოდელი. 8-0. ყუადაქანებული ცულების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბების ფრაგმენტები. 10. აბაზანის მსგავსი მინიატურული თიხის ტიგელები.

11. 1. თიხის ქილა ისპანიდან. 2. ბრინჯაოს ცული აჭყისთავიდან (ადრებრინჯაოს ხანა). 3. ყუამილიანი ცული ვერნებიდან (შუაბრინჯაოს ხანა).

12. 1. ბრინჯაოს ცულები ვირნათიდან. 2. კოლხური ცულები თხილნარიდან. 3, 6. ბრინჯაოს თოხები. 4. ბრინჯაოს სეგმენტები (აჭარის სახელმწიფო მუზეუმი).

13. 1. ბრინჯაოს ცული გვარადან (მაჭახლის ხეობა). 2, 3. ბრინჯაოს ცულები ფიჭვნარიდან. 4. ბრინჯაოს წალდები. 5. ბრინჯაოს ნაშგლისებური იარაღი (აჭარის სახელმწიფო მუზეუმი).

14. გვიანბრინჯაოს ხანა. 1. ბრინჯაოს ცულები ხიხალიძეებიდან. 2-5. ზენითის განძი.

15. გვიანბრინჯაოს ხანა. ზუნდაგის განძი.

10. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. ხიხაძირის განძი.

17. გვიანბრინჯაოს ხანა. 1. კოლხური ცულების ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები. 2. საკინძების ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები. 3. ბრინჯაოს ისრისპირებისა და მძივების ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები. 4. კაეის ისრისპირი. 5. კაეის ნამგლის ჩასართი. 0. თიხის ქაფრა და ტიგელები (ფიჭვნარი)

18. ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცულები. 1. მარადიდი (ჭოროხის ხეობა). 2. ჩალეწილი (მაჭახლის ხეობა).

19-20. ზოომორფულყურებიანი კანელურებით შემკული გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი (ფიჭვნარი).

21. გვიანბრინჯაოს ხანა. 1. ორნამენტირებული თიხის დერგისებური ჭურჭელი. 2. თიხის ორნამენტირებული ჭურჭელი (ფიჭვნარი).

22. აჭარა კულხას სამეფოს შემადგენლობაში. რუკა (შემდგენელი პროფ. დ.ხახუტაიშვილი. 1999 წელი).

23. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. 1, 2. ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიები და რგოლები სოფელ ვაიოდან. 3. ბრინჯაოს ორნამენტირებული მშვილდსაკინძი წონიარისიდან. 4. ბრინჯაოს ცხოველის თავებით შემკული საკიდი წონიარისიდან.

24. რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ადრერკინის ხანა.

25. ძველკოლხური რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოები (რეკონსტრუქცია ა.ჯაველიძისა).

26. ადრერკინის ხანა. 1. ბრინჯაოს ვერძი ქობულეთიდან. 2. ქვის ურიები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. 3. თიხის გრაფირებული ჭურჭელი ციხისძირიდან.

27. ადრერკინის ხანა. 1. ქვის ქანდაკება ეგვიპტის ფარაონის გამოსახულებით (ჩაქვის ჩაისუბანი). 2, 3. თიხის ხარის თავისა და ტორსის ქანდაკების ფრაგმენტები. 3. თიხის ვერძის თავი (ბათუმისციხე).

28. ადრერკინის ხანა. სარდიონის მძივები ცეცხლაურიდან. 2. მინის მძივები მახვილაურიდან.

29. აჭარა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში (შემდგენელი დ.ხახუტაიშვილი. 1999 წელი).

30. 1. ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის ერთ-ერთი უბნის არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი. 2. ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლის ერთ-ერთი მონაკვეთის არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი.

31. 1. ძვ.წ. V ს ორნამენტირებული თიხის ქოთანი. 2, 3. ყურმილიანი დოქები. 4. მზის დისკოსებური გამოსახულებით შემკული თიხის დოქი (ფიჭვნარი).

32. ფიჭვნარული დოქები. ძვ.წ. V ს.

33. 1. მზის გამოსახულებით შემკული თიხის მათარა (ფიჭვნარი). 2. წყვილბირიანი ჭურჭელი (ციხისძირი). ძვ.წ. V ს.

34. 1. კოლხური მონეტები. 2. რკინის შუბი (მუჯარა). ძვ.წ. V ს, ფიჭვნარი.

35. 1. მინისა და მინისებური ბასტის მძივები ძვ.წ. V ს ფიჭვნარის კოლხური სამაროვნიდან. 2. მინის თვალადი მძივები ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლიდან.

36. შავფიგურული ოინოხოია. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი (ფიჭვნარი).

37. 1. ბალმეტებიანი შავფიგურული ლეკითოსი. 2, 3. სუროს ორნამენტით შემკული შავფიგურული ლეკითოსები. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი (ფიჭვნარი).

38. შავლაკიანი მოხატული, სადა და ორნამენტირებული ლეკითოსები (ფიჭვნარი). ძვ.წ. V-IV საუკუნეები.

39. შავფიგურული ბალმეტებით შემკული ალაბასტრი. 2. სენ-ვალენტინის სტილის კანთაროსი. 3. ბუს გამოსახულებიანი წითელფიგურული სკიფოსი. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი (ფიჭვნარი).

40-41. ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერი. ძვ.წ. 460-450 წწ.

42. ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერი ზევსისა და ირიდას გამოსახულებით. ძვ.წ. 440-430 წლები.

43. 1. ფიჭვნარის სუროს ორნამენტით შემკული შავლაკიანი კილიკი. ძვ.წ. V ს შუა ხანები.

44. 1. წითელფიგურული ცილინდრული ლეკითოსი. 2, 3. წითელფიგურული არიბალისებრი ლეკითოსები. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი (ფიჭვნარი).

45. 1. შავლაკიანი ორნამენტირებული ტოლჩა. 2-3. შავლაკიანი შტამბირებულორნამენტიანი ამფორისკები. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი (ფიჭვნარი).

46. 1. ვერცხლის ომფალოსიანი ფიალა. 2. ნახევარმთვარისებური ოქროს ყელსაბამი. ძვ.წ. V ს (ფიჭვნარი)

47. 1. იონიური ბიკსიდა. 2. სადაზოლებიანი იონიური ამფორა. 3. სადაზოლებიანი იონიური ოინოხოია. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი (ფიჭვნარი).

48. 1. ბრინჯაოს ოინოხოიისებრი დოქი. 2. ბრინჯაოს ჩამჩა, საწური და სტრიგილა. 3. ბრინჯაოს საწურის სახელურის ბოლო გედის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი (ფიჭვნარი).

49. 1. ოქროს ყელსაბამი. 2. ოქროს ბიკონუსური საყურეები. 3. ცხოველის (ბეპემოთის?) თავებით შემკული ოქროს საყურე რგოლი. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი (ფიჭვნარი).

50. 1, 3. ძვ.წ. V-IV სს ქიოსური ამფორები. 2, 4. ძვ.წ. V-IV სს თაზოსური ამფორები (ფიჭვნარი).

51. ფიჭვნარის შტამბირებულორნამენტიანი შავლაკიანი ამფორისკები. ძვ.წ. V ს 30-იანი წლები.

52. ოქროს საყურეები ფიჭვნარიდან. ძვ.წ. V ს.

53. მძივების, ჯიხვისა და ჩიტების გამოსახულებებით შედგენილი ოქროს ყელსაბამი. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს.

54. 1. ოქროს ბეჭედი აფროდიტესა და ეროტის გამოსახულებით. 2. ოქროს ქიზიკინები ზღვის ღვთაება ტრიტონისა და ნიმფა კლიტეს გამოსახულებით. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს.

55. ვერცხლის სამაჯურები. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს.

56. ბრინჯაოს ისრისპირები. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს.

57. ფერადი მინის ჭურჭელი. 1. ციხისძირი. ძვ.წ. V ს ბირველი მეოთხედი. 2. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს მეორე მეოთხედი. 3. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს შუა ხანები.

58. ფერადი მინის ჭურჭელი. ძვ.წ. V ს მეორე ნახევარი. ფიჭვნარი.

59. ტერაკოტა კუსა და ტახის გამოსახულებით. ციხისძირი. ძვ.წ. V ს ბირველი მეოთხედი.

60. ტერაკოტები აფროდიტესა და დემეტრეს გამოსახულებით. ფიჭვნარი. ძვ.წ. V ს.

61. 1. ხელსაფქვავი. კვაშტა. 2. თიხის საბეჭდავი. ჭარნალი. 3. თიხის საბეჭდავები. მახვილაური. 4. თიხის საბეჭდავები. კვაშტა. ძვ.წ. V ს.

62. 1. გირჩისებრსაკიდიანი ოქროს მძივების ყელსაბამი. 2. წითელფიგურული არიბალისებრი შავლაკიანი ლეკითოსი. 3. ვერცხლის მშვილდსაკინძი. ფიჭვნარი. ძვ.წ. IV ს.

63. აჭარა ოძრხეს შემადგენლობაში. ძვ.წ. III-II სს რუკა (შემდგენელი ბროფ. დ.ხახუტაიშვილი, 1999 წელი).

64. 1. ფიჭვნარის ელინიზმის ეპოქის სამაროვნის ერთ-ერთი უბნის არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი. 2. საალაბო მოედანი.

65. თიხის მოხატული დოქი ფიჭვნარიდან. ძვ.წ. III ს.

66. თიხის შვერონებიანი დოქი გონიოდან. 2. თიხის ქოთანი ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ფიჭვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

67. თიხის ყავისფერკეცციანი დოქები ფიჭვნარიდან. ძვ.წ. III-II სს.

68. კოლხური ამფორები ფიჭვნარიდან. ძვ.წ. IV-III სს.

69. თიხის ყავისფერკეციანი ღოქები ფიქვნარიდან. ძვ.წ. III ს.

70. 1. თიხის ადგილობრივი კანთაროსებრი ჭურჭელი. 2. ყავისფერკეციანი ლუთერია. ფიქვნარი. ძვ.წ. III ს.

71. შავლაკიანი კანთაროსები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

72. 1. 2. შავლაკიანი კანელურებიანი სურები. 3. სანელსაცხებლეები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

73. ვერცხლის მაღალძირიანი კილიკი. ძვ.წ. IV ს.

74. 1. ლომისთავებიანი ოქროს საყურეები. 2. ოქროს საყურეები. 3. გავარსით შემკული ოქროს საკიდი. 4. ოქროს ნახევრმთვარისებრი საკიდი. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

75. 1. ოქროს საყურეები. ციხისძირი. ძვ.წ. IV-III სს. 2. ფარაკიანი ბრინჯაოს სამაჯური. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

76. ვერცხლის საკისრე რგოლები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

77. ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

78. ვერცხლისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

79. მინის მძივები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

80. კოლხური გრაფიტოიანი ქვეყრი (სოფ. შარაბიძეები - ზანაქიძეები). ძვ.წ. IV-III სს.

81. 1. კვირისტავი სვასტიკის გამოსახულებით. 2. მინის სადა და ფიგურული მძივები. 3. ეგვიპტური სკარაბეოიდი. 4. ვერტიკალური საქსოვი დაზგის პირამიდული საწაფები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

82. 1. ოქროს შეწყვილებულთავებიანი საყურე, რგოლსაკიდი და ბიპირამიდული მძივები. ჩაქვის ჩაისუბანი. ძვ.წ. II-I სს. 2. ფერადი თვლებით, გავარსითა და წნული ტექნიკით შესრულებული შეწყვილებულთავებიანი ოქროს საყურე. ახალშენი (შემთხვევითი მონაპოყარი, კერძო კოლექცია). ძვ.წ. I – ახ. წ – I სს.

83. სინოპური მონეტები. ფიქვნარი. ძვ.წ. IV-III სს.

84. რკინის ცული, თოხი, ნამგლის პირი და მაკრატელი. ციხისძირი. ძვ.წ. IV-III სს.

85. აჭარა ახ.წ. I-III სს (ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში - შემდგენელი ბროფ. დ.ხახუტაიშვილი, 1999 წელი).

86. მდ. ჭოროხის შესართაყის მარცხენა სანაპირო, გონიოს ციხე და მისი შემოგარენი.

87. გონიოს ციხე. ტოპოგრაფიული გეგმა.

88. გონიოს ციხე. ცენტრალური უბანი. არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი.

89. გონიოს ციხე. ზედხედი.

90. გონიოს ციხე. აკროპოლის არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი.

91. გონიოს ციხე. სამხრეთი კარიბჭე, აბანოთუბანი.

92. გონიოს ციხე. სამხრეთი კარიბჭე. ახ.წ. II-III სს გარნიზონის საერთო საცხოვრებლის ნაშთები.

93. გონიოს ციხე. სამხრეთი კარიბჭე. წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები.

94. გონიოს ციხე. სამხრეთ-დასაელეთი უბნის არქეოლოგიური გათხრების საერთო ხედი.

95. გონიოს ციხის სამხრეთ-დასაელეთ კედელთან აღმოჩენილი ამფორების გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოს ნაშთები.

96. გონიოს განძი. 1. ფერადი თეალებით შემკული ოქროს გარსაკრავი. ცხოველთა ბრძოლის ამსახველი სცენა. 2. კანელურებიანი ოქროს ფიალა. ახ.წ. I-II სს.

97. გონიოს განძი. დიოსკურ-ატის-კორიბანტის ოქროს სკულპტურა. ახ.წ. I-II სს.

98. გონიოს განძი. 1. ჩიტების გამოსხულებიანი ოქროს ბალთა. 2. ოქროს შტანდარტი. 3. სვასტიკიანი ოქროს ბალთები. ახ.წ. I-II სს.

99. გონიოს განძი. 1. გავარსით შემკული ოქროს მძივები. 2. მასიური ოქროს სამაჯურები. ახ.წ. I-II სს.

100. გონიოს განძი. 1. ოქროს მედალიონი ავგუსტუსის გამოსახულებით. 2. ოქროს მასიური წნული ძეწკვი. ახ.წ. I-II სს.

101. გონიოს განძი. 1, 2. ფერადი თვლებით შედგენილი ვარდულებიანი ოქროს გარსაკრავები. 3. მუხის ფოთლებითა და რკოს ნაყოფით შემკული ოქროს გარსაკრავი ფირფიტა. ახ.წ. I-II სს.

102. ფერადი თვლებით შემკული ოქროს წნული ყელსაბამი მახოდან. ახ.წ. II-III სს.

103. გონიოს ციხე. ტერაკოტა მამაკაცის თავის გამოსახულებით. გონიო-აფსაროსი. ახ.წ. I-III სს.

104. რომაული ხანის ვერცხლის მონეტები.

105. 1. წარწერიანი ბრინჯაოს ჭრაქი. 2. ბრინჯაოს სანაყი. 3. ბრინჯაოს ჭრაქი. 4. თიხის ჭრაქები. ახ. წ. I-III სს გონიო-აფსაროსი.

106. 1. ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალა. 2. მინის სანელსაცხებლე. 3. ბრინჯაოს სერაპისის ქანდაკება. ახ. წ. I-III სს გონიო-აფსაროსი.

107. ტერაკოტა მამაკაცის თავის გამოსახულებით. ხულო. ახ.წ. I-II სს.

108. ჯამისებრბირიანი თიხის ხელადა. ციხისძირი. ახ.წ. III-IV სს.


ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲗᲐᲓᲘ ᲙᲠᲔᲛᲢᲘᲚᲘᲡᲛᲘᲗᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲛᲢᲘᲡᲛᲔᲜᲐᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

ᲡᲣᲠ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



1

2



3



4

ს ურ. 6



სურ. 7



ხერ. 8

სურ. 9



ᲡᲣᲠ. 10



ხურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20



სურ. 21



სურ. 22



ხურ. 23



ᲡᲣᲠ. 24



ხრ. 25

1





2

3

სურ. 26



ᲡᲣᲠ. 29

ᲡᲣᲠ. 27-28 ᲘᲮ. ᲤᲔᲠᲐᲓ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲒᲕ. 433-434.

1

2

სურ. 30



სურ. 31



1



2

სურ. 33

სურ. 32 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 435.



სურ. 34

სურ. 42

სურ. 35-41 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 436-442.



ხურ. 43

ხურ. 44



სურ. 45

1



2

3

სურ. 48

სურ. 46-47 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 443-444.



სურ. 50

სურ. 49 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 445.



ხერ. 51



სურ. 55

სურ. 52-54 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 446-448.



სურ. 56



სურ. 59

სურ. 57-58 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 449-450.



სურ. 61

სურ. 60 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 451.



სურ. 63

სურ. 62 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 452.

სურ. 64



სურ. 66

სურ. 65 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 453.

1



2

 სურ. 67



სურ. 68



სურ. 69



სურ. 70



სურ. 73

სურ. 71-72 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 454-455.





სურ. 76

სურ. 74-75 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ 456-457.



1

2

3

4

სურ. 77



სურ. 80

სურ. 78-79 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 458-459.



1 2



3



4

ხურ. 81



სურ. 83

სურ. 82 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 460.



სურ. 84


ᲥᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲐᲮ. Ვ. I-III ᲡᲣᲛᲔᲠᲘᲗᲘᲡ (ᲚᲐᲖᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ)

ᲡᲣᲠ. 85



სურ. 87

სურ. 86 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 461.

ᲡᲣᲠ. 88

სურ. 93

სურ. 89-92 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 462-465.
სურ. 94-108 იხ. ფერად ილუსტრაციებში, გვ. 466-480.

1

2

3



4

სურ. 27

1

2

ᲡᲣᲠ. 28



სურ. 32



სურ. 35



1



2



3

სურ. 36



ხურ. 37

სურ. 38

1



2

3

სურ. 39

ᲡᲣᲠ. 40

ᲡᲣᲠ. 41

1



2

სურ. 46

1

2



3

სურ. 47



1



2



3

სურ. 49

1

2



3



4

სურ. 52



სურ. 53

სურ. 54

1



2





3

ᲡᲣᲠ. 57

ᲡᲣᲠ. 58



სურ. 60

1



2

3

სურ. 62







სურ. 65



სურ. 71



1



2

3

სურ. 72

1

2

3

4

სურ. 74

1



2

ᲡᲣᲠ. 75

სურ. 78

ს ურ. 79



1

2

სურ. 82



სურ. 86

სურ. 89



სურ. 90

ხურ. 91

სურ. 92

 სურ. 94

სურ. 95

1

2

სურ. 96



სურ. 97

1



2

3

სურ. 98



1



2

სურ. 99

1



2

სურ. 100

სურ. 101

სურ. 102



სურ. 103





ხშრ. 104

1

2

3

4

ხურ. 105

1

2

3

ხურ. 106



სურ. 107





სურ. 108